# ჯვარი ვენახისა




1

საქართველოს საპატრიარქო
თბილისი-1995



ჯვარი ვაზისა - შემკული მოციქულთა სწორის, წმიდა ნინოს თმით. IVს.

ძლიერებაო ჯვარო ვაზისაო,
დაგვიცევ და დაგვიფარე ჩვენ.

# ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡᲘ ᲓᲔᲑᲘᲚᲘᲡᲔ



ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘᲡ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

დაიბეჭდა უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის,
ილია II ლოცვა-კურთხევით

ᛗᛅᚱᛁᛅᛁᚴᚱᛅᛏᛅᚱ

ᚢᛏᚴᛅᛒᛅᚱᛏᛅᚱ,

ᚴᚢ ᚠᛅᚴᛅᚴᛅᚱᚮᛅᚱ

ᚿᛅᚴᛅ ᛁᚴᛅᚴᛅᚱᛅᚱ

ძლევა ჯვარითა ბარბაროზთა ზედა ღვთივ-დაცულსა ერსა ჩვენსა მოანიჭე და
საფარველსა ქვეშე მისსა დაიცევ, უფალო

“–შენ გეაჯები, შენს ვედრებას, გულით ნათმენი,
საღ წამოსული მონა შენი, მონა ყარიბი:
არ დაუკეტო საქართველოს პონტის კარები,
არ მომიკვეთო შენს ჯვარს მიწა, შენით ნათელი.
რად მეჩვენება ჟამი ჭირთა მოახლოების,
რისხვა განგების, შემოწყრომა მაღალ სამართლის;
რატომ ჩანს შავად უსაზღვრობა აღმოსავლეთის,
რად მესმის გლოვა შორი ქართლის სამრეკლოების.
რად მესიზმრება ხმალი, ტარში გადამსხვრეული,
ტანჯვა, გოდება, ბედშავობა, ცრემლი მალული,
რად დამდევს ლანდად ბედწამხდარი ჩემი მამული.
მამული, შენს ჯვარს მოწყვეტილი და დამწყვდეული
აკმარე ჭირი, მტრის მონობა, სპარსი, არაბი,
აშორე ცრემლი, უსჯულობა, წარღვნა, ქარაფი;
შენ გევედრები, შენს დიდ გზაზედ ლოცვით მარები:
არ დაუკეტო საქართველოს პონტის კარები”.

# ԱՀՓՐԵԱ ՀՐԵՆ

## ԳԻՆԻՇ ԻԳԻՊԻՇԻՇ

## ՅԱՊՂԻՐ

ჟურნალის ეს ნომერი მთლიანად აფხაზეთს ეძღვნება. ჩვენი მიზანი ერთია... მკითხველს ვუთხრათ, რომ აფხაზეთი საქართველოა... საქართველოს ძირძველი კუთხეა. ბოლო ხანს (ადრე კი, ამის უფლება არ არსებობდა) ამაზე ძალიან ბევრს წერენ.

გვიან შუა საუკუნეებში, როცა ჩრდილო კავკასიონის მთებიდან ამ მიწაზე უცხო ტომის შვილები შემოვიდნენ, (ისინი, ალბათ, არც ისე ბევრნი იყვნენ. ყოველი შემთხვევისათვის, დღეს არავის არ ძალუძს მათი რაოდენობის დადგენა), საქართველომ ისინი მიიღო და შეიკედლა. და საბოლოოდ, ყველას ერთად, დამხვდურთაც და მოსულთაც ეწოდათ აფხაზები... მთელი კუთხის, ადრე კი, მთელი დასავლეთ საქართველოს, ანაც, საერთოდ, სრულიად საქართველოს მკვიდრთა სახელი. თვით ეს ტომები საკუთარ თავს არ უწოდებენ აფხაზს... ამ სახელს მათ ისევ და ისევ ჩვენ გეძახით (ამაშიც მათ მიმართ ჩვენი კეთილი ნება იხატება). ახლა კი, როცა საჭიროდ სცნეს მათი ერთმანეთისაგან გამოცალკევება, ეს იოლი აღარ აღმოჩნდა, ამიტომაც, ძალზე ხშირად, უფრო მეტად გაუცნობიერებლად, დღევანდელ ადიღებს, აბაზებს, ასევე აფსუებს ხალხიც და მთელ რიგ სტატიათა ავტორებიც აფხაზებად მოიხსენიებენ. ცხადია, ეს ასე არ უნდა იყოს.

ჩვენს ჟურნალშიც ასეა. დამკვიდრებულ ჩვეულებას ზოგჯერ ვერც ჩვენ ვუვლით გვერდს.

დღევანდელ აფხაზ-აბსუას, იმ აბსუას (ან თუნდაც ადიღს, აბაზს), რომელმაც არძინბა წარმოშვა, არაფერი აქვს საერთო ამ კუთხის მცხოვრებ ძირძველ მოსახლეობასთან.

და მაინც, ქართველი კაცი, ყოველივე იმის შემდეგაც კი, რაც აფხაზეთში მოხდა, ამ კუთხეში მცხოვრებ არც ერთ მოსახლეს (რა ტომისაც არ უნდა იყოს იგი) არ აჭყრის თავისი კარ-მიდამოდან, არ ააწიოკებს ქალებს, ბავშვებს, მოხუცებს... ამის უფლებას კაცთმოყვარეობისა და ადამიანობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია არ მისცემს მას.

ქართველ ხალხს თავისი ისტორიის მანძილზე არასოდეს სხვისი არაფერი მიუსაკუთრებია. მისი ომი ყოველთვის თავდაცვითი იყო, სამართლიანი და მაინცდამაინც, აფხაზეთი დაიპყრო საქართველომ? მართლა ასეა ეს? და თუ ასეა, ან ასე არაა, ვინ არიან ეს აფხაზები?... რამდენი ვართ ჩვენ, ბოლოსდაბოლოს?

ჩვენ თავი მოვუყარეთ სხვადასხვა ნააზრევს. ზოგს (უკვე უმეტესობას), დღევანდელი აფხაზები, (მათი ერთი ნაწილი) მოსულ ხალხად მიაჩნია, რომელთაც ჩვენვე ეუწოდეთ ეს სახელი...ზოგი მათ აბორიგენებად მიიჩნევს.

მაგრამ ვინც არ უნდა იყვნენ, ამ ბოლო ორ საუკუნემდე, ჩვენ მათ საკუთარ მოძმეებად ვთვლიდით. ძლიერი იყო ჩვენში ნათესაური ტრადიცია. მაგრამ შემდეგ, ოდეს გარეშე ძალას ზღვისპირეთის "სიყვარული" მოეძალა, ყოველივე აიშალა და აიწეწა. ცრუმეცნიერული გამოკვლევებითა და ყალბი ქადაგებებით მოწამლეს ახალგაზრდობა. ყოველივე ამან, მწარე ნაყოფი გამოიღო. უფალი არ გასწირავს ამ პატარა საქრისტიანო მიწას.

"განამტკიცნის უფალმან ყოველნი დაცემადნი
და აღჰმართნის ყოველნი დაცემულნი"

# წერილები, ეპისტოლენი

**მის ყოვლადუწმიდესობას ბართოლომეოს I,**
**კონსტანტინოპოლის - ახალი რომის მთავარეპისკოპოს-**
**სა და მსოფლიო პატრიარქს**

**თქვენო ყოვლადუწმიდესობავ!**

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და მორწმუნე მრევლის სახელით, ძმური სიყვარულით მოგმართავთ თხოვნით, ხმა აღიმაღლოთ იმ დაუფარავი აგრესიის წინააღმდეგ, რომელსაც საქართველოს ტერიტორიაზე ანხორციელებენ რუსეთის ფედერაციიდან შემოჭრილი ტერორისტული ბანდები აფხაზ სეპარატისტებთან ერთად.

მათ სურთ, დაარღვიონ საქართველოს სუვერენული სახელმწიფოს მთლიანობა და ამ მიზნის მისაღწევად არაფერს ერიდებიან; ხოცავენ მშვიდობიან მოსახლეობას, ძარცვავენ ოჯახებს, წვავენ სახლებს, შეურაცხყოფენ ქალებს... ყოველივე ამას კი მხარს უჭერენ და საბრძოლო ტექნიკით ამარაგებენ რუსეთის რეაქციული ძალები.

იქმნება რეალური საფრთხე მსოფლიო მნიშვნელობის გლობალური კონფლიქტისა, რომელმაც შეიძლება მოიცვას მრავალი ქვეყანა.

გთხოვთ, ამ მძიმე სიტუაციის შესახებ აცნობოთ ყველა მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურებს და აღავლინოთ ლოცვა საქართველოს მშვიდობისა და კეთილდღეობისათვის.

ქრისტიანული ძმური სიყვარულით **ილია** II
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი
უწმიდესი და უნეტარესი ი ლ ი ა II

**მის უწმიდესობასა და უნეტარესობას, მოსკოვი-**
**სა და სრულიად რუსეთის პატრიარქს**
**ალექსის**

**თქვენო უწმიდესობავ!**

მოგმართავთ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის, სამღვდელოთა და მორწმუნე მრევლის სახელით... მოგმართავთ უდიდესი ტკივილის განცდით და გაუწყებთ, რომ რუსეთის ფედერაციიდან საქართველოში, კერძოდ, აფხაზეთში, ჩვენი ქვეყნის ამ ძირძველ მიწაზე შემოიჭრნენ შეიარაღებული ტერორისტული ჯგუფები, რომელნიც აფხაზ სეპარატისტებთან ერთად შემზარავ დანაშაულობებს სჩადიან. ძარცვავენ და წამებით ხოცავენ მშვიდობიან მოსახლეობას, აუპატიურებენ ქალებს, ჰკლავენ ბავშვებს, წვავენ საცხოვრებელ სახლებს. ყოველივე ამას მხარს უჭერენ და საბრძოლო იარაღით ამარაგებენ რუსეთის რეაქციული ძალები... რითაც დიდ საფრთხეს უქმნიან არა მხოლოდ საქართველოს, არამედ თვით დემოკრატიული რუსეთის არსებობასაც.

ჩვენ ყველამ უნდა შევძლოთ ამ საშიშროების დანახვა. იგი დროზე უნდა შეეაჩეროთ.

გამოვითხოვთ თქვენს სულიერ თანადგომასა და ლოცვებს საქართველოს ტანჯული ხალხისათვის.

ჩვენმა წმიდა ეკლესიებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ, რათა არ დაირღვეს ძმური კავშირი რუსეთსა და საქართველოს შორის.

ქრისტესმიერი ძმური სიყვარულით **ილია** II
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

**მის უწმიდესობას, რომის პაპს - იოანე-პავლე II-ს**

**თქვენო უწმიდესობავ, ქრისტესმიერ საყვარელო ძმაო**

საქართველოსათვის მეტად მძიმე განსაცდელის ჟამს, მოგმართავთ თხოვნით, გამოიყენოთ თქვენი დიდი ავტორიტეტი და ხმა აღიმაღლოთ იმ დაუფარავი აგრესიის წინააღმდეგ, რომელსაც საქართველოს ტერიტორიაზე აფხაზ სეპარატისტებთან ერთად ანხორციელებენ სხვადასხვა ქვეყნებიდან შემოჭრილი ტერორისტული ბანდები.

მათ სურთ დაარღვიონ საქართველოს სუვერენული სახელმწიფო მთლიანობა და ამ მიზნის მისაღწევად არაფერს ერიდებიან; ხოცავენ მშვიდობიან მოსახლეობას, ძარცვავენ ოჯახებს, წვავენ სახლებს, შეურაცხყოფენ ქალებს... ყოველივე ამას კი მხარს უჭერენ და საბრძოლო ტექნიკით ამარაგებენ რუსეთის რეაქციული ძალები.

იქმნება რეალური საფრთხე მსოფლიო მნიშვნელობის გლობალური კონფლიქტისა, რომელმაც შეიძლება მოიცვას მრავალი ქვეყანა.

გამოვთქვამთ იმედს, რომ თქვენი ჩარევა ხელს შეუწყობს საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის ხელშეუხებლობის დაცვას და ჩვენს მიწაზე აგრესორთა თარეშის აღკვეთას.

ღრმა პატივისცემით **ილია** II
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

მსგავსი წერილები გაეგზავნა ყველა მართლმადიდებელ და არამართლმადიდებელ ეკლესიათა მეთაურებს, ასევე, წმიდა ათონის მთის მამებს.

**მის აღმატებულებას, ბატონ ემილიო კასტროს,**
**ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს გენერალურ მდივანს**

## თქვენო აღმატებულებავ, ბატონო გენერალურო მდივანო

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, როგორც წევრი ეკლესიათა მსოფლიო საბჭოსი, მოგმართავთ თხოვნით, ხმა აღიმაღლოთ იმ დაუფარავი აგრესიის წინააღმდეგ, რომელსაც საქართველოს ტერიტორიაზე ანხორციელებენ რუსეთის ფედერაციიდან შემოჭრილი ტერორისტული ბანდები აფხაზ სეპარატისტებთან ერთად.

მათ სურთ, დაარღიონ საქართველოს სუვერენული სახელმწიფოს მთლიანობა და ამ მიზნის მისაღწევად არაფერს ერიდებიან; ხოცავენ მშვიდობიან მოსახლეობას, ძარცვავენ ოჯახებს, წვავენ სახლებს, შეურაცხყოფენ ქალებს... ყოველივე ამას კი მხარს უჭერენ და საბრძოლო ტექნიკით ამარაგებენ რუსეთის რეაქციული ძალები.

იქმნება რეალური საფრთხე მსოფლიო მნიშვნელობის გლობალური კონფლიქტისა, რომელმაც შეიძლება მოიცვას მრავალი ქვეყანა.

გამოვთქვამთ იმედს, რომ საერთაშორისო დემოკრატიული ძალებისა და თქვენი წევრი ეკლესიების უშუალო ჩარევა დროულად შეუწყობს ხელს ამ საშიშროების აღკვეთას.

ილია II

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი

**მის აღმატებულებას, ბატონ ჟან ფიშერს,**
**ევროპის ეკლესიათა კონფერენციის გენერალურ მდივანს**

## თქვენო აღმატებულებავ, ბატონო გენერალურო მდივანო!

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ ქრისტეს შობის დღესასწაულს და ახალ წელს. ჩვენ დიდი სიყვარულით მივიღეთ ერთობლივი დელეგაცია ემს და ეეკ-ისა. ჩვენ ვეცადეთ, რომ მათ ზუსტი ინფორმაცია მიეღოთ საქართველოში დღეს არსებული მდგომარეობის შესახებ. ეს მეტად მნიშვნელოვანია, რადგან ევროპაში ხშირად, მხოლოდ რუსეთის მიერ მიწოდებული ინფორმაცია ვრცელდება, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება.

მინდა გითხრათ, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში შექმნილი კონფლიქტი არის გარეშე ძალების მიერ ხელოვნურად თავს მოხვეული, რათა ხელი შეუშალოს საქართველოს დამოუკიდებლობის განვითარებაში.

სურვილი გვაქვს მუდმივად მოგაწოდოთ ობიექტური ინფორმაცია აქ არსებული რეალური მდგომარეობის შესახებ, რათა გავრცელდეს მთელს მსოფლიოში.

ეს იქნება ჩვენთვის დიდი დახმარება.

გამოვთქვამთ იმედს, რომ თქვენი მორალური მხარდაჭერა და თანადგომა კარგ შედეგს გამოიღებს.

საქართველოს ეკლესია დიდად ცდილობს გამოიყენოს თავისი ავტორიტეტი მდგომარეობის გამოსასწორებლად და ხალხთა შორის მშვიდობის დასამყარებლად.

დიდ მადლობას გიძღვნით დელეგაციის გამოგზავნისა და დიდი ყურადღებისათვის.

ღრმა პატივისცემით ილია II
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

## მის აღმატებულებას, ბატონ ბუტროს ბუტროს გალის
## გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს

### თქვენო აღმატებულებავ, ბატონო გენერალურო მდივანო

გულითადად მოგესალმებით საქართველოს მართლმადიდებელი, მორწმუნე ერის სახელით.

ჩვენ დიდად ვაფასებთ იმ წვლილს, რაც შეაქვს მსოფლიო მშვიდობის დაცვაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციას.

მეტად დიდია პირადად თქვენი ღვაწლი სხვადასხვა კონფლიქტთა მშვიდობიანი გზით მოგვარებაში. კარგად გვესმის, თუ რა რთულ პირობებში გიხდებათ ამ საპასუხისმგებლო, მეტად მძიმე, მაგრამ დიდად საპატიო მისიის შესრულება. იმ ქვეყნებს შორის, რომელთაც გაეროს დახმარების დიდი იმედი აქვს, საქართველოცაა.

ამჟამად ჩვენი ქვეყანა, მოგეხსენებათ, ერთ-ერთ რთულ რეგიონს წარმოადგენს. თავისი განსაკუთრებული გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო მისდამი გამორჩეულ ინტერესს ყოველთვის იჩენდნენ სხვადასხვა ქვეყნები. აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის კონფლიქტებიც ხელოვნურად იყო შექმნილი გარეშე ძალების მიერ საქართველოს მთლიანობის დარღვევის მიზნით და ამას დღეს უკვე მთელი მსოფლიო ხედავს.

უკვე ერთი წელია აფხაზეთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ლტოლვილია. ლტოლვილთა შორის არიან არა მარტო ქართველები, რუსები, ბერძნები... არამედ აფხაზებიც. მათ ბედს იზიარებს ამ ეპარქიის სამღვდელოების უმრავლესობა.

სასულიერო პირნი იძულებულნი იყვნენ დაეტოვებიათ აფხაზეთი, რადგან მრევლის უდიდესი ნაწილი წამოვიდა უმძიმესი, მაგრამ ერთადერთი გზით – სვანეთის მაღალმთიანი და თოვლიანი უღელტეხილების გადმოვლით. ხალხს ჭირდებოდა თანადგომა და გამხნევება ამ ურთულესი მანძილის გადალახვაში. აფხაზმა მკვლელებმა არ დაინდეს იქ დარჩენილი მოძღვრები: სრულიად უდანაშაულო, ღვთისა და ხალხის ჭეშმარიტი მსახური მამა ანდრია ავტომატის ჯერით დაცხრილეს; დღემდე უგზო-უკვლოდ არის დაკარგული მეორე მოძღვარი, დეკანოზი ლავრენტი კრავცოვი – ეროვნებით რუსი... ასევე, ეკლესიის სხვა მსახურნი.

დღეს, როდესაც გაჩნდა იმედი ამ ხალხის მამა-პაპისეულ მიწაზე დაბრუნებისა, მიგვაჩნია, რომ ლტოლვილთა პირველ ნაკადშივე აუცილებელია სასულიერო პირთა შეყვანა, რათა მათ ქადაგებებით და ქრისტიანული სიყვარულით განმუხტონ იქ დაძაბულობა და კონფლიქტური სიტუაციები.

ვფიქრობთ, იგივე უნდა გაკეთდეს შიდა ქართლშიც – ე.წ.სამხრეთ ოსეთში.

გთხოვთ, გაგვიწიოთ დახმარება სასულიერო პირთა დაბრუნებაში მათი მსახურების ადგილებზე.

იმედი გვაქვს, თქვენი უშუალო ჩარევით საქართველოში და მთელს კავკასიის რეგიონში დამყარდება მშვიდობა.

კიდევ ერთხელ გისურვებთ დიდ წარმატებებს და ღვთის ლოცვა-კურთხევას.

ღრმა პატივისცემით **ილია II**
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

**მწყემსი კეთილი**

# აფხაზეთის ეპარქია

## ანანია (ჯაფარიძე)

**მთავარეპისკოპოსი მანგლისის ეპარქიისა**

ქართულ წყაროთა თანახმად, ქრისტეშობამდე რამოდენიმე ათასწლეულით ადრე, არა მხოლოდ თანამედროვე აფხაზეთი, არამედ მის ჩრდილოეთ მოქცეული ზღვისპირა ტერიტორია მდინარე ყუბანამდე დასახლებული ყოფილა ქართველი ხალხის - მეგრელთა ეთნიური ჯგუფით. ამას მიუთითებს "ქართლის ცხოვრება". ცნობილია, რომ პ.ინგოროყვა "ქართლის ცხოვრების" ზოგიერთ ნაკვეთს ანტიკურ ეპოქაში (ქრისტიანობამდე) შექმნილ ძეგლად მიიჩნევდა. მართლაც, ამ დიდი წიგნის ერთი ნაწილი, რომელიც რედაქტირებულ-დაწერილია ლეონტი მროველის მიერ, არ იცნობს სიტყვებს "აფხაზეთი", "აფხაზი". ეს ფაქტი, ჩვენი აზრით, წყაროს სიძველის მაუწყებელია. ვფიქრობთ, შეუძლებელია XI და მის წინა საუკუნეებში აფხაზეთის ქართული სამეფოს განსაკუთრებული სიძლიერის დროს, აღნიშნული სიტყვა მოუხსენიებელი დარჩენილიყო.

"ქართლის ცხოვრების" თანახმად, ქართველი ერის ეთნარქებს - ქართლოსს, ეგროსს და ჰეროსს მიეცათ საუფლებო ქვეყნები - "ხოლო ეგროსს მიეცა ქვეყანა ზღვის ყურისა და უჩინა საზღვარი. აღმოსავლეთით ზთა მცირე, რომელსა აწ ჰქვიან ლიხი, დასავლეთ ზღვა, ჩრდილოთ მდინარე მცირისა ხაზარეთისა, სადაც წარწვდების წვერი კავკასიისა, ხოლო ამან ეგროს აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელი თვისი ეგრისი, აწ მას ადგილსა ჰქვიან ბედია" (ქ.ც. I, 1955, გვ. 5). აქედან ჩანს, რომ, ამ წყაროს მიხედვით, ქართველი ხალხის მეგრელთა ეთნოჯგუფით დასახლებული იყო არა მხოლოდ მთელი ამჟამინდელი აფხაზეთი, არამედ, მის ჩრდილოეთით, ზღვისკიდეთში მდებარე ტერიტორიაც, ვიდრე მდინარე "მცირე ხაზარეთამდე" (ნ.ბერძენიშვილის თანახმად ესაა მდინარე ყუბანი). იმ დროისათვის მთელ აღნიშნულ ტერიტორიას მდ. ყუბანამდე "ეგრისი" ეწოდებოდა. ვახუშტის თანახმად, ტერმინი "აბასა", "აფხაზეთი" გაჩნდა მოგვიანებით. მართლაც, ყველა უცხოური წყარო, რომელიც I საუკუნემდე აღნიშნული მხარის ეთნიკურ სახეს აღწერს, ძირითადად ლაზებით დასახლებულად მიიჩნევს.

აბაზების ტომებს უცხოური წყაროები მხოლოდ I საუკუნის შემდეგ მოიხსენიებენ. ვახუშტიც, აღნიშნული ეპოქის აღწერისას წერს: "ხოლო ანაკოფიის დასავლეთით არს აფხაზეთი. პირველად წოდებული აგრეთვე ეგრისი, რამეთუ ვინაითგან წილი ეგრისისა არს ზღვადმდე. ამის გამო ეწოდა "ეგრივე", არამედ შემდგომად განდგომისა, დაიპყრეს რა ბერძენთა, მათ უწოდეს აბასა, ხოლო ქართველთა - აფხაზეთი" (ქ.ც. IV 1973. გვ. 784).

უძველეს დროს ისტორიული ეგრისი გაიყო ორ ნაწილად, შემდგომ ერთ ნაწილს ეწოდა ოდიში (სამეგრელო), ხოლო მეორე ნაწილს - აფხაზეთი. საზღვარი ოდიშსა და აფხაზეთს შორის გადიოდა ანაკოფიასთან, ანუ თანამედროვე ახალ ათონთან. ვახუშტი წერს - ქალაქი ანაკოფია ბაგრატიონ მეფეებს აუშენებიათ "არამედ აწ ოხერ არს და საზღვარი ოდიშისა და აფხაზეთისა. ამ ანაკოფიის აღმოსავლით ზღვიდამ მთამდე შეავლო ზღუდე დიდი ლევან დადიანმან - აფხაზთა გამოუსვლელობისათვის, გარნა აწ უქმად არს" (ქ.ც. IV გვ. 782).

XVII ს-ში ლევან II დადიანმა და აფხაზეთის ქართველმა ეპისკოპოსებმა, რომლებიც ლტოლვილნი იმყოფებოდნენ ოდიშის მთავრის კარზე, ააგეს უდიდესი თავდაცვითი ნაგებობა-გალავანი, თავისი კოშკებით, ე.წ. აფხაზეთის დიდი კედელი, რომლის შემწეობითაც ცდილობდნენ ოდიში მაინც გადაერჩინათ ჩრდილოკავკასიიდან.

შემოსული მებრძოლი მთიელი ტომების შემოჭრისაგან. ეს მთიელი ტომები, უკვე XVI საუკუნიდან, განსაკუთრებით კი XVII ს-ში, საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ კუთხე-აფხაზეთში დამკვიდრების გამო აფხაზებად იწოდნენ. თუმცა კი თავიდანვე ცნობილი იყო მათი ეთნიკური განსხვავება ძველი აფხაზებისაგან. როგორც პ. ინგოროყვამ გაარკვია, ძველი აფხაზები ქართველები იყვნენ, ხოლო ახალი აფხაზები ადიღე-ჩერქეზული წარმომავლობის ტომია. ნ. ბერძენიშვილი წერს: "აფხაზი ისეთივე ქართველი იყო, როგორც ეგრისი და მეგრელი, როგორც ჰერეთი და ჰერი, როგორც ქართლი და ქართლელი". თანახმად ნ. ბერძენიშვილისა, იმის შემდგომაც კი, რაც დასავლეთ საქართველო მოიცვა აფხაზთა სამეფომ (VIII ს.) და შეიქმნა ახალი სახელმწიფო, იქ ახალი ეთნიკური ერთობა "აფხაზი ხალხი" არ ჩამოყალიბებულა. აფხაზთა სამეფო ქართველთა სახელმწიფო იყო, ხოლო "აფხაზნი" ქართველები. - "არავითარი აფხაზი ფეოდალური ეროვნების კონსოლიდაცია არ მომხდარა, არავითარი მეგრული ფეოდალური ეროვნება არ ჩამოყალიბებულა. მან თავისი ადგილი ფეოდალურ ქართულ ეროვნებაში იპოვა. კიდევ უფრო მეტი საფუძველით, იგივე ითქმის აფხაზეთზე. აფხაზთა დინასტია სათავეში ჩაუდგა ქართული ფეოდალური სახელმწიფოს შენებას. ქართული კულტურის სამსახურს" (ნ. ბერძენიშვილი, საქ.ისტორიის საკითხები, 1990 წ. გვ.592).

აფხაზეთის სამეფოში, რომლის მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ, სახელმწიფო და საეკლესიო ენა მხოლოდ ქართული იყო. არავითარი კვალი არ არსებობს აფხაზური ენის რაიმე სფეროში გამოყენებისა. საერთოდ, ისიც კი დაუდგენელია, არსებობდა თუ არა ენა, რომელსაც ჩვენ დღეს "აფხაზურს" ვუწოდებთ, ამ ქვეყნის ტერიტორიაზე. ნ. ბერძენიშვილის აზრით, ძველი აფხაზური სამეფო დინასტია არაქართული რომ ყოფილიყო, "ბერძნულის ადგილას აფხაზური დამწერლობა უნდა შექმნილიყო. ე.ი. უნდა შეეძინათ ყველა ის ნიშანი, რომელიც ფეოდალურ სახელმწიფოს ახასიათებს. VIII-IX საუკუნეები არის ეპოქა არა აფხაზი ეროვნების კონსოლიდირებისა ეგრის წყლის დასავლეთით, არამედ, აფხაზეთის საბოლოოდ შედგომა ქართულ ფეოდალურ ეროვნებაში საკონსოლიდაციოდ" (იქვე გვ. 591). აფხაზთა სამეფოს სომხურ წყაროებში "ეგრისის სამეფო" ეწოდებოდა, ხოლო აფხაზეთის მცხოვრებლებს "მეგრელები". ამ წყაროებში ეგრისელი და აფხაზი სინონიმებია. სწორედ, ამიტომ უწოდებდა აფხაზეთს გიორგი მთაწმიდელი ჩვენს ქვეყანას - **"ერთი წმიდათა თორმეტთა მოციქულთაგანი სიმონს ვიტყვი კანანელსა. ქუეყანასა ჩუენსა დამარხულ არს - აფხაზეთს, რომელსა ნიკოფსი ეწოდების. ამათ წმიდათა მოციქულთა განათლებულ ვართ"**. ანდრია პირველწოდებული დასავლეთ საქართველოში ჩავიდა მესხეთისა და ქართლის გავლის შემდგომ. "დიდ სებასტოპოლში - ცხუმში რომ ჩავიდნენ, იქადაგეს ღვთის სიტყვა. ანდრიამ დატოვა იქ სიმონი მოწაფეებითურთ და თვით წავიდა ჯიქეთში".

ეპიფანე კონსტანტინოპოლელის (VIII ს.) ბერძნულ ტექსტში ნათქვამია: "არს ჯიქეთს ნიკოფსიაში საფლავი, რომელსა აქვს წარწერა სიმონ კანანელისა".

მოციქულთა გარდა, დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობას ავრცელებდნენ რომის იმპერიიდან ქრისტიანთა დევნის დროს ლტოლვილი ქრისტიანები I - III საუკუნეებში. ამ პერიოდში დასავლეთ საქართველოში მძლავრი ქრისტიანული კერები შექმნილა, იმდენად მძლავრი, რომ IV საუკუნის დასაწყისში, 325 წელს ორი ეპისკოპოსი ჩვენი ქვეყნისა - ბიჭვინთელი და ტრაპეზუნტელი მონაწილეობდა I მსოფლიო საეკლესიო კრებაში (ნიკეაში). მიუხედავად ამისა, ჩვენში ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად წმ. ნინოს ქადაგებათა შედეგად იქცა. უცხოელი ავტორები მას დასავლეთ საქართველოს განმანათლებლადაც მიიჩნევდნენ. გელასი კვიზიკელი (V ს.) წერს, რომ წმ. ნინოს, ანუ "ტყვე დედაკაცის" მიერ ქრისტიანობა მიიღეს პონტოს გასწვრივ მიწა-წყალზე მცხოვრებმა იბერებმა და ლაზებმა. პ.ინგოროყვას თანახმად, ჭანეთ-ლაზეთში თვით XVII ს-მდე არსებულა გადმოცემა, რომ ამ მხარეში ქრისტიანობა წმ. ნინომ გაავრცელა. ჩვენი წყაროები წმ. ნინოს "ყოველი იბერიის" განმანათლებელს უწოდებენ. ისინი, როგორც წესი, "ყოველი იბერიის" სახით გულისხმობენ დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალს, აღმოსავლეთთან ერთად. აქედან გამომდინარე, წმიდა ნინოს მიერ ორგანიზებულ ქართული ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა, როგორც აღმოსავლეთი, ისე დასავლეთი საქართველო. ქართული ეკლესია IV-V საუკუნეებში ქართული წყაროების თანახმად, უთუოდ მოიცავდა დასავლეთ საქართველოსაც, რაც გვაფიქრებინებს, რომ ქართული ენა წირვა-ლოცვისა და ღვთისმსახურებისათვის IV-V საუკუნეებში დასავლეთ საქართველოშიც გამოიყენებოდა. (არსებობს აზრიც, რომ აქ IX-X საუკუნეებამდე წირვა-ლოცვა ბერძნულ ენაზე მიმდინარეობდა). დასავლეთ საქართველოში ქართული ეკლესია თავის გავლენას ავრცელებდა VII საუკუნის 20-30-იან წლებამდე. VII ს. დასაწყისში დასავლეთ საქართველოში შემოიჭრა

ბიზანტიის იმპერატორი ჰერაკლე, რომელიც ებრძოდა სპარსელებს, აიღო თბილისი, საქართველოს სახელმწიფოს ჩამოაჭრა მიწა-წყლის ერთი ნაწილი - "ზღვისპირი" და მიუერთა ბიზანტიის იმპერიას. პოლიტიკურ ცვლილებას გამოუწვევია საეკლესიო იურისდიქციის ცვლილებაც. ბიზანტია-სპარსეთს შორის გავლენის სფეროთა საზღვარი გადიოდა ე. წ. სკანდა-შორაპნის ხაზზე. სკანდა-შორაპნის ხაზის იქით მდებარე დასავლეთი საქართველოს მიწა-წყალი ბიზანტიამ მიიტაცა, გააუქმა ქართული ეკლესიის იურისდიქცია და ქართული ენის ნაცვლად დანერგა ბერძნული. სკანდა-შორაპნის ხაზის აღმოსავლეთით მდებარე მიწა-წყალზე ქართულმა ეკლესიამ ძველებურადვე გააგრძელა თავისი იურისდიქცია (იხ."საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია", ეპ. ანანია ჯაფარიძე). მიტაცებულ მიწა-წყალზე დასავლეთ საქართველოში ბიზანტიამ შექმნა ლაზიკის მიტროპოლიის საეპისკოპოსოები: ფაზისისა, როდოპოლისისა (ვარციხისა), პეტრასი (ციხისძირი, ბათუმთან), ცაიშისა, ძიღანებისა (გუდაყვა, ილორთან).

ამის შემდეგ ე.ი. VII ს-დან ვიდრე IX-X საუკუნეებამდე, აღნიშნულ მიწა-წყალზე ღვთისმსახურების ენამს გამოიყენებოდა ბერძნული საეკლესიო ენა, რომელიც აფხაზთა სამეფოს შექმნის შემდეგ შეცვალა ქართულმა. ეს უდიდესი მნიშვნელობის ფაქტი იყო. "აფხაზთა სამეფო" ქართული ეკლესიის უპირველეს და უდიდეს მფარველად და მეპატრონედ იქცა. ქართული ენა, ქართულენოვანი ღვთისმსახურება, ქართული უმდიდრესი სასულიერო კულტურა, მწერლობა, მხატვრობა, არქიტექტურა, გალობა აყვავდა და გამდიდრდა იმის შემდგომ, რაც გადამთიელ ბიზანტიელთა ძლიერება შეიმუსრა.

ისევ და ისევ; დასავლეთი საქართველო IV-VI საუკუნეებში ქართული ეკლესიის იურისდიქციაში იმყოფებოდა. VII ს-დან ჰერაკლე იმპერატორის ლაშქრობათა შემდგომ ამ ქვეყნის უმეტესი ნაწილი შეიყვანეს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში. ხოლო VIII ს-ის შემდგომ, როცა მთელი დასავლეთი საქართველო აფხაზთა სამეფომ მოიცვა, თანდათანობით, ეკლესიებიდან გაძევებული იქნა ბერძნული ენა, ხოლო ქართული აღდგა ძველ უფლებებში. ჰერაკლე კეისრის ლაშქრობამდე დასავლეთ საქართველოს ქართული ეკლესიის იურისდიქციაში ყოფნის შესახებ მიუთითებენ სომხური წყაროები. იოანე სომეხთა კათალიკოსის ჩვენებით, მცხეთის (ქართლის) ეკლესიის მეთაური VI ს-ში იყო მამამთავარი "იბერიელთა, გუგარელთა და ეგრისელთა". ქართული ეკლესიის მეთაური ეგრისის მთავარეპისკოპოსად ითვლებოდა "წინანდელ

შთასვლა ჯოჯოხეთსა შინა

წესთა თანახმად" ე. ი. მიიჩნეოდა, რომ V საუკუნეშიც ("წინანდელ დროსა") ეგრისი ქართულ ეკლესიაში შედიოდა. ვახუშტის თანახმად, კათალიკოსობის დაწესებამდე (ე. ი. V ს-მდე), მაშინ, როცა ქართულ ეკლესიას მთავარეპისკოპოსი მართავდა, დასავლეთ საქართველოში პროვინცია "ვაკე" (ცხენისწყალსა და რიონს შორის ტერიტორია) მის (ე.ი. მცხეთის) სამწყსოს წარმოადგენდა (იხ."ქართლის ცხოვრება" IX. გვ. 750). V საუკუნეში კათოლიკოსობის დაწესების შემდეგაც პროკოფი კესარიელის მიხედვით, დასავლეთ საქართველოს ქრისტიანები კათოლიკოსს ექვემდებარებოდნენ. ცხადია, იგულისხმება მცხეთელი კათოლიკოსი, რადგანაც მთელ საქართველოში V-VII საუკუნეებში მხოლოდ ერთი კათალიკოსი იჯდა.

ივ. ჯავახიშვილის თანახმად, ქართულ სამწერლო და კულტურის (ანუ სალიტერატურო) ენის შემუშავებაში თავის დროზე თავიანთი წვლილი შეუტანიათ მეგრულ და სვანურ ტომებს (ივ. ჯავახიშვილი, ტ. I გვ.15). (საგულისხმოა, რომ სვანებს იბერიულ ტომად სტრაბონის დროსვე მიიჩნევდნენ).

ზოგი მეცნიერის აზრით, ქართული საეკლესიო ენა დასავლეთ საქართველოში გავრცელდა IX-X საუკუნეთა შემდგომ. ამ დროისათვის კი ქართული სამწერლო სალიტერატურო ენა სრულიად ჩამოყალიბებული იყო და ცხადია, მას შემუშავება აღარ ესაჭიროებოდა. ქართული ენა სამწერლო ენად იქცა წმიდა ნინოს შემდგომ, ანუ IV-V საუკუნეებში. იგი ამ ეპოქებში უნდა შეემუშავებინათ, რათა ეთარგმნათ ახალი და

ძველი აღთქმის წიგნები, შეექმნათ საეკლესიო მწერლობა. ამიტომაც, თუკი მის შექმნა-შემუშავებაში მეგრელ-სვანებმა მონაწილეობა მიიღეს, ეს უნდა მომხდარიყო სწორედ IV-V საუკუნეებში, როცა მიმდინარეობდა ეს პროცესი. მართლაც, პალესტინის მონასტერში, სადაც აღმოჩენილია ერთ-ერთი პირველი ქართული წარწერები V საუკუნისა, პეტრე იბერთან ერთად, იოანე ლაზიც მოღვაწეობდა.

საგულისხმოა, რომ სწორედ ამის გამო, აფხაზეთის სამეფოს ჩამოყალიბების შემდგომ, იქ ერთადერთ სახელმწიფო, სალიტერატურო და საეკლესიო ენად ქართული ცხადდება. VII ს-ის დასაწყისშიც კი, ჰერაკლეს ლაშრობამდე, ქართული ეკლესიის გავლენას დასავლეთ საქართველოში მიუთითებს ქართული საეკლესიო არქიტექტურის არსებობა, მაგალითად, ეგრისში (მარტვილში) არის ჯვრის (მცხეთის ჯვრის) ტიპის არქიტექტურული ნაგებობა. არაბთა გამოჩენის შედეგად ბიზანტიის იმპერია დასუსტდა. ამით ისარგებლა აფხაზეთის ერისთავმა ლეონ I-მა და VIII-ს. 20-იან წლებში თავისი სამთავრო (კლისურას იქით მდებარე მიწა-წყალი) შეიყვანა ქართლის სახელმწიფოს შემადგენლობაში. ამ დროისათვის სახელმწიფო საზღვარი ქართულ სამეფოსა და ბიზანტიის იმპერიას შორის გადიოდა მდინარე კლისურაზე. იმპერატორს მიუწერია კიდეც ერისთავ ლეონისათვის, მაშინ, როცა აფხაზეთის ეს მთავარი მის მორჩილებაში იმყოფებოდა: "ყოვლადვე საზღვართა ქართლისათა ჩვენგან ქმნილ არს ვნება... ამიერიდან ნულარმცა ხელგეწიფების ვნებად მათდა და საზღვართა მათთა ეგრისათა" ("ქართლის ცხოვრება" 1. გვ. 240), იგულისხმება ეგრის-აფხაზეთის გამყოფი საზღვრის დაცვა მდ. კლისურაზე. ჩვენი წყაროს თანახმად, ქართლის მეფე მირმა და აფხაზეთის ერისთავმა ლეონ I-მა დადეს შეთანხმება, რომლის ძალითაც ლეონ I იქცა ქართლის ერისთავად; შერთეს მირ მეფის ქალიშვილი, რის შემდგომაც მისი სამთავრო შევიდა ქართლის სამეფოს შემადგენლობაში; სანაცვლოდ მიიღო სამეფო რეგალია (ვითარცა ტახტის ერთ-ერთი მემკვიდრე ქალიშვილის ქმარმა (მირ მეფეს ვაჟი არ ჰყავდა) - სამეფო გვირგვინი, რაც მას გარკვეულ სამეფო უფლებებს ანიჭებდა. არჩილ მეფის (მირ მეფის ძმის) კახეთში გადასვლისა და წამების შემდგომ ლეონ I-ის ხელში გადავიდა ქართლის მეფეთა "საუხუცესო" ტერიტორია - მთელი დასავლეთი საქართველო - ეგრისი, არგვეთი, თაკვერი და გურია. დასავლეთ საქართველოში ამის შედეგად ჩამოყალიბდა ახალი პოლიტიკური ერთეული - "აფხაზთა სამეფო", რასაც ხელი შეუწყო ქართლის სამეფო დინასტიის ამოწყვეტამ არაბთა მიერ. დასავლეთ საქართველოს ერთ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულად გაერთიანებას მოჰყვა იქ არსებული ეკლესიების გაერთიანებაც.

მდინარე კლისურას მარჯვენა სანაპიროზე, ანუ საკუთრივ აფხაზეთში, ძველთაგანვე არსებობდა აბაზგიის სამთავარეპისკოპოსო. სკანდა-შორაპნის ხაზამდე, როგორც აღინიშნა, ბერძნებმა დააარსეს ლაზიკის მიტროპოლიის საეპისკოპოსოები. ამ ხაზის აღმოსავლეთით, არგვეთში თავის იურისდიქციას ქართული ეკლესია ანხორციელებდა.

ამრიგად, დასავლეთ საქართველოში ფაქტიურად სამი საეკლესიო ერთეული არსებობდა. "აფხაზთა სამეფოს" შექმნის შემდგომ, ყველა ეს ეკლესია თანდათანობით გაერთიანდა და ჩამოყალიბდა ერთიანი ეკლესია - "აფხაზეთის საკათალიკოსოს" სახელწოდებით. აფხაზეთის საკათალიკოსო წარმოადგენდა ქართული ეკლესიის ორგანულ ნაწილს, რასაც მიუთითებს მის ეკლესია-მონასტრებში ქართული საეკლესიო ენის გამოყენება, ბერძნულენოვანი საეპისკოპოსოების ნაცვლად, ქართულენოვანთა დაარსება.

აფხაზეთის, ანუ როგორც უცხოელები უწოდებდნენ, "ქვემო ივერიის" საკათალიკოსოს დაარსებას ვარაუდობენ 720-იანი წლებისათვის. იერუსალიმელი პატრიარქი დოსითეოსი წერდა XVII საუკუნეში: - "იბერიაში ორი ავტოკეფალური მთავარეპისკოპოსია, რომელთაც ქართველები უწოდებენ კათალიკოსებს. ქვემო იბერიას, რომელსაც ძველად კოლხეთს და ლაზიკას უწოდებდნენ, აქვს ეპარქიები იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში, სვანეთში და მესხეთის ნაწილში. ეს ეპარქიები ექვემდებარებოდნენ კონსტანტინოპოლის კათედრას ფასიდის მიტროპოლიტის საშუალებით. ასე რომ, ჰერაკლე კეისრის შემდეგ იმპერატორ ლეგ ისავროსამდე ქვემო იბერია უკვე იყო ავტოკეფალური სამთავარეპისკოპოსო, მაგრამ ჩვენ არ ვიცით, რომელი იმპერატორის დროს და რომელ კრებაზე მიანიჭეს მას ავტოკეფალია" (სარდელი მიტროპოლიტის მაქსიმეს წიგნიდან: "ქართული ეკლესია და მისი ავტოკეფალია", "თეოლოგია", ათენი, 1966, გვ.47-48).

მეორე იერუსალიმელი პატრიარქი - ხრისანდიც მსგავსადვე წერს: - "საქართველოში, რომელსაც ადრე იბერია ერქვა, იყო ორი ავტოკეფალური მთავარეპისკოპოსი, რომელთაც უწოდებდნენ კათალიკოსებს. ამათგან ერთს მთავარეპისკოპოსი "ქვემო იბერიისა" -ეწოდა - იმერეთის, ოსეთის, გურიის და სრულიად ქვემო იბერიის უნეტარეს კათალიკოსს. 26 ივნისის სვინაქსარში ვპოულობთ, რომ იოანე გოთეთის ეპ-

ისკოპოსი ხელდასხმულ იქნა იბერიის კათალიკოსის მიერ (გულისხმობს "ქვემო იბერიის", ანუ აფხაზეთის კათალიკოსს - ეპ. ა.ჯ.), რადგან რომაულ ქვეყნებში ბატონობდა ხატმებრძოლთა ერესი. ასე, რომ, როგორც ჩანს, ჰერაკლეს შემდეგ ისავროსამდე, ქვემო იბერია სამთავარეპისკოპოსო გახდა" (იქვე. გვ. 48). უცხოელთათვის "ქვემო იბერიის", ხოლო ჩვენთვის აფხაზეთის საკათალიკოსოს მიერ ავტოკეფალიის მოპოვებაში იგულისხმება ამ ეკლესიის მიერ დამოუკიდებლობის მიღება ბერძნული ეკლესიისგან, რაც სწორედ VIII ს-ში, კონსტანტინოპოლში აღორძინებული ხატმებრძოლური ერესის დროს მოხდა. მართლაც, ჩვენამდე მოღწეულია ბერძნულ წყაროთა ჩვენება, რომ VIII ს. შუა წლებში ანტიოქიაში ჩასულან იბერიის ეკლესიის წარმომადგენელნი და ანტიოქიის საპატრიარქოს უცვნია მათი დამოუკიდებლობა. ეს ცნობა დაუცავს ანტიოქიელ "ქრონოგრაფს", იქედან კი უთარგმნია ეფრემ მცირეს (იხ."უწყება მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა",. 1959). მიჩნეული იყო, რომ ეს ცნობა ეხება ქართლის საკათალიკოსოს ავტოკეფალიის აღიარებას ანტიოქიის მიერ: "იბერიის" ცნებაში ყოველთვის ქართული იგულისხმებოდა, მაგრამ უცხოელები დასავლეთ საქართველოსაც "იბერიას" უწოდებდნენ. აღნიშნული ცნობა, როგორც ეს ვ. გოილაძემ გაარკვია, დასავლეთ საქართველოს ეკლესიას შეეხება. "ქვემო იბერიის" (აფხაზეთის) აქამდე კონსტანტინოპოლზე დაქვემდებარებულ ეპისკოპოსებს უფლება მიეცათ თვითვე აერჩიათ თავიანთი კათალიკოსი. ყოფილმა ეგრის-აფხაზეთის ეკლესიამ ბერძნებისაგან მიიღო ავტოკეფალია კონსტანტინოპოლში ხატმებრძოლთა მწვალებლობის გავრცელების ეპოქაში, მაგრამ მისი ავტოკეფალია სრული არ ყოფილა, მას მირონი უნდა მიეღო ანტიოქიისაგან, მირონის შესასყიდად ქართველებს, ანუ ქვემო იბერიელებს, ანტიოქიისათვის უნდა ეძლიათ 1000 კვამლის (კომლის) გადასახადი. მალე ანტიოქიამ ამ გადასახადის ნაცვლად ყოველწლიურად მოითხოვა ათასი დრაჰკანი. შემდეგ კი, ბერძენთა მეფის შუამავლობით ქვემო იბერთა 1000 დრაჰკანი გადაეცა იერუსალიმის საპატრიარქოს. ახლა მირონის შესასყიდი თანხა ქართველებს (ე.ი. ქვემო იბერიელებს) იერუსალიმისათვის უნდა ეძლიათ (იხ. ეფრემ მცირის დასახ. ნაშრომი გვ.10) ეს ის ეპოქაა, როცა არაბთა შემოსევების გამო მცხეთის საკათალიკოსო სასიტიკადაა განადგურებული. მალე გრიგოლ ხანძთელისა და სხვა დიდ მამათა ღვაწლით, "ზემო იბერიის" ეკლესია გაძლიერდა, განსაკუთრებით ტაო-კლარჯეთში. 830 წელს ტაო-კლარჯეთის სამეფომ აფხაზეთის საკათალიკოსოსადმი თავისი ყურადღება იმით გამოამჟღავნა, რომ მას იურისდიქციაში გადასცა ტერიტორია სკანდა-შორაპნის ხაზიდან ლიხის მთამდე. ხოლო გრიგოლ ხანძთელის მოწაფემ, დიდმა არსენმა მოაგვარა აფხაზეთის საკათალიკოსოსა და იერუსალიმს შორის არსებული მირონის საკითხი. თუ აქამდე ქვემო იბერიის ეკლესიას მირონი იერუსალიმიდან მოჰქონდა, ახლა თვით იერუსალიმის პატრიარქის თანხმობით, მირონი ქვემო იბერიის (აფხაზეთის) საკათალიკოსოს მცხეთიდან უნდა მიეღო. ამით ქართული ეკლესიის ერთიანობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლეოდა.

ზემო იბერიის ეკლესიაში მირონი მუდამ ადგილზევე ეკურთხებოდა. ეს სომხურ-ალბანური წყაროების ანალიზიდანაც ჩანს (იხ."საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია" ტ.11 ა.ჯ.). ამიტომაც, ბერძნულ წყაროებში არსებული ცნობები ქართველთა მიერ ანტიოქია-იერუსალიმში მირონის შესყიდვის შესახებ შეეხება ქვემო იბერიის ეკლესიას. IX საუკუნეში, როგორც ითქვა, იერუსალიმის საპატრიარქოს მიუღია გადაწყვეტილება, რათა აფხაზეთის საკათალიკოსოს მირონი მიეღო არა იერუსალიმიდან, არამედ მცხეთიდან. დასავლეთ საქართველოდან ბერძნულ-ენოვანი წირვა-ლოცვის ნაცვლად ქართულის დანერგვამ ქვეყანა (ზემო და ქვემო იბერია, ანუ ქართლი) ერთიან საეკლესიო ერთეულად აქცია. გიორგი მერჩულეს იქვე მოჰყავს ისტორიული ცნობა, რომელშიც ერთი ქარაგმა, კერძოდ - "ა-სა" არასწორად გაიხსნა გადამწერის მიერ. ნაცვლად იმისა, რომ "ა-სა" გახსნილიყო, როგორც "აფხაზეთისა", გადამწერმა დაწერა - "აღმოსავლეთისა". მაგრამ თუ "აღმოსავლეთის" ნაცვლად დავწერთ "აფხაზეთს" მივიღებთ სწორ ისტორიულ ცნობას - "რამეთუ პირველად აფხაზეთისა კათალიკოსთა მიჰრონი იერუსალიმით მოჰყვანდა, ხოლო ეფრემ ქრისტესმიერითა ბრძანებითა მიჰრონის კურთხევა ქართლს განაწესა იერუსალიმის პატრიარქისა განწესებითა და წამებითა სიხარულით. არამედ, ქართლად ფრიადი ქუეყანა აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვა ყოველი აღესრულების". მართლაც, "აღმოსავლეთის კათალიკოსებს" მირონი იერუსალიმიდან არ მიჰქონდათ; იერუსალიმის საეპისკოპოსო I ს. 70-იანი წლების შემდგომ, რაც რომაელებმა იერუსალიმი დაანგრიეს, ძალზე დამცრობილი იყო, იმდენად, რომ თვით IX საუკუნეშიც კი იერუსალიმის ეპისკოპოსი ხან ანტიოქიის, ხან კი კესარია-პალესტინის ეპისკოპოსს ექვემდებარებოდა. მხოლოდ V ს-ში, ქალკედონის კრების შემდეგ გამოვიდა იერუსალიმელი ეპისკოპოსი სხვათა დაქვემდებარები-

დან და იქცა ავტოკეფალურ პატრიარქად. გიორგი მერჩულეს ცნობის ახლებური წაკითხვით, უნდა გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ქვემო იბერიის (აფხაზეთის) საკათალიკოსო დაარსების შემდეგ, ე.ი. 720-იანი წლებიდან, მირონს იღებდა ანტიოქია-იერუსალიმის საპატრიარქოდან, ხოლო IX ს-ში, 840-იანი წლებიდან მისთვის განკუთვნილი მირონი ეკურთხებოდა ზემო იბერიაში, ანუ მცხეთაში. მართლაც, ამავე დროისათვის ტაოკლარჯეთის სამეფო განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენს "ქვემო იბერიის" ეკლესიისადმი. მემატიანე წერს:"ხოლო ამან (მეფემან ბაგრატ) განაჩინა და განაწესა კათალიკოსი აფხაზეთის ქრისტეს აქეთ 830 წელს" ("ქართლის ცხოვრება", I, გვ. 255). ეს ცნობა ისე უნდა გავიგოთ, რომ 720-იანი წლებიდან არსებული ეგრის-აფხაზეთის ეკლესია ბაგრატ მეფის დროისათვის უკვე საკათალიკოსო ეკლესიად იქცა, რაც ცნო ქართველთა მეფემ. მირონთან დაკავშირებით კი უნდა ითქვას, რომ IX ს-ში იერუსალიმისა და ქართულ ეკლესიათა შორის ძალზე თბილი, მეგობრული ურთიერთობა დამყარდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, IX საუკუნეშივე, იერუსალიმის საპატრიარქოს ნებართვით, იოანე გუთელი ეპისკოპოსი ქართლში აკურთხეს. ხოლო, კონსტანტინოპოლში ხატმბრძოლური მწვალებლების გავრცელების გამო, კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში მყოფი ეკლესიები (ლაზიკა, გუთეთი) ქართული ეკლესიის იურისდიქციას გადასცა მსოფლიო მართლმადიდებლურმა ერთობამ. ამის შემდგომ გაუქმდა ცხუმის ბერძნული სამთავარეპისკოპოსო, რის სანაცვლოდაც ბიჭვინთაში დაარსდა ქართული საკათალიკოსო ცენტრი. სწორედ ამ დროს ააგეს (და არა VI საუკუნეში, იუსტინიანეს დროს) ბიჭვინთის საკათალიკოსო ტაძარი - ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი. აფხაზეთის მეფე გიორგი I-ის (922-957) დროს გაუქმდა ფაზისის კათედრა. იგი ამოქმედდა ჭყონდიდში. ვარდციხის ნაცვლად ქუთაისისა და ძიღანების (გუდაყვის) ნაცვლად ბედიის საეპისკოპოსოები ამოქმედდნენ. აფხაზეთი (ანუ ქვემო იბერია) კვლავ დაიფარა ქართული ეკლესიებით, შეიქმნა ქართული აგიოგრაფიული, ჰიმნოგრაფიული თხზულებები, ქართულ ენაზე დაიწერა აფხაზ მეფეთა ისტორია, აფხაზეთის სამეფო დიდად იღვწოდა საქართველოს გაერთიანებისათვის. ბაგრატი გახდა ერთიანი საქართველოს ხელმწიფე. უცხოურ წყაროთა თანახმად, X საუკუნიდან "აფხაზეთი" უკვე მთელ საქართველოს ეწოდებოდა, აფხაზი კი ამ ვრცლად გადაშლილი საქართველოს სახელმწიფოს მცხოვრებს, ე.ი. ქართველს. საქართველოს სახელმწიფოს გაერთიანების შემდგომ გაერთიანდა ქართული ეკლესიაც. XI საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა საქართველოს საპატრიარქო, რომელშიც არსებობდა ორი "საეკლესიო სამთავრო" - ქართლისა და აფხაზეთის საკათალიკოსოები. ქართლის კათოლიკოსს მიენიჭა საქართველოს პატრიარქის ტიტული. აფხაზეთის საკათალიკოსო საქართველოს საპატრიარქოში არსებობდა ბერძნულ საპატრიარქოებში არსებული მიტროპოლიების მსგავსად. აფხაზეთის კათოლიკოსს უშუალოდ ექვემდებარებოდნენ დასავლეთ საქართველოს ეპისკოპოსები. თავის მხრივ ის ექვემდებარებოდა საქართველოს პატრიარქს. ერთს "უხუცესი", ხოლო მეორეს "უმრწემესი" მამამთავარი ეწოდებოდა. ასე იყო ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს დაშლამდე. XV საუკუნეში ქართულ საეკლესიო ცენტრალიზებულ ერთობას ბზარი შეეპარა, რამაც ასახვა ჰპოვა დოკუმენტებში - "შცნება სასჯულო". XV საუკუნის 70-იან წლებში იერუსალიმელ-ანტიოქიელი პატრიარქის მიერ აფხაზეთის საკათალიკოსოს მიენიჭა "ავტოკეფალია". ამ შემთხვევაში, "ავტოკეფალია" გულისხმობს ადმინისტრაციულ დამოუკიდებლობას ქართლის (მცხეთის) საპატრიარქოდან. ე.ი. თუ აქამდე აფხაზეთის კათოლიკოსი ეკურთხებოდა მცხეთელი პატრიარქის ნებით, ახლა უკვე დასავლეთ საქართველოს ეპისკოპოსებს შეეძლოთ თვითვე, დამოუკიდებლად ეკურთხებინათ თავიანთი კათოლიკოსი. ეს არ ნიშნავს იმას, რომ დასავლეთ საქართველოს ეკლესიამ დაკარგა ქართული სახე. ყველა კათოლიკოსი აფხაზეთისა ქართველი იყო. მოღწეულია ზოგიერთის გვარები: - მალაქია აბაშიძე (1529-1532), ევდემონ ჩხეტიძე (1557-1578), ექვთიმე I საყვარელიძე (1578-1605), მალაქია გურიელი (1616-1639), მაქსიმე მაჭუტაძე (1639-1657), ზაქარია ქვარიანი (1657-1660), სვიმონ ჩხეტიძე (1661-1666), ევდემონ II საყვარელიძე (1666-1669), ექვთიმე II საყვარელიძე (1669-1673), დავით ნემსაძე (1673-1696), გრიგოლ ლორთქიფანიძე (1696-1742), გერმანე წულუკიძე, ბესარიონ ერისთავი (1755-1769), იოსებ ბაგრატიონი, მაქსიმე აბაშიძე (1776-1795) - და სხვ. არა თუ საზოგადოდ აფხაზეთის საკათალიკოსოში, რომელიც მთელ დასავლეთ საქართველოს მოიცავდა, არამედ თვით აფხაზეთშიც საეკლესიო ენა მარადჟამს მხოლოდ და მხოლოდ ქართული იყო. იქ იყო ცენტრი დასავლურ ქართული ეკლესიისა - ბიჭვინთაში, სადაც იჯდა კათოლიკოსი. ლიხნის ტაძრის, მოქვის სახარების, ბედიის ბარძიმის ქართულენოვანი წარწერები და სხვა მასალები ნათლად ადასტურებენ ამას. მაგალითად, მოქვის სახარებაზე სხვა წარწერებთან ერთად იკითხება "მოქვისა ღვთისმშობელო,

შეიწყალე სული მოქველ მთავარეპისკოპოს აბრაამისა", ანდა "დიდება ღმერთსა სრულ მყოფელსა ყოვლისა კეთილისასა. დაიწერა წმიდა ესე ოთხთავი დასაბამითგან 1300 წელსა. ჩვენი სახარებანი პირველითგან წმიდად თარგმნილია და კეთილად - ხანმეტნიცა და საბაწმიდურიცა" (თ. ჟორდანია, ქრონიკები II გვ.173). აქედან ჩანს, რომ აფხაზეთში, მოქველი ღვთისმსახურნი "ჩვენ სახარებას" უწოდებენ ძველქართულ ხანმეტ და სხვა რედაქციების სახარებებს, ე.ი. VI- VIII სს. ქართულენოვან ძეგლებს. მნიშვნელოვანი ფაქტია: აფხაზეთის კათოლიკოსმა ექვთიმემ 1600 წლისათვის ბიჭვინთის ტაძარს სხვა წიგნებთან ერთად შესწირა "ქართლის ცხოვრება" (ქართული სამართლის ძეგლები. III .გვ. 387). შეწირულ საეკლესიო წიგნთა შორის "ქართლის ცხოვრების" დასახელება ნიშანდობლივია. ბიჭვინთელ კათოლიკოსებს თავიანთი მრევლი, ე.ი. მთელი დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა ეროვნებით ქართველად მიაჩნიათ. მაგალითად, კათოლიკოსი გრიგოლ ლორთქიფანიძე წერდა, რომ ქართველთა შემწე დედა ღვთისამ ანდრია პირველწოდებული ქართველი მრევლის საჭიროებისათვის გამოგზავნა აფხაზეთშიო. - "ვითარცა იგი პეტრე მოციქულსა მიეცა ჭურიათა მოქცევა, ეგრეთვე პირველწოდებულსა ანდრეას მოეცა ჩრდილოეთისა ქუეყანა მოქცევად ჩვენებითა წმიდისა ღვთისმშობელისათა, რამეთუ ჩვენ ქართველნი მისნი წილხდომილნი ვართ, ამად კათალიკოზთა ბიჭვინთისა ღვთისმშობელისათა მსახურება საყდრისა დიდად ეღვაწათ" (იქვ. გვ. 727) ე.ი. ჩვენ, ბიჭვინთელი კათოლიკოსები ბიჭვინთის ეკლესიას ვწირავთ დიდ შესაწირს, იმიტომ, რომ ეს ტაძარი ღვთისმშობლისაა (ღვთისმშობლის



სოხუმის ხარების სახელობის საკათედრო ტაძარი

სახელობისაა) და ღვთისმშობელი კი ჩვენი, ქართველების მეპატრონეა, ჩვენ ქართველნი მისი წილხვედრნი ვართო.

მოღწეულია უამრავი საეკლესიო დოკუმენტი, იმ შენაწირთა ჩამონათვალნი, რომელთაც ღვთისმსახურნი, - ქართული მრეული სწირავდა ბიჭვინთის საკათალიკოსო ტაძარს თითქმის ათასი წლის მანძილზე, VIII საუკუნიდან, ვიდრე XVIII საუკუნემდე. მაგალითად, ბიჭვინთის ტაძარს დაახლოებით 1600 წელს ეკდემონ კათალიკოსმა შესწირა "ერთი ოქროს ხატი, ერთი ოქროს ჯვარი მოთვალმარგალიტული, ერთი ბარძიმი ოქროისა მოთვალული, ერთი ოთხთავი ოქროთი მოჭედილი".

აფხაზეთის კათალიკოსმა ექვთიმე საყვარელიძემ ბიჭვინთის ტაძარს ასევე შესწირა "გვირგვინი ოქროისა, მოთვალმარგალიტული, ომოფორი მძიმედ მოთვალმარგალიტული, ბისონი სტავრისა, - ოქროს ღილებიანი, ქამარი ოქროისა, ენქერი სირმისა, - მძიმედ მოთვალმარგალიტული, ოქროს ხატი, ერთი ფეშხუმი ოქროისა, ერთი ვერცხლისა, ერთი ქამარი ოქროისა მოთვალული, ერთი ოქროს კონდაკი, ერთი ოქროს დოსტაქანი" (ქართული სამართლის ძეგლები ტ. III გვ. 286), ჩამონათვალნი ძვირფასი შეწირულობისა ძალზე დიდია. მათი აქ მოტანა შეუძლებელია. მაგ. XVII საუკუნის 20-იან წლებში მალაქია გურიელმა ბიჭვინთის ეკლესიას შესწირა "ერთი მურასა ყელსაკიდი ხატი, ერთი ნალბაქი ოქროისა 400-ის ფლურისა, ერთი კარგი ვერცხლის ჯვარ-სანთელი. ერთი მომარგალიტებული მაზარა, ენქერი მძიმედ მოთვალმარგალიტებული, ერთი ოქროს ომოფორი ერთის დიდი ლალითა, 46 ყირმიზი იაგუნდი და სხვა მრავალი თვალითა და მარგალიტითა". (იქვე გვ. 498) და ასე შემდგომ საუკუნეთა მანძილზე. აფხაზეთის ეკლესიები, ისევე როგორც სვანეთისა, განთქმული იყო სიმდიდრით, ოქრო-ვერცხლის საეკლესიო ნივთებით, ფასდაუდებელი ხატებით, სამღვდელო შესამოსელით, რომელიც შემკული იყო ძვირფასი თვალ-მარგალიტით. ამ სიმდიდრეს აფხაზეთის ქართველი სამღვდელოება 1000 წლის მანძილზე პატრონობდა.

ბიჭვინთის ტაძრისა და საერთოდ, აფხაზეთის ეკლესია-მონასტრების სიმდიდრეთა შესახებ ცნობები ვრცელდებოდა მთელ ჩრდილო კავკასიაში და ჩრდილო კავკასიელი, უკვე გამაჰმადიანებული მთიელი ტომები ნატრობდნენ, მის ხელში ჩაგდებას. საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს დაშლა-დანაწევრების შემდგომ აფხაზეთის საეპისკოპოსო ცენტრები და ბიჭვინთაც კი, დაუცველი დარჩა. წარმართი მთიელებისათვის აფხაზეთის საეპისკოპოსო ტაძრები, რომელსაც ქართული სახელმწიფო ვეღარ იცავდა, ნამდვილ უპატრონო საგანძურს წარმოადგენდა.

მართლაც, ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლის შემდეგ, XV-XVI საუკუნეებში შემოტევა იწყეს ჩრდილო კავკასიურმა ტომებმა. ამ ეპოქაში ჩრდილო კავკასიაში აფხაზეთის ახლოს ცხოვრობდნენ ადიღე-ჩერქეზული ტომები. ამ ადიღე-ჩერქეზულ ოჯახს განეკუთნებოდნენ აბაზები და ტომი, რომელსაც ქართველები - აფსარებს, ხოლო თვით ისინი თავიანთ თავს აფსუებს უწოდებდნენ. ადიღეურ ტომებს, აფხაზეთში შემოჭრის შემდგომ, 1533 წლის იანვარში შეებრძოლნენ ქართველთა ჯარები მამია გურიელის, მამია დადიანისა და ეპისკოპოსების მეთაურობით. სამწუხაროდ, 31 იანვარს გაგრასთან ომში ქართველები დამარცხდნენ. გაგრის მარცხის შემდეგ მტერს გზა გაეხსნა ბიჭვინთისაკენ. ამ შემოსევის გამო საკათალიკოსო ტახტი გელათში იქნა გადატანილი, ხოლო საეკლესიო განძი, ნაგროვები 1000 წლის მანძილზე, იქ შემოსულ მთიელ წარმართებს დარჩათ. ადიღე-აფსარებმა მთლიანად გაძარცვეს ბიჭვინთისა და სხვა საეპისკოპოსო ცენტრები აფხაზეთისა. მათ ბიჭვინთის ტაძარში მხოლოდ მათთვის უსარგებლო ქართული წიგნები დატოვეს. როგორც ამის შესახებ XIX საუკუნეში მოგზაური ფრანსუა გამბა წერდა. მას უნახავს ბიჭვინთის გაპარტახებული და მიტოვებული ტაძარი, მასში დატოვებული უპატრონო წიგნებით. გამბა ამ გაპარტახებას მიაწერს ჩერქეზთა თავდასხმებს (გამბა. მოგზაურობა ამიერკავკასიაში, 1987. გვ. 79-80).

ჩრდილო კავკასიელთა შემოტევები განსაკუთრებით გაძლიერდა XVII საუკუნეში. ამ დროისათვის აფხაზეთის სამთავრო, სადაც ჩანს, თავმოყრილი იყო ჩრდილო კავკასიიდან ჩამოსახლებული ადიღე-ჩერქეზ-აბაზა-აფსარების (აფსუების) დიდი რაოდენობა, უკვე გამოყოფილი იყო ოდიშის სამთავროდან. ამ ტომებს აფხაზეთის მკვიდრნი, ეთნიკურად ქართველი (აფხაზი) თავად-აზნაურობა (შარვაშიძეები, ანჩაბაძეები და სხვები) იყენებდნენ თავიანთი საჭიროებისათვის სამეგრელოს სამთავროსთან ომში. მათზე დაყრდნობით, XVII საუკუნის 40-იან წლებში, პატარა აფხაზეთის სამთავრომ შეუტია მასზე გაცილებით უფრო დიდ სამეგრელოს სამთავროს და სასტიკად დაამარცხა. 1640-იანი წლებიდან, სულ რაღაც 30 წლის განმავლობაში, სამეგრელოს მოსახლეობა განახევრდა. აფხაზთა სამთავრომ დამარცხებულ სამეგრელოს სამთავროს ჩამოაჭრა აყვავებული მიწა-წყალი და საზღვარი მათ შორის ახალი ათონიდან მდინარე ენგურამდე გადაიტანა. საშინელი გრიგალისებური

შემოტევა განხორციელდა ლევან II დადიანის მთავრობის დროს. სამეგრელოს მთავრებმა და ეპისკოპოსებმა გადაწყვიტეს სასწრაფოდ აეშენებინათ თავდაცვითი ზღუდე. კელასურთან აგებულ იქნა დიდი თავდაცვითი ნაგებობა, ე. წ. აფხაზეთის კედელი. არქანჯელო ლამბერტი გვაწვდის ცნობას, რომ სამეგრელოს მფლობელებმა "ძალზე დიდი დანახარჯებით ააგეს კედელი სამოცი ათასი ნაბიჯის სიგრძისა". მეორე იტალიელი მისიონერის, კასტელის რუკაზე ამ კედელს აქვს წარწერა: "კედელი სამოცი ათასი ნაბიჯია. განსაზღვრულია აფხაზთა შესაკავებლად".

XVIII ს-ში ომის დროს აფხაზთა ხელისუფლებმა მოიწვიეს მრავალი ჩრდილოკავკასიური ტომი... ჩერქეზთა გარდა ყირიმელები, ალანები და სხვები, აი, რას წერს ყოველივე ამის შესახებ პოეტი ბესიკი:

"ყირიმელთ, ჯიქელთ, ალანელთ,
ვერმუგელთ ამცნეს ცნობითა,
ყივჩაღთა შემოიწვევდნენ,
ინდობდნენ სჯულის ძმობითა,
აფხაზნი შეეფიცოდნენ
ქრთამით და აგრეგ ძღვნობითა,
მეგრელთა სისხლი სწყურიოდათ,
თუმცა შეესვათ გობითა".

XVII საუკუნის 40-50-იან წლებში აგებული ეს ე. წ. აფხაზეთის კედელი, სიგრძით იყო ასზე მეტი კილომეტრისა. გადაჭიმული იყო სოხუმიდან (კელასურიდან) მდ. ენგურამდე და იცავდა აფხაზთა და ჩრდილოკავკასიელთა თავდასხმებისაგან თანამედროვე სოხუმის, გულრიფშის, ოჩამჩირის, გალისა და ნაწილობრივ ზუგდიდის რაიონების ზღვისპირა უხვმოსავლიან სამიწათმოქმედო მხარეებს, რომელსაც მაშინ ოდიში ეწოდებოდა.

ამ დროს გაუქმებული იქნენ მოქვის, ბედიისა და დრანდის საეპისკოპოსოები. ნ. ბერძენიშვილს გამოკვლეული აქვს, რომ მოქვის საეპისკოპოსო მდებარეობდა სამეგრელოში, რადგანაც ევროპელი მოგზაურის გრანჟიეს ცნობით, მოქვის რაიონში მისონერული მოღვაწეობისათვის საჭირო იყო მეგრული და ქართული ენების ცოდნა. ნ. ბერძენიშვილი წერდა: "ცხადია, რომ დრანდა, ისევე, როგორც ბედია, სამეგრელოშია. დრანდის რაიონი, ისევე როგორც ბედიისა, ქართველებით ყოფილა დასახლებული". (იხ. ნ. ბერძენიშვილის დას. ნაშრ. გვ. 618) დრანდის ბოლო ეპისკოპოსი გაბრიელი XVII ს-ში ჩრდილო კავკასიელთა შემოტევების გამო იძულებული გამხდარა მიეტოვებინა დრანდა და იერუსალიმში წასულა. იგივე ბედი ეწია ბიჭვინთის კათედრასაც. აფხაზეთის კათალიკოსი შემოსევების გამო იძულებული გახდა 1545-1569 წლებს შორის მიეტოვებინა ბიჭვინთა და კათედრა გადმოეტანა გელათში.

ადიღე-ჩერქეზულ ტომებს-აბაზებსა და აფსარებს აფხაზეთში დამკვიდრების შემდგომ, როგორც აღინიშნა, ეწოდათ "აფხაზები".

მიუხედავად იმისა, რომ XVI-XVII საუკუნეებში, ვიდრე XIX საუკუნის სამოციან წლებამდე, რუსეთის მფლობელობის დამყარებამდე, აფხაზეთში ზემოთ აღნიშნული "აფხაზები" თითქმის განუწყვეტლივ ლაშქრობდნენ მეზობელ სამეგრელოსა და გურიაში, როგორც სახმელეთო, ისე საზღვაო გზებით. ეკლესიას ამ დროსაც კი თავისი მრევლი ჰყავდა აფხაზეთში. ახალი აფხაზების ერთი ნაწილი აღიარებდა ქრისტიანობას. მათ შორის იყვნენ აფხაზთა მთავრები და თავადები. მათ ქართული ეკლესიისადმი ჰქონდათ გარკვეული მოწიწება (საქართველოს ეკლესიის კალენდარი, ქართული ეკლესია XVIII საუკუნეში. ეპ. ა.ჯ..1994 წელი) აფხაზეთის ეპარქია მაშინაც ქართული ეკლესიის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილი იყო.

აფხაზეთის საკათალიკოსომ შეინარჩუნა ძველი სიდიადე და ის ღირსეულად არსებობდა რუსეთის ცარიზმის მიერ დასავლეთ საქართველოს ანექსიამდე, იმის შემდეგაც კი, რაც ქართლ-კახეთის სამეფოს მომცველი ზემო იმერეთის ეკლესიის ავტოკეფალია უკანონოდ გააუქმეს 1811 წელს. ქვემო იმერეთის საკათალიკოსო არსებობას განაგრძობდა 1820 წლამდე, იმერეთის ცნობილ საეკლესიო აჯანყებამდე. მართალია, ამ დროისათვის აფხაზეთის საკათალიკოსო ტახტი თავისუფალი იყო, მაგრამ მის მოსაყდრეებს ფაქტიურად წარმოადგენდნენ ექვთიმე გენათელი და დოსითეოს ქუთათელი მიტროპოლიტები. მათ მიერ გაცემული ბოლო საეკლესიო საბუთები 1818 წლით თარიღდება. ორივე ეს მიტროპოლიტი რუსის ხელისუფლებმა დააპატიმრეს და ცემითა და სასტიკი ტანჯვით ამოხადეს სული. ამით, ფაქტიურად, დამთავრდა ქვემო იმერეთის, ანუ აფხაზეთის საკათალიკოსოს ათასწლოვანი ისტორია, როგორც ზემო, ასევე ქვემო იმერეთის ეკლესიები რუსეთის ეკლესიამ მიიერთა. მაგრამ ამის შემდეგაც, საბედნიეროდ, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში წირვა-ლოცვა, თუმცა ბევრად უფრო შემცირებულად, მაგრამ მაინც ქართულ ენაზე მიმდინარეობდა და სლავურმა ენამ ოდნავაც ვერ დაჩრდილა სრულიად საქართველოში ძველი ქართული საეკლესიო ენა. ყოველ კუთხეში ქართველ მრევლს უმეტესად კვლავ ქართველი სამღვდელოება ემსახურებოდა.

(გაგრძელება იქნება)

# უფალო, ძალი

## წიგნიდან "გიორგი მერჩულე"

ძე-8 საუკუნის მეორე ნახევრიდან დაწყებული, მე-8-10 საუკუნეთა მანძილზე, დასავლეთ საქართველოს, როგორც ცნობილია, ეწოდება აფხაზეთი. ასე ეწოდება დასავლეთ საქართველოს, კერძოდ, გიორგი მერჩულეს ძეგლშიაც.

აქ საჭირო აღვნიშნოთ ამასთან, რომ ეს სახელწოდება "აფხაზეთი" შერჩა ამ მხარეს უფრო გვიან ხანშიაც, მას შემდეგაც, რაც საქართველოს სამეფო-სამთავროები მე-10 - მე-11 საუკუნეთა საზღვარზე გაერთიანდნენ ერთი მთლიანი სახელმწიფოს სახით. ამ გაერთიანებული სამეფოს ოფიციალურ სახელწოდებაში, როგორც ცნობილია, პირველად მოიხსენიებოდა აფხაზეთი, რა სახელითაც იგულისხმებოდა მთელი დასავლეთი საქართველო.

მე-12 - მე-13 საუკუნეებში, როდესაც საქართველოს ფარგლებში გაერთიანდა მთელი კავკასია (და აგრეთვე, შემოერთებულ იქნა კავკასიის მოსაზღვრე სანაპიროები ანატოლიისა და ირანისა), სრული ტიტულატურა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურთა, როგორც ცნობილია, შემდეგი იყო:

"მეფე აფხაზთა და ქართველთა (-ქართლელთა), რანთა და კახთა, სომეხთა, შარვანშა (-შარვან შაჰი) და შაჰანშა (შაჰან-შაჰი), და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა ფლობით მპყრობელი".

როდესაც ეს ტიტულატურა შემოკლებით იხმარებოდა, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს ეწოდებოდა "მეფე აფხაზთა". ასე მაგალითად, როგორც ქართულ, ისე უცხოურ წყაროებშიაც დავით აღმაშენებელს და თამარ მეფეს ხშირად მიემართება ეს ტიტული - "მეფე აფხაზთა", ხოლო მე-12 - მე-13 საუკუნეთა საქართველოს, რომელიც მთელს კავკასიას მოიცავდა, ეწოდება "აფხაზეთი", "ქუეყანა აფხაზეთისა".

ამრიგად, სახელწოდება "აფხაზეთი" გახდა სინონიმი ჯერ დასავლეთ საქართველოსი, ხოლო საქართველოს გაერთიანების შემდეგ იგი იხმარებოდა, როგორც სინონიმი მთლიანად საქართველოს სახელმწიფოსი.

რა წარმოშობისაა ეს სახელწოდება "აფხაზეთი" ასეთი გაფართოებული მნიშვნელობით? ვინ იყვნენ თვით აფხაზნი, რომელთაც თავისი სახელწოდება გადასცეს ჯერ დასავლეთ საქართველოს, ხოლო შემდეგ მთელ საქართველოს სახელმწიფოს?

სახელწოდება "აფხაზეთი" გაფართოებული მნიშვნელობით, როგორც ზოგადი სახელწოდება დასავლეთ საქართველოსი, პირველად შემოდის ხმარებაში, როგორც მოვიხსენეთ, მე-8 საუკუნის მეორე ნახევრიდან, რა დროსაც შეიქმნა დასავლეთ საქართველოს ფეოდალური სახელმწიფო - "აფხაზეთის სამეფო", ანუ აფხაზთა სამეფო.

### X

საისტორიო მასალების პრეციზული ანალიზის შედეგად, როგორც ეს ქვემოთ ნათელი გახდება მკითხველისათვის, ირკვევა შემდეგი:

1. აფხაზეთის ტერიტორია იმ ეპოქაში, როდესაც დაარსდა "აფხაზთა სამეფო" ე. ი. მე-8 საუკუნეში, დასახლებული იყო ქართველი ტომებით. და ეს არა მარტო ამ დროს, მე-8 საუკუნეში, არამედ მთელი ძველი ისტორიის მანძილზე, ანტიკურ ხანაში და საშუალო საუკუნეებში. აფხაზები და აფხაზეთში მოსახლე სხვა ტომები (აბსილები, მესიმიანები, სანიხები) - ეს ისეთივე წმინდა ქართველი ტომები იყვნენ, ქართული წარმოშობისა, ქართულს დიალექტზე მოლაპარაკე, როგორც დასავლეთ საქართველოს დანარჩენი ქართველი ტომები - ქართები, მეგრელები და სვანები.

2. გარდა იმისა, რომ აფხაზები ქართველები იყვნენ წარმოშობითა და ენით, თვით ისტორიული ვითარება აფხაზეთის სამეფოს დაარსებისა არაა სწორად გაშუქებული ქართულ ისტორიოგრაფიაში. სინამდვილეში არავითარი დაპყრობა

# ერსა ჩუენსა მოეც

პავლე ინგოროყვა

დასავლეთ საქართველოსი აფხაზების (ე. ი. აფხაზეთში მოსახლე ქართველი ტომის) მიერ არ მომხდარა, არამედ მოხდა აფხაზეთის ერისთავის მოთავეობით გათავისუფლება, როგორც აფხაზეთისა, ისე დასავლეთ საქართველოს დანარჩენი ტერიტორიებისა ბიზანტიის იმპერიისაგან.

3. ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებით, აქ საჭიროა ხაზი გავუსვათ, აგრეთვე, იმ გარემოებასაც, რომ სწორედ მას შემდეგ, რაც დასავლეთი საქართველო, აფხაზეთთან ერთად, აფხაზეთის დინასტიის მოთავეობით, გათავისუფლდა ბიზანტიის ბატონობისაგან და შეიქმნა დასავლეთ საქართველოს - "აფხაზეთის სამეფო", სწორედ ამ დროიდან იწყება მკვეთრი, წმინდა ქართული სახელმწიფოებრივი პოლიტიკის გატარება დასავლეთ საქართველოში. ბერძნული ენა, რომელიც ბიზანტიის ხანგრძლივი ბატონობის შედეგად გაბატონებული იყო დასავლეთ საქართველოში, როგორც მთავარი სახელმწიფო ენა, განდევნილ იქნა სწორედ აფხაზთა დინასტიის მიერ და ბერძნულის ადგილი მთლიანად ქართულმა დაიჭირა. ბერძნული ენა განდევნილ იქნა ეკლესიიდანაც და მის მაგიერ ქართული იქნა შემოღებული. დასავლეთ საქართველოს ეკლესია, რომელიც მანამდე იერარქიულად დაკავშირებული იყო კონსტანტინოპოლის პატრიარქატთან, ჩამოშორდა კონსტანტინოპოლს და დაუკავშირდა ქართლის (იბერიის) საკათალიკოზოს.

ამრიგად, ხანა "აფხაზთა სამეფოსი" - ეს არის ეპოქა ქართული სახელმწიფოებრივი პოლიტიკის სრული და საბოლოო გამარჯვებისა დასავლეთ საქართველოში.

რასაკვირველია, კოველივე ეს უცნაური და გაუგებარი იქნებოდა, თუ ჩვენ დავუშვებდით, რომ დასავლეთ საქართველოს "აფხაზთა სამეფო" ვითომც შეიქმნა დასავლეთ საქართველოს დაპყრობის შედეგად უცხო, არაქართველი ტომის მიერ. მაგრამ, არაფერი ამის მსგავსი სინამდვილეში არ მომხდარა; **დასავლეთ საქართველოს ქართული სახელმწიფო შექმნილია ქართველი ტომების მიერ და ერთ-ერთი ამ ტომთა შორის არის ქართველი ტომი -აფხაზები.**

აფხაზეთის მხარეები ძირეული ქართული ქვეყანაა, რომელიც ძველი დროიდანვე ქართველებით იყო დასახლებული. აფხაზეთის მხარეების მოსახლეობა ქართული იყო, როგორც ანტიკურ ხანაში, ისე საშუალო საუკუნეებში და, კერძოდ, საშუალო საუკუნეთა იმ მონაკვეთზე, მე-8 საუკუნეში, როდესაც დაარსდა დასავლეთ საქართველოს "აფხაზთა სამეფო".

ხანა აფხაზთა სამეფოსი - ეს არის ეპოქა ქართული სახელმწიფოებრივი პოლიტიკის სრული და საბოლოო გამარჯვებისა დასავლეთ საქართველოში.

## X

გიორგი მერჩულეს თხზულებაში, რომელიც დაწერილია ეპოქაში, როდესაც საქართველო ჯერ კიდევ დანაწილებულია სამეფო სამთავროებად, წარმოდგენილია ფორმულა, საქართველოს კულტურული მთლიანობისა და ეს არაა მარტო საეკლესიო ერთობის საფუძველზე, არამედ, ენის ერთობის საფუძველზე; ამ დროს ქართული ენა გახდა კულტურის საერთო ენა საქართველოს ტერიტორიაზე, საერთო ენა მწერლობისა, ეკლესიისა, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგისა.

გიორგი მერჩულეს ძეგლში ეს კლასიკური -

თავისი ეპოქისათვის ფორმულა საქართველოს მთლიანობისა ასეა წარმოდგენილი.

**"ქართლად ფრიადი ქუეყანა აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების".**

აქ საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ამ ფორმულაში, ნიშანდობლივ ხაზგასმულია, რომ "აფხაზეთის" სამეფო არის იგივე "ქართლი".

როგორც ცნობილია, ადრეულ საშუალო საუკუნეებში ქართლის სახელწოდებით აღინიშნებოდა იბერია (ე.ი.აღმოსავლეთ საქართველო, საკუთრივ ქართლი კახეთითა და მესხეთით).

ხოლო ამ ფორმულით გიორგი მერჩულე სახელწოდებას "ქართლი" სულ სხვა შინაარსსა და სხვა მნიშვნელობას ანიჭებს. გიორგი მერჩულე აქ გვეუბნება, რომ ქართლი ეს არის არა მარტო ეთნოგრაფიული ქართლი - იბერია, არამედ "ფრიადი ქვეყანა" (დიდი ქვეყანა), მთელი საქართველო, სადაც კი ქართული ენაა მიღებული, სადაც კი ქართულითა ენითა "ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ აღესრულების".

რომ ქართლის სახელწოდებით აქ იგულისხმება ძველ იბერიასთან ერთად "აფხაზეთის" სამეფო, ეს სრულიად უდავოდ დასტურდება კერძოდ, ბოლო განმარტებიდან, "რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების". უფრო მეტიც. "აფხაზეთის" სამეფოს ეკლესიაში არათუ განდევნილი იყო ბერძნული ენა და ქართული იყო გაბატონებული, არამედ თვით აფხაზეთის სამეფო ამ დროს გამხდარა ერთ-ერთი ცენტრი ქართული საეკლესიო მწერლობისა. უფრო ადრე, ვიდრე დაიწერებოდა გიორგი მერჩულეს თხზულება, "აფხაზეთის მეფის, გიორგი II-ის (922-957 წწ.) დროს, აფხაზეთში მოღვაწეობს განთქმული ქართველი მწერალი, პოეტი - ჰიმნოგრაფი ივანე მინჩხი, რომლის საგალობელნი, საეკლესიო ჰიმნები ქართულს ენაზეა დაწერილი აფხაზეთში და აქედან პოულობენ გავრცელებას საქართველოში. ივანე მინჩხის ეს მოღვაწეობა მიმდინარეობს აფხაზეთის მეფის გიორგი II-ის პირადი მფარველობით. ივანე მინჩხის ერთ-ერთ ჰიმნს (გალობას) დართული აქვს ასეთი წარწერა: "ესე გალობანი მას კარგსა გიორგი მეფესა, დიდსა, დიდითა ვედრებითა აღუწერვებიან მინჩხისადა".

აღსანიშნავია, რომ ქართულ საეკლესიო მწერლობას აფხაზეთში მკვიდრი ნიადაგი ჰქონდა ამაზე ადრინდელ ხანაშიაც, მე-9 საუკუნეში. ასე, აფხაზეთიდან არის ის გამოჩენილი ქართველი მწერალი (პოეტი) მე-9 საუკუნის დასაწყისისა, რომელსაც ეკუთვნის ჰიმნოგრაფიული პოემა, "მარტვილობა მიქაელ საბაწმიდელისა" (ნაწარმოები, რომელიც "აბუკურას" სახელით იყო ცნობილი და რომელიც უფრო გვიან "სიბრძნე ბალავარისას" წიგნთან ერთად, ქართულიდან თარგმნა განთქმულმა ქართველმა მწერალმა ეფთიმე მთაწმიდელმა).

ამავე ხანაში არის დაწერილი აფხაზეთში (დასავლეთ არგვეთში, ანუ აფხაზეთის არგვეთში) ქართული საეკლესიო (ჰიმნოგრაფიული) მწერლობის ძეგლი, პირველდედანი დავითის და კონსტანტინეს მარტვილობისა, რომელიც შემდეგ საფუძვლად დაედვა მარტვილობის მეტაფრასტულ ვერსიას.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ ქართულ ენაზე იწერება ამ ეპოქაში, როგორც საეკლესიო მწერლობის ძეგლები, ისე საისტორიო მწერლობის ძეგლები. ასე, ამ ხანაში აფხაზეთში სდგება მატიანეები, - ცხოვრება აფხაზთა (resp: ცხორება აფხაზთა მეფეთა). გამონაკრები აფხაზეთის ამ მატიანეებისა შეტანილია მეორე ძველ-ქართულ საისტორიო თხზულებაში "მატიანე ქართლისაჲ", რომელიც შეიცავს საისტორიო მოთხობას, როგორც ქართლის (იბერიის), ისე აფხაზეთის მხარეთა შესახებ, მე-8 საუკუნის მეორე ნახევრიდან მოკიდებული, ვიდრე ბაგრატ III-ის, საქართველოს გამაერთიანებლის ეპოქამდე. ("მატიანე ქართლისაჲში" დაცულია პირდაპირი მითითება აფხაზეთის მატიანეებზე მეათე საუკუნის პირველი ნახევრისათვის).

## X

როდის მოხდა დასავლეთ საქართველოს ეკლესიის რეფორმაცია, მისი გამოყოფა კონსტანტინოპოლის პატრიარქატიდან და ქართლის (იბერიის) საკათალიკოზოსთან დაკავშირება...

ეს მომხდარა მე-9 საუკუნის პირველ ნახევარში, ე.ი. უახლოეს პერიოდში მას შემდეგ, რაც გამოცხადებულ იქნა დასავლეთ საქართველოს "აფხაზეთის სამეფოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა.

ამ ორ აქტს შორის, პოლიტიკური დამოუკიდებლობის გამოცხადებასა და საეკლესიო რეფორმაციას შორის - ორგანული კავშირია. საეკლესიო რეფორმაცია - ეს იყო მეორე აქტი... შემდგომი საფეხური დასავლეთ საქართველოს კულტურული ემანსიპაციისა.

რომ დასავლეთ საქართველოს ეკლესიის გამოყოფა კონსტანტინოპოლის პატრიარქატიდან და საქართველოს (მცხეთის) საკათალიკოზოსთან დაკავშირება მე-9 საუკუნის პირველ ნახევარში მომხდარა. ამას ადასტურებს გიორგი მერჩულეს ძეგლი და მასთან ერთად, მთელი რიგი ქართული და უცხოური წყაროების ჩვენებანი.

1. თავდაპირველად შევჩერდებით ცნობებზე, რომელსაც გადმოგვცემს მე-11 საუკუნის ქართველი მწერალი, გიორგი მცირე მთაწმიდელი - საეკლესიო კრების შესახებ, რომელიც გაიმართა 1057 წელს ანტიოქიაში და სადაც მსჯელობის

საგანი იყო საქართველოს საეკლესიო დამოუკიდებლობის (ავტოკეფალობის) საკითხი.

როგორც ცნობილია, საბერძნეთის ეკლესიას, რომელიც მსოფლიო მართლმადიდებლური ეკლესიის მოთავეობას იჩემებდა, არა ერთგზის გამოულაშქრნია საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ; საბერძნეთის ეკლესიის მეთაურნი არა ერთგზის სცდილან, რათა საქართველოს ეკლესია ქართლის (მცხეთის საკათალიკოზო, შესულიყო, როგორც შემადგენელი ნაწილი, საბერძნეთის ეკლესიის ერთ-ერთ საპატრიარქოში და ამით დამყარებულიყო ერთობა საბერძნეთისა და საქართველოს ეკლესიათა.

კერძოდ, ანტიოქიის 1057 წლის კრებაზე, რომელიც გაიმართა ანტიოქიის პატრიარქის, თევდოსის თავმჯდომარეობით, მსჯელობის საგანი ყოფილა - "რომელ ეკლესიანი და მღუდელმოძღუარნი ქართლისანი (საქართველოჲსანი) არა რომლის პატრიარქისა ხელმწიფებასა ქუეშე არიან, და ყოველნი საეკლესიონი წესნი მათ მიერ განეგებიან, და თვით დაისმენ კათალიკოზთა და ეპისკოპოსთა"; საბერძნეთის ეკლესიის მესვეურნი აღნიშნავდნენ, რომ "არა მართალ არს ესე (დამოუკიდებლობა ქართველთა ეკლესიისა), რამეთუ ათორმეტთა მოციქულთაგანი არავინ მისრულ არს ქუეყანასა მათსა. და ჯერ არს, რათა ქალაქსა ამას ღმრთისასა (ანტიოქიას) და საყდარსა მოციქულთა თავისასა (პეტრე მოციქულისასა) დაემორჩილნენ... და აქა იკურთხეოდის კათალიკოზი მათი, და ვიყვნეთ ჩუენ ერთ სამწყსო და ერთ მწყემს". (გიორგი მცირე მთაწმიდელი, ცხორება გიორგი მთაწმიდელისა, ათონის კრებული, 1901 წ.).

ანტიოქიის ამ საეკლესიო კრებას ესწრებოდა გამოჩენილი ქართველი მოღვაწე და მეცნიერი გიორგი დიდი მთაწმიდელი. ანტიოქიის პატრიარქმა მიმართა გიორგი მთაწმიდელს წინადადებით, ეცნობებინა საქართველოს მეფისათვის კრების აზრი, რათა საქართველოს ეკლესიას დაემყარებინა ერთობა ანტიოქიის საპატრიარქოსთან; ხოლო, თუ ამას არ ისმენსო ქართველთა მეფე - განაცხადა ანტიოქიის პატრიარქმა - "მიუწეროთ ოთხივე პატრიარქთა (კონსტანტინოპოლისა, რომისა, ალექსანდრიისა და იერუსალიმისა), და ვაუწყოთ თვით-რჯულობა და ქედფიცხელობა თქუენისა ნათესავისა (ქართველი ხალხისა), და ვითარმედ თვინიერ სამოციქულოისა კანონისა თვით იმწყსებიან, და მოციქულთაგანი არავინ მისრულ არს ქუეყანასა მათსა, და ესრეთ მრავალსა ღუაწლსა შევთხინე (მრავალსა შრომასა შეეამთხვიო), ვიდრე არა თვთ მეფე თქუენი წინაშე ჩუენსა დაემორჩილოს".

გიორგი მთაწმიდელმა ღირსეული პასუხი გასცა ანტიოქიის პატრიარქს: "...რაისათვისმე ესრეთ ადვილად ხელ-ჰყოფ დიდისა ამის და მაღლისა მოგონებად და აღსრულებად? ვინანი არიან უგუნურნი განმზრახნი შენნი, ანუ რად ესრეთ უგუნურად შეგირაცხიეს ნათესავი ქართველთა, წრფელი და უმანკო? აჰა, ესერა, გარ მე უნარჩევესი და უმდაბლესი ყოველთა ძმათა, მე მოგცე მათ ყოველთა წილ პასუხი"...

ამ ღირსებით აღსავსე სიტყვაში, რომელიც წარმოსთქა გიორგი მთაწმიდელმა და რომლითაც მან ასე ბრწყინვალედ დაიცვა საქართველოს უფლებები, ჩვენთვის ამჟამად საინტერესოა ის ნაწილი, სადაც მოხსენებულია აფხაზეთის ქვეყანა, და სადაც აღნიშნულია ანდრია მოციქულის მისიონერული მოღვაწეობა საქართველოში (დასავლეთ საქართველოში).

გიორგი მთაწმიდელმა მიუთითა ბერძნულ წყაროებზე, სადაც მოხსენიებულია, რომ საქართველო (დასავლეთ საქართველო) და "სამწყსო მის მიერაა (ანდრია მოციქულის მიერ) განათლებული". ამასთან გიორგი მთაწმიდელმა აღნიშნა:

" ერთი წმიდათა ათორმეტთა მოციქულთაგანი, სიმონს ვიტყვი კანანელსა, ქუეყანასა ჩუენსა დამარხულ არს - აფხაზეთს (ქალაქსა), რომელსა ნიკოფსი ეწოდების".

გიორგი მთაწმიდელის ამ პასუხიდან ორი რამ ირკვევა:

ჯერ ერთი, ირკვევა, რომ აფხაზეთის ქვეყანა ამ დროს ჩამოშორებული იყო კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს და აფხაზეთის ეკლესია (ბიჭვინთის საკათალიკოზო) შედიოდა ზოგად-ქართულ ეკლესიაში, ქართლის საკათალიკოზოში. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუკი აფხაზეთის ქვეყანა ეკლესიურად კონსტანტინოპოლის ნაწილი ყოფილიყო, მაშინ, თავისთავად ცხადია, არავითარი აზრი ექნებოდა აფხაზეთის მოხსენებას ქართლის საკათალიკოზოს უფლებათა დასაცველად.

და მართლაც, როგორც ეს დასტურდება ამ ეპოქის სხვა წყაროებიდან, და პირველ რიგში, რუის-ურბნისის კრების "ძეგლისწერიდან", საქართველოს ეკლესია ამ ეპოქაში წარმოადგენს ერთს განუყოფელს მთლიანს, რომლის ფარგლებშიც შედის, როგორც აღმოსავლეთი, ისე დასავლეთი საქართველო (აფხაზეთის ადგილობრივი საკათალიკოზო). ამ ზოგადქართული ეკლესიის სათავეში დგას ქართლის კათალიკოზი, რომელსაც ეწოდება "ყოვლისა საქართველოჲსა დიდი მამამთავარი" - პატრიარქი.

ირკვევა, ამასთან ისიც, რომ აფხაზეთის ქვეყანა ჩამოშორებია კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს და შეერთებია ზოგად-ქართულ ეკლესიას - ქართლის საკათალიკოზოს შორეულ წარსულში; წინააღმდეგ შემთხვევაში, გიორგი მთაწმიდელს უპასუხებდნენ, რომ აფხაზეთის ქვეყანა კანონიკურად კონსტანტინოპოლის ნაწილი იყო, იგი კონსტანტინოპოლს ეკუთვნოდა უახლოეს

ხანებში, და რომ საქართველომ იგი შეიერთაო უკანონოდ. აშკარაა, რომ აფხაზეთის დაკავშირება ზოგად-ქართულ ეკლესიასთან შორეულ წარსულში მომხდარა; იგი უკვე ხანგრძლივი ტრადიციით იყო განმტკიცებული და დაკანონებული.

## X

გიორგი მერჩულის ცხოვრებაში,... რომელშიაც დაცულია ცნობები დემეტრე II-ის შესახებ, მოიპოვება უაღრესად მნიშვნელოვანი ჩვენებანი, თუ როგორ ტარდებოდა დემეტრე II-ის უშუალო ხელმძღვანელობით, რეფორმაცია აფხაზეთის ეკლესიისა, ამასთან დაკავშირებული ღონისძიებანი მისი გაქართულებისათვის.

ასე, გიორგი მერჩულის ძეგლიდან ჩვენ ვგებულობთ, რომ დემეტრე II-ის მოღვაწეობით "აფხაზეთის სამეფოში" არსებობდა ქართული მონასტერ-სავანეები, რომლებიც ძველი დროიდანვე დამკვიდრებული ბერძნული გავლენის შესუსტებასა და ქართული მწიგნობრობის ტრადიციების განმტკიცებას ისახავდნენ მიზნად.

გიორგი მერჩულის სიტყვით, დემეტრე II იბერია-მესხეთიდან აფხაზეთის სამეფოში სამოღვაწეოდ გადმოსულ პირებს "დიდითა პატივითა" ღებულობდა, "ადგილსა კეთილსა" დაამკვიდრებდა და "საშენებლად" ქართულ სავანეთა "ფრიადსა საფასესა" გაიღებდა.

ერთ-ერთი ასეთი ქართული სავანე დაუარსებია აფხაზეთის სამეფოში გრიგოლ ხანძთელს, 826 წლის ახლო ხანებში, დემეტრე II-ის პირადი ინიციატივითა და თანამოღვაწეობით.

აქ საჭიროა ხაზი გაეუსვათ იმ გარემოებას, რომ ქართული სავანეების მოწყობის დროს ყურადღების ცენტრში პირველ რიგში და საგანგებოდ ქართული მწიგნობრობის საქმე ყოფილა. ასე, მაგალითად, გიორგი მერჩულე, მოგვითხრობს რა, აფხაზეთში დაარსებული ქართული სავანის შესახებ, საჭიროდ თვლის საგანგებოდ აღნიშნოს, რომ ქართული სავანის ახლად დადგენილი წინამძღვარი მწიგნობრობის ცნობილი მოღვაწე იყო და რომ მას "აქუნდეს კეთილნი წიგნნი". ამავე დროს, გიორგი მერჩულის სიტყვით, თვით გრიგოლ ხანძთელსაც საგანგებოდ მიუძღვნია წიგნები ახლადდაარსებული სავანისათვის.

ქართული სავანეები, ცენტრები ქართული მწიგნობრობისა, იყვნენ განმამტკიცებელნი ქართული მწერლობის და ქართული კულტურის ტრადიციებისა და ამდენად ეს სავანეები იყვნენ დასაყრდენნი იმ დიდი რეფორმის ჩატარების დროს, რომელიც მიზნად ისახავდა დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ნაციონალიზაციას და მასში - ბერძნულის ნაცვლად - ქართული ენისა და მწიგნობრობის დამკვიდრებას.

იმისათვის, რომ გაენელებიათ ძველი ტრადიციების გავლენა და სათავეშივე მოესპოთ ბიზანტინოფილური წრეების საქმიანობა, დასავლეთ საქართველოს - აფხაზეთის სამეფოს ხელისუფლება გაბედულად ჩაატარებს შემდეგ რადიკალურ ღონისძიებას: იგი სპობს ძველად არსებულ საეკლესიო ცენტრებს, - საეპისკოპოსო კათედრებს, და მათ ნაცვლად ახალ ცენტრებს აარსებს.

ასე მოსპობილ იქნა შემდეგი ძველი ცენტრები, ძველი კათედრები და მათ ნაცვლად დაარსებულ იქნა შემდეგი ახალი ცენტრები:

ა) გაუქმებულ იქნა აფხაზეთის საეპისკოპოსო ცხუმში (სოხუმში),

ასევე გაუქმებულ იქნა ნიკოფსიის სამთავარეპისკოპოსო, და ამ ორი ძველი ცენტრის ნაცვლად დაარსებულ იქნა ახალი ცენტრი - ბიჭვინთის კათედრა, რეზიდენცია აფხაზეთის კათალიკოზთა.

ცხუმის და ნიკოფსიის კათედრებს, როგორც ცნობილია, ხანგრძლივი სარელიგიო ტრადიციები ჰქონდათ. კერძოდ, ცხუმის კათედრა ითვლებოდა მთავარ ცენტრად აფხაზეთის ეკლესიისა. აფხაზეთში, ქრისტიანობის სახელმწიფოებრივ-სარწმუნოებად გამოცხადების დროს მე-6 საუკუნეში, ცხუმში, ბიზანტიის იმპერატორის იუსტინიანე I-ის მიერ აგებულ იქნა საკათედრო ტაძარი, რომელიც მხარის სიწმიდედ ითვლებოდა.

...ეს შენაცვლება კათედრებისა, რაც დღემდე არ იყო ახსნილი, დაკავშირებული ყოფილა, როგორც ახლა ირკვევა, დასავლეთ საქართველოს ეკლესიის რეფორმაციასთან. აფხაზეთის სამეფოს ხელისუფლება, იმისათვის, რომ მოესპო ტრადიციები ბიზანტიზმის ამ ძველი ციტადელისა, იუსტინიანე იმპერატორის მიერ დაარსებული ცხუმის კათედრისა, არ დარიდებია რელიგიური ტრადიციის დარღვევას, გაუუქმებია ეს მთავარი რელიგიური ცენტრი ცხუმში და მის ნაცვლად მოუწყვია ახალი ცენტრი ბიჭვინთაში. ბიჭვინთა ახალ ცენტრად აურჩევიათ, კერძოდ, იმის გამო, რომ აქ, ბიჭვინთაში, უძველეს ხანაში, ჯერ კიდევ III-IV საუკუნეებში, არსებულა საეკლესიო კათედრა, რომელიც შემდეგ მოსპობილა; ამიტომაც ბიჭვინთას, რომელთანაც დაკავშირებული იყო ადრინდელი საქრისტიანო გადმოცემები, შეეძლო ერთგვარად მეტოქეობა გაეწია ცხუმისათვის. ამასთან, რათა გარეგნულის მხრითაც დაეჩრდილათ იუსტინიანე იმპერატორის მიერ აგებული მხარის მთავარი სიწმიდე - ცხუმის კათედრალი, აქ, ბიჭვინთაში აუგიათ ის გრანდიოზული, ბრწყინვალე ხელოვნების ძეგლი - ბიჭვინთის საკათალიკოზო ტაძარი, რომელიც დღემდისაც შენახულა და რომელიც ქართული კლასიკური ხუროთმოძღვრების უმნიშვნელოვანეს ძეგლთა რიცხვს ეკუთვნის.

ჯვარცმა მაცხოვრისა

ბ) ასევე შეუცვლიათ, აგრეთვე ძველი ცენტრები ლაზეთის მიტროპოლიაში: როდოპოლისის (ვარდციხის) კათედრა გადატანილ იქნა დასავლეთ საქართველოს - აფხაზეთის სამეფოს დედაქალაქ ქუთაისში; ამავე დროს, გაუქმებულ იქნა ზღვის სანაპირო ზონაში პეტრას (ბათუმის მხარის) კათედრა და ბათუმის მხარე დაკავშირებულ იქნა ქუთაისთან.

ძველი ცენტრების ეს შენაცვლება, რაც მე-9 საუკუნეში დაიწყო, გრძელდება შემდეგ ხანაშიც.

გ) აფხაზეთის მეფის, გიორგი II-ის დროს (922-957 წწ.) გაუქმებულ იქნა ზღვის სანაპირო ზონაში ფაზისის კათედრა, და იგი გადატანილ იქნა შიდა მხარეში, ახალ ცენტრში - ჭყონდიდში (იხ."მატიანე ქართლისაჲ გვ. 452).

დ) ასევე, X საუკუნის დასასრულს გაუქმებულ იქნა ზღვის სანაპირო ზონაში ძიღანების (გუდაყვის) კათედრა და ისიც გადატანილ იქნა შიდა მხარეში, ახალ ცენტრში - ბედიაში (იქვე გვ. 471. / 245).

ამავე დროს, დასავლეთ საქართველოს შიდა მხარეებში არსდება მთელი რიგი ახალი კათედრები: მოქვი და დრანდა ("შუა სოფელში", საკუთრივ აფხაზეთისა და საეგროს სანაპიროზე), ცაგერი (ლეჩხუმში), ნიკოლოზ-წმიდა, ე. ი. ნიკორწმიდა (რაჭაში).

ასეთი იყო ის ღონისძიებანი, რომელნიც ჩაუტარებია დასავლეთ საქართველოს - აფხაზეთის სამეფოს ხელისუფლებას დასავლეთ საქართველოს ეკლესიის რეფორმაციასთან, მის გაქართულებასთან დაკავშირებით.

ამრიგად, როგორც ირკვევა, აფხაზეთის სამეფოს ხელისუფლება არ შეჩერებულა საუკუნეებით დამკვიდრებული და რელიგიური ტრადიციით განმტკიცებული წესების დარღვევის წინაშე ამ დიდი სახელმწიფოებრივი მიზნების განხორციელების დროს.

## X

"ქართლის ცხოვრების" ეგრეთწოდებულ შევსებულ რედაქციებში (კერძოდ: "ქართლის ცხოვრების" ბარათაშვილეულსა და სამეგრელოს მთავრის ვარიანტებში) მოიპოვება შემდეგი ცნობა ქართველთა სამეფოს (ქართლ-მესხეთის ფეოდალური სახელმწიფოს მეთაურის ბაგრატ I მეფე-კურაპალატის (826-872 წწ.) შესახებ:

"ხოლო ამან ბაგრატ განაჩინა და განაწესა კათალიკოზი აფხაზეთს ქრისტეს აქეთ (830).

თარიღი პანოდორეს ქრონოლოგიური სისტემით, აღნიშნავს ჩვენი წელთაღრიცხვის 838 წელს (830-8).

ამრიგად, ამ ცნობის თანახმად, აფხაზეთის საკათალიკოზოს დაარსება (ე. ი. აფხაზეთის ეკლესიის გამოყოფა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოდან, მისი ორგანიზება ადგილობრივი აფხაზეთის საკათალიკოზოს სახით და დაკავშირება ზოგად-ქართულ ეკლესიასთან, ქართლის საკათალიკოზოსთან მომხდარა 830 - 838 წლებში.

... აქ ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ აფხაზეთის ს.აკათალიკოზოს დაარსების მონაწილედ დასახელებულია ქართლ-მესხეთის სამეფოს (იბერიის) მეთაური ბაგრატ I მეფე კურაპალატი.

რით აიხსნება ეს ფაქტი? იბერია (ქართლ-მესხეთის სამეფო) და აფხაზეთი (დასავლეთ საქართველო) ამ დროს ხომ ორ ცალკე სახელმწიფო ერთეულს წარმოადგენდა?

ეს მეტად მნიშვნელოვანი საისტორიო ფაქტი, მონაწილეობა ქართლ-მესხეთის სამეფოს (იბერიის) მეთაურისა აფხაზეთის საკათალიკოზოს დაარსებაში, რასაც შედეგად მოჰყვა დაკავშირება აფხაზეთის ეკლესიისა ზოგად-ქართულ ეკლესიასთან, ე.ი. ქართლის საათალიკოზოსთან, ცხადია, იმით იყო გამოწვეული, რომ მცხეთა, ცენტრი საკათალიკოზოსი, ისტორიულად იბერიის (ქართლის) ნაწილს, იბერიის ძველ დედაქალაქს წარმოადგენდა. ქართლის კათალიკოზი, არჩევის შემდეგ, პირველ ცნობას, ძველი ტრადიციის თანახმად, იბერიის (ქართლ - მესხეთის) მეფე-კუროპალატისაგან ღებულობდა. ამასთან, ქართლის საკათალიკოზოს ტერიტორია ძირითადში "ქართველთა სამეფოს (ქართლ-მესხეთის ფეოდალური სახელმწიფოს) ფარგლებში შედიოდა.

აფხაზეთის ადგილობრივი საკათალიკოზოს ორგანიზაცია, მისი დაკავშირება ზოგად-ქართულ ეკლესიასთან, ქართლის საკათალიკოზოსთან,

ერთნაირად ეხებოდა, როგორც დასავლეთ საქართველოს ("აფხაზეთის სამეფოს"), ისე აღმოსავლეთ საქართველოს (ქართლ-მესხეთს).

როდესაც ჩატარდა ეს დიდი რეფორმა 830-იან წლებში, მეთაური დასავლეთ საქართველოსი (აფხაზეთის სამეფოში) იყო მეფე დემეტრე II, ძე ლეონ II-ისა (753-798 წწ., რომლის დროსაც, მე-8 საუკუნის ბოლო მეოთხედში, აღდგენილ იქნა დასავლეთ საქართველოს "აფხაზეთის" დამოუკიდებლობა) და ძმა თეოდოსი I-ისა, რომლის მეფობა 798 - 825 წლებს უწევს. დემეტრე მეფე გამეფებულა თეოდოსი I-ის შემდეგ, 825 წლის ახლო ხანებში და მისი მმართველობა გაგრძელებულა 36 წელი, 861 წლამდე.

აღსანიშნავია ამასთან, რომ ამ ეპოქაში, მე-8 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-9 საუკუნის პირველ ნახევარში, ახლო თანამშრომლობა არსებობს დასავლეთ საქართველოს სახელმწიფოებრივ გაერთიანებათა შორის.

....ასევე, როგორც ირკვევა, მომდევნო პერიოდშიაც, მეცხრე საუკუნის მეორე მეოთხედში, 830-იან წლებში, აღმოსავლეთ საქართველოს სახელმწიფოს მეთაური ბაგრატ I მეფე-კურაპალატი თანამშრომლობას ეწევა დასავლეთ საქართველოს მეთაურთან, დემეტრე II-სთან იმ დიდი რეფორმის ჩატარების დროს, როდესაც აფხაზეთი ეკლესიურად გამოეყო კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს და ზოგად-ქართულ ეკლესიას, ქართლის საკათალიკოზოს დაუკავშირდა. მოხდა აფხაზეთის ეკლესიის ნაციონალიზაცია, გაქართულება.

**პავლე ინგბოროყვა**

მწერალი. მეცნიერი

---

# ვინ არის აფხაზეთის მიწის უძველესი ბინადარი?!

ქართველების აფხაზეთიდან გაძევების გამართლებას აფხაზი სეპარატისტები ცდილობენ მტკიცებით, რომლის მიხედვითაც აფხაზეთის მიწა აფხაზების კუთვნილებაა უძველესი დროიდან მოკიდებული, ქართველები კი ამ მიწაზე გვიან არიან შემოჭრილები. სწორედ ამ მტკიცების საფუძველზე აძლევენ თავის თავს ნებას, განაცხადონ: ქართველები არიან არა აფსაზეთიდან დევნილნი, არამედ - თავის სამშობლოში კანონიერად დაბრუნებულნი.

მიუხედავად იმისა, რომ საკითხის ამგვარად გადაწყვეტა (არააბორიგენი ხალხის გაძევების გამართლება) თავისთავად არის ბარბაროსობისა და უღმერთობის საკალალო გამოვლინება (მსოფლიოს დემოგრაფიული სურათის უბრალო თვალის გადავლებაც ცხადყოფს ამას), დავსვათ მაინც კითხვა: ვინ არის ბოლოს და ბოლოს, აფხაზეთის მიწის უძველესი ბინადარი?

ამ კითხვის ბუნებრივი პასუხი, ერთი შეხედვით, თითქოს ასეთია: აფხაზეთის მიწის უძველესი ბინადარი, რა თქმა უნდა, აფხაზი ხალხია. მაგრამ ეს არის ამ რთული კითხვის მეცნიერულად გაუაზრებელი, პრიმიტიული პასუხი. სინამდვილეში საკითხი არც ასე მარტივია და მისი არც ასე ზედაპირულად გადაწყვეტა არის შესაწყნარებელი.

პრობლემის არსში უფრო ღრმად ჩაწვდომის გამო ქართველ (აგრეთვე - რუს) მეცნიერთა ერთმა ნაწილმა თვალნათლივ დაინახა, რომ ძველ ისტორიულ წყაროებში დადასტურებული აფხაზები (ძველი დროის აფხაზები) სხვა ხალხია, ამჟამად აფხაზად წოდებული ხალხი კი - სულ სხვა და მათი წარმომავლობით ერთმანეთთან დაკავშირება შეუძლებელია. სწორედ ამიტომ იქნა წამოყენებული დებულება: ძველი დროის აფხაზები ქართველებია, თანამედროვე აფხაზები (აფსუები) კი XVI-XVII საუკუნეებში საქართველოს (აფხაზეთის) მიწაზე საიდანღაც ჩამოსახლებული უცხო ტომის ხალხი, რომელსაც შემდეგ ქართველ აბორიგენთა სახელი (აფხაზი) შეერქვა. მეცნიერებაში დოგმატიზმის ბატონობის გამო ეს შეხედულება, სამწუხაროდ, თავიდანვე ჩრდილში მოექცა და ფართო საზოგადოებისათვის შეუმჩნეველი დარჩა.

შევეეედროთ უფალს, შეგვაძლებინოს საკითხის იმგვარად გაშუქება, რომ მართალი აღმოვჩნდეთ ღმერთთანაც და კაცთანაც, ქართველ ხალხთანაც და აფხაზებთანაც.

არსებობს არაერთი სერიოზული არგუმენტი იმისა, რომ ძველი დროის აფხაზები, მართლაც, სხვა ხალხია, თანამედროვე აფხაზები (აფსუები) კი - სულ სხვა და რომ პირველი მათგანის

მეორის წინაპრად მიჩნევა შეუძლებელია. დავასახელოთ ზოგი მათგანი:

1. თანამედროვე აფხაზები თავის ენაზე თავის თავს "აფსუას" უწოდებენ, თავის სამშობლოს - "აფსნის", სახელწოდება "აფხაზი" (და "აფხაზეთი") კი აფსუურ ენაში არ არსებობს; არ არსებობს და, ცხადია, არც არასდროს არსებულა, რამდენადაც არსებობის შემთხვევაში მისი მხოლოდ იმ ხალხის ენაში გაქრობა, რომლის თვითსახელწოდებაც კი ათასწლეულთა განმავლობაში იყო, აბსოლუტურად წარმოუდგენელია. ამასთანავე, ძველი დროის აფხაზებისა და მათი სამშობლოს სახელად წერილობით წყაროებში მხოლოდ "აფხაზი" და "აფხაზეთი" (ბერძნ. "აბაზგი" და "აბაზგია") დასტურდება; სახელწოდებები "აფსუა" და "აფსნი" აქ ისევე არ არსებობს, როგორც აფსუურში არ არსებობს "აფხაზი" და "აფხაზეთი". თანამედროვე აფსუათა წინაპარ ხალხს ისტორიის სიღრმეში, მაშასადამე, ისევე არ ეწოდებოდა "აფხაზი", როგორც ძველი დროის აფხაზებს არ ეწოდებოდათ "აფსუა". სხვა რომ არა იყოს რა, მარტო ესეც საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ აფსუებს არაფერი აქვთ საერთო იმ ხალხთან, რომელიც თავის თავს აფხაზს უწოდებდა ათეულ საუკუნეთა მანძილზე, ხოლო თავის სამშობლოს - აფხაზეთს.

2. მეფე ლაშა გიორგის სახელთან დაკავშირებით, "ქართლის ცხოვრება" გვაუწყებს: "ლაშა... განმანათლებლად სოფლისა ითარგმნა აფსართა ენითა". რადგანაც ამ სახელს ასეთი მნიშვნელობა აფსუურში აქვს (ალაშა "სინათლე"), ამიტომ მას ამ ენიდან მომდინარედ თვლიან, რაც, თავის მხრივ, აფსარების თანამედროვე აფსუათა წინაპრად მიჩნევასაც ნიშნავს. მაგრამ თუ, ვრთი მხრივ, აღნიშნული ენა "ქართლის ცხოვრებაში" აფსართა ენად იწოდება და არა-აფხაზთა ენად, მეორე მხრივ, ძველი დროის აფხაზები ქართულ ისტორიულ წყაროებში აფხაზებად მოიხსენიებიან და არა აფსარებად (დავით აღმაშენებლის ტიტულია "მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, და არა "მეფე აფსართა, ქართველთა რანთა, კახთა...") ეს კი უდავო მაჩვენებელია იმისა, რომ აფსარები და, მაშასადამე, აფსუებიც სხვა ხალხია, ძველი დროის აფხაზები კი-სულ სხვა და მათ ერთმანეთთან არაფერი აქვთ საერთო.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ქართველი მეფის ორი სახელიდან ერთ-ერთის (ლაშას) აფსარული წარმომავლობა ისევე არ გამოდგება ქართული მიწის აფსართა საშობლოდ მიჩნევის საბუთად, როგორც მეორე სახელის (გიორგის) ბერძნული წარმომავლობა არ გამოდგება ამავე მიწის ბერძენთა სამშობლოდ გამოცხადების საფუძვლად, და საერთოდ, ქართული ანთროპონიმების (ადამიანთა სახელების) უდიდესი ნაწილი), როგორც ცნობილია, უცხო ხალხთა ენებიდან არის მომდინარე, მაგრამ ამის გამო არავის მოსვლია აზრად საქართველო ყველა ამ ხალხის სამშობლოდ გამოეცხადებინა.

3. როგორც ისტორიკოსები აღნიშნავენ, ძველი დროის აფხაზები ქრისტიანი, მიწათმოქმედი და მწიგნობარი ხალხია, მოგვიანო პერიოდის აფხაზური მოსახლეობა (აფსუები) კი არის არა ქრისტიანი, არამედ წარმართი, არა მიწათმოქმედი, არამედ-მესაქონლე, არა მწიგნობარი, არამედ, არამწიგნობარი (აფხაზური დამწერლობა, როგორც ცნობილია, პირველად 1862 წ. შეიქმნა რუსი გენერლების მიერ, რუსული ანბანის საფუძველზე). თუ აფსუურ მოსახლეობას ძველი დროის აფხაზთა მემკვიდრედ მივიჩნევთ, მაშინ ასეთ კულტურულ-ეკონომიკურ რეგრესს, ისტორიკოსთა თქმით, არავითარი ახსნა არ ეძებნება, არ ეძებნება განსაკუთრებით ქართველ ხალხთან უშუალო მეზობლობაში, რომლის ისტორიაშიც ისეთი კატასტროფიული უკუსვლის კვალი აბსოლუტურად არა ჩანს.

4. თუ მაინც დავუშვებთ, რომ ქართველები და აფსუები აფხაზეთის ტერიტორიაზე ათასწლეულთა განმავლობაში ცხოვრობდნენ ერთმანეთის გვერდით, მაშინ ქართველურ ენებში უთვალავი რაოდენობით უნდა არსებობდეს აფსუური ენის, (აფსუურში კი - ქართველურ ენათა) ელემენტები. სინამდვილეში ასეთ ელემენტთა რაოდენობა იმდენად უმნიშვნელოა, რომ მის საფუძველზე ამ ორი ხალხის ერთმანეთის უშუალო მეზობლობაში ცხოვრების დაშვება, არათუ ათასწლეულთა განმავლობაში, ბოლო ოთხი-ხუთი საუკუნის განმავლობაშიც კი დიდი გაჭირვებით არის შესაძლებელი. რაც შეეხება თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე დადასტურებულ აფსუურ ტოპონიმებს (რომელთა სიძველის მტკიცებას არავითარი საფუძველი არ მოეპოვება), მათი აქ გაჩენის ახახსნელად სრულიად საკმარისია აფხაზეთის მიწაზე აფსუათა ბოლო ოთხი-ხუთი საუკუნის მანძილზე ცხოვრების კონსტატაცია.

5. ცნობილი რომაელი მოღვაწის-პლინიუსის-ცნობით, აბსოები I საუკუნეში ცხოვრობდნენ კასპიის ზღვის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროსთან, მდინარე ვოლგის შესართავთან (იხ. ნ. ფოფხაძის სტატია, აქვე, გვ. 42) ამ "აბსოათა" და თანამედროვე "აფსუას" იგივეობა, ეფიქრობ, უეჭველია. და მაშინ, დოკუმენტურად დადასტურებული გამოდის ორი რამ: ა) თანამედროვე აფხაზთა უძველესი და ერთადერთი სახელწოდება არის "აფსუა", "აფხაზი" კი გვიან არის შერქმეული და ისიც მხოლოდ გარესამყაროში და არა საკუთარ ენაში, ბ) აფსუების ისტორიული სამშობლო არის არა აფხაზეთის მიწა, არამედ მის ფარგლებს გარეთ მდებარე ტერიტორია; მათი აქ შემოჭრა კი გვიანდელი მიგრაციის შედეგია. სხვას რომ ყველაფერს თავი დავ-

ანებოთ, მარტო აქედანაც, ნათლად ჩანს, რომ ძველი დროის აფხაზებსა და თანამედროვე აფსუებს წარმომავლობით არაფერი აქვთ ერთმანეთთან საერთო.

6. უცხოელ და ქართველ ავტორთა ცნობების გავლენით (ე. ჩელები, ა. ლამბერტი, ვ. ბაგრატიონი) აფხაზი ისტორიკოსები იძულებულნი არიან აღიარონ, რომ XVII-XIX საუკუნეებში აფსუური მოსახლეობა მიცვალებულს მიწაში კი არ მარხავდა, არამედ ხეზე ჰკიდებდა (ე. წ. "საჰაერო დასაფლავება"). ძველი დროის აფხაზებისათვის (ე.ი. XVII საუკუნის წინადროინდელ აფხაზთათვის) დასაფლავების ეს პრიმიტიული წესი უცხო იყო; სამაგიეროდ, როგორც აფხაზი ისტორიკოსები აღნიშნავენ, დამახასიათებელი იყო ადიღური ტომებისათვის. ესეც უტყუარი მაჩვენებელია იმისა, რომ აფსუური მოსახლეობა ქართულ (აფხაზურ) მიწაზე გვიან არის ჩამოსახლებული თავისი მონათესავე ხალხის-ადიღელების-მეზობელი ტერიტორიებიდან, საიდანაც დასაფლავების ეს წესიც ბუნებრივად შემოჰყვა. სხვაგვარი ახსნა გამორიცხულია, რადგანაც წარმოუდგენელია მაღალგანვითარებული ქრისტიანული აფხაზური მოსახლეობა XVII საუკუნეში უცებ დასაფლავების ამ წარმართულ წესზე გადასულიყო. ამასაც რომ თავი დავანებოთ, ხალხს, რომელიც მიცვალებულს საუკუნეთა მანძილზე მიწაში მარხავდა, საიდან უნდა მოეტანა დასაფლავების ეს პრიმიტიული წესი?!

7. ძველ წერილობით წყაროებში აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართული გვარები მრავლად იხსენიება, აფხაზური გვარები კი (ვთქვათ, -ბა-ზე დაბოლოებული ფორმები), არსებითად, არც ერთხელ; ყოველ შემთხვევაში, ერთიანი ქართული სამეფოს შემადგენლობაში აფხაზეთის საერისთავოს სათავეში ადრეული შუა საუკუნეებიდან მოყოლებული უცვლელად შარვაშიძეების (და არა, ვთქვათ, ჩაჩბების) საგვარეულო იდგა. ესეც აშკარა მაჩვენებელია იმისა, რომ თანამედროვე აფსუებს ძველი დროის აფხაზებთან არაფერი აქვთ საერთო.

8. არსებობს სხვა არგუმენტებიც, მაგრამ აქამდე ნათქვამი, ვფიქრობ, საკმარისზე მეტიც კია იმისათვის, რომ ძველი დროის აფხაზებისა და თანამედროვე აფსუების წარმომავლობით ერთმანეთთან დაკავშირების შესაძლებლობა გამოვრიცხოთ. და მაშინ, ისმის კითხვა: ვინ არის ის ხალხი, რომელიც ძველ წერილობით წყაროებში აფხაზად იწოდება?

მოგვეპოვება არაერთი მნიშვნელოვანი არგუმენტი, რომელიც ცხადყოფს, რომ ძველი დროის აფხაზები ქართველები იყვნენ და არა თანამედროვე აფხაზთა (აფსუათა) წინაპრები:

1. ქართველი ისტორიკოსებიცა და აფხაზებიც ერთხმად აღიარებენ, რომ VIII საუკუნეში აფხაზთა მეფის ლეონ II-ის მიერ გათავისუფლებული და გაერთიანებული დასავლეთი საქართველო ქართული ქრისტიანული სარწმუნოების, ქართული კულტურის, ქართული მწიგნობრობის ქ ვ ე ყ ა ნ ა იყო ქართული ენითა და ქართული პოლიტიკური კურსით. რადგანაც ყოველი ხალხი საკუთარ ქ ვ ე ყ ა ნ ა ს ემსახურება, საკუთარ კულტურას ქმნის საკუთარი ენითა და საკუთარი პოლიტიკური კურსით, ამიტომ ლეონ II და მისი დროის აფხაზები, ცხადია, ქართველები იყვნენ და არა არაქართველები. ასე რომ არ ყოფილიყო, მაშინ რატომ უნდა შეექმნა უცხო ტომის ხალხს, ისიც არძინბას წინაპარს, ქართული სახელმწიფო და ქართული კულტურა ქართული ენითა და ქართული პოლიტიკური კურსით?! ამ ხალხს საკუთარი თავი, საკუთარი ენა და საკუთარი ეროვნული ინტერესები დავიწყებული ჰქონდა?! საქმე სწორედ ის არის, რომ მას არაფერი დავიწყებული არ ჰქონდა, რამდენადაც ლეონ II საქართველოს გათავისუფლებისა და გაერთიანებისათვის მებრძოლი პატრიოტი ქართველი (აფხაზი) მეფე იყო და არა არძინბას წინაპარი! სხვაგვარად მთელ დასავლეთ საქართველოში მის მეფობას ქართველი ხალხი ისევე ვერ შეურიგდებოდა, როგორც ვერ შეურიგდება "აფხაზეთში არძინბას ბატონობას!

2. თუ ძველი დროის აფხაზები - მწიგნობარი და მაღალგანვითარებული ხალხი - თანამედროვე აფსუათა წინაპარია, მაშინ აბსოლუტურად გაუგებარია, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე არ მოიპოვება აფსუური კულტურის ამსახველი არც ერთი თვალსაჩინო ძეგლი და არ არის შემონახული აფსუური დამწერლობის არსებობის მიმანიშნებელი უბრალო კვალიც კი.

3. უძველეს წერილობით ძეგლებში დადასტურებული თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიის უკლებლივ ყველა ტოპონიმი ქართველური წარმომავლობისაა; არც ერთი აფსუური ტოპონიმი აქ არ ურევია (პროფ. . დ. გოგოლაძე). და საერთოდ, აფხაზეთის ტერიტორიაზე არ არსებობს აფსუური გეოგრაფიული სახელი, რომელსაც შეიძლება აქაური ქართული ტოპონიმების სიძველის თანაბარი პრეტენზია ჰქონდეს. ესეც იმის უტყუარი მაჩვენებელია, რომ ამ ტერიტორიის უძველესი ბინადარი არის ქართველი ხალხი, აფხაზების ჩათვლით, და არა - აფსუათა წინაპრები.

4. თუ ძველი დროის აფხაზებს თანამედროვე აფსუათა (ე. ი. არაქართველთა) წინაპრად მივიჩნევთ, მაშინ აბსოლუტურად გაუგებარია, რომ მთელს დასავლეთ საქართველოს (შემდეგ კი მთელს საქართველოსაც) ერთ დროს "აფხაზეთი" დაერქვა და ისიც ქართველების ნებით. ამ უცნაური ფაქტის ახსნა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ ძველი დროის აფხაზებს

ქართველებად მივიჩნევთ, ხოლო აფხაზეთს-საქართველოს ორგანულ ნაწილად. ასეთ შემთხვევაში, "აფხაზეთი" საქართველოს ისევე შეიძლება დარქმეოდა, როგორც საქართველოს ერთ-ერთი ნაწილის - "ქართლის" მიხედვით მას "საქართველო" დაერქვა. იმ შემთხვევაში კი, "აფხაზეთი" რომ არაქართველთა სამშობლოს სახელი ყოფილიყო, საქართველოს ის ისევე ვერ დაერქმეოდა, როგორც ვერ დაერქმეოდა, ვთქვათ, თურქეთი, სპარსეთი, ჩეჩნეთი, ადიღე, ყაბარდო, და ა.შ. ეს, ვფიქრობ, აბსოლუტურად უდავოა.

5. აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართველთა და აფსუათა ცხოვრების უწინარესობა-შემდგომობის საერთო სურათი ნათლად აისახება აფხაზეთის მთავარი ქალაქის ქართული და აფსუური სახელწოდების (ცხუმი, აყვნა) ქრონოლოგიურ ურთიერთმიმართებაში. ცხუმი (სოხუმის ამოსავალი ფორმა), როგორც ცნობილია, ქართველური (სვანური) წარმომავლობის ტოპონიმია (სვან. ცხუმ. "რცხილა", შდრ. გაგრა, მიღებული სვანური სიტყვისაგან "გაკრა"-კაკლის ხე, შდრ. აგრეთვე, სვანური სოფლის სახელები ზასხვ "ცაცხვი" და ცხუმ-არ რცხილები). "ცხუმის" ქართველური წარმომავლობა, მაშასადამე, ისევე აშკარაა, როგორც "აყვას" აფსუურიდან მომდინარეობა. ყველაზე მთავარი ამ შემთხვევაში ის არის მაინც, რომ სახელწოდება "ცხუმი" წერილობით წყაროებში დადასტურებულია ჯერ კიდევ VIII საუკუნეში, აყვა კი-მხოლოდ ათი საუკუნის შემდეგ, XVIII საუკუნეში. სხვა რომ არა იყოს რა, მარტო ესეც საკმარისია აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართველების უძველესობისა და აფსუების სიახლის საჩვენებლად. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მთელ მსოფლიოში ამ ქალაქის სახელწოდება არის ცხუმი (სოხუმი) და არა-აყვა, მაშინ ამ დასკვნის მართებულობა სრულიად უდავო გახდება. მთელ მსოფლიოში აფხაზეთის მთავარ ქალაქს იმიტომ ჰქვია ცხუმი (სოხუმი), რომ ის არის ამ ქალაქის მკვიდრთა და მისი მიმდებარე ტერიტორიის მფლობელთა მიერ შექმნილი უძველესი სახელწოდება. სამაგიეროდ, გარესამყაროში მას იმიტომ არ ჰქვია აყვა, რომ ისტორიის სიღრმეში ამ ქალაქსა და მის ახლომახლო ტერიტორიაზე არც ამ სახელწოდების შემქმნელი ხალხი არსებობდა და არც თვით ეს სახელწოდება! ამ ფაქტებიდან სხვაგვარი დასკვნების გაკეთება, შეუძლებელია.

6. ძველი დროის აფხაზების ქართველობა იმდენად თვალსაჩინოა, ხოლო ყალბი ტრადიცია მათი თანამედროვე აფხაზთა (აფსუათა) წინაპრად მიჩნევისა იმდენად ძლიერი, რომ ზოგი მკვლევარი ძველი დროის აფხაზებს გაქართველებულ აფხაზებად მიიჩნევს, თანამედროვე აფსუებს კი მათ მემკვიდრედ. ამგვარ ვარაუდს გამოუვალ ჩიხში შეეყავართ. შეუძლებელია ქართულ გარემოში გაქართველებული აფხაზების ამავე გარემოში ისევ გააფხაზებისა (გააფსუებისა) და ისეთ ხალხად ქცევის დაშვება, რომელმაც შემდეგ არძინბა წარმოშვა. ამის მიუხედავად, ზემოაღნიშნული ყალბი ტრადიციის გავლენით, მკვლევართა ერთი ნაწილი ამჟამადაც ეძებს ამ ვარაუდის გამართლების გზებს. ასე მაგ. ერთ-ერთ ბოლოდროინდელ ნაშრომში, თავისთავად უაღრესად მნიშვნელოვანს და ძირითადად სწორ საგაზეთო სტატიაში, სამწუხაროდ, ასეთი რამეც არის ნათქვამი: "ქრისტიან აფხაზურ მოსახლეობაში წარმართობის აღდგენა აიხსნება XVII-XVIII საუკუნეებში აფხაზეთის ტერიტორიაზე მთის აფხაზურენოვანი ჩამორჩენილი ტომების შემოჭრით, რომლებსაც წარმართობა და ცხოვრების პრიმიტიული წესი მოიტანეს თან, რამაც ქართულ კულტურასთან შერწყმულ, არსებითად გაქართველებულ, აფხაზებში თითქმის მთლიანად მივიწყებული აფხაზური ეთნიკური ნიშნების რეანიმაცია გამოიწვია" (ნ. ლომოური, გაზეთი "სვობოდნაია გრუზია", 5.V.1994 წ.) გარდა იმისა, რომ ამ პერიოდში დასუსტებული ფეოდალური საქართველოს (აფხაზეთის) ტერიტორიაზე ჩრდილოკავკასიელ მთიელთა შემოჭრის კვალი, მართლაც, აშკარად ჩანს, ამ ვარაუდს მხოლოდ საწინააღმდეგო არგუმენტები მოეპოვება: ა) წარმოუდგენელია მთიდან შემოჭრილი ჩამორჩენილი ტომების გავლენას მრავალსაუკუნოვანი ქრისტიანული ტრადიციის მქონე მაღალგანვითარებული ბარის მოსახლეობის ჩამორჩენილ წარმართებად გარდაქმნა და ისეთ ხალხად ქცევა გამოეწვია, რომელიც მიცვალებულს ხეზე ჰკიდებდა; ბ) აბსოლუტურად მიუღებელია ახლადშემოჭრილი ჩამორჩენილი ტომების გავლენით ცივილიზებულ ბარის მოსახლეობაში ათასწლეულთა წინანდელი, სრულიად დავიწყებული, პრიმიტიული "ეთნიკური ნიშნების რეანიმაციის" შესაძლებლობის დაშვება; გ) აფხაზეთის ტერიტორიაზე აფხაზური მოსახლეობა ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებიდან იხსენიება. არც ერთ სხვა ტერიტორიაზე აფხაზად წოდებული ხალხი ისტორიამ არ იცის, ამიტომ აფხაზეთში რომელიმე სხვა ტერიტორიიდან აფხაზების შემოჭრის დაშვება მეცნიერულად, ცხადია, უსაფუძვლოა. დ) აბსოლუტურად შეუძლებელია ათასწლეულთა განმავლობაში სხვადასხვა ადგილასა და სხვადასხვა პირობებში ერთმანეთისაგან მოწყვეტილად მცხოვრები ერთი ხალხის ორი სხვადასხვა ნაწილისაგან დროთა განმავლობაში სხვადასხვა ენაზე ამეტყველებული სხვადასხვა ხალხი არ წარმოქმნილიყო სხვადასხვა კულტურით, სხვადასხვა ტრადიციებითა და სხვადასხვა ფსიქიკით. ამიტომ აფხაზეთის მაღალგანვითარებული მკვიდრნი და მთიდან შემოჭრილი, ჩამორჩენილი ტომები საერთო წარმომავლობის

შემთხვევაშიც კი, ცხადია, სხვადასხვა ხალხებად იქნებოდნენ ქცეულნი. სინამდვილეში აქ ასეთ ვითარებასთან გვაქვს საქმე: დამხვდურნი (აფხაზები) ჩვეულებრივი ქართველებია, ხოლო მთიდან შემოჭრილნი (აფსუები) - არაქართველები. მიუხედავად ქართველთა ნაწილის გააფსუებისა და აფსუების ნაწილის გაქართველების პროცესთა მოქმედებისა, ქართველი ხალხი ამ ტერიტორიაზე მაინც ქართველ ხალხად რჩებოდა, აფსუები კი აფსუებად.

ამ დასკვნის მართებულობას თვალნათლივ ადასტურებს ძველი დროის აფხაზებისა და შემდგომდროინდელი აფსუების აბსოლუტური სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება საქართველოსთან, ქართველებთან, ქართულ ენასთან, ქართულ კულტურასთან, ქართულ ეროვნულ ინტერესებთან. და მართლაც, ქართული და უცხოური წერილობითი წყაროების გამოწვლილვით შესწავლის საფუძველზე აკადემიკოსმა მ. ლორთქიფანიძემ ეჭვმიუტანლად აჩვენა, რომ XVII საუკუნემდე აფხაზური მოსახლეობა არაქართველად არ იწოდებოდა, რამდენადაც დასავლეთ საქართველოს დანარჩენი მოსახლეობისაგან ის, არსებითად, არაფრით განსხვავდებოდა; არსად არ არის ნახსენები აფხაზური, როგორც დამოუკიდებელი ენა; არავინ ლაპარაკობს აფხაზების სხვა ქართველთა მიმართ რაიმე განსაკუთრებულ აგრესიულობაზე. XVII საუკუნიდან სურათი მკვეთრად იცვლება: ამიერიდან აფხაზები (აფსუები) უყოყმანოდ ითვლებიან არაქართველებად, ხალხად, რომლებიც ცხოვრების წესით ჩერქეზებს ჰგვანან და არა - ქართველებს; უკვე აშკარად იხსენიება აფხაზთა (აფსუათა) საკუთარი ენაც და, რაც მთავარია, იწყება აფხაზეთის თავდასხმები მეზობელ ქართველურ მოსახლეობაზე. სწორედ ამან აიძულა სამეგრელოს მთავარი ლევან II დადიანი (XVII ს.) აფხაზებისაგან თავის დასაცავად საგანგებო კედელი აეგო (მ.ლორთქიფანიძე, აფხაზები და აფხაზეთი, 1990 წ. გვ. 5-37). ყოველივე ეს კიდევ ერთი უტყუარი მაჩვენებელია იმისა, რომ ძველი დროის აფხაზები ჩვეულებრივი ქართველებია, აფსუები კი-ქართულ მიწაწყალზე მოგვიანებით შემოჭრილი უცხო ტომი.

7. აქამდე ნათქვამი სრულ შესატყვისობაში იმყოფება აკად. თ.გამყრელიძის დასკვნასთან: აფხაზი თავდაპირველად ერთი გარკვეული დასავლურ-ქართველური ტომის აღმნიშვნელი იყო. შემდეგ ის იმ არაქართველი ხალხის სახელად იქცა, რომელიც თავის თავს "აფსუას" უწოდებდა. ამ დასკვნას აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმიტომ, რომ ის, საწინააღმდეგო მოსაზრებათაგან განსხვავებით, მაღალ პროფესიონალიზმსა და თანამედროვე ლინგვისტური მეთოდოლოგიური პრინციპების აბსოლუტურად ობიექტურ გამოყენებას ემყარება.

რაც აფსუების ძველი დროის აფხაზებთან მიმართების შესახებ ითქვა, იგივე ითქმის (კიდევ უფრო თამამად) მათ მიმართებაზე აფსილ-აფშილებთან. რადგანაც აფსილ-აფშილები ისტორიის ასპარეზიდან VIII საუკუნეში გაქრნენ, მათი რომელიმე თანამედროვე ხალხის (ვთქვათ, აფსუების) წინაპრად მიჩნევას, ცხდია, არ მოეპოვება მეცნიერული საფუძველი.

აფსუების წინაპრად მიიჩნევენ აფსილებს, ამ ორ სახელწოდებას შორის ერთგვარი მსგავსების გამო. გარდა იმისა, რომ ამგვარი მიდგომის შემთხვევაში მანგლისი შეიძლება ინგლისთან დაკავშიროთ, ატენი ან აფენი ათენთან, ხოლო აგარა ანკარასთან. "აფსილის" გვერდით არსებობს ვარიანტი "აფშილი", რომელიც "აფსუასთან" ფორმითაც საკმაოდ შორს დგას. "აფსილი", როგორც ცნობილია, ბერძნული ფორმაა, "აფშილი" კი - ქართული. მათგან, ცხადია, ან ერთია ამოსავალი, ან მეორე. რადგანაც ქართულში არსებობს ს ბგერაცა და შ-ც, ხოლო ძველ ბერძნულში არსებობდა მხოლოდ ს და არ არსებობდა შ, ამიტომ ქართული "აფშილისაგან" ბერძნულში მხოლოდ "აფსილის" მიღება იყო შესაძლებელი; ბერძნ. "აფსილისაგან" კი ქართულში "აფშილს" ცხადია, ვერ მივიღებდით, რადგან ს ბგერა ქართულშიც არსებობდა და უნდა მიგვეღო მხოლოდ "აფსილი". ამოსავალი ფორმა ამიტომ, რაღა თქმა უნდა, არის არა - აფსილი", არამედ "აფშილი", რომელთანაც "აფსუას" დაკავშირება თითქმის შეუძლებელია. ყველაფერი ეს ნიშნავს, რომ აფსუების წინაპარი აფხაზეთის მიწაზე არ იძებნება და, ამდენად, უდავოა არსებული მოსაზრება, რომლის მიხედვითაც აფხაზეთის ტერიტორიაზე აფსუათა წინაპრები ჩამოსახლდნენ არაუადრეს XVI-XVII საუკუნეებისა. ქართველ აბორიგენთა სახელიც (აფხაზი) მათ მხოლოდ ამის შემდეგ დაერქვათ და ისიც მხოლოდ გარესამყაროში.

მხოლოდ ასეთი გაგების შემთხვევაში ეძებნება დამაკმაყოილებელი პასუხი რამდენიმე მნიშვნელოვან კითხვას: 1. რატომ უწოდეს ქართველებმა თავისი ნებით თავის სამშობლოს აფხაზეთი? იმიტომ, რომ აფხაზეთი იყო ქართველებით დასახლებული ერთ-ერთი ქართული კუთხის ქართული სახელწოდება; 2. რატომ გადაარქვეს ქართველებმა თავის სამშობლოს ერთხელ უკვე შერქმეული სახელი - აფხაზეთი? იმიტომ, რომ უარი თქვეს ამ სახელწოდებაზე მას შემდეგ, რაც ის არაქართველი ხალხის სახელად იქცა; 3. რატომ არ უწოდეს აფსუებმა თავის ენაზე თავის თავს აფხაზი? იმიტომ, რომ შეინარჩუნეს საკუთარი სახელწოდება (აფსუა) და თავის ენაში არ დაამკვიდრეს უცხო ხალხის (ქართველების) სახელწოდება (აფხაზი). ამ გზით, როგორც ვხედავთ, ყველაფერი თავის ადგილას დგება, ძვე-

ლი დროის აფხაზების თანამედროვე აფსუათა წინაპრად მიჩნევის შემთხვევაში კი ყველაფერი თავდაყირა დგება: ვერაფრით ვერ იხსნება, თუ რატომ უწოდეს ქართველებმა თავის სამშობლოს თავისი ნებით უცხო ქვეყნის სახელი, ვერც ის იხსნება, თუ რატომ გადაარქვეს მათ თავის სამშობლოს ერთხელ უკვე შერქმეული სახელი და ვერც ის, თუ რატომ არ შეინარჩუნეს აფსუებმა თავის ენაში თავისი "ძველი" სახელწოდება "აფხაზი" და საკუთარი სამშობლოს სახელწოდება "აფხაზეთი". ჩიხი ასეთი გაგების შემთხვევაში, როგორც ვხედავთ, გარდაუვალია.

და კიდევ: ისეთი მცირერიცხოვანი ხალხი, როგორიც აფსუებია, მართლა რომ ქართული კულტურის თანაზიარი ყოფილიყო ქართული ენით, ქართული მწიგნობრობითა და ქართული პოლიტიკური კურსით, მართლა რომ ათასწლეულთა განმავლობაში ეცხოვრა ქართულ გარემოში ქართველთა მხარდამხარ და "ისტორიულ-კულტურულად" მართლა რომ ქართველი ყოფილიყო, მაშინ წარმოუდგენელია, ამ ერთი ციცქნა ხალხის გაქართველების დაწყებული პროცესი ბოლომდე არ მისულიყო და მისი სრული ასიმილაცია არ მომხდარიყო. ამასთანავე, თანამედროვე აფსუების წინაპართა ჩრდილო კავკასიიდან წამოსვლა და აფხაზეთის მიწაზე დამკვიდრება ათასწლეულთა წინ რომ იყოს მომხდარი, მაშინ ჩრდილო კავკასიის ხალხებსა და აფსუებს შორის უახლოესი ნათესაობისა და ძმობის ხსოვნა, რის შესახებაც ახლა ორივე მხარე მთელი მსოფლიოს გასაგონად ლაპარაკობს, შეუძლებელია მიმქრალი არ ყოფილიყო. სინამდვილეში არაფერია მიმქრალი. ყველაფერი ძალიან კარგად ახსოვთ; ახსოვთ იმიტომ, რომ აფსუების ჩრდილო კავკასიიდან აფხაზეთისაკენ წამოსვლა სულ ახლო წარსულის ამბავია, რაც აფსუათა თქმულებებშიც დასტურდება. ვფიქრობ, ესეც აბსოლუტურად უდავოა.

დაბოლოს, კიდევ ერთი პრინციპული ხასიათის კითხვა: რამდენად არის შესაძლებელი ერთი ხალხის სახელის მეორე ხალხის სახელად ქცევის დაშვება? ისტორიამ უამრავი ასეთი შემთხვევა იცის. დავასახელოთ ზოგი მათგანი: 1. ბულგარები ისტორიულად თურქები იყვნენ, ბალკანეთში შეჭრის შემდეგ კი მათი სახელი იქ მცხოვრები სლავების სახელად იქცა, 2. "სომხითი" ისტორიულად ქართველებით დასახლებული ქართული ტერიტორიის ქართული სახელწოდება იყო. ამ ტერიტორიაზე არმენების ჩამოსახლების შემდეგ კი ეს სახელი (ვარიანტით "სომხეთი") არმენების მთელი საცხოვრისის სახელად იქცა. აქაც, მაშასადამე, იგივე მოხდა, რაც აფხაზეთში: "სომხეთს", - ქართულ სახელწოდებას, მსგავსად "აფხაზეთისა", არაქართველი ხალხის სამშობლოს აღნიშვნა დაეკისრა. ამასთანავე, "სომეხი" და "სომხეთი" სომხებმა თავის ენაში ისევე არ დაამკიდრეს, როგორც აფსუებმა არ გააჭაჭანეს თავის ენაში ქართული სახელწოდებები "აფხაზი" და "აფხაზეთი". ორივე ხალხმა ამ გზით თავისი თვითსახელწოდება შეინარჩუნა. განსხვავება ის არის მხოლოდ, რომ არაქართველი ხალხის სამშობლოს აღმნიშვნელად "აფხაზეთი" ქართულიდან მთელ მსოფლიოში გავრცელდა, "სომხეთი" კი მხოლოდ ქართულის კუთვნილებად დარჩა, როგორც სომხების სამშობლოს აღმნიშვნელი ერთადერთი ქართული სახელწოდება; 3. ეგვიპტის ტერიტორიაზე ისტორიულად უამრავი არაეგვიპტელი ხალხის შეჭრა ხდებოდა, რომლებიც შემდგომ, როგორც წესი, ეგვიპტელებად იწოდებოდნენ. მრავალი არაეგვიპტელი ხალხი ამიტომ ამჟამადაც ეგვიპტელად იწოდება; 4. "ადარბადაგანი" ("აზერბაიჯანის" ამოსავალი ფორმა) ისტორიულად ირანული მოდგმის ხალხის საცხოვრისი ირანული სახელწოდება იყო, ამჟამად კი "აზერბაიჯანი" სულ სხვა ხალხის სამშობლოს აღმნიშვნელია. ამ ფონზე, არაფერია მოულოდნელი იმაში, რომ აფხაზეთში ახლადჩამოსახლებულ და ქართველებთან შერეულ უცხო ტომის ხალხს (აფსუებს) აქაურ ქართველ მკვიდრთა (აფხაზთა) სახელი შერქმეოდა.

რაც შეეხება აფსუური ტომების ერთი ნაწილის გამაჰმადიანებასა და მეორე ნაწილის გაქრისტიანებას, ის, თავისთავად ცხადია, სულ ახლო წარსულის ამბავია.

ნათქვამიდან, ვფიქრობთ, ნათლად ჩანს, რომ აფსუური მოსახლეობა - ამჟამად აფხაზად წოდებული - არის არა ძველი დროის აფხაზების შთამომავალი და აფხაზეთის მიწის უძველესი ბინადარი, არამედ ამ მიწაზე გვიან საუკუნეებში ჩრდილოეთიდან შემოჭრილი უცხო ტომის ხალხი. და მაშინ, აფსუა სეპარატისტების ლოგიკით რომ ვიხელმძღვანელოთ, ქართველ ხალხს უფლება აქვს, აფსუები გააძევოს აფხაზეთის უძველესი ქართული მიწიდან. ღვთის წყალობით, ქართველ ხალხს ასეთი რამ არასოდეს მოსვლია აზრად, პირიქით, აფსუებსა და მათთვის შექმნილ ავტონომიას მან ისეთი პრივილეგიები მიანიჭა, რომლის მსგავსი არ ახსოვს ყოფილი საბჭოთა კავშირის არც ერთ ავტონომიას. კიდევ მეტი: ამჟამადაც კი, როდესაც აფსუა სეპარატისტთა მიერ აფხაზეთში ჩადენილია შემზარავი დანაშაული, ქართველები ერთხმად აღიარებენ აფსუათა ფართო ავტონომიის შენარჩუნების აუცილებლობას. ამ სულგრძელობასა და ღვთიურ შემწყნარებლობას, ბევრ სხვა რამესთან ერთად, საფუძვლად უდევს სწორად გააზრება იმისა, რომ აფხაზი ხალხი და აფხაზი სეპარატისტები არ არის ერთი და იგივე. ყოველივე ეს ნათლად გვიჩვენებს, თუ რამდენად დიდია განსხვავება ქართველ ხალხსა და აფსუა

სეპარატისტებს შორის, როგორც სამართლებრივი, ისე ეთიკურ-მორალური პრინციპების გაგებაში.

1989 წ. აღწერის მიხედვით, აფხაზეთში მცხოვრებ ხალხებს შორის ქართველები უმრავლესობას (45,7 პროცენტს) შეადგენენ, მაშინ როდესაც მეორე ადგილზე მყოფი აფსუების რაოდენობა მხოლოდ 17,8 პროცენტით განისაზღვრება. რადგანაც ამ უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლის მიხედვით ქართველების აფხაზეთიდან გაძევების გამართლება შეუძლებელი აღმოჩნდა, ამიტომ აფხაზმა სეპარატისტებმა მთელი ყურადღება აფხაზეთის მიწაზე ქართველ-აფსუათა ისტორიულ ურთიერთმიმართებაზე გადაიტანეს, როგორც უფრო ბუნდოვან და ძნელად გასაკონტროლებელ კრიტერიუმზე, დევიზით - იქნებ ტყუილმა გაჭრას! ეს კი ღვთის გმობაც არის და საკუთარ მოქალაქეობრივ ღირსებათა ფეხქვეშ გათელვაც. ამიტომაც აფსუებმა გადაწყვიტეს მოეხდინათ აფხაზეთის ეთნიკური წმენდა ქართველთაგან. ტყუილს, როგორც დავინახეთ, მოკლე ფეხები აღმოაჩნდა. მაინც დავუშვათ, რომ აფხაზეთის მიწის უძველესი ბინადარი, მართლაც, აფსუებია და არა - ქართველები; გავითვალისწინოთ, რომ მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში, ათასგვარ მიგრაციულ პროცესთა მოქმედების გამო, აბორიგენი მოსახლეობა ამჟამად უმცირესობას შეადგენს საკუთარ მიწაზე და წარმოვიდგინოთ, რა საშინელება დატრიალდებოდა დედამიწის ზურგზე, ყველა აბორიგენი რომ ასე მოქცეულიყო, როგორც ფსევდოაბორიგენი აფსუა სეპარატისტები მოიქცნენ აფხაზეთის ქართულ მიწაზე.

ღმერთმა დაიფაროს მსოფლიო ასეთი უბედურებისგან!

**ალექსანდრე ონიანი**

პროფესორი

---

**კოლხეთი ქართველთა სამს შტოს ჰკუთვნებია: ლაზ-მეგრელებს, აბშილ-აფხაზებს და სვანებს.**

**აკად. ივანე ჯავახიშვილი.**

**კუნძულ მალთაზე ოსმალთა ტყვეობიდან განთავისუფლებულთა შორის ქართველნიც ვნახე; ზოგი აფხაზი, ზოგი იმერელი, გურული, მეგრელი, რომ თათრისათვის ზეერთმიათ. ენა ისევ კარგა იცოდნენ.**

**სულხან-საბა ორბელიანი. მოგზაურობა ევროპაში**

**აფხაზი - "აბასხი იგივე მასხი, ანუ მესხია".**

**აკად. ნიკო მარი.**



# საეკლესიო ცხოვრების ფოტომატიანე

წყალკურთხევა 6 (19) იანვარი



# უფალო, ძალი ერსა

## არ არსებობს აფხაზეთი უსაქართველოდ...

გალისა და ოჩამჩირის რაიონების საზღვარზეა სახელგანთქმული ბედიის ტაძარი.

"ვისაც გენებოს განიცადოს სიდიდე და სიმ-დიდრე ბაგრატ მეფისა, განიხილე ბედიის ეკლე-სია და მით სცნობ"-ო, გვაუწყებს "ქართლის ცხოვრება".

ძველებური ბრწყინვალების თითქმის არაფერი შერჩენია ამ მართლაც დიდებულ ნაგებობას, ისეა გაპარტახებული და მოუვლელი აქაურობა.

ჩემს ბავშვობაში ასეთი გადმოცემა გამიგია ტაძრის აშენების თაობაზე:

ერთიანი საქართველოს პირველი დიდი მეფე ბაგრატ III თავისი მხლებლებითურთ ნადირობდა ოდიშის უღრან ტყეში, და აი, დღევანდელი ბედიის სანახებში მონადირეებს გზა დაებნათ. ბევრი ხეტიალის შემდეგ იმ ადგილზე გამოვ-იდნენ, სადაც ახლა ტაძარია. აქედან კარგად ჩანდა კოლხეთის ვრცელი დაბლობი და ზღვა. ერთ-ერთმა დიდებულმა მიახარა თურმე მეფეს - ბედი გქონია, მეფევ ბატონო, გადავრჩითო!

მეფე კარგა ხანს მდგარა მდუმარედ. მერე უბრძანებია" ამ ალაგას ჩვენი გადარჩენის აღსა-ნიშნავად, აიგოს დიდი ეკლესია და მას ბედია ეწოდოსო!

სულ მალე აშენდა დიდი საკათედრო ტაძარი - ქართული არქიტექტურის მშვენება - ბედიის სახელით რომ იხსენიება.

### X X X

ბაგრატ III - სრულიად საქართველოს პირვე-ლი დიდი მეფე - დავით კურაპალატის შვილო-ბილი, გურგენ მეფეთამეფის ძე, შთამომავალი ტაოს ბაგრატიონთა, რომლებიც, ქართველთა მეფეებად იწოდებოდნენ და რომელთაც სათავე დაუდეს ბაგრატიონთა სამეფო დინასტიას, დედით აფხაზთა მეფის ასულის, გურანდუხტის შვილი იყო. დავით კურაპალატი ქართლის წარჩინებუ-ლის, იოანე მარუშის ძის დახმარებით დაეუფლა ქართლს და აქ თავისი შვილობილი გააბატონა. მცირეწლოვანობის გამო ბაგრატს თანაგამგებლად მამამისი გურგენი დაუნიშნა.

"აფხაზთა" მეფეს თეოდოსს, გურანდუხტის ძმას, შვილი არ ჰყავდა, დავით III უშვილო იყო. ამრიგად, ბაგრატ III დედით დასავლეთ საქართველოსა და ქართლის, მამით და მამობი-ლით კი სამხრეთ საქართველოს კანონიერი მე-მკვიდრე გახლდათ.

978 წელს დავით კურაპალატმა და იოანე მა-რუშის ძემ, ამ დაუღალავმა, ენერგიულმა და გამჭრიახმა დიდებულმა და დიდმა მამულიშვილ-მა - ბაგრატი აფხაზეთში, დასავლეთ საქართვე-ლოში გაამეფეს; გურანდუხტი კი ამ დროს ქართლს განაგებდა. 80-იანი წლების დასაწყისში ბაგრატ III-მ დაამარცხა ქართლის ფეოდალთა აჯანყება, რომელსაც ქავთარ ტბელი ედგა სათა-ვეში. 979 წელს დაამარცხა, აგრეთვე, გაერთიან-ების პოლიტიკის მოწინააღმდეგე კლდეკარის ერისთავი რატი რატის ძე ბაღვაშიც და შემოიე-რთა კლდეკარის საერისთავო. გურგენ მეფეთა მეფის გარდაცვალების შემდეგ, როგორც მემკვ-იდრემ, შემოიერთა ტაოს ჩრდ. ნაწილიც (ამიერ ტაო; შავშეთი, კლარჯეთი, სამცხე, ჯავახეთი). ამ დროიდან ბაგრატ III "აფხაზთა და ქართველ-თა" მეფის ტიტულს ატარებდა. 1010 წელს მან კახეთ-ჰერეთიც დაიკავა და ამით საფუძველი ჩა-უყარა გაერთიანებული საქართველოს ფეოდალურ მონარქიას. ამით მან დააასრულა ის საქმე, რაც აფხაზთა მეფე ლეონ II-მ წამოიწყო.

ვინ არიან ისტორიული აფხაზები, რომელთა სახელწოდებით იწყება ჩვენი მეფეების ტიტულა-ტურის ჩამოთვლა? რა კავშირი აქვთ მათ ძველ

# ჩუენსა მოეც

# არც საქართველო არსებობს უაფხაზეთოდ...

აბაზგებთან და აფშილებთან, ვინ არიან აფსუები?

ზოგიერთი ქართველი მეცნიერის აზრით, აბაზგები და აფშილები დღევანდელი აფხაზების (აფსუების) წინაპრები არიან. სხვათა აზრით, ისინი ქართველური მოდგმისანი გახლავან. ს. ჯანაშიას აზრით, აბაზგებსა და აფშილებს მათი დღევანდელი ტერიტორიის დიდ ნაწილზე "წინ უსწრებდა ერთი მხრით, სვანური, მეორე მხრით ჭანურ-მეგრული მოსახლეობა". შემდეგ ევსევი კესარიელის, იპოლიტე პორტელის და სხვათა მიხედვით, დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე მოსახლე სანიგები ყოველთვის დაკავშირებული არიან სებასტობოლისთან-ცხუმთან და, საერთოდ, შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროსთან. იმავე ს. ჯანაშიას აზრით, "სანიგი" არის სახელწოდება იმ მეგრული ტომისა, რომლის არსებობა თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე აქ აფხაზთა დამკვიდრების უწინარესად არის საგულვებელი. ამ დებულების ერთ-ერთი უტყუარი საბუთი სწორედ ტოპონიმიკაც გახლავთ, არქეოლოგიურ მასალებთან ერთად, ესოდენ უგულვებელყოფილი რომ არის ზოგი მეცნიერის მიერ დღეს და რის გამო ასე გააფთრებით ებრძვიან ხოლმე პ. ინგოროყვას, რომელსაც, სხვათა შორის, თითოეული ტოპონიმის ასახსნელად მოჰყავს ოთხი თუ ხუთი წყარო მაინც, როგორც უცხოური, ისე ქართული.

როგორც ცნობილია, არაბთა გამანადგურებელი შემოსევების შედეგად დაეცა ეგრისის სამეფო. სამეფო დინასტიამ თავშესაფარი ჰპოვა უფრო დაცულ ჩრდილო-დასავლეთში, მომძლავრებულ აფხაზეთში. სწორედ ამ დროისათვის ე. ი. მერვე საუკუნის ბოლოსათვის აფხაზთა მთავარი ლეონ II გათავისუფლდა ბიზანტიაზე დამოკიდებულებისაგან და მიიღო აფხაზეთის მეფის ტიტული. საზღვარმა ანაკოფიიდან მდ. კელასურამდე, ანუ კლისურამდე გადაინაცვლა, ხოლო ეგრისის დაუძლურების გამო ეგრისის მთელი ტერიტორია მთლიანად შევიდა ამ ახლადჩამოყალიბებული სამეფოს ფარგლებში და მისი დედაქალაქი გახდა ქუთაისი.

მე-10 საუკუნეში, ზოგი მკვლევარის გარაუდით, უფრო ადრე მე-8 საუკუნეში აფხაზეთის, ანუ დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსომ შეცვალა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებული ლაზიკის სამიტროპოლიტო და აბაზგიის სამთავარეპისკოპოსო ეპარქიები. აფხაზეთის კათალიკოსის საკათედრო ტაძარი, რომელიც ანდრია მოციქულის საყდრად იწოდებოდა, ბიჭვინთაში იყო; აფხაზეთის კათალიკოსი ბიჭვინთის კათალიკოსადაც იწოდებოდა და საქართველოს კათალიკოსს ექვემდებარებოდა.

ის გარემოება, რომ, დასავლეთ საქართველოს ეკლესია კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ემორჩილებოდა, სრულიადაც არ ნიშნავს რომ, აქ ეკლესიებში წირვა-ლოცვა და ქადაგება მხოლოდ ბერძნულ ენაზე მიმდინარეობდა, რომ დასავლეთ საქართველოში მხოლოდ მერვე თუ მეცხრე საუკუნეში "შეაღწია" ქართულმა დამწერლობამ, ენამ და კულტურამ, როგორც ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობს.

აღმოსავლური ქრისტიანული მართლმადიდებლობა იმითაც გამოირჩეოდა დასავლურისაგან, რომ იმთავითვე მოითხოვდა ქადაგებას და წირვა-ლოცვის ჩატარებას მშობლიურ ენაზე, რათა გასაგები და უფრო ახლობელი ყოფილიყო მოსახლეობისათვის ქრისტიანული სარწმუნოება, და შემდეგ: თუკი მთელი ექვსი საუკუნის განმავლობაში დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას ბერძნულ ენაზე ისმენდა ქადაგებას და წირვა-ლოცვას, წესით და რიგით ამ ხნის განმავლობა-

ში იგი სულიერად მაინც უნდა "გაბერძნებულიყო". და თუ ეს ასეა, როგორღა იმძლავრა მერვე თუ მეცხრე საუკუნეში ქართულმა ენამ და კულტურამ ჯერაც დაქუცმაცებულ ქვეყანაში?

დიდი ივანე ჯავახიშვილის გამოკვლევით, ქრისტიანობამდე დიდი ხნით ადრე ყველა ქართველ ტომთათვის კულტმსახურების ენა ქართული იყო.

ქართული ენა სრულიად გასაგები და დედა ენა იყო ყოველი ქართველი ტომისათვის, ხოლო "მეგრელებსაც და სვანებსაც და დავუმატებ ჭანებსაც, მათ მართლა ქართველ ტომებად ვთვლი და ვუწოდებ"-ო, -ბრძანებდა დიდი მეცნიერი.

ასე რომ, საკვირველი არ უნდა იყოს, ქრისტიანობის მიღების შემდეგაც, რომელიც თითქმის ერთდროულად მოხდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში, მღვდელმსახურება ყველასათვის ქართულ ენაზე რომ ყოფილიყო.

... ერთიანი, მთლიანი საქართველოს დაშლის პერიოდში (XV ს.) აფხაზეთი შედიოდა სამეგრელოს სამთავროში და ერთი მთავარი ჰყავდა - ბედიანი.

ნ. ბეძენიშვილის განმარტებით, კულტურულ-ისტორიულად საქართველოში "აფხაზი" იმდენავე (და არა უფრო მეტად) არსებობდა, რამდენადაც ქართი, კახი, მესხი, ჯავახი, კლარჯი, ეგრი, სვანი და სხვ. ან კიდევ "კახელი", "ქართლელი", "გურული", "მეგრელი", "იმერელი", "აჭარელი" და ა.შ. რომ ფეოდალური აფხაზეთი მხოლოდ "ქართული" შეიძლებოდა ყოფილიყო, რომ აფხაზი კულტურულ-ისტორიულად "ქართველი" იყო.

ამ მხრივ არაფერი შეცვლილა საქართველოს დაქუცმაცების დროსაც.

ბედიანის სამფლობელოში, სამეგრელოსა და აფხაზეთის გარდა, შედიოდა გურია და სამი ქალაქი: ცხუმი, ფოთი და ციხისძირი (პეტრა), აგრეთვე, ბათუმი.

მე-17 საუკუნის დასაწყისში შეიქმნა დამოუკიდებელი სამთავრო, რომლის სამხრეთის საზღვარი ხდება მდ.კოდორი (კორაქსი), ასეა ეს არქანჯელო ლამბერტის მიერ შედგენილ რუკაზე (1654 წ.) და მის წიგნში "წმიდა კოლხეთი". ამ საუკუნიდან იწყება ბრძოლა საზღვრების გაფართოებისათვის. ხან დადიანები იმარჯვებდნენ ამ ბრძოლა-ქიშპში, ხანაც შარვაშიძეები. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება აფხაზთა ინტენსიური თავდასხმები სანაპიროებზე. ვახუშტის ცნობითაც და მისიონერების ჩანაწერებითაც ირკვევა, რომ დიდძალ ტყვეებს იტაცებდნენ გურიის სანაპიროებიდანაც. "აფხაზები თავს ესხმოდნენ სამეგრელოს საზღვრებს. მთლიანად ააოხრეს ის, ხოლო მცხოვრებნი გაყიდეს მონებად და გადაასახლეს აფხაზეთში", წერს ლამბერტი. სამეგრელოდან, გურიიდან მოტაცებული ტყვეები ხდებოდნენ მეტწილად მონები (აფხ.აგრუა - მეგრელს ნიშნავს, ხოლო აგურუა - გურულს). თანდათანობით ეს აგრუა აფხაზდებოდა, კარგავდა მშობლიურ ენას. მაგრამ ტყვე აგრუებს თუ აგურუებს, ბუნებრივია, თან მოჰქონდათ თავიანთი ადათ-წესები, სულისმიერი კულტურა, სიმღერები, ცეკვები და ისინი ნელ-ნელა ერწყმოდნენ თავიანთ მონათესავე აფხაზურს. აქედანაა აფხაზურ-მეგრული სიმღერების ასეთი მსგავსება. ეს ნათესაობა ბევრ რამეში იჩენდა თავს და ესეც ბუნებრივი იყო, რადგან ორივე ტომი საერთო - იბერიულ-კავკასიური ფესვით საზრდოობდა და იკვებებოდა. ამგვარი გზით გააფხაზებულთა რაოდენობა შემდეგაც იზრდებოდა (აქედანაა დღეს ამდენი აფხაზი ფაჩულიები, კობახიები, ხვარწკიები, გურგულიები, გვარამიები, გოგუები, დოლიძეები, თაყაიშვილები და ა.შ.). ხდებოდა პირუკუ პროცესიც, ცნობილია ლევან დადიანის ბრძოლები იმერეთისა და აფხაზეთის წინააღმდეგ. დადიანის მიერ აყრილი ტყვეები ექცეოდნენ მეგრულ გარემოცვაში და ასე ვთქვათ, მეგრელდებოდნენ. შემდეგ ამ ფაქტორებს მე-19 საუკუნეში დაემატა ცარიზმის პოლიტიკა: დაჰყავი და იბატონე; დაემატა "ჩინ-მენდლების" სიყვარული, საგარძლის სიყვარული... ეროვნულობის სასწორმა იქითკენ იწყო გადახრა, საითკენაც მეტი იყო გამორჩენა - პირადული, რასაკვირველია.

მივუბრუნდეთ ისევ მე-17 საუკუნის ამბებს. დასავლეთ საქართველოს, იმერეთის სამეფო ფორმალურად ერთიანი იყო, მიუხედავად იმისა, რომ მთავრები დამოუკიდებელ პოლიტიკას ატარებდნენ, სამთავროთა შორის გაუთავებელი ომებით სარგებლობდა თურქეთი და სპარსეთი. "საქართველო თავად ცოტა იყო და მერმე მრავალ გაყოფილი და ერთმანეთის ურჩი და ქიშპნი მტერნი, ერთმანეთისა მარბევნი და მაწყინარი", - შენიშნავს ქართველი მემატიანე, - არც ერთმანეთს ასვენებდნენ და არც ქვეყანას, ხოლო ამით მტერმა "უფრო ძალა წამოატანა და დაჩაგრა, თორემ თუ ამას ერთი პირი ჰქონებოდათ, ვერც არას უზამდნენ, ვერც ამას სხვა მტერი წაართმევდა რასმე. ამათი საქმე ნიადაგ ასე ერთმანეთის მესისხლეობით გათავებულა და წამხდარა, მაგრამ ამ საქმეს არც მოკლებიან და არც მოუშლიათ".

თურქეთი მარტო იარაღით რომ ვერაფერს ხდება, მიმართავს თავის ნაცად ხერხს - ფეოდალთა გადმობირებას, მოსყიდვას. სწორედ ამ მოსყიდულ ფეოდალებზე დაყრდნობით გაჩაღდა უზარმაზარი მასშტაბით ტყვეთა სყიდვა, მაჰმადიანობის გაძლიერებული ქადაგება და დანერგვა, უძველესი მატერიალური და კულტურის ძეგლების მოსპობა, ადგილობრივი ტრადიციების დევნა, ენის შევიწროება და ა.შ. ყოველწლიურად მარტო სამეგრელოდან მიჰყავდათ 12 ათასი ტყვე."არც ერთ ომს, არც ერთ უცხოელ და-

მპყრობელს არ მიუყენებია საქართველოსთვის ისეთი ზიანი, როგორც ტყვეთა სყიდვამ" (ივ.ჯავახიშვილი, ნ.ბერძენიშვილი, ს.ჯანაშია).

ამ საშინელ ბოროტებას ებრძოდნენ მოწინავე ადამიანები, იმერეთის მეფე ბაგრატ III-მ (1540-1549 წწ.) საგანგებოდ მოიწვია საეკლესიო კრება, რომელმაც დააწესა მკაცრი სასჯელი სახელმწიფო წესრიგის დამრღვევთათვის. "ამ დროს - წერს ვახუშტი - იმერეთში გახშირდა გაყრა, კაცთა კვლა და ტყვეთა ფარული სყიდვა... შეიკრიბნენ კათალიკოსი ქართლისა მალაქია, აფხაზეთისა ევდემონი და იმერეთისა და ოდიშის ყველა ეპისკოპოსი; ეპისკოპოსები იყვნენ: ქუთათელი სვიმონი, გაენათელი ანტონი, ჭყონდიდელი, ბედიელი, მოქველი, დრანდელი ფილიპე, ცაგერელი კოზმანი, ხონელი ზაქარია, ნიკორწმინდელი იოაკიმე, ცაიშელი კირილე".

მე-17 საუკუნის 80-იან წლებში უკვე აღარ არსებობს არც მოქვისა და არც დრანდის საეპისკოპოსო, თურქთა მოძალეობის გამო ბიჭვინთიდან ზაქარია ქვარიანმა (დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი) კათალიკოსის კათედრა გადაიტანა გელათს. თუმცა თურქეთი ყოველ ღონეს ხმარობდა მოსახლეობის გასამაჰმადიანებლად, ის მაინც ცდილობდა შეენარჩუნებინა ქრისტიანობა. საყურადღებოა ერთი გარემოება: როცა რუსთა ჯარმა დაიკავა ბიჭვინთა, საკურთხეველში იპოვეს ქართული სახარება მე-15 საუკუნისა და სხვა საეკლესიო ნივთი. ვერც ქართული ენის ამოძირკვა შესძლეს თურქებმა: XVI-XVII სს. აფხაზეთში ქართული ენა დარჩა ეკლესიის, წიგნისა და თავადური დაწესებულების ენად.

XVIII საუკუნეში ძლიერდება ბრძოლა თურქეთის წინააღმდეგ აფხაზეთში. როგორც ცნობილია, იმერეთის მეფემ სოლომონ I-მა გამოსცა კანონი ტყვეთა სყიდვის წინააღმდეგ. თურქეთმა მოითხოვა ამ კანონის გაუქმება. ბრძოლა ხრესილთან მოხდა 1775 წ. სოლომონის ლაშქარში იბრძოდნენ სამურზაყანოს მფლობელი ხუტუნია შარვაშიძე და კაცია დადიანი.

სოლომონ I-მა 1759 წელს ფიცი დაადებინა ყველა მთავარსა და ფეოდალს ტყვეთა სყიდვის აღკვეთაზე. მიტროპოლიტმა მაქსიმემ დასწყევლა კაცია ჩიჩუა ბიჭვინთის გლეხთა გაყიდვისათვის.

თურქეთი, რაკი იარაღით ვეღარ სძლია სოლომონს, ცდილობდა ერთმანეთისათვის გადაემტერებინა მთავრები, ცალკეული ფეოდალები, თვით სამთავროშიც მოეძებნა მოღალატენი.

**ბედია.** ერმაკოვის ფონდიდან 1932 წ.

ამასობაში რუსეთის მომძლავრებული დაწოლისაგან ჩრ. კავკასიელმა ტომებმა იწყეს საქართველოს ბარად ჩამოსახლება: ადიღეველები, ოხები, დაღესტნელები მძლავრ ნაკადად მოეშურებოდნენ სამხრეთისაკენ, გაპარტახებული საქართველოს პროვინციებში.

თითქმის ექვსი საუკუნის განმავლობაში ხმლის ქნევამ დააკნინა ერთიანი, მძლავრი ქართული სული, დაამაბუნა ერის თვითმყოფადობა, შემოქმედებითი უნარი და შესაძლებლობა. სულიერ-მორალურ-ზნეობრივი გადაგვარება მოედო ფართო ფენებს... სოციალური უთანასწორობა უფრო გამოიკვეთა და გამძაფრდა. და მაშინ, როდესაც დასავლეთ ევროპაში იფურჩქნებოდა ცალკეული ერების შემოქმედებითი ენერგია, ყვაოდა რენესანსი - მისი წამომწყები - აღმოსავლეთის დესპოტურ ტირანიებს შორის მომწყვდეული პატარა ქვეყანა სისხლისაგან იცლებოდა, სულს ღაფავდა აგონიაში ჩავარდნილი.

დაჰყავი და იბატონე - აი, ძირითადი ფორმულა, რაც ასე ბრწყინვალედ აითვისეს, შეისისხლხორცეს, შემდგომ განავითარეს და გაატარეს რუსეთის თვითმპყრობელმა მონარქებმა.

დაჰყავი...

უნდა დაეწყოთ იქიდან, რომ აფხაზეთი არ არის საქართველოს განუყოფელი ნაწილი! და გამოჩნდნენ საიმისოდ გაწაფული, დაქირავებული პროპაგანდისტები ე. წ. მეცნიერები.

აფხაზეთი არ არის საქართველო!

მაგრამ ესეც არ იკმარეს, საჭიროა უფრო მეტი: ადიღეურ-ჩერქეზული ტომი უნდა დაუპირისპირდეს ქართველურს, ადიღეური მოდგმის ხალხი უფრო ძველია ქართველურზე და მათ მთელი დასავლეთი საქართველო ეკავათ ტრაპეზუნტის ჩათვლით (ლაზ-მეგრელები და სვანები სადღა არიან? ისინი მერე მოვიდნენ, გვიან; საიდან გამოჩნდნენ? სადღაც აღმოსავლეთიდან თუ სამხრეთ-დასავლეთიდან, თუ.... ვინ უწყის, საიდან; მთავარია, ადგილობრივი მკვიდრნი არ გახლავან. ხოლო დამხვდურები - აბორიგენები ადიღეურ-ჩერქეზული ტომები არიან. და მთელი კულტურაც კოლხეთისა, შესაბამისად, შექმნილია მათ მიერ. საბუთი? თითო-ოროლა ტოპონიმი, თურმე, დასავლეთ საქართველოში იშიფრება მხოლოდ ადიღეური ენის მეშვეობით. ქართულ-ზანურენოვანი ტოპონიმების აბსოლუტური უმრავლესობა მერეა გაჩენილი. საბუთი? არავითარი. ბერძნულ-ბიზანტიური თუ რომაული წყაროების იგნორირება ისე შეიძლება, ვითომც არაფერი მომხდარა. მთავარი ხომ სიმართლე არ არის. მიზანი ამართლებს საშუალებას. ახლა საჭიროა კულტურის სფეროშიც მოხდეს იგივე: ჩრდილოეთკავკასიელი ტომები და სამხრეთის კავკასიელები ერთმანეთს ჰგვანან გარეგნულად, ჩაცმულობით, ადათ-წესებით, ფსიქიკით, სულიერი წყობით, ზოგადი საერთო კავკასიური კულტურით. ერთ დროს კიდეც მოხდა მათი დიდი ნაწილის კონსოლიდაცია ქართლის გარშემო, ქართულ ენაზე შეიქმნა პირველად კავკასიის ტომთა შორის დამწერლობა, მდიდარი სულიერი თუ საერო ლიტერატურა, რაიც საერთო და ახლობელი იყო ყველა კავკასიელი ტომისათვის; თითოეული ღებულობდა მონაწილეობას ამ საერთო იბერიულ-კავკასიური კულტურის შექმნაში.

მაგრამ ეს აშკარა ნიშნები მსგავსებისა უნდა წაიშალოს, უგულებელყოფილ იქნას, და აქაც, ამ სფეროში ჩნდება ათასგვარი "თეორიები".

"რაც მან დედამიწის ზურგზე თავი შეისწავლა, მის დევიზად თავის დღეში არ ყოფილა ქელვა, დათრგუნვა, დაბრიყვება, დამონება, მიწასთან გასწორება რომლისამე ერისა. ჩვენი ერის ხმალი მღელვარებდა მხოლოდ თავის თავისუფლების დაცვისათვის და დამოუკიდებლობის მოუსპობლობისათვის. თუ ოდესმე დროთა ვითარება იძულებულს ხდიდა შემოეერთებინა თავისთან რომელიმე უცხო ქვეყანა, ჩვენი ერი ანიჭებდა მას სრულს თვითმმართველობას და ხელუხლებლად იცავდა ყოველ მის უფლებას. თვით საქართველოშიც სხვა სარწმუნოების მიმდევნი სარგებლობდნენ სრულის თავისუფლებით და თანასწორობით ქართველებთან. როდესაც განათლებულს საფრანგეთში ჰუგენოტებს ართმევდნენ კაცის ყოველს უფლებასა და ბარბაროსულად ჟლეტდნენ მათ კათოლიკები, როდესაც სახელოვანს ინგლისში კათოლიკები იდევნებოდნენ უწყალოდ და ულმობლად, იმ დროს საქართველოში შემოხიზნული სომხები იყვნენ ყველაფერში გათანასწორებულნი ქართველებთან, ჰქონდათ მინიჭებული ყოველი პოლიტიკური და სამოქალაქო თავისუფლება და ხშირად მემკვიდრეობით ეჭირათ უმაღლესი ადგილები ჩვენს სამეფოში. ამგვარივე თავისუფლება ჰქონდათ მინიჭებული თვით ებრაელებსაც. იგინი... ყოველთვის სარგებლოდნენ ჩვენში სრული მყუდრო ცხოვრებით და მათ ერთხელაც არ გამოუცდიათ ის დევნა და ჟლეტა, რომლის მსხვერპლად ხდებოდნენ და ხდებიან ახლაც ევროპაში"... ჩვენი ერის სასიქადულო შვილის, იაკობ გოგებაშვილის ამ სიტყვებში წარმოჩენილია ქართველი კაცის დიდსულოვნება, შემწყნარებლობა და ლმობიერება უცხო ერის წარმომადგენელთა მიმართ, მისი განსაკუთრებული კეთილგანწყობილება ყოველი დევნილისა და დაჩაგრულის მიმართ: ისტორიაში მოხდა უპრეცედენტო ამბავი, როცა მრავალრიცხოვანი და დიდი ერები მიწის ერთ გოჯსაც არ თმობენ უსისხლოდ და უომრად, ქართველობამ თავისი პროვინციის ნაწილი სამაჩაბლო და საერისთავო დაუთმო ოსებს, რომელსაც შემდგომ, ჩვენდა დაუკითხავად, სამხრეთ ოსეთი უწოდეს.

როცა აფხაზებს თავისი მიწა-წყლიდან ასახლებდნენ, ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილმა, ერის ღირსეულმა შვილებმა აღიმაღლეს ხმა უსამართლობისა და ჩაგვრის წინააღმდეგ. მაგრამ... საქართველო უკვე პოლიტიკურად არ წარმოადგენდა დამოუკიდებელ ერთეულს. და ამდენად, არც შეეძლო რაიმე შეეცვალა დიდმპყრობელური სახელმწიფოების ზრახვებში.

პირველი საბუთი, რითაც საქართველო და ქართველობა მიიწევდა რუსეთისაკენ, იყო მისი ერთმორწმუნეობა, მაგრამ ჯერ კიდევ მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში, როცა კახეთში პირველად გამოჩნდნენ მეფის რუსეთის მიერ გამოგზავნილი მღვდლები, ნათლად გამოჩნდა მათი "მისიონერული მოღვაწეობის" ნამდვილი შინაარსი და მიზანი. დიდი ისტორიკოსი ივ. ჯავახიშვილი წერს: რუსთა მიერ გამოგზავნილი მღვდლები, "როგორც კარგი გამომძიებელნი და მეძებარნი, იმ წამსვე ეკლესიების ჩხრეკას შეუდგებოდნენ ხოლმე და წირვაზე უარს ამბობდნენ, საკურთხეველს სხვანაირი სამოსი უნდა ჰქონდესო, სახარების ყდას და ბარძიმს ესა და ეს სახე აკლია და გამოყვანილი არ არისო, ეკლესიები ხელახლა უნდა ეკურთხოთო. თავდაპირველად კი, სადაც რუსი მოძღვრები გამოჩნდნენ, სიხარულით ხვდებოდნენ ყველგან, ვითარცა თანამორწმუნეებს, რომელთაც ქართველების დახმარება სწადიათ "ურჯულოთა" წინააღმდეგ ბრძოლაში; ხოლო მათ სიყვარულისა და მშვიდობიანობის დამყარების მაგიერ თავიანთი მედიდური და მძულვარებით გამსჭვალული ქცევით ყველგან უსიამოვნო გრძნობა დატოვეს".

მე-19 საუკუნეში, როცა უკვე რუსეთი სრული ბატონ-პატრონი შეიქმნა საქართველოსი და უწინარეს ყოვლისა, სახელმწიფო დაწესებულებებიდან განიდევნა ქართული ენა, ჯერი მიდგა ეკლესიაზე: პირველ რიგში მოისპო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობა, კათალიკოსის ნაცვლად ახლა ეგზარქოსი განაგებდა ქართულ ეკლესიას. თუ რას წარმოადგენდნენ ეგზარქოსები და როგორ "განაგებდნენ" ისინი ქართულ ეკლესიას, ამის შესახებ თვით რუსი ისტორიკოსი ბრაილი აღნიშნავს: "რუსი ეგზარხოსები ევლინებოდნენ საქართველოს არა იმისთვის, რათა ემწყემსათ მათთვის მინდობილი ეკლესია, არამედ ეძარცვათ და გაენიავებინათ ძველი ივერიის საეკლესიო ქონება, შეურაცხეყოთ მის მცხოვრებთა ენა; მერე კი ნაძარცვი საეკლესიო ქონებით და ფულით დაბრუნებულიყვნენ რუსეთში. სინოდს საშინელი ბოროტებისა და ზიანის მეტი არაფერი მოუტანია საქართველოს ეკლესიისათვის. მისთვის ეს ეკლესია, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, იყო ბარბაროსული ქვეყნის ეკლესია. უგულებელყო რა ყველა საეკლესიო კანონი და დადგენილება, რომელიც ქართულ ეკლესიას ეხებოდა, მისცა რა ცეცხლს მრავალი უძველესი საეკლესიო დოკუმენტები, სხვები კი გაზიდა პეტერბურგში, სინოდის მმართველებმა წაართვეს საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალობა, დახურეს ოცზე მეტი ეპარქია, რომელთაგან ზოგიერთი არსებობდა ქრისტიანობის მიღების დროიდან, ე.ი. დაახლოებით 15 საუკუნის განმავლობაში; გაანადგურეს მრავალი ძველი მონასტერი და მიაღწიეს იმას, რომ ხაზინისთვის გადაეცათ ქართული საეკლესიო მამულები და ამით ქართული ეკლესია მიიყვანეს ისეთ სავალალო მდგომარეობამდე, რომ ამჟამად 860-ზე მეტი ეკლესია უმოქმედოა.

რუსის ეგზარხოსები, რომელთაც საქართველოში აგზავნიან, ამ ქვეყანას უყურებენ, როგორც საძარცვ მხარეს, რამეთუ ღვთის მადლით, იგი ჯერ კიდევ არ არის მოკლებული ფასდაუდებელ საუნჯეებს. როცა საქართველოში ისეთ ეგზარხოსებს ნიშნავდენ, როგორიც პავლე, პალადი და ვლადიმერია, ჩვენი სასულიერო უწყება საქართველოს არომეევს საშუალებას ილოცოს თავის მშობლიურ ენაზე. განსაკუთრებით გამოირჩევა ამ საქმეში მცირე განათლების მქონე სოხუმის ეპისკოპოსი არსენი.

ერთობ გამწვავდა მდგომარეობა მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში, იმავე ბრაილის სიტყვებით რომ ვთქვათ: "ამჟამინდელმა რუსის ეგზარხოსმა ვლადიმერმა ნადირის მსგავსი ყოფილი ეგზარხოსის პავლეს დარად... წაართვა ქართველებს უფლება ილოცონ მშობლიურ ენაზე საქართველოს განმანათლებლის, მოციქულთა სწორის, წმინდა ნინოს საფლავზე... ამ ბოლო დროს კი იგი საეპისკოპოსო კათედრაზე ნიშნავს რუს ეპისკოპოსებს, რომელთაც. არა სურთ იცოდნენ თავიანთი მრევლის ენა და ამის გამო სასაცილო ხდებიან უკანასკნელთა თვალში".

როგორც ცნობილია, სწორედ ამ ერთ-ერთმა "ნადირის მსგავსმა" ეგზარხოსმა პავლემ იყო, ამბიონიდან რომ დასწყევლა ქართველი ერი... - უპრეცედენტო შემთხვევა მსოფლიო ისტორიაში! საჯარო წყევლასაც აღარ თაკილობენ "ერთმორწმუნე" ქვეყნის სასულიერო პირნი. ამ გაუგონარ შეურაცხყოფას შეეწირა კიდეც საქართველოს საუკეთესო შვილი დიმიტრი ყიფიანი, რომელმაც არ მოუთმინა თავგასულ შავრაზმელ "ღვთის მსახურს" ერის აბუჩად აგდება, ერის შეგინება.

მაშ ასე: სახელმწიფო დაწესებულებებში, სასამართლოებში, სკოლებში, ეკლესიებში აიკრძალა ქართული ენა, მაგრამ კიდევ რჩებოდა ერთი დაბრკოლება: ტერიტორიული მთლიანობა. უნდა გამოსცლოდა მიწა ადგილობრივ მკვიდრთ და კოლონიზატორთა ხელში გადასულიყო, "თუ ჩვე-

ნი ხალხი გამოესალმა მიწა-წყალს, მისი გაქრობა დედამიწის ზურგიდან აუცილებელი გახდება... მიწა-წყალი ნამდვილი ფესვია ერის ცხოვრებისათვის და როგორც ხე მოშორებული ფესვებს, ხმება, ისე იღუპება ერი, როცა ხელიდან ეცლება მიწაწყალი, ტერიტორია", -იაკობ გოგებაშვილის ამ სიტყვებში ნათლად და მკაფიოდ არის წარმოჩენილი, რა საშიშროების წინაშე იდგა ქართველი ერი. "ტერიტორია ის ძალაა, რომელიც ეროვნებას აკავშირებს და გარკვეულ სახეს აძლევს. იმ ძალის უქონლობა ერმა უსათუოდ, როგორმე უნდა აინაზღაუროს: წინააღმდეგ შემთხვევაში გადაგვარება და გაქრობა მოელის" (გერ. ქიქოძე).

... საქართველოს სახელი წაშლილი იყო პოლიტიკური გეოგრაფიის რუკაზე, ქართული ენა განდევნილი იყო ადმინისტრაციული დაწესებულებებიდან, სასამართლოდან, საშუალო სკოლიდან, ეკლესიიდან, მეფის მთავრობა ერთმანეთს უპირისპირებდა ქართლ-კახელებს, იმერლებს, მეგრელებს, აფხაზებს" (გ. ქიქოძე).

სრული პოლარული წყვდიადი!

აშკარა, დაუფარავი შეტევა საქართველოს მოსასპობად, მის გასაქრობად, კიდურებმოგლეჯილი, აჭრელებული, დახუსტებულ-დაკნინებული, მუხრანსკებით, ქავჟარაძეებით, აშორდიებით "დამშვენებული" საქართველო უკვე მერამდენედ დადგა ყოფნა-არყოფნის პრობლემის წინაშე - მარტოდმარტო შერჩენილი გაუმაძღარ იმპერიას - უთვისტომო, უმეგობრო.

მაგრამ ახლა, მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს ბევრად უფრო მძიმე და რთული ვითარება შექმნილიყო ვიდრე ოდესმე. რა დაუპირისპირა ქართველობამ ამ ერთობლივ სასტიკ და გაუგონარ შემოტევას? ენა, ღვთივკურთხეული ქართული ენა.

I მსოფლიო ომის დროს მეფის მთავრობამ უკვე აშკარად მოიწადინა აფხაზეთის მოკვეთა დედა საქართველოდან და ჩერნომორიის გუბერნიასთან მისი მიერთება. აფხაზეთის ეკლესიის - სოხუმის ეპარქიის - საქართველოს ეგზარქატისაგან ჩამოცილება და უშუალოდ პეტერბურგში არსებულ ე. წ. უწმიდეს სინოდისადმი და ქვემდებარება. ფეხზე დადგნენ მთელი აფხაზეთის მოწინავე ადამიანები. წინ აღუდგნენ მას. შედგა დეპუტაცია. დელეგაცია თბილისში ჩამოვიდა და მეფისნაცვალს წარუდგინა პროექტი, რომელიც გრიგოლ შარვაშიძის მიერ იყო შედგენილი.

დედააზრი ერთი იყო ამ პროექტისა: "ერთობა ქართველებთან გვიხსნის მრავალნაირ განსაცდელთაგან და ამიტომ ყოველ საქმეში ჩვენ ერთად ვართ და ვიქნებით". აფხაზეთის დეპუტაციამ კავკასიის მეფის ნაცვალს წაუყენა ეროვნული მოთხოვნები: აფხაზეთ-სამურზაყანოში ქართული სკოლების გახსნა, გზების კეთილმოწყობა და ა.შ. დეპუტაცია წარუდგა, აგრეთვე, საქართველოს ეგზარქოს პლატონს.

"თეატრი და ცხოვრება" წერდა: "სამშობლო იღვიძებს, წყლულების გამრთელებას ცდილობს, დიდი ხნიდან დაქსაქსულნი ძმანი ძლივს ერთი კერის ირგვლივ დედა ქართლის გარშემო - ვიკრიბებით. გვეყო, რაც უერთმანეთოდ, ერთი მეორისაგან გათიშულნი ვცხოვრობდით. ქართლ-კახეთი, იმერეთი-ამერეთი, გურია-სამეგრელო-აფხაზეთ-აჭარა-სვანეთი რომ ერთი დედ-მამის შვილნი ვართ, განა ამას მტკიცება უნდა! შავ დროთაგან გაგარეგებულნი ქართველი მაჰმადიანები უკვე გვიბრუნდებიან.

ახლახან გაბედულად ხმა ამოიღო ძველი საქართველოს მშვენებამ - აფხაზეთმა და თავისი წარმომადგენლის ბაგით განაცხადა: მომეცით გზა განათლებული ცხოვრებისა და ნუ მწყვიტავთ დედა-საქართველოს მკერდს, მე მისი ძუძუ მიწოვია, იგი ჩემით საზრდოებულა: მასთან სიცოცხლე, მასთან სიკვდილი! ასე იყო ძველად, ასევე უნდა იყოს ახლა.

ვაშა და დიდება გათვითცნობიერების გზაზე შემდგარ ხალხს, სიბნელეს საკვებით არ უძლევივართ, გარიჟრაჟი შემოგვღიმის და მომავალს გვიქადის. სალამი ჩვენი გულის ჩამონაწყვეტ საკინძს - ჩვენს ძმებს აფხაზებს და გაუმარჯოს მათ პირველ ნაბიჯს".

აკი გიორგი შარვაშიძესაც-აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის პირმშოს - "აფხაზეთი უსაქართველოდ და საქართველო უაფხაზეთოდ ვერ წარმოედგინა". "უბედური მამულის ყმის" გულიდან ამოხეთქილ-ამონაკვნესი იყო: "იქ ისმის ჟღერა ბორკილებისა, იქ კვნესის ხული, არ გესმით განა? ღირსია, ძმაო შებრალებისა, ის უბედური ჩვენი ქვეყანა!"

ციალა არდაშელია

მწერალი, ჟურნალისტი

ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებაში ნაყოფიერად მონაწილეობდა აფხაზეთი, სადაც აღმოცენდა არაერთი კულტურულ-საგანმანათლებლო კერა. სამწუხაროდ, მოღწეული მასალის სიმცირის გამო ჩვენი წარმოდგენა იქ გაჩაღებულ მწიგნობრულ-შემოქმედებით მუშაობაზე სრული არაა. ძველმა ქართულმა ლიტერატურულმა მემკვიდრეობამ საერთოდ ნაკლული სახით მოაღწია, ბევრი ხელნაწერი განადგურდა.

მოქვში საუკუნეთა მანძილზე გრძელდებოდა ხელნაწერთა გამრავლება, ძველი ნუსხების გაცხროველება და ა.შ. მოღწეულია იქაური წიგნსაცავის ხელნაწერები, რომლებიც გვაცნობენ მოქველ მოღვაწეთა სახელებს. უპირველესად უნდა მოვიხსენოთ დანიელ მოქველის თაოსნობით გადაწერილი ოთხთავი (1300 წ.). იგი მოხატულია მდიდრულად, შემკულია ხელოვნებით შესრულებული ორნამენტებით. გადამწერი და გამფორმებელია ბერი ეფრემი. ეს ერთი ხელნაწერიც კი გვიჩვენებს, თუ რა მაღალ დონეზე იყო მწიგნობრობა მოქვში. ასევე საინტერესოა მოქველი მღვდელმთავრის, ექვთიმე საყვარელიძის ბრძანებით, ნავკრატიოზ ცინცაძის მიერ გადაწერილი მეტაფრასი (XVI ს.); მოქვისათვის გადაწერილი, - ზებედე დიაკვნისა და გიორგი მწერლის მიერ, - გულანი (XVI ს.) და სხვ.

ბედიელ მღვდელმთავრებს კარგი წიგნსაცავი შეუქმნიათ და თვითაც მიუღიათ მონაწილეობა ხელნაწერთა დამზადებაში. ბედიელი მიტროპოლიტის, გერმანე ჩხეტიძის (XVI ს.) ინიციატივითაა გადაწერილი გულანი. მან შავშეთიდან ჩამოიყვანა კალიგრაფი გაბრიელ ლომსაძე და გადააწერინა გულანის ნაწილი (თვენი, მარხვანი). დანარჩენი ნაწილები გადაუწერიათ ამბროსი კარგარეთელს, საბა ნაფოტაძესა და სხვა მწიგნობრებს.

ბიბლიოფილი ყოფილა ბედიელი მთავარეპისკოპოსი ანტონ ჟვანიძეც (XVI ს.).

ლევან მენაბდე

პროფესორი



# აფხაზი აბსუა არ არის
# აფხაზეთი აბსნი არ არის

## აბსოების საცხოვრისი I საუკუნეში პლინიუსის მიხედვით




საქართველოში ორასიოდე წლის წინ ჩრდილო-კავკასიიდან შემოიხიზნა აბსოა ტომის მცირე ნაწილი. აბსოათა უმრავლესობა ისევ ჩრდილო კავკასიაში დარჩა და დღესაც იქ ცხოვრობს. ამ ტომის წარმომადგენლებმა და არა მარტო მათ, საბჭოთა პერიოდში, სსრკ-ში, აქედან კი სსრკ-ს ფარგლებს გარეთ გაავრცელეს შეხედულება, თითქოს აბსოები საქართველოს შავი ზღვისპირეთში, კერძოდ, ცხუმის, გაგრის მიმდებარე მიწაწყალზე ცხოვრობდნენ და რომ თითქოს აბსოა ტომის სამშობლოა აფხაზეთი, რომ თითქოს აბსოა არის აფხაზი.

აბსოა ტომს წერილობით რაიმე გადმოცემა აბსოათა ენაზე არ ჰქონია. მათ მხოლოდ ახლახან, ხელოვნურად შეუქმნეს დამწერლობა ქართული ასოებით, შემდეგ ის შეცვალეს რუსული ანბანით. აბსოათა ენაზე პირველი წიგნი მხოლოდ მეოცე საუკუნეში დაიბეჭდა. აბსოებს რომ თავიანთ ენაზე ძველი წერილობითი წყარო ჰქონოდათ, ალბათ, მასში შემორჩებოდა რაიმე ცნობა მათი სადაურობის, ენის, ეროვნულ-ტომობრივი თვისებების შესახებ. ეს კი სწორ გზს დაუსახავდა ამ საკითხების მეცნიერულ კვლევას. სამწუხაროდ, აბსოათა ენაზე ასეთი ძველი წერილობითი ცნობა არ არსებობს. თუმცა თქმულებებში, რომლებსაც აბსოები თაობიდან თაობამდე გადასცემენ ახლობლებს, ზეპირად (და არა წერილობით), მრავალჯერ არის აღნიშნული, რომ მათი სამშობლო ამიერკავკასიაში არ იყო, რომ ისინი ჩრდილო კავკასიელებია.

ქართულ ენაზე დაწერილ, ან სხვა ენიდან თარგმნილ ტექსტებში აბსოა - აბზოა არსადაა,

ამიტომ არ ვიცით, ვინ იყვნენ აბსოები, სად ცხოვრობდნენ წინათ, რა ენაზე მეტყველებდნენ, კავკასიელები არიან ისინი, თუ ჩრდილოკავკასიაშიც სხვა რეგიონიდან ჩამოსახლდნენ. არც რუსულ ენაზე მოღწეულ ძველ ტექსტებში ჩანს რაიმე აბსოათა შესახებ. ერთადერთი ძველი ხანის ცნობა შემოუნახავს ლათინურ ენაზე დაწერილ ენციკლოპედიას, რომელიც რომის იმპერატორის დავალებით შეადგინა პლინიუსმა (მცირე აზიის დიდი ნაწილის სახელმწიფო მმართველმა) I საუკუნეში და ამიტომ მას ოფიციალური, სახელმწიფო დოკუმენტის ძალა აქვს. ენციკლოპედიას ახლდა რუკებიც. აბსოათა საცხოვრისი პლინიუსმა მიუთითა არა შავ ზღვასთან, არამედ მისგან მოშორებით - ჩრდილო კავკასიის ჩრდილოეთით გადაშლილ ველზე. თერგსა და ვოლგას შორის მოქცეულ რომელიღაც რეგიონში, ის წერდა, რომ აბსოები სკვითებია და სხვა სკვითი ტომების მეზობლად ცხოვრობენ. მომთაბარეები არ არიან.

ვაქვეყნებთ რუკას, რომელიც პლინიუსის ენციკლოპედიის ტექსტის მიხედვით არის შედგენილი და გამოქვეყნდა საფრანგეთში და შვეიცარიაში (ქ. პარიზში და ქ. ნაშატელში) მე-19 საუკუნეში. რუკა გადმოვბეჭდე ფრანგულ ენაზე შედგენილი მრავალტომეულის - "მოგზაურობა კავკასიაში", - ერთ-ერთი ტომიდან, რომელსაც "ატლასი" ეწოდება (იხილეთ ფედერიკ დიუბუა დე მონპერე, "ვუაიაჟ ოტურ დე კავკას", ატლასი 1845 წ. რუკა 12 პირველი სერიიდან - "საისტორიო გეოგრაფია").

დავხედოთ ამ რუკაზე საქართველოს. (იხ. გვ. 42) ის მოიცავს ვრცელ მიწა-წყალს შავი ზღვის სანაპიროზე და გადაჭიმულია კასპიის ზღვის სანაპირომდე. ამ რუკის მიხედვით, სანაპიროს ჩათვლით - დღევანდელი აფშერონის ნახევარკუნძული, ქ. ბაქოს ადგილი წინათ ქართველი იბერიელებით ყოფილა დასახლებული. წითელი ხაზით აღნიშნულია ქართველების - კოლხების, იბერიელების, სვანების, ლაზების, გეორგების საცხოვრისი მიწა-წყალი.

იმ მიწა-წყალზე, რომელსაც დღეს აფხაზეთს ვუწოდებთ, მაშინაც ქართველები იყვნენ დამკვიდრებულნი - კერძოდ, აბშილები და სვანები (ლათინურ ენაზე წერია "აბსილე", "სანიგარუმ"). ტექსტში პლინიუსი არ გამოყოფს აბშილებს და სვანებს რაიმე გამორჩეული ნიშნით სხვა მეზობელი კოლხებისაგან; ამიტომ აბშილები, ლაზები, სვანები, მოქცეულნი არიან მთლიანი წარწერის ქვეშ "კოლხები" (ლათინურად წერია: "კოლხორუმ ჯენტეს"). აკადემიკოსმა ფრედერიკ დიუბუა დე მონპერემ, ეროვნებით შვეიცარიელმა, კავკასიის მოსახლეობის წარმოშობის, სადაურობის, ზნე-ჩვეულებების, ისტორიის შესწავლას მრავალი წელი შეალია საფრანგეთში, შვეიცარიასა და რუსეთში. ის წერდა - აბშილები მეგრელებია, წინათ ჰენიოხები ეწოდებოდათ ("აპსილზ - პიიპლ მეგრელიენ, ანსიან ჰენიოხოი") ფ.დიუბუა "ვუაიაჟ ოტურ დე კავკას", VI ტომი; "აბსილ" სიტყვის განმარტება სახელთა საძიებელში ტომის ბოლოს გვ. 396. ამგვარად, პირველ საუკუნეში სცოდნიათ ევროპა-აზიაში, რომ აბშილები (ლათინურად "აბსილე") კოლხები იყვნენ. აბშილეთი პირველ საუკუნეში დიოსქურიასთან იყო. (შემდგომ საუკუნეებში აბშილეთი ეწოდებოდა დიოსქურიის ჩრდილოეთით მდებარე რაიონს. მეექვსე საუკუნიდან სიტყვა "აბშილეთი" აღარ იხსენიება, როგორც ცოცხალი ტოპონიმი), ხოლო დიოსქურია კოლხთა ქალაქიაო, წერდა პლინიუსი (იხილეთ პლინიუსი, ლონდონი, II ტომი, გვ.348). მომდევნო გვერდზე დაბეჭდილ ინგლისურ თარგმანში ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორმა ჰ. ჯონსმა იგივე შინაარსი ჩააქსოვა: "უიდ დე კოლხიან სითი დიოსქურია ონ დე რიკერ ანთემუს ნაუ დეზერტიდ". (დიოსქურია კოლხთა ქალაქია და მდინარე ანთემუნთას ნაპირთან მდებარეობს).

საგულისხმოა, რომ დიოსქურიის მეორე სახელია ცხუმი (ცხომი), სამწუხაროდ, იგი დღეს აღარ იხმარება და შეცვლილია თურქი დამპყრობლების მიერ დანერგილი ფორმით - ზღუმ, ზოლუმ, სოხუმ. II საუკუნის პოლიტიკური მოღვაწის, კაბადოკიის მმართველის, ფლავიუს არიანეს მიხედვით დიოსქურიაში ცხოვრობდნენ სვანები. რადგან დიოსქურია კოლხური ქალაქი იყო, კოლხური დასახლება უნდა ყოფილიყო მაშინ მის მახლობლად მდებარე სებასტოპოლიც. პლინიუსის ენციკლოპედია რომის იმპერატორის, ვესპასიანეს დავალებით დაიწერა, როგორც საზოგადოებისათვის განკუთვნილი საცნობარო სახელმძღვანელო. რომის იმპერატორები იმ პერიოდში საქართველოს ორივე ნაწილს - იბერიასაც და კოლხეთსაც, მათი ჩრდილოკავკასიური ტერიტორიების ჩათვლით, ასევე ბოსფორის სამეფოსაც (ჩრდილო კავკასიაში) რომის იმპერიის ხელქვეით, ხან რომის იმპერიის უშუალო ნაწილად, ხან "მეგობრის" სტატუსით დაბორკილ პოლიტიკურ ერთეულად მიიჩნევდნენ. იმპერატორ ვესპასიანეს ქართლში გადახდილი ომის შემდეგ თავისი მოხელეებისთვის დაუვალებია მცხეთაში დაედგათ ქვა ბერძნულ ენაზე ამოკვეთილი წარწერით: მასში აღნიშნულია, რომ ვესპასიანემ და მისმა სახელმწიფო მოხელეებმა (შვილებმა) რომაელების მოსიყვარულე და მეგობარ ქართლის მეფეს - მითრიდატეს, ფარსმანის ძეს "ეს კედლები" (მცხეთის) განუმტკიცეს, ქვა მცხეთაში გზის გაყვანის დროს იპოვეს მუშებმა 1867 წელს და თბილისში, კავკასიის მუზეუმში მოათავსეს. მისი ტექსტი კი მრავალჯერ გამოაქვეყნეს ბერძნულ, რუსულ, ფრანგულ, ქართულ ენებზე.

პლინიუსი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ავტორია აბსოა ტომის ისტორიის მთავარი საკითხის - მისი ისტორიული სამშობლოს გასარკვევად. ის ერთადერთია, ვინც ახსენა აბსოა ხალხი. პლინიუსის ენციკლოპედიის შესატყვის რუკაზე აბაზგები არსად არ არიან აღნიშნულნი. პლინიუსი იტალიაში ვულკან ვეზუვის ამოფრქვევისას დაიღუპა ორმოცდაცამეტი წლისა. აბაზგები პირველად ახსენა არიანემ, პლინიუსის დაღუპვიდან ორმოცდათორმეტი წლის შემდეგ. მან ფეხით მოიარა შავი, ან, როგორც მაშინ მას უწოდებდნენ, "კოლხეთის ზღვის" (ყურადღება მიაქციეთ ზღვის სახელწოდებას) სანაპიროს აღმოსავლეთი ნაწილი - დღევანდელი აბაშის რაიონი, სადაც ცხოვრობდნენ სწორედ აბაზგები. არიანემ აღწერა კოლხეთის ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთი სანაპიროც, ყირიმის ჩათვლით. მთელი ეს ტერიტორია ქართველური ტომებით იყო დასახლებული (იხ. საქართველოს რესპუბლიკა" W 64, 1994 წ. 20 აპრილი. ნ. ფოფხაძე, "სინამდვილე კი ასეთია"). არიანეს მიერ შედგენილ ნაშრომში "ევქსინის პონტოს სანაპიროზე მოგზაურობის აღწერა", რომელიც ბერძნულ ენაზე დაიწერა და თარგმნილია ფრანგულ, ინგლისურ და სხვა ენებზე, ხოლო ქართულად - ნაწილობრივ ნათელა კეჭაღმაძის მიერ, არსაიდან არ ჩანს, რომ აბაზგები ქართველები არ არიან, რომ ისინი არაქართულ ენაზე მეტყველებდნენ. აბაზგებიც ისეთივე ქართველები ჩანან, როგორც იბერიელები, კოლხები, მესხები.

საბჭოთა პერიოდში სსრკ-ში სწორედ ამ აბაზგებს მიიჩნევდნენ დღევანდელი აბსოების წინაპრებად; არა რაიმე საუთის, არამედ სრულებით უსაფუძვლო ვარაუდის მიხედვით. აღსანიშნავია, რომ ეს შეხედულება მოხვდა სახელმძღვანელოებშიც და მათ შორის თვით ქართულ სახელმძღვანელოებში, და ახალგაზრდობა აღიზარდა ამგვარი შეგნებით. აბსოები რომ არც აბსილების მემკვიდრეებია და არც აბაზგებისა, რომ საბჭოური ვარაუდი მათი იგივეობის შესახებ, მცდარია და ამიტომ მიუღებელია, კარგად დგინდება წინამდებარე რუკის მიხედვით. აბსოების მიწა-წყლის მოსაძებნად ამ რუკაზე თვალი უნდა მოვწყვიტოთ კოლხეთს და გავაყოლოთ მარჯვნივ კასპიის ზღვის სანაპირომდე. ავინაცვლოთ კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით და კიდევ უფრო შორს. მდინარე ვოლგის სამხრეთით მდებარე ველზე მოჩანს წარწერა "აბზოა". მას მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი: "ე" ახლავს. აქ წერია "აბზოაე", რაც ქართულ ენაზე ნიშნავს "აბზოები", ანუ "აბსოები", "აბზოა" და "აბსოა" ერთი და იგივე სახელია.

აი, თურმე, სად ყოფილა აბსოების საცხოვრისი პირველ საუკუნეში და რა უსაფუძვლოა მათი გაიგივება აბსილებთან და აბაზგებთან: აბსოები კასპიის ზღვასთან ცხოვრობდნენ ვოლგის სამხრეთით, ხოლო აბსილები და აბაზგები კი - კოლხეთის ზღვის სანაპიროზე, რაც გამორიცხავს აბსილებისა და აბაზგების, ერთის მხრივ და მეორეს მხრივ, სკვითი აბსოების ერთიდაიგივეობას. ამ რუკაზე აბსილები ხაზგასმულია წითელი, ხოლო აბსოები - ყვითელი საღებავით. წითლად ქართველური ტომები აღნიშნეს, ხოლო ყვითლად - სკვითები. მათს სხვადასხვა ეროვნებისადმი კუთვნილებას საგანგებოდ მიაქციეს ყურადღება, როგორც პირველ საუკუნეში პლინიუსმა, ასევე მე-19 საუკუნეში ფ. დიუბუამ.

ვნახოთ, რა წერია პლინიუსის ენციკლოპედიის ტექსტში ამ კასპიისპირელი სკვითი ტომის შესახებ. წინამდებარე რუკის ყოველ ტომობრივ სახელწოდებას ახლავს რიცხვები, რომელთა მეშვეობით მკითხველს ადვილად შეუძლია მიაგნოს ამა თუ იმ ერის აღწერას პლინიუსის 37 ნაწილიან, უზარმაზარ ენციკლოპედიაში. წარწერასთან "აბზოაე" წერია ორი რიცხვი: რომაული "VI" და შემდეგ მისგან წერტილით გამოცალკევებული მეორე რიცხვი "13". ეს იმას ნიშნავს, რომ აბზოა - აბსოა ტომის შესახებ ტექსტი უნდა წავიკითხოთ პლინიუსის ენციკლოპედიის მეექვსე ნაწილის მეცამეტე თავში. არც ქართულ, არც რუსულ ენაზე პლინიუსის ენციკლოპედია არავის უთარგმნია. ამიტომ ავიღოთ ქ. ლონდონში დაბეჭდილი წიგნი: პლინი, ნეჩერალ ჰისთორი, უიზ ენ ინგლიშ თრანსლეიშენ, 1938 წ. მარცხენა გვერდებზე ლათინური ორიგინალური ტექსტია (როგორც პლინიუსმა დაწერა), ხოლო მარჯვნივ შესაბამისი ინგლისური თარგმანია. კავკასიის აღწერა თარგმნა ინგლისში ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორმა ჰ. ჯონსმა. პლინიუსის ამ გამოცემის რედაქტორია კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორი ჰორაციუს რექემი. ეს გამოცემა ათტომეულია. ტექსტი აბსოათა შესახებ დაბეჭდილია მეორე ტომის 364 გვერდზე. პლინიუსი აღწერს კასპიის ზღვის სანაპიროს და აღნიშნავს: "პირველ სრუტეს სკვითებისა ეწოდება, რადგან მის ორივე მხარეს სკვითები ცხოვრობენ, რომლებიც ერთმანეთს ვიწრო კალაპოტზე გადასვლით უკავშირდებიან. ერთ მხარეს ცხოვრობენ ნომადები და საკრომატები. მეორე მხარეს - აბსოას ტომი". აბსოათა საცხოვრისი პლინიუსის მიხედვით კასპიისპირეთია და არა აფხაზეთი.

"ატლასი", სადაც წინამდებარე რუკაა გამოქვეყნებული, სსრკ-ში ხელმიუწვდომელი იყო. იგი მოსკოვში, ლენინის სახელობის ბიბლიოთეკაში წიგნის მუზეუმშია მინის დიდ ყუთში ჩაკეტილი და მხოლოდ მისი ყდის დათვალიერება შეიძლება, ისიც შორიდან, მისი გადაფურცვლის უფლებას არავის აძლევენ. თბილისში "ატლასი"

ორი ცალია: ეროვნულ ბიბლიოთეკაში და საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ბიბლიოთეკაში. ჩანს, ისინიც აქამდე ან უყურადღებოდ იყო მიტოვებული, ან საგანგებოდ მიჩქმალული. იქნებ, იმ მიზნით, რათა არ გამჟღავნებულიყო სიმართლე იმის შესახებ, რომ აფხაზეთი ჯერ კიდევ ქრისტეს დაბადებამდე და მის დროსაც ქართველებით იყო დასახლებული, ხოლო აბსოები ამ დროს კასპიის ზღვასთან გადაშლილ ტრამალებზე მკვიდრობდნენ. ეროვნება "აბსოა" არ არის სიტყვა "აფხაზის" შესატყვისი. ისინი სხვადასხვა ცნებებს გამოხატავენ, აფხაზი ისეთივე ქართველია, როგორც იმერელი, გურული, მესხი, ქართლელი, მეგრელი, აჭარელი.

აუცილებელია წერტილი დაესვას ორი სხვადასხვა ხალხის ქართველი აფხაზებისა და მეორეს მხრივ, სკვითი აბსუა ხალხის (თუ ტომის) ვითომცდა იგივეობის საბჭოურ მითს: ლენინგრადელმა პროფესორმა, ისტორიკოსმა ლევ ელნიცკიმ მიჩქმალა აბსუა სკვითი ხალხის კასპიისპირეთში განსახლების ფაქტი. ამ საბუთის ავტორი კი არის რომის იმპერიის აღწერის შემდგენელი მეცნიერი და პოლიტიკოსი პლინიუს უფროსი (I საუკუნე).

მიჩქმალულია მეცხრამეტე საუკუნის კავკასიოლოგის, აკადემიკოს ფ. დიუბუას ცნობაც - კავკასიის მოზრდილი რუკა, სადაც აბსუა ხალხი, სკვითების ჯგუფისაა და მითითებულია კასპიის ზღვასთან.

მიჩქმალულია თუ მივიწყებულია აკადემიკოს პალლასის ცნობაც მეჩვიდმეტე საუკუნისა, რომლის მიხედვით იმ დროს ჩრდილო კავკასიის ჩრდილოეთით ცხოვრობდა ტომი, რომელიც თავის თავს "აბსნეს" უწოდებდა; აფხაზეთში საბჭოთა პერიოდში გაძლიერდა ქართველებისა და სხვათა იძულებით გასკვითების პოლიტიკა, რის შედეგადაც აბსუათა რაოდენობა ხელოვნურად გაზარდეს 17 პროცენტამდე.

გამოიკვეთოს სიმართლე. აფხაზეთის რესპუბლიკას არ უნდა დაერქვას სამასი წლის წინ გადაშენებული სკვითი აბსუების რესპუბლიკა.

მაინც სად არის აბაზინელთა, ანუ აფსუათა თავდაპირველი სამშობლო? ამ საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებით საყურადღებოა აკადემიკოს ფრედერიკ დიუბუა მონპერეს მიერ რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ I-ის დავალებით 1843 წელს შედგენილი რუკა. რუკას საფუძვლად დაედო რომაელი ავტორის, პლინიუს უფროსის (23-79) წწ. ნაშრომი "ისტორია ნატურალი". ამ დოკუმენტის მიხედვით, ხალხი, რომელსაც ეწოდება "აბსუა", მოსახლეობს კასპიის ზღვის სანაპირო ზოლში, დღევანდელ დაღესტანსა და ასტრახანს შორის, უდინებისა და სკვითურ-სარმატული ტომების მეზობლად (რუკა გამოქვეყნდა გაზეთ "წიგნის სამყაროში", №5, 1993 წ.). 1559 წელს პორტუგალიელი კარტოგრაფის დიოგო ჰომემის მიერ შედგენილ რუკაზე აბსუა დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე არ ფიგურირებს. ე.ი. ასეთი ხალხი იმ დროს აქ არ ცხოვრობს. ამ რუკაზე დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორია (ნოვოროსიისკამდე) "მენგრელიად" იწოდება. შუასაუკუნეების ზოგიერთი ავტორის ცნობით, შავ ზღვას "საქართველოს ზღვა" ეწოდება. მხოლოდ XVI საუკუნის შემდგომ შედგენილ რუკაზე აწერია დღევანდელი ახალი ათონის დასავლეთ ნაწილს "აბაზა" და არა "აბსნე". აფსილების ეთნიკური ვინაობა დღემდე არაა დადგენილი. ეგრისის ტერიტორიაზე მოსახლე აფსილები სხვაა, ასტრახანის მახლობლად მოსახლე აბსუა კიდევ სხვა. აფსილები ამ შემთხვევაში ქართულ ეთნიკურ სამყაროს ეკუთვნიან, ხოლო კასპიისპირელი აბსუა დღევანდელ აფსუათა წინაპრები უნდა იყვნენ. ეს თეზისი მომავალში ღრმა მეცნიერულ დასაბუთებას მოითხოვს. იმპერიამ აკრძალა აფხაზთა ვინაობის კვლევა-ძიება. ამის უფლება მხოლოდ აფხაზ ექსტრემისტებსა და რეაქციონერ რუს მეცნიერებს ჰქონდათ. ქართველებს და ჭეშმარიტ აფხაზ მეცნიერებს სიმართლის აღიარებისათვის ბოლშევიკური სიმკაცრით სჯიდნენ (გავიხსენოთ პ.ინგოროყვა, ნ.ბერძენიშვილი, ხ.ბღაჟება და სხვა).

... განა აფხაზები სლავური წარმოშობის ხალხია? განა ისინი ინდო-ევროპულ ენათა ოჯახს ეკუთვნიან? აფხაზები ხომ იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში შედიან. უფრო მეტიც, დღევანდელ აფხაზთა ნახევარზე მეტი ქართული წარმოშობისაა, მშვენივრად ფლობენ ქართულს და მეგრულს, ხოლო აბსუათა დიდმა ნაწილმა საერთოდ არ იცის აფსუური ენა, რომელსაც დღეს ზოგი მცდარად აფხაზურს უწოდებს.

**ნათელა ფოფხაძე**

უცხო ენების სპეციალისტი. დემოგრაფი



# ვინ არიან აფხაზები?

"ჩვენმა მამებმა შესცოდეს და აღარ არიან, ჩვენ კი, მათ სასჯელს ვიხდით".

გოდება იერემიასი, 5,7.

მას შემდეგ, რაც კავკასიის ხალხები კრემლის შვილობილებად მოვინათლეთ, მზერა ჩრდილოეთისაკენ გაგვექცა და ერთმანეთი დავივიწყეთ. დღეს ჩვენი ხელმეორედ გაცნობა რუსული იარაღის ჟღარუნით ხდება. კავკასიური სიჯიუტით ვცდილობთ ერთმანეთის დაჯაბნას, ნაცვლად გაერთიანებისა და ერთ მუშტად შეკვრისა, როგორც ეს ჩვენმა წინაპრებმა იცოდნენ.... საქართველოს მეფის დაძახილზე მთელი კავკასია ფეხზე დგებოდა; ამ ერთობის შეგნებამ გადაარჩინა ჩვენი ხალხები, ხოლო პირიდან მიწისა აღიგავა მათი განადგურების მოსურნე არაერთი იმპერია.

მიუხედავად კავკასიაში რუსეთის ცარიზმის ორასწლიანი ბატონობისა, რომლის ერთ-ერთი მთავარი მიზანი დაპყრობილ ქვეყანაში შუღლისა და მტრობის გაჩაღება იყო, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს არ დაუკარგავთ წონასწორობა. დღეს კი საქართველოს მიმართ სამარცხვინო მისია იკისრეს, რუსეთის რეაქციულ ძალებთან ალიანსში, შეთქმულების მონაწილენი გახდნენ, ვერ გაითვალისწინეს, რომ იმავე ძალების მორიგ ლუკმად თვითონ იქცეოდნენ. ამის აშკარა დასტურია ჩეჩნეთის ომი.

მანამდე ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც კი ვყოფილვარ, ყველგან საქართველოს ადიდებდნენ; მის ძლიერებასა და მომავალში ხედავდნენ საკუთარ მომავალს, თაყვანს სცემდნენ ქართველ მეცნიერებს, ხელოვნების კორიფეებს, სასწავლებლადაც თბილისისკენ მოუწევდათ გული; აქ იცავდნენ სამეცნიერო დისერტაციებს.

ოდესღაც ქრისტიანი სჯულის აღმსარებელნი, მაგრამ უკვე მუსულმანი მთიელები, თვალის ჩინივით უფრთხილდებოდნენ სასთუმალქვეშ სათუთად შენახულ ქართული სახარების ფურცლებს, დარწმუნებულნი იმაში, რომ მათ უდიდესი ძალა გააჩნიათ.

ჩრდილოეთ კავკასიის მთიელებს ჩვენი იმედი ჰქონდათ, ჩვენს სიტყვასა და რჩევას ელოდნენ, ჩვენ კი ზურგი შევაქციეთ, რუს და აფხაზ ავანტურისტებს შევატოვეთ ხელში. ისტორიულად ისინი ყოველთვის საქართველოზე ამყარებდნენ იმედებს.

იმპერიის სატანურმა ძალებმა მიაღწიეს იმას, რომ კავკასიაში მოძმე ხალხები რუსული მრისხანე იარაღით დარეოდნენ ერთმანეთს (იარაღი კი ყველას ბლომად დაურიგეს, ქართველების გარდა).

ჯერჯერობით გონიერებაზე უგუნურება ზეობს, მაგრამ როგორც ყოველთვის, საბოლოო გამარჯვება სიკეთის წილხვედრია.

სეპარატისტების ქმედებით, საქართველოს წინააღმდეგ საცეცხლე წერტილად ქცეული აფხაზეთი ერთ-ერთი პირველი ჩაიძირა მოძმეთა სისხლის მორევში. ჭრილობების მოშუშებას ათეული წლები დასჭირდება.

ამ უბედურების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი აფხაზთა ეთნიკური ვინაობის განგებ გაუკულმართება იყო. თავის დროზე ყველაფერი გარკვეული და ნათელი იყო. აფხაზი თავს ქართველად თვლიდა და საქართველოს მზეს ფიცულობდა. ამას ადასტურებს თუნდაც ცნობილი აფხაზი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის, გიორგი შარვაშიძის შემდეგი სიტყვები: "მართალია, ჩვენს სამშობლო ივერიას ყოველგვარი კულტურული განცდა გამოუვლია, მაგრამ ჩვენი წარსული ისეთს ჟამს გაშშდა, რომ დაგვებნა ბუნებრივი ევოლუციის შარა და კანონი....

ენა გაღარიბდა, ზნეობა წაგვიხდა, ქონება - შეძლება დაკარგეთ, რაინდობა და პატიოსნება განვაგდეთ და ბოლოს მივაღწიეთ იმ ხანაში, როცა კეთილდღეობასა ეპოვნიდით ჯაშუშობაში და სამშობლოს ღალატში". თითქოს დღევანდელ დღეზე იყოს ნათქვამი.

აფხაზთა ვინაობის გაბუნდოვანებაში რუს მეცნიერებთან ერთად ქართველ მკვლევართა გარკვეულ ნაწილსაც მიუძღვის ბრალი. ეს იყო ბოლშევიკური იმპერიის იდეოლოგიური სამსახურისათვის გაღებული ხარკი.

ყოველივე ამან ხელი შეუწყო აფხაზური სეპარატიზმის აღორძინებას.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ზოგიერთი ქართველი სწავლული დღესაც სეპარატისტთა წისქვილზე ასხამს წყალს, ვითომც ობიექტური მკვლევარის სახელის დაცვის მიზნით, სიმართლის გაწირვის ხარჯზე, მაშინ, როცა თვით აფხაზური სეპარატიზმის ერთ-ერთი იდეოლოგიური ხელმძღვანელი, პროფესორი შ. ინალ-იფა 1992 წელს ქართული ინტელიგენციის ერთ ჯგუფთან შეხვედრის დროს სინანულით ამბობდა: "К сожалению, в прошлом я тоже много глупостей написал".

ეს იყო ომის დაწყებამდე. იმ დროს ბატონი შ. ინალ-იფა უკვე გრძნობდა, რომ აფხაზური სეპარატიზმის ნოყიერ ნიადაგზე აღზრდილი

არძინბა თავის ხალხს უფსკრულისაკენ მიაქანებდა.

დღეს ყველასათვის ცხადია, რომ აფხაზთა დაახლოებით 80 პროცენტი ქართველია, ქართული გვარის მატარებელი. 12-13 პროცენტი კი ჩრდილო კავკასიელია - ადიღელი, აბაზი, შაპსუღი, ჩერქეზი, ყაბარდოელი და ა.შ., რომელთაც თავიანთი მოძმეები ხაჩიფსეს ეძახიან. აფხაზი და აფსუა ჩრდილოეთ კავკასიელებისათვის გვიან გაცნობიერებული ტერმინებია. ისინი ადრე "აფხაზებს" თავისიანებად არ თვლიდნენ, მაგრამ, როცა გაიგეს, რომ ხაჩიფსეებსაც აფხაზებს ეძახიან, შემდეგ ეს ტერმინი ქართველობის აღმნიშვნელად აღარ მიიჩნიეს.

ხაჩიფსუ ხეობას ჰქვია ადიღეში. მაგრამ ყველა ე.წ. აფხაზი ამ ხეობიდან როდია ჩამოსახლებული. მათში არიან შაპსუღები, აბაძეხები, აბაზები, ჩერქეზები, ყაბარდოელები, ადიღეები და ა.შ. ეს კარგად ჩანს მათი გვარებიდან (იხ. თ. მიბჩუანი, აფხაზური სეპარატიზმის სისხლიან ნაკვალევზე; 1994, გვ. 82-89).

აფხაზეთში ჩამოსახლების შემდეგ ყველა ეთნიკურმა ჯგუფმა უმრავლესობის (აბაზების) ენა გაითავისა. ამ ენაზე მეტყველებს დღევანდელი აფხაზების გარკვეული ნაწილი. სხვა ადიღეური ენები (ჩერქეზულ-ყაბარდოული და ა.შ.) აფხაზებისთვის გაუგებარია.

ადიღეური ხალხები, ასევე მათი მეზობელი ტომები ჩრდილო კავკასიური წარმოშობის აფხაზებს ხაჩიფსეებს ანუ აბაზებს უწოდებენ. ამაში ისინი მართალნი არიან, რადგან ეს ე.წ. აფხაზები აბაზურ ენაზე მეტყველებენ.

ხაჩიფსე ტერმინს აფხაზთა მიმართ ხმარობენ ყაბარდოელები, ჩერქეზები, ყარაჩაელები, ბალყარლები. მათი სიტყვით, ისინი ჩრდილოეთ კავკასიიდან არიან გადმოსული შავი ზღვისპირეთში, არცთუ შორეულ წარსულში.

ასეთი გაგება ჰქონდათ ჩრდილოეთ კავკასიელებს ამ 20-25 წლის წინათ.

დღევანდელი აფხაზები საკუთარ თავს აფსუას უწოდებენ და ამ ტერმინს "აფშილ" ეთნონიმთან აკავშირებენ. აფშილები (აფსილები) კი ანტიკურ და ადრეულ შუა საუკუნეებში დღევანდელი გულრიფშის ტერიტორიაზე მოსახლეობდნენ, ზღვიდან წებელდამდე. ამ ტერმინს არაფერი აქვს საერთო "აფსუას" დღევანდელ გაგებასთან. ცხუმი (დღევანდელი სოხუმი, რომელიც სვანური წარმოშობის ტოპონიმია) აფშილთა მიწა-წყალზე მდებარეობდა. მართალია, არაფერი ვიცით აფშილთა ენის შესახებ, მაგრამ მათი განსახლების ტერიტორიაზე მხოლოდ სვანურ-მეგრულ-ჭანური ტოპონიმები გვხვდება. XVII საუკუნემდე ამ რეგიონში არც ერთი ადიღეურ-აბაზური წარმოშობის გეოგრაფიული სახელი არ დასტურდება. ეს ჩანს იმ რუკებიდან (I - XVII სს.), რომელთა გამოქვეყნებას აფხაზი მკვლევარები ყოველთვის თავს არიდებდნენ.

ეს და სხვა ფაქტები არც აკად. ივ. ჯავახიშვილისათვის იყო უცხო. დიდი მეცნიერი სხვებზე უფრო ღრმად ერკვეოდა აბაზგთა და აფშილთა ვინაობაში, ამიტომ სხვებზე უფრო მის მოსაზრებას უნდა გაეწიოს ანგარიში. ის კი შემდეგს წერდა: "როგორც ვხედავთ, კოლხეთის მოსახლეობა ქართველთა სამ შტოს ჰკუთვნებია - ლაზ-მეგრელებს, აფშილ-აფხაზებს და სვანებს".

ამგვარად, აკად. ივ. ჯავახიშვილი აფშილებს და აფხაზებს ქართველურ ტომად მიიჩნევდა. დიდი მეცნიერი უსაფუძვლოდ არაფერს ამბობდა. კავკასიის ხალხების ისტორიაშიც მასზე უფრო ღრმად არავინ ერკვეოდა. ივ. ჯავახიშვილის შემდეგ აფხაზთა ეთნიკური ვინაობის გარკვევაში ყველაზე სერიოზული შრომა გასწიეს პ.ინგოროყვამ და აკად. ნ. ბერძენიშვილმა, აფხაზთაგან პროფ. ხ. ბლაუბამ. ყველა მათგანის დასკვნა ემთხვევა აკად. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებებს აფშილებისა და აფხაზების წარმომავლობის შესახებ. ყველა ეს მეცნიერი აფხაზმა სეპარატისტებმა ანათემას მისცეს.

დიახ, ისტორიული აფხაზები ისეთივე ქართველებია (მეგრელები), როგორც ლეჩხუმელები არიან სვანები და ორივე ერთად ქართველები. ამ ისტორიული აფხაზების წინაპრები არიან აბაზგები და აფშილები, სანიგები და ჰენიოხები, ლაზები და მისიმიანები, ჭანები და სუანო-კოლხები.

ანაკოფიის ეკლესია სიმონ კანანელის სახელობისა. ფრაგმენტი IX-X სს

მაგრამ ამას ვერ ვიტყვით ხაჩიფსესა და აბაზებზე, ადიღელებზე და ჯიქებზე, ჩერქეზებსა და ყაბარდოელებზე, შაპსუღებზე და აბაძეხებზე, რომლებიც დღეს აფხაზობასაც ჩემულობენ და აფშილობასაც, სანიგობასაც და ჰენიოხობასაც, მისიმიანობასაც და კოლხობასაც. სეპარატისტთა აზრით, ლეგენდარული აიეტიც (ძველი კოლხეთის მეფე) ადიღი ყოფილა, ანბანური დამწერლობაც ფინიკიელებს ადიღეველთაგან გადაუღიათ (გ.ტურჩანინოვი) და ა.შ.

პროფ. შ. ინალ-იფა დღეს თავს უხერხულად გრძნობს, ასე ღრმად რომ შეტოპა სიცრუის მორევში, რასაც ვერ ვიტყვით ზოგიერთ ქართველ მკვლევარზე, რომლებიც კვლავ ძველებური სტერეოტიპებით აზროვნებენ და დოგმად ქცეულ თეორიებს წამდაუწუმ იმეორებენ. ისინი აფხაზთა ვინაობის საკითხს უდგებიან ზერელედ, შორიდან მაყურებლის თვალით. არ უცხოვრიათ აფხაზეთში, არ გასცნობიან მათ ყოფას, ადათ-წესებს, ფოლკლორს, არ დაინტერესებულან ტოპონიმიკური კვლევა-ძიებით, არ უმუშავნიათ აფხაზეთის არქივებში, არ უცდიათ აფხაზურ გვართა ვინაობის დადგენა და ა.შ.

ამ სტრიქონების ავტორს წლების განმავლობაში შემოვლილი აქვს აფხაზეთის სოფლები, დაკითხული ჰყავს თითქმის ყველა აფხაზური გვარის წარმომადგენელი. ეს იყო ამ 20-25 წლის წინათ, როცა სეპარატიზმი სარეველა ბალახივით არ იყო მოდებული, როცა ხანდაზმული აფხაზები სიმართლეს უყოყმანოდ ამბობდნენ.

ჩრდილოკავკასიური წარმომავლობის აფხაზები ცალსახად აღიარებდნენ იმ ფაქტს, რომ მათი წინაპრები აფხაზეთში გადმოსული არიან იმიერკავკასიიდან 100-200-300 წლის წინ. ზოგიერთი მათგანი კონკრეტულადვე მიუთითებდა თავდაპირველ საცხოვრის ადგილს.

ქართული წარმოშობის აფხაზები კი ასევე კატეგორიულობით გვისაბუთებდნენ ადგილობრივ წარმომავლობას, ან დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან მოსულობას და ა.შ.

ადიღეური წარმომავლობის აფხაზებს თავიანთ ჩრდილოეთ კავკასიელ მოძმეებად (ე.ი. ჩრდილოკავკასიური წარმომავლობის აფხაზებს) აბაზები მიაჩნდათ. ამ რიგის აფხაზების ზოგიერთი წარმომადგენელი ზუსტად ასახელებდა ჩრდილოეთ კავკასიაში თავისი წინაპრების თავდაპირველ საცხოვრებელ ადგილს.

ამასთან დაკავშირებით, საყურადღებოა ერთი ფაქტიც, კერძოდ: 1979 წელს ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოვიდნენ სტუმრები. აფხაზებმა მათ დიდებული შეხვედრა მოუწყვეს, შემდეგ სუფრაზე მიიპატიჟეს. ერთმა სტუმარმა ასეთი სიტყვები გამოურია თავის სადღეგრძელოში: "თქვენ ჩვენი მეგობრები კი არა, ძმები ხართ, სისხლითა და ხორცით ნათესავები, ერთი მიწა-წყლის შვილები. თქვენი წინაპრების ნასახლარები ჩვენთან დღემდეა შემორჩენილი, მათ თვალისჩინივით ვუფრთხილდებით".

ამის გაგონებაზე აფხაზებმა ჩოჩქოლი ატეხეს, სტუმარს სიტყვა შეაწყვეტინეს...

შემდგომ ეს ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელს აფხაზეთს. მეგობრული შეხვედრების დროს ქართველები აფხაზებს ამ ფაქტს ხუმრობით შეახსენებდნენ ხოლმე. ეტყობა, ისინი ამ ხუმრობას მწარედ განიცდიდნენ და გულში იხვევდნენ.

აფხაზ მკვლევარებს, როცა საშუალება მისცეს ემტკიცებინათ ის, რაც უფრო აწყობდათ, დრო არ დაუკარგავთ; მანამდე წერილობითი წყაროების უქონლობით გამოწვეული ვაკუუმი ახალი გამოგონილი ლეგენდებით შეავსეს. ამ ლეგენდებს უკავშირებდნენ ამა თუ იმ მნიშვნელოვანი მატერიალური კულტურის ძეგლს, ან რომელიღაც გეოგრაფიული სახელის ე. წ. აფხაზურ (აფსურ, აბაზურ) წარმომავლობას. ამ ლეგენდების გუდა-ხურჯინებად იქცნენ პროფ. შ. ინალ-იფასა და მეცნიერებათა კანდიდატის, ვ. ფაჩულიას ნაშრომები, რომელთაც მასიური ტირაჟით სცემდნენ მოსკოვსა და სოხუმში. მათ წიგნებში მოტანილი ყველა ლეგენდა თითქმის შეყვარებულთა მწარე ხვედრთანაა დაკავშირებული.

ბევრი სვამს კითხვას, როგორ მოხდა, რომ უმრავლესობის ენაზე უმცირესობის ენამ გაიმარჯვაო. მხედველობაშია ის, რომ აფხაზთა დაახლოებით 80% ქართველური წარმოშობისაა, უმცირესობა კი აბაზური (აბაზინური).

სინამდვილეში ეს ასე არ არის. აფხაზთა უმრავლესობამ იცის მეგრული ენა, უმცირესობამ კი ე. წ. აფხაზური: ასევე, აფხაზთა უფრო დიდმა ნაწილმა იცის ქართული, ვიდრე აფხაზური. მხოლოდ თანამედროვე აფხაზ ახალგაზრდებს ვერ მოსთხოვ ქართულის ცოდნას, ვერც მაინცდამაინც ე. წ. აფხაზურის. სამაგიეროდ, მათ მშობლიურ ენად რუსული გაიხადეს. ეს პროცესი 1956 წლიდან დაიწყო.

ის ილუზია, რომ ე. წ. აფხაზური თითქმის უმრავლესობამ იცის, იმ პროპაგანდის შედეგია, რასაც ამ ენის დანერგვისათვის ეწეოდნენ, მაგრამ დღემდე სასურველ შედეგს ვერ მიაღწიეს. ეს იქიდანაც ჩანს, რომ 1979 წელს, როცა აფხაზეთის უნივერსიტეტში ქართული სექტორის ხარჯზე აფხაზური გახსნეს, ენის უცოდინარობის გამო ვერ მოახერხეს ლექციების აფხაზურ ენაზე წაკითხვა. ამ სექტორზე უნივერსიტეტის გაყოფის (1989წ.) შემდეგაც ლექციებს რუსულ ენაზე კითხულობდნენ.

საინტერესოა, რომ ქართული წარმომავლობის აფხაზები მშობლიურ ენას "სიზმრისეულ ენას"

უწოდებენ. ამ "სიზმრისეულ ენაში" ისინი მეგრულს გულისხმობენ.

ერთ სტატიაში ძნელია პასუხი გასცე ყველა იმ კითხვას, რომელიც ხალხის ეთნიკურ ვინაობასთანაა დაკავშირებული, მაგრამ აშკარაა და დღესავით ნათელია, რომ აბაზები აფხაზები არ არიან და პირუკუ - აფხაზები აბაზები არ არიან, მცირე გამონაკლისის გარდა (12-13%). ეს კი საკმარისად ჩათვალეს იმისათვის, რომ ბოლშევიკური იმპერიის მესვეურებს მათთვის ეროვნულობის სტატუსი მიენიჭებიათ. ასეთი წყალობის გაღების საიდუმლოება მდგომარეობდა იმაში, რომ საჭიროების შემთხვევაში, ისინი "ურჩი" ქართველების წინააღმდეგ გამოეყენებიათ. გამოიყენეს კიდეც. ჩვენ კი პირში ბურთი ჩაგვჩარეს და კრინტის დაძვრის უფლებაც არ მოგვცეს. ყველაფერი ეს უკვე მოხდა. ნუთუ ახლაც ძნელია იმის მიხვედრა, თუ რისთვის მონათლეს აფხაზები ცალკე ეროვნებად? ნუთუ ძნელია იმის გაგება, რომ ერთმანეთი ახოცვინეს ერთ მოგვარე ქართველებს: აბაშიძეებს, გაბუნიებს, ახვლედიანებს, ხუბუებს, ბენიებს, ბერულავებს, ბაგრათულიებს, ბახარიებს, პაპასკირებს, ჯინჯოლიებს, ზარანდიებს, კაკალიებს, ქარდავებს, ქარჩავებს, კუპრავებს, მარღანიებს, ნაჭყებიებს, ფაჩულიებს, ცეცხლაძეებს, ჭანტურიებს, შენგელიებს, წულუკიებს, შაკაიებს, ჩერქეზიებს, ხარჩილავებს და სხვ.

ახლა ისიც ვიკითხოთ, ხოცავდნენ თუ არა ერთმანეთს ჩრდილოკავკასიური წარმოშობის აფხაზები: არძინბები, შამბები, კაპბები, ხინტბები, წვიუბები, კუტარბები და ა.შ. რა თქმა უნდა, არა! მათ ამ ომში მაკონტროლებელი ფუნქცია ეკისრათ და სიამოვნებით ხვრეტდნენ "ურჩებს", ე.ი. ვინც ქართველების წინააღმდეგ ბრძოლას თავს არიდებდა.

აი, რისთვის სჭირდებოდათ აფხაზობა, როგორც ცალკე ეროვნება.

ამ ერთმა მუჭა ადიღეურმა ეთნიკურმა ჯგუფმა ხელზე დაიხვია კარიერისა და განდიდების მაძიებელი ქართველები, რომლებიც აგრეთვე თვისტომთა წინააღმდეგ გამოიყენეს. ამის ნიმუშად გამოდგება თუნდაც ვლ. არძინბას მიერ აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნული ვაჟა ზარანდია. როცა მისი თანადგომით ქართველები აფხაზეთიდან აჰყარეს ამ კარიერისტის ფუნქციაც შესრულებულად ჩათვალეს აფხაზთა სეპარატისტებმა და ვ. ზარანდია მაღალი თანამდებობიდან გადააყენეს, შემდეგ გალში მიავლინეს, სადაც ქართველთა ეთნიკური წმენდა ბოლომდე უნდა მიეყვანა. ვ. ზარანდიამ ამასაც მშვენივრად გაართვა თავი.

სამწუხაროდ, ასეთების რიცხვი ამ ერთით არ შემოიფარგლება.

"უვარგის შვილთა სიმრავლეს ნუ ისურვებ, და ნურც ურჯულო ვაჟებით ხარობ.

მათი გამრავლება ნუ გაგახარებს. არ აქვთ შიში უფლისა" (სიბრძნე ზირაქისა, 16, 1-2).

ქართველი აფხაზების მამლუქობა შავ ლაქად დააჩნდება საქართველოს ისტორიას.

ნუთუ ძნელია იმის გაცნობიერება, რომ მარშანია და არძინბა, ჭკადუა და წვიუბა, ახვლედიანი და შამბა, მარღანია და ხინტბა... ერთი ტომისანი არ არიან?!

აფხაზი აბაშიძე და პაპასკირი, ისევე არ არიან ადიღეური მოდგმისა, როგორც არძინბა და ციმცა არ არიან აბაზგები და აფშილები. ისინი აფხაზებად ჩვენ მოვნათლეთ, მას შემდეგ, რაც ხიზნებად იქცნენ და აფხაზეთის ქართველებში ნახეს თავშესაფარი. მიუხედავად ამისა, დღემდე თავიანთ თავს აფსუას უწოდებენ. ამ ტერმინს შინაარსობრივი დატვირთვა მისცეს... მათ მიერ მხარის სახელად დამკვიდრებული აფსნი თითქოს "სულის ქვეყანას" ნიშნავდეს. მაგრამ აქაც ხელი მოეცარათ. ამ სიცრუეში ისინი აკად. ს. ჯანაშიამ ამხილა. აი, რას წერს დიდი მეცნიერი ამასთან დაკავშირებით: "აფხაზები დარწმუნებულნი არიან, რომ "აფს-უა" - აფხაზი და "აფს-ნ" - აფხაზეთი დაკავშირებულია სიტყვა აფსნ-სთან (სული), რომ აფსნ, ამრიგად "სულის ქვეყანას" ნიშნავს. მაგრამ ეს შეცდომაა, სათანადო ფუძეების შემთხვევით გარეგნული მსგავსების ნიადაგზე აღმოცენებული" (ს. ჯანაშია, შრომები, ტ.III, თბ., 1959, გვ. 68).

კომიკურ მდგომარეობაში ვარდებიან ის მკვლევარები, რომლებიც ერთის მხრივ ამტკიცებენ, რომ აფხაზები ადგილობრივი, აბორიგენული მოსახლეობაა, მეორეს მხრივ მხარს უჭერენ მათ ჩრდილოეთ კავკასიიდან მოსულობის ვერსიას.

რატომღაც არაფრით არ უნდათ იმის გაგება, რომ აფხაზთა დაახლოებით 80% ქართველებია, ქართული გვარის მატარებელი, ხოლო 12-13% - ადიღეურ-აბაზურ-ჩერქეზული. აბორიგენულ მოსახლეობად ითვლება სწორედ უმრავლესობა - ქართველი აფხაზები და არა უმცირესობა, ანუ ადიღეური ეთნიკური ელემენტი, რომელიც გვიან შუა საუკუნეებში ჩნდება ამ ტერიტორიაზე.

ასევე სასაცილოდ გამოიყურებიან ი. ვორონოვისა და გ. ტურჩანინოვის ყბადაღებული თეორიები იმის შესახებ, რომ თითქოს მსოფლიოს ყველა ხალხების ეთნოსუბსტრატი (გარდა ქართველებისა და ავსტრიელებისა) აფხაზები არიან, რომელთაგან ანბანური დამწერლობა, თურმე, ფინიკიელებს გადაუღიათ.

ეს ხომ ამ ხალხის გამასხარაკვებაა, რასაც ეიფორიაში მყოფი სეპარატისტები ტაშს უკრავენ.

ვორონოვისა და ტურჩანინოვისაგან ასეთი რამ გასაკვირი არ არის, რადგან მათი "თეორიები" ცრუ ილუზიების საფუძველზეა აგებული მხოლოდ

ბოროტი პოლიტიკური ზრახვების რეალიზაციის უზრუნველსაყოფად.

რაც შეეხება იმ ავტორებს, რომლებმაც აბაზგთა და აფშილთა ადიღეური წარმომავლობა დოგმად აქციეს, მშვენივრად იციან, რომ ამის დამამტკიცებელი არც წერილობითი, არც ლინგვისტური, არც ტოპონიმიკური, არც ანთროპოლოგიური, არც ფოლკლორული, არც მატერიალური კულტურის ძეგლების სახით არანაირი მასალა არ არსებობს, როცა მათი ქართველური წარმომავლობის დამამტკიცებელი ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტი სახეზეა.

რად ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ აბაზთა (აფსუათა) ეპოსში ომის ღმერთ აირიგის შესახებ ნათქვამია: "აირიგ, შენ მხოლოდ ზღვისპირეთს ძარცვავ". შეიძლება ღმერთი საკუთარი ხალხის მძარცველი იყოს? აირიგისათვის (აბაზთათვის) ზღვისპირეთი საძარცვი ქვეყანაა და არა სამშობლო.

რატომაა, რომ ჩრდილო კავკასიური ეპოსი ნართების შესახებ ბრწყინვალედაა ასახული აფსუურ (აბაზურ) ფოლკლორში, ხოლო არავითარი წარმოდგენა არა აქვთ არგონავტებსა და ოქროს საწმისზე, მაშინ როცა ამის შესახებ საკმაო მასალა არსებობს დასავლეთ საქართველოს ძირძველ ქართველებში - მეგრელებსა და სვანებში (იხ. თ. მიბჩუანი, დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზისის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან, თბ. 1989; გვ.188-208 ).

რატომ არ უნდა გაეწიოს ანგარიში დასავლეთ საქართველოში მოღვაწე ევროპელ მისიონერთა შრომებში დაცულ ცნობებს იმის შესახებ, თუ XVI-XVII საუკუნეებში დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე როგორ არბევდნენ, ანადგურებდნენ ქართულ მოსახლეობას ე.წ. აფხაზები, როგორ ყიდდნენ მათ მონათა ბაზრებზე, როგორ ხურავდნენ ქრისტიანულ ეკლესიებს, როგორ დაიპყრეს და დაეპატრონენ ოდიშის სამთავროს მდინარე ენგურამდე (თ. მიბჩუანი, აფხაზური სეპარატიზმის სისხლიან ნაკვალევზე, თბ., 1994, გვ. 7-36).

რატომაა, რომ XVII საუკუნემდე აფხაზეთის ტერიტორიაზე არც ერთი ადიღეური წარმოშობის გეოგრაფიული სახელი არ გვხვდება?

დღევანდელი აფხაზები არც ერთი კლასიკური რელიგიის მიმდევრები არ არიან; სხვათაშორის, აღიარებენ ისლამის რელიგიას, ქრისტიანობასაც, მაგრამ მათში ყველაზე უფრო, წარმართული რწმენა-წარმოდგენებია შემორჩენილი.

ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ იმ უამრავი ისტორიული რუკებიდან (I-XVII სს), რომლებზედაც აფხაზეთია ასახული, არც ერთი აფხაზ მეცნიერთა შრომებში არ გვხვდება. ისინი ამ რუკებს გაურბოდნენ. ამ რუკებზე ყველა ტოპონიმი ქართველურია. აფხაზეთი კი ოდიშის სამთავროს ნაწილადაა წარმოდგენილი. ანთროპოლოგიურადაც ნამდვილი აფხაზები უპირისპირდებიან ადიღელებს და ქაროულ ანროპოლოგიურ ტიპს იმეორებენ (В.П.Алексеев. Происхождение народов Кавказа. М.1974. с.194).

დროა საერთაშორისო ექსპერტების დონეზე შეიქმნას კომპენტენტური სამეცნიერო კომისია აფხაზთა ეთნიკური ვინაობის დადგენის მიზნით. წინააღმდეგ შემთხვევაში, აფხაზეთი ქართველთათვის ყოველთვის სახიფათო ზონად დარჩება, მითუმეტეს, როცა ლაპარაკია ქვეყნის ფედერაციულ მოწყობაზე და აფხაზთათვის ფართო პოლიტიკური უფლებების მინიჭებაზე.

**თეიმურაზ მიბჩუანი**

ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თსუ, სოხუმის ფილიალის, ისტორიის კათედრის გამგე

# საეკლესიო რეფორმა აფხაზთა სამეფოში

აფხაზეთის სამეფო VIII საუკუნის დასასრულს ჩამოყალიბებული ქართული (საკუთრივ დასავლურ ქართული) სახელმწიფოა (1, 322-341). ამ სახელმწიფოს, ისე როგორც იმდროინდელი საქართველოს მიწა-წყალზე სხვა (კახთა საქორეპისკოპოსი, ქართველთა სამეფო, ჰერთა სამეფო) ქართული სახელმწიფოების ჩამოყალიბება განპირობებულია რიგი საშინაო და საგარეო ფაქტორებით (2, 372-378).

საქართველოს ისტორიას, მთელი მისი არსებობის მანძილზე ახასიათებს ქართული ქვეყნების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების ტენდენცია. ასეთი ერთიანი, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილის მომცველი იყო ფარნავაზის დროინდელი ქართლის (იბერიის) სამეფო (ძვ.წ. IV-III სს.). ეს ერთიანობა ვერ იქნა დიდი ხნით შენარჩუნებული.

მთელი თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ქართული ქვეყნები ერთიანდებოდნენ, იშლებოდნენ. ევროპისა და აზიის გზასაყარზე მდებარე საქართველო, შეიძლება ითქვას, მახლობელი აღმოსავლეთის ყველა დიდ დამპყრობთა ინტერესების სფეროში ექცეოდა. დაშლის პროცესს შინაგანი დეცენტრალისტური ძალებიც უწყობდნენ ხელს.

ფარნავაზისდროინდელი ერთიანობის შემდეგ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ერთიანობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ეტაპია ვახტანგ გორგასლის მეფობის ხანა (V ს. II ნახ.). ასევე, მართალია ბიზანტიის იმპერიის ხელისუფლების ჟამს, მაგრამ მაინც არსებობდა დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველოს ერთიანობა VII ს-ის წლებში, არაბთა შემოსვლამდე. არაბთა სახალიფოს პოლიტიკამ, რომელიც VII ს-ის 40-იანი წლებიდან იწყებს ბრძოლას საქართველოსათვის, განაპირობა აღმოსავლეთ საქართველოს დაქუცმაცება, რასაც მაქსიმალურად შეუწყო ხელი ამ დროს საქართველოში მიმდინარე ფეოდალიზაციის პროცესმა.

ასეთივე პროცესები მიმდინარეობდა დასავლეთ საქართველოში. ეგრისის (ლაზიკის) სამეფო, რომელიც მთელ დასავლეთ საქართველოს მოიცავდა, ბიზანტიის იმპერიის მცდელობით, რომელიც ალბათ, დეცენტრალისტურ ფეოდალურ ძალებთან კავშირში მოქმედებდა, დასუსტდა, დაიშალა. მას გამოეყო აფხაზთა (აბაზგთა), აფშილთა, (აფსილთა) სანიგთა და სხვა სამთავროები. იმპერიის ხელისუფლებამ ეგრისში მეფობა გააუქმა და მეფის ხელისუფლება ეგრისის პატრიკიოსის ხელისუფლებამდე დაამცრო (14, 88-89; 3, 420).

არაბებთან ბრძოლაში დამარცხებული ბიზანტიის იმპერია ცდილობდა მათ წინააღმდეგ ამიერკავკასიის ქრისტიან მფლობელთ დაყრდნობოდა და ხელს უწყობდა აფხაზთა ერისთავის (აბაზგიის არქონტის) გაძლიერებას. VII ს-ის 30-იან წლებამდე აფხაზთა საერისთავო ავრცელებს თავის ხელისუფლებას მეზობელ სანიგებზე, აფშილებზე, მისიმიანებზე, და ამიერიდან აფხაზეთი ეწოდება არა მხოლოდ აფხაზეთის საერისთავოს, არამედ ტერიტორიას ნიკოფსიიდან მდ. კოდორამდე (6, 178; 5,60; 4,60) ეს არის ცნება "აფხაზეთის" მნიშვნელობის გაფართოვების პირველი ეტაპი. VIII ს-ის 30-40-იან წლებში ბიზანტიის იმპერიის ვასალი აფხაზეთი ასეთ გაფართოვებულ საზღვრებშია წარმოდგენილი და მისი ერისთავი (არქონტი) ლეონ I ფაქტიურად ხელმძღვანელობს ანტიარაბულ ფრონტს დასავლეთ საქართველოში (7, 197)[1]. VIII ს-ის 80-იანი წლებისათვის კი მთელი დასავლეთი საქართველო (აფხაზეთი და ეგრისი) ერთიანი სახელმწიფოა, რომლის სათავეში დგას "მთავარი" (1, 336-337; 10,59), ქართული წერილობითი წყაროების ცნობებით, სხვა ცნობები კი არ არსებობს, ეგრისს დამკვიდრებულ ქართლის ერისმთავართა (მეფეთა) ამ დროს მყოფი სახლის უფროსმა არჩილმა, თავისი გარდაცვლილი ძმის, "მეფე" მირის ქალიშვილი მიათხოვა ლეონ აფხაზს, რომელსაც გადასცა ეგრისის მეფეთა გვირგვინი (8, 242-243). ამ აქტით ლეონი, რომელიც იყო აფხაზეთის მემკვიდრეობით მფლობელი, ეგრისის მემკვიდრეობით მფლობელიც გახდა (7, 116). აფხაზეთისა და ეგრისის გაერთიანება განხორციელდა, როგორც ნებაყოფლობითი, დინასტიური აქტი (8, 242-243;

---

1 მართალია პ. ინგოროყვას ლეონ I ლაზეთის მთავრად და ლაზეთის პატრიკიოსთა დინასტიის წარმომადენლად მიაჩნია (7, 191-193), რაც სადავოა, მაგრამ ამჯერად ამას ჩვენი საკითხისთვის პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს.

5, 100-105). ლეონ აფხაზმა "იპყრა (ე.ი. თავის ხელისუფლებას დაუქვემდებარა, მ.ლ.) აფხაზეთი და ეგრისი, გაანთავისუფლა ბიზანტიელთა ხელისუფლებისაგან და მიიღო მეფის ტიტული.

ეს სახელმწიფო მოიცავდა მიწა-წყალს ნიკოფსიიდან მდ. ჭიროხამდე და შავი ზღვიდან ლიხის ქედამდე (1, 338)[1]. დასავლეთ საქართველოს ეს გაერთიანება ბიზანტიის იმპერიის სანქციით თუ არა, მისი დასტურით მაინც განხორციელდა. ამიერიდან კიდევ უფრო გაფართოვდა ცნება "აფხაზეთის" მნიშვნელობა და ის უკვე მთელ დასავლეთ საქართველოს ნიშნავს, და საკუთრივ აფხაზეთსაც. ეს არის ამ ცნების მნიშვნელობის გაფართოვების მეორე ეტაპი.

ამგვარად VII ს. დასასრულს გაერთიანებული დასავლურ ქართული სახელმწიფოს მთავარმა, ლეონმა ისარგებლა ბიზანტიის იმპერიის დასუსტებით, დაიხმარა ხაზართა ძალა, გაინთავისუფლა თავი ვასალობისაგან და თავი "მეფედ" გამოაცხადა. "აფხაზთა მეფე" დასავლეთ საქართველოს მეფეა, ხოლო "აფხაზთა სამეფო" დასავლურქართული სახელმწიფო (4, 117-120), რომლის მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას ეთნიკურად ქართველები, ქართები, ეგრები, სვანები და საკუთრივ აფხაზები შეადგენენ. როგორც ცნობილია, საკითხის სპეციალურ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს აფხაზ-აფშილთა ( და დასავლეთ საქართველოში მოსახლე ზოგ სხვა ტომთა) ეთნიკური კუთვნილების და თანამედროვე აფსუებთან მათი მიმართების შესახებ. ამჯერად არ გაპირებთ აღნიშნულ საკითხზე მსჯელობას, რადგან განუხრელად მათი წარმოშობისა (საკუთრივ ქართველური ტომები არიან ისინი თუ ჩრდილოკავკასიური) ანტიკური ხანისა და შუასაუკუნეების აბასგ-აბხაზები ისტორიულად ქართველები იყვნენ. ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ X ს. სომეხი ისტორიკოსი, ჰოვჰანეს დრასხანაკერტცი, ამ სახელმწიფოს ეგრისს, მის მეფეებს, ეგრისის მეფეებს, ხოლო მცხოვრებთ ეგრიელებს უწოდებს. მეზობელი სახელმწიფოს მცხოვრებთათვის ეს ქართული სახელმწიფოა, ეგრისია.

რაც შეეხება "აფხაზთა მეფეებს", მათი ეთნიკური კუთვნილების შესახებ პირდაპირი მითითება არა გვაქვს. გამოთქმლია მოსაზრება მათი ბერძნული (დ.ბაქრაძე, პ.უვაროვა...), აფხაზური (ზ.ანჩაბაძე), ქართული (ლატიშევი, პ. ინგოროყვა) წარმოშობის შესახებ. მართალია, საკითხი თავისთავად საინტერესოა, მაგრამ წარმოშობას არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, რადგან აფხაზთა მეფეები თავისი საქმიანობით ქართველი სახელმწიფო მოღვაწეები არიან. ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნის დიდ ეროვნულ საქმეში. მათი ამ თვალსაზრისით მოღვაწეობის ერთი მთავარი ასპექტია საეკლესიო პოლიტიკა.

დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობა დასავლეთიდან (რომი-ბიზანტია) და აგრეთვე აღმოსავლეთიდან (ქართლი) ერცელდებოდა. ამ ორი ნაკადიდან დასაწყისში ბიზანტიური (ბერძნული) უფრო ძლიერი იყო, რამაც განაპირობა დასავლეთ საქართველოს უშუალოდ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში შესვლა. არსებულმა პოლიტიკურმა ვითარებამ განაპირობა ის გარემოებაც, რომ დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ქრისტიანობა ერთდროულად არ იქნა მიღებული სახელმწიფო რელიგიად. თუ ეგრისში ქრისტიანობის სახელმწიფო კულტად აღიარება IV ს. 20-30-იანი წლებში ივარაუდება, საკუთრივ აფხაზეთში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად VI ს-დან ჩანს დამკვიდრებული. ალბათ, ამით აიხსნება, რომ დასავლეთ საქართველოს ეპარქიები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არსებობდნენ.

ბერძნული საქრისტიანო ქადაგება დასავლეთ საქართველოში ქართულზე ადრე უნდა დაწყებულიყო. სამისიონერო ძალებითაც ბერძნული ეკლესია უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ქართული. პოლიტიკური პირობებიც ბიზანტიის ეკლესიის სასარგებლო იყო, ლიხთიმერეთი აღმოსავლეთ რომის - ბიზანტიის ნაწილი იყო. ბერძნული სამისიონერო მოღვაწეობის შედეგად დასავლეთ საქართველოში შეიქმნა კონსტანტინოპოლის სამწყსოში შემავალი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი, სამი: ლაზიკის, აფხაზეთის და ჯიქეთის ეპარქიები (11-42, 43). თავისი პოზიციები ჰქონდა დასავლეთ საქართველოში მცხეთის ტახტსაც. აფხაზეთის სამეფოს შემადგენლობაში თავიდანვე შევიდა მცხეთის სამწყსოს ნაწილი - არგვეთი, ღვთისმეტყველებით ქართულ ენაზე.

როგორც ცნობილია, აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს საეკლესიო გაერთიანების ტენდენციები VI-VII საუკუნეებიდან ივარაუდება (12, 301; 13, 122-123; 14, 167-171), მაგრამ ამ

---

1 საკითხის სპეციალურ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა აფხაზთა სამეფოს სამხრეთის საზღვართან დაკავშირებით. აღნიშნული საკითხის განხილვა მითითებით არსებულ წყაროებსა და ლიტერატურაზე იხ.6, 180-185.

2 როგორც ცნობილია, არსებობს ამ ცნების მნიშვნელობის გაფართოვების მესამე ეტაპიც, როდესაც "აფხაზეთი" მთელ საქართველოსაც ნიშნავს.

3 საკითხის შესახებ არსებული წყაროები და ვრცელი ლიტერატურა ძირითადად მითითებულია მ. ღლონტიფანიძის ნაშრომში, "აფხაზები და აფხაზეთი".

ტენდენციის საბოლოო განხორციელება აფხაზთა სამეფოში, აფხაზთა მეფეების მოღვაწეობის შედეგად მოხდა.

დასავლეთ საქართველოს ეკლესიურად კონსტანტინოპოლის სამწყსოდან გამოყოფის საკითხი მრავალი ისტორიკოსის კვლევის საგანია (ნიკო ბერძენიშვილი, კორნელი კეკელიძე, პავლე ინგოროყვა, სიმონ ყაუხჩიშვილი, მარიამ ლორთქიფანიძე, ზურაბ ანჩაბაძე...). ამ საკითხის კვლევისას უმთავრეს საყრდენს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსადმი დაქვემდებარებულ კათედრათა ნუსხები წარმოადგენენ (1256, 126-202): ჩვენთვის საინტერესო საკითხისათვის მნიშვნელობა აქვს ამ ნუსხათა ორ ჯგუფს. პირველი ჯგუფის ნუსხები შედგენილია ლეონ VI-ის (886-911) მეფობამდე. ამ ნუსხებში დასავლეთ საქართველოს ყველა კათედრა: ფაზისის მიტროპოლიტი ლაზეთში, მისდამი დაქვემდებარებული ოთხი ეპისკოპოსით (როდოპოლის-ვარციხის, ციაშის, პეტრასი, ზიგანევ-გულვავის), აფხაზეთის სებასტოპოლის (სოხუმის) ავტოკეფალი ეპისკოპოსი და აფხაზთა სამეფოში შემავალი ჯიქეთის ნიკოფსიის ავტოკეფალი მთავარეპისკოპოსი კონსტანტინოპოლის სამწყსოში შედიან (15, 180-181). ასეთი ვითარებაა წარმოდგენილი VII-IX საუკუნეების ნოტიციებით. პირველი რიგის ნოტიციების ყველაზე გვიანდელი ნუსხა შედგენილია 820-829 წლებში (15, 184). სურათი იცვლება II რიგის ნოტიციებში, რომლის პირველი ნუსხა 901-907 წლებშია შედგენილი (15, 185). II რიგის ნოტიციებში დასავლეთ საქართველოს ეპარქიები აღარაა წარმოდგენილი; აღარაა წარმოდგენილი ფაზისის ლაზეთის მიტროპოლიტი და ლაზეთის მიტროპოლიტის კათედრა ტრაპეზუნტშია (15, 185) ჯიქეთის სამი კათედრიდან (ქერსონის, ბოსფორის, ნიკოფსიის) ამ ნუსხებში აღარაა მოხსენებული ნიკოფსიის კათედრა, რომელიც აფხაზთა სამეფოში შემავალ ტერიტორიაზე იმყოფებოდა, ხოლო ქერსონის და ბოსფორის კათედრები ისევ კონსტანტინოპოლისადმი დაქვემდებარებულ კათედრათა ნუსხებშია (15, 185).[1]

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსადმი დაქვემდებარებულ კათედრათა ნუსხებით წარმოდგენილი სურათი სრულიად რეალური ჩანს, რადგან საეკლესიო გამოყოფის საკითხი მხოლოდ აფხაზთა სამეფოს მიერ პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ შეიძლებოდა დამდგარიყო. როგორც ნოტიციებიდან ჩანს, ცვლილება დასავლეთ საქართველოს ეკლესიის მდგომარეობაში, მისი გამოყოფა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოდან და მცხეთის ტახტისადმი დაქვემდებარება IX საუკუნის მანძილზე მოხდა, რადგან პირველი ჯგუფის ნუსხებიდან ყველაზე ნაგვიანევი 820-829 წლებშია შედგენილი (15, 184), ხოლო მეორე ჯგუფის პირველი ნუსხა 901-907 წლებში (15,185). ამ მხრივ გარკვეულ დაბრკოლებას ქმნის 901-907 წლებში შედგენილი ნოტიცია (ნოტიცია X ბ, 15, 185), რომლის თანახმად სებასტოპოლის (სოხუმის) სამთავარეპისკოპოსო ისევ კონსტანტინოპოლის სამწყსოში შემავალ კათედრათა შორისაა დასახელებული. აღნიშნულიდან დაკავშირებით, სიმონ ყაუხჩიშვილი შენიშნავს: "რადგან მეორე რიგის ეკთესისებს შორის... სებასტოპოლის კათედრა ყველაზე პირველ ეკთესისშია დარჩენილი (ნოტიცია X ბ, 901-907 წლებისა), ხოლო არც ერთ მომდევნო ნუსხაში ის აღარ არის, ეს კათედრა მხოლოდ ფორმალურად არის იქ დატოვებული" (15, 201). მაგრამ იქნებ შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ვერ განხორციელდა ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ყველა კათედრის ერთბაშად გამოყოფა კონსტანტინოპოლიდან და საკუთრივ სებასტოპოლის (სოხუმის) კათედრების გამოყოფა 907 წლიდან 927 წლამდე განხორციელდა და სებასტოპოლი აღარცაა მოხსენებული მეორე რიგის X გ. ნოტიციაში, რომელიც 927-940 წლებშია შედგენილი (15, 185).[2] სრულიად ბუნებრივია, რომ დასავლეთ საქართველოს კონსტანტინოპოლის სამწყსოდან გამოყოფა დიდ სიძნელეებს წააწყდებოდა, კონსტანტინოპოლის საპატრიარქო ალბათ, არ თმობდა თავის პოზიციებს; მართალია ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში ეს პროცესი არაა ასახული, მაგრამ რეალურად სავარაუდოა, იმპერიის მარცხენა, დასავლეთ საქართველოში პოლიტიკური ხელისუფლების შენარჩუნებისათვის ბრძოლაში, საეკლესიო ურთიერთობის პრობლემაც დააყენა.

დასავლეთ საქართველოში გატარებული ეს საეკლესიო რეფორმა, გამოყოფა კონსტანტინოპოლის სამწყსოდან და ქართული ეკლესიის იურისდიქციაში შესვლა, აფხაზთა მეფეების თაოსნობით და მცხეთის ტახტის აქტიური მხარდაჭერით განხორციელდა (11,50). საეკლსიო რეფორმა აფხაზთა მეფეების ზოგადქართული

---

1 ნიშანდობლივია, რომ კონსტანტინოპოლმა არ მოშალა ლაზიკის სამიტროპოლიტო კათედრა და ფაზისის გამოყოფის შემდეგ მიტროპოლიტის ტახტი ისტორიულ ლაზეთში, ტრაპიზონში გადაიტანა (6, 183-184).

2 შეადარე 2, 424; 18, 288-289. აღსანიშნავია, რომ XI ს. (1043-1069 წლებს შუა ახალ ათონში (ანაკოფია) ბერძნების აგებულია ტაძარი აფხაზეთის ფარგლებში. XI ს. ამ მონაკვეთში ბერძნების მიერ ტაძრის აგება უკავშირდება მეფე ბაგრატ IV-ის (1027-1072) ნახევარძმის დემეტრეს მიერ თავისი საუფლისწულო ანაკოფიის ციხის ბიზანტიისათვის გადაცემას. ასე რომ ეს დროებითი მოვლენაა (5, 245).

პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მხარეა, მაგრამ პრობლემის ერთი მხარე იყო იერარქიულად კონსტანტინოპოლის სამწყსოდან გამოსვლა და მეორე, იმ დიდი გავლენის აღმოფხვრა, რაც საუკუნეთა მანძილზე ბერძნულ ეკლესიას ჰქონდა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობაზე. ეს უფრო ძნელი იყო, რადგან ამ გავლენას ღრმა კულტურულ-ისტორიული ფესვები გააჩნდა. ამიტომ იყო, რომ აფხაზთა მეფეებმა ეკლესიის გამოყოფის შემდეგ დაიწყეს ბერძნული კათედრების მოშლა დასავლეთ საქართველოში და მათ საპირისპიროდ, ახალი ქართული კათედრების დაარსება (11,51). აფხაზთა მეფე გიორგი II-მ (922-957) "აღაშენა (ან განაახლა, მ.ლ.) საყდარი ჭყონდიდისა, შექმნა საეპისკოპოსოდ, და განაშუენა იგი ნაწილთა სიმრავლითა წმიდათა მარტვლთათა" (9, 265). ეს ჭყონდიდის საეპისკოპოსო ქართული კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კერა იყო აფხაზთა სამეფოში. X საუკუნის მანძილზე მოიშალა ფოთის კათედრა, საიდანაც პალიასტომის ბერძნული ხატი, ქუთაისში იქნა გადატანილი (16,526). ასევე მოიშალა ძიღანეველ-გუდავის კათედრა. იგი მეფე ბაგრატ III-მ მის მიერ აგებულ ბედიის ტაძარში გადაიტანა (9, 281).

ასე თანდათან იდევნებოდა ბერძნული ეკლესიის გავლენა, რომელიც აფხაზთა სამეფოში ღვთისმსახურებას ბერძნულ ენაზე ატარებდა. მცხეთის ტახტს კი ქართული ენა შეჰქონდა, რაც დიდად უწყობდა ხელს მცხეთისა და აფხაზთა მეფეების ერთობლივ საქმიანობას. დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობისათვის ქართული ეროვნული ენა იყო და ამდენად, ბევრად უფრო მისაღები, ვიდრე ბერძნული. ასეთ ვითარებაში შემუშავდა "ქართლის" პოლიტიკური მნიშვნელობის ის ფართო გაგება, რომელიც გვამცნობს, რომ "ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცუა ყოველი აღესრულების" (17, 100).

აფხაზთა მეფეების ეს საეკლესიო პოლიტიკა თვალნათლივ მიუთითებს ამ სახელმწიფოს აშკარად გამოხატულ ქართულ შინაარსზე.

ამ დროს მცხეთის საკათალიკოსოს შემადგენლობაშია კახეთის, ჰერეთის, ქართველთა სამეფოს (ტაო-კლარჯეთის) ეკლესიები. დასავლეთ საქართველოს მცხეთისადმი დაქვემდებარებით საეკლესიო გაერთიანებამ წინ გაუსწრო საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას. ქართული ქვეყნების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების დიდ ეროვნულ საქმეში ქართული ეკლესია მეფის გვერდით იდგა და ცენტრალური ხელისუფლების მთავარი მოკავშირე იყო (6, 111-112; 19, 371-372).

## მითითებული წყაროები და ლიტერატურა


1. Джанашия, С.Н. О времени и условиях возникновения абхазского царства. იხ.ს.ჯანაშია, შრომები II 1952 .

2. მ.ლორთქიფანიძე, - ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოშობა, იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, 1970.

3. ს.ჯანაშია - საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან მე-13 ს-მდე. იხ. ს. ჯანაშია შრომები II, 1952.

4. მ. ლორთქიფანიძე - აფხაზები და აფხაზეთი 1990.

5. Анчабадзе З.В. Из истории средневековой Абхазии, Сухуми, 1959.

6. მ. ლორთქიფანიძე, - ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, 1963.

7. ვ. ინგოროყვა - გიორგი მერჩულე, 1954.

8. ჯუანშერი - ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა. იხ.ქართლის ცხოვრება, I 1955.

9.მატიანე ქართლისაი, იხ.ქართლის ცხოვრება, I 1955.

10.იოვანე სანანისძე, მარტვილობა ჰაბო ტფილელისა, იხ. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I 1964.

11. ნ. ბერძენიშვილი, საკაზირო ფეოდალურ საქართველოში, იხ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, 1966.

12. ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, 1960.

13. ს. ჯანაშია, ფეოდალური რევოლუცია საქართველოში. იხ.ს.ჯანაშია, შრომები, I, 1949.

14. ზ. ალექსიძე, ეპისტოლეთა წიგნი, 1968.

15. ს. ყაუხჩიშვილი, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. გეორგიკა, IV,2, 1952.

16. ნ.ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, 1990.

17. გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, იხ.ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 1964.

18. М. Лордкипанидзе, Абхазское царство (Эгрис-Абхазети). იხ. Очерки истории Грузии. II. 1988.

19. М. Лордкипанидзе, Предпосылки объединения феодальной Грузии იხ. Очерки истории Грузии. II, 1988.



**მარიამ ლორთქიფანიძე**

აკადემიკოსი

# ბიჭვინთის სახელით

XV საუკუნის შუა წლებში, მეფე ალექსანდრე პირველის მემკვიდრეების ხელში, საქართველო საბოლოოდ დაიშალა სამეფო-სამთავროებად. ეკლესიურადაც ორი ცენტრი წარმოიშვა - მცხეთა და ბიჭვინთა. ეს ცენტრები ადრეც არსებობდნენ. მცხეთა უკავშირდება წმიდა ნინოს მოღვაწეობას, ბიჭვინთა - წმიდა ანდრია მოციქულის საქმიანობას. აფხაზეთის კათალიკოსი გრიგოლი ბრძანებს - ანდრია მოციქული ბიჭვინთას დაემარხაო. ამიტომ "ბრძანებითა ღვთისათა აღეშენა ტაძარი ღვთისმშობლისა, განაჩინეს და ქმნეს სამღვდელმთავროდ, მოიხსენიების საკათალიკოზოდა (თ. ჟორდანია, "ქრონიკები", ტ. III).

ქართლის კათალიკოსსა და აფხაზეთის კათალიკოსს ფუნქციები განაწილებული ჰქონდათ. მაგალითად, მეფედ კურთხევის დროს "მარჯუენე ხელი (მეფისა - ა.ბ.) კათალიკოზს (ქართლის - ა.ბ.) ეჭიროს, ხოლო მარცხენე ხელი აფხაზეთის კათალიკოზსა, ანუ ჭყონდიდელსა, ანუ იშხნელსა და ეგრეთ შეჰყენ პალატასა შინა" (ქართული სამართლის ძეგლები, ტ.11, 1965 წ., გვ.53). მაგრამ XV საუკუნიდან საქართველოს ორ საეკლესიოდ გაყოფამ რეალური შინაარსი შეიძინა. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო თავკაცი აფხაზეთის კათალიკოსი გახდა. იგი დასავლეთ საქართველოს ერთიანობისა და მთლიანობის სიმბოლოც არის და შეუვალი ავტორიტეტიც. აფხაზეთის კათალიკოსს და ბიჭვინთას თანაბრად ემორჩილება, თაყვანს სცემს და სულიერ მეთაურად ცნობს იმერეთის მეფეც, აფხაზეთის, გურიისა და სამეგრელოს მთავრებიც. მიუხედავად იმისა, რომ მეფესა და მთავრებს შორის მტრობა-ქიშპი, მიხტომა-მოხტომა, რბევა-აწიოკება ხშირია, აფხაზეთის კათალიკოსისადმი და ბიჭვინთისადმი დამოკიდებულება კი ურყევი და უცვლელია. ორგულობას ვერავინ ბედავს. ყველა - დასავლეთ საქართველოს მეფეცა და მთავრებიც - ერთნაირად ცდილობენ ბიჭვინთისა და აფხაზეთის კათალიკოსის კეთილგანწყობილება და ყურადღება დაიმსახურონ.

ბიჭვინთა, როგორც საეკლესიო ცენტრი, მიწამამულისა და ყმების მფლობელია მთელ დასავლეთ საქართველოში. მას მეფე-მთავრები ყველგან აძლევენ შეწირულობას.

იმერეთის მეფე ბაგრატმა ბიჭვინთის ღვთისმშობელს შესწირა "აფხაზეთს ბიჭვინთის გარშემო სოფელი აითარნე, არუხა და რაბიწა, აითარნეს მთა ზეთის ხილოვანი" ("ქართული სამართლის ძეგლები", ტ. II, გვ.179).

დიმიტრი გურიელი, რომელიც იმერეთის მეფედ დასვეს, იძლევა სიგელს: "ბიჭვინთის ღმრთისმშობელსა შემოვსწირეთ გურიის წმიდის კვირიკეს საყდარი ძიმითისა... და დეკანოზი გაბრიელ და ძმა მისი მოსე კბილიანისშვილი... და მისი ყმა მამია ქართველიშვილი" (თ.ჟორდანია, "ქრონიკები", ტ. II, გვ.484).

სამეგრელოს მთავარი ვამეყ დადიანი და თანამეცხედრე მისი ელენე გურიელი ბიჭვინთას სწირავენ "ხენაკს საწინამძღვრო საყდარს და სასახლეს სრულიად მისის მამულითა და ორის სასახლითა" (თ.ჟორდანია, "ქრონიკები", ტ. II).

ერთ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტში - "აფხაზეთის საკათალიკოზო გამოსავალი მოსაკრებულობის დავთარი" ("ქართული სამართლის ძეგლები", ტ. III) - ზუსტად ჩამოთვლილია მთელ დასავლეთ საქართველოში სად რა ეკუთვნის ბიჭვინთის ღმრთისმშობლის ტაძარს. მითითებულია თითოეული პიროვნება, ვის რა გადასახადი აკისრია. მაგალითად ასე: "მართებს მამუკასა გრძელიძესა სამი კოდი წმინდა ჰური, ორი კოდი ქერი, 4 კასრი ღვინო, 3 საკლავი, სამი ქათამი, ერბო, ხაჭო და სალორე მარილი, შვიდი კვერცხი".

მეორე ასეთივე საყურადღებო საბუთში მოცემულია აფხაზეთის კათალიკოსის მოლაშქრე კაცთა ნუსხა, სად რამდენია და ვინ. "არის ქობულეთს და ჩაქუს აზნაურისშვილი და მსახური 5." ("ქართული სამართლის ძეგლები", ტ.III, გვ.481).

მე თითო-ოროლა ნიმუში მოვიშველიე, თორემ ასეთი დოკუმენტები უამრავია. ისინი საგანგებოდ საძებნი არაა. დიდი უმრავლესობა გამოცემულია. ყველა ობიექტურ და პატიოსან ადამიანს შეუძლია ისარგებლოს, გამოიკვლიოს და დაადგინოს, თავადაც დარწმუნდეს და სხვაც დაარწმუნოს, რომ აფხაზეთი ღვიძლი ქართული მიწა-წყალია, აფხაზი ქართული ტომის სახელია. იგი ქართველი ხალხის სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანია.

ეს საბუთები იმასაც მოწმობენ, რომ მიუხედავად საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლისა, ფეოდალური შინაშლილობისა, ქართველ ხალხსა და ქართულ სამეფო ხელისუფლებას არასოდეს დაუკარგავს ერთიანობა-მთლიანობის

შეგნება. გულისყურით დააკვირდით: იმერეთის, ანუ დასავლეთ საქართველოს მეფეები თავისთავს იხსენიებენ ტიტულით: "ჩვენ... ლიხთ-იმერეთისა და ლიხთ ამერისა, ოსეთისა, დასავლეთისა და ყაბარდოსა, ჯიქეთისა და აფხაზეთისა, დიდი ოდიშისა და გურიისა და სრულიად საქართველოს მპყრობელ-მქონებელმან..." (თ.ჟორდანია, "ქრონიკები", ტ.II, გვ.484).

ასე მარტო მეფეები არ იწოდებიან, არამედ მთავრებიც. სამეგრელოს მთავარიც ასე ბრძანებს: "ჩვენ... ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერისა, ოსეთისა და დუალეთისა, სვანეთისა და ყაბარდოსა, ჭიქეთისა და აფხაზეთისა, დიდის ოდიშისა და გურიის და სრულიად საქართველოსა მპყრობელ-მქონებელმან..." (თ. ჟორდანია, "ქრონიკები" ტ. II, გვ.472).

რა არის ეს? ტიტულში ჩამოთვლილი მიწა-წყლის, ქვეყნისა და მხარის მფლობელი რეალურად თუ იმერეთის მეფე არ არის, მით უმეტეს, სამეგრელოს მთავარი, თუ ფაქტობრივ სინამდვილეს ტიტული არ ასახავს, მაშინ დოკუმენტებში რატომ იხსენიებენ ასე თავისთავს? იკვეხნიან? კი, მაგრამ ვის ატყუებენ? არც არავის ატყუებენ; ფაქტობრივი სინამდვილეც კარგად იციან და არც რეალურობის გრძნობა დალატობთ. ეს ტიტული დაჟინებით იმიტომ მეორდება დოკუმენტიდან დოკუმენტში, სიგელიდან სიგელში, რომ ქართველთა ცნობიერებაში მუდამ ცოცხლობდეს, არ იქნეს დავიწყებული - რა არის საქართველო, რა ტერიტორია უჭირავს მას, რა არის ქართველ მეფეთა სამფლობელო. მთავარია "ერთიანობის ცნობიერება არ მოიშალოს. თუ ერთიანობის ცნობიერება არ მოიშლება, არ მოიშლება ცოდნა იმისა, რა არის საქართველო, მაშინ მომავალში აღდგება ის, რაც ისტორიული უსამართლობის გამო დღეს დაქცეულია. რაკი ჯერჯერობით რეალურად და ფაქტობრივად არ შეუძლიათ საქართველოს ერთიანობა-მთლიანობის აღდგენა, ქართველი მეფე-მთავრები ყოველგვარად უწყობენ ხელს ერის ცნობიერებაში ამ ერთიანობა-მთლიანობის შეგნების შენარჩუნებას. ამას მტკიცედ უჭერს მხარს ეკლესია, კერძოდ ბიჭვინთა, როგორც აფხაზეთის კათალიკოსის რეზიდენცია და დასავლეთ საქართველოს სულიერი ცხოვრების ცენტრი.

მაშინაც კი, როცა ქართველი მეფე-მთავრები, მიწა-წყლის მოსაპოვებლად და ყმა-მამულის გასამრავლებლად, ერთმანეთს ებრძვიან და სისხლს ღვრიან, მაინც არ ავიწყდებათ, რომ ერთიანი ქვეყნისა, ერთიანი ერისა და ერთიანი კათოლიკე

ბიჭვინთის ტაძარი
X-XI სს.

ეკლესიის შვილები არიან. ამ ცნობიერების შენარჩუნებას ისიც ეხმარება, რომ დასავლეთ საქართველოს კათალიკოსთა დოკუმენტებში ხშირად ცნება - "აფხაზეთი" - იხმარება ფართო მნიშვნელობით - როგორც მთელი საქართველოს სახელი. ასეა, მაგალითად, სიგელში - "წიგნი მალაქია კათალიკოზისა და გენათელ მელქიზედეკისადმი სამწყსოსა და საწირავის გაჩენის შესახებ" ("ქართული სამართლის ძეგლები", ტ.111). იქ ნათქვამია, რომ კათალიკოს მალაქიას განკარგულების მოშლა-დარღვევის უფლება არავის აქვს, მათ შორის არც "აფხაზეთის მეფეთ-მეფეებს და დედოფალთ-დედოფლებს" (გვ.250). აფხაზეთს, როგორც საქართველოს ერთ-ერთ პროვინციას, არავითარი მეფეთ-მეფენი და დედოფალთ-დედოფალნი არ ჰყოლია. მეფეთ-მეფენი და დედოფალთ-დედოფალნი ჰყავდა ერთიან საქართველოს. ცხადად ჩანს, რომ ამ დოკუმენტში "აფხაზეთი" მთელი საქართველოს გაგებით არის გამოყენებული. ასე, რომ ცნებას "აფხაზეთი" როგორც მთელი საქართველოს აღმნიშვნელს, არა მარტო სპარსელები და არაბები იყენებდნენ, არამედ ქართველებიც.

მთლიანობისა და ერთიანობის ცნობიერების შენარჩუნება ქართული ეკლესიის, კერძოდ აფხაზეთის საკათალიკოსოსა და ბიჭვინთის დამსახურებაა, მისი მოღვაწეობის შედეგია. ამიტომაც მიაგებენ მას უდიდეს პატივს დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები. როგორც კი ისინი შინაურ შუღლსა და მტრობას მოათავებენ, მაშინვე იყრიან მუხლს ბიჭვინთის ღვთისმშობლის წინაშე და პატიებას ეეედრებიან.

ერთიანობა-მთლიანობის შეგნების რღვევა მას შემდგომ იწყება, რაც, რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლებამ და ეკლესიამ ქართული ეკლესიის ავტოკეფალია მოშალა და გააუქმა, რუსული მმართველობა დაამკვიდრა. რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლების დაწყებული საქმე კომუნისტურმა რეჟიმმა დაამთავრა. კომუნისტურმა რეჟიმმა საქართველოს მოწყვიტა აფხაზეთი პოლიტიკურად, ეთნიკურადაც და ცნობიერადაც.

**აფხაზეთი საქართველოს ღვიძლი ტერიტორიაა, აფხაზი ქართველია (აფსუა აფხაზი არ არის. აფხაზია ის ორასი ათასზე მეტი ქართველი, რომელიც მამა-პაპის მიწა-წყლიდან არის განდევნილი).**

## წერილიდან "უმეცრება თუ პროვოკაცია"

*წერილი დაიწერა 1978 წელს, ი. ვორონოვის წიგნის "ვ მირე არხიტექტურნიხ პამიატნიკოვ აბხაზიი"-ს პასუხად: ჯერ კიდევ იმ დროს, როცა ქართველ მეცნიერებს აკრძალული ჰქონდათ აფხაზეთის შესახებ სიმართლის წერა და საუბარი.*

*მოგვყავს მცირე ამონაწერი.*

...ბიჭვინთა და ახალი ათონი უძველესი ქართული ცენტრებია. აქ ეკლესია და მწიგნობრობის ენა ქართულია. ეს კი, იმის უტყუარი საბუთია, რომ ამ რეგიონის ძირითადი მოსახლეობის ძირითადი ენა ქართულია. სხვანაირად ქართული ვერ გახდებოდა ეკლესიის ენად.

...ააშენებენ ეს აფხაზი მეფეები და ხუროთმოძღვრები ბესლეთის ხიდს, ქართულ წარწერას გაუკეთებენ.

ააგებენ ბედიისა და ილორის ტაძრებს, ქართული წარწერით დაამშვენებენ.

საითაც არ გაიხედავ, ქართულ წარწერებს წააწყდები, ლიხნის ტაძარში შეხვალ, ფრესკებს დაათვალიერებ, ქართულ წარწერას იპოვი. ბედიის სასახლის ნანგრევებს მოინახულებ, ქართული წარწერა შემოგეგებება.

ეს აფხაზთა მეფეები წიგნებსაც და სიგელ-გუჯრებსაც ქართულად წერდნენ. სხვათა შორის, იმ "ელიკი აბხაზსკი ცარ დავიდმა" ქართულად დაწერა ათასხუთასწლიანი ქართული მწერლობის შედევრი "გალობანი სინანულისანი".

რაშია საქმე? რამ შეაყვარათ ასე ამ აფხაზთა მეფეებს ეს ქართული ენა? რატომ იბრძვიან ასე თავგამოდებით ისინი საქართველოს სამეფოს ერთიანობისათვის, ქართული ენისა და ქართული ეკლესიისათვის? რით აიხსნება აფხაზთა მეფეების ეს ქართული პატრიოტიზმი?

მეცნიერებისათვის ცნობილ აფხაზეთის კათალიკოზთა შორის არაქართველი არ ურევია.

ვორონოვის წიგნში სიმპათიით მოხსენიებული აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი მიხეილ შარვაშიძე რუსეთის მთავრობასთან მოლაპარაკებისას საბუთებს ქართულ ენაზე ადგენდა. მიხეილ შარვაშიძის შვილი, ცნობილი პოეტი და საზოგადო

მოღვაწე გიორგი შარვაშიძე თავის თხზულებებს ქართულად წერდა, თუმცა აფხაზურსაც ჩინებულად ფლობდა.

მემუარისტები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ იმ დროს გიორგი შარვაშიძის ბადალი აფხაზური არავინ იცოდა და მაინც, ქართულად წერდა. რატომ? იმიტომ, რომ ქართული მატიანით (სამწუხაროდ, აფხაზური მატიანე არ არსებობს) აფხაზეთის სამეფო დასავლეთ საქართველოს სამეფოს ნიშნავს, აფხაზთა მეფე - დასავლეთ საქართველოს მეფეს, აფხაზეთის კათალიკოსი - დასავლეთ საქართველოს კათალიკოსს. იმიტომ, რომ კულტურულ-ისტორიულად, აფხაზეთი საქართველოს ორგანული და განუყოფელი ნაწილი იყო და არის... იმიტომ, რომ ნამდვილ აფხაზს ყოველთვის საერთო ქართული ეროვნული შეგნება ასულდგმულებდა.

...და როგორც თვით გიორგი შარვაშიძე წერს "...სანამ ჯაშუშობასა და სამშობლოს მტრობაში კეთილდღეობა არ გპოვეთ", არავის უფიქრია, არც აფხაზეთის მეფეებს, არც აფხაზეთის კათალიკოსებს, არც იმ ხუროთმოძღვრებს, ვინც მოქვს, ბედიას, ილორსა და სხვებს აშენებდა, არც შარვაშიძეებს, მიხეილი იქნებოდა იგი თუ გიორგი, რომ საქართველო სხვაა და აფხაზეთი სხვა. მათ არ უფიქრიათ, რომ დადგებოდა დრო, მოვიდოდნენ ზოგ-ზოგები და ცრუმეცნიერების სახელით მათი სისხლით აშენებული ერთიანი ქვეყნის სულიერ და ხორციელ გაყოფას მოინდომებდნენ. იცოდნენ, რომ მათ საერთო სამშობლოს საქართველო ერქვა. ამ საერთო სამშობლოს აშენებდნენ და იცავდნენ ისინი ერთად, თუ მეტი არა, ორი ათასი წელი მაინც და გერავინ წარმოიდგენდა, რომ გამოჩნდებოდნენ პროვოკატორები და დაიწყებდნენ ქადაგებას, აფხაზეთი კრასნოდარის მხარეს შეეუერთოთო, და ამას "მეცნიერულად" დამსაბუთებლებიც გამოუჩნდებოდნენ.

მართალია, გიორგი შარვაშიძეს აღარ ეჭირა აფხაზეთის მთავრის პოსტი, მაგრამ იგი სისხლით, ჯიშით და სულით იყო აფხაზეთის მთავარი.

**აკაკი ბაძრაძე**

მწერალი. მეცნიერი



# გიორგი შარვაშიძე

"თუ ქართველი ერი მთლად არ გადაშენდა, - შთამომავლობა და მომავალი ჩასთვლის ჩვენს დროს გონების უმწიფარ ხანად". - ეს სიტყვები აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის შთამომავალს, გიორგი შარვაშიძეს ეკუთვნის. იგი ამოღებულია მისი წერილიდან "ქართული ენის გარშემო", რომელიც გამოწვეული ყოფილა "ქართული მართლმწერლობის კომისიის" მრუდედ შედგენის გამო. ამ წერილში იგი ეკამათება ამ კომისიის მესვეურთ, რომელთაც ხელოვნური ტერმინოლოგიით ჰსურდათ ქართული ენის დამძიმება. "ყოველს ენას მიჰნიჭებია თავისი, ასე ვთქვათ, ჯიშური თვისება. თუმცა-ღა შეიძლება მიუხედავად ამისა, უფრორე განვითარება ენისა, შესაბამ დროთა პროგრესისა, მაგრამ ამას დიდის მოწიწებით, ცოდნით და სიფაქიზით სჭირია მოპყრობა, რათა არ გაირყვნას ჯიშური თვისება ენისა. ხოლო სხვათა ენიდან უხეშად თარგმნა სიტყვისა და მიბაძვით გადმოლაგება სხვათა გონებრივი ვინაობისა, - შეადგენს სამშობლო ენის გადაგვარებისადმი მისწრაფებას" - წერს იგი და აღშფოთებას გამოთქვამს იმის გამოც, რომ "უმეცარს ვინმეს განუზრახავს რუსთაველი წარმოედგინა ჩვენი დროის სამოსელით და მის ყიზილბაშურ ქუდში კალამია გარჭობილი. საკვირველი ის არის, რომ ქართველ საზოგადოებამ მიიღო ის, როგორც ნამდვილი სურათი და გაავრცელეს კიდეცა..."

ქართულია მისი აზროვნება, თვალსაზრისი, მრწამსი. საქართველოა მისი ფიქრის საგანი, მისი ტკივილი. ხოლო აფხაზეთი, კუთხე, სადაც ის დაიბადა, დიდი საქართველოს ნაწილია, ანუ, როგორც მას და საერთოდ, სხვა სამთავროებსაც უწოდებდნენ, "პატარა საქართველოა"... ბრწყინვალედ იცოდა მან ქართული. ქართულად აზროვნებდა და ქართულად წერდა... ბრწყინვალედ იცოდა აფხაზურიც და მოვლილი ჰქონდა მისი ყოველი კუთხე.

რთულ დროში მოუხდა ცხოვრება, ისე როგორც მთელი საქართველო, გარეშე თუ შინაურ მტერთაგან აწეწილი, აფხაზეთის სამთავროც იმჟამად რუსეთის მფარველობისაკენ მიიელტვოდა. რუსეთის მაშინდელ მთავრობასაც ჰქონდა თავისი ზრახვები აფხაზეთის მიმართ. ამ დროს მას უკვე "სამეგრელოში ჰქონდა ფეხი ჩადგმული"და თვალი მისი მეზობელი კუთხისაკენ გაურბოდა. სურდა შავი ზღვის მთელს აღმოსავლეთ სანაპიროზე რუსული მოსახლეობა ჩამოეყვანა, რომ თანდათან დაპატრონებოდა ამ მხარეს. 1864 წელს დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ, მეფის ნაცვალმა კავკასიაში, საკითხიც აღძრა აფხაზეთის სამთავროს გაუქმების შესახებ. იგი სწერდა პეტერბურგს: ასეთი ღონისძიებების მიღება იმისთვისაა საჭირო, რომ შესრულებულ იქნას უმაღლესი მთავრობის მიერ მოწონებული განზრახვა ყაზახთა სტანიცების მოწყობის თაობაზე ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, ყუბანის შესართავიდან მდინარე ბზიფამდე.

მეფის ნაცვლის მიერ წარმოდგენილი პრაქტიკული გეგმის მეოთხე მუხლში ვკითხულობთ: "თუ თავისუფალი მიწების რაოდენობა ამის საშუალებას მოგვცემს, - დახახლებულ იქნან ყაზახ-რუსები ნაპირის გასწვრივ ინგურის შესართავამდე. ბზიფის ხეობის (ყაზახებისავე) მოსახლეობასთან ერთად. მათ შეიძლება აფხაზეთის ყაზახთა "ვოისკო" შეადგინონ". მაგრამ თუ თავისუფალი მიწები არ არსებობდა, შეიძლებოდა დასახლებული ადგილების გათავისუფლება მათი ნამდვილი პატრონებისაგან. ამისათვის რეალური წინადადებები მზად ჰქონდა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს, თავად სვიატოპოლკ-მირსკის, რომელიც, როგორც ჩანს, ადრევე ზიარებული ყოფილა "ვოისკოს" პროექტს. იგი ამის შესახებ მთავარ შტაბს სწერდა: "თუ აფხაზები (სამთავროს გაუქმების შემდეგ) მოისურვებენ ოსმალეთში გადახახლებას, ჩვენ ამას ხელი არ უნდა შევუშალოთ..." (საქ. ცენტრ. არქივი: განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმეთა ფონდი, საქმე №48) ამ გეგმის უმნიშვნელოვანესი ნაწილი მათ განახორციელეს კიდეც. შავი ზღვის სანაპირო ხაზზე აფხაზური მოსახლეობა განადგურებულ იქნა. მისი მამა-პაპეული მიწა-წყალი დაურიგდა ცარიზმის მსხვილსა და წვრილ მოხელეებს. ქვეყნის შუაგულ თემებშიც კი შეიქმნა მნიშვნელოვანი კომპაქტური მოსახლეობა უცხოელი კოლონისტებისა (ს. ჯანაშია. გიორგი შარვაშიძე. გამომც. "საბჭოთა საქართველო", 1985 წ. გვ. 5-6) აფხაზეთის სამთავროს მომავალს სერიოზული

საფრთხე დაემუქრა; მიხეილ შარვაშიძეს - აფხაზეთის უკანასკნელ მთავარს, მისი მოშორების მიზნით, რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს ღალატიც კი დააბრალეს. დიმიტრი ყიფიანის ცნობით, რომელსაც ამ საქმის გამოძიება დაევალა, მიხეილმა არამც თუ ღალატი, უზომოდ დიდი დახმარებაც გაუწია რუსის მთავრობას. იგი წერს, რომ რუსის ჯარები ვერ გამოაღწევდნენ აფხაზეთიდან (როცა მათ ომის დაწყებისას სამეგრელოში დაიხიეს), მიხეილს რომ არ გამოეყვანა (საქ. ცენტრ. არქივი, განსაკ. საქმე, №42). საბოლოოდ, მრავალი წინააღმდეგობის მიუხედავად, მიხეილმა (უკვე მოხუცმა და ავადმყოფობის გამო დაუძლურებულმა) თვითონ გამოუცხადა მოსახლეობას რუსული მმართველობის დამყარება საქართველოში. მთავრობას კი მიმართა თხოვნით, ნება მიეცათ მისთვის, დარჩენილიყო აფხაზეთში, ან არადა, ეცხოვრა ზამთრობით ქუთაისში, ზაფხულობით კი რაჭაში. თუ ესეც შეუძლებელი აღმოჩნდებოდა, მაშინ მიეცათ მისთვის პასპორტი იერუსალიმში წასასვლელად, რომ იქ დაელია თავისი დღენი. მიხეილი გარდაიცვალა 1865 წელს, გადასახლებაში, - ქალაქ ნოვოროსიისკში. იგი იმავე წელს ჩამოასვენეს აფხაზეთში და დაასაფლავეს მოქვის ტაძარში. მამის გარდაცვალების ჟამს გიორგი შარვაშიძე ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა იყო. ხალხი მწვავედ განიცდიდა დამოუკიდებლობის დაკარგვას და გამუდმებით მოითხოვდა მმართველობის ძველი წესის აღდგენას. 1866 წელს იფეთქა აჯანყებამ, რომლის ჩახშობის შემდეგ გიორგი შარვაშიძე რუსეთში გადაასახლეს. მაგრამ მალე შეიწყნარეს და პეტერბურგში "დასახლეს", სადაც მას დიდად დამეგობრებია მეფის ძე, შემდეგში თვით მეფე ალექსანდრე (მესამე). გიორგის იქ ბრწყინვალე კარიერა ელოდა, მაგრამ გული სამშობლოსკენ მოუწევდა და საქართველოში დაბრუნებულა.

გიორგი შარვაშიძის უმცროსი თანამედროვე და პირადად მცნობი ერთი პირი ამბობს: "გაბედულად შეიძლება ითქვას, რომ გიორგი ერთადერთი გამონაკლისი მაგალითი იყო მთელ ჩვენ საკმაოდ მრავალრიცხოვან მემკვიდრეთა და უმაღლეს არისტოკრატიის წევრთა შორის, რომელმაც ქედი არ მოიხარა, მცირეოდენადაც არ დაიმცირა ღირსება თავის ერის მჩაგვრელ, თავის ხალხზედ ძალით გაბატონებულ ძლიერ სახელმწიფოებრივ მმართველობის წინაშე. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ყველა მისი დროის და მისი წრის ოჯახობა დიდ ბედნიერებად და საოცნებო ნეტარებად თვლიდა იმ ჯილდოწარჩინებას, რომელსაც გიორგი ზიზღით უარყოფდა. ვინ არ იცის, თუ რამდენი მხხვერპლით და ტანჯვა-წვალებით მიისწრაფოდნენ ყველა ჩვენი არისტოკრატიის წევრნი სასახლის ყურადღება-წყალობის დამსახურებისაკენ. გიორგის კი ყმაწვილობიდან ეზიზღებოდა ყოველივე ის სიკეთე, რომელიც რუსეთის ტახტიდან გამომდინარეობდა (ჟურნ. "თეატრი და ცხოვრება". სიტყვა წარმთქმული გ. შარვაშიძის დასაფლავებაზე 1918, №10) სამაგიეროდ, იგი მუდამ შეეწროებული იყო. იმავე ცნობით, გიორგის "ორი ქცევა მიწა ენატრებოდა მის ქვეყანაში".

გიორგი შარვაშიძე, თავისი არსებით, სულით, მრწამსით, სარწმუნოებით ნამდვილი ქართველი კაცი იყო, ღირსეული წარმომადგენელი და სისხლი სისხლთაგანი საქართველოს ძირძველი კუთხისა - აფხაზეთისა, მისი უკანასკნელი მთავრის შთამომავალი. მისი აზროვნება, მთელი მისი არსება ქართულია. იგი ერთგან წერს: "მართალია, ჩვენს სამშობლო ივერიას ყოველგვარი დიდი კულტურული განცდა გამოუვლია, მაგრამ ჩვენი წარსული ისეთს ჟამს გაშეშდა, რომ დაგვებნა ბუნებრივი ევოლუციის შარა და კანონი. დიაღ, ჩვენ შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ იღლის უკუღმართობას რომ ხელი არ შეეშალა, ევროპის წინათაც ვიქნებოდით ჩვენ დღეს. ვინაიდან, როდესაც ანდრია მოციქული ქრისტეს მცნებას გვიქადაგებდა, მაშინ ევროპაში თვით დუკებსაც კამეჩის ტყავი ეცვათ ტანზე და ფეხშიშველა შუბებით ხელში, ნადირობდნენ ტყეებში. მას მერე, როგორც იყო, ომით, მუდამ დავიდარაბით, მივიტანეთ ჩვენი კულტურის ცხოვრება თამარ დედოფლის დრომდი, რომელიც იყო ივერიის ოქროს ხანა. შემდეგ კი უკუღმართად დატრიალდა ერის არსება. შემოსეული მტრები არ გვაძლევდნენ საშველს და ხალხი დაიღალა. ნელ-ნელა ჩაქრა დიდებული გონებრივი და ქონებრივი თანხა ქვეყნისა და დაიშალა ცხოვრება თვითარსებობისა. ენა გაღარიბდა, ზნეობა წაგვიხდა, ქონება-შეძლება დაკარგეთ, რაინდობა და პატიოსნება განვაგდეთ და ბოლოს მოვაღწიეთ იმ ხანაში, როცა კეთილდღეობასა ვპოულობდით ჯაშუშობაში და სამშობლოს მტრობაში"... "ამ დროს, როდესაც შეგნებული ნაწილი ივერთა დაკუწულ ხალხისა, ხელთგულდაკრეფილი იდგა საფლავებზე თავის დავიწყებული, დამარხული დიდებისა, დღეს, უეცრად გაისმა ხმა სიმართლისა და თავისუფლებისა" შემდეგ ავტორი ეკამათება იმათ, ვინც ეწინააღმდეგება საქართველოს თავისუფლების იდეას - "ბრწყინვალე მზეს ერის გათავისუფლებისა, გამოცოცხლებისა"-ს (გაზ."საქართველო" 1917 № 37, 140).

მოგონებათა შორის, რომელნიც აფხაზთა ამ ბრწყინვალე შთამომავლის სახეს ჩვენს ცნობიერებაში აცოცხლებენ, არის ერთი. იგი ეკუთვნის გრიგოლ რობაქიძეს... მკითხველს ვთავაზობთ რამდენიმე ამონაწერს ამ მოგონებიდან:

"სოხუმის ნაპირები... მთავარ ქუჩაზე მოდის

ვინმე ცხენოსანი. უკან მცველი მოჰყვება. იგიც ცხენზე მჯდარი. ცხენოსანი ნამდვილი მხედარი. მოხდენილი ჯდომა, თითქოს მბრძანებელია მგრძნობიარე ცხოველის, მაგრამ თითქო მას ძალას არც კი ატანს.

გადმოხტა. გავიცანი: გიორგი შარვაშიძე, შვილი აფხაზეთის უკანასკნელი მთავრისა. რა შესანიშნავად ადგას ჩოხა! ტანი მაღლად არის აყვანილი სილაღით კიდევ, თუმცა ეტყობა ექვს ათეულს გადასცილებია. ასეთი მოხდენილი ჩაცმულობა არავისზე მინახავს საქართველოში. ... სადა ძალზე და ამასთანავე, რჩეული მეტად. ... რაიოდენი სიმაღლე და რაოდენი თავაზი. საოცარია ხმა, ნელი, ტკბილი, მელოდიური. კილოც ლამაზი, უცნაური ჯადოთი გაჟღენთილი. ხანდახან ოდნავი აცეცხლება, - ხოლო, არც ისეთი, რომ ღია პათოსში გადავიდეს. ამართა სახელო. - სილამაზე ივერიული. ხაზების სისწორე და სირბილე, სწორუპოვარი პროფილი: აქაც სისადავე და რჩეულობა თან. მთელი საუკუნეებია საჭირო, რომ ბიოლოგიურმა შერჩევამ ასეთი სრული ტიპი წარმოშობოს. უბრალო მიმოხვრაც მოწმობს მისი, რომ მის გვარში ას წლობით ყოფილა შეუცნობელი ფიქრი ბიოლოგიური რჩეულობისა.

...მთავრის შვილის სიტყვა მოხდენილია ფრიად. იცის ევროპული ენები: ფრანგული, ინგლისური, გერმანული... განსაკუთრებით ფრანგული. ზედმიწევნით იცის რუსული - რუსის სასახლესთან სიახლოვეც ჰქონებია. იცის ძვირფასად ქართული, აფხაზური, მეგრული. ... იგი თვითონ მწიგნობარია. რუსთაველი ზედმიწევნით იცის. თვითონაც წერს: ლექსებს, პოემებს, დრამებს. მაგრამ ამეებში არ ეტყობა ბარბაროსული ძალა აყრილობა. ეს მხოლოდ გასართობია მისთვის, მხოლოდ, - თუმცა ისეთივე ლმაზი მოხდენილობით აღვივებული, როგორც ქორითა და შევარდნით ნადირობა, - რომელიც მას უყვარს და ძალზე შნოიანადაც ეხერხება.

ბაასის საგანი ხშირად საქართველოა. გაბედულობა მისი საკითხის გადაწყვეტაში, არავითარი კომპრომისი, სრული თავისუფლება. აი, მისი ფიქრის ხვეული. ხოლო აქაც ნელი, ლბილი, აუღელვებელი. ხანდახან ოსმალეთსაც ჩააყენებს საქართველოს საკითხში, ...მისთვის ყველა საკითხი მნიშვნელოვანია, თუ მას სილამაზე ახლავს. ნამდვილი არისტოკრატია (ამ სიტყვის რჩეული მნიშვნელობით).

ამ დღეებში ამბავი მოვიდა მისი სიკვდილის: - მოგვშორდა ქართული რასის ნამდვილი ვაჟი.

გიორგი შარვაშიძის სიცოცხლე გათავდა იმ შფოთიან ჟამს, როცა აფხაზეთი, მთელ საქართველოსთან ერთად, ჯერ კიდე ორ სამყაროს შუა ირყეოდა. იგი გარდაიცვალა სოხუმში. 19 თებერვალს. დაკრძალეს მოქვის ქართულ სავანეში, აფხაზთა მეფის, ლეონის მიერ X საუკუნეში აშენებულ მოქვის ტაძარში, თავისი მამის გვერდით. ასეთი იყო მისი სურვილი და ნატვრა მისი.

x x x

განგებავ, ამას ნუ მიწყენ,
ვერ გადავგვარდე გვარადა,
ხანდისხან დავილულუნო
მამაპაპური ვარადა.
იგი ღულუნი-სიმღერა
არ არის გასახარადა,
ის არის მძიმე მოთხრობა
გულისა სატკივარადა.
ისა ჰგავს დედის საფლავზედ
ობლისა მოთქმას მწარადა,
კვნესის და კვნესის, ქვითინებს
მტირალის ჩვილის გვარადა,
უბნობს, თუ ვითა ცხოვრება
- ათასის წლისა წყნარადა.

ერთბაშად, ერთის მობერვით
სულ წარხვეტილა ქარადა!
ზოგჯერ გიჟურად შეჰკივლებს
- ბედისა სამუქარადა.
ეტყვის: მარტოკა დამაგდე
ნაწყვეტად, ნაოხარადა,
მიკვირს საწუთროს ვნებანი
ვის ჰფხვრიან, ვის სახმარადა
და მსგავსსა ბოროტებასა
ყურსა არ უგდებს ცა რადა!
განგებავ, გვედრებ, ნუ მიწყენ,
თუ რომ შეგჩივი მარადა,
ხანდისხან დავილულუნო
ვაი და ვაი, ვარადა.

**გიორგი შარვაშიძე**

# კულტურის ძეგლები აფხაზეთში

აფხაზეთის მიწა-წყალზე (ვგულისხმობთ ახლანდელ ავტონომიურ რესპუბლიკას) დარჩენილია ნივთიერი კულტურის ბევრი ძეგლი, რომლებიც ქრონოლოგიურად დროის დიდ მონაკვეთს სწვდება. მათ შორის ბევრია დიდი მხატვრულ-ისტორიული მნიშვნელობის მქონე; ზოგი უნიკალურიც არის. მათდამი ჩვენს ინტერესს ისიც ამახვილებს, რომ ისინი მოწმობენ საუკუნეთა მანძილზე აფხაზეთის ორგანულ კავშირს დანარჩენი საქართველოს კულტურასთან (რის უარყოფასაც მუდმივ ცდილობდნენ და ცდილობენ აფხაზი, ან აფხაზეთში მცხოვრები რუსი ავტორები), ამ უკანასკნელის დიდ, გარკვეულ ისტორიულ საფეხურებზე, გადამწყვეტ გავლენას. ეს ძეგლებია საერო, ჯერ წარმართული, შემდეგ ქრისტიანული საკულტო (საეკლესიო) ნაგებობები, შუა საუკუნეების ფეოდალური ანსამბლები, კედლის მხატვრობის დიდად საინტერესო ნიმუშები. ეს არის ამ მხატვრობის მიერ შემონახული ისტორიული წარწერები - მხოლოდ ქართული! აფხაზური უდამწერლობო იყო ჩვენს დრომდე და მთელი შუა საუკუნეების მანძილზე აფხაზების კულტურულ ენას ქართული წარმოადგენდა. აფხაზეთის ეკლესიებში, რომლებიც სულ ადრინდელი საფეხურების გარდა, ხრულიად საქართველოს, ან დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსოს ექვემდებარებოდა, ინახებოდა ქართული სასულიერო წიგნების მშვენიერი ნიმუშები და საეკლესიო მღვდელთმსახურებისათვის საჭირო ნივთები - ოქრომქანდაკებლობის მხატვრული ძეგლები.

აქაური ნივთიერი კულტურის უადრესი ნიმუშები შორეულ წარსულს - ძველი ქვის ხანას (პალეოლითს) მიეკუთვნება. ეს არის პრიმიტიული სადგომები, ძვ. წელთაღრიცხვის III-II ათასწლეულთა (ბრინჯაოს ხანის) დოლმენები (მეგალითური სამარხი ნაგებობანი). ანტიკურ ხანაში და შუა საუკუნეების ადრეულ საფეხურებზე აქ ინტენსიური მშენებლობა წარმოებდა. შეიქმნა მნიშვნელოვანი საკულტო ანსამბლები, რომლებიც ქართველ არქეოლოგთა ხანგრძლივი მეცნიერული კვლევის საგნად იქცა.

აფხაზეთის ზღვის სანაპიროს, ისევე, როგორც მთელ ლაზიკას, ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში მჭიდრო კავშირი ჰქონდა ჯერ რომაულ, შემდეგ კი ბიზანტიურ სამყაროსთან. ზოგი იქაური ეკლესია ატარებს კიდეც ბიზანტიური არქიტექტურის გავლენის ნიშნებს, მაშინ, როცა საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე აგებული ტაძრები არსებითად განსხვავდება ბიზანტიური ძეგლებისაგან. ზოგი ავტორის მოსაზრება, რომ ადრეული შუასაუკუნეების აფხაზეთი მხოლოდ ბიზანტიურ კულტურულ პერიფერიას წარმოადგენდა, ცალმხრივია: თვით ძეგლთა განხილვა გვარწმუნებს, რომ მაშინდელი აფხაზეთისა და ბიზანტიის ძეგლების გაიგივება სინამდვილეს არ შეეფერება - მათი მოწყვეტა ზოგად ქართული ნიადაგისაგან ისტორიულად გაუმართლებელია: აფხაზეთის ტერიტორიაზე შემონახულია ე.წ. სამეკლესიანი ბაზილიკის ტიპის ეკლესიები, ეს კი ის ტიპია, რომელიც საქართველოში ჩამოყალიბდა და უცნობია სხვა ქვეყნებში (ჩვენში ამის მნიშვნელოვანი ნიმუშებია ქართლსა და კახეთში). ეს ძეგლებია აბაანთას, ძველი გაგრის, ამბარას (მიუსერას კონცხზე) და ქიაჩ-აბას ეკლესიები. ეს ბუნებრივია, შემთხვევითი არ შეიძლება იყოს. იგი რეალური კულტურულ-ისტორიული ვითარების მაჩვენებელია.

ამ წერილში, რა თქმა უნდა, ვერ შევეხებით აფხაზეთის ყველა მნიშვნელოვან ძეგლს, ან, თუნდაც, მათს უმეტესობას. გამოვყოფთ მხოლოდ რამდენიმე ცენტრს, რომლებიც მოწმობს მშენებლობის ინტენსიურობას და თავისებურებას.

აფხაზეთის ყველაზე ცნობილი და პოპულარული ძეგლია **ბიჭვინთის ანსამბლი,** რომელიც სხვადასხვა დროის ნაგებობათა კომპლექსს წარმოადგენს. ბიჭვინთაში აღმოჩენილი კერამიკის, შენობათა ნანგრევების, ანტიკური ხანის ავტორთა წერილობითი ცნობების თანახმად, ირკვევა, რომ ბიჭვინთის კონცხზე კოლხური დასახლებები არსებობდა ძვ. წელთარიცხვის II ათასწლეულის II ნახევარში და I ათასწლეულის I საუკუნეებში. ბიჭვინთა პირველად ნახსენებია ძველი ბერძენი გეოგრაფისა და ისტორიკოსის, სტრაბონის (ძველი წელთაღრ. I საუკუნ. II ნახევარი - ახალი წელთ. I საუკ. I ნახევარი) "გეოგრაფიაში", რომელშიც დამოწმებულია უფრო ადრინდელი ავტორის ცნობები. იგი "დიდ პიტიუნტად" იწოდება. როგორც ჩანს, ელინისტურ ხანაში აქ უკვე ქალაქი არსებობდა. II-III ს.ს.-ში ბიჭვინთის ციხეში იდგა რომაელების გარნიზონი, რომელიც იმპერიის ჩრდ.-აღმ. საზღვრებს მთიელებისაგან

იცავდა. ადრეული ხანიდანვე ბიჭვინთა ქრისტიანობის მნიშვნელოვან კერად და დასაყრდენად იქცა. IV ს. I მეოთხედში აქ უკვე არსებობდა საეპისკოპოსო კათედრა. ბიჭვინთის ეპისკოპოსი მონაწილეობდა ნიკეის I მსოფლიო კრებაში 325 წელს. გათხრებმა დაადასტურა, რომ ბიჭვინთა მომდევნო საუკუნეებში მძლავრი სავაჭრო-სახელოსნო და კულტურული ცენტრი იყო. აღმოჩნდა დიდი საცხოვრებელი უბანი - საცხოვრებელი სახლებით, სათავდაცვო, სამეურნეო და კომუნალური დანიშნულების შენობებით, კანალიზაციით; სატაძრო უბანი. აქ შესწავლილ იქნა IV ს. ბაზილიკა, მის ნანგრევებზე აგებული V ს-ის დიდი სამნავიანი ბაზილიკის ნაშთი. პირველი მათგანის იატაკი შემკული იყო V ს-ის მოზაიკით, რომელიც თავისი ხასიათით უახლოვდება მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში - სირიასა და პალესტინაში აღმოჩენილ ელინისტური ხასიათის მოზაიკებს, გამოსახულია ე. წ. ქრიზმა, მცენარეული და გეომეტრიული ორნამენტული სახეები, ფრინველთა ფიგურები. მოზაიკა შესრულებულია ადგილობრივი მასალით, ადგილობრივი ოსტატების მიერ და მათს მაღალ დახელოვნებას მოწმობს. ბიჭვინთის ცენტრში, ნაქალაქარიდან სამიოდე ასეული მეტრის დაშორებით, დგას X ს-ში ან XI-ის დასაწყისში აგებული სახელგანთქმული საეპისკოპოსო ტაძარი, ერთი ყველაზე საინტერესო ძეგლთაგანი ქართული ხუროთმოძღვრებისათვის მნიშვნელოვანი ეპოქისა - იგი ე. წ. გარდამავალი ხანისა და მცირე აყვავების ხანის მიჯნაზე დგას. ეს გუმბათიანი ეკლესიაა - საგრძნობლად წაგრძელებული სწორკუთხა ნაგებობა. გუმბათი ეყრდნობა ორ თავისუფლად მდგომ ბოძს და საკურთხევლის კუთხეებს. საკურთხევლის აფსიდი, სადიაკვნე და სამკვეთლო გარედან სამ ნახევარწრიულ შვერილს ქმნიან, დასავლეთით მთავარ მასას ემატება ნართექსი. შიდა სივრცის არსებითი ელემენტია სამმხრივი პატრონიკე (II სართულის სადგომები). გუმბათის ყელი შიგნიდანაც და გარედანაც მრგვალია, დიდი დიამეტრის მქონე. ფასადები თავიდანვე მოკლებული იყო ჩუქურთმებს, ნაშენია ორმაგი მასალით, ქვითა და აგურით, რაც უჩვეულოა საქართველოს სხვა ნაწილებისათვის და რამდენადმე ენათესავება ბიზანტიურ წყობას, თუმცა კი ძალიან დაშორებულია იქაური ეკლესიების XI და მომდევნო საუკუნეების ფასადთა ხალიჩისებრი წყობისაგან. ბიჭვინთის ტაძარი ქართული ზღვისპირეთის ყველაზე უფრო-მონუმენტური საეკლესიო ნაგებობაა. დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს გაშლილი და, იმავე დროს, საგრძნობლად აზიდული სივრცე. აფხაზთა სამეფოს შექმნის დროიდან ბიჭვინთა აფხაზეთის კათალიკოსის რეზიდენცია იყო. როცა XV-XVI სს. საქართველოს ერთიანი სახელმწიფო დაშალა, ბიჭვინთა კვლავ იქცა საკათალიკოსო ტაძრად - იქ მჯდომი აფხაზეთის კათალიკოს-პატრიარქის იურისდიქცია მთელ დასავლეთ საქართველოს სწვდებოდა. გვიან ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სამთავრო-სამეფოების ცხოვრებაში აფხაზეთის კათალიკოსები თვალსაჩინო როლს თამაშობდნენ, თუმცა უკვე XVII ს-დან ისინი იძულებულნი იყვნენ, შექმნილი ისტორიული ვითარების გამო, რეზიდენცია ბიჭვინთიდან სხვაგან გადაეტანათ (უმეტესად გელათში ისხდნენ). ტაძარში შემორჩა XVI ს-ის მხატვრობის ფრაგმენტები. XIX ს-ში ეკლესია საფუძვლიანად შეაკეთეს და როგორც ეს ჩვეულებრივად ხდებოდა, დაამახინჯეს კიდეც (კედლები შელესეს, გუმბათის გადახურვას ფორმა უცვალეს). მაგრამ, როგორც ითქვა, ძეგლი ინარჩუნებს ძლიერი მხატვრული ზემოქმედების ძალას.

მნიშვნელოვანი ისტორიული ცენტრი იყო, აგრეთვე, **ანაკოფია, ანუ ფსირცხა** - "მატიანე ქართლისაჲს" სიტყვით, "თავადი ციხეთა აფხაზეთისათა" - ახლანდელი ახალი ათონის ტერიტორიაზე. VII-VIII საუკუნეებში ეს აბაზგთა საერისათაოს პოლიტიკური ცენტრი იყო. ჩვენს წყაროებში (იმავე "მატიანე ქართლისაჲში") პირველად იხსენიება VIII ს-ის ამბებთან დაკავშირებით, როცა მისი აღება ამაოდ სცადა მურვან-ყრუმ. VIII ს-ის დასასრულიდან, როცა აფხაზთა სამეფო შეიქმნა, ანაკოფია მისი მთავარი ქალაქი გახდა და მნიშვნელობა არ დაუკარგავს არც მას შემდეგ, რაც სამეფოს დედაქალქმა ქუთაისში გადაინაცვლა. XI ს-ში ანაკოფია ცოტა ხანს ბიზანტიელების ხელში იყო, მერე კვლავ საქართველომ დაიბრუნა. მისი დაკნინება იწყება XIV ს-დან. XIV-XV სს-ში აქ გენუელებმა თავისი ფაქტორია დააარსეს და ციხეც ააგეს. უყურადღებოდ არ დაუტოვებია ანაკოფია არც ოდიშის მთავარს, ფრიად აქტიურ მშენებელს - ლევან დადიანს. მან ქალაქს ზღუდე შემოავლო. ვახუშტის ცნობით (მის დროს ანაკოფია "ოხერ არს"), "კარგ ეპოქებში" ეს იყო "ქალაქი კეთილი, შუენიერი, ზღვასა ზედა წაშენებული და ბაგრატიონთაგან უმეტეს განდიდებული, რომლისა ზღვასა შინა სვეტნი ორმოცამდე დღესაც ჩანან". XIX ს-ის II ნახევრიდან იწყება ანაკოფიის ახალი ცხოვრება - 1875 წელს ძველი ანაკოფიის ნანგრევებთან რუსეთის საეკლესიო ხელისუფლებამ დააარსა რუსული მონასტერი "ახალი ათონის" სახელწოდებით (ეს სახელი დაერქვა მთელ იმ ადგილს). იგი ითვლებოდა საბერძნეთის ათონის რუსული მონასტრის ფილიალად. 1877-78 წლების ომი რომ დამთავრდა, როცა მონასტერი ხანძრის შემდეგ აღადგინეს, იგი გადაიქცა შავი ზღვის უდიდეს საეკლესიო ცენტრად. საბჭოთა ხელისუფლების წლებში მონასტერი გაუქმდა და

ახალი ათონი ერთიან საკურორტო ზონად იქცა.

ანაკოფიის ისტორიულ ძეგლთაგან (გამაგრებათა მთელი სისტემა, ციტადელი ივერიის მთაზე, ბაზილიკა მის ფარგლებში და სხვა ) ყურადღებას იპყრობს სიმონ კანანელის გუმბათიანი ეკლესია IX-X საუკუნეებისა, რომელსაც XIX ს-ის საფუძვლიანი შეკეთება-აღდგენის შემდეგ ძლიერ შეცვლილი აქვს სახე. ეს არის გუმბათოვანი ეკლესია ოთხი თავისუფლად მდგომი გუმბათქვეშა ბურჯით, დასავლეთის ნართექსით ფასადის მთელ სიგანეზე, სამი შეფერილი აფსიდით აღმოსავლეთის მხარეს. შუა დიდი შეფერილი ხუთწახნაგაა, დანარჩენი ორი მრგვალია. მთლიანად შენობის გეგმა რამდენადმე წაგრძელებულ სწორკუთხედში "იწერება". შიგნით აფსიდებს მკაფიოდ გამოსახული ნალისებრი მოხაზულობა აქვს, რაც დამახასიათებელია ადრეული შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრებისათვის. ტაძარი ნაშენია თლილი ქვით, წყობის რიგები თანაბარია, წესიერი, ჰორიზონტული, მაგრამ ქვები უშუალოდ არ ეხება ერმანეთს - მათ ჰყოფს ხსნარის ორმეტრიანი ფენა. მიუხედავად ცვლილებებისა, ტაძარმა შეინარჩუნა გარკვეული მხატვრული ღირსებები, კერძოდ, ჰარმონიულ შთაბეჭდილებას სტოვებს შიდა სივრცე - გაწონასწორებული, მსუბუქად აზიდული. რაც შეეხება გარეთა თავდაპირველ მორთულობას, თუკი იგი არსებობდა, თითქმის აღარაფერი გადარჩენილა. სამხრეთის ფასადის წარწერა მოწმობს, რომ ძეგლი 1882 წელს აღუდგენიათ.

კარგად შეინარჩუნა თავდაპირველი სახე ლიხნეს ეკლესიამ, რომელიც განსაკუთრებით ცნობილია XIV ს-ის კედლის მხატვრობით (ადრინდელი ფენა XI საუკუნისაა). სოფ. ლიხნე გუდაუთის რაიონშია, ზღვის ნაპირიდან 4-5 კმ. მანძილზე. თავისი ხუროთმოძღვრული მონაცემებით ძეგლი X-XI საუკუნეების მიჯნას შეიძლება მიეკუთვნოს. ეს ღვთისმშობლის მიძინების ტაძარია. თავისი გეგმით იგი ენათესაგება ანაკოფიის ძეგლს. ესეც სწორკუთხა, წაგრძელებული შენობაა (უფრო მეტად, ვიდრე ანაკოფია), აქაც ოთხი გუმბათქვეშა ჯვარისებრი ბოძია და სამი შეფერილი აფსიდი (შიგნით ნალისებრი მოხაზულობისა). დასავლეთით აქაც ნართექსია, მაგრამ მის თავზე II სართულია - პატრონიკე; სამხრეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით, შესასვლელების წინ, წინიდან ღია კარიბჭეებია. ტაძარი მოპირკეთებულია კარგად გათლილი ყვითელი ნასვრეტოვანი ქვით. ფასადებს მორთულობა არ გააჩნია. გარედან გუმბათის ყელი, შედარებით დაბალი და მცირე დიამეტრის მქონე, რამდენადმე პატარა ჩანს ტაძრის მთელ მასასთან, მაგრამ შიგნით არავითარი შეუსაბამობა არ იგრძნობა - საერთო შთაბეჭდილებაა ნაწილთა სრული ურთიერთშეთანხმებისა, აზიდულობისა, სიმსუბუქისა, პროპორციათა დახვეწილობისა, რაც შენობის გარეგნობასაც გამოარჩევს. შიგნით კედლები მთლიანად დაფარული იყო მხატვრობით, რომელიც ატარებს პალეოლოგთა სტილის გარკვეულ ნიშნებს. მისი კოლორიტი გამოირჩევა სიფაქიზით, წაგრძელებული ფიგურები დინამიკური და ექსპრესიულია. ეს XIV ს-ის ქართული კედლის მხატვრობის ერთი ყველაზე თვალსაჩინო ნიმუშთაგანია, აფხაზეთის ფარგლებში კი - ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლი. მხატვრობის შინაარსს შეადგენს ძველი და ახალი აღთქმის ცალკეული ეპიზოდები. მთლიანად კი მხატვრობის ანსამბლი ღვთისმშობლის განდიდებისადმია მიძღვნილი. ლიხნეს ტაძარი და მისი მხატვრობა ადრევე იპყრობდა მკვლევართა და მოგზაურთა ყურადღებას. მას ეხება XIX ს-ის ბევრი ავტორი - ქართველები, რუსები, უცხოელები. საბოლოო მხატვრულ-ისტორიული ანალიზი უკვე ჩვენი დროის ავტორებს ეკუთვნის (საინტერესოა აღინიშნოს, რომ ჩვენი სიძველეების შესანიშნავმა მკვლევარმა მარი ფელისიტე ბროსემ კავკასიაში მოგზაურობისადმი მიძღვნილ ცნობილ თხზულებაში გამოაქვეყნა ლიხნეს დღეს აღარარსებული წარწერა, რომელიც შეიცავდა ცნობას 1066 წლის კომეტის შესახებ).

ტაძრის მახლობლად მდებარეობს აფხაზეთის მთავართა ნასახლარი (აწ უკვე დანგრეული. დაინგრა 1866 წელს) - ორსართულიანი ნაგებობა. იგი გვიანი შუა საუკუნეების საერო ხუროთმოძღვრების დამახასიათებელი ნიმუშია. სოფლის განაპირას დარჩენილია ციხე-სიმაგრის კომპლექსი აბა-ანთა (VII-VIII საუკუნეებისა), სამეკლესიიანი ბაზილიკის ნაშთით, რომელიც ზემოთ ვახსენეთ.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ძეგლი: **მოქვის ტაძარი** ოჩამჩირის რაიონში, მდ. მოქვის ნაპირას. ეს ერთადერთია იქაურ ტაძართა შორის, რომლის აგების შესახებ მოგვეპოვება წერილობითი საბუთი. "მატიანე ქართლისაჲ" გვამცნობს, რომ აფხაზთა მეფის, გიორგის ძე ლეონი კახეთში იყო სალაშქროდ, როცა მამის გარდაცვალების ამბავი მოუვიდა. "შეიქცა ლეონ და ეუფლა მამულსა და სამეფოსა თჳსსა, რამეთუ მაშინვე შთავიდა აფხაზეთად, და განადიდა უფალმან ღმერთმან მეფობა მისი. მსგავსად მამისა მისისა, იყო იგიცა ღმრთისმოყუარე და სავსე ყოვლითა კეთილითა. ამან აღაშენა ეკლესიაჲ მოქვისა და შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ,. აკურთხა და განასრულა ყოვლითა განგებითა..." თვით ის ფაქტი, რომ მემატიანემ საჭიროდ ჩათვალა ტაძრის აგება საგანგებოდ მოეხსენიებინა, მოწმობს, რომ მოქვი მნიშვნელოვან სასულიერო ცენტრად იყო მიჩნეული. ლეონის მეფობის მიხედვით, ძეგლის თარიღი 957-967 წლების ფარგლებში ექცევა. მოქვის საეპისკოპოსო კათედრის დაარსება მეტყველი ფაქტია, რომელიც

"ქ.კურთხეულ ხარ, ღმერთო, ყოვლად ყოველსა შინა. ეს იქმნა დასაბამითგან ფელთა ხქით, ქორონიკონსა სპ, მეფობასა ბაგრატ გიორგის ძისასა ინდიკტიონსა ლეი, აპრილსა თუესა ვარსკვლავი გამოჩნდა, რომელ მისსა ფიალსა აღმოვლიდის და ფინა მისსა, ვითარცა შარავანდი დიდი მოკიდებით მასვმა. ეს იქმნა ბზობისგან აღვსებამდე".

**ძველი ქართული ასომთავრული წარწერა ლიხნეს ტაძარზე; X ს.**

მოწმობს, რომ მისი აგება ქართული სახელმწიფოს გაძლიერებისა და ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის განმტკიცების ვითარებასთან, ე. ი. ბიზანტიური საეკლესიო გამგებლობისაგან თავის დაღწევასთან იყო დაკავშირებული. მოქვის ეპარქიას შუა საუკუნეების მანძილზე არ დაუკარგავს მნიშვნელობა. XVIII ს. I ნახევრისათვის გვაქვს ვახუშტის ცნობა ("აღწერა სამეფოსა საქართველოსა"). "ეგრისის მდინარის დასავლით დის მოქვის მდინარე ჩრდილოდამ სამხრით. გამოსდის კავკასს და მიერთვის ილორის ზღვას. ამ მდინარესა ზედა, მთაში, არს მოქუს ეკლესია გუმბათიანი, დიდნაგები, აღაშენა თ (მეცხრე) მეფემან აფხაზთამან ლეონ შეპკობითა დიდითა. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი კოდორის მდინარისა და მოქვის მდინარის შორისის ადგილისა". დავით აღმაშენებლის დროს, იერუსალიმის პატრიარქის, დოსითეოსის ცნობით, მოქვის ტაძრის კედლები მოუხატავთ. XIX ს-ის დასაწყისში ტაძარი მიტოვებული და გაძარცვული იყო, მაგრამ საუკუნის შუა წლებში აფხაზეთის მთავარმა მიხეილ შარვაშიძემ ტაძარი აღადგინა და თავის საგვარეულო საძვალედ აქცია. რა თქმა უნდა, შენობის გარეგნობამ თავდაპირველი სახე დაკარგა - აღარაფერი დარჩა იმ ორნამენტებისა, რომელსაც ახსენებს დ. ბაქრაძე (მან აღდგენამდე ნახა დაზიანებული ეკლესია, რომელსაც ჯერ კიდევ შერჩენილი ჰქონდა ძველი დეტალები).

მოქვის ტაძარი ბევრად უფრო მონუმენტურია, ვიდრე ზემოთ განხილული ძეგლები - ანაკოფია და ლიხნე. გარკვეული თვალსაზრისით, ეს უნიკალური ძეგლიც კი არის. უფრო რთულია გეგმაც: დასავლეთის მკლავი დაგრძელებულია ბოძების ერთი წყვილის დამატებით; სამხრეთით და ჩრდილოეთით, მთელ სიგრძეზე, დამატებულია სამლოცველოების მწკრივები, რომლებიც თითქოს მეოთხე და მეხუთე ნავებს ქმნიან (თუმცა ნამდვილად ნავები არ არის). ნართექსისა და სამლოცველოების თავზე აქაც მეორე სართულია, რომელიც მთელ ეკლესიას უვლის გარს სამი მხრიდან. გუმბათი აქაც ოთხ ცალკე მდგომ ბოძს ემყარება. აღმოსავლეთის მხრივ აქაც სამი ძლიერ შვერილი აფსიდია. ამ დამატებათა წყალობით, ეკლესიის შიდა სივრცე გაზრდილიც არის და რიტმულად გართულებულიც. მიღწეულია გარკვეულად საზეიმო შთაბეჭდილება, რასაც ძირითადი კორპუსისა და გუმბათის ყელის დიდი სიმაღლეც უწყობს ხელს. აქ განსაკუთრებით საგრძნობია პროპორციულ შეფარდებათა შეცვლა წინა ეპოქის ძეგლებთან შედარებით. ზემოთ რომ ძეგლის უნიკალურობა გახსენეთ, ვგულისხმობდით სამხრეთისა და ჩრდილოეთის სამლოცველოთა მწკრივებს, რომლებიც არსებით კვალს ამჩნევს შენობის ინტერიერსაც და გარეგნობასაც. ასეთი რამ სხვაგან არსად არ გვხვდება. როგორც შუა საუკუნეების ყველა დიდი ქართული სატაძრო ანსამბლი, მოქვიც კულტურული ცენტრი იყო, სადაც ინტენსიური მოღვაწეობა იყო გაჩაღებული.

მატიანეში თავისი კვალი დატოვა აფხაზეთის მიწა-წყალზე აგებულმა კიდევ ერთმა მნიშვნელოვანმა ქართულმა ძეგლმა. ეს არის **ბედიის ტაძარი**, ოჩამჩირის რაიონში. როცა ბაგრატ III-ის ღვაწლს აღწერს "მატიანე ქართლისაჲს" ავტორი, განსაკუთრებული ემოციურობით წარმოგვიდგენს მის სამშენებლო საქმიანობას: "ამანვე დიდმან მეფემან აღაშენა საყდარი ბედიისა და შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ. შეწირნა სოფელნი მრავალნი ყოველთა ზევთა და ადგილთა, განასრულა ყოვლითა განგებითა, შეამკო ყოვლითა სამკაულითა ეკლესია, აკურთხა და დასუა ეპისკოპოსი. უკეთუ ვისმე ენებოს განცდად და გულისხმისყოფად სიმაღლისათვის დიდებისა მისისა, პირველად განიცადოს სამკაული ბედიის ეკლესიისა და მისგან გულის ხმა ყოს, რომელ არავინ ყოფილ არს სხუა მეფე მსგავსი მისი ქუეყანასა ქართლისასა და აფხაზეთისასა". შეიძლება ითქვას, რომ ასეთი "შესხმა" არც ერთ სხვა ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლს არ ღირსებია, გელათის გარდა. ამ სიტყვების თა-

ნახმად, ბედიის ტაძარი X-XI საუკუნეების მიჯნას შეიძლება მივაკუთვნოთ (ბაგრატი მეფობდა X ს-ის 60-იანი წლების დასაწყისიდან 1014 წლამდე), მაგრამ იმ დროიდან ტაძრის მხოლოდ ზოგი ცალკეული ნაწილი და დეტალია გადარჩენილი. დღევანდელი სახით კი შენობა უმეტესად XIII-XIV სს. მიეკუთვნება. ეს გუმბათიანი ეკლესიაა, სწორკუთხა მოხაზულობისა, ორი გუმბათქვეშა ბოძით. ფასადები სუფთად გათლილი ქვით არის მოპირკეთებული. ადრინდელ ძეგლთაგან განსხვავებით, აქ ბიზანტიური გავლენის შორეული კვალიც არ ჩანს - ეს "წმინდა" ქართული ძეგლია, ისევე, როგორც ამ დროის ყველა სხვა ეკლესია აფხაზეთში. ძეგლმა ძლიერ დაზიანებული სახით მოაღწია - ჩამოცლილია პერანგის ნაწილი, გუმბათის ყელიც XIX ს-შია შეცვლილი. ტაძარი ერთიანად მოხატული იყო. მკვლევართა მიერ გამოთქმულია აზრი, რომ აქ მხატვრობის სხვადასხვა დროინდელი ფენებია - ორი, ან სამი: ერთი- ტაძრის აგების დროინდელი, XI ს-ის დასაწყისისა, მეორე XIII ს-ის დასასრულისა, ან XIV ს-ის დასაწყისისა, მესამე XVI-XVII საუკუნეებისა. არსებობს ზოგი სხვაგვარი მოსაზრებაც, მაგრამ საერთო აზრია, რომ ესეც მნიშვნელოვანი ძეგლია შუა საუკუნეების ქართული მონუმენტური მხატვრობისა. გარდა სასულიერო სიუჟეტებისა, აქ ისტორიული პორტრეტებიც არის დარჩენილი: (მაგ. ბაგრატ III-ისა, რომელიც მოგვიანებით არის გადაწერილი). ეკლესიის მახლობლად ძველი სასახლის ნაშთიცაა. ქართული ჭედური ხელოვნების ისტორიაში საპატიო ადგილი უჭირავს ბედიის ტაძრის ოქროს ბარძიმს, რომელიც X ს. მიწურულშია შესრულებული. თასის სიმაღლე 12,5 სმ-ია, დიამეტრი 14 სმ., ფეხი არ გადარჩენილა. გარე ზედაპირზე შესანიშნავი რელიეფური კომპოზიციაა, - თორმეტი თაღი და ყოველი მათგანის ქვეშ ფიგურები. ერთ მხარეს ტახტზე მჯდომი ქრისტე, მეორე მხარეს - ღვთისმშობელი ხელში ჯრმა იესოთი, აქეთ-იქით ფეხზე მდგომი წმიდანები. ზედა ნაწილში ასომთავრული წარწერაა. აფხაზეთის მეფე ბაგრატი (ბაგრატ III) და მისი დედა გურანდუხტი ბარძიმს სწირავენ ახლად აშენებულ ბედიის ეკლესიას. ეს ბარძიმი შუა საუკუნეების ქართული პლასტიკის შესანიშნავი ნიმუშია, რომელიც მიეკუთვნება იმ საფეხურს, როდესაც ჩვენს ქანდაკებაში მკაფიოდ გამოიკვეთა სწორედ პლასტიკური გამოსახულების ძიება. ამჟამად ბარძიმი საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში ინახება.

დასასრულ, აუცილებელია მოვიხსენიოთ კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი ძეგლი XI-XII სს. - თა-



"ქრისტეო, მეუფეო ყოველთა, აღიდე ორთაევ შინა სუფევათა უძლეველი მეფეთა მეფე ბაგრატ".

ძველი ქართული ასომთავრული წარწერა ბესლეთის ხიდზე; X ს.

ღოვანი ხიდი მდინარე ბესლეთზე, რომელიც ნაგებია კირქვის ფილებით და მოპირკეთებულია თლილი ქვის ფილებით. ხიდის საერთო სიგრძეა 35 მ, მალის სიგრძე 13 მ., სიმაღლე - 8 მ., სავალი ნაწილის სიგანე 4,7 მ. ხიდზე შემორჩენილია ქართული ასომთავრულით შესრულებული წარწერა. ხიდი დღესაც მოქმედია, დღესაც ასრულებს თავის ფუნქციას.

აფხაზეთის არქიტექტურის შესახებ, არსებულ ნაშრომთაგან, საგანგებოდ უნდა მოვიხსენიოთ განსვენებული პროფესორის, ლევან რჩეულიშვილის წიგნი აფხაზეთის VIII-X საუკუნეების გუმბათოვანი ტაძრების შესახებ და ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის, ლეონიდე შარშვაშიძის წიგნი აფხაზეთის შუა საუკუნეების მონუმენტური მხატვრობის შესახებ (ორივე რუსულ ენაზე).

**ვახტანგ ბერიძე**

*აკადემიკოსი*

# აფხაზეთის ქრისტიანული ტაძრები

ტაძრებით მოფენილია სრულიად საქართველო, და მაინც, მათ შორის ერთი უმდიდრესთაგანი ამ მხრივ, აფხაზეთია. ქრისტიანობის თითქმის პირველი წლებიდანვე, აქ მრავალი დიდი თუ პატარა სალოცავი აუგიათ. ეს სალოცავები ადამიანთა უფლის სადიდებელი ღვაწლით შექმნილა. იგი მრავალგვარად წარმოჩინდება და სხვათა შორის, ნივთიერ ნაშთთა სახითაც - ნაშენის, ნახატის, ნაძერწ-ნაქანდაკევის... ჩვენი წინაპრების საღვთო ნამოღვაწარი უხვად შემოგვრჩა ამ კუთხეში.

გავიხსენოთ თუნდაც დრანდის, მოქვის, ბიჭვინთის, ბედიის საეპისკოპოსო ტაძრები. მაგრამ საქართველოს სხვა კუთხეთაგან განსხვავებით, ამ ტაძართა ერთი ნაწილი, თავისი არქიტექტურული თავისებურებით, მაინც განსხვავდება დანარჩენთაგან. როცა ჩვენს ეკლესიებს თვალგაჩვეული ადამიანი პირველად შეხედავს მათ, უთუოდ ერთგვარ სიუცხოვეს გრძნობს, თავიდან არ "გვექართულება"... ისინი ბიზატიური ტიპის ტაძრებია. მრავალი საუკუნის მანძილზე ცხოვრობდნენ აქ ბერძნები თუ რომაელები და ადგილობრივი ხელისუფალნიც, ისევე როგორც მთელს დასავლეთ საქართველოში, დიდხნობით ყოფილან ჯერ რომის, მერე კი ბიზანტიის იმპერიის ქვეშევრდომობაში. ამიტომაც არაფერი გასაკვირია, თუკი რომაულ-ბერძნულ ბიჭვინთა-პიტიუნტში არქეოლოგების მიერ გათხრილი ადრე საუკუნეების ტაძრები რომის საბრძანებელოს ხუროთმოძღვრებისაა და არაფრით წააგავს ჩვენგან ქართულად ნაგულვებ არქიტექტურას. ასევე ნაკლებადაა დაკავშირებული, გნებავთ სამშენებლო ტექნიკით, და ზოგადი სახით ქართულ საეკლესიო აღმშენებლობასთან VIII საუკუნის დრანდის ტაძარი. მოულოდნელი სწორედ ისაა, რომ ამ უკანასკნელის ამგებთ თვალი მცხეთის წმ. ჯვრის ტაძრისაკენ გაქცევიათ და საკურთხევლის გარეთკენ წახნაგოვნად გამოსული ნახევარწრიული უბეები (ე.წ. აფსიდები) პატარა თაღებით გადაუბამთ, რასაც სხვაგან ვერსად ნახავს კაცი და ზოგი რამ სხვაც მოუსესხებიათ ქართველი ოსტატებისაგან (იხ.რ.მეფისაშვილის საგანგებო გამოკვლევა). ეგეკი ითქმის, ბევრად მეტადაც, განთიადის (იგივე ცანდრიფშის) ბაზილიკაზედაც, რომელიც სავარაუდოდ შეიძლება VII საუკუნეს მიეკუთვნოთ.

სრულებით განსაცვიფრებელი კი **გაგრის ძველი ეკლესია** გახლავთ. იგი VI საუკუნეში ბიზანტიურის ტიპის გვერდით და მის თანადროულად არის აგებული. ამ დროს კი, ვიდრე დააკვირდები, იგი საიდანმე, შეიძლება ქართლიდან თუ კახეთიდან გადმოტანილი გეგონოთ. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ეს ნაგებობა ე.წ. "სამეკლესიანი ბაზილიკის" ტიპისაა. ქართლ-კახეთში ჩასახული ეს სახე უგუმბათო ტაძრისა მთელს საქრისტიანოში (მათ შორის საქართველოში) გავრცელებული ბაზილიკური შენობებისაგან იმით სხვაობს, რომ თუ იქ გრძელი, დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ გადაჭიმული სადგომი სვეტებითა თუ ბურჯებით სამად (ზოგან-ხუთად) იყოფა, "სამეკლესიან" ნაგებობაში საბჯენების მწკრივების ალაგას კედლები ჩნდება. ამგვარი ეკლესიები კანტი-კუნტად შეგვიძლია სხვადასხვა ქვეყნებში დავძებნოთ, მაგრამ როგორც განმარტა აკად. გ.ჩუბინაშვილმა, მხოლოდ ჩვენში ჰქონდა ამ ტაძრებს გასავალი, ვითარცა განსაზღვრულ დამოუკიდებელ ტიპს. მხოლოდ ქართველი ოსტატები ამუშავებდნენ მას თანმიმდევრულად, ეძებდნენ და პოულობდნენ მის საუკეთესო გადაწყვეტას, რაც შეიძლება მოსახერხებელსა და გამომსახველს. ამითაა გაგრის ეკლესია უძვირფასესი და თავისებურად უნიკალური. იგი გვ-

ბზიფი. აღმოსავლეთის ფასადი

არწმუნებს, რომ მთლიანად დასავლეთ საქართველოსა და, კერძოდ, აფხაზეთში ბიზანტიელთა უმწყერვალესი ძლიერების ხანაშიც ცოცხალი და მოქმედი ყოფილა ადგილობრივი საწყისი და იგი იმავ ბუნებისაა, რაც აღმოსავლეთ თუ სამხრეთ საქართველოში. მეტიც, - თუკი წირვა-ლოცვა აქ იმხანად ბერძნულ ენაზე მიმდინარეობდა, ხუროთმოძღვრება (ქანდაკებაც! ამას გვიმოწმებს VII-VIII საუკუნეთა წებელდის კანკელი. სავსებით არა-ბიზანტიური) თუ მუდამ არა, ზოგჯერ მაინც "ქართულად ლაპარაკობდა".

მერე და მერე წინ, სულ უფრო მეტად, აქ ქართული ნაკადი მოიწევს. აფხაზეთის მოსახლეობის სულიერი წყურვილის გამომთქმელ-დამარწყულებელი მისწრაფება კვლავ "სამეკლესიანი ბაზილიკების" შენობაში იჩენს თავს. ერთი მათგანი ჯერაც ბიზანტიელთა ბატონობის დროის VI-VII საუკუნეებისა უნდა იყოს (აბაანთას ციხის ეკლესია), სხვები კი შედარებით გვიანდელია, VIII-IX საუკუნეებისა. ეს ის ხანაა, როდესაც იქმნება და ძლიერდება აფხაზეთის მთავართა თაოსნობით ე.წ. აფხაზეთის სამეფო, რომლის უძლიერესი დიდებულები სვანეთისა თუ ოდიშის ერისთავები იყვნენ; დედაქალაქად კი, ძალიან მალე ქუთაისი იქცა. ეს ეკლესიები გახლავთ ამბარას და ქიაჩის მთის ტაძრები. ეს უკანასკნელი ოდესღაც წმ. მთავარანგელოზთა მთელს დასავლეთ საქართველოში ცნობილი სალოცავიც ყოფილა. ორივე მრავალმხრივ ენაოესავება თავისი დროის აღმოსავლეთ საქართველოს ნაგებობებს, ქიაჩის ეკლესია კი მოგვაგონებს წმ.გრიგოლ ხანძთელის მოწაფეების აღშენებულ ნეძვის მონასტრის ტაძარს ახლანდელი ბორჯომის მახლობლად. ეს კი აუცილებლად საგულისხმო და მრავლისმთქმელია.

მეტად მნიშვნელოვანია აფხაზეთის ტაძართა კიდევ ერთი ჯგუფი - ბზიფის, ანაკოფიის წმ.სვიმონ კანანელის, ლიხნესა და მოქვის ეკლესიები. ქართული მატიანის ცნობით, მოქვის ეკლესია X საუკუნის 60-იან წლებში აუშენებია ლეონ აფხაზთა მეფეს, გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის, ბაგრატ III-ის ღვიძლ ბიძას (სხვათა შორის, მას იხსენიებს 964 წლის კუმურდოს ტაძრის წარწერაც ჯავახეთში). ირკვევა ბზიფის ციხის ეკლესიის თარიღიც. მისი მორთულობა ძლიერ ახლოსაა IX საუკუნის ქართლის ნაგებობებთან (მაგ.რუისის საყდრის უძველეს ფენასთან), ასე რომ, იგი IX საუკუნის მეორე ნახევრისა უნდა იყოს, ორი დანარჩენი, დროით ამათ შორის თავსდება. ოთხივე ეს ტაძარი გუმბათიანია, ე.წ. "ჩაწერილი ჯვრის" ტიპისა. ტანი ეკლესიისა ოთხკუთხაა, შუაში კი ოთხი ბურჯია აღმართული, მათზე დამყარებული გუმბათით, ამ ცენტრთან თავს იყრის ურთიერთგადამკვეთი, დასავლეთიდან აღმოსავლეთით და ჩრდილოეთიდან სამხრეთით მიმართული კამარე-

ბი, რომელნიც ჯვრულ მოცულობას ქმნიან. მორჩენილი არეები უფრო დაბალია: ამნაირად აღნაგი ტაძარი, შეიძლება ითქვას ზოგად-მართლმადიდებლურია - იგი ბიზანტიამაც იცის, სამხრეთ-სლავურმა ქვეყნებმაც, რუსეთმაც. თუ იმასაც დავსძენთ, რომ ზოგი წვრილმანი ამ ჯგუფსაც ბიზანტიას ამგვანებს (ყველაზე თვალსაჩინოდ - ლიხნეს ტაძრის უთუოდ "ბერძენთა ქვეყანაში" ნახული, თითქოს შეზნექილი ნიჟარებისაგან შედგენილი გუმბათი), შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ისინი აფხაზეთში კონსტანტინოპოლ-თესალონიკიდან არის მოსული. მაგრამ ასეთ ვარაუდს ბევრი რამ გამორიცხავს. ჯერ ერთი, ქრისტიანულ ამიერკავკასიაში, საქართველო-სომხეთში, ეს ტიპი ბევრად ადრე არის ცნობილი, VII საუკუნიდან; ბიზანტიაში კი იგი ფეხს მხოლოდ IX საუკუნეში იკიდებს. შემდგომ, ბზიფის ტაძრის ქვაზე კვეთილობა ქართლის არქიტექტურის ზეგავლენით არის შესრულებული. ბზიფი კი ამ ოთხში უეჭველად უადრესია, და, ამდენად თვალნათლივ ჩანს, რა "გზით" გაიცნეს აფხაზთა მეფე-დიდებულების ხუროთმოძღვრებმა ეს კომპოზიცია. იგი აქ მცირე აზიის კი არა, ლიხის ქედის გამოვლით არის შემოღწეული. სრულებით სხვაა აფხაზეთის ეკლესიებში გამეღავნებული მხატვრული მისწრაფებაც. ბიზანტიელებს სიფრიფანა, მჩატე ნაგებობები უყვარდათ, რომელთა კედლები უმეტესად თითქმის გამქრალი იყო სარკმელთა სიმრავლის გამო. საქართველოში - და ზუსტად ასევე აფხაზეთში - "ღვთის სახლს" სიმყარე და სიტკიცე მოეთხოვებოდა. რაგინდ იყოს ზემსწრაფი, იგი მაინც მკვიდრად დგას ხოლმე, ქვის კედლებით ურყევად მოფარგლული. ამას გარდა, ბიზანტიასა და საქართველოში - აფხაზეთის ჩათვლით - ურთიერთსაპირისპიროა ხუროთმოძღვრულ ძიებათა მიმართულებაც. ბიზანტიელები, ასე, VII საუკუნემდე, მეტ-ნაკლებად დაგრძელებულ, ამის გამო კი, მოძრაობის შთაბეჭდილების შემქმნელ ტაძრებს ეტანებოდნენ; მერე კი სულ უფრო "კუბურ", დინჯ მასებს არჩევდნენ. აფხაზეთის ტაძართა განსახილველ ჯგუფში, როგორც გამოარკვია პროფ. ლ. რჩეულიშვილმა, პირუკუ განვითარებაა - სტატიკიდან (განსაკუთრებით ბზიფში) დინამიკისაკენ, რომელიც ყველაზე მეტად სირთულითა და სიდიდით გამორჩეულ მოქვის კათედრალში იკვეთება. ამით ეს ჯგუფი კვლავ სხვა ქართულ "ქვეყნებს" ეხმიანება, სადაც უგრძესი ტაძრები, აგრეთვე, X საუკუნესა და XI საუკუნის დამდეგს შენდება. დასასრულ, არის კიდევ სხვა "ქართული" წვრილმანებიც... არსად კახეთის გარდა არ მოიპოვება ასეთი ვეებერთელა, თაღით ახდილი კარიბჭეები. ადრე ეს კარიბჭეები ოთხივე ტაძარს ამშვენებდა, ამჟამად კი ბზიფისა და ლიხნეს-ღა შერჩა. ასეთი რამ კიდევ შეიძლება ინახოს ტრაპიზონში, ოღონდ ბევრად გვიანი დროის, XIII საუკუნისა. ეჭვი არ არის, რომ იქ, იხევე, როგორც ჩრდილოეთ კავკასიის ზოგიერთ ნაგებობაში ეს - და სხვა ელემენტები სწორედ აფხაზეთიდანაა გადასული. ძლიერი ქართული ელემენტი შეიმჩნევა ბიზანტიისაგან შედარებით მეტად დავალებულ X-XI საუკუნეების ბიჭვინთის გუმბათიან ეკლესიაშიც (თუმცა "არაქართულობის" განცდა აქ XIX საუკუნეში გამართული სფერული გუმბათის წყალობითაა დიდწილად განსაზღვრული). ბიზანტიური შენობებივით "ზოლებიანი" (ქვისა და აგურის რიგების შენაცვლების გამო), "არაქართულად" მომძიმო, იგი იმავდროულად ვერც "ბერძნულებს" მიეთვლება. იგი თუნდაც ისეთი საკუთრივ-ქართული ფორმის შემცველია, როგორიცაა ე.წ. აფრატრომპი (იგი აერთებს გუმბათის საბრჯენების შექმნილი კვადრატიდან მისსავ წრეზე გადასაყვანად ორ კონსტრუქციას - ძაბრისებრ ტრომპსა და გლუვ აფრას).

X-XI საუკუნეების გასაყარიდან ბიზანტიურობა სულ გაუჩინარებულია. ასე უნდა ყოფილიყო უკვე ბაგრატ III-ს აღშენებულ ბედიის კათედრალში. სამწუხაროდ, ბაგრატისეულ ნაგებობას ჩვენამდე არ მოუღწევია, მის ალაგას XIII საუკუნის მეორე ნახევრის ძლიერ შელახული შენობა დგას, რომელშიც ძველის რამდენიმე მოჩუქურთმებული ქვა არის ჩაყოლებული. მაგრამ ესენიც მთელი სიცხადით გვიმხელენ მომხდარ გარდატეხას - ამგვარი ქვაზე კვეთილება საქართველოს ამ მხარეში მანამდე არასდროს იცოდნენ. მისი "სამშობლო" ეჭვმიუტანლივ ტაო-კლარჯეთია, ბაგრატის მამეული გვარის, ბაგრატიონთა სამკვიდრო. ეს არც ერთადერთი ნიმუშია სამხრეთ-ქართული "ხელობისა" აფხაზეთში - ამავე რიგისაა მთელი ლიხს იქითა საქართველოს ერთ-ერთი უძლიერესი სალოცავი - ილორის წმ.გიორგის სახელმოხვეჭილი ეკლესია. იგი აშენებულია XI საუკუნის დასაწყისში. ისიც იმნაირადაა მორთული, როგორც ამჟამად თურქეთის საზღვრებში მოხვედრილი ჩვენი ტაძრები.

მსგავს რასმე მთელს ისტორიულ საქართველოში ვხედავთ - იმერეთში, სვანეთში, რაჭაში, ქართლში და, რაც განსაკუთრებით ყურადღების ღირსია, - კახეთში. ტაოური ელემენტები, სახელდობრ ჯერ კიდევ X საუკუნის ბორჯომის და კვეტერას ციხის ეკლესიებშიც ამოიცნობა და უფრო ჭარბად, ალაგერდის წმ. გიორგის ტაძარში. სამხრეთ-ქართული სკოლის გამოცდილების გავრცელება საყოველთაო-ქართული ამბავია. მისი ახსნა ქართული ხელოვნების ისტორიაშია საძიებელი. ამისდა კვალად კი, ჩვენი ქვეყნის ხუროთმოძღვრების ისტორიაში მკვეთრი მიჯნა ჩნდება - თუ მანამდე მთელი საქართველოსთვის ერთი იყო მხატვრულ ძიებათა გზი და უმთავრესი ეროვნულ-მხატვრული მახასიათებლები, XI

საუკუნის დამდეგს აქეთ, უკვე, გარეგნული ფორმაც, ხერხებიც და ელემენტებიც საერთოა.

ამის საფუძველი ერთადერთი რამ შეიძლება იყოს - სულიერი ერთობა. იგი ხელოვნების ნიმუშთა მიხედვით, სულ გვიან V საუკუნიდან დასტურდება და, საფიქრებელია, ბევრად ადრე აღმოცენდებოდა. ნიშანდობლივია, რომ სწორედ X საუკუნეში ხდება ამ შინაგანი ერთიანობის გააზრება, ეროვნული ცნობიერების ეროვნულ თვითცნობიერებად გარდასახვა. ამ კუთხით ისიცაა სახსენებელი, რომ X საუკუნეშივე აფხაზეთის მეფეებმა თავისი საუფლოს საეპისკოპოსოები კონსტანტინოპოლის პატრიარქის საგანმგებლოს გამოაკლეს და მცხეთის კათალიკოსს დაუქვემდებარეს. ეს მსოფლიო ეკლესიის მთლიანობისაგან განკერძოება როდი იყო. არამედ, იმის აღიარება, რომ საქართველოს ყველა მკვიდრის ბაგეს ლოცვა ქართულად ეთქმევინება, - ისევ და ისევ სულიერი ერთარსობის გამოხატვა.

აღარ ღირს სიტყვის მომდევნო საუკუნეებზე გაგრძელება - დიდად ღირსშესანიშნავი აქ არაფერი შექმნილა და რაც არის (ზემოთნახსენები გვიანი ნაგებობა ბედიისა, ბედიისავე საეპისკოპოსო სასახლე, მოქვის სამრეკლო და ა.შ.) სრულიად საქართველოს განუყოფლობის მღაღადებელია. დასკვნაც ერთადერთი შეგვიძლია გამოვიტანოთ - რა ტომსაც, თუ - ალბათ, ასე უფროა საგულვებელი, - ტომებს უნდა ეცხოვრათ ამჟამინდელ აფხაზეთში, ისინი ქართველი ერის შემადგენლები იყვნენ, იმ ქვეყნის მოზიარენი, რომელშიც, გიორგი მერჩულეს სიტყვისაებრ, "ჟამი ქართულითა ენითა შეიწირვის".

**დიმიტრი თუმანიშვილი**

ხელოვნებისმცოდნეობის დოქტორი

# ძველი გაგრის ეკლესია

საქართველო თავისი ისტორიის უმეტეს მანძილზე ცალკეულ სამეფო-სამთავროებად იყო დაყოფილი. მიუხედავად ამისა, ეროვნულ-კულტურული ერთიანობის განცდა ძალიან ადრე ჩაისახა ჩვენს ხალხში. ამის ერთი მთავარი პირობა ქრისტიანული სარწმუნოება იყო.

ამ ერთიანობის მშვენიერი ნიმუში ხელოვნების სფეროში არის აფხაზეთში, ერთ-ერთ უძველეს ქართულ სამეფოში, ძველი გაგრის ტერიტორიაზე V-VII საუკუნეთა მიჯნაზე აშენებული ტაძრის ხუროთმოძღვრება, რომელიც თავისი ფორმებით, ტიპით, კომპოზიციით, პროპორციებით, ქვების წყობითა და სხვა ნიშნებით უახლოეს პარალელებს პოულობს ამავე დროის საქართველოს სხვა რეგიონების არქიტექტურაში. მაგალითისათვის, შეიძლება დავასახელოთ გაგრის ეკლესია, რომელიც თავისუფლად შეიძლება წარმოვიდგინოთ კახეთში, ან ქართლში.

ნაცრისფერი, უხეშად დამუშავებული ქვის კვადრებით აგებული ეს ეკლესია ძველი ციხის გალავნის შიგნით დგას. იგი პირველი ნახვისთანავე სიძველის, არქაულობის შთაბეჭდილებას ახდენს. გარეგნულად ეკლესია ბაზილიკას ჰგავს - მაღალი, შუა და დაბალი გვერდითი ნავებით, სარკმლების რიგით სამხრეთ კედელზე და ა.შ.

XIX და XX საუკუნეების მიჯნაზე აქ დაუდგამთ საკმაოდ უხეში და თავისებური ფორმის ბეტონის კანკელი.

მისი ექსტერიერის სახე არ პოულობს შესატყვისს შიდა სივრცეში. ეკლესიის სამი ნავი ბურჯებით კი არა, კედლებით არის გამოყოფილი ერთმანეთისაგან და სამივეს ცალკე შესასვლელი აქვს. ჩრდილო ნაწილი რემონტის დროსაა დამოკლებული. როგორც ჩანს, იგი თავიდანვე მოკლე იყო, რაზეც დიადემის ფორმა და კედლის წყობა მიანიშნებს. თავდაპირველი უნდა იყოს სამხრეთი და დასავლეთი კარები, სამხრეთის სარკმლები. საკმაოდ გაშლილი და განათებული ცენტრალური ნავის კამარა იმპოსტებიან საბჯენ თაღებზე დაყრდნობილი კამარით არის გადახურული. კამარის, აბსიდის, კონქის, კარებების თაღების მოყვანილობაში შეინიშნება ერთგვარი გადახრა ნალისებური ფორმისაკენ, რაც ადრექრისტიანულ ხანაზე მიგვანიშნებს. ამავე პერიოდზე მიუთითებს ბოლნური ჯვრის რელიეფი, რომელიც ამ სადა ტაძრის ერთადერთ დეკორს წარმოადგენს.

ტაძრის სამი სივრცითი ერთეულის ბურჯების ნაცვლად კედლებით გამოყოფა გვაფიქრებინებს, რომ გაგრის ეკლესია ტიპოლოგიურად არ წარმოადგენს ნამდვილ ბაზილიკას და მიეკუთვნება ე.წ. "სამეკლესიან ბაზილიკათა" იმ ტიპს, რომელიც გავრცელებული იყო ადრექრისტიანულ საქართველოში, თითქმის მთელ მის ტერიტორიაზე და რომლის მსგავსი სივრცით - გეგმარებითი კომპოზიცია ცალკეული გამონაკლისების

გარდა, თითქმის არ გვხვდება სხვა ქრისტიანულ ქვეყნებში და, როგორც ჩანს, საკუთრივ ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების კუთვნილებაა. მართლაც, გაგრის ეკლესიას ძალიან ბევრი საერთო ნიშანი გააჩნია იმდროინდელი საქართველოს სხვა კუთხეების ხუროთმოძღვრებასთან, განსაკუთრებით ქართლსა და კახეთში (თამალა, სარო, წმ. ეგსტათე ბოლნისხევში, ვაზისუბნის სამკარიანი და სხვ.).

გაგრის ეკლესიის ხუროთმოძღვრების ეს მჭიდრო კავშირი საქართველოს სხვა რეგიონების ხელოვნებასთან კიდევ ერთი დასტურია ჩვენი ქვეყნის სულიერ-კულტურული მთლიანობისა მისი ისტორიის ამ უძველეს ეტაპზეც კი.

**მარიამ დიდებულიძე**

ხელოვნებისმცოდნეობის კანდიდატი



**ძველი გაგრის** ეკლესია. VI ს.

# მოქვის დასურათებული ოთხთავი

თავისი მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე ქართველმა ხალხმა ხელოვნების არაერთი ნიმუში შექმნა. არქიტექტურის, ფერწერის, ჭედურობის, მოხატული წიგნის, ქვაზე კვეთის ძეგლები თავისი მნიშვნელობით მსოფლიო ხელოვნების საგანძურს შეადგენენ. დროთა განმავლობაში ბევრი რამ განადგურდა, მაგრამ დღემდე შემორჩენილმა ძეგლებმა ცხადყო ქართველი შემოქმედის მაღალი პროფესიონალიზმი, განსწავლულობა და საშემსრულებლო ტექნიკის მაღალი დონე. სამწუხაროა, რომ ამ ოსტატთა ვინაობა თითქმის არაა ჩვენთვის ცნობილი.

განსაკუთრებული როლი საგანმანათლებლო საქმეში მიეკუთვნება ხელით გადაწერილ წიგნებს. საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ ცნობილ სამწიგნობრო კერებში მიმდინარეობდა ხელნაწერების გადაწერა, მოხატვა, აკინძვა, ჭედურ ყდაში ჩასმა. ყოველი წიგნი თავის მხრივ უნიკალური იყო. დიდი ყურადღება ექცეოდა წიგნის ლამაზად გაფორმებას ორნამენტებითა თუ მინიატურებით. რაც უფრო მდიდარი იყო დამკვეთი, მით უფრო მდიდრულად იყო მორთული და შემკული ხელნაწერები.

სამწიგნობრო კერები ბევრი იყო, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ამ საგანმანათლებლო ცენტრებს ეკლესია-მონასტრები წარმოადგენდნენ. ცნობილია, რომ ქართველი მეფეები დიდ შეწირულობებს უგზავნიდნენ საზღვარგარეთულ ცენტრებს. ხელნაწერების ანდერძ-მინაწერებში ხშირად მითითებულია, თუ სად გადაიწერა ხელნაწერი: ივირონის მონასტერში ათონის მთაზე, ჯვრის მონასტერში - იერუსალიმში, სინის მთაზე, კონსტანტინოპოლში, ანტიოქიის მახლობლად შავ მთაზე და ა.შ. ხელნაწერის ორნამენტული მხატვრობისა, მინიატურული ხელოვნებისა თუ ხელწერის მიხედვით გამოირჩეოდა ცალკეული სკოლები. მაგ. ტაოკლარჯეთის სამწიგნობრო სკოლაში გადაწერილი მრავალი ხელნაწერია ცნობილი, რომელთა ტრადიციები საუკუნეების მანძილზე განაგრძობდა არსებობას.

IX-XIV საუკუნეების ხელნაწერთა მხატვრული სტილი, ერთის მხრივ, ეროვნულ საწყისებს უკავშირდება, მეორეს მხრივ, ბიზანტიური სკოლის ტრადიციებს. პოლიტიკურმა ურიერთობამ საქართველოსა და ბიზანტიას შორის განაპირობა კულტურული ურთიერთობაც, რაც ქართველ და ბერძენ ოსტატთა მჭიდრო საქმიანობაში გამოიხატა. მაგ. წალენჯიხის ეკლესიის მოსახატავად ბერძენი ოსტატებია ჩამოყვანილი. თამარ მეფემ კონსტანტინოპოლში ბერძენ ოსტატებს დაუკვეთა ძვირფასი ვანის ოთხთავი, რომლის მიბაძვით საქართველოში ლაფსყალდისა და ამჟამად ერევნის მატანდარანში დაცული XIII ს. ოთხთავებია შესრულებული.

თავის მხრივ, სამწიგნობრო კერებს შორის მჭიდრო ურთიერთობა არსებობდა. მაგ. ათონის ივირონის მონასტერს მჭიდრო ურთიერთობა აქვს კონსტანტინოპოლთან. ბანაელი სვინგელოზი ზაქარია ათონის მთაზე ნათარგმნ წიგნებს უკვეთავს კონსტანტინოპოლში მოღვაწე ქართველებს.

დროთა განმავლობაში, როგორც ზემოთაც აღინიშნა, გარეშე მტრების შემოსევებმა ბევრი ხელნაწერი წიგნი გაანადგურა, მაგრამ რაც გადარჩა, ისიც საკმარისია, რომ წარმოდგენა ვიქონიოთ ჩვენს სამწიგნობრო ხელოვნებაზე. აღსანიშნავია ისიც, რომ გარკვეულ ისტორიულ მონაკვეთებში, კერძოდ, მძიმე ეკონომიკურ ვითარებაში, ქართველი ერის შემოქმედებითი ძალა არ დამცხრალა. რომ გადავხედოთ შემორჩენილი ძეგლების ნუსხას, დავინახავთ, რომ ქართველი ხალხის ენთუზიაზმი, სწრაფვა ხელოვნების საუკეთესო ნიმუშების შექმნისაკენ, არ შეჩერებულა. სწორედ ასეთი ნიმუშია 1300 წელს გადაწერილი, მდიდრულად დასურათებული მოქვის ოთხთავი. პალეოლოგოსთა ხელოვნების ეს ერთ-ერთი შესანიშნავი ძეგლი გადაწერილია ძველი ქართულით - ნუსხა-ხუცურით ღვთისმშობლის სახელზე აგებულ მოქვის ეკლესიაში.

ქართული მინიატურული მხატვრობა მრავალმა ხელნაწერმა შემოგვინახა. IX საუკუნიდანაა მოღწეული დიდებული ადიშის ოთხთავი; მაღალი საშემსრულებლო ოსტატობით იყო შექმნილი ადრეული ხანის მოხატული ხელნაწერები. მრავალი მინიატურით დასურათებული ხელნაწერებიდან შეიძლება დავასახელოთ 1030 წლის სვინაქსარი, XII ს. გელათისა და II ჯრუჭის ოთხთავები. მოქვის ოთხთავი 152 მინიატურითაა დასურათებული. იგი აგრძელებს უკვე XI საუკუნეში ჩამოყალიბებული ოთხთავის მორთულობის პრინციპებს. გარდა შინაარსის სტრუქტურის შესაბამისი ელემენტების არსებობისა, თვით



# დასურათებული ხელნაწერები







# მოძვის

# ოთხთავიდან





მოქვის ტაძარი

დეკორატიული სისტემა მრავალფეროვანი და მდიდრულია. გელათის, II ჯრუჭისა და მოქვის ოთხთავების ოსტატებმა გარკვეული ჯგუფი შექმნეს სამინიატურო ხელოვნების დარგში, თუმცა განვითარებისა და საშემსრულებლო ხელოვნების თვალსაზრისით, თითოეული მათგანი ინდივიდუალურ შემოქმედებით პრინციპებს ამჟღავნებს.

მოქვის ოთხთავი გადაწერილია დანიელ მოქველი ეპისკოპოსის დაკვეთით. ამაზე მეტყველებს ხელნაწერის ბოლოს დართული ფურცელი, რომელზედაც გამოხატულია ღვთისმშობელი ყრმით და დანიელ ეპისკოპოსი. ღვთისმშობელი მდგომარეა. ქვემოთ მის წინარე მუხლმოდრეკილი დანიელია. წარწერა, რომელიც დანიელ ეპისკოპოსის ზემოთ არის ასომთავრულით შესრულებული, ქარაგმის გახსნით ასე იკითხება: "დანიელ მოქველი მთავარეპისკოპოსი".

დანიელ ეპისკოპოსს მდიდრულად მოხატული ხელნაწერი ღვთისმშობლის სახელზე აშენებული ეკლესიისათვის შეუწირავს. ღვთისმშობლის გამოსახულება ყრმით, ხელგაწვდილი, ე.წ. "ელეუსას" ტიპია, რომელიც კონკრეტულ შემთხვევაში ლოცავს, იღებს მავედრებელი დანიელის შეწყალების თხოვნას; ჩვილ ყრმას - ქრისტეს ავედრებს დანიელის სამწყსოს, მფარველობას პირდება მას.

მოქვის ოთხთავი ეფრემის მიერაა გადაწერილი. ამაზე მეტყველებს მისივე ანდერძი. იგი სამეცნიერო ლიტერატურაში ხელნაწერის მომხატველადაცაა მიჩნეული.

მოქვის ოთხთავი (ზომით 30 x 23, შეიცავს 328 ფურცელს), დაწერილია კარგად დამუშავებულ ტყავის ფურცლებზე, ლამაზი კალიგრაფიული ნუსხურით, ორ სვეტად. ხელნაწერის დასაწყისში მდიდრულად ორნამენტირებული 10 კამარაა. თავების დასაწყისში ასევე მდიდრულად შემკული თავსართებია. თვით ტექსტში კი დიდი ზომის მრავალი, 500-ზე მეტი ფიგურული ინიციალია, რომლებიც ფრინველთა და ცხოველთა გამოსახულებებისაგან შედგება. ოთხთავის ტექსტი მინიატურებითაა დასურათებული. ქრისტეს ცხოვრების ამსახველი მინიატურები, ისევე, როგორც გელათისა და II ჯრუჭის ოთხთავებში, ჩართულია ტექსტის შინაარსის შესაბამის ადგილებში. ოთხკუთხა ფორმის მინიატურა ხშირად გადაწერილი სვეტის ფარგლებიდან გამოდის, ხოლო საზედაო ასოსთან ერთად ფერადოვან ანსამბლს ქმნის ლამაზად დაწერილი ტექსტის ფონზე.

მოქვის ოთხთავის მოხატულობა განსაკუთრებით იქცევს ყურადღებას მინიატურათა უნიკალური საშემსრულებლო ტექნიკით. გამოსახულებები აქ უშუალოდ დახატულია ოქროზე. ძველი ქართველი ოსტატები ორი სახის ოქროს იყენებენ ხელნაწერის მოხატულობის დროს: ფურცლოვანსა და ფხვიერი ოქროსაგან სპეციალურად დამზადებულ ოქრომელანს. ფურცლოვანი ოქრო გამოიყენებოდა მინიატურებში გამოსახულებების გარშემო ფონის შესავსებად, ხოლო ოქრომელანი საზედაო ასოების შემოსაწერად, ორნამენტულ ნახატობაში ფონის დასაფერავად, უმეტეს შემთხვევაში, სინგურის სარჩულზე. ფურცლოვანი ოქრო ეტრატზე ნივრის ან სპეციალურად დამზადებული წებოვანი შენაერთის საშუალებით მაგრდებოდა. მინიატურისათვის განკუთვნილ არეზე ფურცლოვანი ოქრო მაგრდებოდა გამოსახულებების, ბუნებისა თუ არქიტექტურული პეიზაჟის გარშემოწერილი კონტურების მიღმა. მოქვის ოთხთავში საგნები პირდაპირ ოქროზეა დახატული. ჯერ მინიატურის მთელი არე დაიფარა ფურცლოვანი ოქროთი, ხოლო ზედ საღებავები დაიდო შესაბამის ადგილებში. II ჯრუჭის ოთხთავში, 1030 წელს გადაწერილ სვინაქსარში ტანისამოსის ნახატს, შენობების ნაწილებს ხშირად ფარავს ოქრო, მაგრამ ყველა შემთხვევაში, იგი საღებავზეა დაფერილი და ჩვენამდე კარგადაა მოღწეული. მოქვის ოთხთავის საშემსრულებლო ტექნიკა - ოქროზე საღებავების დადება არ აღმოჩნდა მყარი. საღებავმა როგორც ჩანს, შეიწოვა ოქრო და გამოაშრო. საღებავი ოქროსთან ერთად თანდათანობით სცილდება ეტრატს და მინიატურულ მხატვრობას აზიანებს.



მოქვის ტაძარი. X ს.

ოთხთავის შინაარსის დამასურათებელი მინიატურები მოქვის ოთხთავში ქმნიან ერთ მთლიან საილუსტრაციო ციკლს. ეს ციკლი იწყება მათეს

სახარების დასაწყისში წარმოდგენილი ქრისტეს გენეალოგიით, ხოლო იოანეს სახარების ბოლოს მთავრდება სულიწმიდის მოფენით და ღვთისმშობლის მიძინებით. თვით ქრისტეს ცხოვრების ამსახველი სცენები ქრონოლოგიური თანამიმდევრობითაა ჩართული სახარების ტექსტებში. ძირითადად დასურათებულია მათეს სახარება (აქ 97 მინიატურაა), ხოლო დანარჩენ თავებში ივსება საილუსტრაციო ციკლის შემადგენლობა. (ზოგიერთი მინიატურა, მაგ. ჯვარცმის ეპიზოდი ცალკეულ სახარებებში მეორდება). უფრო ადრეული ხანის, გელათისა და II ჯრუჭის ოთხთავებს თუ შევადარებთ, დავინახავთ, რომ თითოეული თავი დამოუკიდებელ საილუსტრაციო ციკლს ქმნის. მათეს, მარკოზის, ლუკასა და იოანეს თავები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად იძლევიან სახარების დამასურათებელ სისტემას, თავისთავში. მოქვის ოთხთავის მოხატულობა ეპიზოდების თანმიმდევრული განაწილებით მოგვაგონებს ეკლესიის სასურათო სისტემას, სადაც ქრონოლოგიური თანამიმდევრობითაა მოცემული ძირითადი ეპიზოდები ქრისტეს ცხოვრებიდან. მოქვის ოთხთავი გელათისა და II ჯრუჭის ოთხთავებისაგან განსხვავებით, იძლევა ძირითადად, შინაარსის საკვანძო სიტუაციებს, მაშინ როდესაც ეს ორი უკანასკნელი დაწვრილებით მოგვითხრობს სახარების ამბებს. ზოგჯერ ერთი ამბავი რამდენიმე მინიატურის საშუალებითაა ილუსტრირებული.

მოქვის ოთხთავში 152 მინიატურაა. იგი თავისი მრავალფეროვანი ორნამენტაციით, სამინიატურო ხელოვნებით ეროვნული საგანძურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლია.

**ელენე მაჭავარიანი**

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

---

# აფხაზეთის რუკასთან

გეოგრაფიული რუკა, რომელზედაც დაწვრილებით არის აღნუსხული ამა თუ იმ მხარის ტოპონიმია, ისეთივე ინტერესით შეიძლება წაიკითხოს კაცმა, როგორც კარგი მხატვრული ნაწარმოები; ოღონდ, რასაკვირველია, ეს ინტერესი მაშინ აღიძვრის, თუ გვესმის ტოპონიმების მნიშვნელობა და ვიცით მათი წარმომავლობა. ვინც ასეთი თვალით გადახედავს აფხაზეთის რუკას, შეუძლებელია არ შენიშნოს გეოგრაფიული სახელების დიდი სიჭრელე ამ ტერიტორიაზე. აქ აფხაზურ (იგულისხმება დღევანდელი აფსუა-აფხაზები) ტოპონიმებთან ერთად, რომელთა დიდი ნაწილი ახალია, მრავლად გვხვდება სხვა ენოვანი ტოპონიმებიც, რომელთა შორისაც თავისი სიძველითა და დიდი სიუხვით გამოირჩევა ქართველური მასალა. ან კი, რა არის გასაკვირი იმაში, რომ საქართველოს ისტორიულ მიწაწყალს ქართული სახელი ერქვას? გასაკვირი მხოლოდ ის არის, რომ ამ ანბანური ჭეშმარიტების დაჯერება და აღიარება არ სურთ აფხაზ სეპარატისტებს და მათი ქართველთმოძულე იდეების ქადაგებით გონდაბნეულ უბირ ადამიანებს.

თავის დროზე აფხაზეთის ტოპონიმიას ვრცლად შეეხო გამოჩენილი მკვლევარი პავლე ინგოროყვა. მის ფუნდამენტურ ნაშრომში "გიორგი მერჩულე" ჩართულია სპეციალური ექსკურსი: "აფხაზეთის მხარეთა გეოგრაფიული სახელწოდებანი და მათი კავშირი ქართულ ენობრივ სამყაროსთან", სადაც განხილულია 140-მდე ძველი გეოგრაფიული სახელწოდება, მიმობნეული აფხაზეთის ტერიტორიაზე და არაერთგზის მოხსენიებული საისტორიო ანტიკური ხანიდან ჩვენამდე.

ეს სახელწოდებანი, მკვლევარის მტკიცებით, ქართულ ენობრივ სამყაროს ეკუთვნის და გარკვევით მეტყველებს იმაზე, რომ ქართველობა აფხაზეთის მხარის ძველთაძველი მკვიდრია და ეს ტერიტორია ისტორიულად საქართველოს განუყოფელი ნაწილია.

ცნობილია, რა მწვავე რეაქცია გამოიწვია პავლე ინგოროყვას ამ მოსაზრებამ აფხაზ სეპარატისტთა შორის, რომლებმაც იმ ხანებში შეძლეს კიდეც მეცნიერული კამათის ჩახშობა პოლიტიკური შანტაჟის გზით; მაგრამ საბოლოოდ სიმართლის დათრგუნვა შეუძლებელია.

რა თქმა უნდა, პ.ინგოროყვას მიერ განხილული ყველა ტოპონიმის ეტიმოლოგია თანაბრად დამაჯერებელი და უდავო არ არის. ასეთი რამ ტოპონიმიკური კვლევა-ძიების რთულ გზაზე არც არის მოსალოდნელი; მაგრამ აფხაზეთის ისტორიული ტოპონიმიის დიდი ნაწილი რომ ქართულია და ამ მიწაზე ძველთაგანვე მოსახლე

ქართველი ტომების მიერ არის დარქმეული, ამის უარყოფა შეუძლებელია. აბა, რომელ სპეციალისტს, ან არასპეციალისტს შეუძლია უარყოს ისეთი ტოპონიმებისა და ჰიდრონიმების ქართველური წარმომავლობა, როგორიცაა აჭანდარა, აშელალი, ღალიძგა, სკურჩა, წყურგილი, ტყაურუ, ტყვარჩელი, მუხური, თხინი, წამხარი და სხვა მრავალი?!

ამჯერად ჩვენ გვინდა ყურადღება შევაჩეროთ მხოლოდ ორიოდე ისეთ ტოპონიმზე, რომლებიც ქრისტიანული კულტურის თვალსაჩინო ცენტრებად ცნობილ პუნქტებს აღნიშნავს აფხაზეთის ტერიტორიაზე:

**ბიჭვინთა** ქრისტიანობის ერთ-ერთი მძლავრი კერა იყო უძველესი დროიდანვე: აქ საეპისკოპოსო კათედრა არსებობდა ჯერ კიდევ IV ს. პირველ მეოთხედში. აქაური ეპისკოპოსი სტრატოფილე ნიკეის პირველი მსოფლიო კრების მონაწილე იყო (325 წ.). აფხაზეთის სამეფოს შექმნის შემდეგ ბიჭვინთა აფხაზეთის კათალიკოსის რეზიდენციად იქცა, ხოლო ერთიანი საქართველოს სამეფოს დაშლის შემდეგ (XV-XVI სს) აფხაზეთის სულიერი მოძღვარი, რომელიც კვლავ ბიჭვინთაში იჯდა, კათალიკოს-პატრიარქის ტიტულს ატარებდა.

ბიჭვინთა პირველად სტრაბონის "გეოგრაფიაში" არის ნახსენები დიდი პიტიუნტის სახელით. ბერძენ-რომაელ მწერალთა თხზულებებში ამ პუნქტის სახელწოდება გვხვდება, აგრეთვე, პიტიუსის ფორმით.

სავსებით გასაზიარებელია პ.ინგოროყვას მოსაზრება, რომ ბერძნულში ერთ შემთხვევაში წარმოდგენილია გეოგრაფიული პუნქტის ადგილობრივ (ქართულ) სახელწოდებასთან მიმსგავსებული ფორმა (პიტიუნტი), მეორე შემთხვევაში კი მოცემულია მისი თარგმანი (პიტიუს ბერძნულად ფიჭვს ნიშნავს).

დიდი ახსნა-განმარტება არ ჭირდება იმას, რომ ბიჭვინთის სახელწოდება მცენარეს - ფიჭვს უკავშირდება, ეს კურორტი დღესაც განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს იმით, რომ აქ ზღვისპირს გასდევს შესანიშნავი ფიჭვნარი და ერთმანეთს ეზაკება ზღვისა და ფიჭვის ტყის ჰაერი. ეს ფიჭვნარი წინათ საღმრთო ტყედ ითვლებოდა და მას კაცი მოსაჭრელად ვერ შეეხებოდა.

არ არის გამორიცხული, რომ მცენარის სახელწოდება ფიჭვი ბეწვ სიტყვის კოლხური (ზანური) შესატყვისი იყოს და მცენარეს გრძელი წიწვების, ანუ ბეწვების გამო ჰქონდეს შერქმეული. ამის გარკვევას აქ არ გამოვუდგებით. ამჯერად ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. ასეა თუ ისე, ფიჭვს, როგორც ჩანს, მოეპოვებოდა პარალელური ფორმა ბიჭვი (ისევე, როგორც აფხაზი და აბხაზი, ფრჩხილი და ბრჩხილი, ფსკერი და ბსკერი და სხვ.) ამ უკანასკნელს დართული აქვს ქართულ ტოპონიმიაში გავრცელებული სუფიქსი -თა (ტა) რომლის წინაც ნ შესაძლოა ფონეტიკურ ნიადაგზე იყოს გაჩენილი, ან ისიც სუფიქსს წარმოადგენდეს: ბიჭვ-ინ-თა, ბიჭვინ-ტა. ამრიგად, როგორც პ.ინგოროყვა დასკვნის, "სახელწოდება ბიჭვინთა ქართულია, როგორც ფუძე-სიტყვით ("ბიჭვი" - \ფიჭვი"), ისე ბოლოკიდური ფორმანტით ("ნ-თა")" (გიორგი მერჩულე", გვ.148).

**ბედია** ძველად განთქმული ქალაქი იყო, რომელიც, "ქართლის ცხოვრებაში" დაცული გადმოცემის მიხედვით, ეგრისმა ააშენა და "უწოდა სახელი თვსი ეგრისი. აწ მას ადგილსა ჰქვიან ბედია", ხოლო მეფე ბაგრატ მესამემ X-XI საუკუნეთა მიჯნაზე "აღაშენა საყდარი ბედიისა და შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ... განასრულა ყოვლითა განგებითა, შეამკო ყოვლითა სამკაულითა ეკლესია, აკურთხა და დასვა ეპისკოპოსი". როდის შეეცვალა ქალაქს სახელი და რატომ ეწოდა ბედია, ცნობილი არ არის. ვიცით მხოლოდ, რომ ბედიას ადრე ერქვა, აგრეთვე, სანარდო. ამჟამინდელი სოფელი ბედია მდებარეობს გალის რაიონში, მდინარე ოხოჯას მარჯვენა ნაპირზე, ხოლო ამავე მდინარის მარცხენა ნაპირზე, რომელიც ოჩამჩირის რაიონს ეკუთვნის, გაშენებულია სოფელი აგუბედია. ადრე მას გულიბედია, ანუ შუაბედია ეწოდებოდა. სწორედ აქ მდებარეობს ბედიის მონასტერი. ისტორიულად მთელი ეს მიდამო სამურზაყანოს ნაწილი იყო, რომლის მოსახლეობასაც მთლიანად ქართველები (მეგრელები) შეადგენდნენ. ბუნებრივია, აქაური ტოპონიმებიც ქართულია: კოპიტი, ქვალონი ("ქვიანი"), ტყაური ("ყრუ ტყე", ანუ "უღრანი ტყე"), ოქუმი ("სასელე"), ოხოჯა "სახარი") და სხვ.

მოგვიანო ხანებში, XVIII ს. დამდეგს, როცა გულიბედიაში ქართველების გვერდით მომრავლდნენ აფსუები, მათ სოფლის სახელწოდების პირველი ნაწილი გული (შუა) თავიანთ ენაზე თარგმნეს (აგუ - "გული", "შუაგული"). ასე იქცა გულიბედია აგუბედიად.

**ილორი**. ოჩამჩირის რაიონში, შავი ზღვის პირას, მდებარეობს ქრისტიანული კულტურის კიდევ ერთი ძეგლი - ილორის წმიდა გიორგის ეკლესია. ეს ეკლესია, აგებული XI ს. პირველ მეოთხედში, ქართული ხუროთმოძღვრების თვალსაჩინო ძეგლია. ილორი მთელი დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საღოცავი იყო, სადაც ყოველწლიურად 20 ნოემბერს იმართებოდა წმიდა გიორგის დღესასწაული - ილორობა.

შუა საუკუნეების ილორი ოდიშის სამთავროს ფარგლებში შედიოდა, ილორის ტაძრის დაცვაზე სამეგრელოს მთავრები ზრუნავდნენ. ასე შეაკვეთა ილორის ტაძარი ლევან II დადიანმა XVII საუკუნეში. 1736 წ. თურქების მიერ გადამწვარი

ილორი ისევ ოდიშის მთავრებმა აღადგინეს. დასასრულ, ძეგლი საფუძვლიანად იქნა რესტავრირებული XIX ს. 40-იან წლებში.

ჩვენ დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, რას ნიშნავს ილორი, როგორია მისი მეცნიერული ეტიმოლოგია, მაგრამ თავისი ფორმით (კერძოდ, ორი სუფიქსით) ის ქართული ჩანს. (შეადარეთ: სხვეტორი, გომბორი, მანდიკორი, შაორი, ჯეჯორი და სხვ.) რაც მთავარია, აშკარად ქართულია, აგრეთვე, ილორის მიმდებარე მიდამოების ტოპონიმია: ოხურეი, ღალიძგა, ზენი, ნაგვალოუ, სუკი და სხვ.

**მოქვი.** დასასრულ, საგანგებოდ გვინდა შევჩერდეთ ოჩამჩირის რაიონის ერთი სოფლის სახელწოდებაზე, სადაც დგას სამნავიანი საკათედრო ტაძარი, აგებული აფხაზთა მეფის, ლეონ III-ის მიერ 957-967 წლებში. ცნობილია, რომ ამ საკათედრო ტაძარს მდიდარი წიგნთსაცავი ჰქონდა, სადაც არაერთი ძვირფასი ქართული ხელნაწერი ინახებოდა.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, მოქვის სახელწოდების დამაჯერებელი ახსნა ჯერჯერობით არავის მოუცია. ჩვენი აზრით, მას კავშირი აქვს სვანური სახელის ფუძესთან მოქუ ("თივის ბულული"). სვანურში დაცულია ამ ფუძისაგან ნაწარმოები ზმნაც: ლიმქუე ("დაბულულება"). ეს ფუძე სვანურიდან შესულია რაჭულსა და ლეჩხუმურშიც. ლეჩხუმურში, მ.ალავიძის განმარტებით, მექვი არის "ბულული, თივის პატარა გროვა, მონათიბში დროებით (დაზვინვამდე) დადგმული", დამექვა- მექვების დადგმა მონათიბში. (შდრ. სვანური ლიმქვე"; "მექობს - ბაქიობს, იკვეხის, ტრაბახობს". რაჭულში ეს სიტყვა დასტურდება ნექვ-ის ფორმით და ნიშნავს "ნაწილ-ნაწილ აგროვებულ თივას ზვინის დასადგმელად" (ვუკოლ ბერიძე, "სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა").

ამ ფუძისაგან არის ნაწარმოები ლეჩხუმის ერთ-ერთი ცნობილი სოფლის სახელწოდება მექვენა. საერთოდ, თივის აღმნიშვნელი ფუძის გამოყენება ტოპონიმად ქართველურ ენებში ცნობილი ფაქტია (თივი - სოფელი ყვარლის რაიონში, ჰაწუალ - ადგილის სახელი სვანეთში; ჰაწილ თივის, ან ჩალის ზვინს ნიშნავს სვანურად).

ამრიგად, მოქვი "თივას", "თივის ბულულს" ნიშნავს, ოღონდ გასარკვევია, ეს ტოპონიმი აფხაზეთის ტერიტორიაზე სვანიზმია, თუ ეს სიტყვა სხვა ქართველურ ენებშიც (კერძოდ, მეგრულში) არის სადმე შემონახული.

წარმოდგენილი მცირე მასალიდანაც კარგად ჩანს, თუ რარიგ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქართულ მასალას აფხაზეთის ტოპონიმიაში. დებულება, რომ ქართველები აფხაზეთის მიწა-წყლის ძველთაძველი მკვიდრნი არიან, ურყევია და მისი უგულებელყოფა არავის შეუძლია.

**ზურაბ ჯუმბურიძე**

პროფესორი



ბიჭვინთის ოთხთავი

# ილორის წმიდა გიორგი და მასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები დასავლეთ საქართველოში

დასავლეთ საქართველოში, კერძოდ სამეგრელოში, წმიდა გიორგის მრავალი ეკლესია არსებობს: - ილორის წმიდა გიორგი, ალერტის წმიდა გიორგი, ყულის კარის წმიდა გიორგი, ჯეგმისარონი, სუჯუნის წმიდა გიორგი, ოცინდალე, ჯეგე-ხანგარამი და სხვა. თითოეულ მათგანთან გარკვეული გადმოცემები და რიტუალებია დაკავშირებული. მათგან განსაკუთრებით გამორჩეული ილორის წმიდა გიორგია - სამეგრელოში და საერთოდ, მთელს დასავლეთ საქართველოში ერთ-ერთი უძლიერესი და დიდად მნიშვნელოვანი სალოცავი. იგი ქალაქ ოჩამჩირედან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით, სოფელ ილორში მდებარეობს (სამურზაყანო, დღევანდელი გალის რაიონი).

ილორის წმიდა გიორგის ძველთაგანვე არა მარტო ქრისტიანები სცემდნენ თაყვანს, არამედ, არაქრისტიანებიც. იგი ყოვლისშემძლედ და ყოვლად სამართლიანად ითვლებოდა და ითვლება დღესაც. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე აფხაზმა ზოგჯერ არც კი იცის, რომელი წმიდანის სახელზეა აგებული ილორის სალოცავი, არცერთ წმიდანს სამხრეთისა და სამურზაყანოს აფხაზეთში ისეთ დიდ თაყვანს არ მიაგებენ, როგორც ილორის ხატს (იხ. ნ. ჯანაშია, სტატიები აფხაზურ ეთნოგრაფიაზე, სოხუმი, 1960. რუს. ენაზე).

ილორის ეკლესიაში მნათეები იმ გვარებიდან ირჩეოდა, რომელთა "ჯინჯ ხატად" (საგვარეულო ხატად) იგი ითვლებოდა. ასეთები იყვნენ: მალიშა, სებეკია, მარკელია, ბჟანია, მერჭულე, ჯიგანია, ხასია, ხოჭა და კიტა.

ეს ტაძარი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ხუროთმოძღვრული თვალსაზრისით, არამედ სასწაულჩენათა, ლეგენდათა და გადმოცემათა მიხედვით.

ილორის წმიდა გიორგის დღეობას დღესასწაულობენ წელიწადში ორჯერ: 23 აპრილსა და 10 ნოემბერს (ძვ.სტილით), მაგრამ განსაკუთრებული ბრწყინვალებით 10 ნოემბერს დღესასწაულობენ. ამ დღეს დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან ილორის ეკლესიაში ტრადიციისამებრ, თავს იყრიან მლოცველები.

ილორის წმიდა გიორგი სახელგანთქმული იყო თავისი სასწაულებით. ერთ-ერთ ასეთ სასწაულად ითვლებოდა ხალხში არსებული ტრადიცია იმის შესახებ, რომ 10 ნოემბერს (ძვ.სტილით) მარტვილს ხარი ღამით მიჰყავდა ეკლესიაში. გაიყვანდნენ გალავნის გარეთ და დააკვლევინებდნენ იქაურ მცხოვრებს, რომლის ოჯახს ძველთაგანვე ევალებოდა ეს საქმე. ამ ოჯახშივე ინახებოდა ნაჯახი, რომლითაც უნდა დაკლულიყო ხარი. ამ ნაჯახს მიიჩნევდნენ, როგორც საღმრთო ნივთს. მას სხვაზე არაფერზე არ ხმარობდნენ. კაცი, რომელიც დაკლავდა ხარს, გაანაწილებდა კიდეც: უმეტესი ნაწილი რქებითურთ, ეკუთვნოდა მთავარს. ამ რქებს მთავარი შეამკობდა ოქროთი და ძვირფასი ქვებით. დიდ დღესასწაულებში რქებით, წმიდა გიორგის სადიდებლად, დალევდა ღვინოს (იხ. არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ. 1938). შეწირული ხარის ხორცი წვრილად იჭრებოდა და რიგდებოდა ხალხში. მას განსაკუთრებული სამკურნალო დანიშნულება ჰქონდა. არსებობს არქანჯელო ლამბერტის ცნობა იმის შესახებ, რომ შეწირულ ხარში თავიანთი წილი იმერეთის მეფესაც და გურიელსაც ედოთ. ეს რიტუალები და წარმოდგენები ხშირად ძველი რელიგიის ნარჩენებია, რომელიც ღრმად იყო ფესვგადგმული ხალხის ცნობიერებაში. მათ თანდათან, ნელ-ნელა იცვალეს სახე. ზოგ შემთხვევაში კი ქრისტიანულ ტრადიციებს შეერივნენ და შეესისხლხორცნენ. ეს რწმენა-წარმოდგენები ხშირად, ცხადია, არაკანონიკურიცაა, მაგრამ ყველა შემთხვევაში, ქრისტიანული რწმენითა და სიყვარულით სავსეა.

ადგილობრივი რწმენების მიხედვით, მთელს დასავლეთ საქართველოში იკვეთება ილორის წმიდა გიორგის, როგორც სამართლისა და ზნეობის დამცველის სახე. ეს ჩანს ამ წმიდანის სახელთან დაკავშირებულ სასწაულში: იგი ეხება ოქროს სასწაულმოქმედ, მართლმსაჯულების სასწორს, რომელიც ეკლესიის თაღიდან ტაძრის შუა ნაწილში ეშვებოდა. ხალხის წარმოდგენით, ილორის წმ.გიორგი მომრიგებელი იყო ყოველგვარი დავისა და გაუგებრობისა ადამიანთა შორის.

ეს მორიგება ხდებოდა ამ სასწორის მეშვეობით. მოდავე მხარეები დგებოდნენ სასწორის ქვეშ და ლოცულობდნენ ილორის ხატთან, რომელიც მართლის მხარეზე იხრებოდა და ქვეყანაზე სუფევდა მშვიდობა და სამართალი.

მაგრამ ერთხელ ადამიანმა სცადა წმიდანის მოტყუება, რის გამოც, წმიდა გიორგიმ ოქროს სასწორი სამუდამოდ ცაში წაიღო. სასწორი გაქრა, მაგრამ ხალხში დარჩა ჩვეა, რომელიც მუდამ აგონებს მათ წმიდა გიორგის მკაცრ მართლმსაჯულებას. ეს ჩვეა ე.წ. "გინოჩამა", ხატის სამსჯავროა (იხ. ნ. აბაკელია, მითი და რიტუალი დასავლეთ საქართველოში, თბ., 1991, რუს. ენაზე. იქვე ბიბლიოგრაფია).

ილორის ეკლესიაში უკანასკნელ დრომდე ინახებოდა წმიდა გიორგის ნაქონი სასწაულმოქმედი ნივთები - რკინის მშვილდი (შქვილი), რომლის სიმაღლე 1 მეტრს აღწევდა, ბუკი და წმიდანისადმი შეწირული ბორძლები, ანუ ორპირ-ბოლოიანი ისრები. ამგვარი ისრები დასავლეთ საქართველოში არქეოლოგიური გათხრების მონაცემების მიხედვით, მრავლად მოიპოვება. მათთან მუდამ გარკვეული რწმენა-წარმოდგენები და რიტუალებია დაკავშირებული.

სამეგრელოში წმიდა გიორგის მშვილდს სამკურნალო დანიშნულება ჰქონდა და გამოიყენებოდა ავადმყოფების მოსარჩენად. ილორის ეკლესიაში, რომელიც სახელგანთქმული იყო თავისი სასწაულმოქმედი ძალითა და ყოვლისშემძლეობით, მიჰყავდათ სხვადასხვა სახის დაავადებით შეპყრობილნი, რომელთა შორის უფრო ხულით ავადმყოფები ჭარბობდნენ. როგორც ცნობილია, მათ მეხატული (მნათე) წმიდა გიორგის რკინის მშვილდში გააძვრენდა. შემდეგ სამჯერ ჩაბერავდნენ ბუკში, რის შემდეგაც ავ სულებს უნდა დაეტოვებიათ ავადმყოფის სხეული.

სამეგრელოში, ფართოდ გავრცელებული შეხედულებების თანახმად, ჭექა-ქუხილის დროს წმიდა გიორგი თეთრ ცხენზე ამხედრებული მიჰქრის ცაში, სდევნის ავ სულებს და ბორძალით გმირავს მათ. აქ არსებობენ გარკვეული გვარები, რომლებიც ილორის წმიდა გიორგის "მოვალეებად" ითვლებოდნენ. მათ გიორგობის დღეს ილორის ეკლესიაში ყოველწლიურად მიჰქონდათ სამჭედლოში გამოჭედილი რკინის ისრები, რომლებიც ჭექა-ქუხილის დროს წმიდა გიორგის ცაში აჰქონდა. ამ ისრებით იგი გმირავდა ხთონურ მოწინააღმდეგეს. მაგრამ მათ, ასევე, მკურნალის თვისებები ჰქონდათ.

ხალხური გადმოცემების თანახმად, იქ, სადაც მეხი ეცემოდა, პოულობდნენ წმიდა გიორგის ისრის კვალს, ან ჯვარს, რომელსაც "ნაჯვარლენს" უწოდებდნენ, რადგან ადგილობრივთა რწმენით, მეხი ვარდებოდა ანთებული ჯვრის სახით.

მეხი კი ეცემოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა წმიდანი სდევნიდა ავ სულს. იგი (ავი სული) ჩვეულებრივ, ხის ქვეშ იმალებოდა. მეხის დაცემით წმიდანი აფრთხილებდა დამნაშავეს, ანდა "ირჩევდა" ვინმეს "მონად", რის შემდეგაც რჩეული მგლოვიარეც რომ ყოფილიყო, გამოეწყობოდა თეთრ, ან ჭრელ შესამოსელში, დაივლიდა წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიებს (მათი დღეობების რიგის შესაბამისად) და მიჰქონდა სხვადასხვა შეწირულებანი. ეს ყოველწლიურად ხდებოდა.

ჭექა-ქუხილის დროს ადგილობრივი მაცხოვრებლები პირჯვარს იწერდნენ და თხოვდნენ წმიდა გიორგის, შეეწყალებინა ისინი, არ დაეცა მეხი მათთვის. ზოგ შემთხვევაში, მსხვერპლსაც

ილორი

ხწირავდნენ. ხოლო თუ მეხი მაინც დაეცემოდა, მაშინ ეს წმიდანის მიერ გამოგზავნილ სასჯელად აღიქმებოდა (წესრიგის დარღვევა, აღთქმულის არ შესრულება, ქურდობა, ტყუილი და სხვ. ე.ი. ის, რაც ეწინააღმდეგება ადამიანურ მორალს).

ილორში სალოცავად, როგორც ცნობილია, აგრეთვე, დადიოდნენ უშვილონი, რომელნიც წმიდა გიორგის ვერცხლის პატარა აკვნის მოდელს ხწირავდნენ. ასევე საყურადღებოა, რომ გიორგობა დღეს წინასწარმეტყველებდნენ, რანაირი ამინდი იქნებოდა მთელი წლის განმავლობაში და რანაირი მოსავალი იყო მოსალოდნელი. ამგვარი წინასწარმეტყველება, ხშირად მისადაგებული იყო საქონლის საძოვრებზე გარეკვის დროსთან, 23 აპრილთან.

ილორის წმიდა გიორგის, სამეგრელოსა და აფხაზეთის გარდა, განსაკუთრებით სცემდნენ თაყვანს სვანეთსა და გურიაში. გურიაში ილორობისთვის შეწირულ ხარს "ილორას" ეძახდნენ, ხოლო საქონლის კეთილდღეობისათვის განკუთვნილ დღეს, "ილორობის" სახელით ცნობილს, აღნიშნავდნენ ყველიერის ხუთშაბათს. ილორის წმიდა გიორგის ეკლესიაში მლოცველნი იმერეთიდან და რაჭა-ლეჩხუმიდანაც ჩამოდიოდნენ.

სვანები სალოცავ და ასევე, სადღესასწაულო დღეებში ადგილობრივი წმიდანების მოხსენიების დროს, რომელთაც უნდა უზრუნველეყოთ სვანეთის კეთილდღეობა მომავალ წელს, ჯვრაგ ილორიშ-ს, ანუ ილორის წმიდა გიორგისაც ახსენებდნენ.

დასავლეთ საქართველოში სალოცავების ერთმანეთთან კავშირზე მიუთითებს ასევე,სვანეთში დაცული ლეგენდა (დაფიქსირებული ვ. ბარდაველიძის მიერ) ლატალისა და ლენჯერის ჯგრაგის, ანუ წმიდა გიორგის შესახებ, რომლის მიხედვით, ილორის წმიდა გიორგის ხატი აღნიშნულ სალოცავებში მათ დღეობებზე შესაწირად ხარებს გზავნიდა.

თავის მხრივ, სვანეთის სალოცავებიდან, ილორის დღეობაზე სანთელ-საკმეველი იგზავნებოდა. ეს სამი ხატი - ილორის, ლატალისა და ლენჯერის ჯგრავები, ადგილობრივთა რწმენით, ძმები იყვნენ. ძმებში უფროსად ილორის წმიდა გიორგი ითვლებოდა. ეს კი იმას ნიშნავდა, აღნიშნული სალოცავებიდან ერთ რომელიმე სალოცავში მისვლა ყველა დანარჩენ სალოცავში მისვლის ტოლფასი იყო.

ზემოთ თქმული კიდევ ერთხელ ადასტურებს ფაქტს, რომ მთელი დასავლეთ საქართველო, როგორც კულტურულ-ისტორიული ერთობა, გაერთიანებული იყო სალოცავთა ერთიან რელიგიურ სისტემაში, რომელშიც ილორის წმიდა გიორგის ეკლესიას ერთ-ერთი მთავარი ადგილი ეჭირა.

დღეს ილორის ეკლესიასთან მისასვლელი გზა ქართველთათვის დაკეტილია... დაკეტილია წმიდა სალოცავი... მაგრამ ჩვენ გვწამს, საქართველოს დიდი მფარველი წმიდა გიორგი გარდმოხედავს თავის სამწყსო ქვეყანას და კვლავ ჩამოუშვებს ზეციდან ოქროს სასწორს, რომელიც აღადგენს სიმართლეს და სიმშვიდეს ამ ნატანჯ მიწაზე... კვლავ დარეკს ილორის ზარი და მორწმუნენი აანთებენ საკვდრებელ სანთლებს სასწაულმოქმედი ტაძრის ხატებთან... შეაკვდრებენ უფალს ცოდვილ მიწას და ხალხს, - ქრისტეს გზით მავალს.

**ნინო აბაკელია**

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი



ილორი

# ბედია, ლიხნე, ბიჭვინთა...

## შუა საუკუნეთა კედლის მხატვრობის ძეგლები აფხაზეთის ტერიტორიაზე

აფხაზეთში, საქართველოს სხვა კუთხეების დარად, მრავლად შემორჩა ხელოვნების ძეგლები, რომლებიც მათ შემქმნელთა დიდი ოსტატობისა და ამ ძეგლების უმეტესი ნაწილის განსაკუთრებული გამორჩეულობის უტყვი მოწმენი არიან. ხელოვნების ამ ნიმუშთა შორისაა ქართული კედლის მხატვრობა.

ბედია, ლიხნე, ბიჭვინთა... ძალზე მრავალმნიშვნელოვანია ეს სახელები მათთვის, ვინც ასე თუ ისე, იცნობს ჩვენი წარსულის ისტორიას და კულტურას. ამ ტაძრების მოხატულობები ტოლს არ უდებენ შუა საუკუნეების ქრისტიანული სამყაროს გამორჩეულ ძეგლებს; ხოლო მათზე მრავალი საუკუნით ადრე შექმნილი ბიჭვინთის ცნობილი მოზაიკები, შუხუთის (გურია) და ძალისის (ქართლი) მოზაიკებთან ერთად, მოწმობენ, რომ ელინისტურ ხანაში საქართველოში იქმნებოდა მაღალი ხელოვნება, რომელიც, ერთის მხრივ, მეტყველებს ადგილობრივ ოსტატთა გამორჩეულ პროფესიონალიზმზე, მეორეს მხრივ კი, უტყუარი საბუთია იმისა, რომ ამ დროს საქართველოში კარგად ჰქონდათ გათავისებული ის მხატვრულ-ესთეტიკური ძიებანი და ამოცანები, ახლო აღმოსავლეთის სამყაროსთვის რომ იყო დამახასიათებელი.

როდესაც აფხაზეთის მონუმენტური მხატვრობის შესახებ ვსაუბრობთ, იმთავითვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მრავალი მოხატულობა, საქართველოს სხვა კუთხეების დარად, არც აქ შემორჩა. იგი დროთა განმავლობაში, სხვადასხვა მიზეზთა გამო დაიღუპა, განადგურდა; მაგრამ რაც შემორჩა, იმდენად მნიშვნელოვანი და მაღალი პროფესიული დონისაა, რომ მათ გარეშე შეუძლებელია ქართული კედლის მხატვრობის ევოლუციის სრული სურათის აღდგენა მთელ თხუთმეტ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე.

ბედიის ტაძრის ხსენებისას მკითხველს უმალ მოაგონდება მეფე ბაგრატ III, რომელმაც საფუძველი დაუდო ერთიანი, მძლავრი ქართული სახელმწიფოს შექმნას და რომელიც 1014 წელს მიებარა მშობლიურ მიწას მის მიერ აგებულ ამავე ტაძარში.

ბედიაში დღეისათვის, ცუდად დაცული (ფრაგმენტის სახით) მხატვრობის რამდენიმე ფენაა შემორჩენილი. პირველ, უძველეს ფენას XI საუკუნის (ვარაუდობენ, რომ ტაძარი აგებისთანავე უნდა მოხატულიყო), მიაკუთვნებენ თვით ბაგრატ III-ის პორტრეტს, წარმოდგენილს ტაძრის ინტერიერში, სამხრეთ კედელზე. დიდებული მეფის ფიგურა, ეკლესიის მოდელით ხელში მიგვანიშნებს, რომ იგი არამარტო მომხატველია ტაძრისა, არამედ მისი ამგებიც (პიროვნებას, რომელიც გაიღებდა სახსრებს ეკლესიის ასაგებად და მოსახატავად, დონატორს, ან ქტიტორს უწოდებდნენ). ბედიის ტაძრის შემთხვევაში, ქტიტორად სწორედ ბაგრატ III წარმოგვიდგება. სამწუხაროდ, მეფის გამოსახულება ძლიერ დაზიანებულია, მაგრამ გაირჩევა მისი გვირგვინი და სამეფო სამოსელი, კოლორიტი. ფიგურის აგებულობა, მთლიანად სტილი ამ გამოსახულების შესრულებისა, უახლოეს ანალოგიებს XI საუკუნის ძეგლებთან, უპირველეს ყოვლისა კი, ატენის სიონში შემორჩენილ მეფეთა პორტრეტებთან პოულობს.

ბედიაში სხვა ისტორიულ პირთა გამოსახულებებიც შემორჩა. ჩრდილოეთ კედელზე გაირჩევა ოთხი ქტიტორის ფიგურა, რომელთაც რენე შმერლინგი, წერის მანერისა და წარწერების პალეოგრაფიული ანალიზის შედეგად, ბაგრატ III-ის პორტრეტთან ერთად, XI საუკუნის პირველ ნახევარს მიაკუთვნებს.

ტაძარი, შუა საუკუნეებში არსებული წესის თანახმად, მთლიანად იქნებოდა მოხატული; სამწუხაროდ, დროის ქარტეხილებმა არც იგი და-

ბედიის მონასტერი X-XI სს.

ახალგაზრდობაში ხშირად დავდიოდი მძსავდიციებში. ეს ჩემი დიდი აკადემია იყო. მაგონდება გიჟვინთა... ძეგლი უკვე ინგრეოდა. იატაკი,ძვლები ხელ მოზაიკა იყო... მახსოვს, ერთხელ ფრანგი მხატვრები მოვიდნენ, გაოცდნენ, ახეთი მდიდარი მოზაიკური ხელოვნება იშვიათად გვინახავსო. მართლაც დიდებული, ღრმად შთამგეჭდავია ეს ძეგლი, თუნდაც ამ ნანგრევებითაც.

ლადო გუდიაშვილი



ლიხნე. X-XI სს.

შდავოა, რომ ბიჯვინთის მოზაიკის ავტორები ადგილობრივი ოსტატები არიან. შესაძლოა, ისინი დაუფლებულნი იყვნენ რომელიმე დიდი ცენტრის, ვთქვათ, კონსტანტინეს სამხატვრო სკოლის პრინციპებს... და მს მათ ნაშუქვარში, ასე თუ ისე, იბრძოლა, მაგრამ ძირითადად ისინი ინარჩუნებენ საკუთარ სტილსა და ხასიათს. ბიჯვინთის მოზაიკა თავის გამოძახილს ძართულ სინამდვილეში პოულობს (ატენი, ფეხელდა და სხვ.).

ბიჯვინთისა და მისი შემდგომი პერიოდის მოზაიკის შესწავლის საფუძველზე ირკვევა, რომ აფხაზეთში ხელოვნების მს დარგი მაღალ დონეზე ფოფილა განვითარებული. არსებობს იმის საფუძველი, რომ აქ ადგილობრივი სამხატვრო ცენტრიც არსებობდა.

ლ. შარვაშიძე

ინდო. მისი ფერწერული დეკორი დღეს ფრაგმენტების სახითაა შემორჩენილი. ამ მოხატულობის შესახებ წერდნენ სხვადასხვა ავტორები - ნინა ტოლმაჩევსკაია, შალვა ამირანაშვილი, რენე შმერლინგი, თინათინ ვირსალაძე, ვიქტორ ლაზარევი და სხვანი. ბედიის მოხატულობას და, საერთოდ აფხაზეთის ტერიტორიაზე შემორჩენილ მონუმენტური ფერწერის ძეგლებს საგანგებო გამოკვლევა მიუძღვნა ლ. შარვაშიძემ.

სხვა ტაძრების დარად, ბედიის ტაძარი, დროთა მსვლელობაში, ხელახლა მოიხატებოდა ხოლმე იმ ადგილებში, რომელთაც დრო თავის კვალს აჩნევდა. აქ მოხატულობის სამი ფენაა. ზემოთ ნახსენები I ფენის გარდა, უნდა აღინიშნოს გარკვეული ჯგუფი. ესენია ეკლესიის მამები და "სამების" გამოსახულება - საკურთხეველში, ჩრდილოეთ და დასავლეთ კედლებზე შემორჩენილი ფრიზები მედალიონებით, რომლებშიც მოწამეთა ნახევარფიგურებია ჩაწერილი. აგრეთვე, სამხრეთის კედელზე შემორჩენილი "ქრისტე და სამარიტელი დედაკაცი" და "ბრმის განკურნება". ეს გამოსახულებები ტაძრის განახლების ეპოქას - XIII-XIV საუკუნეებს უნდა ეკუთვნოდეს (დაწვრილებით ამის შესახებ იხ. ლ. შარვაშიძის წიგნში). III ფენას მიაკუთვნებენ ისტორიულ პირთა გამოსახულებებს. ესენია დედოფალთ-დედოფალი მარიხ და მანდატურთუხუცესი გიორგი დადიანი. ხუთსტრიქონიანი წარწერა, ამ გამოსახულებებს რომ ახლავს, ამ ტაძარში შემორჩენილ ყველა სხვა წარწერის დარად, შესრულებულია ლამაზი ქართული ასომთავრულით. ეს ფენა რენე შმერლინგმა XVI საუკუნეს მიაკუთვნა. იგი თვლის, რომ ესენი უნდა იყვნენ ლევან I დადიანის მეუღლე და ვაჟი. როგორც ჩანს, ბედიის ტაძარში სიცოცხლე საუკუნეთა მანძილზე არ ჩამკვდარა. არც წირვა-ლოცვა შეწყვეტილა, ხოლო ეკლესიის მამები გამუდმებით ზრუნავდნენ ტაძრის გამშვენებასა და განახლებაზე. ამ ზრუნვის უტყუარი საბუთია ამ განმაახლებელთა პორტრეტები, რომლებსაც ქართული ისტორიული პორტრეტების გალერეაში მეტად მნიშვნელოვანი ადგილი განეკუთვნებათ.

ლიხნეს ღვთისმშობლის ტაძარში მხატვრობა შედარებით უკეთ შემორჩა, თუმცა, მაინც ფრაგმენტების სახით მოაღწია. აქ დაცული გამოსახულებების ნუსხა ზოგადად ასე გამოიყურება: საკურთხეველის კონქში წარმოდგენილი იყო ტახტზე მჯდომი ღვთისმშობელი ყრმით და ორივე მხარეს მთავარანგელოზები. ქვემოთ, სამ რეგისტრად წარმოდგენილ დეკორში, ზედა რეგისტრის ცენტრალური არე დათმობილი აქვს ზიარების თემას. მის ორსავ მხარეს, ჩრდილოეთით და სამხრეთით, ვხედავთ მენელსაცხებლე დედებს ქრისტეს საფლავთან და უკვე აღმდგარ მაცხოვარს ორ წმიდა დედას შორის. შუა რეგისტრში წარმოდგენილია "აბრაამის სტუმართმოყვარეობა" (ბედიაშიც "წმიდა სამება" ამ ვერსიითაა წარმოდგენილი) და "სჯულის კიდობანი". ქვედა რეგისტრში შემორჩენილი ეკლესიის მამების გამოსახულებების ფრაგმენტებით უნდა ვიფიქროთ, რომ აქ გამოსახული უნდა ყოფილიყო მსხვერპლის თაყვანისცემა. აქვე საკურთხეველში წარმოდგენილია აბრაამის მიერ ისაკის მსხვერპლად მიტანის ეპიზოდი. სიუჟეტების მხოლოდ ჩამოთვლაც კი მიუთითებს, რომ აქ ხაზგასმული იყო მსხვერპლის თემა, რომელიც ქრისტემ გაიღო ადამიანთა მოდგმის გამოსახსნელად. ეს თემა კიდევ უფრო გამახვილებულია ქრისტეს ბიბლიური პირველსახის (იგულისხმება აბრაამის მსხვერპლი) აქვე მოტანით. მსგავსი ანალოგიები ჩვეულებრივი მოვლენაა შუასაუკუნეთა ქრისტიანულ მხატვრობაში.

ლიხნეს ტაძრის დასავლეთ ნაწილში წარმოდგენილი "ღვთისმშობლის მიძინების" გამოსახულება, რომელშიც ჩართულია "ღვთისმშობლის ამაღლება" - როგორც ამ გამოსახულების დეტალი, მოგვაგონებს ანალოგიურ სურათს წალენჯიხის მაცხოვრის ტაძრის მოხატულობიდან (1384-1346 წწ). ეს დეტალი საკმაოდ იშვიათია და წინა საუკუნეებში მას საქართველოში თითქმის არ ეხვდებით. სხვა შემორჩენილ გამოსახულებათა შორის უნდა მოვიხსენიოთ ქრისტეს ცხოვრების ამსახველი ფრაგმენტები: - ნავში, ქრისტე გუმბათქვეშა პილასტრებზე, იოანე ნათლისმცემელი და ღვთისმშობელი, აგრეთვე, განკითხვის დღის და ისევ იოანე ნათლისმცემლის ციკლის ფრაგმენტები, ცალკეულ წმიდანთა გამოსახულებები. ესაა ბრწყინვალე მხატვრობა.

მართალია, ლიხნეში ქტიტორთა პორტრეტები არ შემორჩენილა, მაგრამ მისი სტილისტურ-იკონოგრაფიული ანალიზის საფუძველზე ეს მხატვრობა XIV საუკუნის შუა ხანებითაა დათარიღებული. თუმცა აქაც შეიმჩნევა უფრო ადრეული ფენის ფრაგმენტები. ესაა ხანა, როდესაც საქართველოში უკვე გავრცელებულია (XIII საუკუნის დასასრულიდან) და ფართოდაა დამკვიდრებული ე.წ. პალეოლოგთა ხელოვნების ნორმები (ეს სახელწოდება ბიზანტიის ხელოვნების ამ ბოლო აყვავების პერიოდმა იმპერიის დაცემის წინ მმართველი დინასტიის სახელის მიხედვით მიიღო). სწრაფვა ბიზანტიისაკენ, მასთან სიახლოვე ხშირად ასაზრდოებდა ქართულ მხატვრულ აზროვნებას და აქედან გამომდინარე, იმ ნორმებსაც, რომლებითაც ხელმძღვანელოდნენ ეკლესიის მოხატვისას როგორც დამკვეთნი, ასევე მომხატველები. ასეთი შესისხლხორცება ამ ნორმებისა საქართველოს ისტორიისათვის იმ უმძიმეს პერიოდში, როგორიც XIV-XV საუკუნეები იყო, მოწმობს, რომ სწრაფვა ახლისაკენ, უმაღლესისაკენ ჩვენში ყველა დროში შეინიშნებოდა. ლიხნეს

მხატვრობა, ბრწყინვალე, ჰარმონიული კოლორიტით, ფერადოვანი ლაქის დამუშავების დახვეწილი სტილით ამ დროის საქართველოდან შემორჩენილ ,სხვა მოხატულობებთან ერთად (წალენჯიხა, სორი, უბისი, მარტვილი, საფარა, ხობი, ნაბახტევი და სხვ.) ქართული კედლის მხატვრობის ერთ მნიშვნელოვან ეტაპს ქმნის. საინტერესოა, რომ ლიხნეში, ისევე, როგორც ამ პერიოდის სხვა ქართულ ძეგლებში, ასომთავრულ წარწერებთან ერთად ბერძნულიც გვხვდება. შეიმჩნევა ერთი დეტალიც: - წმიდანთა სახელების, თუ გამოსახულებათა განმმარტავი წარწერები უმეტესად ქართულია, გრაგნილებზე კი ხშირად ბერძნული ტექსტი გვხვდება.

ლიხნეში, ისევე, როგორც სხვა ამ ხანის ძეგლებში, ელინისტური ნორმების ზეგავლენა ჩანს. ეს განსაკუთრებით წერის მანერაში იგრძნობა. ნიმუშად შეიძლება მოვიტანოთ წმიდა მოწამე პლატონის გამოსახულება.

სხვა, აქ შემორჩენილ მოხატულობათაგან მნიშვნელოვანია ბიჭვინთის ტაძრის ეკვდერის მხატვრობა. თინა ყაუხჩიშვილმა ერთ-ერთი წარწერის (სადაც მოხსენიებულია კათალიკოსი ეკვდემონი) ამოკითხვის საფუძველზე ეს მხატვრობა XVI საუკუნის მეორე ნახევრით დაათარიღა. საერთოდ, საქართველოში მრავლად შემორჩენილი ეკვდერების მოხატულობა მეტად საინტერესო მასალას იძლევა მკვლევარისათვის. ამ მხრივ გამონაკლისს არც ბიჭვინთის ეკვდერი წარმოადგენს. შინაარსი ამ მოხატულობისა მიუსადაგება თვით ნაგებობის დანიშნულებას: - ჯვარცმა, გარდამოხსნა, აღდგომა და სხვ. ესაა გამოსახულებები, რომლებიც წარმოდგენილია ბიჭვინთაში და რომელთაც, საერთოდ, ეკვდერებში ვხედავთ. აქ წარმოდგენილია სურათები იმ ვნებებისა, რომლებიც მიიღო იესო ქრისტემ. ეკვდერებში ქრისტეს ჯვარცმისა და აღდგომის ეპიზოდებს ხშირად დაერთვის ხოლმე განკითხვის დღისა და

ბედიის ოქროს ბარძიმი

მაცხოვრის მსხვერპლთან დაკავშირებული ბიბლიური პირველსახეები.

ბიჭვინთის ეკვდერის მოხატულობა, ერთის მხრივ, აგრძელებს იმ ტრადიციებს, რაც ქართულ ეკვდერებს ახასიათებდა საერთოდ (საკმარისია მოვიგონოთ ხობში ოდიშის მთავრის ვამეყ I დადიანის ეკვდერი, ლასურიძეთა საგვარეულო ეკვდერი საფარაში; აგრეთვე, მრავალრიცხოვანი ეკვერები გელათში თუ სხვაგან). რაც შეეხება სტილს, ბიჭვინთის ეკვდერის მოხატულობა უახლოეს ანალოგიებს ათონის მთის ძეგლებთან პოულობს. XV საუკუნის შუა ხანებიდან, 1453 წელს თურქთა მიერ კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ, ათონის სკოლა უკვე იმ ნორმების დამაკანონებელ ცენტრად იქცა, საიდანაც მასაზრდოებელ იმპულსებს იღებდნენ აღმოსავლეთ ქრისტიანული სამყაროს სხვადასხვა ქვეყნების მხატვრები.

ეს მოკლე მიმოხილვაც აფხაზეთის ტერიტორიაზე შემორჩენილი კედლის მხატვრობის ძეგლებისა გვარწმუნებს, რომ აქ, საქართველოს სხვა კუთხეების დარად, იყო მნიშვნელოვანი მხატვრული ცენტრები, რომელთა ქმნილებები ჩვენი წარსული კულტურის განუყოფელი ნაწილია.[1]

**ინგა ლორთქიფანიძე**

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

---

[1] სამწუხაროდ, საშუალება არა გვაქვს, მკითხველს მივაწოდოთ ამ ფრესკათა ამსახველი ნიმუშები. ჩვენ ვერ შეძელით მათი მოძიება. უხარისხო აღმოჩნდა ყველა ფოტო, რომელიც კი მუზეუმსა თუ კერძო პირებთან ვნახეთ. (რედ.)

# საქართველო-აფხაზეთის

# აფხაზურ

დიდი ტრაგედია დატრიალდა აფხაზეთში. დღეს ძნელია მისცე ამომწურავი ანალიზი ყოველივე მომხდარს, მაგრამ ერთ რამეზე ცალსახა პასუხის გაცემა იმთავითვე შეიძლება: აფხაზური ნაციონალ-სეპარატისტული მოძრაობის მესვეურებმა ყველაფერი იღონეს და მიაღწიეს კიდევაც იმას, რომ აფხაზს ქართველში დაენახა არა მომძე და მოყვარე, არამედ მტერი, რომელიც არც მეტი, არა ნაკლები, "ართმევს" მას სამშობლოს და, საერთოდ, ყოველგვარ ისტორიულ პერსპექტივას "უკარგავს". ეს ერთბაშად არ მომხდარა, რასაკვირველია. ეგ არის შედეგი იმ აღვირახსნილი ანტიქართული პროპაგანდისა, რომელსაც ასე გამიზნულად და თანმიმდევრულად ეწეოდნენ აფხაზი ნაციონალ-სეპარატისტები უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში.

ამ ფართო მასშტაბის ანტიქართულ კომპანიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ისტორიის ფალსიფიკაციას. სწორედ ისტორიული სიმართლის გაყალბებას ეკავა გამორჩეული ადგილი ნაციონალ-სეპარატისტთა პოლიტიკურ და იდეოლოგიურ არსენალში. უფრო მეტიც, გარძინბას ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ისტორიის ფალსიფიკაცია საერთოდ სახელმწიფო პოლიტიკის რანგში იქნა აყვანილი. საქართველო-აფხაზეთის ისტორიის გაყალბების საქმეში სეპარატისტულად განწყობილ აფხაზ მეცნიერ-პოლიტიკოსებს ერთგულად ედგნენ მხარში იმპერიულ-შოვინისტური სულისკვეთებით გაჟღენთილი რუსი ისტორიკოსები, რომლებიც არაფრით ჩამორჩებოდნენ თავიანთ აფხაზ კოლეგებს ჩვენი ქვეყნის წარსულის ძაგება-განქიქებაში და ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ წაშლილიყო ქართველთა ისტორიული კვალი დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე. ჩვენ შეგვეცდებით მხოლოდ ზოგადად მიმოვიხილოთ იმ ისტორიკოსთა ნაშრომები, რომლებმაც გარკვეული ეტაპები შექმნეს სეპარატისტული იდეოლოგიის ისტორიოგრაფიულ უზრუნველყოფაში.

პირველ რიგში დავაზუსტოთ ცნება "აფხაზური ისტორიოგრაფია". ამ ცნებაში ჩვენ გგულისხმობთ არა აფხაზეთში მცხოვრებ ისტორიკოსთა ნამღვაწარს მთლიანად - თავისთავად ეს საერთოქართული ისტორიული მეცნიერების შემადგენელი ნაწილია - არამედ მხოლოდ იმ ვაი-ისტორიკოსთა ნაცოდვილარს, რომლებმაც თავისი "მეცნიერული" საქმიანობა ― ჩააყენეს აფხაზური ნაციონალ-სეპარატისტული მოძრაობის სამსახურში.

აფხაზური სეპარატისტული ისტორიოგრაფიის ჩამოყალიბება XX ს. 20-იანი წლებიდან იწყება, როდესაც გამოქვეყნდა ცნობილი აფხაზი მღვაწის ს. აშხაწავას ბროშურა:"**Пути развития абхазской истории**" (1925 წ.). მას საფუძვლად დაედო ს.აშხაწავას მიერ მხარეთმცოდნეთა ყრილობაზე (ჩატარდა სოხუმში 1921 წ.) წაკითხული მოხსენება. აღნიშნულ ბროშურაში სრულიად თავდაყირაა დაყენებული საქართველოს ისტორია. ავტორი ყოველმხრივ ცდილობს რა აფხაზ ტომთა პოლიტიკურ-კულტურული როლის წარმოჩენას კავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთში, ფაქტობრივად, საქართველოს ძველი და შუა საუკუნეების პერიოდის ისტორიას აფხაზების კუთვნილებად აცხადებს. და მათვე მიაწერს ქართული ქრისტიანული ცივილიზაციის შექმნასაც. მისი მტკიცებით, ქართველები გვიანდელ შუა საუკუნეებში (თითქმის ვახტანგ VI ეპოქაში) დაეპატრონენ იმას, რასაც საუკუნეების მანძილზე ასე მონდომებით ქმნიდნენ თურმე აფხაზები (მათ შორის დამწერლობასაც). ს.აშხაწავას ამ "ნაშრომის" მთავარი მიზანი იყო აფხაზი ხალხის "ისტორიოგრაფიული დამუშავება", იმის შთაგონება, რომ აფხაზები წარმოადგენენ აფხაზეთის (და არა მარტო აფხაზეთის) ერთადერთ მკვიდრ მოსახლეობას თავიანთი მდიდარი და სახელოვანი ისტორიით, რომლის მითვისებასაც ცდილობენ ქართველები.

ს.აშხაწავას "ნაშრომის" შექმნა არ იყო შემთხვევითი მოვლენა. ეს ერთგვარი პოლიტიკური დაკვეთა იყო ბოლშევიკური აფხაზური ელიტის მხრიდან, რომელმაც 1921 წლის გაზაფხულზე მიაღწია "დამოუკიდებელი" აფხაზეთის საბჭოთა რესპუბლიკის გამოცხადებას. "დამოუკიდებელ" აფხაზეთს, ბუნებრივია, დამოუკიდებელი ისტორია ესაჭიროებოდა, ისეთი ისტორია, რომელსაც არაფერი ექნებოდა საერთო საქართველოსთან და ქართველებთან. შ.აშხაწავამაც არ დააყოვნა და შეასრულა ეს პოლიტიკური დაკვეთა. სამწუხაროა მხოლოდ ის, რომ ამ პოლიტიკური დაკ-

# ისტორიული წარსული "ისტორიოგრაფიაში"

ვეთის რეალიზაციას ხელი შეუწყო აკად. ნ. მარმა, რომელმაც არა თუ არ გაილაშქრა ს.აშხაწავას ნაბოდვარის წინააღმდეგ, არამედ თავისი წინასიტყვაობით მწვანე შუქი მისცა მის გამოქვეყნებას.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ს. აშხაწავა არ იყო პირველი, ვინც საქართველო-აფხაზეთის ისტორიული ერთობის უარყოფასა და აფხაზეთის დანარჩენ საქართველოსაგან მოწყვეტას შეეცადა. ამგვარი ამოცანა უფრო ადრე რუსეთის იმპერიულ-შოვინისტურმა წრეებმა დაისახეს. როგორც ცნობილია, XIX საუკუნის 70-იანი წლების მიწურულიდან, მას მერე, რაც ცარიზმმა სისხლში ჩაახშო "აფხაზური წინააღმდეგობა" და მხარის ეთნიკური წმენდა "მუჰაჯირობის" ორგანიზებით დაასრულა, რუსეთის იმპერიის მესვეურები შეუდგნენ აფხაზეთის "იდეოლოგიურ ათვისებასაც". სწორედ მაშინ იშვა პირველად აფხაზთა ქართველებისაგან ჩამოცილებისა და ე.წ. "რუსული აფხაზეთის" შექმნის იდეა. ამ იდეის რეალიზაციას ემსახურებოდა ხელისუფლების მიერ განათლებისა და კულტურის სფეროში გადადგმული ნაბიჯები, პირველ რიგში კი რუსული ანბანის საფუძველზე აფხაზური დამწერლობის შექმნა, რაც, მათი აზრით, უნდა ქცეულიყო. "Средством к ослаблению ... потребности в грузинском языке". იგივე ამოცანა იდგა რუსეთის საეკლესიო კლერიკალური წრეების წინაშე. ისინიც ყოველმხრივ ცდილობდნენ აფხაზეთის მოწყვეტას საქართველოს ეკლესიისაგან. ამ კლერიკალურ-შავრაზმულ წრეში XX ს. დამდეგს (1907 წ.) შეიქმნა ბროშურა საკმაოდ გამომწვევი სათაურით: "Абхазия, это не Грузия", რომლის ავტორი იყო ვინმე ლ. ვორონოვი. აღნიშნულ "ნაშრომში" ავტორი ცდილობს დაამტკიცოს, რომ აფხაზეთი არასოდეს არ ყოფილა საქართველოს ორგანული ნაწილი, არც პოლიტიკურად და არც კონფესიურად. მისი აზრით, ქართველები აფხაზთათვის ისეთივე დამპყრობლები არიან, როგორებიც იყვნენ თავის დროზე რომაელები, ბერძნები, თურქები და ა.შ. ლ. ვორონოვი ქართველებს ადანაშაულებს იმაშიც, რომ მათ აფხაზებს იმთავითვე არ შეუქმნეს საკუთარი დამწერლობა და არ უთარგმნეს მშობლიურ ენაზე ქრისტიანული ლიტერატურა და აქვე, სთავაზობს მათ უანგარო დახმარებას. მისი აზრით, უმჯობესია აფხაზებმა ეკლესიაში დაამკვიდრონ სლავური ენა, რომელსაც, "გონებაშეზღუდული" ქართველებისაგან განსხვავებით, "ბუნებით პოლიგლოტი" აფხაზები იოლად შეითვისებენ და გავლენ "განათლების ფართო გზაზე". ამ კეთილშობილურ განზრახვას კი ხელს უშლის ეპისკოპოსი კირიონი, რომელიც ტიპიური ნაციონალისტია და აფხაზეთში ქართული ენის შემოღებით ცდილობს გზა დაუხშოს სლავურის დამკვიდრებას. ლ.ვორონოვის მტკიცებით, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა დამღუპველი იქნება აფხაზებისათვის. ეს თურმე ხელს შეუშლის ქრისტიანობის გავრცელებას წარმართ და მუსლიმან აფხაზებს შორის. ავტორი ასკვნის, რომ აფხაზეთი XIX ს. დამდეგიდან რუსეთის ნაწილია და იგი ეკლესიურადაც მას უნდა ექვემდებარებოდეს და არა საქართველოს.

ქართველებისაგან "დაჩაგრული" აფხაზი ხალხის რუს "მეგობარ-დამცველთა კოჰორტას ამშვენებს ე.წ. "ყუბანის მთავრობის" წევრი ნ.ვორობიოვი, რომელმაც 1919 წ. დონის როსტოვში გამოსცა წიგნაკი სათაურით; "სოხუმის ოლქზე (აფხაზეთზე) საქართველოს უფლებების განცხადების უსაფუძვლობის შესახებ". ავტორი აკლენს რა სრულ უვიცობას საქართველო-აფხაზეთის ისტორიის საკითხებში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას მიაწერს ქართველთათვის "სრულიად არამონათესავე აფხაზეთის ხალხის ჩაყლაპვის მცდელობას. ნ.ვორობიოვი, ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე, აცხადებს, რომ გაგრა (თავისი შემოგარენით) არასოდეს არ შედიოდა საქართველოს სახელმწიფოში, რომ არ არსებობს გაგრის საქართველოსადმი კუთვნილების არც ეთნოგრაფიული და არც ისტორიული საბუთი. "ჩვენ, "აცხადებს ნ.ვორობიოვი - ვერ დავთმობთ რუსეთის მიწა - წყალს, როგორიცაა

სოჭისა და გაგრის ოლქები (ხაზგასმა ჩვენია - ზ.ჰ.).

რასაკვირველია, ლ.ვორონოვისა და ნ.ვორობიოვის "ნაშრომებს" ისტორიოგრაფიული თვალსაზრისით არავითარი ღირებულება არც მაშინ ჰქონდათ და, ბუნებრივია, არც დღეს აქვთ. მიუხედავად ამისა, აფხაზმა ნაციონალ-სეპარატისტებმა ამ ბოლო დროს ორივე ეს ნაშრომი სახელდახელოდ გამოსცეს და დიდი მონდომებით დაიწყეს მათი რეკლამირება. უფრო მეტიც, თანამედროვე აფხაზური სეპარატიზმის ერთ-ერთმა იდეოლოგმა - ისტორიკოსმა სტ. ლაკობამ 1990 წელს გამოსცა მონოგრაფია "Очерки политической истории Абхазии", რომელშიც 1918-1919 წლების ისტორიული მოვლენები მთლიანად ნ.ვორობიოვის მიხედვით გააშუქა.

XX ს. ოციან წლებში (1925 წ.) თბილისში რუსულ ენაზე გამოვიდა აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებლის, დმიტრი გულიას წიგნი "История Абхазии" (ტ.1), რომელიც ავტორის თქმით იყო: "Первым камнем, брошенным в спокойную гладь научного равнодушия", და რომელსაც უნდა გამოეღვიძებინა მკვლევართა ინტერესი აფხაზეთის ისტორიული წარსულის მიმართ. მიუხედავად დ.გულიას ამ შეგონებისა და, უფრო ადრე, ს.აშხაწავას ენერგიული მცდელობისა, თითქმის 50-იანი წლების დამდეგამდე საკუთრივ აფხაზეთის ისტორიის შესწავლა ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა. არსებული პოლიტიკური მდგომარეობა არ აძლევდა საშუალებას მონაციონალისტო მეცნიერებს, ფრთები შეესხათ სეპარატისტული ისტორიოგრაფიის შექმნის იდეისათვის.

XX ს. 50-იან წლებში, ი. სტალინის გარდაცვალების შემდეგ, ე.წ. ხრუშჩოვის "Оттепель"-ის პერიოდში, ხელსაყრელი პირობები შეექმნა სეპარატისტულ იდეოლოგიას. მთელი ძალით ამოქმედდა დ.გულიას სახ. აფხაზური ენის, ლიტერატურისა და ისტორიის" პრობლემების სისტემური დამუშავება. შეიქმნა შრომები არქეოლოგიაში, ეთნოგრაფიაში. აფხაზ ტომთა ისტორიული ფესვების ძიებას მიუძღვნა არაერთი ნაშრომი აფხაზური არქეოლოგიის პატრიარქმა მ. ტრაპშმა, რომლის შრომებსაც წითელ ზოლად გასდევს აფხაზთა პრიორიტეტის ჩვენება დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე უხსოვარი დროიდან. არანაკლებ ნაყოფიერად ამ მიმართულებით იმუშავა აფხაზური ეთნოგრაფიული სკოლის მამამთავარმა შ. ინალ-იფამ, რომელმაც თავისი ადრინდელი ნაშრომები შეაჯამა ერცელ მონოგრაფიაში "Абхазы" (1960). აღნიშნული შრომები თვისობრივად ახალი ეტაპი იყო სეპარატისტული იდეოლოგიის უზრუნველყოფის საქმეში. თავიანთ უბადრუკ წინამორბედებთან შედარებით 50-60-იანი წლების ისტორიკოსები (მ. ტრაფში, შ. ინალ-იფა და სხვ.) უდაოდ გამოირჩეოდნენ თავიანთი პროფესიული მომზადებით.

ამ პერიოდში აფხაზთა და აფხაზური ისტორიის "მეგობრების" რიცხვს კიდევ ერთი "მოღვაწე" შეემატა. ეს იყო იაფფასიანი სენსაციების მოყვარული ლენინგრადელი პროფესორი გ. ტურჩანინოვი, რომელმაც ე.წ. "მაიკოპის ფილის" წარწერა თანამედროვე აფხაზურ ენაზე გაშიფრა და ამის საფუძველზე მსოფლიო აღმოჩენა გააკეთა. გ. ტურჩანინოვის მტკიცებით, აფხაზებს უძველეს დროში (ძვ.წ. III-II ათასწლეულებში) ეკავათ არა მარტო დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორია, არამედ დასავლეთი კავკასია მთლიანად; რასაკვირველია, კოლხეთის ჩათვლით. ამ აფხაზებმა შექმნეს უძველესი ცივილიზაცია (მათ შორის ე.წ. "კოლხური კულტურა", რომლის შემქმნელებად, საყოველთაო აზრით, ითვლებიან კოლხ-ქართველები და სხვა ქართველური ტომები: მაკრონები, სასპერები, ტიბარენები და სხვ.) და კაცობრიობას შეუქმნეს უძველესი (ფინიკიელებზე ადრე) ანბანი. აღსანიშნავია, რომ გ. ტურჩანინოვის ეს "ნააზრევი" იმთავითვე სასაცილოდ აიგდეს თვით რუსმა მეცნიერებმა. მიუხედავად ამისა, აფხაზი ისტორიკოსები და, განსაკუთრებით მწერალ-ფილოლოგები, არც თუ ისე იშვიათად, მაინც გამოხატავენ ერთგვარ სიამაყეს "მაიკოპური დამწერლობის" გამო. ყველაზე თვალსაჩინოდ ეს გამოამჟღავნა მწერალმა გიორგი გულიამ, რომელმაც თავის დროზე, ამ ფაქტს (გ. ტურჩანინოვის "აღმოჩენას") აღფრთოვანებული ნარკვევების მთელი სერია მიუძღვნა. 80-იანი წლების მიწურულსა და 90-იანი წლების დამდეგს აფხაზურმა ტელევიზიამ და სეპარატისტულმა პრესამ ჯეროვანი პატივი მიაგო გ.ტურჩანინოვის "ღვაწლს" აფხაზური ისტორიისა და კულტურის კვლევის საქმეში და ის ანტიქართული ისტერიის გასაღვივებლად გამოიყენა.

50-60-იანი წლების სეპარატისტული ისტორიოგრაფიის ერთგვარ შეჯამებას წარმოადგენდა შ.ინალ-იფას გახმაურებული წიგნი: "Вопросы этнокультурной истории Абхазии", რომელიც გამოიცა 1976 წ.სოხუმში. ეს წიგნი მისი დაქირავებული რედაქტორის - რუსი აკადემიკოსის, ცნობილი ეგვიპტოლოგის, მ.როსტოვცევის აზრით, არც მეტი, არც ნაკლები, "Своего рода энциклопедия по проблемам этногенеза и культурно-политической истории Абхазов". შ.იანალ-იფა სერიოზულ პრეტენზიას აცხადებს საკვლევი თემის და, პირველ რიგში, აფხაზთა ეთნოგენეზისის საკითხის ყოვლისმომცველ გამოკვლევაზე და ერთბაშად გვევლინება სულ ცოტა არქეოლოგის, ანთროპოლოგის, ენათმეცნიერის, ისტორიკოსისა და ეთნოგრაფის როლში. შ.ინალ-იფას ეს ნაშრომი ტიპიური ნიმუშია იმისა, რასაც პირობითად შეიძლება მეცნიერებაში პროვინციულობის გამოვლინება ეწოდოს. შ.ინალ-იფას

მთავარი მიზანია იმის დამტკიცება, რომ აფხაზები და მხოლოდ აფხაზები წარმოადგენენ აფხაზეთისა და მთლიანად აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ერთადერთ მკვიდრ მოსახლეობას "Не разделяя ни скем свою аборигенность". ავტორის მტკიცებით, აფხაზები მთელი ისტორიის მანძილზე არა თუ ინარჩუნებდნენ თავის ისტორიულ მეობას, არამედ ხშირ შემთხვევაში, თამაშობდნენ გადამწყვეტ როლს კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის კულტურულ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. შ.ინალ-იფას წიგნიდან აშკარად იკვეთება აზრი, რომ ე.წ. "კოლხური კულტურის" პერიოდში (ძვ.წ. XIV-VII სს.) აფსუა-აფხაზთა განსახლება მოიცავდა არამარტო დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიას, არამედ, მთლიანად კოლხეთს. აფხაზურ ტომებადაა გამოცხადებული უკლებლივ ყველა ის ტომი (კორაქსები, ჰენიოხები, სანიგები, აფსილები, აბაზგები, მისიმიანები), რომლებიც დაფიქსირებული ჰყავთ ანტიკური ხანის ბერძენ და რომაელ ავტორებს დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე. უფრო მეტიც, ერთგვარი სიფრთხილით, მაგრამ მაინც უშვებს კოლხთა აფხაზობას საერთოდ. შ.ინალ-იფას აზრით, აფსუა-აფხაზთა პრიორიტეტი აფხაზეთ-დასავლეთ საქართველოში აშკარაა გვიან ანტიკურ ხანაში და ადრეულ შუა საუკუნეებშიც. VIII - X სს. "აფხაზთა" სამეფო მიჩნეულია ნაციონალურ სახელმწიფოებრივ გაერთიანებად, აფხაზური ეროვნული ეკლესიითა და პოლიტიკური მისწრაფებებით. შ.ინალ-იფა ზერელედ ეკიდება XI-XII საუკუნეების უცხოურ (ბიზანტიურ, სომხურ, აღმოსავლურ, ძველ-რუსულ) წყაროებში დაფიქსირებულ ცნობებს "აფხაზეთზე" ("აბაზგია", "აბაზა", "ობეზი" და ა.შ.) და მათში დაცულ ინფორმაციას სრულიად უკრიტიკოდ ავრცელებს მხოლოდ დღევანდელ აფხაზეთსა და აფხაზებზე. ასე კეთდება შორს მიმავალი და ამასთან, აბსოლუტურად დაუსაბუთებელი დასკვნები საკუთრივ აფხაზეთის (დღევანდელი გაგებით) და აფსუა-აფხაზების მნიშვნელოვან როლზე მეზობელი ქვეყნების (ბიზანტია, ძველი რუსეთი და ა.შ.) კულტურულ-პოლიტიკურ ცხოვრებაში (მაგალითად: იოანე პეტრიწის აფხაზ ფილოსოფოსად მიჩნევა, ან კიევის სოფიის ტაძრის მოხატვა ეროვნებით აფხაზი ოსტატების მიერ აფხაზეთიდან ჩატანილი სამოზაიკო მასალით და სხვ.). შ.ინალ-იფა ამყარებს აბსოლუტურ უვიცობას საკვლევ თემასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხების ირგვლივ. დილეტანტურია მისი დაკვირვებები ენობრივ მასალაზე, ტოპონიმიკასა და ანთროპონიმიკაზე.

შ.ინალ-იფას წიგნმა იმთავითვე გამოიწვია საზოგადოებრიობის ინტერესი. 1977 წლის გაზაფხულზე დ.გულიას სახელობის აფხაზური ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტმა მოაწყო მისი განხილვა სპეციალისტთა ვიწრო წრეში, რომელზედაც პრაქტიკულად ყველა გამომსვლელმა (ზ.ანჩაბაძემ, გ.ძიძარიამ, ხ.ბლაჟბამ, გ. შამბამ, ი. ვორონოვმა, ზ. პაპასკირმა და სხვ.) მკაცრად გააკრიტიკა ავტორი მის მიერ წამოყენებული მთელი რიგი დაუსაბუთებელი დებულებებისა და დასკვნების გამო. ადგილობრივმა გაზეთებმა გამოაქვეყნეს ვრცელი ანგარიში ამ განხილვის შესახებ. შ.ინალ-იფას წიგნმა გამოხმაურება ჰპოვა თბილისშიც. ქართველმა მეცნიერებმა (მ.ლორთქიფანიძემ, ო.ჯაფარიძე, დ.მუსხელიშვილმა და სხვ.) გააანალიზეს აღნიშნული ნაშრომი და წარმოადგინეს კვალიფიციური დასკვნები, რომელთა პუბლიკაცია, სამწუხაროდ, იმ პერიოდში ვერ მოხერხდა. ყოველივე ამან აღაშფოთა სეპარატისტულად განწყობილი აფხაზური ინტელიგენცია, რომელმაც შ.ინალ-იფას ნაშრომის კრიტიკულ განხილვაში აფხაზური ისტორიისა და კულტურის "მორიგი დევნა" დაინახა. თანდათანობით დაიძაბა საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაცია, რაც შემდგომ 1978 წლის აფხაზეთის ცნობილ კრიზისში გადაიზარდა.

70-80-იანი წლების პირველ ნახევარში შ. ინალ-იფას ახალგაზრდა კოლეგებიც "წამოეშველნენ". გამოქვეყნდა მთელი რიგი სტატიებისა, რომლებშიც უაღრესად ტენდენციურად იყო გაშუქებული აფხაზეთის ძველი და შუა საუკუნეების პერიოდის ისტორიის ცალკეული პრობლემები. ამ მხრივ, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ისტორიკოს მ.გუნბას, ფილოლოგ ა.პაპასკირის წერილები. თავისი ანტიქართული მეცნიერული საქმიანობა დაიწყო ი. ვორონოვმა. არ ცხრებოდნენ ცალკეული მწერალ-ფილოლოგები. აქტიურად ამოქმედდნენ აფხაზთა "მეცნიერ-მეგობრები" მოსკოვსა და რუსეთის სხვა ქალაქებში. მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტმა წიგნად გამოსცა ამავე უნივერსიტეტის პროფესორის ი. ფიოდოროვის სპეცკურსი, რომელშიც "კოლხური კულტურის" შემქმნელებად არიან გამოცხადებული მხოლოდ აფხაზთა წინაპრები. მწვავე ანტიქართული პასქვილი გამოაქვეყნა ცნობილმა რუსმა შოვინისტმა, ლიტერატორმა კოჟინოვმა, რომელმაც ერთი ხელის მოსმით წაართვა ქართველებს და საქართველოს "აფხაზთა" სამეფო და ის აფხაზურ ნაციონალურ სახელმწიფოდ გამოაცხადა, თავისი "აფხაზური ქრისტიანული" სარწმუნოებითა და, რაც მთავარია, გ. ტურჩანინოვისეული აფხაზური დამწერლობით.

აღნიშნული ნაშრომებიდან, ისტორიოგრაფიული თვალსაზრისით, მხოლოდ მ.გუნბას ნაშრომზე თუ შეიძლება მსჯელობა. მასში ავტორმა არქეოლოგიურ მასალაზე და შესაბამის წერილობით მონაცემებზე დაყრდნობით მოინდომა "კაპიტალურად" შეესწავლა აფხაზეთის ისტორიული წარსუ-

ლი ახ. წ. 1 ათასწლეულის მანძილზე. არსი და მიმართულება ამ ნაშრომისა ცალსახაა: მოცემულ პერიოდში, დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ტომი მხოლოდ აფხაზური წარმოშობისაა; VIII საუკუნეში შექმნილი "აფხაზთა" სამეფო, რასაკვირველია, აფხაზური სახელმწიფოა, რომელიც ქართული მიწების გაერთიანებისათვის კი არ იბრძვის, არამედ უბრალოდ, იპყრობს მთელ საქართველოს.

ამრიგად, 50-80-იანი წლებში აფხაზ ისტორიკოსთა უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა სეპარატისტული იდეოლოგიის შემაგრება შესაბამისი ისტორიოგრაფიული მასალით. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ პერიოდში, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ისინი ჯერ კიდევ ვერ ბედავდნენ თავიანთი კვლევისათვის მიზანმიმართული პოლიტიკური დატვირთვის მიცემას და გარეგნულად მაინც ცდილობდნენ, დაეცვათ აკადემიურობა. ვითარება ძირეულად შეიცვალა 80-იანი წლების მიწურულიდან, როდესაც სეპარატისტული ისტორიოგრაფია გამოვიდა ერთგვარი "იატაკქვეშეთიდან" და დაუფარავად გადავიდა შეტევაზე. ამ დროიდან მთლიანად წაიშალა ზღვარი მეცნიერებასა და პოლიტიკას შორის და ისტორიოგრაფია მთლიანად აფხაზური ნაციონალ-სეპარატიზმის სამსახურში ჩადგა. ამ საქმეში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი აფხაზეთში მოღვაწე რუსმა ისტორიკოსებმა, მათ შორის, პირველ რიგში, ი.ვორონოვმა, რომელმაც აშკარად დაკარგა კონტროლი საკუთარ თავზე და მეცნიერული საქმიანობა მთლიანად პოლიტიკანობას ანაცვალა. ამის ნათელი გამოვლინებაა მისი ბოლოდროინდელი პუბლიკაციები, რომელთაგან განსაკუთრებით თვალში საცემია მისი ღვარძლიანი რეცენზია-პასკვილი მ.ლორთქიფანიძის წიგნზე - "აფხაზები და აფხაზეთი" (თბ., 1990), რომელიც მან გამოაქვეყნა სეპარატისტების რუპორად ქცეულ გაზეთ "Абхазия"-ში (16.07.1990) და ე.წ. ექსპრეს-ნარკვევი "Абхазы-Кто они?", რომელიც გამოიცა 1992 წ. ზაფხულში. ამჯერად, აქ არ შეეჩერდებით დაწვრილებით ი.ვორონოვის ამ ისტორიოგრაფიულ "შედევრებზე", მით უფრო, რომ ისინი არ დარჩენილა შეუმჩნეველი ქართველი ისტორიკოსების მხრიდან (იხ. მ.ლორთქიფანიძის, ა. ბაქრაძის, ნ.ლომოურის, ზ. პაპასკირის სტატიები), რომლებიც საკმაოდ ოპერატიულად გამოეხმაურნენ აღნიშნულ პუბლიკაციებს და საკადრისი პასუხი გასცეს მას.

რასაკვირველია, ჩვენს მიერ წარმოდგენილი მასალა არ შეიძლება აცხადებდეს სრულყოფილი ისტორიოგრაფიული გამოკვლევის პრეტენზიას. მასში ჩვენ შევეცადეთ, მოგვეცა მხოლოდ ზოგადი მონახაზი აფხაზური სეპარატისტული ისტორიოგრაფიის ჩამოყალიბება-განვითარებისა. რაც შეეხება აღნიშნული პრობლემის ყოვლისმომცველ, ამომწურავ შესწავლას, ვფიქრობთ, ეს უახლოესი მომავლის საქმეა.

**ზურაბ პაპასკირი**

პროფესორი

# ᲘᲐᲜᲔ ᲞᲔᲢᲠᲘᲬᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ



## ᲘᲝᲐᲜᲔ ᲡᲐᲚᲛᲠᲗᲝ ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲝᲡᲘ, ᲖᲔᲓᲬᲝᲓᲔᲑᲘᲗ ᲞᲔᲢᲠᲘᲬᲘ - ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲜᲘᲡ ᲛᲖᲔ

ჩვენს ცოდვით საკუთარ წუთისოფელში ხშირად ხდება ხოლმე უცნაური ამბები, რომელთა ახსნა ადამიანური გონებისათვის მიუწვდომელია მათი ალოგიკურობის გამო.

ქართველები თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე უცხო ტომთა მიმართ შემწყნარებლობითა თუ საკუთარი "მარგალიტისადმი" დაუდეგარი დამოკიდებულებით ხშირად ჩავარდნილან უაზრო სიტუაციაში, რომელსაც სახარებისეული შეგონება თუ ახსნის: "ნუ(ცა) დაუფენთ მარგალიტსა თქუენსა წინაშე ღორთა, ნუ უკუე დასთრგუნონ იგი ფერკითა მათითა და მოიქცენ და განგხეთქნენ თქუენ (მთ.7, 6).

ასეთ დროს, სამწუხაროდ, საჭირო ხდება მტკიცება იმ ჭეშმარიტებისა, რაც ისედაც ნათელია და მტკიცებას არ უნდა საჭიროებდეს; კიდევ უფრო საკვალალო ის არის, რომ სადაც "ძალი დავალს ღამით ნაქცევთა ზედა", იქ "სიმართლე მისგან შენარაზზედა" და ეს მტკიცებანი რჩება "ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა".

მაგრამ "მართალი სამართლის" იმედი მაინც რჩება, რადგანაც

"მძლეცა შემდგომ სხვისგან იძლევის,
თვისგან ქმნილი თავისდადვე მოექცევის,
ყველაკაი წარუვალს, განელევის,
რაცა ჰქონდა პოვნილ
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით".

საქმე ისაა, ნიკო მარიდან მოყოლებული, ტრადიციად იქცა დაუსაბუთებელი მოსაზრება, რომ იოანე იტალოსის ვინმე "აბაზგი გრამატიკოსისადმი" წერილის ადრესატი იოანე "სალმრთო ფილოსოფოსი და ჯორციელად ღრამატიკოსი" - პეტრიწია[1].

ეს სადღაც ამოუკითხავთ აფსუათა ვაი "მეცნიერებს" და განგაში აუტეხიათ - იოანე პეტრიწი აფხაზი - აბაზგი (აფსუა) ფილოსოფოსია და ქართველები იჩემებენო.

იოანე პეტრიწი რომ თავის თავს ქართველად თვლის და თავის გვარ-ტომის ხალხისათვის, ქართველთათვის ქმნის ფილოსოფიურ ენას, ეს მისი სიტყვებიდან და მისი ნაშრომიდან სრულიად ნათელია, მაგრამ აფსუათა "მეცნიერები" ამას არ დაგიდევენ: მათ არ აინტერესებთ ჭეშმარიტება და წყაროთა მოწმობანი. ისინი ყურმოკრული ამბების დონეზე ქმნიან თავის "მეცნიერებას" (რომლის მიხედვითაც ლეონ მეფე და დავით აღმაშენებელიც აფსუები არიან). მათთან კამათი, ჭეშმარიტების მტკიცება, რაც ადრე უაზრობად მიგვაჩნდა, დღეს, მას შემდეგ, რაც მათ ეს "მეცნიერება" დაუდგეს საფუძვლად ქართველთაგან აფხაზეთის ეთნიკურ წმენდას, და ქართული მოსახლეობის გენოციდს, სამწუხაროდ, სასიცოცხლოდ აუცილებელი გახდა.

ამიტომ ჩვენ საჭიროდ ვთვლით განვმარტოთ: სწორიც რომ აღმოჩენილიყო ნ.მარის ვარაუდი იმის შესახებ, რომ იტალოსის წერილის ადრესატი - ვინმე "აბაზგი გრამატიკოსი" - იგივე იოანე პეტრიწია, მაშინ, ამჯერად უკვე ძველი ქართული (XII ს.) წერილობითი ძეგლის და მისი შემქმნელის - იოანე პეტრიწის მოწმობითა და ჩვენებით, კიდევ ერთხელ დადასტურდებოდა მოსაზრება იმის შესახებ, რომ აბაზგი (ბერძნულად) და აფხაზი (ქართულად) არის სახელწოდება ქართველთა ერთ-ერთი ტომისა, რადგანაც, თვითონ იოანე პეტრიწი თავის თავს გვარ-ტომით ქართველად თვლის.

X X X

"მე, კაცი, დავხუდი ლმობათა შორის ჩემთა და მამადი ტკივილთა შორის გონებისათა და არა ვეც რული სარეცეთა მომდოვრებისა ჩემისა-

---

1 ეს მოსაზრება საფუძვლიანადაა უარყოფილი ე.ჭელიძის ნაშრომში "იოანე პეტრიწის ცხოვრება და მოღვაწეობა", ჟურნ. "რელიგია", N 3-4, 1994 წ.

ია. და არცა წამი სასუენთა სულისა ჩემისათა, ჭიდრემდის არა მომხედა მე გონებითმან ცისკარმან დღეთადმი, რომელთა ბნელი უმეცრებისაჲ არღა ენაცვალების. და აღვიშურვე ტომისათვის გუართა ჩემთასა მე მიდმოობაჲ ენისაჲ გალექსებული და მესხუეჲ მდაბიორთაგან..."

ეს სიტყვები ეკუთვნის შუა საუკუნეების დიდ ქართველ მოაზროვნეს, საღმრთო ფილოსოფოსს, იოანე პეტრიწს. სწორედ იოანე ფილოსოფოსმა, რომელიც ძველ ხელნაწერთა ანდერძებში "ქართული ენის მზედ, ჩვენი ენის მამზეველად და მადღეგებელად" იწოდება, "აღიშურვა" თავისი გვარ-ტომის ხალხისათვის, ქართველთათვის, შეექმნა "ენაჲ გალექსებული და მესხუეჲ მდაბიორთაგან", ანუ ყოფითი ენისაგან განსხვავებული, ფილოსოფიური ენა, რომელიც თავისი გამომსახველობითი ძალით გაუტოლდებოდა "ელინთა ენადღეობას", ბერძენთა "უფსკრულ ღრმა ენას", რომელშიც, მისი აზრით, "ყოველსაკე თვსი სახელი ჰქვან, შესაბამი თვსისა არსებისაჲ". და მიუხედავად თავის თანამეტომეთაგან დევნისა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი თანადგომისა და სიყვარულის, თანალმობისა და შეწევნის ნაცვლად "ბრჭალსა მისსა უმზირდეს სასაფრკოდ სულისა მისისად", უმეცრებასა, შურსა და ვერაგობას შორის "მიდმობნეული", იგი, ღვთის წყალობასა და დავით აღმაშენებლის "თანადგომასა და გამგონეობას მინდობილი", დღესა და ღამეს ასწორებს, თვალს რულს და სულს მოსვენებას არ აძლევს და მაინც ახერხებს "ნივთისაგან მიუხებელი ღვთისმეტყველების წამოყენებას, ქართული ენის გაწყობას "გონიერთა ხედვათა მომმარჯვი" ბერძნული ენისადა.

იოანე პეტრიწმა შექმნა ქართული ფილოსოფიური ენა, ნათელი და გამჭვირვალე, მწყობრი ტერმინოლოგიური სისტემით, რომელიც აღბეჭდილია ისეთი შაღალი ოსტატობით და "კეთილხელოვნებით", რომ, როგორც ნიკო მარი წერს, "შეიძლება მხოლოდ გაკვირვებას მიეცე იმ ამოუწურავი მარაგის გამო, იმ პირდაპირ სასწაულებრივი ძალების გამო, რომელსაც ის ფლობს, რომ, რაც შეიძლება მეტი რაოდენობით იპოვოს ქართულ ენაში შესაძლებლობანი აზრთა ყველა უმცირესი ნიუანსისა და ნაირგვარობის გადმოსაცემად ბერძნული ენის ნიმუშის მიხედვით, უაღრესად განყენებული და რთული დიალექტიკის ყველა სიძნელის გადასალახავად".[1]

სწორედ ეს არის ალბათ, მიზეზი იმისა, რომ აღორძინების ხანის მწერლობაში იოანე პეტრიწი უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს არა მხოლოდ, როგორც დიდი ფილოსოფოსი, რიტორი და გრამატიკოსი, არამედ, აგრეთვე, როგორც ქართული და ბერძნული ენების ზედმიწევნით მცოდნე, "მამზეველი და მადღეგებელი - ქართულისა ენისა": "ესე იოანე იყო გონებამაღალი და დიდი ღვთისმეტყველი, ფილოსოფოსი, ზედმიწევნილი ბერძნულსა და ქართულსა ენასა ზედა" - გვამცნობს - "მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის".[2]

ამბროსი ნეკრესელის კრებულში (XVIII ს.) მოთავსებულ პროკლე დიადოხოსის "თეოლოგიის საფუძვლების" იოანე პეტრიწისეულ თარგმანს ("კავშირნი ღმრთისმეტყველებითნი") ერთვის ანდერძი, რომელიც მოკლედ იუწყება მთარგმნელის ვინაობას და სადაურობას, ქება-დიდებით იხსენიებს მას, როგორც განსწავლულსა და ბრძენ რიტორსა და ფილოსოფოსს, ხოლო მისნი "ნაქუსნი" ანუ თხზულებანი სიბრძნისა და "ენადღეობის", მაღალი ხელოვნების ნიმუშად მიაჩნია: "სათანადოა უწყებად შენდა ამას, კითხულო, რომელ ნაქუსნი ესე, რომელთა სჭურეტ, იოანეს მიერ არს თქმული, ქართველისა ფილოსოფოსისა, რომელსა ნართაულებ ზედ ეწოდა პეტრიწი, სიმკაცრით გამოძიებისათვს წერილთასა, რომელსა ჰყოფდა. რომელი იყო **ნათესავით ქართველი**, სანახებთაგან სამცხესა, დაბით ჭირჭიმით. ხოლო სხუა ვინაობა ანუ სადაობა არა საცნაურ არს ჩუენდა. მხოლოდ ესე გუეუწყების, რომელ ათინას იყო წურთილი და ზედმიწევნით მეცვნე სიბრძნეთა მუნებურთა, ვითარცა წამებენ ნაქუსნი მისნი, რომელნი მრავლითა სიბრძნითა იხილვებიან და ენადღეობითა კეთილხელოვნურად, რომელთაგანი ერთი არს ესე "კავშირნი", მის მიერ გარდმოენებული ელინთა ენისაგან ქართუე-

1 *Н.Я.Марр. Иоанн Петрицский, грузинский неоплатоник XI-XII вв., СПб., 1909 г.*
2 "ძველი საქართველო" ტ.1, განყ. III, გვ. 14, 34.

> უმაღლესო ცათაო და უწმიდესო ქერუბინთაო,
> ყოვლადწმიდაო ღვთისმშობელო, ქალწულო,
> დაამტკიცე მართლმადიდებლობა სოფელსა შინა და
> დაიცევ ღვთივდაცული ერი ჩვენი

ლთა ჯმასა, თვს მიერ აკსნითა, ვითარცა აღმოიჭვრობს, რომლისა სიკეთე ფრიად არს".[1]

"კაშირთა" იოანე ორბელიანისეული თარგმანის 1760 წლის ხელნაწერის ანდერძში კითხულობთ: "და ესეცა იუწყეთ, რომელ მამზეველსა ენისა ჩვენისასა, იოანეს პეტრიწს, ფილოსოფოსსა, ვითარითა შვენიერებითა ლექსებითა დაულექსავს ელადელთა ენაობისაგან ჩუენდა გარდმოღებული! ვითარ ათრობს სიტკბოთა გამგონსა!" [2]. იოანე ორბელიანი აღტაცებულია იოანე პეტრიწის ენის გამომსახველობითი ძალით და მისი მიბაძვა სურს: "ამას ვიტყვ, რომელ მეცა ფრიად ვეტრფი და მსურავს ლექსნი პეტრიწულნიო". ანტონ კათალიკოსმა, რომელიც დიდი თაყვანისმცემელი იყო იოანე პეტრიწის, როგორც დიდი ფილოსოფოსის, რიტორისა და გრამატიკოსისა[3], მისი ენა კეთილხელოვნების მაღალ ნიმუშად აღიარა და მისაბაძ მაგალითად დასახა რიტორიკისა, ფილოსოფიისა და ღვთისმეტყველების დარგის მწერლობისათვის[4]. "ძნელს სასმენელად", მაგრამ "შუენიერ, გემოანად და საწადელად" მიაჩნია პეტრიწის ენა სულხან-საბა ორბელიანს. თვით იოანე პეტრიწი კი თავისი მთარგმნელობითი მეთოდისა და ენის შესახებ წერს, რომ რთული ფილოსოფიური ხედვების გადმოცემას ლიტონი (მარტივი) ენით ცდილობდა მანამ, სანამ "შეტითა სილიტონითა დამლაჲ და ენებაჲ გონებასა არ შეემთხუეოდის", რომ მისი მიზანი მეცნიერული ხედვისა (თეორიისა) და ნააზრევის ზუსტად გადმოცემაში მდგომარეობდა, როდესაც ეს ეხებოდა სიტყვიერების (ლოგიკურს), სწავლულებითს (მათემატიკურს), ბუნებისმეტყველებითსა და ღვთისმეტყველებითს საკითხებს. ხოლო ამათი "გაგონება" (შემეცნება) კი, მისი თქმით, რთულია და ძნელი "უჩუეველეთათუს უსხეულოთა განცდისა."

იოანე ფილოსოფოსმა მიზნად დაისახა არა მარტო ის, რომ შეექმნა ქართული ფილოსოფიური ენა, არამედ ისიც, რომ ამ ენის საშუალებით აზროვნება ესწავლებინა ქართველ ყრმათათვის, გამოემუშავებინა მათთვის ჩვეეა "უსხეულოთა განცდისა". ამის საშუალება კი მას მიეცა გელათში, სადაც ახალ საფუძველჩაყრილ მონასტერში დაარსდა "სასწავლებელი ყრმათათვს" და, სადაც დავით აღმაშენებელმა შემოკრიბნა კაცნი, პატიოსანნი ცხოვრებითა და შემკულნი ყოველითა სათნოებითა, არა თვსთა ოდენ სამეფოსა შორის პოვნილნი, არამედ ქუეყანისა კიდეთად, სადა ესმა ვეთმე სიწმიდე, სიკეთე, სისრულე, სულიერთა და ჯორციელთა სათნოებათა აღსავსეობა; იძინა და კეთილად გამოიძინა და მოიყვანნა და დაამკვდრნა მას შინა". დავითის მიერ აქ მოწვეულ მეცნიერ მოძღვართა შორის იყვნენ იოანე პეტრიწი და არსენ იყალთოელი - ეს "სჯულიერი მოღვაწენი, "თარგმანნი და მეცნიერნი ბერძენთა და ქართველთა ენისა". ამ მოაზროვნეთა ღვაწლითა და რუდუნებით გელათის მონასტერი იქცა, "ახალ რომად", "ყოვლისა აღმოსავლისა მეორედ იერუსალიმად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღვრად სწავლულებისად, სხუად ათინად..."[5] დავითის ისტორიკოსის მიერ ამ ორი ქალაქის, ანტიკური ფილოსოფიისა და ქრისტიანული რწმენის ამ ორი სიმბოლოს - ათენის და იერუსალიმის დაკავშირებას საფუძვლად უდევს შუა საუკუნეების ქრისტიანული სამყაროსათვის დამახასიათებელი პრინციპი რწმენისა და ცოდნის ერთიანობისა. და ეს სრულიად გასაგებია: გელათის სკოლის დამაარსებლებსა და სულის ჩამდგმელთ მაღალი სქოლასტიკური განათლება ჰქონდათ მიღებული საბერძნეთში, ბიზანტიის სამეუფო ქალაქ კონსტანტინოპოლში. XVIII ს. ხელნაწერთა ცნობებით, იოანე პეტრიწი საბერძნეთს "წარიგზავნა ქართველთა მეფის მიერ, ბაგრატ I-ისა[6] რათა მიიღოს ენა ელინური და განისწავლოს ფილოსოფიისა და ღვთისმეტყველებისა სწავლისა მიღებათა შინა. ხოლო ესოდენ განსწავლულ და ზედმიწევნულ იქმნა პლატონურთა ღვთისმეტყველებათა და არისტოტელითთა ფილოსოფოსობათა, რჩეულ იქმნა ესეოდენ, რომელ ოცდაათთა წელთა შინა ბერძენთა სამეუფო ქალაქსა კონსტანტინეპოლეს შინა (ე.ი. ბიზანტიასა) მოძღურად დაიდგინა".[7]

---

1 ქართ. ხელნწ. აღწერ. H ფონდი, ტ.III, N 1283: 51.
2 ხელნწ. აღწერ. A ფონდი, ტ.1, 1954 წ. გვ.209-214, N 1162.
3 "ყოველი ფილოსოფია , ღრამმატიკა და რიტორიკა და გეომეტრია და ასტრონომია და მუსიკა და ფიზიკა და მეთეფისიკა, ვითარცა მზემან ზოდნ, ერთბამად შეპოვლო და ყოველსა ელინთა ენამზეობითსა სიტყვითსა ხელოვნებასა ზედმიწევნილ იქმნ" (კ.კეკელიძე. ეტიუდები, ტ. 1, 1959, გვ. 270).
4 ეს დამოკიდებულება პეტრიწის ენისადმი და სურვილი ამ მაღალხელოვნური ენის მიბაძვისა სრულიად გასაგები და ბუნებრივი, მაგრამ, სამწუხაროდ, მეტად დაგვიანებული იყო. ანტონ კათალიკოსი და მისი მიმდევრები ცდილობენ პეტრიწის მიბაძვას, მაგრამ ამას ვერ ახერხებენ, რადგანაც XIII საუკუნიდან მოყოლებული, ქართული ფილოსოფიური აზრის განვითარების იძულებით შეწყვეტასთან ერთად შეწყდა ქართული ფილოსოფიური ენის განვითარებაც. ექვსი ასწლეულის მანძილზე კი ქართულმა სალიტერატურო ენამ განვითარების საკმაოდ გრძელი და ზიგზაგიანი გზა განვლო. პეტრიწის მიერ გამოშუამავებულმა ფილოსოფიურმა ენამ, ტერმინოლოგიის მწყობრმა სისტემამ, სამწუხაროდ, ვერ მოახდინა გავლენა სალიტერატურო ენის ლექსიკაზე, ვერ შეერწყა მისი განვითარების ბუნებრივ მდინარებას. ამიტომ მისმა მექანიკური მიბაძვით გადმონერგვამ ენის ფსევდოარქაიზაცია და ხელოვნური ფორმებით გადატვირთვა გამოიწვია, რამაც ანტონსა და მისი სკოლის თავისთავად მდიდარი მეცნიერული ლიტერატურა "ღვლარჭნილი" სტილისა და გაუგებარი ენის გამო პრაქტიკულად მიუწვდომელი და გამოუყენებელი გახადა მის თანამედროვეთა და მომდევნო თაობებისთვისაც.
5 "ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი", ქართლის ცხოვრება, გამოსცა სიმ.ყაუხჩიშვილმა, ტ.I, 1955 წ. გვ.330-331.
6 უნდა იგულისხმებოდეს ბაგრატ მეოთხე, დავით აღმაშენებლის პაპა.
7 "მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის", 1982 წ. გვ.155.

მართლაც, XI საუკუნის მიწურულში, 80-90-იან წლებში, იოანე პეტრიწი ჯერ კიდევ ბიზანტიაშია. გელათში მოსვლამდე (მონასტრის მშენებლობა კი "ქაროლის ცხოვრების" ერთი მინაწერის მიხედვით, დავითს 1106 წლისათვის დაუწყია), მან არსენ იყალთოელთან ერთად, როგორც ჩანს, მთარგმნელობითი სკოლა გაიარა შავ მთაზე, ეფრემ მცირის ხელმძღვანელობით: 1080-იან წლებში, როდესაც იოანე იტალოსი და მისი მსმენელები განდევნეს კონსტანტინოპოლიდან (1082-1084 წწ.), იოანე პეტრიწი და არსენ იყალთოელი, როგორც ეფრემ მცირის ანდერძებიდან ირკვევა, შავ მთაზე ჩანან და ხანდაზმული ეფრემის ძალ-მწენი და თანამოღვაწენი არიან ფილოსოფიური ხასიათის თხზულებათა თარგმნისას. იოანე დამასკელის "ცოდნის წყაროს" ეფრემ მცირისეული თარგმანის ანდერძ-ნამაგიდან ცნობილი ხდება, რომ მისი "კეთილი თანამოღვაწე და განმაძლიერებელი" ამ წიგნის თარგმნისას სხვებთან ერთად იყო არსენ იყალთოელიც ("ლოცვა ყავთ, ქრისტეს მოყვარენო... კეთილთა მოღუაწეთა ჩემთა და განმაძლიერებელთა, ამასთანა მზრდელთაცა და მსახურთა-არსენი იყალთოელისა, იოვანე და იოვანე ხუცესთა..."), ხოლო დიონისე არეოპაგელის თხზულების პირველი წიგნის თარგმანისათვის დართულ ეფრემ მცირისავე ანდერძის თანახმად კი, "იოანე საღმრთო ფილოსოფოსი და პორციელად ღრამმატიკოსი" ყოფილა მისი "პირ და გონება და სიტყუაჲ" ამ თხზულების თარგმანზე მუშაობისას და, რომ "არა-თუმცა იგი ყოფილიყო მოძღუარ და ძალ-მწე ჩემდა, მიხედვადმცა ვერ ვიკადრებდი მზის თუალისა ამის წიგნისასაო" (A 110). ამგვარად, როგორც ჩანს, არსენ იყალთოელი და იოანე პეტრიწი ეფრემ მცირეს ეხმარებიან ფილოსოფიურ-დოგმატური ხასიათის ტექსტების თარგმნაში და თან ამ უაღრესად დიდი გამოცდილებისა და ერუდიციის მქონე მოძღვარი-მთარგმნელის ზედამხედველობის ქვეშ ეუფლებიან მთარგმნელობითს საქმიანობას და სრულყოფენ თავიანთ პროფესიულ ცოდნას.

იოანე ფილოსოფოსს რამდენიმე ხანს უნდა ემოღვაწა ბულგარეთში (იმ ხანად ბიზანტიის იმპერიის დასავლეთ პროვინციაში) ქართველი დიდგვაროვანის, ბიზანტიის იმპერიის დასავლეთის დიდი დომესტიკოსის, გრიგოლ ბაკურიანის-ძის მიერ ახალდაარსებულ პეტრიწონის მონასტერში (რომლის მშენებლობა 1083 წლისათვის დამთავრდა). ალ. ცაგარლის ვარაუდით, სწორედ ამ მონასტერში მოღვაწეობის აღსანიშნავად უნდა მიეღო იოანე ფილოსოფოსს ზედწოდება "პეტრიწი" თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მეთვრამეტე საუკუნის მოღვაწენი (დავით რექტორი, იოანე ბაგრატიონი და სხვ.). ამ სახელის სხვაგვარ ეტიმოლოგიას იძლევიან: "ამას უკვე, იოანეს, ათინას, აკადემიასა შინა უწოდეს პეტრიწი. პეტრ, რომელი ითქმის ქვად და მარცვალი ქვემორე მფხეკელად გამოითარგმანების... და ვინაითგან ესე იოანე იყო წერილთა ფრიად მჩხრეკელ, ამისთვს უწოდეს პეტრიწად, ესე იგი, ქვის მფხეკელად"(Q 401, ფ 192).[1]

მაგრამ ხელნაწერთა ცნობების მიხედვით, იოანე ფილოსოფოსმა თავისი შრომების უმეტესი ნაწილი შექმნა სწორედ - "კელლინსა შინა გაეანათისასა" "დავითის წყალობასა და თანადგომასა მინდობილმან". XVIII საუკუნის მოღვაწენი და მათ კვალდაკვალ თანამედროვე მკვლევარნიც მას მრავალი თხზულების მთარგმნელად თუ ავტორად მიიჩნევენ. იოანე პეტრიწს უმოღვაწია როგორც ბიბლიურ-ეგზეგეტიკური, ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული, ასკეტიკურ-მისტიკური და აგიოგრაფიული მწერლობის დარგებში, ისე ფილოსოფიური ხასიათის თხზულებათა თარგმნასა და კომენტირებაში. ზოგიერთნი მას ისტორიულ თხზულებათა თარგმნასა ("ფლავიოსის "იუდაებრივი დასაბამსიტყუაობა"). და ავტორობასაც ("ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისა") მიაწერენ და ჩვენამდე არმოღწეული ქართული ენის გრამატიკის შემდგენლად თვლიან.[2] მაგრამ ჩვენთვის იოანე პეტრიწი ცნობილია მაინც მისი უცილობელი თარგმანებით ნეოპლატონიკოს ფილოსოფოსთა თხზულებებისა (რის გამოც მას "პლატონურ ფილოსოფოსსაც" უწოდებენ). ესენია: ნემესიოს ემესელის "ბუნებისათვს კაცისა", რომელიც ქრისტიანული ანთროპოლოგიის სახელმძღვანელოდ გამოიყენებოდა შუა საუკუნეების სკოლებში და პროკლე დიადოხოსის ტრაქტატი - "თეოლოგიის საფუძვლები" (პეტრიწის თარგმანით კავშირნი ღმრთისმეტყველებითნი), რომელსაც მან საკუთარი კომენტარები დაურთო, დატვირთული ანტიკურ ფილოსოფოსთა ნააზრევის საკუთარი გადამუშავებით, რათა თეოლოგიის სფეროში შემავალნი - დამწყები მოსწავლენი, თავიდანვე ჩასწვდომოდნენ მის საფუძვლებს, რის შედეგადაც დაეუფლებოდნენ სწორი ხედვისა და აზროვნების მეთოდებს: "თანა გუაც გამგონეო, შემავალო ხედვათა საღმრთისმეტყველოთასა", -მიმართავს იგი თავის მოსწავლეებს, - "რადთა ამათ ყოველთა, ვითარ შესაქმეთა და დასაბამთა, იყო მეცნიერ, რადთა არა გებრკუმდებოდის თუალი

---

1 ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. ივ.ლოლაშვილი, "იოანე პეტრიწი-ჭიმჭიმელი", წიგნი იოანე პეტრიწი, "სათნოებათა კიბე", თბილისი, 1968 წ., გვ.11-52; რ. სირაძე, ბულგარეთ-საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის ისტორიიდან, წიგნში: წერილები, თბილისი, 1980 , გვ.86.

2 იხ. კ.კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ.1. 1960, გვ. 284. ს.ყაუხჩიშვილი, შესავალი, გამოკვლევა, იხ.იოანე პეტრიწის შრომები, ტ.1, 1940 წ.; ივ.ლოლაშვილი დასახ. ნაშრ., ეზეკიელის წიგნის ძველი ქართული ვერსიები, გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო თ. ცქიტიშვილმა, 1976 წ.

ხედვისაჲ" ("განმარტება", 103).

იოანე პეტრიწმა, რომელმაც განათლება ბიზანტიის სამეუფო ქალაქში, კონსტანტინოპოლში, იმ ელიტარულ-ინტელექტუალურ წრეებში მიიღო, რომელთა შორისაც მეთერთმეტე საუკუნეში განსაკუთრებით გაცხოველდა ინტერესი პლატონის, არისტოტელესა და მათი ელინისტური ხანის კომენტატორების, "პლატონური" ფილოსოფოსებისადმი: იამელიხოსის, პლოტინის, პორფირისა და განსაკუთრებით კი, "შეუდარებელი პროკლესადმი, რომლისაგანაც სწავლობდნენ დიალექტიკის ხელოვნებას" (მიქელ პსელოსი), გელათის აკადემიაში ის იდეები და სული მოიტანა, რომელიც იქ, მანგანას აკადემიის მასწავლებლებსა და მხმენელებს შორის ტრიალებდა. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ იგი მონურ-მოწაფურად გაჰყვა მათს აზრებსა და, თუნდაც იტალოსის (რომლის მსმენელიც ის ალბათ, იყო, და ქართველ მკვლევართა შრომებში მის "ერთგულ მიმდევრადაც" კია მიჩნეული) "ცრუ მოძღვრებას" (ანა კომნენე). იოანე პლატონურმა ფილოსოფოსმა ზედმიწევნით შეისწავლა პლატონის, მათი კომენტატორების - განსაკუთრებით, პროკლე დიადოხოსის კომენტარები პლატონის დიალოგებისა ("შიდმოსიტყვათა"): "პარმენიდესა" და "ტიმეოსზე", მისივე "დიდი საღრმთისმეტყველო" თხზულება (როგორც ჩანს, "პლატონური თეოლოგია"). გადაამუშავა ისინი და ქართულ ნიადაგზე გადმონერგა, რათა თავის მოსწავლე-ყრმათათვის ზუსტი და განყენებული აზროვნება ესწავლებინა, დაეხელოვნებინა ისინი არამატერიალურ (უსხეულოთა), გონებითს ხედვებში და გონებითი შემეცნების გზის სრულყოფით -ნათელ-ეყო მათთვის ჭეშმარიტების საიდუმლო. ამ მხრივ ნიშანდობლივია ანტონ კათალიკოსისეული შეფასება იოანე პეტრიწის ღვაწლისა:

"შენ-ფილოსოფოსთ საქმე მონასმინანი,
შენ-სტოიკებრნი სიტყვთ სპეკალ-მინანი,
შენ-პერიპატოს ცნობანი სალხინანი
მოაქართულენ, ქართლი ჰქმენ ათინანი"
("წყობილსიტყვაობა")

ეს გამოცდილი გზა იყო აღმოსავლურ-ქრისტიანულ პრაქტიკაში. თუ ადრექრისტიანული აზროვნების ისტორიაში დოგმატების ჩამოყალიბების პერიოდი დასავლურ-ლათინურ-თეოლოგიურ ლიტერატურაში აღბეჭდილი იყო ტერტულიანეს სიმბოლური სიტყვებით: "რა არის საერთო ათენსა და იერუსალიმს შორის, აკადემიასა და ეკლესიას შორის?!" რაც, ერთადერთ, უარყოფითს პასუხს გულისხმობდა და რწმენასა და ცოდნას უპირისპირებდა ერთმანეთს, ეპოქა, როდესაც ყალიბდება და მუშაობს გელათის საღვთისმეტყველო სკოლა, სრულიად საპირისპირო ტენდენციებით ხასიათდება, რაც სიმბოლურად ათენსა და იერუსალიმის, აკადემიისა და ეკლესიის ერთიანობაში გამოიხატება. ამ მხრივ გელათის საღვთისმეტყველო სკოლა იოანე "პლატონური ფილოსოფოსის" მოთავეობით ქრისტიანული აზრის ისტორიაში აგრძელებს აღმოსავლური თეოლოგიის ალექსანდრიული სკოლისა და კაბადოკიური პატრისტიკის ხაზს: ნეტარი კლიმენტი ალექსანდრიელისა, რომელმაც ჩამოყალიბებული პრინციპის სახე მისცა წმ. წერილზე დაყრდნობილ ეკლესიურ მოძღვრებას რწმენისა და ცოდნის ჰარმონიის თაობაზე; რწმენის საფუძველზე ცოდნის აშენებასა და ცოდნის ნიადაგზე რწმენის განმტკიცებაზე; ორიგენესი, რომელმაც ქრისტიანულ-ფილოსოფიურ სპეკულაციას ჩაუყარა საფუძველი; კაბადოკიელი წმ. მამებისა (განსაკუთრებით გრიგოლ ნოსელისა), რომელნიც ნეოპლატონური აზროვნებითი აპარატის ქრისტიანიზაციის გზაზე იდგნენ; არეოპაგიტიკისა, რომელიც რწმენისა და ფილოსოფიური ცოდნის ჰარმონიის ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს; მაქსიმე აღმსარებლისა, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის თავისი კომენტარებით ბიზანტიურ თეოლოგიურ ლიტერატურაში არეოპაგიტიკის ფილოსოფიური საფუძვლების დამკვიდრებაში; წმ.იოანე დამასკელისა, რომელმაც პლატონისა და არისტოტელეს კომენტატორებზე (განსაკუთრებით ამონიოს ერმიასზე და პორფირიზე) დაყრდნობით შექმნა მყარი სიტყვიერი აპარატი ქრისტიანული სქოლასტიკისა; დაბოლოს, მანგანას აკადემიისა, რომელმაც ეს მიმართულება XI-XII საუკუნეთა ბიზანტიაში უფრო საერო და რაციონალისტური გზით განავითარა.

მაგრამ იოანე ფილოსოფოსმა აქაც თავისი, სახარებასა და, ამავე დროს, ფილოსოფიური ცოდნის საფუძველზე მდგარი, წმ.მამათა მიერ გაკვალული გზა აირჩია, განსხვავებული თავისი დროის ბიზანტიელი თეოლოგებისაგან: ეს იყო ანალოგიის გზით ჩვენების (დეიქსის) მეთოდი, რომელსაც იგი ღვთისმეტყველებაში იყენებდა და არა ლოგიკური გზით დასაბუთებისა, (აპოდეიქსის), რომელსაც იგი ფილოსოფიურ კატეგორიებზე მსჯელობისას მისდევდა, (და რომელმაც ბევრი მისი დროის თეოლოგი მწვალებლობამდე მიიყვანა).

მაგრამ, სანამ პეტრიწის ღვთისმეტყველების მეთოდს შევეხებოდეთ, მოკლედ შევჩერდებით მის მთარგმნელობითს პრინციპებსა და მეთოდზე, რაც უშუალოდ უკავშირდება პირველს.

იოანე პეტრიწი, რომელმაც გელათში განავითარა და ახალ სიმაღლეზე აიყვანა ეფრემ მცირისა და მისი თანამოღვაწეების მიერ შაე მთაზე გამომუშავებული მთარგმნელობითი თეორია და პრაქტიკა, განსხვავებით დიდი მოძღვრის, ეფრემ მცირისაგან, რომელიც ქედს იხრიდა ათონელ მთარგმნელთა ავტორიტეტის წინაშე და მათს ნამუშაკევში რიდითა და კრძალვით, აშიებზე შეჰქონდა შესწორებანი, აშკარად უპირისპირდება "ულუმპიელებს" და ზედმიწევნითი ანალიზისა და გამოძიების, ბერძნულ დედნებთან შედარების საფუძველზე, მტკიცე ლოგიკურ არგუმენტებზე და წმ. მამათა ნაშრომებზე დაყრდნობით იძლევა ახალ, შესწორებულ თარგმანს, გამართლებულს,

როგორც რწმენით - დოგმატური, ისე გონებით - ფილოსოფიური თვალსაზრისით.

პირველი შესწორება პეტრიწისა ეხება იოანეს სახარების, დოგმატური თვალსაზრისით, მეტად მნიშვნელოვან პირველ ფრაზას, რომელიც ძველ ქართულ თარგმანში შემდეგნაირად ჟღერს: "პირველითგან იყო სიტყუა". პეტრიწი აღნიშნავს, რომ მეტად გამრავლდნენ საღვთო წერილის ქართულად გარდმომლებელნი და ბევრი მათგანი სწორად ვერ სწვდება იმას, თუ როგორ "განიცხადების ძალითი სიტყვს მოქმედება", ანუ პოტენციური სიტყვის, ძე ლოგოსის, ქრისტეს განხორციელების საიდუმლო წმ. წერილში - სახარებასა, სამოციქულოში და სხვა ამგვარ წიგნებშიო. მისი აზრით, მთარგმნელი სწორად ვერ გადმოსცემს იოანე მახარებლის ამ გამონათქვამში განცხადებულ "ძალითი სიტყვს მოქმედებას", იმას, რომ სიტყუა "დასაბამშიგე" და არა "პირველითგან" იყო. რადგანაც "პირველი" მიმართებითი ცნებაა და გულისხმობს თავის მსგავსთა, თანმებუნებეთა რიგში პირველს, თავის შემდგომთა მიმართ პირველს, როგორც, მაგ., კაცს კაცის რიგში და ცხენს - ცხენისა. ასეთი თარგმანის მიხედვით გამოდის, რომ თითქოს "სიტყუა მამისა ღმრთისა" არის "ერთი ნაადთა და წარმოჩენილთაგანი", მათი მსგავსი და "თანამებუნებე", მაშინ, როდესაც სინამდვილეში იგი "თანადაუსაბამო", "თანაარსი" და "თანამებუნებეა" მამისა. იგი დასაბამია ისევე, როგორც მამა - მზის თუალი (ანუ დისკო) შარავანდთათვის (ანუ სხივებისათვის). ამგვარად, არხე-ს "პირველით" თარგმნა აზრს აბუნდოვანებს და იწვევს ერთარსება წმ. სამების მწვალბლური გაგების შესაძლებლობას. ამიტომ იოანე პეტრიწი ფრთხილად ეძიებს საჭირო ქართულ შესატყვისს, რომელიც "ძალითი" (ანუ პოტენციური) სიტყვის მოქმედებას (განხორციელებას) განაცხადებს და იძლევა შემდეგს თარგმანს: "დასაბამსა შორის იყო სიტყუაჲ" ("განმარტება", გვ. 219.) ეს თარგმანი საკვლევით შეესაბამება ამავე მუხლის მომდევნო სიტყვების აზრს: "და სიტყუაჲ იგი იყო ღმრთისა, თანა და ღმერთი იყო სიტყუაჲ იგი" (ი.1,1), და შემდგომ: "და სიტყუაჲ იგი ჴორციელ იქმნა და დაემკვდრა ჩუენ შორის" (ი. 1,14).

მეორე შესწორება, ასევე, მეტად მნიშვნელოვანი დოგმატური თვალსაზრისით, ეხება შესაქმის წიგნის I, 26-ს, რომელიც ძველებს შემდეგნაირად უთარგმნიათ: "ვქმნეთ კაცი ხატად და მსგავსად ჩუენდა". პეტრიწის აზრით, ეს თარგმანი ზუსტად არ გადმოსცემს ბერძნული დედნის აზრს, რომელშიც სინამდვილეში ნათქვამია: "ვქმნეთ კაცი ხატისაებრ და მსგავსისა ჩუენისა" ("კატა" - "ებრ").

ამგვარად, ადამიანი შექმნილია არა "ხატად", არამედ "ხატისაებრ" ღვთისა, ანუ ღვთის ხატის მიხედვით (კატ'ეიკონა), ხოლო "ხატი ღმრთისა უხილავისაჲ" არის ღვთის სიტყვა - ლოგოსი, ქრისტე. იოანე პეტრიწის ეს ინტერპრეტაცია არა მხოლოდ მისი, როგორც "პლატონური ფილოსოფოსის" ონტოლოგიური სტრუქტურის გააზრებიდან გამოდის, არამედ ეს გააზრება ეთანხმება მოციქულთა და წმ. მამათა თვალსაზრისს. და პირველ რიგში, ეს აზრი იკითხება პავლე მოციქულის არაერთ ეპისტოლეში: "(ქრისტე), რომელი: იგი ხატი ღმრთისაჲ იყო" (ფილიპ.2,6), "ქრისტე, რომელ-იგი არს ხატი ღმრთისა უხილავისაჲ" (კორ.4,4),"განაჩინა თანამსგავსად ხატისა მის ძისა თჳსისა" (რომ. 8,29). ამავე აზრს გვითხულობთ ნეტარი კლიმენტი ალექსანდრიელის გამონათქვამში: "ხატი ღმრთისაჲ არს სიტყუაჲ ღმრთისა, ხოლო ხატი ხატისა - გონებაჲ კაცებრივი: (სტრ.5.94).

სწორედ "მემოძღურე ჩუენისა ეკლესიისა" პავლე მოციქული ჰყავს დამოწმებული იოანე პეტრიწს პროკლეს ტრაქტატის 29-ე თავის განმარტებაში, რომელიც მიზეზისაგან მიზეზოანის (ანუ შედეგის) გამომდინარეობას ეხება მსგავსების საფუძველზე: "სიტყუაჲ ჩემ გონებამზისა პავლესი შემოვალს აქა, რამეთუ იტყვს ხატად და მგავსად და ეკმაგიოდ მის ერთისად, რომელსა მამობაჲ ცა ჰკადრა სიტყუამან ("განმარტება", 29, გვ.78). პალე მოციქულის ამავე სიტყვებს ეყრდნობა თეოფილაქტე ბულგარელიც იოანეს სახერების მისეული განმარტების შემდეგს კოტექსტში: "ვინაჲთგან ხატიცა არს მამისა ძე და აღმონაბეჭდავი და მსგავსებაჲ. გულისხმაჰყოფდ მის მიერ დაბეჭდულად ამას, ვითარ იგი ხატ და აღმონაბეჭდავ არს, რაჲთა იყოს თქმული ესე, ვითარმედ: ესე მჩენი ძედ კაცისად დაჰბეჭდა მამამან, ესე იგი არს, ბეჭდად მისსა და ხატად ყოვლისა უქცეველობისა და ბუნებითისა იგივეობისა, მისსა მიმართ მაცხოველებლად" A52

ამგვარად, მოციქულთა, წმ. მამათა და ეგზეგეტთა გააზრებით "ხატად თჳსა და ეკმაგიოდ და აღმონატვფრად და ბეჭდად" დაჰბადა რომელ ღმერთმა ძე - ქრისტე, ხოლო კაცი კი შექმნა "ხატისაებრ" და "მსგავსისა" თჳსისა. ამასთან დაკავშირებით, ყურადღებას იქცევს პროკლეს "თეოლოგიის საფუძვლების" პეტრიწისეული "განმარტების" ტექსტში გაბნეული მსჯელობანი ერთისა და მისი ხატის, "ეკმაგიოს"-ნამდვილმყოფის შესახებ, რომელიც პირველი მყოფი და პირველი არსია, პირველი გონება-ლოგოსია და "გუარია (იდეათა) ადგილია".

ერთ-ერთი ასეთი მსჯელობა დაკავშირებულია პროკლეს ტრაქტატის 101-ე პარაგრაფის განმარტებასთან. იგი ეხება ცხოვლობისა და მყოფობის ურთიერთმიმართებას. ამასთან დაკავშირებით, პეტრიწი კვლავ იმოწმებს პავლე მოციქულის გამონათქვამს და მისი საშუალებით შესაბამისობას (ანალოგიას) ამყარებს პირველ მყოფსა ანუ ნამდვლმყოფთან: "პირველად მყოფად ნამდვლმყოფი გაიგონე, რამეთუ მან მიიღო პირველი მყოფობაჲ მის ყოველთა ძალთა ზესთაჲსა ძალი-

საგან და წარმოდგა პირველად მყოფად და მიზეზად ყოველთა მყოფთად, ვითარცა ხატი მის პირველისა ერთისაჲ, რომელი შეადგა მან უთქუმან და ზესთამან ყოველთამან და დადგა ხატად თვსდა და იგივად (ნიმუშად) ყოველთა მყოფად" ("განმარტება" გვ.148). ამ და ბევრი სხვა მსჯელობიდან (მაგ. "ხოლო პირველი არსებაჲ მან ზესთამან ერთმან წარმოამკო, ვითარ ხატი თვსი და ღმერთი არსთა და მყოფთაჲ" გვ. 170) ამკარად ჩანს, რომ იოანე პეტრიწი უხილავი ღმრთისა და მისი ხატის ძე-ლოგოსისა (უპირმშოესი სიტყვის) ურთიერთმიმართების ანალოგიას ხედავს "ყოველთა ზესთა ერთისა" და მისი ხატის-ნამდვილ-მყოფის მიმართებაში: ნამდვილ-მყოფი არის ეკმაგიო, აღმონატვიფრი, ხატი "უთქვი და უოცნო ზესთ ერთისა", რომელსა "წადილმან პატივისამან მამადცა ჰკადრა წოდებაჲ". იგი შედგება პირველი საზღვრისა (ღვთაებრივი ბუნება) და პირველი უსაზღვროობისაგან (ადამიანური ბუნება), რომელსაც ფილოსოფოსი "გუართა გუარად უწოდს", "ხოლო აწ ჩუენ ძე უწოდეთო" ("განმარტება", თ. 30 გვ. 81).

ამგვარად, "ნამდვილ-მყოფი" იოანე პეტრიწის თეოლოგიური ხედვის ქვაკუთხედს წარმოადგენს. მისი, როგორც ფილოსოფიური კატეგორიის მიმართება ზესთ-ერთთან ანალოგიურია ღმერთის უპირმშოესი სიტყვის, როგორც ხატის მიმართებისა მამასთან და ეს პეტრიწის ღვთისმეტყველების ძირითადი მეთოდის, ანალოგიის ნათელი ნიმუშია.

როგორც ჩანს, პროკლეს ონტოლოგიური სტრუქტურის პეტრიწისეული ანალოგიის პრინციპით ღვთისმეტყველებიდან გამომდინარე მწვალებლური დასკვნის გამოტანის საცთურს გულისხმობდა პროკლეს ტრაქტატის ქართული თარგმანის XII საუკუნის ხელნაწერის მინაწერის ავტორი, როდესაც აფრთხილებდა მკითხველს: "ამის წიგნისაგან წარწყმდა სამგზის წყეული არიოზ, არამედ ამისსაცე წიგნისაგან მოიგეს დიდთა ღმრთისმეტყუელთა სახელი დიდმან ბასილი, გრიგორი და დიონისი, ხოლო შენ გონებაჲ განწმედილი მოიღე და წმიდათა მამათა საზღვარსა ნუ გარდაჰვლინდები და არა საცთურ გექმნესო". მართლაც, როგორც უფრო მოგვიანებით ტიმოთე გაბაშვილიც აღნიშნავს, პროკლეს და პეტრიწის ნაწერების "უგულისხმოდ და გამოუძიებლად, ვერ-კეთილად" წაკითხვის შემთხვევაში დიდი საცთური არსებობს, რომ არიოზისა და ორიგენეს მთხრებლში ჩავარდე, მაგრამ "თუ გულისხმისყოფით და მართლმადიდებლობით იკითხვიდე", მაშინ დიდ ხალვთისმეტყველო ცოდნას მიიღებ.

პეტრიწის ღვთისმეტყველება და ანალოგიები,[1] როგორც ჩანს, ვერკეთილად ესმოდა ზოგიერთ უგულისხმოდ მკითხველს, რომელთაგან დევნასაც უჩიოდა იოანე ფილოსოფოსი. ამ უგულისხმოდ მკითხველთ გამორჩათ პეტრიწის არაერთგზისი გაფრთხილება, რომ ეს ანალოგიები იგივეობრივი კი არ არის, არამედ **იგავებრივი**, რომ ისინი "იგავად ოდენ ესახვებიან და ეიგავებიან მას ერთებრივსა რიცხუსა და ზესთაობასა ერთისასა" ("განმარტება", თ. 1, გვ.14).

საერთოდ, როდესაც ლაპარაკია იოანე პეტრიწის ღვთისმეტყველებაზე, მის ანალოგიებზე, უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ანალოგიები ფილოსოფიურ კატეგორიებთან და ხედვებთან მოხმობილია იმისთვის, რომ მოწაფეს, მსმენელსა თუ მკითხველს ადამიანის გონებისათვის მისაწვდომი ლოგიკური (სიტყვიერებითი) შესაძლებლობების ფარგლებში გააგებინოს, აუხსნას, აჩვენოს იმ საყოველთაო მიზეზის ზესთმდებარეობა, ერთარსება წმიდა სამების ჰიპოსტასების შეურევნელი ერთობა, მარადისობის ზედროულობა და საერთოდ, მიახლოებითი მაგალითებით დაანახოს ადამიანური გონებისათვის მიუწვდომელი, შეუცნობელი, წარმოუსახველი ერთის - ღმერთის ზესთაობა, რაც განსჯასა და დასაბუთებას არ ექვემდებარება და მხოლოდ ჭეშმარიტი რწმენის ნეტარებით განიცდება. კარგად ამბობს მოსე გოგიბერიძე, რომ პეტრიწისათვის ღმერთს "დამტკიცება კი არ სჭირია, არამედ ცხადყოფა". ამიტომ ერთადერთი, რაც შეუძლია ფილოსოფოსს თუ თეოლოგს, რომ შესთავაზოს გამგონეს (ანუ შემმეცნებელს), არის ის, რომ "ხატთა ანუ იგავთა მიერ" მიაწოდოს მიახლოებითი ცოდნა ზესთაგონიერი სოფლის შესახებ: ე.ი. კი არ დაუსაბუთოს, არამედ უჩვენოს, ცხად-უყოს მაგალითებით, სახეებით, ანალოგიებით. რადგანაც ზესთაგონიერი მარადმყო "დაუზესთავდების ყოველთა მონაგონსა," ამიტომ "ანუ ხატთა მიერ, ანუ იგავთა მიერ მეცადინეობს სული ცნობად მის უოცნოჲსათვს (ერთისათვის) და სწყურის მისდამიო" ("განმარტება" თ. 51).

ამგვარად, ღმრთისმეტყველებაში პეტრიწი ამჯობინებს ჩვენების, ნათელყოფის, სახეებისა და ანალოგიის გზას და არა სილოგიზმის მეთოდს, რომელსაც იგი წარმატებით იყენებს ბუნებითი ანუ ფიზიკური, მატერიალური მოვლენებისა და საგნების და ფილოსოფიური კატეგორიების

---

[1] "ანალოგიის შესახებ პეტრიწთან" იხ. გ.თევზაძე, "ანალოგიის პრინციპი პეტრიწის ფილოსოფიაში". კრებულში: "შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტ.პრობლ. ნაწ.1, გვ. 227.

შესახებ მსჯელობისას: მისი აზრით, არისტოტელეს "ორგანონის" კანონების გარეშე შეუძლებელია რისამე მიწვდომა ლოგიკური (გონებითი) გზით, მაგრამ ისინი ვერ "კმა არიან" ზესთ ერთის შესაცნობად, რადგანაც მისი სფერო "ღმრთეებრ მთენარეა" (ღვთაებრივი ნათლითაა მოცული). ამიტომ, როგორც კი დასაბუთება მიადგება დასაბამს, ეს კანონები წყვეტენ მოქმედებას ("განმარტება" თ. 101)[1].

იოანე პეტრიწი სწორედ აქ ემიჯნება თავისი დროის რაციონალისტური მიმართულების ბიზანტიელ თეოლოგებს, რომლებიც სილოგისტური გზით დასაბუთებისას აუცილებლობით მიდიოდნენ დოგმატების უარყოფამდე: ასე დაემართა იოანე იტალოსს, რომელიც დასაბუთების გზით მიღებულ დანასკვს დოგმატებზე მაღლა აყენებდა და, ამგვარად, მივიდა ორი საწყისის დოგმატიზების მოთხოვნებამდე, სასწაულების უარყოფამდე, მატერიის უსასრულობის აღიარებამდე... [2], ევსტრატი ნიკიელს, რომელიც მონოფიზიტებთან სილოგიზმებით კამათში სუბორდინაციონიზმამდე მივიდა და საპირისპირო, არიოზის წვალებაში გადავარდა, სოტირიხოს პანტევგენოსს, რომელიც დოგმატების შესახებ ასევე სილოგიზმის კანონებით მსჯელობის გზაზე არსებისა და პირის (ჰიპოსტასის) აღრევამდე მივიდა და სხვ.

ეს უკანასკნელნი დოგმატებზე მსჯელობისას "თანშესიტყვის (სილოგიზმის) - "იძულებით კანონებს" უმორჩილებდნენ მათ, მაშინ, როდესაც იოანე პეტრიწი მიჰყვებოდა წმ.მამათა გზას, რომლებიც არჩევდნენ ელაპარაკათ არა დასაბუთების (აპოდეიქსისის доказывание პეტრიწის თარგმანით - "აღმოჩენის") არამედ, "ჩვენების" (დეიქსისი »«"азываáие "გამოჩინების"), მაგალითთა და სახეთა მიხედვით ცხად-ყოფის ენაზე. მაგრამ როგორ შეიძლება ჩვენება იმისა, რაც უხილავია, წარმოუსახველია, გონებით მიუწვდომელია? მხოლოდ და მხოლოდ მისგან "წარმოარსებულთა" და მის "ხატის ხატთა" - ანუ ფიზიკური არსის ანალოგიის გზით (ისევე, როგორც ფრესკული ხატებისა). ამის შესაძლებლობას იძლევა ოვით კაცის (გონების ) ღვთისმიერობა, მისი "ღვთის ხატისაებრ და მსგავსებისაებრ" შექმნის საეკლესიო დებულება.

აქედან ცხადია, თუ რატომ აინტერესებდა პეტრიწს პროკლეს ფილოსოფია და, კერძოდ, მისი "თეოლოგიის საფუძვლები". ეს უკანასკნელი მისთვის იყო უსხეულოთა ხედვებში დახელოვნების ბრწყინვალე სახელმძღვანელო. ხოლო მისი ავტორი კი მონოთეისტური ფილოსოფიური მოძღვრების სისტემატიზატორი, რომლის ძირითადი თეზისი "ყოველი სიმრავლე ეზიარების რაითავე ერთსა" უარყოფს ყველა მათ აზრებს, ვინც მრავალი საწყისი აღიარა (პეტრიწის სიტყვებით: "უკუნ არღუეეს ყოველთა, რომელთა დასხნეს დასაბამნი მრავალნი და შეშალეს საუკუნესა შორის დამყარებული წესი, არამედ-და მყის უჩინო ჰყოფს მათ, ვითარცა ნადედაზარდლევთა" ("განმარტება", 1, გვ. 12).

იოანე პეტრიწი, როგორც შუა საუკუნეების მოაზროვნე, ახალი ეტაპის წარმომადგენელია ქართული თეოლოგიური აზროვნების განვითარებაში: მისთვის უკვე განვლილია საფეხური "გარეშე" ფილოსოფოსთა ნააზრევიდან "ჯერკუალის" განგდებისა; მისთვის ფილოსოფია, კერძოდ, პლატონისა და პროკლეს ფილოსოფია, თავისთავადს ღირებულებას წარმოადგენს, წარმოადგენს "ღვთის ხატისაებრ" შექმნილი ადამიანური გონების მიღწევას. ეს ფილოსოფია, გულისხმისყოფით წაკითხული, "თანადაეღაღადება" და "თანმიეხმავება" ქრისტიანულ მოძღვრებას. იოანე პეტრიწი "სულისა მიერ წმიდისა მოცემულად" თვლის იმ "სიბრძნესა გონებითსა", რომელიც "ნახეთქთა შორის ჟამისათა" (ანუ დროდადრო) ზენადან მოგვენიჭებოდა და მოგვემადლებოდა ჩვენ, ადამიანებს, აბრაამის, ქალდეველებისა თუ ელინთა სიბრძნის მეშვეობით. აკი "შემოძღურე ჩუენისა ამის ეკლესიისაჲ", პავლეც, "თვთ მისვე სულისაგან (წმიდისა) მონიჭებულად" თვლის ჭეშმარიტების ამ მარცვლებს, გაბნეულს მრავალ ცალ-ცალკე მდგომ გოდოლზე, რომელიც ერთმა თაკიდურმა ლოდმა - ქრისტემ შეკრა.

აქედან გასაგებია, თუ რატომ უწოდებს პეტრიწი პლატონს "მიჰრონსა ღვთისმეტყველებისასა" (მისი აზრით, პლატონმა მოამზადა ადამიანური გონება ქრისტიანობის მისაღებად,) ხოლო "ჩემს ორფეოსს" დავით წინასწარმეტყველს; თუ რატომ არის მისთვის "ჩემი ღვთისმეტყველი" გრიგოლ ნაზიანზელი, და ამავე დროს, "ჩემი ატტიკელი ფილოსოფოსი" - პროკლე დიადოხოსი.

იოანე პეტრიწს ფილოსოფია აინტერესებს არა როგორც ეკალი, რომლითაც უნდა მოიზღუდოს ეკლესიის "ვენახის ნაყოფთა შუენიერება", და არა მხოლოდ, როგორც "ორღანო", ანუ იარაღი,

---

1 ამიტომაა, რომ ზესთერთის ლოგიკური დასაბუთებისას, რომელსაც თავისი განმარტების I თავში იყენებს, ივი უგულვებელყოფს სილოგიზმის აუცილებელ პირობას - არ იქნეს დაშვებული წრე დასაბუთებაში (ურიერთის მჩვენებლობი საგიობელ არს ფილოსოფოსთაგან" (ამონ. ერმ.)-და ამ თეზისის დასაბუთებას ურყვე საფუძვლად უდებს ერთის ზესთმდებარეობას.

2 უსაზღვრობისა და დაუსაბამობის უარყოფით (იხ. განმარტება, I) პეტრიწი სრულიად ემიჯნება იტალოსის ძირითად დებულებას მატერიის უსასრულობის შესახებ; ასევე, პრინციპულად უპირისპირდება იტალოსის მოთხოვნას ორი საწყისის დოგმატიზების შესახებ, როდესაც თავის "ბოლოსიტყვაობაში" მანიქეველთა წინააღმდეგ პატარა ტრაქტატში საგანგებოდ ასაბუთებს ერთი საყოველთაო მიზეზის, კეთილის, სუბსტანციურობას (გვ. 212-213). ამგვარად, საეჭვო და გადასასინჯია ჩვენში დამკვიდრებული შეხედულება იმის შესახებ, რომ პეტრიწი თითქოს იოანე იტალოსის "ერთგული" მოწაფე და მიმდევარი უნდა ყოფილიყო.

რომლის კანონების საშუალებითაც უნდა მოეძებნათ პასუხი თეოლოგიის გონებითი აპორიებით აღსავსე საკითხების გადასაწყვეტად, არამედ ფილოსოფიისადმი მისი ინტერესი გამოწვეულია თავისთავად "ფილოსოფიურ ხედვათა შეუნიერების სურვილით". ღვთისმეტყველება მისთვის, ისევე, როგორც პსელოსისათვის, "უმაღლესი, პირველი ფილოსოფიაა", რომლის მიზანია უმთავრესი ჭეშმარიტების - "მყოფთა აგების სრული შესაქმის" საიდუმლოს ამოცნობა, ხოლო მესაიდუმლედ" იგი მიიჩნევს "ხედვასა ფილოსოფოსთა დღისასა" (29). მისი მიზანი ის კი არ არის, რომ ფილოსოფიის საშუალებით დაასაბუთოს ქრისტიანული მოძღვრების ჭეშმარიტება (რაც, მისი აზრით, დასაბუთებას არ ემორჩილება და არც საჭიროებს), არამედ ჩვენება იმისა, რომ ელინური სიბრძნე არა თუ ეწინააღმდეგება მას, არამედ სრული უფლება აქვს არსებობისა ღვთისმეტყველების გვერდით, როგორც მის აუცილებელ ნაწილს.

ვფიქრობთ, არ შეეცდებით, თუ ოდნავი ცვლილებით გავიმეორებთ იოანე პეტრიწის, როგორც მოაზროვნის, მოსე გოგიბერიძისეულ შეფასებას: პეტრიწი ქრისტიანული სქოლასტიკის ისტორიაში იმ მიმართულების წარმომადგენელია, "რომელმაც გადაწყვიტა ფილოსოფია პოზიტიურად გამოეყენებინა. სქოლასტიკის ასეთ მიმართულებას შერიგება მოუხდა ფილოსოფიასთან... ამ საქმეს ჩვენში იოანე პეტრიწი ევროპულ სქოლასტიკაზე ათეული წლებით ადრე იწყებს და, მაშასადამე, შეაქვს ქრისტეანულ სქოლასტიკაში ის განათლების სანთელი, რომელიც შემდეგ დასავლეთში რენესანსის მზედ ამობრწყინდა"[1], ხოლო ჩვენში, საქართველოში, დააგვირგვინა რუსთაველმა, რომელიც თავისი მსოფლხედვის საფუძვლებით, სიტყვათშემოქმედებით და ესთეტიკით ორგანულად იყო დაკავშირებული სწორედ პეტრიწთან და გელათის სკოლასთან.

1 მ.გოგიბერიძე "პეტრიწი, რუსთაველი, პრელუდიები", 1961 წ.

**დამანა მელიქიშვილი**
პროფესორი



**ბზიფი.** აღმოსავლეთის ფასადი

# ᲘᲕᲐᲜᲔ ᲛᲘᲜᲩᲮᲘ[1]

მეათე საუკუნის შუა წლებში, პავლე ინგოროყვას გამოკვლევით, აფხაზეთის სამეფო ამ დროს გამხდარა ერთ-ერთი ცენტრი ქართული საეკლესიო მწერლობისა. ვიდრე დაიწერებოდა გიორგი მერჩულის თხზულება, აფხაზეთის მეფის, გიორგი II-ის (922-957 წწ.) დროს აფხაზეთში მოღვაწეობდა განთქმული ქართველი მწერალი-ჰიმნოგრაფი ივანე მინჩხი, რომლის საგალობელნი, საეკლესიო ჰიმნები ქართულს ენაზე, დაწერილნი აფხაზეთში, აქედან პოულობდნენ გავრცელებას საქართველოში. ივანე მინჩხის ეს მოღვაწეობა მიმდინარეობდა აფხაზეთის მეფის, გიორგი II-ის პირადი მფარველობით. ივანე მინჩხის ერთ-ერთ ჰიმნს (გალობას) დართული აქვს ასეთი წარწერა: "ესე გალობანი მას კარგსა გიორგი მეფესა, დიდსა, დიდითა გედრებითა აღუწერვებიან მინჩხისადა" (ივ.ჯავახიშვილი. სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, 1947 წ. გვ.145).

ივანე მინჩხს ეკუთვნის დიდი ფორმის საგალობელთა - "სპადუქთა", ანუ "შორთულთა" სალექსო საზომის შემოღება და მუსიკალური კომპოზიციის შექმნა. იგი იყო არა მხოლოდ პოეტი-ჰიმნოგრაფი, არამედ მუსიკოსიც. ჩვენამდე მოღწეულ მის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში მრავალია მცირე ზომის საგალობელნი - "სტიქარონნი", - "თვთნი", ანუ "თვთძლისპირნი".

ივანე მინჩხს ეკუთვნის ამ "თვთძლისპირი" სტრიქონების, როგორც სალექსო საზომები, ისე მუსიკალური კომპოზიცია.

ივანე მინჩხს დიდი ავტორიტეტი ჰქონდა თანამედროვეთა შორის. მინჩხის ერთ-ერთ ნაწარმოებს, რომელიც მიქაელ მოდრეკილს თავის კრებულში შეუტანია, აქვს ზედწერა: "ქ.ივანე მინჩხისანი. - ქრისტე, განუსვენე სულსა მისსა".

გარდაცვალების შემდეგ მას მიემართება ზედწოდება "ნეტარი". მიქაელ მოდრეკილის იმავე კრებულში ივანე მინჩხის იამბიკონებს აქვს ასეთი ზედწერილი: "იამბიკონი, თქმულნი ნეტარისა ივანე მინჩხისანი" (პ. ინგოროყვა, ძველი ქართული პოეზია. გვ.11) ხელნაწერ კრებულშიც ასეა მითითებული: "თქმულნია ნეტარისა მინჩხისა ქართველისანი". ეს ზედწოდება მას, როგორც საერო პირს, მიემართება მისი დიდი ღვაწლისათვის ჰიმნოგრაფიული პოეზიისა და მუსიკის დარგში.

გასაოცარი სევდითა და ამქვეყნიური ამაოების განცდით აღბეჭდილია ივანე მინჩხის ლექსები. ისინი ნამდვილი პოეტური ქმნილებებია. მკითხველს ვთავაზობთ რამდენიმე მცირე ზომის ლექს-საგალობელს...

პ. ინგოროყვა. წიგნიდან "გიორგი მერჩულე".

XXX

ამაო არს ცხორებაჲ ჩუენი,
ვინაითგან დაჰხსნის მას სიკუდილი!
და ცუდად ხატად ვალნ კაცი,
ამაოდ შურებიან, იუნჯებნ,
და არა უწყინ, ვისდაცა იყოს იგი.
ჯერ არს ჩუენდა გულის-ხმის ყოფა
და ზრუვაჲ ცხორებისა საუკუნოჲსაჲ.

XXX

მეკიცხევს ჩუენ საწუთრო ესე,
რომელთა არა გულისხმა-ვყოთ
დაუდგრომელობაჲ მისი,
და მაცთუნებს ჩუენ მარადის
ღონითა მით მანქანებათა მისთაჲთა,
და ამაოსა დამაჯერებს,
ვითარცა ღამე სიზმარი მძინარესა.

## ᲐᲚᲕᲘᲕᲡᲔᲜᲘᲗᲡᲐ

გილიხმა-ყოთ ამაოებით ჩუენი,
რამეთუ ყოველნი მოკუდავ და მიწა ვართ,
და ჟამნი ჩუენნი, ვითარცა სიზმარნი,
და არა ვერჩდეთ ჩუენ
წუთსა ამას ცხორებასა,
რამეთუ ვითარცა აჩრდილი წარვალს,
და ვითარცა მტუერი ქუეყანისაჲ განიბნევის.
შევინახნეთ საწუთროჲსა საფრეკნი,
ვითარცა მტერისა ბადენი განფენილნი -
პირსა ქუეყანისასა, დავიმდაბლნეთ
თავნი საღმრთოჲთა მით
სიმდაბლითა, რომლითაცა
დავიცვნეთ ჩუენ მარადი უვნებელად,
და არაჲ შევითხოვნეთ სასიკუდინედ მას შინა.

## ᲥᲔᲑᲐ ᲛᲐᲠᲘᲐᲛᲘᲡᲐ

ღმრთისმშობელსა ვადიდებდეთ,
მშობელსა და ქალწულსა,
ლედასა მეუფისასა,
ვენახსა გონიერსა,
ტაძარსა პირმეტყველსა,
ბარძიმსა მას ოქროჲსასა,
სადგურსა მანანაჲსასა,
ღრუბელსა სავსესა ნათლითა,
მაგრილობელსა სულთა ჩუენთასა,
საღმრთოსა ზღუდესა მტკიცესა,
მცველსა ყოველისა სოფლისასა.



## ᲜᲣᲛᲪᲐ ᲕᲔᲛᲡᲒᲐᲕᲡᲔᲑᲘᲗ

ნუმცა ვემსგავსებით, ძმანო,
ხეთა ზამთრისათა უნაყოფოთა,
ფურცელ-დაცვნებულთა ბელეკონთა,
რათა არა მივიღოთ ჩუენ პატიჟი იგი
უნაყოფოჲსა ლეღვისაჲ,
რომელი წყევით განაგმო ქრისტემან,
არამედ ნაყოფიერ ვიქმნნეთ!

## ᲜᲐᲛᲜᲘ ᲩᲔᲛᲜᲘ

ჟამნი ჩემნი
ვითარცა რაჲ სიზმარნი განქარდებიან,
და დღითი დღე მოაკლდების რიცხუსა
აღრიცხულთა მათ დღესა ჩემთასა.
და ყოვლისაგე დამჴსნელ არს სიკუდილი!
აწ ვილუაწოთ მოსლვადმდე მისა!

საქართველოს უძველესი სამოციქულო ეკლესიის სახელით კიდევ ერთხელ გამოვთქვამ დიდ გულისტკივილს იმის გამო, რომ საქართველოში, კერძოდ, აფხაზეთში კვლავ ილვრება სისხლი გარეშე ძალების ჩარევით. ეს ის ძალები არიან, რომელნიც ასაზრდოებენ ცენტრიდანულ ელემენტებს. ისინი კი, უტოპიური იდეებით შეპყროობილნი,მიზნად ისახავენ ჩვენი ქვეყნის დაყოფას, მაგრამ ეს ცდები ამაოა.

აფხაზეთი ისეთივე განუყოფელი ნაწილია საქართველოსი, როგორც ქართლი, იმერეთი, სამეგრელო...

საუკუნეთა მანძილზე ჩვენ და აფხაზი ხალხი ვცხოვრობდით ერთად და კვლავ ვიცხოვრებთ. ჩვენ გვაკავშირებს არა მარტო ერთი მიწა-წყალი, არამედ ნათესაური კავშირი და ურთიერთპატივისცემა.

ჯერადად მე კარგად ვიცნობ მათ.11 წელიწადს ვიყავი მღვდელმთავრად ცხუმ-აფხაზეთში. 1977 წელს, სწორედ აქედან ამირჩიეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად. სიამოვნებით ვიხსენებ იმ წლებს, კეთილ და სიყვარულით აღსავსე ურთიერთობას, ქართველებს, აფხაზებს და იქ მცხოვრებ სხვა ერის წარმომადგენლებს შორის.

მამაშვილური სიყვარულით მივმართავ ყველას; ნუ ჩაიდენთ დანაშაულს, რომლისაც მერე შეგვრცხვებათ, ვიცხოვროთ დალოცვილ საქართველოში ერთად, მშვიდობითა და თანხმობით.

მე მივმართავ მთავრობას და ყველას, ვისაც ეხება; ყველაფერი ვიღონოთ იმისათვის, რომ აღარ განახლდეს სისხლისღვრა და მოლაპარაკების მაგიდასთან სამართლიანად გადაწყდეს დღეს არსებული პრობლემები.

სიყვარულმა, სიმართლემ და კეთილგონიერებამ უნდა გაიმარჯვოს და მწამს, ასეც მოხდება.

ღმერთმა დალოცოს ერთიანი და განუყოფელი საქართველო და მკვიდრნ მასა შინა.

ილია II
სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

ღმერთმა დალოცოს და აცხოვნოს აფხაზეთს მამულისათვის შეწირულთა სულნი. "მხოლოო ცხოველს-მყოფელო უფალო, უფსკრულო სახიერებისაო, სულნი მიცვალებულთანი სასუფეველსა შენსა დააწესენ და განსვენება მიჰმადლე მათ, მხსნელო".

სამშობლოსათვის თავდადებულნო, ლოცვითა თქვენითა შეეწიეთ საქართველოს.

ილია II

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

ქრისტიანი, რომელიც სამშობლოსა და მის სალოცავებს იცავს, ცხადად აღასრულებს ქრისტეს მცნებას: "უფროჲსი ამისსა სიყუარული არავის აქუს, რაჲთა სული თჳსი დადვის მეგობართა თჳ სთათჳს" (იოანე 15,3).

რა თქმა უნდა, ომი თავისთავად ბოროტებაა, უკიდურესად სამწუხარო, რომელიც ღრმად ეწინააღმდეგება ქრისტიანობის საფუძვლებს.

ისინი, რომელნიც მიუთითებენ მცნებაზე: "არა კაც ჰკლა", სამართლიანად ამბობენ, რომ ომი დარღვევაა ამ მცნებისა. ეს რა თქმა უნდა, ასეა, მაგრამ ბიბლიიდან ვხედავთ, რომ თვით იმ ძველი აღთქმის დროს, როცა ეს მცნება გადმოეცათ ადამიანებს, ისრაელის ხალხი ღვთის ნებით, იბრძოდა და ღვთისავე შეწევნით ამარცხებდა მტრებს. გავიხსენოთ ძველი აღთქმიდან მცნება თუნდაც იმის თაობაზე, რომ ადამიანი, რომელიც მშობლებსე ბოროტად მეტყველებს, სიკვდილს უნდა მიეცეს; ე.ი. მცნება "არა კაც ჰკლა", ადამიანისათვის სიცოცხლის წართმევის ყველა შემთხვევაზე არ ვრცელდებოდა. ამ მცნებით აკრძალულია ანგარიშსწორება ერთი ადამიანისა მეორის მიმართ, მხოლოდ საკუთარი გადაწყვეტილებისა და ნების საფუძველზე. როცა უფალმა ახალ აღთქმაში ამ მცნების ღრმა აზრი ახსნა, მან მიუთითა, რომ არა მხოლოდ მკვლელობაა აკრძალული, არამედ, საერთოდ, არაქრისტიანულია ამაო რისხვა. უფალი, უკანასკნელ დღეებში, როცა მოციქულებს ესაუბრებოდა, ეუბნებოდა მათ: "რა გესმოდიან ბრძოლანი და ჰამბავნი ბრძოლათანი, იხილეთ და ნუ შეძრწუნდებით, რამეთუ ჯერ არს ესე ყოველი ყოფად (მათე 24, 6). ამ სიტყვებით უარყოფილია ოძის უარმყოფელთა განცხადება იმის შესახებ, რომ ქრისტიანობა, საერთოდ, არ აღიარებს ომს და მასში მონაწილეობის მიღებასაც კრძალავს. დიახ, ომი კაცობრიობის ისტორიაში უარყოფითი მოვლენაა, მაგრამ იგი ზოგჯერ იარსებებს, როგორც ერთადერთი საშუალება საძართლის, სალოცავებისა და ხალხთა უფლებების დაცვისა. ომებს, რომელთაც სარგებლობა და წესრიგის აღდგენა მოაქვთ, იცავს ქრისტიანული მოძღვრება. ტყუილად როდი გკითხულობთ აპოკალიფსში (XII, 7), რომ ომი ზეცაშიაც იყო, როცა წმიდა მხედართმთავარმა მიქაელმა და ანგელოზებმა ზეციდან ღვთის მოღალატე ეშმაკი და მისი თანამოაზრე დაცემული ანგელოზები ჩამოყარეს.

ღირსი მამის, ათანასე ათონელის ცხოვრებიდან ცნობილია, რომ მის მონასტერში აღიკვეცა მონაზვნად ცნობილი ქართველი მთავარსარდალი თორნიკე ერისთავი. სახელმწიფოსათვის მძიმე წუთებში, - სპარსელებთან ომის დროს იმპერატრიცა ზოიამ თორნიკე გამოიძახა და სთხოვა, ლაშქარს გასძღოლოდა, მაგრამ თორნიკემ სასტიკი უარი განაცხადა. იგი ბერი იყო. მაშინ ღირსმა მამა ათანასემ უთხრა მას: ჩვენი მოვალეობაა მტრებისგან მამული ლოცვებით ვიხსნათ, მაგრამ თუკი უზენაესი მეუფება საერთო სარგებლობისათვის საჭიროდ ჩათვლის, რომ მახვილი აღვიღოთ, უსიტყვოდ უნდა დავემორჩილოთ. უკეთუ შენ მეფეს არ მოუსმენ, პასუხს აგებ შენი თანამოქალაქეების სისხლისა და ღვთის ტაძართა დანგრევისათვის, რომელთა გადარჩენა არ მოინდომე".

თორნიკე დათანხმდა. დააშარცხა მტერი და სახელმწიფო საფრთხისაგან იხსნა.

**იღუმენი ფილარეტი**

# ა ფ ხ ა ზ ე თ ი



კომანი. მამა ანდრია

# უფალო, ძალი ერსა ჩუენსა მოეც



# ღმერთო, შეწევნასა ჩუენსა მოხედენ

განიყვეს სამოსელი ჩემი მათ შორის და კუართსა ჩემსა ზედა განგდეს წილი

(ფსალმუნი)

მშფოთვარე დროში ვცხოვრობთ. მძიმეა ჟამი, რომელიც უდგას ჩვენს ერს, ქვეყანას ჩვენსას... მტერთან უთანასწორო ბრძოლაში თავი გასწირეს ქართველმა ახალგაზრდებმა. ძაძით შეიმოსნენ ჩვენი დედები, დები, შვილები..

წმიდა იყო ეს ომი... წმიდა და, მაინც უაზრო, ძმათა მკვლელი. დიდი იყო მსხვერპლი.

ღალატით დაეცა ქართული ქალაქი სოხუმი. ღალატით, საკუთარ სამშობლოში ლტოლვილებად იქცნენ მშვიდობიანი ადამიანები. შემზარავ კადრებს ვუყურებდით ყველდღიურად. სვანეთის უღელტეხილზე თოვლსა და ყინვაში მიიკვლევდნენ ისინი გზას. ბევრმა ვერ გაუძლო. დაიხოცნენ ბავშვები, ქალები, მოხუცები. ძნელია გაცნობიერება ამ დიდი ტრაგიზმის.

ჩვენი ჭაბუკებისა და მამების სულები, რომელთაც დასდეს თავი სამშობლოსათვის, უკვე შეუერთდა წინაპართ სულებს.

ღმერთო, სულთაო და ყოველთა ხორციელთაო,

რომელმან სიკვდილი განაქარვე და ეშმაკი დასთრგუნე,

და ცხოვრება სოფელსა მოანიჭე,

შენ, უფალო, განუსვენე სულთა მონათა და

მხევალთა ამათ, ადგილსა ნათლისასა,

ადგილსა მწვანილოვანსა, ადგილსა განსასუენებელსა...

ისტორიულად ცნობილია, რომ ძველი ერები, როცა იმედი ეწურებოდათ, იწყებდნენ ერთობლივ ლოცვას. ლოცვით ინარჩუნებდნენ არსებობას და დღემდე მოაღწიეს. ეს იცოდნენ ჩვენმა წინაპრებმაც. დიდი თამარი ფეხშიშველი მიდიოდა ტაძარში და ისე ლოცულობდა დიდი ომების ჟამს. ვილოცოთ ჩვენც. ომი ჯერ არ დამთავრებულა.

ჩვენ დედამიწის უძველესი ხალხი ვართ. კაცობრიობის აკვანთან იდგა ჩვენი წინაპარი. ჩვენ იმ ტვირთის ზიდვაც გვევალება, ერის წიაღში რომაა ჩამალული.

თვალშეუდგამია საქართველოს ეკლესია. საუფლისწულოა მისი მიწა. "ამოვდიოდით ქართველები ამ მიწიდან და ჩავდიოდით ამ მიწაში. სიხხლიც იქცეოდა შიგ, სიცოცხლის ხეც ხარობდა ზედ". იყო უღმერთობაც და იყო რწმენაც. და მაინც, და მაინც, ჩვენ მივყვებით ჩვენი წინაპრების გზას, მისი სულის ძახილს, მივყვებით ქრისტეს...

ჩვენი გზა ჯვარცმისა და აღდგომის გზაა. გვწამს ეს. ჯვარცმის სახეში ჩვენ დღევანდელი საქართველოს სინამდვილეს ვხედავთ.

"მოვედინ ჩემდა ტვირთმძიმენი და დამაშვრალნი და მე განგისუენო თქუენ". - ბრძანებს უფალი. ხოლო, უფალთან მისვლა ისევ ერთმანეთთან მისვლაა.

ერთ ლოცვაში ნათქვამია:

"უფალო, შეიწყალენ...

უარისმყოფელნი მართლმადიდებელთა სარწმუნოებისანი და ჭეშმარიტებისა გზათა შეცდომილნი, წვალებათაგან დაბნეულნი, ნათლითა ცნობისა შენისათა განანათლენ და მოაქციენ იგინი მართალსა სარწმუნოებასა ზედა..."

წვალებათაგან დაბნეულია ჩვენი ერი... დაღლილი, უზომოდ დაზარალებული, მთლიანად მსხვრევამდე მისული გამოვიდა ამ უმძიმესი ომიდან საქართველო და მისი ეკლესია. მთელი ხნის, ყველაზე მეტად კი, ბოლო სამოცდაჩვიდმეტი წლის მანძილზე ტანჯვით ეძებდა იგი გზებს მართლმადიდებლური რწმენის შესანარჩუნებლად. მძიმე იყო ეს წლები, მაგრამ მადლობა უფალს, მას გაუძლო ქართველმა ერმაც და ქართულმა ეკლესიამაც.

X

სოხუმის დანგრეულ ქუჩებში ხალხი აღარ ჩანს... მოდიან მხოლოდ სამღვდელონი... მოდიან ჯვრებით, ხატებით... გალობენ, აღავლენენ ლოცვას და ქვეყნის შემოქმედს პატარა საქრისტიანო მიწის გადარჩენას შესთხოვენ... ასე ვხედავ მე ამ ომს, მის ერთ სურათს...

ჩემს ხელთაა უამრავი მასალა, გოგონები და ყმაწვილი კაცები მონაზვნებად რომ აღიკვეცნენ იქ, სოხუმში... აღიკვეცნენ ომის დღეებში. ეს იყო მათი ლოცვა სამშობლოსათვის. შემდეგ კი, უმწვავეს ჟამს (უარესი ჩვენს თაობას რომ არასოდეს უნახავს), ლტოლვილებთან ერთად გადმოიარეს სვანეთის უღელტეხილები. ზოგი მათგანი დაილუპა კიდეც...

ერთი მამა ანდრია იყო... მოწამებრივი სიკვდილით აღესრულა იგი კომანში... მამა სერგი, დედა მარია, სხვებიც... მონაზვნები და სამღვდელონი მოუღლელად მიდიოდნენ ბრძოლის ხაზზე და აზიარებდნენ მეომარ ბიჭებს.

მოუნათლავი მონათლეთ და ქრისტიანი უზიარებელი არ დატოვოთო, იყო უწმიდესის ლოცვა-კურთხევა.

....დედა თეოდორა, სულ ახალგაზრდა გოგო, მონაზვნად შერაცხილი, ლტოლვილებთან რომ გადმოიარა თოვლიანი აღმართები, ჰყვება... მესტიაში ჩასვლისთანავე საპატრიარქოში დავრეკეო... შორენა გადაირია.... ვერ დაიჯერა, რომ მე ვიყავი... აქ ყველას დაკარგულები ვეგონეთო...

....ერთხელ მამა პავლესთვის ერთ ბიჭს უამბნია, აღდგომის დილას პოზიციაზე, ტყის პირას ვიჯექი და ტკივილით ვფიქრობდი, ღმერთო, რა იქნება, ერთი წითელი კვერცხი რომ მომცაო და, სულ რამდენიმე წუთში ეკლესიიდან საალდგომო საჩუქარი მომიტანესო. ამაზე მეტი სიხარულის განცდა არასოდეს მქონიაო, მითხრა მამა პავლემ. ის საჩუქარი მისი ხელით ჩატანილი ყოფილა.

....ერთხელაც, გუჯი წიკლაურის ბატალიონში, ჩვენს მღვდლებს, თვით მეთაურის ნებით, აფხაზი ტყვეებიც კი მოუნათლავთ და უზიარებიათ. ეს საოცრებაა. საოცრება, ქართული ხასიათის გამონათება რომ ჰქვია, სხვაგან რომ ვერ ნახავ.

და ისევ მამა ანდრია... მშვენიერი ოჯახი ანუებისა, ვინც აღადგინა კომანის ეკლესია, ვინც მუდმივად ლოცულობდა იოანე ოქროპირის სარკოფაგთან, წმიდა ვასილისკოს საფლავთან, იოანე ნათლისმცემლის თავის პოვნის ადგილზე (ეს ყოველივე კომანშია), ვისი ოჯახის უფროსი იური ანუა აფხაზმა მკვლელებმა წაიყვანეს და, აღარ იციან სადაა... მადლობა უფალს, ანუები - ზოიაც, მანანაც ახლა ჩვენთან არიან, კვლავ ეკლესიას მსახურებენ და კომანში დაბრუნებაზე ოცნებობენ.

ეს უდიდესი ტკივილია და მსგავსი ტკივილი ბევრი დატოვა ამ ომმა. ამ უაზრო, მძიმე ომისადმი დამოკიდებულება ქართულმა ეკლესიამ მრავალგზის გამოხატა მისი უწმიდესობის ეპისტოლეებით მსოფლიოს ეკლესიათა პატრიარქებისადმი, რომის პაპისა თუ გაეროს სამშვიდობო მისიისადმი, მისივე ქადაგებებით მრევლის წინაშე და ასევე, ქართველ სამღვდელოთა - მამათა და დედათა მისიონერული ღვაწლით აფხაზეთში.

ეს ჩანაწერები კი, რომელიც ძლივსძლივობით შეკრიბე, (მათ უჭირდათ ამ ტკივილზე საუბარი... არც სურდათ. ისეთი რა გავაკეთეთო, მეუბნებოდნენ... ეს ჩვენი ვალი იყოო), მხოლოდ ნაწილია იმ მოზრდილი წიგნისა, რომელიც უსათუოდ უნდა გამოვიდეს...

ღმერთო, შეწევნასა ჩუენსა მოხედენ,

უფალო, შეწევნად ჩუენდა ისწრაფე"

**თინათინ კოგალაძე**

ᲧᲛᲘᲓᲐᲗᲐ ᲗᲐᲜᲐ ᲒᲐᲜᲣᲡᲕᲔᲜᲔ, ᲣᲤᲐᲚᲝ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲕᲘᲡ



**ᲐᲮᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲗᲐ, ᲛᲝᲜᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲬᲔᲕᲐᲚᲗᲐ ᲨᲔᲜᲗᲐ**

## XXX

ის, რაც აფხაზეთში მოხდა, ჩემთვის, არა მხოლოდ როგორც ეკლესიის მსახურისათვის, არამედ როგორც მოქალაქისათვის, წარმოუდგენელი რამ არის. ბავშვობიდანვე ვეზიარე მას, რომ ქართველები და აფხაზები ნათესავები, ძმები არიან. ყოველთვის ამას ვქადაგებდი ამბიონიდანაც, მაგრამ ახლა ეჭვი გამიჩნდა, დიდი ეჭვი; როგორ შეიძლება ძმა იყოს ის, ვინც მოსაკლავად გაგიმეტებს და ტყვიას გესვრის. მე ღვთის მსახური ვარ და ღვთისავე სახელით კაცს ნებისმიერ შეცდომას მივუტევებ, მაგრამ ეს მაშინ ხდება, როდესაც მოინანიებს დანაშაულს და მიტევებას ითხოვს. სამწუხაროდ, აქ ჯერ ვერ ვხედავთ ამას. პირიქით, დამნაშავე სხვისთვის სისხლის გადაბრალებას ცდილობს. ეს ორმაგი შეცდომა და მკრეხელობაა. ყველაფრის პატიება არ შეიძლება, ამისათვის შთამომავლობა მოგვთხოვს პასუხს. როდესაც დამნაშავეზე ვლაპარაკობთ, მთელ ხალხს როდი ვგულისხმობ, ხალხი არ შეიძლება დამნაშავე იყოს. დამნაშავენი პიროვნებები არიან. ვლოცულობ ქართველთათვის და აფხაზთათვისაც, რომლებსაც თავგზას უბნევენ უკეთურები. ყველაფერს ვიღონებ, რათა ორ ხალხს შორის მშვიდობა აღდგეს. ეს ჩემს მისიად მიმაჩნია.

**დავითი**

ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი

სოხუმი

## კალისტრატე

ქუთაის-გენათელი მიტროპოლიტი

გელათობას, ღვთისმშობლის მიძინების დღეხასწაულზე შეეთანხმდით მე და ქალაქის მერი, ბატონი თემურ შაშიაშვილი, რომ მეორე დღეს გავემგზავრებოდით სოხუმში. მზად გვქონდა ჰუმანიტარული ტვირთი. დილის 8 საათზე უკვე აეროპორტში ვიყავით... მაგრამ არ მოგვცეს გაფრენის ნება. საშიშიაო, გვიმტკიცებდნენ. ბოლოს ჩვენმა დაჟინებულმა თხოვნამ გასჭრა და 12 საათზე, როგორც იქნა, გავფრინდით. სოხუმი დაწიოკებული დაგვხვდა... ცეცხლი ეკიდა სახლებს... არ ვიცი, რა უნდა იყოს ამაზე შემზარავი სანახაობა. ვნახეთ დასახიჩრებული, დამწვარი ადამიანები. შევხვდით სახელმწიფო მეთაურს. არ მაკიწყდება მისი სახე... ის წუთები. ხედავდა ღალატს და უკვე იცოდა, საქმე რომ ვეღარ იყო კარგად, მაინც ურყევად იდგა. ღალატი რომ არა, ისე დიდია და ისე ძლიერი ჩვენში გადარჩენის გენი, რომ ვძლევდით იმ მტერს, კალიასავით რომ შემოესია საქართველოს. მაინც მწამს, დროებითია ეს მარცხი.

რამდენიმე ღამე გავათიეთ სოხუმში, კალანდიებთან... მე იქ, იმ სახლში და საერთოდაც სოხუმში მრავალი მამულიშვილი ვნახე... შევხვდი გურამ ფანჯიკიძეს, რომელიც მართლაც გასაოცარი თავგანწირვით შედიოდა ფრონტის წინა ხაზზე და დაჭრილები გამოჰყავდა. ვნახე ლორიკ მარშანია, გია ყარყარაშვილი, გენო ადამია და თითქმის ყველა, რომელნიც წამიერად შემორბოდნენ და მაშინვე ბრძოლის ხაზზე გარბოდნენ... ბატონი ჯაბა იოსელიანი ვიკითხე... ფრონტის წინა ხაზზე იყო...

ორი ღამე ჩვენთან ერთად გაათენა ჟიული შარტავამ. მამამისი მამაჩემს უყვარდა ძალიან. მასთან მუშაობდა და მუდამ დალოცავდა ხოლმე, როცა გაიხსენებდა. ჟიულისაც გაეხარდა, რომ ვუთხარი, ვისი შვილი ვიყავი. ჩემს სულს შენ გაბარებ, ჩემი სულისთვის ილოცეო, მითხრა. მიგვიწვია კაბინეტში, დაუეწყარი იყო ის წუთები. ჩამოვარდა მცირე პაუზა... ჟიულიმ სასმელი აიღო, ფეხზე წამოდგა, პირჯვარი გადაისახა, ხელები ზეკით აღაპყრო და - ღმერთო, ყველას მაგიერ მე დამსაჯე და სამშობლო გადამირჩინეო, - წარმოთქვა ხმამაღლა, შთაგონებით გავიღიმე და ვუთხარი:

- რაც ღვთის ნებაა, ისე იქნება, ჩემო ბატონო... ეს ქვეყანაც არსებობს და ის ქვეყანაც... მამათქვენს კალისტრატე ჰქვია, მეც კალისტრატე ვარ და ორივე ვილოცებთ თქვენთვისმეთქი.

გაიღიმა. გავიდა მეორე ოთახში; გამოიტანა ფლომასტერები და დაგვირიგა... ეჰ, მშვიდობა რომ იყოს, კი ვიცი, როგორი მასპინძლობა გეკადრებათ თქვენო, გვითხრა. გამოვართვი ის ფლომასტერი და ვინახავ, როგორც ძვირფას რელიქვიას. მისი სულისთვის კი მარადის ვილოცებ... თუმცა ის, ვინც სამშობლოსათვის წამებით აღესრულა, ვინც მოიხადა თავისი ვალი, უკვე სუფევს სასუფეველში.

უფალმა გაანათოს მისი სული... უფალმა სამშობლო უცოცხლოს.

... სულ რამდენიმე დღე ვიყავით სოხუმში და მაინც, ყველაფრის გადმოცემა რომ შევძლო, რაც იქ ვნახე, ერთი დიდი წიგნი დაიწერება. ვიარეთ პოზიციებზე, დავლოცეთ ჯარი, დავურიგეთ ხატები, ლოცვანები, ვუკურთხეთ სამლოცველოები, მივულოცეთ ღვთისმშობლობა. კიდევ გვინდოდა დარჩენა, მაგრამ სახელმწიფოს მეთაურის დაჟინებული მოთხოვნით, დავბრუნდით ქუთაისში.

ღვთისმშობელო, შენ აკურთხე შენი წილხვდომილი ქვეყანა და მისი შვილები...

დაგვიფარენ, ღვთისმშობელო!

## მღვდელი აკაკი მელიქიძე

### სოხუმის ფერისცვალების ტაძრის მოძღვარი

უკვე რამდენიმე თვეა თბილისში ვარ... შემთხვევით გამოვაღწიე... ტაძარში სანთელი აღარ გვქონდა და წასაღებად ჩამოვედი... მაგრამ მეორე დღიდან გზა ჩაიკეტა და ვეღარ დავბრუნდი. პირველი დღეებიდან იქ ვიყავი...

ამბობენ, დრო ყველაფერს კურნავსო, ადამიანს ბოლოს და ბოლოს, ყველა ტკივილი უნელდებაო... არ ვიცი, იქნებ ასეცაა, მაგრამ იმ განცდის, იმ ნამდვილი ჯოჯოხეთის დავიწყება ჩემთვის შეუძლებელია... ყოველ წამს თან დამაქვს უზარმაზარი მწუხარება და ფიქრი იმაზე, რაც მოხდა. ეს ყოველივე ხომ ანტიადამიანურია, ანტიადამიანური და რაღა თქმა უნდა, ანტიქრისტიანული. მახსოვს ის უმძიმესი წუთები, საშინელება რომ ატყდა. ტელევიზიით გამოვიდა არძინბა და აუწყა ხალხს, ქართველები მოდიანო. ქუჩები დაცარიელდა. ატყდა სროლები. ქართველები ჯერ არსად ჩანდნენ, მაგრამ ყველაფერს მათ აბრალებდნენ. ქალაქში ვერ გავდიოდით. სულ უდანაშაულო ადამიანებს ხოცავდნენ. ორისამი დღის შემდეგ ჩვენები შემოვიდნენ. გაწმინდეს ქალაქი. ცოტათი თითქოს სიმშვიდეც ჩამოდგა. ყველაფერი მალე მორჩებაო, ამბობდნენ. ფსოუს საზღვრამდე იყვნენ მისულები. ახლა მიკვირს, როგორ ვყვები ყოველივე ამას. ერთი წამითაც არ მტოვებს იქ ნანახი და განცდილი. ადამიანთა დატანჯული სახეები, შეშინებული ბავშვები, ცეცხლწაკიდებული, გადამწვარი, გადაბუგული სახლები, ქუჩებში უსულო ადამიანები. ეს ყველაფერი უჩვეულო და შემზარავი იყო. ოჯახი იქ მყავდა. ოთხი პატარა ბავშვი... სულ პატარა ერთი თვისა იყო. ბოლოს ყველაფერი ისე დაიძაბა, იძულებული შევიქენი, ბავშვები აქეთ წამომეყვანა.

ჩვენი ეკლესია სოხუმიდან 2-3 კილომეტრითაა მოშორებული. ყოველდღე, უდიდესი გაჭირვებით გვიხდებოდა ამ მანძილის გავლა. ზოგჯერ, როცა შეეძლოთ, ჯარისკაცები გვეხმარებოდნენ, მანქანით ავყავდით. მუდამ მრევლთან ერთად დავდიოდით. დაჩოქილი, მხურვალედ ლოცულობდა ყველა. ქუჩა სავსე იყო მკვდრებით. ყოველ წამს ტყვიების ზუზუნი ისმოდა. ჩვენს ახლოს ცვიოდა გრადები. ჩემი მრევლიდან ერთ ქალს იმ დღეებში, ლალი გაბუნიას, - ახლა ის ლტოლვილია, - ქმარი და 19 წლის შვილი დაელუპა.

ფანტასტიკური სიმშვიდითა და თავგანწირვით აკეთებდა თავის საქმეს ჩვენი სამღვდელოება. მეუფე დანიელთან ერთად, განუწყვეტლივ დავდიოდით მეომრებთან, წინა ხაზზეც კი... ვცდილობდით, შეგვეტანა მათში სარწმუნოება, სიმტკიცე. ხშირად ვაზიარებდით ბიჭებს. მეუფეს მოძღვრები თბილისიდანაც ჩამოჰყავდა. ძალიან ხშირად ვაკითხავდით საავადმყოფოებს. ამ მხრივ განსაკუთრებით ბევრი გააკეთეს დედებმა... ვუვლიდით დაჭრილებს, ვნათლავდით, პოზიციებზეც კი ვნათლავდით. ამის ასე სქემატური ჩამოთვლაც ამაღელვებელია, თორემ მათთან ყოველი შეხვედრა ცალ-ცალკე შეიძლება აღიწეროს. მე ჯერ ეს არ შემიძლია. ჯერ მიჭირს. განცდები ისე ძლიერი იყო, ჯერ კიდევ დრო მჭირდება. ოდესმე ეგებ, მართლა შევძლო ყველაფრის აღწერა.

ჩემი მხრიდან, ცხადია, მე იმასაც ვცდილობდი, სულიერი შვილებისთვისაც მიმეხედა, როგორმე მენუგეშებინა ისინი.

თვალებიდან არ ამომდის ერთი ასეთი ეპიზოდი: ერთ ოჯახში მიმიწვიეს... გადავუხადე პარაკლისი, ვანუგეშე, თითქოს დამშვიდდნენ. გამოვედი თუ არა, სროლა ატყდა. ირგვლივ გრადის ტიპის ჭურვები ცვიოდა. ცენტრალური მოედანია, მშვიდობის პროსპექტი ჰქვია. ყველაფერი დაისმხვრა. ეს ომის პირველ დღეებში იყო. პირველად მოვხვდი ასეთ მძიმე მდგომარეობაში. მეომრები მანიშნებდნენ, დაწექიო, მაგრამ არ დავწოლილვარ. გადავსახე მათ ჯვარი და გავედი წინ. რაც იქ ვიხილე, ნამდვილი საშინელება იყო. ეგდო ადამიანი, რომელსაც თავი აღარ ჰქონდა. ირგვლივ სისხლის ტბა იდგა. ტელევიზიაშიც უჩვენეს ეს კადრი. ეს პირველი ზაფრა იყო. მერე ნაწამები, დასახიჩრებული, ცხვირმოჭრილი, თვალებამოჩიჩქნილი ადამიანებიც ბევრჯერ ვნახე. თვითმფრინავიდან ქალაქს ბომბავდნენ დღისითაც და ღამითაც. ღამით, მთელი ღამეობით ჯერ რაღაც მანათობელ საგნებს უშვებდნენ და მერე მისამართის მიხედვით ბომბავდნენ. იყო საშიშროება მთელი ქალაქის მიწასთან გასწორებისა. ძალიან ძნელია ამის არა მხოლოდ საკუთარი თვალით ხილვა და განცდა, მოსმენაც. მოკიდე ფსალმუნებს ხელი და დავიწყე ხმამაღლა კითხვა.

მინდოდა ამით დამეთრგუნა შეშფოთება. ამასვე მოვუწოდებდი მრევლსაც. ყველანი ერთად ვლოცულობდით სოხუმისა და ადამიანების გადასარჩენად.

ფსალმუნის განუწყვეტელმა კითხვამ სითბოც ჰომცა, ძალაც, ნუგეშიც და უკვე აღარ მაძრწუნებდა ის საშინელი აფეთქებები. ტკივილი კი, როცა ხედავ, როგორ იღუპებიან ადამიანები, როგორ ერთ წამში ისპობა წლობით ნაშრომ-ნაღვაწი და იწვის ყოველივე, რა თქმა უნდა, შემზარავია. საოცარი იყო ერთი რამ, თვითმფრინავებიდან ჩამოცვენილი ბომბები ძირითადად, რატომღაც რუსებიჩ სახლებს ეცემოდა.

ეკლესიაში ამ დიდი განსაცდელის ჟამსაც ჩვენ არ გაგვიცდენია წირვა-ლოცვა, არ გაგვიცდენია არც ერთი საეკლესიო დღესასწაული. განუწყვეტლივ ვასრულებდით პარაკლისებს, ვაკურთხებდით წყალს, სახლ-კარს, ეზოებს, ქუჩებს... ხშირად გრადის ტიპის ყუმბარები ეკლესიის თაკზეც გადადიოდა. სროლის დროს ხალხი ეკლესიის კუთხეებში წვებოდა. მათ შიში თითქოს ეკვე გადააკვიწყდათ. ამ უბედურებაში ეკლესია მათთვის ნუგეში იყო... რაც უნდა დიდი დაბომბვებიც არ ყოფილიყო, ფსალმუნის კითხვას თავს არ ვანებებდით. მრევლით სავსე იყო ეკლესიაც და ჩემი სახლიც. მათი ასეთი ურთიერთთანადგომა მეც მამხნევებდა და ძალას მაძლევდა.

მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო, რომ ამ ომში სამღვდელოებამაც გაიღო მსხვერპლი. დაიღუპა ვლადიმიროვკის ეკლესიის დეკანოზი კრავცოვი. დაიკარგა და ვერსად ვეღარ ვიპოვეთ. ჩემს მახლობლად, მეორე მხარეზე ცხოვრობდა ბატა იოანე ანდრიუშენკო... ომში მას მეუღლე დაეღუპა. ყუმბარა ჩამოვარდა. სახლი თითქმის მთლიანად გაანადგურა. მატუშკა გარეთ იყო, ეზოში. იგი ნამსხვრევმა იმსხვერპლა. იმ დროს მე სახლში ვიყავი, მაგრამ ისეთი დიდი იყო მსხვრევის ხმა, რომ მეც მომწვდა. მსუბუქი კონტუზია მივიღე. უზომოდ მტკივნეულია ამის გახსენება; მით უმეტეს, მძიმე იყო განცდა. ყოველივე ეს მუდამ თვალწინ მიდგას. მისი დავიწყება არ შეიძლება. მეუფესთან ერთად ხშირად ჩამოვდიოდით ხარების ტაძარში. იქაც იყო მსხვერპლი, ჯურვები დაეცა სახლს, სადაც ცხოვრობდნენ მოძღვრები. ერთი ქალი იმსხვერპლა, მორჩილი იყო. თითქოს ახლაც ვხედავ, როგორ ინგრეოდა სახლები, იწვოდა, იფერფლებოდა... ვხედავ ადამიანთა გატანჯულ, მწუხარე სახეებს... ხშირად, საცოდავები ვეღარ უძლებდნენ ამდენ უბედურებას და იხოცებოდნენ... გული უსკდებოდათ და ეცემოდნენ. არ მავიწყდება მათი იმედის მომლოდინე თვალები.

ბევრმა მეომარმა მიიღო ზიარება, ბევრი გრძნობდა მის ძალას. ბოლოს გვიამბობდნენ ხოლმე, როგორ გადაურჩნენ ხიფათს. ყოველი მხრიდან ითხოვდნენ, მივსულიყავით მათთან და გვეზიარებინა, რომ ცოტაოდენი სიმშვიდე ეგრძნოთ. ჩვენ, როგორც შეგვეძლო, ვეხმარებოდით ყველას, განურჩევლად ეროვნებისა, აფხაზებსაც...

ცხადია, მე მესმოდა ჩემი მოვალეობა: ყოველ სიტუაციაში უნდა ვყოფილიყავი მშვიდად, რათა აღმესრულებია ჩემი ვალი ღვთისა და კაცის წინაშე. დიდი იყო ეს განსაცდელი და იმუამად იქ მყოფმა მთელმა ჩვენმა სამღვდელოებამ ეს ვალი შეძლებისდაგვარად, მაგრამ უშურველად მოიხადა...

შეგვინდე უფალო, შეცოდებანი ჩვენნი...



**დედა ელენე** (ნაფეტვარიძე)

## XXX

1992 წლის მაისია. წელს მამა დანიელი და მისი მრევლი დიდი გეგმების განხორციელებას აპირებს: მისიონერული მოგზაურობა მესხეთ-ჯავახეთში, აჭარაში, სამეგრელოში, აფხაზეთში... ამავე თვეში მამა დანიელი ორ მოძღვართან ერთად (მეუფე იობი და მეუფე დავითი) ეპისკოპოსად აკურთხეს. დიდი სიხარული იყო ჩვენთვის ეს... და მაინც, გაგვიჩნდა ერთგვარი საწუხარიც... აღარ ვიცოდით, წავიდოდით თუ არა სამოგზაუროდ. ბოლოს გადაწყდა, წელს წავსულიყავით ბოდბეში - მეუფის ეპარქიაში. ჯვარხატებითა და ქადაგებებით მოიარა მეუფე დანიელმა თავისი ეპარქია. ოქტომბერში კი, აღსრულა აფხაზეთის მიტროპოლიტი დავითი. სისხლი უკვე იღვრებოდა აფხაზეთში. წუხდა საქართველოს ძირძველი მიწა... წუხდა ხალხი, ამ მიწაზე მცხოვრები... უმღვდელმთავროდ დარჩენილ ეპარქიაში მისმა უწმიდესობამ დროებით მმართველად მეუფე დანიელი მიავლინა. ასეთი იყო, როგორც ჩანს, ნება უფლისა. და აი, მეუფე დანიელი ორ სხვა მღვდელმთავართან - დავითთან და იობთან ერთად სოხუმს გაემგზავრა. მეუფეს ასევე თან გაჰყვნენ სამღვდელონი: მამა თეიმურაზი (ბერიშვილი), მცხეთელი დიაკონი გიორგი; მონაზვნები: მარტყოფის დედათა მონასტრის წინამძღვარი დედა მარიამი, დედა თეოდორა, დედა ანასტასია, დედა ანუსია, მორჩილი ლელა (ელენე), მარინა და მე. ასევე მორწმუნეები: ნუგზარი, ზურაბი, იმედო.

17 ოქტომბერს გავფრინდით სოხუმში. მშვიდი, მზიანი დღე იდგა. აეროპორტში ჯარისკაცები ირეოდნენ და სოხუმიდან წამსვლელთა უზარმაზარი რიგი იდგა. იდგნენ ფუთებით, ჩანთებით, ჩემოდნებით... წაგვიყვანეს რეზიდენციაში. დავბინავდით. თანდათან მოვშინაურდით. გადავიხადეთ პარაკლისი. ჩატარდა პირველი წირვა. სამი მღვდელმთავარი წირავს ერთად.... ავედრებს უფალს ამ კურთხეულ მიწას და ხალხს.

საოცარი ძალა ჰქონდა ამ წირვას და მრევლმა იგრძნო ეს. მთელი ათი დღის მანძილზე, მათი (მეუფე დავითისა და მეუფეების) იქ ყოფნის ჟამს სამღვდელმთავრო წირვები არ შეწყვეტილა სოხუმში. შემუშავდა გეგმა:

1. ქალაქის დალოცვა - ჯვრით, ხატებით, ნაკურთხი წყლის სხურებით ქუჩების, სახლების, დაწესებულებების მოვლა.

2. ჯარის ნაწილების, შტაბების დალოცვა, სამხედროების ზიარება, მონათვლა.

3. მრევლისა და სამწყსოს გაცნობა, მთავრობასთან კონტაქტის დამყარება და საეკლესიო ცხოვრების გაძლიერება.

არასდროს უფრო საოცარი არაფერი შემიგრძვნია, ჩვენი პირველი გასვლა რომ იყო ქალაქში. მუდამ ჩემს თვალწინაა ეს სურათი:

სოხუმის საკათედრო ტაძრიდან უდროო ჟამს გაისმის ზარების რეკვა... ტაძრის ეზოდან იძვრის პროცესია.. წინ ჯვარი, ხატები, კელაპტრები, შემოსილი სამღვდელოება, მღვდელმთავრები, მონაზვნები ქალაქში გადიან გალობით... უჩვეულოა აქაურობისთვის ეს ყველაფერი. გვიერთდება მრევლი, მორწმუნენი, მოსახლეობა... შემხვედრნი იწერენ პირჯვარს, ითხოვენ კურთხევას, ზოგი მუხლებზე ეცემა და ზეცაში ღმერთს შეჰღაღადებს, ზოგი ტირის... შეუძლებელია იმ წუთების აღწერა. - ის მხოლოდ უნდა განიცადო.

ჩვენი იქ ჩასვლის ჟამს ყველაზე ცხელი წერტილი იყო ოჩამჩირის რაიონი - ლაბრა, კინდღი, ტამიში, ცაგერა. ამ სოფლებში განლაგებულ ჯარისკაცებს აუცილებლად სჭირდებოდათ ღვთის სიტყვა, აღსარებისა და ზიარებისათვის მომზადება, ნათლობა. ბევრი იყო მოუნათლავი. დავდიოდით მათთან, ვადგენდით ნაზიარები ჯარისკაცების სიებს და ეკლესია და მონასტერი მათთვის ლოცვებს აღავლენდა.

ხშირად ჩამოდიოდნენ სტუმრებიც თბილისიდან, ბათუმიდან... გვირეკავდნენ. ცის გახსნას ჰგავდა, როცა ყურმილში უწმიდესის ხმას გავიგონებდით. მუდამ გვეხმიანებოდა და გვამხნევებდა. ეს ისეთი სიხარული იყო, რომ მაშინვე ყველა გასაჭირი გვავიწყდებოდა. გასაჭირი კი იყო. გახშირდა შემოტევები. მძიმე დღეები გვედგა. აცივდა. არა წყალი, არა გათბობა, არა სინათლე, არა შუშა, არა ღუმელი, არა ტრანსპორტი, არა საწვავი, არა სურსათი...

ამ მძიმე დღეებში ისევ სამხედროები ამოგვიდგნენ მხარში... აი, ზოგი მათგანი: გენო ადამია, პაატა დათუაშვილი, გოგა ხაინდრავა, დავით

გულუა, იური კეშელავა, ვალერი ქვაჩაია, ზაურ უჩაძე, რეზო ბუბუთეიშვილი, დავით ჯორჯიაშვილი, დავით ჯიხვაძე და კიდევ რამდენი... ზოგი მათგანი უკვე ცოცხალთა შორის აღარაა. მშვიდობა მათ სულებს... მადლობა მათ თანადგომისათვის. ყველა მათგანი, მეთაური თუ ჯარისკაცი, ცდილობდა რაიმეთი მაინც ამოგვდგომოდა მხარში. მეუფე დანიელი, სოხუმისა თუ ჩვენთან დროებით ჩამოსულ მამებთან და დედებთან ერთად ხშირად გადიოდა ფრონტის ხაზზე... მიჰქონდა ჯვრები, ხატები და რაც მთავარია, ღვთის სიტყვა. საოცარი იყო, იმ ჯოჯოხეთში, რასაც განიცდიდნენ ჩვენი ჯარისკაცები, მეუფე მათ ისევ და ისევ, მაინც და მაინც, მოუწოდებდა დაეცვათ მამა-პაპათა წესი, არ მიებაძათ მტრისათვის სისასტიკეში და ბოლომდე დარჩენილიყვნენ რაინდები, უპატიოდ არ მოჰყრობოდნენ ტყვეებს და სხვა... ეს ძალზე ძნელი იყო, მაგრამ ჯარისკაცებს მოსწონდათ მისი ასეთი მოწოდება და მუდამ სიხარულით ხვდებოდნენ.

დეკემბრის ბოლოს, უწმიდესმა მეუფე დანიელი ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მმართველად დაადგინა. ჩვენც, მეუფესთან ერთად, საკუთარ სახლად მივიღეთ საპატრიარქო რეზიდენცია და იქ დავმკვიდრდით. მამაკაცები ნინოშვილის ქუჩაზე, პატრიარქისეულ სახლში გადავიდნენ და იქ დაბინავდნენ.

ამ დროისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი კომანში ლოცვის გაძლიერება იყო. ჩვენც ხშირად დავდიოდით იქ, სადაც ჩვენი მასპინძლები იყვნენ კომანის იოანე ოქროპირის ეკლესიის აღმდგენლები - ზოია და იური ანუები და მათი ქალიშვილი მანანა - ტკბილად მოღუღუნე, მშვიდი, უწყინარი, გაცისკროვნებული.

მათი პირველი შეხვედრის სითბო მთელი ჩვენი იქ ყოფნის დროს გვშველიდა, გვამხნევებდა.

მამა ანდრია იყო იქ მწირველი და მლოცველი. გასაოცარი იყო მისი ამტანობა. მე მილაპარაკია მასთან. ძალზედ უჭირდა ხალხში ყოფნა. სულ განმარტოებისაკენ ილტვოდა. წყნარ ადგილს ეძებდა... მაგრამ აფხაზეთში იმ დროს სად იპოვიდა სიმშვიდეს. წუხდა. ყოველდღე ვწირავ, ტრაპეზს ვეხები - საამისო კი არც გამოცდილება მაქვს და არც ღირსი ვარო. რამდენჯერმე წასვლაც სცადა, მაგრამ იცოდა, რომ ახლა კომანის მიტოვება არ შეიძლებოდა. აქ ჩატარებული წირვა-ლოცვის მადლი მთელ საქართველოს ეფინებოდა, განსაკუთრებით კი, აფხაზეთს. კომანში დარჩენილ ხალხსაც ხომ უნდოდა ნუგეში.

საოცარი პასუხისმგებლობის გრძნობა ჰქონდა და ლოცვის წყურვილი. ყველაფერთან ერთად, მთელ დავითნს ყოველდღე თავიდან - ბოლომდე კითხულობდა. საერთოდ სიტყვაძუნწი იყო; ზედმეტად თავისი გრძნობების გამოხატვას ერიდებოდა. ერთხელ გაგვაფრთხილა, რომ შებინდდება, კომანში მაშინ ჩამოდით. აფსუები, თითქმის ყოველ დღე, ორმოცამდე კაცი, ხშირად მოდიან ეკლესიასთანო. მშვიდობა მის ნათელ სულს... ამაღლებულს, სიწმიდით აღსავსეს...

კომანში სამხედროებსაც ვხვდებოდით. მეუფე ხშირად უხდიდა მათ პარაკლისებს, აზიარებდა, ამხნევებდა. ჯარისკაცებს შორის ქალებიც იყვნენ, მამულისათვის თავდადებულად რომ იბრძოდნენ... ლოცვით მოვიარეთ მთელი რაგი სოფლები: შრომა, ახალშენი, ცუგუროგკა... უხაროდა ხალხს ჩვენთან შეხვედრები. განსაკუთრებით ძალიან მეუფის ქადაგებები მოსწონდათ. რა ახალგაზრდა ეპისკოპოსია და რამდენ გამოცდილებასა და სიდინჯეს ამჟღავნებსო.

ომია და გაჭირვება. ხანდახან ხალხს ლუკმა-პური ენატრება და ჩვენც მეუფის ლოცვა-კურთხევით და ხშირად მასთან ერთად მიგვაქვს ოჯახებში, მარტოხელებთან, რაც გაგვაჩნია. ხანდახან ეს მარტო პურია. მეუფე სამეუფო სეფისკვერებს აგროვებს და იმათაც გაჭირვებულებს ურიგებს. ჩვენც, ხანდახან, ჩვენს წილ პურს გაცემთ გლახაკებზე, ავადმყოფებზე, უძლურებაში მყოფ მონაზვნებზე.

ყოველდღე 2 საათზე ეზოში მათხოვრები იკრიბებიან... როგორც შეგვიძლია, ვაპურებთ მათ.

უპატრონო მიცვალებულებისათვის მიწის ნაკვეთიც გამოვითხოვეთ... მათ გაპატიოსნებასაც ჩვენები ხელმძღვანელობდნენ - თხრიდნენ საფლავებს და მარხავდნენ. ბევრჯერ მინახავს ტყვიების წვიმაში ციგით, ან მარხილით, როგორ ცდილობდა ჭირისუფალი სამარემდე მიეტანა გარდაცვლილის გვამი.

ჩვენი ხშირი სტუმრები იყვნენ ბატონები: - აკაკი გასვიანი, ჯანო ჯანელიძე, ჯუმბერ ბეთანიშვილი, მერი ჯანგველაძე, ჯემალ შარვაშიძე, ქალაქის მერი და სხვა საპასუხისმგებლო თანამდებობის პირები. წირვა-ლოცვასაც ესწრებოდნენ და საეკლესიო დღესასწაულებშიც მონაწილეობდნენ. შემდგომ ჩვენი ხშირი სტუმარი იყო ჟიული შარტავა. იგი განსაკუთრებული ყურადღებითა და სითბოთი გვეპყრობოდა. მეუფე დანიელმა, მისივე თხოვნით, სახელი შეუცვალა მას და დავითი უწოდა.

თანდათან, ტანჯვით, მაგრამ მაინც გავიდა ზამთარი. ცვცხლის ხაზზე კი დათბობა არ იგრძნობოდა.

4 მარტს სოხუმმა საშინელი შემოტევა განიცადა. მთელი ღამე ლოცვაში გავათენეთ. 16 მარტს, წმიდა ვასილისკოს ხსენების დღეს, ფეხით ჩავედით კომანში და ლოცვას დავესწარით... ტყვიების ჭექა-ქუხილი გადადიოდა კომანის თავზე. ბომბავდნენ სოხუმს. დილით სროლა ცოტათი მიწყნარდა და ჩვენ შეწუხებულები ფეხით გამოვუყევით გზას სოხუმისაკენ. სოფელ შრომაში

ავტობუსი დაგვხვდა. ეს სასწაული იყო. ჩვენი წამოსვლიდან ერთი საათის შემდეგ შრომაში საშინელი შემოტევა დაიწყო და მძიმე ბრძოლა გაიმართა. ასე გამოგვიყვანა უფალმა განსაცდელიდან. საოცარია ისიც, რომ მსგავსი ბრძოლების დროს, არავის შიში არ შეპარვია. თუ არა ღვთის მადლი და შემწეობა, აბა რა გვამაგრებდა.

ვიდღესასწაულეთ ხარება. მოვიდა აღდგომა. აღდგომას თბილისიდან გვეწვივნენ მეუფე დანიელის სულიერი შვილები და მამა პავლე თავისი მრევლით.

ის საშინელი დაბომბვები და შეტევები, რაც მთელი მარტი გრძელდებოდა, მადლობა უფალს, ამ დღეებში აღარ ისმოდა. უფალმა არ დაგვიმძიმა დღესასწაული.

სტუმრებთან ერთად მოვიარეთ ჯარის ნაწილები. მიგვქონდა მათთან აღდგომის მადლი - პასქა, წითელი კვერცხები და სხვა სააღდგომო საჩუქრები. მივდიოდით, პარაკლისს გადავიხდიდით; მეუფე წარმოსთქვამდა ქადაგებას, დალოცავდა მათ... ის, რომ ამ გასაჭირში ისინი გვახსოვდა და ხიფათის მიუხედავად, მათთან მივდიოდით, დიდ საპასუხო გულისხმიერებას იწვევდა. მეუფე დანიელი მათი საყვარელი და საიმედო მოძღვარი შეიქნა. მეუფე გუმისთაზეც კი იყო. ეგრეთწოდებულ "ბეტეერში" ჩასვეს და სააღდგომო საჩუქრებით და უწმიდესის სააღდგომო ეპისტოლეებით მეომრებთან ავიდა.

მრევლი გავაცილეთ. შეიკრა პატარა გუნდი მგალობლებისა. დედა თეოდორა, დედა ანუსია, ლელა (ელენე), მაკრინე, გაიოზი და დათო შულლიაშვილი (შუღლიკა) მღერიან ქართულ საერო სიმღერებს და გალობენ საოცრად. საღამოთი მეუფე დანიელმა გვითხრა, კარგი იქნება, სიმღერები დაჭრილებსაც მოვასმენინოთო. წამოვიშალეთ და აღდგომის მისალოცად საავადმყოფოჰოსპიტალს ვეწვიეთ. სასწაულს ახდენდა ეს სიმღერები. ჩვენი მგალობლები სადმე, დერეფანში მოეწყობოდნენ... ჩვენ პალატებში დავდიოდით. ჯერ უკვირდათ, რადიო და ტელევიზია არ იყო და ვის უნდა მოეცალა მათთვის სამღერად. შემდეგ სახეზე ღიმილი გადაურბენდათ, დამშვიდდებოდნენ, ტკივილიც კი უყუჩდებოდათ. ბოლოს მეორე საავადმყოფოს ეზოში გავჩერდით. - დაიფრქვა სიმღერა... ქართული ჰანგი ეღერს... აქ ეგრეთწოდებული "მძიმეები" არიან, ინფარქტიანები.

მეუფესთან ერთად, ფრთხილად შევედით განყოფილებაში. ერთმა ავადმყოფმა ხელები დაუკოცნა მეუფეს. გმადლობთ, რომ მოხვედით. ეს რა სასწაულია. ჩვენ მარტონი აღარ ვართ. გმადლობთ, ამ სიხარულისთვისო.

საშინელი გრძნობაა "გრადის" შიშინი და ყუმბარის სკდომა. თითქოს ცა და ქვეყანა თავზე დაგემხო. ბოლო დროს სულ ჩვენს კვარტალს ბომბავენ. ქალაქში იშვიათად ნახავ მთელ სახლს. სანაპირო განადგურებულია, ხეები გაჩეხილი, გატრუსული. შენობები ხანძრისაგან დამწვარი.

მრევლი გვაფრთხილებს, გვასწავლის ტაძრის რომელი კუთხე უფრო საიმედოა, სად დავდგეთ ლოცვის დროს. არ წყდება დაბომბვა. შევდივართ ტაძარში და მონიშნულ ადგილზე ვლოცულობთ, ლოცვის შემდეგ კი მოსახლეობას ვაკითხავთ. ვამხნევებთ.

მართამ (საპატრიარქოს მემატიანეა, ინგილო) ნინოშვილის ქუჩაზე ბოსტანი გაგვიკეთა, ყვავილები დაგვირგო. ვენახი ავახვიეთ. ძაღლებიც გვყავს, ორი უპატრონო, უჯიშო და უგვანო, მაგრამ ძალიან ერთგულები.

ერთ-ერთი დაბომბვის დროს ჩვენი რეზიდენცია დაზარალდა. მოინგრა კიბე. არც ერთ ოთახს არ შერჩა არც კარი, არც ფანჯარა. ჩვენი მარიაც დაიღუპა.

დაბომბვები არ ცხრება. პირიქით, უფრო და უფრო მატულობს...

რამდენიმე დღით მეუფე თბილისში წავიდა. იქიდან სასიამოვნო ამბავი ჩამოგვიტანა. მოეწყობოდა ღვთისმშობლის ხატით ოჩამჩირისა და გალის რაიონებში მოგზაურობა... მართლაც მოვიარეთ სამეგრელო-აფხაზეთის სოფლები. მოვნათლეთ, ვაზიარეთ ადამიანები. ვიყავით ჯარისკაცებთან. საოცარი სიხარულით გვხვდებოდნენ ყველგან. ყველა ოჯახის კარი ღია იყო ჩვენთვის. ძალიან ბევრი შეიძლება ამაზე ითქვას და დაიწეროს, - მაგრამ ეს სხვა დროს... სამწუხაროდ, ფრონტიდან კარგი ამბები არ ისმოდა. უკან გაბრუნება ვეღარ შევძელით. გზა სოხუმისაკენ მოჭრილი იყო. დავრეკეთ საპატრიარქოში. მეუფემ გვითხრა, უწმიდესი გვირჩევს თბილისში ჩავიდეთ და იქიდან გავფრინდეთ სოხუმშიო.

გულში ჩაგვიკრა უწმიდესმა. მოგვეფერა. ვისაც სურვილი გაქვთ დარჩენის, დარჩითო, გვითხრა. თითქმის ყველანი წავედით.

სოხუმი დაცარიელებული იყო.

საშინელი მსხვრევების დროსაც არ ვწყვეტდით ლოცვებს.

30 ივლისს მეუფეს ორიოდე დღით ისევ თბილისში წასვლა მოუხდა. აეროპორტში გავაცილეთ. გზაში, ავტობუსში. სულ ქართულ სიმღერებს ვმღეროდით... ვაუკაცურს - "შაშვი-კაკაბი", "ბერიკაცი ვარ", "მრავალჟამიერ..." გვინდოდა, გულდამშვიდებული გაგვეშვა... თვითმფრინავი ჯერ არსად ჩანდა. მეუფე სადღაც გავიდა... ვხედავთ, მოფარებულ ადგილზე, მუხლებზე დგას, ხელები ცისკენ აღუპყრია და ლოცულობს... ამ ახალგაზრდა კაცმა სულ მცირე ხანში შეიმატა წლები.

საოცარია, საკმარისი იყო, სოხუმში სროლა

შეწყვეტილიყო, რომ ჩიტები ჭიკჭიკს იწყებდნენ. მზეც სხვანაირად ანათებდა, ცას სილურჯე ემატებოდა, ზღვაც მშვიდდებოდა.

მცირეოდენი, მოჩვენებითი სიმშვიდის შემდეგ კვლავ განახლდა ბრძოლები. ქალაქი დაცარიელებულია. ველოდებით მშვენელ ძალას... აღარ არსებობს კავშირი თბილისთან.

დროებით გადავედით აგუძერაში. საფრთხეს გავეცალეთ... მოდიოდა ჯვართამაღლების დღეები. მეუფემ დაგვარიგა, გაგვამხნევა... გვითხრა, რომ საშობლოსათვის და სარწმუნოებისათვის სიკვდილი დიდი ბედნიერებაა. ყველანი შემზადებულები ვიყავით საამისოდ. სამხედროები დაეინებით ითხოვდნენ ჩვენს წასვლას. სასულიერო პირებს არ ინდობენ და ჯობს გაეცალოთო... გადაწყდა, ღამით დაგვტოვებინა აგუძერა და სვანეთში გადავსულიყავით. გზაზე ყველაფერი იწვოდა. აყრილი ხალხი ბარგით გზას შედგომოდა. მოდიოდნენ ფეხით, ცხენით, ურმით, მანქანით. ბღავილით მოგვდევდა საქონელი. დედებს მოჰყავდათ ჩვილი ბავშვები, მოდიოდნენ ჯარისკაცები, ტანკები. გადაადგილება ჭირდა. სვანეთამდე მივედით. აქ გზა ჩაიხერგა. ავტობუსით გავლაზე ოცნებაც ზედმეტი იყო. დავტოვეთ ავტობუსი. მეუფემ გვიბრძანა, მხოლოდ აუცილებელი აგვეღო და ფეხით გვევლო. მამა პავლე, დედა ილარია, ლია და კიდევ რამდენიმე კაცი დარჩნენ საკენში. მამა პავლეს ფეხი ჰქონდა ნაღრძობი და ტკიოდა, სხვებსაც უჭირდათ ფეხით სიარული.

გაბაწრულები შევუდექით გზას. ცრიდა. თითქმის 50 კილომეტრი შეუსვენებლად გვატარა მეუფემ. საღამოს მივაღწიეთ ტყემდე. გული აგიტირდებოდა ხალხის შემხედვარეს... მოხუცები, ფეხმძიმე ქალები, ჩვილიანები, პატარები, დედაწულიანად აყრილი ოჯახები - ფუთები, ჩემოდნები... შემზარავი სანახავი იყო. მეორე დღეს ჭუბერში ჩავაღწიეთ. დავბინავდით. მეუფე დანიელმა მაშინვე საქმეში ჩაგვაბა. ვხარშავდით ფაფას და ხალხს ვურიგებდით, ვიხდიდით პარაკლისებს, ნათლობას, ვაზიარებდით ადამიანებს... მრავალშვილიანებს ვურიგებდით ფულს, - რამდენიც გვქონდა. 10 ოქტომბრამდე დავრჩით იქ და მხოლოდ მას შემდეგ, რაც მამა პავლე გამოვიყვანეთ, თბილისში გამოვისტუმრეთ და მცირედ მაინც მოვიხადეთ ვალი, წამოვედით. იქ დარჩა მამა ზურაბი.

დიდი ტკივილით მიგვიღო უწმიდესმა...

დროებით რეზიდენციად გამოგვიყო მარტყოფის ღვთაების მონასტერი. იქ სოხუმის მამები დაბინავდნენ. ჩვენ, დედები კი, შეგვიკედლა ბოდბის წმიდა ნინოს დედათა მონასტერმა.

---

**მონაზონი თეოდორა** (მახვილაძე)

## XXX

სოხუმში წასვლა გადავწყვიტეთ. ეს აზრი ჩემი და მორჩილი ელენეს საუბრისას გაჩნდა მარტყოფის დედათა მონასტერში ცხოვრების დროს. გადავწყვიტეთ ლოცვა-კურთხევა აგვეღო უწმიდესისაგან და თბილისში გავემგზავრეთ. პირველად ჩვენი მოძღვარი - მეუფე დანიელი ვინახულეთ. მან ცოტა შეეჭვებულმა გვითხრა: უწმიდესი ჯერ-ჯერობით არავის თანხმდება სოხუმში წასვლაზე, მაგრამ თქვენ მაინც სცადეთო. გულგატეხილები შევედით უწმიდესთან. ძირითადად ელენე ლაპარაკობდა; მე უხერხულობისაგან რატომღაც მეღიმებოდა; უწმიდესმა, ჩვენდა გასაოცრად, მთელი სერიოზულობით მოგვისმინა და ჩვეული სიმშვიდით გვითხრა: ხვალვე წადით, მეუფე დანიელი გამოგყვებათ და დაგაბინავებთო.

ჯგუფი ნახევარ საათში შევადგინეთ და მოუთმენლად ველოდით წასვლას. ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დავითი ახალგარდაცვლილი იყო და მისმა უწმიდესობამ ეპარქია დროებით მეუფე დანიელს ჩააბარა. სამი ეპისკოპოსი, სამღვდელოება, იპოდიაკვნები და შვიდი მონაზონი აფხაზეთში გავემგზავრეთ. რამდენიმე დღე დაგვჭირდა ეპარქიის საქმეებში გასარკვევად. პირველი დღეების ყველაზე ნათელ მოგონებად ჩემთვის საღამოობით ჩატარებული პარაკლისები დარჩა, რომელსაც სამი მღვდელმთავარი სამღვდელოებასთან ერთად აღავლენდა. რამდენიმე დღეში სტუმრები წავიდნენ და დავრჩით მხოლოდ მეუფე დანიელი და ჩვენ - მონაზვნები.

მონასტერი ქალაქის ცენტრში მდებარეობდა. წირვა-ლოცვა ყოველდღე იყო, მაგრამ ხალხმრავლობაში იშვიათად თუ ნახავდი ქართველს. ამის მიზეზი ალბათ, ისიც იყო, რომ ქართული წირვა კვირაში მხოლოდ ერთხელ ტარდებოდა. დავი-

წყეთ ქართული წირვა-ლოცვების გაძლიერება. ეცდილობდით ქართული წამყვანი ყოფილიყო. მღვდელმთავრის წირვა შერეულად - ქართულ-რუსულად მიდიოდა. არაქართული მოსახლეობა დიდ წინააღმდეგობას და უკმაყოფილებას გამოხატავდა თავიდან, მაგრამ მეუფე დანიელის რბილმა, ფაქიზმა ბუნებამ ყველანაირი უკმაყოფილება ჩააცხრო. მალე იგი ყველასთვის საყვარელი მღვდელმთავარი გახდა. უწმიდესის ლოცვა-კურთხევით, ყოველ შაბათს მონასტერი მოწყალებას გასცემდა. მეუფე დანიელი ხშირად დადიოდა ჯარის ნაწილებში - ქადაგებდა, ნათლავდა, აზიარებდა. ჩვენც თან მიეყავდით. მივდიოდით საავადმყოფოებში დაჭრილებთან, ვუმღეროდით მეგრულ სიმღერებს. რამდენიმეჯერ სისხლიც ჩავბარეთ მძიმედ დაჭრილებისთვის. ჩვენი საკმაოდ სუსტი აღნაგობის დედა აღათია კარგი დონორი აღმოჩნდა; მას ხშირად სთხოვდნენ სისხლს და სანამ ხშირი თავბრუხვევები არ დაეწყო უარს ვერავის ეუბნებოდა.

ზაფხულში აფხაზეთის ყველა კუთხე-კუნჭული შემოვიარეთ. აქ, ისევე, როგორც საქართველოს ყველა კუთხეში, "იეღოველობის" სენი საკმაოდაა მოდებული. რამდენიმეჯერ მათაც შევხვდით. ხშირად ვმოგზაურობდით კომანში. როგორც წესი, ვჩერდებოდით ანუების სახლში (კეთილმორწმუნე ქრისტიანი ოჯახი, ტაძრის აღმშენებლები), სადაც მთელი გულით გვხვდებოდნენ. შეღამებისას ტაძარში ავდიოდით და ღამისთევის ლოცვების შემდგომ, მეუფის კურთხევით, კომანის წყალში ვიბანებოდით. მახსოვს, ნათლისღება ღამეს ლოცვა დილის ექვს საათზე დავამთავრეთ. გარეთ მშვენიერი ფუმფულა თოვლი იდო. მე სიცივისგან ისედაც კბილებს ვაკაწკაწებდი და იმისი წარმოდგენაც კი მზარავდა, რომ ამ გაყინულ წყალში უნდა ჩავსულიყავი და მერე თოვლზე ფეხშიშველას გამევლო. არაბუნებრივად სწრაფი მოძრაობებით ვემზადებოდი წყალში ჩასასვლელად. სამჯერ ჩაყვინთვის შემდეგ უკვე ყოველგვარი შიში უკან იყო; სიცივეს ვეღარ ვგრძნობდი. ანუების სახლში ნუგეშად თბილი ბუხარი და ტრაპეზი გველოდებოდა.

სოხუმში ძლიერი დაბომბვა რომ იწყებოდა, ტაძარში ჩავდიოდით და მიწყნარებამდე ვლოცულობდით. ერთი წლის განმავლობაში ისე მივეჩვიეთ ბომბების ხმას, რომ ღამით აღარც კი გვეღვიძებოდა. მე თბილისში ყოფნისას გავიგე, ჩვენს სახლს ბომბი რომ დასცემია. ორ დღეში ჩავედით სოხუმში. ჩვენები ნინოშვილის ქუჩაზე იყვნენ გადასულები, უწმიდესის მიტროპოლიტობის დროინდელ სახლში. დედები თავიანთ განცდებზე გვიყვებოდნენ. სულიერად ძალიან დაღლილები ჩანდნენ. მათ თვალწინ გარდაცვლილა რუსი მორჩილი-მარია, რომელიც ჩვენთან ცხოვრობდა. ახალჩამოსულებმა ჩვენს დაბომბილ სახლს მივაშურეთ. მამა სერგის კელიაში ვნახეთ რკინის ის საზარელი მასა, სახლი რომ დააზიანა. ოთახის კედელი მთლიანად ჩალეწილი იყო. კიბის ორი საფეხური ისე იყო გაღუნული, კარგი ნახტომი უნდა გაგეკეთებინა, ზემოთ ასასვლელად. მძიმე სანახავი იყო იქაურობა. ღვთის წყალობით, ნელ-ნელა ყველაფერს ძველი იერი დაუბრუნდა. ნინოშვილის ქუჩიდან ისევ დაბრუნდით ჩვენს სენაკებში.

ჩაიარა მძიმე ზამთარმა და დიდმარხვამ. მალე მონასტრის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი რამ მოხდა - ჩვენი მორჩილები დედები გახდნენ. საოცარი იყო მათი აღკვეცის ღამე: მშვიდი, თბილი.

"დაჲ ესე ჩვენი მონაზონი... (მეუფე დანიელს აქ რატომღაც გრძელი პაუზის გაკეთება უყვარს) აღათია შეიკვეცს თმასა..."

ახლადაღკვეცილ ადამიანზე მშვენიერი სანახავი არავინაა ამ ქვეყანაზე. მამათა მონასტრიდანაც (ნინოშვილზე ამჟამად უკვე მამათა მონასტერი იყო) კიდევ ერთი ბერი (მამა სვიმონი) შეემატა.

მეუფე დანიელი და რამდენიმე სტუმარი თბილისში გაემგზავრნენ. დავრჩით ჩვენ ოთხნი და ერთიც მეუფის მრევლიდან, მამებთან - მამა ანტონი და მორჩილი მამუკა (ახლა მღვდელ-მონაზონი მიქაელი). თხუთმეტ სექტემბრამდე ყველაფერი წყნარად მიდიოდა; ვიფიქრეთ, ამოვისუნთქეთო, რომ უეცრად რამდენიმე ბომბი ჩამოაგდეს სოხუმში. ირღვეოდა ხელშეკრულება, რომლის თანახმად ჩვენი ჯარები და საბრძოლო ტექნიკა აღარ იმყოფებოდა სოხუმში. სოხუმს არავინ იცავდა. გამახსენდა წინა ღამის სიზმარი: პირდაფჩენილი ლომის საზარელი ღრიალი. ხალხში მღელვარებამ იმატა; სოხუმის აღება უკვე ძალზე რეალური იყო. მახსოვს, საღამოს ვიღაც კაცები მორბოდნენ ყვირილით: "ძიძარიაზე არიან, ძიძარიაზე!". ძიძარიას ქუჩა სულ ახლოს იყო ჩვენი სახლიდან. კარგად ვიცოდით, რომ არავის დაინდობდნენ აფხაზები და სიკვდილი ჩვენთვის სანატრელი გამხდარიყო. მე იერარქიით უპირატესი ვიყავი დედებს შორის და რამე უნდა გადამეწყვიტა. პირველად ვიფიქრე, მათი შემოსვლისას ეკლესიის კუნჭულებში დავმალულიყავით, მაგრამ მალე მივხვდი, რომ ამას აზრი არ ჰქონდა. ქვემოთ ერთი რუსი მღვდელ-მონაზონი, მამა ვიტალი ცხოვრობდა, რომლისთვისაც შეიძლება, სულერთი იყო, ვინ იქნებოდა სოხუმში - აფხაზები თუ ქართველები, მაგრამ ჩვენ ვეცოდებოდით და თანაგვიგრძნობდა. ღმერთს ვთხოვდი, მისი პირით თავისი ნება განეცხადებინა ჩვენთვის. მივედი მასთან და ვკითხე: "როგორ გვირჩევთ, დავიმალოთ, გავიქცეთ?"... ილოცეთო, - მიპასუხა. ამის გაგონებაზე რატომღაც ძალიან დავწყნარდი. მერე ვკითხე: "აფხაზებმა შეუ-

რაცხყოფის მოყენება რომ დაგვიწყონ, თვითმკვლელობაში ჩაგვთვლება სარკმლიდან რომ გადმოვხტეთ?" არა, მოწამედ შეირაცხებითო. მერე დაამატა: "იქნებ აქამდე არც მივიდეს საქმე". წამოვედი. დედებს ვუთხარი, ყველანი შევიმოსოთ და ტაძარში ჩავიდეთ-მეთქი. ბერი ანტონი და მორჩილი მამუკაც ჩვენთან იყვნენ. ჩვენი ერთი ძრეველთაგანიც თან გვახლდა - მერაბი, რომელსაც კაბა ჩავაცვით, რომ ყველანი ერთნაირად ვყოფილიყავით შემოსილნი (რამდენიმე თვეში ისიც ბერად აღიკვეცა სვეტიცხოველში). ტაძარში ჩავედით და ლოცვა, რა თქმა უნდა, ღვთისმშობლის პარაკლისით დავიწყეთ... "ყოველი სახოება შენზედა დამიძს, დედაო ღმრთისაო, დაჰაცევ მე საფარველითა შენითა" - ვვედრებოდით ჯოვლადწმიდა ღვთისმშობელს. ლოცვა რომ დავამთავრეთ, ლიამ (სტუმრად იყო ჩვენთან), ამბავი მოგვიტანა - თბილისის აეროპორტი სოხუმში გამოსამგზავრებელი ხალხითაა სავსეო. ერთობის თბილი განცდა დამეუფლა, მაგრამ მალე ისეთი დაბომბვა დაიწყო, ყველაფერს ლაწალუწი გაჰქონდა. გამახსენდა: კაშპიროვსკის თბილისური სეანსების დროს სამთავროს მონასტერი იესოს ლოცვას კითხულობდა... უცებ, ლოცვის დროს, ერთი მორჩილი შემოვიდა და გვითხრა, კაშპიროვსკის სეანსი ჩაეშალაო. ახლაც, ზუსტად იმ წესით, რიგ-რიგობით დავიწყეთ იესოს ლოცვა. საოცარი ის იყო, რომ როგორც კი ლოცვას მოვადუნებდით, განსაცდელი მეტი ძალით მოდიოდა, გავაძლიერებდით და, რაღაც ნუგეშს ვღებულობდით ინფორმაციის სახით. მე, რა თქმა უნდა, იმისი თქმა არ მსურს, რომ აფხაზეთის ბედი ჩვენს ლოცვაზე იყო დამოკიდებული, მაგრამ ჩვენგან ღმერთი რომ ლოცვას ითხოვდა, ამას კი ნამდვილად ვგრძნობდით. ყველა წმიდანს კთხოვდით შეწევნას; წავიკითხეთ ყველა დაუჯდომელი და პარაკლისი, ყველა ხატთან კანდელი და სანთელი ენთო. "საქართველოს დიდების" ხატს განსაკუთრებულად ვვედრებოდით. როგორც აქნა, გათენდა. სროლა ჩაცხრა. მოუთმენლად ველოდით ფოსტის გახსნას, რომ უწმიდესთან დაგვერეკა. მისი ხმა რომ გავიგონე, უკვე აღარაფრის მეშინოდა: "მაშ, შენ ფიქრობდი, რომ მოკვდებოდი? ჯერ ადრეა, შენ ჯერ არა ხარ მზად სიკვდილისათვის"... უწმიდესის მანუგეშებელი სიტყვები გადავეცი დედებს. ის ღამეც ტაძარში გავათენეთ. მეორე დღესაც უწმიდესს ველაპარაკე ფოსტიდან. მითხრა: მეც ჩამოვალ, მეუფე დანიელიც აქ არის და დაველაპარაკეთო. მეუფე ძალიან დამწუხრებული მომეჩვენა. მისი ჰიმძიმილის მიზეზი ამ მძიმე ჟამს სოხუმში არყოფნა იყო. შევიტყვეთ, რომ მეორე დღეს მისი უწმიდესობა, მეუფე დანიელი და სამღვდელობის დიდი ნაწილი მოემგზავრებოდა სოხუმს. ველოდით, უწმიდესის სოხუმში ჩამოსვლა საშიში იქნებოდა. საღამოს შორენამ (პატრიარქის მდივანი) შემატყობინა, უწმიდესი ჯერ არა, მაგრამ მეუფე დანიელი კი ხუთ საათზე გამოფრინდება ჯგუფთან ერთადო. მძღოლს დავურეკეთ, ბენზინი ვიშოვეთ და მეუფის შესახვედრად გავემგზავრეთ მამა ანტონი, მორჩილი მამუკა, მე და სამონაზვნე მელანია (ახლა მონაზონი ელისაბედი). ბომბები ჩვენს ირგვლით ეცემოდა. განუწყვეტლივ ბომბავდნენ აეროპორტს. და აი, როგორც იქნა, ის თვითმფრინავიც დაჯდა, რომელსაც ველოდით. პირველები ვიდექით ტრაპთან, მაგრამ ჩვენები არ ჩანდნენ. ძლივს დავრეკეთ თბილისში. გვეუბნებიან, მეუფე დანიელი მარტყოფში წავიდაო. გაოცებისა და დაბნეულობისაგან აღარ ვიცოდით რა გვექნა. დაველოდეთ სხვა თვითმფრინავს, რომელიც ვერ დაჯდა აეროპორტის ძლიერი დაბომბვის გამო და დაბრუნდა თბილისში. უკვე ბნელოდა; სოხუმში ჩვენი დედები გველოდნენ. გადავწყვიტეთ მამები აეროპორტში დარჩენილიყვნენ, მე და დედა ელისებედი კი სოხუმში გავემგზავრეთ მეომრების ავტობუსით.

როგორც იქნა, მივაღწიეთ სახლამდე. ტელეფონით შევიტყვეთ, რომ მეუფე დანიელი სწორედ იმ თვითმფრინავში მჯდარა, აეროპორტში რომ ვერ დასვეს დაბომბვის გამო. მარტყოფი იმიტომ უხსენებიათ, რომ არ შეგვშინებოდა. როგორც იქნა, გათენდა. მართლაც, ჩამოვიდნენ მეუფე დანიელი, მამა პავლე და სამიოდე სხვა ადამიანი; ახლა კი, ცოტა შეგვიმსუბუქდა ომის სიმძიმე.

ოცდაერთ სექტემბერს ღვთისმშობლის შობა ვიდღესასწაულეთ. განუწყვეტელი გრუხუნისა და შინაგანი დაძაბულობის გამო ძილი არ მეკარებოდა. გასაკვირი ის იყო, ძალიან ფხიზლად ვგრძნობდი თავს დღეცა და ღამეც. ხშირად ღამით 1-2 საათი თუ მეძინა, ვერ ვისვენებდი. აღელვებული ხმა შემომესმა; წამოვდექი. ჩვენებიდან ზოგი ტაძარში იყო, ზოგი მეუფესთან; სროლა გახშირებული იყო. ერთი ახლობელი მეომარი მოვიდა და გვითხრა, პოზიციები დატოვებულია, დღეს სოხუმის აღება გარდაუვალია და დროზე გადითო. ჩვენ საწვავიც არ გვქონდა და არც ვიცოდით, ამ შუა ღამისას, როგორ წავსულიყავით. საბოლოოდ, დარჩენა გადავწყვიტეთ. დილით მე და მამა პავლე, მეუფის ლოცვა-კურთხევით, წავედით უწმიდესთან დასარეკად, მაგრამ ფოსტა აღარ მუშაობდა; არანაირი კავშირი თბილისთან არ არის და არც იქნებაო, - გვითხრეს. წავედით მთავრობის სახლში, უწმიდესს რაციით მაინც რომ დაკავშირებოდით. პანტაპუნტით ცვიოდა ჭურვები. ჟიული შარტავამ თბილად მიგვიღო. რატომ არ გადიხართო, - გვკითხა. "თქვენ როცა გახვალთ, ჩვენც მაშინ გავალთ", - ვუპასუხეთ. ჩაეღიმა. "ჩვენ შეიძლება არ გავიდეთ", - თქვა მან. მივხვდი, რომ ამ ადამიანს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი სოხუმიდან

არსად წასულიყო. იმ დღესაც გადავრჩით. დადგა 24 სექტემბერი. ღირსი თეოდორე ალექსანდრიელის ხსენების დღე იყო. წირვაზე ვეზიარე. მეუფესთან მოვიდა გენერალი გენო ადამია. ძალიან უყვარდა მეუფე დანიელი და საერთოდ, ეკლესიის მსახურები; როცა რამე გვიჭირდა, პირველად ის გამორბოდა ჩვენს დასახმარებლად. ახლა ძალიან საწყლად გამოიყურებოდა. სხეული რამდენიმე ადგილას დასახიჩრებული ჰქონდა. თან ახლდა მისი საყვარელი მეომარი - კოტე, რომელიც მასთან ერთად დაიაღუპა რამდენიმე დღის შემდეგ. ორივემ სანთლები დაანთეს ეკლესიაში, ილოცეს; მეუფესაც კარგა ხანს ესაუბრნენ. ცოტა მოგვიანებით კიდევ ერთი მორწმუნე მეომარი მოვიდა, მეუფის ნახვა უნდოდა. ისიც დაჭრილი იყო და კოჭლობდა (მომავალში მარტყოფის მორჩილი). არ ვიცი, ვინ რა უთხრა მეუფეს, მაგრამ ცოტა რომ მოსაღამოვდა, გვაკურთხა, ყველანი ავტობუსში ჩასხედით, დროებით აგუძერაში მივდივართო. მე მხოლოდ აუცილებელი ნივთები და რამდენიმე ხატი წავიღე. ვფიქრობდი, ალბათ, ერთ-ორ კვირაში დაბრუნდებითმეთქი. არ მინდოდა იმის დაჯერება, რომ იქაურობას ვემშვიდობებოდი. თვალი შევაკლე ჩემს პატარა სენაკს, თაყვანი ვეცი დარჩენილ ხატებს, ჩემი მფარველი წმიდა თეოდორას ხატი რატომღაც დავტოვე, ვიფიქრე, რომ დაბრუნდები, აქვე დამხვდება-მეთქი; ჩაკეტე ოთახი და წამოვედი (გასაღები დღესაც სახლში მაქვს). მეუფემ რამდენჯერმე გაიმეორა, აგუძერაში მივდივართ და მალე დაბრუნდებითო. დედა სერგიას ცრემლები მოადგა თვალზე, ჩამიხუტა. დამპირდა, ყოველთვის ვილოცებ თქვენთვისო. მამა ვიტალიც გულდაწყვეტილი გვიყურებდა. ამასობაში ჩვენი ავტობუსი ისე გავსებულიყო, ძლივს ავძვერი. აგუძერა სოხუმიდან რამდენიმე კილომეტრშია. მთელი ქალაქი შავი ბურუსით იყო მოცული. ისეთი განცდა მქონდა, თითქოს საშინელ გველეშაპს უნდა გადაეყლაპა სოხუმი. მივედით აგუძერაში. გავნაწილდით ზოგი ოჯახებში, ზოგიც იქვე ეკლესიაში. გათენდა 25 სექტემბერი. დილით ყველანი ტაძარში შეეიკრიბეთ პარაკლისის ჩასატარებლად და საღამოს ლოცვისთვის მზადებას შეეუდექით (26-ში ქეთევანობა იყო). ძალიან ვთხოვდით დიდმოწამე ქეთევანს შეწევნას. მაგრამ ეტყობა, ჩვენი განწმენდისათვის ღმერთმა დაუშვა ეს განსაცდელი. ამ დღეს მეუფე დანიელმა მერაბს მორჩილის კაბა უკურთხა და ბიძინა დაარქვა. მისი მშობლები თან გვახლდნენ. დედას თავიდან გაუჭირდა... ორი ბიჭი მყავს და ორივე ბერები, ერთი შვილიშვილი როგორ არ უნდა მეღირსოსო. მალე თვითონაც მოსოზვნობაზე დაიწყო ფიქრი, მაგრამ მერე მეუღლე გაახსენდა.

იმ ღამეს გავიგეთ, კოდორიდან დიდი დამხმარე ძალა უნდა შემოსულიყო. მთელი ღამე ველოდებოდით, მაგრამ ამაოდ. 26-ში საღამოს ჯვართ-ამაღლების წინასადღესასწაულო ლოცვა ჩავატარეთ. ლოცვის შემდეგ კიდევ ერთი შეიმოსა მორჩილის კაბით (ამჟამად მარტყოფის მონასტრის წინამძღვარი). აი, დადგა 27 სექტემბერი, მაცხოვრის ჯვრის ამაღლების დღე. ამ დღეს მოხდა სოხუმის აღება. ამ დღეს ყველა ტაძარში იგალობება ტროპარი: "აცხოვნე უფალო ერი შენი და აკურთხე სამკვიდრებელი შენი. ძლევა ჯვარითა ბარბაროზთა ზედა ღვთივდაცულსა ერსა შენსა მოანიჭე და ერი შენი საფარველსა ეკვეშე მისსა დაიცავ, რათა ვიტყოდეთ უფალო, დიდება შენდა." ამ დღეს აგუძერაში წირვა აღესრულა. ამ დღეს ისევ მოვიდა ის მეომარი, წასვლა რომ გვირჩია სოხუმიდან (შემდგომში მორჩილი ამირანი). დიდი მღელვარება იგრძნობოდა. გვითხრეს, რომ სოხუმში ძალიან ცუდად იყო საქმე. საღამოს დაძაბულობამ უფრო იმატა. მეუფის ლოცვა-კურთხევით, საწვავზე მამა პავლეს და მე უნდა გვეზრუნა. საწვავს უფასოდ არიგებდნენ. მე ერთადერთი ქალი ვიყავი ბენზინის რიგში. როგორც იქნა, ჩამისხეს ბენზინი. მალე მამა პავლეც მოვიდა ავტობუსით. აფხაზებს გაუგიათ, ბენზინს არიგებენო და ამ ადგილას უცებ ძლიერი დაბომბვა დაიწყო. ბომბები იმდენად ახლოს ცვიოდა, რომ ყურები მტკიოდა ხმაურისგან. მოფარებულ ადგილზე ვიდექი, მარტო. რატომღაც გაუაზრებლად ჩავიკუზე და პირველად ჩემს ცხოვრებაში ხმამაღლა ვიყვირე: "ღვთისმშობელო, მიშველე!". არ ვიცი, რამდენ ხანს გაგრძელდა ეს საშინელება, მაგრამ როცა ყველაფერი მიჩუმდა, გამოვედი და დავინახე, რომ კაცის ჭაჭანება არ იყო ბენზინთან. მამა პავლეს გაუვსია მანქანის ავზი და ძალიან კმაყოფილი იდგა. ამ აურზაურში ვიღაცას მოუსწრია ჩემი სიმწრით ავსებული ბენზინის ბიდონის მოპარვა. ბენზინი ბევრი იყო, მაგრამ ჭურჭელი აღარ გვქონდა. დავბრუნდით აგუძერაში. მამა პავლემ იფიქრა, რომ ავტობუსის ავზში ჩასხმული ბენზინი არ გვეყოფოდა ქუთაისამდე ჩასავლელად და გადაწყვიტა მეორედ წასვლა საწვავისთვის. მეუფე დანიელმა აღარ გამიშვა მამა პავლესთან ერთად. ცოტა ხანში, მამა პავლე კოჭლობით დაბრუნდა. გზაში ავარია მოხვლიათ. მამა პავლემ ფეხი იღრძო კოჭთან, მორჩილმა ბიძინამ კი ცხვირი დაიზიანა. ღვთის წყალობით, ორივე ცოცხალი გადარჩა.

ჩვეულებრივ, როცა ქალაქს ბომბავდნენ, თვითმფრინავებიდან გასანათებელ საშუალებებს ყრიდნენ, რომ ქალაქი კარგად გამოჩენილიყო. ლამაზი სანახაობა იყო, მაგრამ ასეთი განათების შემდგომ ვიცოდით, რაც გველოდა. 27-ში, საღამოს, აგუძერადან დავინახე, რომ სოხუმი მთლიანად განათებული იყო. ვიფიქრე, დაბომბვას დაიწყებენმეთქი, მაგრამ ამჯერად ისინი უკვე გამარჯვებას

ზეიმობდნენ. ამ შემზარავმა სურათმა ყველას თავბარი დაგვცა. ვუყურებდით, როგორ ეცემოდა მრავალჭირნახული ქალაქი. დრო აღარ გვრჩებოდა. გავუდექით სვანეთის გზას. ამ გზას ადგა თითქმის ყველა, ვინც კი გადარჩა. ყველა გარბოდა საშინელი ურჩხულისაგან. სიკვდილი ყველაზე კარგი გამოსავალი იყო მათთვის, ვინც მის კლანჭებში მოხვდა. შეურაცხყოფის, დაცინვახ, ტანჯვა-წამების, ნამუსის შებღალვის შიში აიძულებდა ყველას გაქცეულიყო საკუთარი მიწიდან. არ დამავიწყდება მეომრების სახეები. მათი დანახვა თითქოს ზღვარი იყო, რომელსაც ხასოწარკვეთილებაში უნდა ჩავეგდე. არ ვიცი, რამ გადამატანინა ეს ყველაფერი. გზა მანქანებით იყო ჩახერგილი. ერთი-ორჯერ შეგვაშინეს, წინ აფხაზები არიანო. ღმერთმა არ გაგვწირა. 27-ის ღამე ავტობუსში გავატარეთ. დილით მივაღწიეთ სოფელ საკენამდე. დავანთეთ ცეცხლი, ცოტა პურიც გამოვაცხვეთ ნაკვერცხალზე. წინ მძიმე გზა გველოდა. ჯგუფის ერთი ნაწილი საკენში დარჩა, მამა პავლესთან. მას სიარული არ შეეძლო. მეუფე დანიელი და ჯგუფის მეორე ნაწილი გზას ფეხით გავუდექით სვანეთის მთებისკენ. დაუსრულებელი იყო აღმართ-დაღმართები. ეს ღამე ტყეში გავათენეთ, კოცონთან. საშინლად დაღლილებს ჩაგვეძინა. იმ დღესაც ფეხით გადავარეთ 9 მთა. მეუფე დანიელი ცდილობდა გაემხნევებინა სასოწარკვეთილების პირას მისული ხალხი. "გეშველება რამე?" - ამ კითხვას გვისვამდა ყველა. ჩვენ მეუფე დანიელთან ერთად ხშირი მოგზაურობების შედეგად გაწვრთნილები ვიყავით სიარულში, ბევრისთვის კი მართლა გოლგოთის გზა იყო ეს დაუსრულებელი, უსასრულო აღმართ-დაღმართები. როგორც იქნა, მივაღწიეთ ჭუბერამდე. ამ სოფელს უკვე უამრავი ხალხი ჰყავდა შეფარებული. ჩვენმა სვანმა მასპინძლებმა მთელი გულით მიგვიღეს, მაგრამ სიკვდილისა და უსასოობის გრძნობა არ გვტოვებდა. ჭუბერში, უკვე სამშვიდობოს გამოსულს, უფრო გამიმძაფრდა განცდა, რომ აფხაზეთი წაგვართვეს. თბილისიდან ჩამოსულმა კორესპოდენტმა შეგვატყობინა, რომ, თურმე, ტელევიზიაში, როგორც დაკარგულებს, გვაცხადებენ. მეუფე და მამები მამა პავლეს გადმოყვანის ამბით იყვნენ დაკავებულნი. მე და დედა აღათია თბილისში წამოვედით მეომრების მანქანით. ამდენი ხნის დუმილის შემდეგ მესტიიდან დავრეკე საპატრიარქოში. შორენა ძლივს დავაჯერე, რომ მე ვიყავი. მერე სახლში დავრეკე. დედაჩემმა მითხრა, მამაშენი და შენი ძმა შენს საძებნად არიან წამოსულებიო. მართლაც, ქუთაისში შემხვდნენ. ჩამოვედი თბილისში. დედაჩემი ტირილით შემომეგება. მიხუტებდა, მეფერებოდა. იმედი დაუკარგავს, რომ ცოცხალი ვარ. ამბობდა თურმე: ოღონდაც არ აწამონ ჩემი შვილი, შეურაცხყოფა არ მიაყენონ და თუნდაც მოკლანო. მკვდარივით ვეგდე საწოლზე. ფიქრის თავიც არ მქონდა. მალე საპატრიარქოდან დარეკეს, გელოდებითო. უწმიდესის დანახვამ შინაგანი მდგომარეობა შემიმსუბუქა. მომეფერა, დამიყვავა, დაწვრილებით მომაყოლა ყველაფერი.

კარგა ხანს, თითქმის ყოველ ღამით, სოხუმი მესიზმრებოდა. შუაღამით ვიღვიძებდი. დავიძინებდი, ისევ სოხუმს ვხედავდი. სხვებს რომ ვკითხე, ისინიც ასე ყოფილან. დედაჩემი დაძინების წინ ვალერიანის წვეთებს მაძლევდა. ასეთი სიმძაფრით არასოდეს განმიცდია სიკვდილის სიახლოვე. "სწავლით განმსწავლა მე უფალმან და სიკვდილსა არ მიმცა მე". მადლობა ღმერთს ყველაფრისათვის. ახლა ყველა მოუთმენლად ველით იმ დღეს, როცა დავუბრუნდებით ჩვენსავე მიწა-წყალს, ჩვენს ეკლესიებს, წმიდა ადგილებს, რომლებიც ასე უხვადაა აფხაზეთში. მენატრება ჩემი პატარა კელია, ასე მგონია, იმასაც ვენატრები. მწამს, ღვთის წყალობით ყველაფერი მოგვარდება. "უფალმან მიაგოს ჩემ წილ. უფალო, წყალობა შენი უკუნისამდე, ქმნულსა ხელთა შენთასა ნუ უგულებელსყოფ".

> მრავალთა ცოდვათაგან დაცემულნი
> აღგვადგინენ, და სულთა და ხორცთა ჩვენთა
> სენნი განკურნენ ღვთისმშობელო,
> რომელნი საფარველსა შენსა მივილტვით,
> რამეთუ შენ ხარ მკურნალი ყოველთა

## მამა ანდრია ყურაშვილი

ეს საოცარი ადამიანი პირველად სხალთის მონასტერში ვნახე. მაშინ მამა ანდრია ჯერ მორჩილიც არ იყო, პაატა ერქვა. (ამ მონასტერში ხშირად ჩავდიოდი სამთავროდან მეუფე დანიელის იქ ყოფნისას). პაატა გარეგნულად არაფრით გამოირჩეოდა. გარდა იმისა, რომ ძალიან იშვიათად თუ ამოიღებდა ხმას. სწორედ ამით მიიქცია მან ჩემი ყურადღება. მამა ეფრემს კითხე (მაშინ ისიც ამ მონასტერში მოღვაწეობდა), როგორია ეს ადამიანი, ხმას რომ არ იღებს-თქვა. შეაქო, ძალიან თავდადებული მლოცველია და მოშურნეო, საათობით მელოდება ტაძარში ლოცვის დაწყების წინო. მახსოვს, ერთხელ მეუფე და მამა ეფრემი წამოსულები იყვნენ სხალთიდან და პაატამ სულ მარტო გაატარა მარხვა და დღესასწაულსაც მარტო შეხვდა, უდრტვინველად. მალე მისი ბერად აღკვეცის ამბავიც გავიგე. ხელდასხმა გერგეტის სამებაში აღსრულდა. აღარ მახსოვს, როგორ და რა ვითარებაში დავუახლოვდი მამა ანდრიას, მაგრამ სოხუმში რომ წამოვიდა, უკვე ძალიან ახლობელი იყო ჩემთვის. ხშირად მაძლევდა დარიგებებს. პირველად ცოტა მიკვირდა. ვფიქრობდი, ამ "ღვაწლმოსილ" მონაზონს ეს გუშინდელი აღკვეცილი რატომ მარიგებს-თქო, მაგრამ დიდი გულისყურით ვუსმენდი. არ დამავიწყდება მისთვის ჩვეული იმერული კილოთი წარმოთქმული სიტყვები: "რაფერ მეცოდები, იცი დედაო, ამ გარეგნულ საქმეებში როდემდე უნდა იტრიალო მონაზონმა!" გონიერი და დაკვირვებული იყო. ცხოვრებაში პირველად უნდა ჩაეტარებია პირველშეწირულის წირვა ჩვენს ეკლესიაში. საღამოს ვათხოვე "წმიდა მსახურების სამაგიდო წიგნი". ვიფიქრე, დავეხმარები რაღაცრაღაცეების გაგებაში- თქვა, მაგრამ უჩემოდაც მშვენივრად გაერკვა და მეორე დღეს წირვა-ლოცვაზე არაფერი შეშლია.

ერთ საღამოს კომანიდან სოხუმში ფეხით ჩამოვიდნენ მამა ანდრია და გაბრიელი. ძალიან დაღლილები და მშივრები იყვნენ. ჩვენ, რა თქმა უნდა, სუფრა გავუშალეთ და ივახშმეს. როცა მაგიდას ვალაგებდი, თვალში მომხვდა, როგორი ზომიერებით ჰქონდა მიღებული საზრდო. ეტყობოდა, რომ გონებაში აწონილი ჰქონდა ყოველი ლუკმა. რაღაცეებს პირი საერთოდ არ დაეკარა. მშიერისათვის ამ ზომის დაცვა, ალბათ, უფრო ძნელია, ვიდრე მთლიანად თავის შეკავება საზრდოსაგან. მერე გვერდზე გამიხმო, რაღაც ეჭვები აწუხებდა. მე ჩემი აზრი გამოვთქვი და გამაოცა, რა სიმდაბლით მიიღო ჩემი რჩევა.

მისი დაღუპვის წინ ვიყავით კომანში. უკვე საკმაოდ საშიში იყო იქ სიარული. მამა ანდრიამ შუაღამის წირვა-ლოცვის შემდეგ წმიდა ვასილისკოს საფლავზე წაგვიყვანა პარაკლისის გადასახდელად. ეტყობა, აფხაზებმა შეგვამჩნიეს და საშინელი სროლა ატეხეს. მამა ანდრიამ მშვიდად, აუჩქარებლად დაამთავრა პარაკლისი და ასევე მშვიდად დავბრუნდით ტაძარში. გზაში რომ მივდიოდით, საინტერესო საუბარი გვქონდა. სამწუხაროდ, ყველაფერი არ მახსოვს... ბოლო დროის ბერ-მონაზვნობაზე ვლაპარაკობდით. მამა ანდრიამ თქვა, რომ მის სულთან ყველაზე ახლოა წმიდა სილოვანე ათონელი. საუბარი ძველ ბერებზე და მონაზვნებზე დავიწყეთ. ის ცდილობდა ყველაფერში ძველი მამებისთვის მიებაძა. ფრთხილი და ზომიერი იყო ურთიერთობაში. საერთოდ, მარტოობა ერჩივნა. ის და ღმერთი, ეს იყო მისი ცხოვრების ღერძი. სულ ისწრაფოდა განდეგილობისკენ. ერთხელ ხუმრობით ვუთხარი, "ხიბლში" ხარ-თქო (გულში ნამდვილად არ ვფიქრობდი ამას. დაფიქრდა, მერე მითხრა: "დედაო, ჩემთვის ეს დიდი ღვაწლი კი არ არის, უბრალოდ არ შემიძლია სხვანაირადო".

ერთხელ, სამღვდელოება და მონაზვნები მეუფე დანიელის კურთხევით, წავედით მამა სერაფიმეს (სოხუმელი) სახლის საკურთხებლად. ჩვენს შორის იყო მამა ანდრია. ყველანი ძალიან ახლობლები ვიყავით. თავდაპირველად ყველაფერი სამღვდელოებისათვის საკადრისი ღირსებით მიდიოდა, მაგრამ როცა მამა სერაფიმეს ეზოში მანდარინის პლანტაციას წავაწყდით, პატარა ბავშვებივით შევესიეთ და დავიწყეთ ჭამა. პირველად ვნახე მამა ანდრია განრისხებული. მისი სული ვერ შეეგუა ღვთაებრივის გაუბრალოებას. ერთ-ერთი მორჩილი მისმა მრისხანებამ გააღიზიანა და იწყინა. მამა ანდრია საშინლად შეწუხდა, ვიღაცას რომ აწყენინა და აღარ იცოდა, რა მოემოქმედა.

ძლივს შევეგუე მამა ანდრიას სიკვდილის თავზარდამცემ ამბავს. ერთხელ სიზმარში ვნახე, თავის საფლავს მაჩვენებდა და ჩვეული უბრალოებით მითხრა: არაფერი ბევრი არ უნდა, წნულით შემოღობეთო.

არ ვიცი, შეირაცხება თუ არა იგი წმიდანად, მაგრამ მე მას ხშირად ვთხოვ შეწევნას ჩემი სულისთვის.

მოწყალე ექმენ ერსა შენსა, სახიერ,
და უგულებელს ჰყუენ შეცოდებანი ჩუენნი,
მეოხებითა დედისა შენისათა, რომელიცა
სათნო-იყავ სამკვიდრებელად შენდა,
ყოვლად-ძლიერო, და გვიხსენ ყოველთაგან
მტერისა საფრთხეთა, და განსაცდელთა.

აცხოვნე, უფალო, ერი შენი,
და აკურთხე სამკვიდრებელი შენი,
ძლევა ჯვარითა ბარბაროზთა ზედა
ღვთივ-დაცულსა ერსა ჩვენსა მოანიჭე
და საფარველსა ქვეშე მისსა დაიცევ,
რათა ვიტყოდეთ - უფალო, დიდება შენდა.

ღმერთო, შეწევნასა ჩუენსა მოხედენ;
უფალო, შეწევნად ჩუენდა ისწრაფე

ფსალმუნი 69.1.

# ფ ო ტ ო

აღსდეგ, უფალო, ღმერთო ჩემო,
რამეთუ შენ დაამხე ყოველნი, რომელნი
მემტერებიან ამაოდ, კბილნი ცოდვილთანი
შენ შემუსრენ, უფალო ჩემო.

ფსალმუნი

# მ ა ტ ი ა ნ ე



მღვდელი პავლე ფაჩუაშვილი

## XXX

1992 წლის დეკემბერი. პირველი ჩასვლა სოხუმში... შთაბეჭდილება უჩვეულო, მძიმე... აეროპორტში მავთულხლართები, გაზონებზე გილზები, უამრავი, გასაოცრად ბევრი. მოჭრილი, გზებზე დაყრილი ხეები. ყველაფერი გაჩანაგებული. სიცივე... საშინელი სიცივის განცდა. მაინც, მაშინ არ იყო სოხუმი ძლიერ დაზიანებული. თუმცა, ყველგან გამუდმებული სროლების ხმა ისმოდა.

ცნობიერებაში ცოცხლდება ის დღეები... ასე მგონია, იქ აღარავინ აღარაა. დარჩა მხოლოდ ჩალეწილი ფანჯრები, გადამწვარი სახლები, დანგრეული ქუჩები...

...ვიყავი რამდენჯერმე. ერთხელ ქალაქს რომ ვაკურთხებდით, ერთ-ერთ ქუჩაზე, იქვე, ჩვენს ახლოს ყუმბარა გასკდა. ეს პირველი ყუმბარა იყო... მერე მაღლიდანაც განუწყვეტლივ ბომბავდნენ სოხუმს. ყოველ ფეხის ნაბიჯზე დასახიჩრებულ ხალხს ეხვდებოდით. თავზარდამცემი იყო პატარა გოგო, 16-17 წლისა, ბავშვით ხელში, მკერდზე ახალგაზრდა ბიჭის სურათით... მისი ქმარი ყოფილა. ყუმბარას მოუკლავს.

...ერთხელ ჰოსპიტალში ავადმყოფებს ვაზიარებდით. დაიწყეს დაბომბვა. მოიყვანეს დაჭრილი მამაკაცი. აგონიაში იყო, ვერ აჩერებდნენ, ყვიროდა. მე რომ დამინახა, უფრო აყვირდა... გადავრჩები თუ არაო, მეკითხებოდა. პირჯვარი გადავსახე, ლოცვა წავუკითხე. მეორე დღესაც მივაკითხე. უკვე აღარა უშავდა რა, აღარ ბორგავდა.

დავიწყეთ პოზიციებზე სიარული, დავდიოდით სამხედროებთან, ვაზიარებდით.

ერთ ადგილზე ვერ მოვზომეთ და ჩვენი ყვითელი ავტობუსით ფრონტის ხაზი გადავჭრით. იქვე ქოხი იყო. ქოხიდან ჩვენები ისროდნენ. გადაირივნენ ჩვენს დანახვაზე... რა გინდათ აქ, მტერი შეგნიშნავთ და ყველას ერთად ამოგვხოცავსო. შეეედით ქოხში. უნდა გაზიაროთო, ვუთხარით. გაოცდნენ. იმდენად აუცილებლობად მიიღეს, ყველა ეზიარა. ინანიებდნენ ცოდვებს.

...ვიყავით სოფელ ცაგერაში. იქ იყო მაშინ გაჩერებული ქართველ "შევარდენთა" ლეგიონი, რომელსაც ელგუჯა წიკლაური ხელმძღვანელობდა. მივედით ბატონ ელგუჯასთან. აღმოჩნდა, რომ ამ ნაწილში უკვე ყოფილა მოძღვარი და უზიარებია ჯარისკაცები. რამდენიმე მოუნათლავი ჰყავდათ. მათ შორის ერთი აჭარელი იყო. იგი თითონ ელგუჯამ მონათლა. ნათლობა ჩავატარეთ ეზოში. აქ მოხდა ერთი საოცრება... ბატონმა ელგუჯამ გააკეთა ის, რასაც მხოლოდ ქართველი თუ გააკეთებს. მან თქვა, რომ ჰყავს რამდენიმე ტყვე აფხაზი. მოდით, ეს აფხაზებიც აზიარეთო (ო. ღმერთო, შენ უწყი მხოლოდ, რამდენი საუკუნეა საჭირო, რომ თუნდაც "ერთი ასეთი ბიოლოგიური ტიპი შექმნას ბუნებამ". და, რამდენია მსგავსი მაგალითი ქართულ ხასიათში. რედ.), ჩვენ სიხარულით ვაზიარეთ ისინი... ერთი აღმოჩნდა მოუნათლავი. ბარემ ესეც მოვნათლოთო, ვთქვით და გვინდოდა ისიც ჩვენი ჯარისკაცების გვერდით დაგვყენებია. ქალი იყო. აქ კი აღელდა ბატონი ელგუჯა. ჩემს მეომრებთან ერთად არ მოგანათვლინებთ, ცალკე მონათლეთო. არაფერი გაგვივიდა და ის ქალი ცალკე მოვნათლეთ.

უეცრად ჩოჩქოლი ატყდა. სამხედრო ნაწილში მოასვენეს ექვსი დღის წინ დაღუპული მეომარი - გიორგი თოფჩიშვილი. ალბათ 20-25 წლისა. დასვენეს შუა ეზოში. მეომრებმა შეკრეს საპატიო წრე. მიცვალებულთან პირველი მივიდა ბატონი ელგუჯა. საოცარი იყო, ექვსი დღის მიცვალებულს ოდნავადაც კი უსიამოვნო სუნი არ ჰქონდა. გადავუხადეთ პანაშვიდი. რა ვითარებაში დაიღუპა-თქვა, დავინტერესდი... უკან დახევის დროს დაღუპულა მისი მეგობარი... ავტომატი აფხაზების მხარეს დარჩენია... ამას არ უნდოდა მისი მეგობრის იარაღი მტერს ჩავარდნოდა ხელში და წამოსაღებად გაბრუნდა. გაიქცა, დაუძახეს თავი მაინც დახარეო. ამათ მე თავს არ დავუხრიო, უთქვამს. ასე დაღუპულა. პირი ღია ჰქონდა, თითქოს ისევ იმ სიტყვებს იძახდა... გადავუხადეთ პანაშვიდი. როცა პანაშვიდი სრულდებოდა, იქვე, ეზოს კუთხეში ცალკე ინათლებოდა აფხაზი ტყვე ქალი.

უკან რომ ვბრუნდებოდით, ტკივილისა და ცრემლის მიუხედავად, საოცარი სულიერი სისავსის გრძნობა მომყვებოდა. ესეც ქართული ხასიათის ერთი დიდებული გამოვლინება იყო.

...ვცდილობდით, ყველა მეომარი გვეზიარებია. ერთხელ, მძიმე საბრძოლო დღის შემდეგ, დაღლილები (იმ დღეს ბევრი ნაწილი მოვიარეთ),

ოჩამჩირეში, ილორის წმიდა გიორგის ეკლესიაში ჯრუნდებოდით. გზაზე რამდენიმე მეომარი დავინახეთ. ავტობუსი გავუჩერეთ და ზიარება შევთავაზეთ. გვთხოვეს, მათ დროებით ადგილსამყოფელში წავყოლოდით. ცხოვრობდნენ ერთ მიტოვებულ სახლში... წავიკითხეთ მოკლე ლოცვები და ჯარისკაცების ზიარებას შევუდექით. უეცრად მეორე სართულიდან რუსი გოგონა ჩამოვიდა. არ დავფარავ, მაშინვე უსიამოვნო გრძნობა დამეუფლა, მაგრამ ჩემი ეჭვები მალე განქარდა. ეს გოგონა, რომელსაც ლიკას ეძახდნენ, ყოფილა მათი თანამებრძოლის მეგობარი, რომელიც ტყვედ იყო ჩავარდნილი და ლიკა მებრძოლებთან ერთად ცხოვრობდა. ბიჭები თვალის ჩინივით უფრთხილდებოდნენ მას. ლიკა მოუნათლავი იყო. ჩვენ ჩავატარეთ საზეიმო ნათლობა და ჩემი ეჭვები საბოლოოდ განქარდა, როცა ერთი მებრძოლი ნათლიად დაუდგა. ჩვენ მას ანა დავარქვით.

გოგონა რომ მოვნათლეთ და სახლში შევედით, ერთმა ბიჭმა ბუხრის თავზე დასვენებული ორი ხატი მაჩვენა... ჩარჩოში ჩასმული სურათები დედა ღვთისმშობლისა და წმიდანების გამოსახულებებით. ეს მოხდა სოფელ ლაბრაში... ეს სოფელი, როგორც იცით, მრავალჯერ გადავიდა ხელიდან ხელში. აფხაზთა მხრიდან ერთ-ერთი მასირებული შეტევის დროს ეს ახალგაზრდა თაეის სამ მეგობართან ერთად ერთ-ერთ სახლში იყო გამაგრებული. იგი ალყაში აღმოჩნდა. აფხაზებმა შესთავაზეს დანებება და სიცოცხლის შენარჩუნებას შეჰპირდნენ. გამოუვალი მდგომარეობის გამო მისი სამი მეგობარი რიგ-რიგობით გავიდა გარედ. თითონ ეს ახალგაზრდა ბუხარში დაიმალა. აფხაზებმა პირველი ბიჭი გასელისთანავე მოკლეს, მეორეს ყურები მოაჭრეს და მესამე ტყვედ აიყვანეს. შემოცვივდნენ სახლში და რომ ვეღარავინ იპოვეს, სახლს ცეცხლი წაუკიდეს. როდესაც ბუხრის საკვამურში გაჩერება შეუძლებელი შეიქნა, ახალგაზრდა ჩამოხტა და ფანჯრიდან გადახტომა დააპირა, მაგრამ, მისი თქმით, რაღაცამ შეაჩერა. მიიხედა. დაინახა ეს ორი ხატი ბუხრის თავზე. გულში გაიფიქრა: მე მათ გადავარჩენ და ესენი მე გადამარჩენენო. მიირბინა, ხატები უბეში ჩაიწყო და მეორე სართულიდან გადმოხტა. აფხაზები იქ აღარ იყვნენ. სირბილით გადაკვეთა ფრონტის ხაზი და თავისიანებთან ისე დაბრუნდა, რომ ტყვია არ მოხვედრია. მოგვიანებით გული დამწყდა, რომ ერთი ხატი არ ვთხოვე.

ოჩამჩირიდან ერთ-ერთი გასვლის დროს სოფელ აჩიგვარასკენ წავედით. ზემოთ იდგა ერთი ნაწილი, რომლის მეომრების ზიარებას ვაპირებდით. მივედით. სამწუხარო ამბავი დაგვხვდა. ღამით აფხაზებს ერთ-ერთ სოფელში ერთი მოსახლის სახლი ჭურვებით დაუნგრევიათ და მებრძოლები ღამით წასულან საბრძოლო დავალებაზე. ჩვენ შემთხვევის ადგილისკენ გავემართეთ. გზად უნდა გაგვეკლო ერთი მოშიშვლებული ფერდობი, საიდანაც ერთის მხრივ, ბედიის მონასტრის წარმტაცი ხედი იშლებოდა, მეორე მხრივ აფხაზების საბრძოლო პოზიციები ჩანდა. ამ ფერდობებზე შემოგვხვდა სტაფილოსფერი სატვირთო მანქანა, რომელსაც ჩვენი მეომრები მოჰყავდა. მანქანა გავაჩერეთ, მებრძოლები დაბლა ჩამოვიყვანეთ და ზიარებისათვის მათ მომზადებას შევუდექით. სანამ მამა იოსები და მამა ეფრემი საზიარებლად წმიდა ნაწილებს მოამზადებდნენ, მე ფერადი ოლარი და სამაჯურები შევიმოსე, ხელში დიდი ჯვარი დავიჭირე და მგზნებარე ქადაგება წარმოვთქვი. ის იყო, ქადაგების დასკვნით ნაწილზე უნდა გადავსულიყავი, რომ უცებ, ბუნების სიჩუმეში, თანაც დილით, სტვენის მსგავსი, გაბმითი ხმა მოისმა. ვერ მივხვდი, რა იყო ეს.

ჩემდა გასაკვირად, მეომრებმა ჯერ რაღაც ჩოჩქოლი ატეხეს, შემდეგ მოულოდნელად ყველანი მიწაზე გაიშხლართნენ. ეგონათ, ჩვენ ეს ვიცოდით. თვალი მოვკარი მამა ეფრემს, რომელიც სადღაც წინ გარბოდა. მარცხნივ... დაახლოებით 30 მეტრში, დავინახე ორმოციოდე სანტიმეტრის სიგრძის ფოლადისფერი საგანი, რომელიც ჩვენსკენ მოფრინავდა. საკმაოდ ლამაზი სანახავი იყო. მე კიდევ ვერ მივხვდი, ეს რა იყო და, რომ თვალი გავაყოლე. ჭურვმა ჩვენს მანქანას ოცი სანტიმეტრის სიმაღლეზე გადაუქროლა. რამდენიმე წამის შემდეგ ყველანი წამოცვივდნენ და ყვირილითა და სროლით იმ მიმართულებით გაიქცნენ, საიდანაც ჩვენ მოვდიოდით. ახლა მეც ვიკადრე გაქცევა. თან ძალიან ვცდილობდი, რომ სატვირთო მანქანას, რომელიც შეშინებულმა მძღოლმა ძალიან სწრაფად დაძრა ადგილიდან, ბორბლებში არ ჩავვარდნოდი. სამშვიდობოს რომ მივაღწიეთ, იქ სხვა მეომრები და სოფლის მოსახლეები დაგვხვდნენ. მათ სახეზე შეძრწუნება ამოვიკითხე. მხოლოდ ამის შემდეგ მივხვდი, რას გადავურჩით. თანდათან დავმშვიდდით და ერთმანეთი მოვიძიეთ... მამა ეფრემი არ ჩანდა... ცოტა ხანში ისიც გამოჩნდა. თურმე სირბილით მთელი ფერდობი შემოუვლია. ჩვენ ამის შემდეგ მაინც გავბედეთ და პოზიციებზე წავედით, თუმცა იმ დღეს დიდი სიმძიმე სულ თან გვდევდა. ჩვენი გაუფრთხილებლობის გამო კინაღამ რამდენიმე ადამიანის სიცოცხლე შევიწირეთ. მოვილაპარაკეთ, თავს გადახდენილი "გმირობის" შესახებ სიტყვა არავისთან დაგვეძრა, მაგრამ აჩიგვარაში რომ ჩავედით, იქ უკვე იცოდნენ ამის შესახებ. მებრძოლებს ჩამოუტანიათ ამბად. გადავწყვიტეთ, სოხუმში მაინც არ შეეტყოთ, მაგრამ როგორც კი ჩავედით, იმ წუთასვე, ჩვენდა გასაოცარად, მთელმა მონასტერმა შეიტყო. ერთმანეთს თვალებში ვუყურებდით და გვიკვირდა, ნეტა, ვინ გაგვთქვაო. ბოლოს კი მივაკვლიეთ მიზეზს, მაგრამ

გადავწყვიტეთ, ნამუსი შეგვენახა და აღარ გავამ-ჟღავნეთ. არც ახლა ვიტყვი.

როდესაც პირველად ლაბრაში მოვხვდით, გა-ხურებული ბრძოლა იყო. ჯარისკაცების თან-ხლებით გადავირბენდით სახლიდან სახლში და მოფარებულში ვაზიარებდით ხოლმე, იქ გამაგრე-ბულ ჯარისკაცებს. როდესაც იმ უბანში თითქმის ყველა ვაზიარეთ, და წასვლას ვაპირებდით, უეცრად ნადავლი თეთრი მსუბუქი მანქანით ერთი ჯარისკაცი მოვიდა და გვთხოვა, სოფლის მეორე ნაწილში გავყოლოდით; თან გაგვაფრთხილა, რომ ფრონტის ხაზი უნდა გადაგვეკვეთა. ჩვენ გავყეკით. როდესაც მანქანა გაჩერდა და შე-მოსილები, ოქროსფერი ბარძიმით ხელში გადმ-ოვედით, ახლომდებარე სახლის მეორე სართუ-ლიდან ჩვენს დანახვაზე ვეება ტანის ბიჭმა, ასე 16-17 წლისამ, სნაიპერის თოფი გადადო, გამ-ოიქცა და სიხარულით მოგვაძახა: მამაო, ქარ-თული სული ცოცხალია!". პირველი ის ბიჭი ვა-ზიარეთ.

...მოვიდა 1993 წლის აღდგომა. მეუფე დანიე-ლი სოხუმში იყო. ჩვენ საგანგებოდ ჩამოვედით ამ დღეებში თბილისში. გავამზადეთ საჩუქრები: წითელი კვერცხები, პასქა, ხილი, კონიაკი, შო-კოლადები, ნამცხვრები... საჩუქრები უფასოდ შემოგვწირეს შოკოლადის ფაბრიკამ, კავკასიის ბირჟის ზოგიერთმა საბროკერო ფირმამ... ამას ყველაფერს ორგანიზაცია გაუკეთა ერთ-ერთი ფირმის ხელმძღვანელმა, ბატონმა ნიკოლოზ წი-ლოსანმა... თითონაც წაგვყვა სოხუმში. ტრანსპო-რტირებაში დაგვეხმარა თავდაცვის სამინისტრო, თან დაგვყვებოდა მათი წარმომადგენელი, ვიცე-პოლკოვნიკი ტარიელ სირანაშვილი.

ერთი ეპიზოდი: ვიყავით სოფელ ახალდაბაში. ჩვეულებრივ, მივედით შტაბში. იქ მორიგის გარ-და არვინ დაგვხვდა. ვიკითხეთ მეთაური. გვი-თხრეს, რომ იგი ერთ-ერთი მეომრის ორმოცზე იყო წასული. ვიპოვეთ ის ოჯახი, მაგრამ მეთაუ-რი იქ აღარ იყო, ისევ ორმოცზე სხვა ოჯახში წავიდაო... იქაც წავედით. არც იქ დაგვხვდა, მე-სამე და მეოთხე ორმოცზე წასულიყო... ბოლოს, როგორც იქნა, ვნახეთ. გვითხრეს, რაზმი, რო-მელსაც ეს მეთაური ხელმძღვანელობდა, ახალ-დაბელი ახალგაზრდებისა ყოფილა. ეს ის სოფე-ლია, რომლის მაცხოვრებლებიც, ზაფხულის ბო-ლოს აფხაზებმა ერთად შეჰყარეს და დაწვეს. ამ სოფელში ჩვენი მისვლის დროს 360 ოჯახი იყო. ამ 360-მა ოჯახმა სამშობლოს 400 მებრძოლი მისცა. იმ დღეს ჩვენ გულის შემძვრელი ამბის მონაწილენი აღმოვჩნდით: ოთხი ბიჭი მეთაურს გაუგზავნია საბრძოლო დავალების შესასრულებ-ლად. ესენი მეგობრები იყვნენ და სულ ერთად დადიოდნენ. ოთხივე ერთად აფეთქდა ნაღმზე. აღდგომას იყო მათი ორმოცი. ოთხივე ოჯახში გადავიხადეთ პანაშვიდი, ოთხივე ოჯახში დავტ-ოვეთ მათი კუთვნილი სააღდგომო საჩუქარი; ვაკურთხეთ მეხუთე ოჯახიც, სადაც ასევე, ომში დაღუპული ბიჭი ჰყავდათ. მისი ორმოცი ჯერ არ იყო შესრულებული. ბოლოს შევიკრიბეთ ერთ-ერთის ოჯახში და სამგლოვიარო სუფრას-თან ერთხელ კიდევ დავლოცეთ მათი სულები. ესენი არიან: სოკრატი, მეტსახელად ბუდა, ვახტანგი, ამირანი და დემური. სულ ახალგაზრ-დები. სოფლელები, ცხადია, ყველას დაღუპვას განიცდიდნენ, მაგრამ დემური სოფლის თავკაცი ყოფილა... თამადამ თქვა, აი, ახლა მე ამ სუფ-რას ვხელმძღვანელობ... მთხოვეს და იმიტომ. დემური ისეთი იყო, თამადობას ვერავინ წაა-რთმევდა. ყველაფერში პირველი იყო, თამადობა-შიც, შრომაშიც, ბრძოლაშიც და სამშობლო-სათვის სიკვდილშიც პირველობა არავის დაანე-ბა... წინ მიდიოდა... სოფლის ძვალი იყოო. ასე თქვა. ამ მეთაურს ყველა მებრძოლისთვის დავ-უტოვეთ საჩუქრები და წამოვედით. თბილისში ჩვენც გველოდა ერთი, საოცარი სულიერი საჩუ-ქარი... თბილისის აეროპორტიდან ქალაქში თავი-სი ავტობუსით წამოგვიყვანეს მეომრებმა, რომელ-თაგან ერთ-ერთმა გახარებულმა მითხრა: იცით, ეკლესიიდან ჩვენ საჩუქრები მივიღეთო... რა-მეთქი და... " აღდგომა დღეს პოზიციაზე მომი-წია მორიგეობა. თბილისელებმა ახალდაბელები თანამებრძოლთა ორმოცზე გავუშვით და ჩვენ ვცვლიდით მათ... ვიწექი ტყეში, ტალახში და ვფიქრობდი, ღმერთო, რა არის, ამ აღდგომა დღეს ერთი წითელი კვერცხი მქონოდა-თქვა... სულ მალე დაბრუნდნენ ახალდაბელები და სა-ჩუქრები ამოგვიტანეს... რაც მთავარია, წითელი კვერცხები..."

ჩემთვის ეს დიდი სიხარული იყო... ამაზე მე-ტი ჯილდო არც მჭირდებოდა.

მაშინაც და მერეც ბევრჯერ მქონია შეხება ამ ომთან. ბევრი აზრი მსმენია მისი მიზეზების, სამართლიანობის თუ აუცილებლობის შესახებ. არ ვიცი, რატომ მოხდა ეს და ვისი ბრალია, მაგრამ ერთი რამ ნამდვილად ვიცი. იქ იბრძოდნენ ჩვენი ერის საუკეთესო შვილები, "ჩვენი ძვალი". ისინი სამშობლოსათვის იბრ-ძოდნენ. მათ არ ჰქონდათ იმისი დრო, გაერკვი-ათ მიზეზები. ისინი სამშობლოსათვის დაიღუპნენ და მჯერა, ღმერთი ყოველივეს ასევე შეიწირავს მათგან - ახალი დროის უსახელო გმირებისაგან.

## XXX

უწმიდესის ლოცვა-კურთხევით, მე, დედა თეოდორა და დედა ანასტასია ზაფხულში იერუსალიმში ვიყავით. თან გვახლდა თარჯიმანი, ივრითის მცოდნე, ჩვენი ეკლესიის მრევლიდან, ლაშა ჟვანია. მოვილოცეთ წმიდა ადგილები. პირველი წირვა მაცხოვრის საფლავთან დავაყენეთ. ეს იყო 2 აგვისტოს, ილიაობას ვილოცეთ საქართველოსთვის და უწმიდესისთვის... წირვა ჩატარდა ბერძენ ღვთისმსახურებთან ერთად.

შემდეგ... 9 აგვისტოს ჯვრის მონასტერშიც დავაყენეთ ერთობლივი წირვა... წმიდა პანტელეიმონის დღეს... წირვა ჩავატარეთ ასევე, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში, მის საფლავზე, გეთსიმანიის ბაღში. იერუსალიმიდან დაბრუნების შემდეგ უფლისადმი უსაზომო თხოვნითა და უწმიდესის ლოცვა-კურხევით, გადაწყდა ჩემი მონაზნად აღკვეცა. მეუფე დანიელმა ჰკითხა უწმიდესს, სად უნდა მომზდარიყო ეს და საკუთებით მოულოდნელი პასუხი მიიღო - აფხაზეთშიო. მე სიხარულით ცას ვეწიე... ძალიან ვღელავდი წასვლის დღეს. თან მახლდნენ ჩემი იერუსალიმელი დედები. აღკვეცა მოხდა 24 აგვისტოს... სასწულს ჰგავდა ეს... 24 აგვისტო ჩემი გამზრდელი, უსაყვარლესი ბებიას დაბადების დღეა. ერქვა ევგენია და ალბათ, ღვთის ნებით, მე ეს ღრმად მწამს, მეც დამარქვეს ევგენია... საოცრებაა, მაგრამ სინამდვილეა. ვიყავი ბედნიერი. აღვიკვეცე ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხარების ტაძარში, საღამოთი. სოხუმში ათი დღე დავრჩი. იყო ღვთისმშობლის მიძინების დღეები. იყო სიმშვიდე... ცაც, ზღვაც საოცრად კამკამა. ისეთი ძლიერი იყო სიმშვიდე, რომ ვერ იფიქრებდი იმ საშინელებებზე, რაც სულ მალე მოხდა. ასეთი სოხუმი არც მახსოვს. სამჯერ შემოვუარეთ ქალაქს ჯვარ-ხატებით, ლოცვით, გალობით.

მინდა აღვნიშნო... 28 აგვისტოს, წირვის მერე ტაძარში შემოვიდა ბატონი ჟიული შარტავა. ტაძარში უკვე აღარავინ იყო. დიდხანს, დიდხანს მარტო ლოცულობდა. ძალიან- იმოქმედა, თვალცრემლიანი შეეცქეროდი.

ჩამოვედი იქიდან ათი დღის შემდეგ და ზუსტად ორ კვირაში დაიწყო ომი.

სოხუმი 1993.

**დედა თეგრონია** (სეფერთელაძე)

# X X X

სოხუმში ჩავედი ახალი წლისათვის, შობამდე. ძალიან ციოდა. საერთოდაც, ის ზამთარი ძალიან ცივი იყო. იქ ყოფნის დროს ჩემთვის უამრავი ახალი საოცარი, რთული და მძიმე რამ მოხდა. მაგრამ ყველაზე შთამბეჭდავი იყო ქართველი ბიჭები, მამა ანდრია, დაბომბვები, კომანი და სოხუმის გაზაფხული.

მეუფე დანიელი ხშირად დადიოდა სამხედრო ნაწილების დასალოცად და ჩვენც დაგვყებოდით. თვალწინ მიდგას ბიჭების სახეები. ვაჟკაცობასთან ერთად მათში დიდი ტრაგიზმი იგრძნობოდა. ხშირად მოდიოდნენ ეკლესიაში. ზოგი ინათლებოდა ნაწილშივე, ზოგი ეზიარებოდა კიდეც. ზოგიერთი კი ფსიქიკური აშლილობის ზღვარზეც იყო მისული. მახსოვს, ერთხელ, ლოცვის დროს ერთ-ერთი შემოვარდა შუა ეკლესიაში, იარაღი დაგდო და ტირილით - "ღმერთოოო..." მთელი ხმით შეჰყვირა. მე ძალიან ბევრს ვფიქრობდი მათზე და სიკვდილზე და უბედურების შეგრძნება არ მშორდებოდა. მიყვარდა ბატონ გენო ადამიას დანახვა. მას ყოველთვის რაღაც სიხალისე მოჰქონდა. ჩვენთან მეგობრობდნენ და ხშირად გვეხმარებოდნენ მისი უახლოესი თანამებრძოლი ბიჭები. მათ შორის გამორჩეული სილამაზის და ახოვნების იყო კოტე ლოთედიანი, რომელიც სოხუმის დაცემის დროს ბატონ გენოსთან ერთად დაიღუპა.

დიდ ყურადღებას იჩენდა ეკლესიისადმი შრომის შენაერთის უფროსი ამირან კიკაბიძე, რომელიც სოხუმის აღებამდე, დაახლოებით ერთი თვით ადრე დაიღუპა. იგი ყოველთვის ზრუნავდა, მშვიდობით ჩავსულიყავით ხოლმე კომანში. ერთ-ერთი ასეთი სვლის დროს, სანამ ჩვენ შტაბ-ბინის კურთხევას ვასრულებდით, გზის დასაზვერად ბატონმა ამირანმა ორი მეომარი "ბეტეერით" გაუშვა. ცოტა ხანში აფეთქების ხმა გავიგეთ. ერთი, სახელად ედუარდი, რომელიც მობრუნების შემდეგ მონათვლას აპირებდა, გარდაიცვალა, ხოლო მეორე `მძიმედ დაიჭრა.

სოხუმის დაბომბვა მარტში დაიწყო. თავდაპირველად თითო-თითო ბომბს გვესროდნენ, შემდეგ კი ისე გვბომბავდნენ, რომ ცოტა ხანში ქვა-ქვაზე არ დარჩებოდა. ბოლოს უკვე სოხუმში მთელი კვარტალები იყო გასწორებული მიწასთან, სახლი აღარ იყო, ბომბი არ ჰქონოდა მოხვედრილი. მოოხრებული იყო ყველაფერი და მიუხედავად ამისა, მე მგონი მაინც ასეთი ლამაზი გაზაფხული, ალბათ, სოხუმში არასოდეს ყოფილა. ქუჩებში სხვადასხვა სახეობის ყვავილი ჰყვაოდა. ზღვა მშვიდი, ჰაერი გამჭვირვალე, მზე. და ამდენ სილამაზესთან ერთად გაუთავებელი უბედურება, ნახევრადმშიერი მოხუცები და უპატრონო მიცვალებულები.

მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენ მაინც ვმღეროდით, ვგალობდით ყველგან, ეკლესიაში, საავადმყოფოებში, საშხედრო ნაწილებში, სახლში, ქუჩაში, სასაფლაოზე, სუფრასთან, ოჯახებში.

პირველი მძიმე დარტყმა მამა იოანეს სახლის დაბომბვა და მისი მეუღლის, ტაისიას სიკვდილი იყო. მამა იოანესათვის თანაგრძნობის გაწევა მე მხვდა წილად. მის გვერდით ვიყავი იმ უმძიმეს წუთებში, როცა "მატუშკა" მორგიდან ეკლესიაში გადმოვასვენეთ. იგი საოცრად ლამაზი მიცვალებული იყო.

მალე, ეკლესიაც დაბომბეს. პირველი ბომბი ჩვენგან შედარებით მოშორებით დავარდა. არ გასულა სამი წუთი და თავზე დაგვემხო ყველაფერი; მეორე პირდაპირ ჩვენს სარეზიდენციო შენობას დაეცა. ყველაფერი ელვის უსწრაფესად მოხდა. ბომბის ხმა არ გაგვიგია. აფეთქება კი შემაზრზენი იყო. მთელი სახლი შეირყა. აფეთქების წნევისაგან შემოინგრა კარები და ყველა ფანჯარა, დაიმსხვრა მინები, დაილეწა ჭურჭელი და შემოვარდა მტვრის შავი ბუღი. ეკლესიაში შესვლა მოვინდომეთ, მაგრამ კიბეები ჩარღვეული იყო, ერთ-ერთი კედელი ჩამორღვეული, რკინის კოშკი ხუთი მეტრის დაშორებით გადაგდებული. კიბის მთავარი ღერძებით ჩავედით ეზოში და ეკლესიის მსახური ქალის - მარიას სიკვდილის შემზარავი სურათი დაგვხვდა. თვალებზე ხელი ავიფარე და მიუხედავად ჩემი პროფესიისა, ვერ მივეკარე. დაბომბვა ისევ გრძელდებოდა და

ვიღაც მიყვიროდა, ეკლესიაში შედიო. მერე ყველანი ეკლესიაში ვიყავით და ხმამაღლა ვლოცულობდით. მახსოვს, ყვიროდი "უფალო შეგვიწყალეს". დაბომბვა ისევ გრძელდებოდა. დაახლოებით ხუთი "გრადი" ჩვენგან ძალიან ახლოს დავარდა, მაგრამ ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ყველა ჩვენს სახლს ხვდებოდა. აშკარა იყო, მიზანდასახულად ბომბავდნენ ეკლესიას. იმის გააზრება, რომ ჩვენი ამოჟლეტა უნდოდათ, სასოწარკვეთილებაში მაგდებდა. მოვიკრიბეთ ძალები და მე, დედა ეკატერინემ და რამაზმა (არქიტექტორმა) მარია ეკლესიაში შევასვენეთ. დაბომბვა შეწყდა თუ არა, ეკლესიაში შემთხვევით მყოფ ერთ სომხის ქალს ისტერიკა დაეწყო. შვილი სახლში მარტო დაეტოვებინა. მერე იმას ვაწყნარებდით.

მოვიდნენ მამები ნინოშვილის ქუჩიდან, შემდეგ მე და მორჩილი ლელა წავედით შტაბში ბატონ გენოსთან, რომ თბილისს დაკავშირებოდით. იქ ყველანი ძალიან შეწუხდნენ. ბატონმა გენომ მანქანა გამოგვიყო. უწმიდესს ვერ დაველაპარაკეთ. შემდეგში აღმოჩნდა, რომ რეზიდენციის კავშირგაბმულობა დაუზიანებელი იყო და საპატრიარქოს დავუკავშირდით. გადაწყდა, ვისაც ეშინოდა, უნდა წასულიყო, ვისაც არა, ნინოშვილის ქუჩაზე, სამეუფო სახლში გადასულიყო. ყველამ იქ გადასვლა გარჩიეთ. მეუფე დანიელი იმ ხანებში თბილისში იყო.

დაბომბვის დროს განსაკუთრებით მძიმე ასატანი "სირენის" ხმის გაგონება იყო, რომელსაც ჩვენები ხალხის გასაფრთხილებლად რთავდნენ. ამ დროს ტაძარში ჩავდიოდით, მაგრამ მახსოვს, ლოცვა მიჭირდა; სახარებას კითხულობდი და ეს ეშველოდა.

ჩვენ 17 მაისს დაგვბომბეს. 18 მაისი შედარებით წყნარი იყო. 20 მაისიდან ერთ-ერთი მოლაპარაკება იწყებოდა; ამიტომ 19 მაისს საშინელება დატრიალდა... ორივე მხარემ, რაც კი ბომბები ჰქონდათ, ერთმანეთს დაუშინა. ქალაქი მთლიანად ცეცხლში იყო გახვეული. ჩვენ ყველანი, მორჩილი ელენე (ლელა), სამონაზვნე ეკატერინე, სამონაზვნე ანუსია, მორჩილი ნანა და მე (მაშინ მორჩილი მაკრინე) ვიყავით ნინოშვილის ქუჩაზე, სამეუფო სახლის შიგა კიბესთან შეყუჟულები; ჩვენის აზრით, ყველაზე დაცულ ადგილას. მამა ანტონი, მორჩილი მამუკა და იგორი სარეზიდენციო სახლში იყვნენ. ჩვენს სახლთან როგორც ჩანს, ახლოს იყო განლაგებული "გრადის" სასროლი იარაღი და ორივე მხრიდან ნასროლი ბომბები ძალიან ახლოს დაფრინავდა. შემზარავი ხმა ჰქონდა. ტყვიები განუწყვეტლივ ზუოდნენ და ჩვენგან ახლოს ცვიოდნენ, დაახლოებით ექვსი საათის განმავლობაში, მცირე შესვენებით, ღამის 12 საათამდე გრძელდებოდა ეს საშინელება. მახსოვს, სიკვდილს ველოდებოდი. ღვთის იმედი არ დამკარგვია, მაგრამ თან ვფიქრობდი, იქნებ ჩვენი სიცოცხლე გასაწირადა საჭირო თქვა და ვეგუებოდი ამას ყველაფერს. სასოწარკვეთილებაში არ ჩავვარდნილვარ, მაგრამ მთელი სხეულით კკანკალებდი. გამახსენდა ყველა ჩემი ახლობელი და შორეული, ყველა ელვის სინწრაფით თვალწინ დამიდგა. ყველა გავიმეტე ჩემი სიკვდილისთვის, მაგრამ დედაჩემი ვერა. მაშინ მივხვდი, რომ არ მოკვდებოდი.

მეორე დღეს მეუფე დანიელი ჩამოვიდა.

ზაფხულში ხატებითა და ჯვრით მოეწყო მსვლელობა, გალისა და ოჩამჩირის რაიონების დალოცვა. დავიწყეთ ილორის წმიდა გიორგის ტაძრიდან. აფხაზეთში ძალიან ლამაზი სოფლებია. ომი ყველას დიდ დაღად დააწვა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ხალხში მაინც არ იყო განსაკუთრებული ლტოლვა სარწმუნოებისაკენ; თუმცა, ძალიან დიდი ნათლობები მოეწყო. ჩვენ სოხუმში ვეღარ მივბრუნდით... ტამიში აიღეს აფხაზებმა და გზა ჩაიკეტა. მალე კომანიც დაეცა და მამა ანდრიაც დაიღუპა. სოხუმში მეუფე დანიელი და დედები თბილისიდან ჩაფრინდნენ. ამ დროისათვის, უწმიდესის ლოცვა-კურთხევით, მე თბილისის ფერისცვალების მონასტერში გადამიყვანეს.

შემდგომ ჩასვლაზე მეუფე დანიელი გულრიფშში ჩავიდა წირვა-ლოცვის ჩასატარებლად. სწორედ მაშინ მოხდა ზღვიდან გულრიფშის დაბომბვა. ძალიან გახარებული იყო მრევლი მეუფის ჩასვლით. მათ შორის გამოირჩეოდა თამარი. დაბომბვა რომ დაიწყო, შეშინებული სახლისკენ გაიქცა, ბავშვები ეზოში დავტოვეო, გზაში ბომბის ნამსხვრევი მოხვდა და დაიღუპა. მას ორი პატარა ბიჭი დარჩა.

სოხუმის ბოლო მოვლენების უშუალო მონაწილე მე არ ყოფილვარ. სოხუმის აღებიდან რამდენიმე ხანი არაფერი ვიცოდი მეუფე დანიელის, მამებისა და დედების შესახებ. მათ სვანეთის მთები გადმოიარეს...

## XXX

**ბერი სიმონი**

როდესაც მეუფე დანიელი ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსად დაადგინეს, ჩვენც, მისი სულიერი შვილებიც - მამა ანდრია და მე სხალთის მონასტრიდან სოხუმში გადაგვიყვანეს. მაშინ მე მორჩილი ვიყავი და გაბრიელი მერქვა. სოხუმი თითქმის სულ მლიანად დაცარიელებული იყო... ირგვლივ დუმილი სუფევდა... ქუჩებში, ისიც აქა - იქ სამხედრო პატრულები თუ გამოჩნდებოდნენ ხოლმე... ჯერ სოხუმში სროლა არ ისმოდა... მისი ხმა მხოლოდ შორიდან მოდიოდა. თებერვლის შუა რიცხვები იყო. დიდ მარხვამდე 3-4 დღე იყო დარჩენილი. მეუფე დანიელის კურთხევით, ჩვენ კომანში გაგვამწესეს. რის ვაიგაგლახით, ხან მანქანით, ხანაც ფეხით გავუდექით გზას კომანისაკენ. გუმისთის ნაპირას აფხაზი "ბოევიკები" იყვნენ და თავისუფლად შეუძლებელი იყო მიმოსვლა.

კომანის იოანე ოქროპირის სახელობის ეკლესია სოფლის შუაგულში აღმართულ გორაკზე მდებარეობს. ეკლესიაში ანუების ოჯახი შემოგვეგება... უზომოდ გაიხარეს... დიდი ხანია, მოძღვარს მოელოდნენ და მამა ანდრიას დანახვაზე ცა გაეხსნათ, გაეხარდათ. კომანში თითქმის აღარავინ იყო, ჯარისკაცების გარდა... თავდაპირველად ისინი დიდ ინტერესს არ იჩენდნენ სარწმუნოების მიმართ, მაგრამ შემდეგში, ისინი ხშირად შემოდიოდნენ ტაძარში... დაღლილები იყვნენ და მამა ანდრიას იმედიანი სიტყვა ძალას ჰმატებდათ. თანდათან ყველა ვაზიარეთ... ხშირად, როცა დრო გვქონდა, ჩვენ თითონაც ფრონტის ხაზზე გავდიოდით და იქ ვაგრძელებდით საუბარს სარწმუნოებაზე. რამდენჯერმე სოფელ ახალშენშიც ავედით... ადგილობრივ მოსახლეობას და ასევე ჯარისკაცებსაც უხაროდათ ჩვენი მისვლა... სამწუხაროდ, ამ უფლის მიერ ნაკურთხ მიწაზე, ადამიანებში რწმენა ძალიან იყო შერყეული და მამა ანდრიას ბევრი ქადაგება უხდებოდა მათ გამოსაფხიზლებლად.

მამა ანდრიას ძალიან უყვარდა წმიდა ვასილისკოს წყაროზე მარტოდ ჩასვლა... საერთოდაც, ყველაზე მეტად მარტოობა უყვარდა... წყაროდან იგი ვასილისკოს საფლავზე ადიოდა და პარაკლისს იხდიდა... უფალს ავედრებდა ამ ცოდვილ ქვეყანას. რამდენჯერმე სროლაშიც მოჰყვა, მაგრამ ეს არ აწუხებდა... როდესაც საშიშროება გადაივლიდა, ეკითხებოდნენ, შეგეშინდა თუ არაო და ისიც თავისებური წყნარი და უჩვეულო ღიმილით პასუხობდა: მადლობა ღმერთს, შიშის გრძნობა არ გამაჩნიაო.

რაც დრო გადიოდა, მდგომარეობა თანდათან მძიმდებოდა. განუწყვეტლივ ბომბების გრუხუნი ისმოდა. ესროდნენ სოფელს... მშვიდობიან მოსახლეობაში იყო მსხვერპლიც. ერთი-ერთი ასეთი დაბომბვის დროს დაიწვა ანუების სახლი. ოჯახი ფაქტიურად, ღია ცის ქვეშ დარჩა... მაგრამ მათ თვალებზე ცრემლი არ დაგვინახავს, აქეთ გვაწყნარებდნენ: "ღვთის ნებაა ყველაფერი. მოთავარია, რომ ღმერთმა არ მიგვატოვოსო.

მამა ანდრიას ერთადერთი რამ აწუხებდა: თუ მტერი შემოვიდოდა, ღირსეულად შეხვედროდა სიკვდილს... მე კი ვწრიალებდი... როცა შეწუხებულს დამინახავდა, მეტყოდა:

- ნუ შიშობ... საშიში ის იქნება, სასუფევლის გარეშე რომ დარჩე, მოეშზადე... ყველაფრისთვის მზად უნდა იყოო, და მეც მაშინვე ვმშვიდდებოდი.

რატომღაც იმედი მქონდა, რომ აფსუები კომანში არ შემოვიდოდნენ. აქაური დიდი წმიდანები არ დაუშვებდნენ წმიდა ადგილების შებილწვას... მაგრამ შევცდი, თურმე უფალი ჩვენგან სხვა რამეს ითხოვს...ეს სხვა რამეა რწმენა, რომლისაგანაც ძალიან შორს ვართ. ამაშია ჩვენი ტანჯვის მიზეზი...

ვითარება შემდეგში უფრო და უფრო გამწვავდა. ჩემთვის უკვე ყველაფერი აუტანელი ხდებოდა. ყოველი დავარდნილი ბომბი თითქოს მე მხვდებოდა გულში, ყოველი ავტომატის ტყვია თითქოს ჩემსკენ იყო

მომართული... ვეღარც ვლოცულობდი და ვეღარც ვისვენებდი. გამიჭირდა და მეუფე დანიელმა, როცა გაიგო ჩემი მდგომარეობა, თავის რეზიდენციაში გადამიყვანა და მეც დავმშვიდდი.

შემდეგ დაიწყო ჩვენი მისიონერული მოგზაურობა აფხაზეთის სოფლებში... იქნებ ვინმეს გაუკვირდეს, ომი მძვინვარებდა და რა დროს მოგზაურობა იყოო, მაგრამ ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ავტომატი ჯარისკაცებს ეჭირათ, ჩვენ კი ლოცვითა და ზიარებით შევეწეოდით მათ და საერთოდ ყველას, ვინც ჩვენს გზაზე ჩნდებოდა. ინათლებოდნენ ბავშვები, ახალგაზრდები, მოხუცებიც კი... ეცნობოდნენ ქრისტიანულ ცხოვრებას, მის საიდუმლოებებს და რჩევა-დარიგებებს ითხოვდნენ. მოგზაურობამ ორი კვირა გასტანა. ყველაზე მეტ ხანს სოფელ ილორში მოგვიხდა ყოფნა. მოვილოცეთ ილორის წმიდა გიორგის სასწაულმოქმედი ეკლესია. თითქმის მთელი სოფელი ეზიარეთ.

განსაკუთრებით დაგვიახლოვდა ილორში მცხოვრები ხარჩილავების ოჯახი. ჩვენს გაკვირვებას და სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა გავიგეთ, რომ ოჯახის ხუთივე წევრი მარხულობდა. ერთი კვირა დავყავით ამ ოჯახში და იქიდან წამოგვყვა უზომო სიყვარული. ოჯახმა ჩვენ და მამა ანტონი შვილებად მიგვიღო და მათ რიცხვს კიდევ ორი ბერი შეემატა.

მოგზაურობიდან დაბრუნებულებს შემზარავი ამბავი გველოდა... მამა ანდრიას მოწამებრივი სიკვდილი...უზომოდ განვიცადე. ...ბოლოს მეუფემ მითხრა: "ყოველივე უფლის ნებაა. თავისთან წაიყვანა უფალმა. იქიდან ილოცებს ჩვენთვის. ღმერთი შეისმენს მის თხოვნას. ის ახლა მასთან ახლოს იმყოფებაო.

მრავალი გმირის სახე ანათებს სოხუმის ბრძოლებიდან. ერთი მათგანი დედათა მონასტრის მომმარაგებელი ჯუმბერ (დიონისე) ბაღათურიაა. იშვიათად მინახავს ასეთი სიკეთითა და სიმშვიდით სავსე ადამიანი. იმოდენა გული ჰქონდა, მთელი სოხუმის გაჭირვებულები ეტეოდნენ შიგ. მარტო ომის დროს მან ოცამდე უპატრონო მიცვალებული მიაბარა მიწას. საოცრად უხაროდა, სიკეთეს რომ აკეთებდა. უხასიათოდ მხოლოდ მაშინ იყო, როცა მასთან გაჭირვებული არ მოდიოდა. თითონ დას- დევდა ყველას და სთავაზობდა: "*Хлеба не хотите*". არასოდეს გაბრაზებული არ მი- ნახავს. თუ ვინმე შენიშვნას მისცემდა, ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი, დახრიდა თავს, გაიღიმებდა და იტყოდა: "რა ვქნა, გენაცვალე, მაპატიე, მეტს აღარ ვიზამ". სოხუმის დაცემის შემდეგ სულიერი კრიზი- სი განიცადა, ძალზე ცუდად შეიქნა და თბილისში ტრაგიკულად დაიღუპა. მისი ხსოვნა მარადის დარჩება ჩემში. ეს იმ მძიმე ტკივილის ნაწილია, რომელიც უხვად დაგვიტოვა ამ საშინელმა ომმა.

სოხუმის დაცემამდე რამდენიმე დღით ადრე, მე ბერად აღვიკვეცე... რამდენიმე დღეში კი მეუფის ლოცვა-კურთხევით თბილისში დავბრუნდი. ასე რომ, არც სოხუმის დაცემის დროს ვიყავი იქ, და არც საკენ-ჭუბერის უღელტეხილი გადმომივლია. უზომოდ მტკივა, და მაწუხებს ეს ყოველივე...

16 მარტს მონასტრის ძირითადი შემადგენლობა კომანში წავიდა წმიდა ადგილების მოსალოცად და წმიდა ვასილისკოს წყალში განსაბანად.

მონასტერში სამნი დავრჩით. 16 მარტს ღამის 11 საათზე უამრავი მაშხალა ჩამოყარეს და ისეთი სიმძლავრის გამანათებლები მოაყარეს ქალაქს, რომ ღამე დღისაგან არ გაირჩეოდა. ჯერ ვერ მივხვდი, რა ხდებოდა. სასწრაფოდ ავდექი და მეზობელ სენაკში მცხოვრებ დას შევეხმიანე. მასაც არ ეძინა. უცებ, შეულმფრენის ხმა და ძლიერი აფეთქება მოგვესმა. გვბომბავდნენ. მოვემზადეთ ლოცვისათვის და გავეშურეთ იმ ოთახში, სადაც სანთელს ვამზადებდით. იგი შედარებით უსაფრთხო იყო. ერთმანეთს ვენაცვლებოდით ფსალმუნების კითხვაში. ფანჯრები იმსხვრეოდა და თავზე ნაფშვნები გვეცემოდა, მაგრამ ჩვენ განვაგრძობდით კითხვას. ვგრძნობდი, რომ გავჩერებულიყავით, სულიერად გაკტყდებოდით. ლოცვა გვაძლიერებდა და გვეხმარებოდა. შეულმფრენები ძალიან ახლოს დაფრინავდნენ ჩვენს ირგვლივ. ინგრეოდა მრავალსართულიანი სახლები, ქალაქი ნადგურდებოდა. ეკლესიის თავზე ხანგრძლივი დროის განმავლობაში წრეს უვლიდა ერთ-ერთი შეულმფრენი; შემდეგ დაბლა დაეშვა. გავიფიქრეთ, ალბათ ეზოში აპირებს დაჯდომასთქო, მაგრამ ფანჯრების გასწვრივ გაჩერდა. ხუთი წუთი იყო ამ მდგომარეობაში. ისე ახლოს იყო, მფრინავიც თავისუფლად დავინახეთ. ეს ხუთი წუთი საუკუნედ მოგვეჩვენა. შემდეგ ნელ-ნელა გაფრინდა.

ქალაქი მთელი ღამე იბომბებოდა. დილის 8 საათზე გრუხუნი მიწყნარდა. შვებით ამოვისუნთქეთ. ტელეფონი არ მუშაობდა. ფოსტაში გავედი. შეძრწუნებისაგან ძარღვებში სისხლი გამეყინა, ცრემლებს ვერ ვიკავებდი. სოხუმი აღარ არსებობდა. მისი ლამაზი სახლები და ქუჩები დანგრეული იყო. მხოლოდ რამდენიმე შენობა იდგა უვნებლად. ეს იყო ქალაქის პირველი ძლიერი განადგურება.

სოხუმი რომ დავტოვეთ, სვანეთის უღელტეხილი გადმოვიარეთ და ჭუბერში შევჩერდით. იქ ოჯახებში დავბინავდით. მეუფე დანიელი ყოველ დილით ასრულებდა საგედრებელ პარაკლისს. შემდეგ დავდიოდით ჭუბერის ქუჩებში ხატებით და ჯვრებით, მოსახლეობისა და ლტოლვილების დასალოცად, ვალობით და ნაკურთხი წყლის სხურებით. ნატანჯი და ნაწამები, ქუჩაში დაყრილი ხალხი ჯერ გაუბედავად, შემდეგ უფრო თამამად იღიმებოდა. მათ თვალებში ღვთისადმი და მომავლისადმი სასოება ჩნდებოდა, ბევრი მათგანი ჩვენს ჯგუფს უერთდებოდა. უმწეო ადამიანების გულები სიყვარულით ივსებოდა.

ჩავდიოდით მდინარეზე და მეუფე დანიელი ატარებდა ნათლობას. ისმოდა ბავშვების სიხარულის ყიჟინა. ლტოლვილებში სიცოცხლე იღვიძებდა.

შემდეგ ვბრუნდებოდით ჩვენს ადგილსამყოფელში და ვამზადებდით ცხელ ტრაპეზს ლტოლვილებისათვის, რომელსაც მორჩილები არიგებდნენ. ლტოლვილთა ბანაკი უბნებად იყო დაყოფილი. მათ სხვადასხვა ჯგუფი ვემსახურებოდით. ერთი ჯგუფი სამედიცინო პუნქტს უწევდა დახმარებას და წამლებს ანაწილებდა.

ლტოლვილებისათვის დიდი ნუგეში იყო ეკლესიის მსახურებისგან დახმარების მიღება. მეუფე დანიელი, სანამ ბოლომდე არ შეასრულა მოწყალების მისია და არ მოიხადა ვალი, ჭუბერიდან არ წამოსულა.

მუსერა. ინტერიერის დასავლეთი ნაწილი

დასწერე ჯვარი ანთებულ სანთელს,
დასწერე ჯვარი!
გვფინე მშვიდობა, მოგვეც წინაპართ
სიმხნე და ძალი...
დასწერე ჯვარი ანთებულ სანთელს,
დასწერე ჯვარი!
შეგვედრებ წმინდას ჩვენს საქართველოს,
შეგვედრებ წმინდას,
მის წმინდა სისხლი... საკლავთ სისხლივით
ნულარდროს იდენს!
წმინდა გორს დგახარ,
წმიდა იფნებთან,
ბუბუნებ კრძალვით:
დასწერე ჯვარი ანთებულ სანთელს,
დასწერე ჯვარი!

ანა კალანდაძე

ანაკოფია.

ღმერთმან განიკითხოს მართალი
და უღმრთოი, ხოლო ვის უყუარს
სიცრუვე, მას სძულს სული თვისი

მორჩილი ზოია ანუა

# მადლობა ღმერთს ყველაფრისათვის

სულ შევთხოვდი ღმერთს, გამომიგზავნე ისეთი მოძღვარი, არ ღლიდეს ყოველდღიური წირვა-ლოცვა, პანაშვიდები, პარაკლისები, ნათლობა... დღემუდამ ღვთის ღაღადებასა და სიყვარულში რომ იქნება-თქვა... უწმიდესის ლოცვა-კურთხევა გვქონდა, ყოველ ხუთშაბათს იოანე ოქროპირის სარკოფაგთან, ხოლო პარასკეობით წმიდა მოწამე ვასილისკოსათვის პარაკლისი გადაგვეხადა.

ვიდრე მოძღვარი არ გვყავდა, მე და ჩემი ქალიშვილი მანანა ვიხდიდით პარაკლისებს...

და აი, ერთ დღეს, ლოცვის დამთავრების შემდეგ, ოდეს წარმოვთქვით: "უწმიდესო და უნეტარესო მეუფეო, გვაკურთხენ..." გაიღო კარი და... ყაზანის ღვთისმშობლის ხატით ხელში შემოვიდა მამა ანდრია. მას თან ახლდა მორჩილი გაბრიელი... ჯვარი გარდაგვსახა... ჩვენ სიხარულმა აგვიტანა. ვემთხვიეთ დედა ღვთისას ხატს და მადლი შევწირეთ.

ღმერთმა შემისრულა თხოვნა. მამა ანდრია მუდმივ ლოცვებში იყო. ხშირად ვთხოვდი, გვყოფა ამდენი ლოცვა და ღამის თევები, დაიღლები-თქვა. გამიღიმებდა თავისი მშვენიერი ღიმილით და მეტყოდა, ორი წელია, რაც მოვინათლე... ჯარიც მოვილიე... რამდენი წელი უაზროდ დავკარგე, უნდა აღვიდგინო დანაკარგიო.

მუდმივ მარხვაში, ლოცვაში, შრომაში აღამებდა... მარტოდ ყოფნა უყვარდა. დილით, ეკლესიის ეზოში შემოსულს მისი ლოცვის ხმა ჩამესმოდა. მეშინოდა ხელი არ შემეშალა, გავჩერდებოდი და ვუსმენდი. ვის არ მიიზიდავდა ასეთი შთაგონებული ლოცვა. შინაგანი ბერული მონაცემები იზიდავდა მას მარტოობისაკენ. ერთხელ გამომიცხადა: "ღმერთმა შეგიწიროთ, ასეთი მშვენიერი ტაძარი რომ აგიშენებიათ... თქვენ ეს სასუფეველში დაგხვდებათ... მაგრამ ერთი სათხოვარი მაქვს... უნდა დამტოვოთ მარტო..." არა თქვა ვუთხარი. ამ ჩვენი ხელით ნაშენებ და ნაჯაფარ ეკლესიას არასდროს, სიკვდილამდის არ დავტოვებ. მე და ჩემი მეუღლე აქ უნდა დავიმარხოთ-მეთქი და მეუფე დავითის ბეჭედდასმული ბლანკი ვუჩვენე, რომლითაც ამ სოფლიდან გასვლის შემდეგ ტაძარში განსვენების ნება გვეძლეოდა. წაიკითხა, მოგვეხვია და თქვა: "ღმერთმა ინებოს ჩვენი ერთად მოღვაწეობა, არ ყოფილა ჩემი წილხვედრი მარტო ყოფნაო."

...ომი უკვე დაწყებული იყო. მდგომარეობა თანდათან უფრო და უფრო იძაბებოდა. ჩვენ გამუდმებით ვლოცულობდით. ამ ტანჯული ქვეყნის გადარჩენას შევთხოვდით უფალს. ერთხელ სიზმარში ვნახე:

შუა ეკლესიაში, სადაც ანალოგი დგას, დაბრძანებული იყო იოანე ოქროპირის ხატი წითელი ფერის გადასაფარებლით. თითქოს მამა ანდრიას მე ამ წითელი ნაჭრისაგან შევუკერე სამღვდელო კაბა. ვხედავ, აცვია ეს კაბა ზემოთა მოსასხამით, თავზე ბერის კუნკულ-ბარტყულით... გამოვიდა საკურთხევლიდან... (საერთოდ, ყოველი წირვის დროს ქადაგებდა. საოცარი მადლი იყო მასზედ გადმოსული. ხშირად თითონაც ვერ ცნობდა თავის თავს და ამბობდა, ეს იოანე ოქროპირის მადლიაო), თავი დაბლა ჰქონდა დახრილი მორჩილად. დადგა საკურთხევლის წინ და ის იყო, უნდა დაეწყო ქადაგება, რომ უეცრად გაშალა ხელები და აფრინდა ცაში. დილით რომ გამომეღვიძა, ვიფიქრე, დამიტოვებს ეკლესიას და წავა-მეთქი. მეუღლემ (ჩემს მეუღლეს იური ერქვა), მითხრა, ნუ გეშინია, მას ისე უყვარს კომანი და იოანე ოქროპირის ეკლესია, რომ არასდროს არ დატოვებს მას. პირქით, ახლახან მთხოვა, იოანე ნათლისმცემლის მთაზე (ეს მთა იქვეა), ნათლისმცემლის თავის მესამედ პოვნის ადგილზე პატარა კელიასავით გამიკეთეთ. მინდა მარტო ვიყო. შაბათ-კვირას, დღესასწაულებზე ჩამოვალ და წირვა-ლოცვას ჩავატარებ ხოლმეო. თითქოს ცოტათი დავმშვიდდი, მაგრამ წინათგრძნობა მაინც არ მასვენებდა. ღმერთო ძლიერო, დიდებულო! როგორ ახდა ყოველივე... მართლაც გამიფრინდა მამა ანდრია და წმიდა

ანგელოზებთან ერთად, იესო ქრისტეს მიეახლა.

მძიმეა იმ საშინელი დღის გახსენება...

სამი დღით ადრე, კომანის აღებამდე, ჩვენთან ჩამოვიდნენ მეუფე დანიელი, მონაზვნები: დედა თეოდორა და დედა ელენე... მათ საკუთარი თვალით ნახეს ჩვენი გადამწვარი სახლ-კარი. ჩემმა მეუღლემ მეუფეს სთხოვა: აუხსენით ამ ქალს (ე.ი. მე), რომ აქ გაჩერება აღარ შეიძლება და მიეცით ლოცვა-კურხევა, რომ წავიდნენო. მაშინ მეუფე დანიელმა მითხრა: "თუ მეომრები დატოვებენ კომანს, გაკურთხებთ, თქვენც დატოვეთო, მაგრამ მეომრებმა სიცოცხლის ბოლო წუთებამდე არ დატოვეს კომანი.

ღმერთმა მოიხსენოს და აკურთხოს კომანში გმირულად დაცემული ბიჭები... ზაზა პაკელიანის მეთაურობით (ძალიან მტკივა გული).

4 ივლისს უაღრესად გამძაფრდა მდგომარეობა. ყოველის მხრიდან ისროდნენ. იური, მანანა და მე ეკლესიისაკენ წავედით. იქ მამა ანდრია გველოდა. არ გვინდოდა კომანიდან წასვლა, თან მეუღლის რიდიც მქონდა და მამა ანდრიას ვკითხე: "როგორ გრძნობთ, უნდა დატოვოთ კომანი, თუ არა?" მან რამდენიმე წუთის დუმილის შემდეგ მიპასუხა: "არა, არ დავტოვებთ კომანს. დღეს ღამის თევით ჩავატარებთ ლოცვას და წირვას".

წამდაუწუმ ცვიოდა ჭურვები; ტყვიებით მოფენილი იყო მთელი ეზო. აქეთ-იქით დავრბოდით... ტაძარი ზანზარებდა... ღამის სამ საათზე მამა ანდრია გამოვიდა საკურთხევლიდან და გვითხრა: მდგომარეობა ძალიან გართულებულია. წუთი-წუთზე მოსალოდნელია სიკვდილი... ყველას ჩამოგართმევთ აღსარებას და გაზიარებთო... მართლაც ჩამოგვართვა აღსარება. შევიდა საკურთხეველში. გამოიტანა იოანე ოქროპირის გაბრწყინვებული ბარძიმი და უკანასკნელად გვაზიარა. ხუთის ნახევარზე ალყა შემოგვარტყეს. გვიყვიროდნენ, კარები გააღეთო. იური შევიდა მამა ანდრიასთან და კარის გასაღებად კურხევა სთხოვა. გაღება და მისი ავტომატების კონდახის ცემით გაყვანა ერთი იყო. და აი, უკვე, წელიწადნახევარია, აღარაფერი ვიცით, სადაა... ცოცხალია თუ არა... უგზო-უკვლოდ დაგვეკარგა.

მორწმუნისათვის წამება ნეტარებაა, ხოლო ცილისწამება გვირგვინია. ჩემმა იურიმ, თუ ის მოკლეს, ალბათ, მიიღო ეს ნეტარება და ეს გვირგვინი. მჯერა, იგი უფალთანაა. იურისთან ერთად, მაშინვე გაიყვანეს მამა ანდრია.

დაიწყო ჩვენი წამება. გინდათ თუ არა, ეკლესიის სახურავიდან მეომრებთან ერთად ისროდითო. რას არ გვაბრალებდნენ, უფალმა იცის ერთმა. მამა ანდრიასაც კი ცილს სწამებდნენ. სად არის შენი ტანკისტი შვილიო, მეკითხებოდნენ (ჩემი შვილი ამ დროს თბილისში იყო). ეკლესიაში შემოსვლის ეშინოდათ. იქ საბრძოლო შტაბი ეგულებოდათ. პირველი, ვინც კომანში შემოიჭრა, იყო ეშერის აფხაზთა ნარკომანული ბატალიონი. გიჟური თვალები აქეთ-იქით გაურბოდათ.

ღმერთო მაღალო, დიდება შენს ძლიერებას, როგორ გადაგვარჩინე?

გინდათ თუ არა, აქ სადღაც სარდაფია და თქვით სად არისო, გაიძახოდნენ... შემოცვიდნენ ეკლესიაში, შებილწეს ყოველივე, გადააბრუნეს სარკოფაგი, მოიყვანეს ნაღმის მაძიებლები. ისევ და ისევ... სად არის სარდაფიო, გაჰკიოდნენ. მაგრამ ეკლესიას არ ჰქონდა სარდაფი. გვეკითხებოდნენ, რომელი საუკუნისაა ეს ეკლესიაო და როცა ვუპასუხეთ 1 საუკუნისო, გაუკვირდათ. თქვენ საიდან იცით, რომ აქ სარდაფი არ არისო. ჩვენ ეს ვიცოდით, რადგან, როცა ეკლესიის აღდგენაზე ვმუშაობდით, ჩემმა მეუღლემ პარალელურად (რომელიმე ჩვენთაგანის გარდაცვალების შემთხვევაში ადგილის მოსანიშნად) ტრანშეების გათხრა დაიწყო და სადაც კი ბარი დაჰკრა, ადამიანის თავის ქალა იპოვა. ბოლოს უწმიდესისაგან გავიგეთ, რომ აქ 1500 მონაზონი ერთად ყოფილა დაკრძალული. გათხრის დროს ეზოშიც ვპოულობდით თავის ქალებს.

მამა ანდრიას გაყვანიდან რამდენიმე საათის შემდეგ შემოვიდა ვიღაც აბალგაზრდა და გვითხრა: "თქვენი მოძღვარი მოჰკლესო".

ო, ღმერთო, რამოდენა უბედურება ტრიალებდა ჩვენს თავზე... გავცვივდით ეზოში... ჩემი მამა ანდრია მე ვნახე მიწაზე დაგდებული ზუსტად აღდგომის ხატის მსგავსი, მწოლარე სახით, ტუჩებზე ოდნავი ღიმილი გადაჰკვროდა... დედის მაგიერ, კოცნით დავუხუჭე ლამაზი თვალები... იგი იყო შველივით უმანკო, ბავშვივით უშუმაკო... ამასთან, მოუღლელი, შეუდრეკელი, ძლიერი.

ასე მგონია, მან ღვთისგან ჭეშმარიტად სამი გვირგვინი მიიღო:

1. ქალწულობის;
2. მორჩილების;
3. წამების.

აღსარებაზე სულ მეკითხებოდა, სიკვდილზე თუ ფიქრობ. თუ სიკვდილზე ფიქრობ, მაშინ საერთოდ არ შესცოდავო.

ო, უფალო, უმრავლე საქართველოს მამა ანდრიას მსგავსი მოძღვრები...

ჩემმა მამა ანდრიამ იმდენი იღვაწა, იმდენი იშრომა, იმდენი ილოცა, იმდენი ღამე ათენა, იმდენი იმარხულა, რომ ბოლოს ჭეშმარიტად, ღვთის ხილვის ღირსი შეიქნა.

ფრთხილად, მწუხარებით შევასვენეთ ეკლესიაში მე და მანანამ, მისი ბავშვივით მსუბუქი გვამი და საკურთხევლის წინ დავასვენეთ. ვაი, იმ დღის გახსენებას. სახე, ხელები, ფეხები, ვარდის

ზეთით გავუწმინდეთ, ჩასაცმელი გავუფერთხეთ, გავუწმინდეთ ბერის კუნკულ-ბარტყული, მისი, 24 საათის განმავლობაში გაუჩინარებული, იესოზე მოუდუნებელი ლოცვით გამთბარი ფსკვნილი მარცხენა ხელის სამაჯურზე გავუკეთეთ. ღიაცისფერ გადასაფარებელზე სასწაული სანახაობა იყო მისი ნაწამები სისხლი.

მამა ანდრიას სიკვდილმა დიდი გარდატეხა მოახდინა ომის ქარცეცხლზე. მე ასე ვფიქრობ, ის თავისი უმანკო სისხლით გადაეფარა მთელ საქართველოს.

ღრიალით, ლანძღვით შემორბოდნენ ეკლესიაში უმსგავსონი... და დაინახავდნენ თუ არა მამა ანდრიას სისხლს, უკან ბრუნდებოდნენ შერცხვენილები.

ის ღამე თეთრად ვუთიეთ ვუთიეთ გალობით... გარედან კი ყველა კარიდან ავტომატმომარჯვებული მკვლელები შემოგვყურებდნენ... მაგრამ ჩვენთან შიში არ მოსულა. გაგვაძლიერა ჩემმა ტკბილმა იესომ და იოანე ოქროპირმა.

დილით მოვიდა ბრძანება მოსკოვიდან: "იოანე ოქროპირის ეკლესია მსოფლიო მნიშვნელობისაა. არ დააზიანოთ არც ეკლესია და არც მისი ქონება. არაფერი დაუშაოთ ეკლესიის მსახურთ, დააყენეთ გაძლიერებული დაცვა."

მართლაც დაგვიყენეს დაცვა, 1500 კაციანი. ვაი იმ დროის გახსენებას!

უკვე აღარ შეიძლებოდა კომანში გაჩერება... მაგრამ რა გზით უნდა გამოვსულიყავით იქიდან... არ გვინდოდა გამოსვლა, ოქროპირის ეკლესია არ გვეთმობოდა, მაგრამ ერთ დღეს მოვიდა კომენდანტი, ვინმე რაფაელ აიბა, მუსულმანი და გამოგვიცხადა, თქვენზე მოვიდა მოსკოვიდან ბრძანება, რომ გუდაუთაში უნდა გადაგიყვანოთო. ძალიან შევწუხდი. თუ გინდათ, აქვე დაგვხოცეთ, გუდაუთაში კი არ წავალთ თქვა, ვუთხარით. თუ ნებით არ წამოხვალთ, შეგკრავთ და ისე წაგიყვანთო, გვითხრეს... მაშინ ვთხოვე, მომიყვანეთ მართლმადიდებელი მოძღვარი ბესარიონ ფილია-მეთქი. ეს იყო მეუფე დანიელის ეპარქიის მღვდელი სოხუმის სამების ეკლესიისა. ჯერ გვითხრეს, ეპარქიაში არ აღმოჩნდაო, მაგრამ ბოლოს მაინც მოიყვანეს... მამა ბესარიონი სასწრაფოს მანქანით ჩამოვიდა. მანვე გვაუწყა: "უნდა გადაგიყვანოთ ბომბორას აეროდრომზე, საიდანაც სოხუმში გადაგაფრენენო... ეს უკვე შვება იყო. ამოვისუნთქეთ.

"მრავალ არიან ჭირნი მართალთანი და ყოველსავე მისგან იხსნეს იგინი უფალმან (ფსალმ. 33)". "დაიცვნეს უფალმან ყოველნი ძვალნი მათნი და ერთიცა მათგანი არა შეიმუსროს". ყოველივე ეს ჩვენ ჩვენს თავზე გამოვცადეთ.

მამა ბესარიონს ვთხოვე, მიეხედა ჩვენი ეკლესიისათვის, გაეწმინდა. მან აღმითქვა, ყოველივეს გავაკეთებო და გასაღები ჩავაბარე... ცრემლით, აუწერელი, გაუნელებელი ტკივილით გამოვეთხოვეთ ჩვენს საყვარელ ეკლესიას, ხატებს, მამა ანდრიას, მის თბილ საფლავს.

ჩავსხედით სასწრაფოს მანქანაში. მაშინვე ბომბორას აეროპორტისკენ გაგვაქანეს. იქ ჩაგვსვეს შვეულმფრენში. სულ მალე უკვე სოხუმში ვიყავით. შემოგვეგებნენ გენო ადამია, ვენაცვალე მის სულს, მთელი მისი ბიჭები, ნათესავები. შვეულმფრენიდან დაველაპარაკეთ მეუფე დანიელს და ვაუწყეთ, რომ უკვე თბილისში მივდივართ, მაგრამ მეუფემ ჩვენთან შეხვედრა მოისურვა. წავედით ეპარქიაში... მეორე დილით კი თბილისში უწმიდესი გველოდებოდა. დიდება უფალო, შენს სახელს, ნამდვილად არ ძალმიძს იმ წუთების აღწერა, საპატრიარქოში რომ შემოვედით. მადლობა ღმერთს ყველაფრისათვის!

ო, ღმერთო ძლიერო, უფალო, იესო ქრისტე, მუხლმოდრეკილი გევედრები, გაანათე ჩემი მამა ანდრიას, გენო ადამიას, მისი თავგანწირული ბიჭების, ჟიული შარტავასა და ყველა, საქართველოსათვის დაცემული მეომრების სულები. მოიხსენე და აკურთხე; დაუმკვიდრე მათ წმიდა სასუფეველი, ამინ!

მორჩილი მანანა ანუა

# გალობა სავსე ნათლითა

"თქვენ ხართ ნათელნი სოფლისანი" (მათე), 14)

## (მოღვაწეობა და მოწამეობრივი აღსასრული მღვდელ-მონაზონისა მამა ანდრიასი ს. კომანში)

ჩვენ უღირსად ვთვლით ჩვენს თავს, რათა აღვწეროთ ღვაწლი და წამება ბერისა, რომლის ცხოვრება - წყნარი, იდუმალი გალობა იყო ღვთისადმი, - გალობა სავსე ნათლითა... შინაგანი ზეციური ნათლით განსხივოსნებული, მამა ანდრია განუწყვეტლად ჭვრეტდა მას - ჭვრეტდა იმ საშინელი განსაცდელის ჟამსაც, მას რომ ხვდა წილად, და ამ წყნარი, ქრისტეს ნათლით გაცისკროვნებული და ამაღლებული, იგი ღირს იქმნა უმაღლესისა ღვაწლისა მოწამეობრივისა...

1993 წლის დიდი მარხვის დასაწყისში, ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსის, მეუფე დანიელის ლოცვა-კურთხევით, მღვდელ-მონაზონი მამა ანდრია (ყურაშვილი) დანიშნულ იქნა წმ.იოანე ოქროპირის მონასტრის წინამძღვრად ს. კომანში. დიდი იყო ღირსება და პატივი მოღვაწეობისა ისეთ წმიდათა-წმიდა ადგილზე, როგორიც არის კომანის ღვთივკურთხეული მიწა, სადაც უკანასკნელი წირვა აღავლინა და აღსასრული მიიღო მართლმადიდებლობის მსოფლიო მნათობმა, დიდმა იოანე ოქროპირმა, სადაც მოწამეობრივი ღვაწლით გაბრწყინდა წმ. მოწამე ვასილისკო და სადაც მოხდა მესამედ თავის ჰოვნა ნათლისმცემლისა უფლისა-იოანესი. დიდი იყო პატივიც, მაგრამ ამავე დროს, უდიდესი იყო პასუხისმგებლობაც. იმ ჟამს, როდესაც სიკვდილი ყოფადობის მეორე რეალობად იქცა, რამოდენა რწმენით, სიყვარულით და ნათლით უნდა აღვსებულიყო წინამძღვრის სული, რომ აქ არ ჩამქრალიყო ლოცვა მშვიდობისათვის ყოვლისა სოფლისა და მშვიდობისათვის საქართველოისა... ამ უმძიმეს ჟამს, თავისი გამოუფქმელი განგებით უფალმან მოუვლინა ქართულ ეკლესიას 27 წლის მღვდელ-მონაზონი მამა ანდრია - მნათობი იდუმალი სარწმუნოებისა და სიყვარულისა ქრისტესა...

საოცარი იყო და განმაცვიფრებელი ამაღლებული ბერული მოსაგრეობა მამა ანდრიასი. ასეთი უბრალოებით და კრძალული თრთოლვით რომ იყო შემოსილი; მისი დაუძინებელი მარხვა და ლოცვა, მისი გულუხვი მოწყალება (მოტანილ საჭმელს ის მთლიანად გაჭირვებულებს უნაწილებდა, თვითონ კი ზოგჯერ მშრალი პურის ნატეხს კმარობდა), მისი ღამისთევები წმ. ვასილისკოს საფლავზე, ხშირი აღსვლა წმ. იოანე ნათლისმცემლის თავის მესამედ ჰოვნის მთაზე, მისი გამუდმებული ლოცვა-ვედრება წმ.იოანე ოქროპირის ლუსკუმასთან, - ვედრება მშვიდობისათვის ქვეყანასა ზედა და კაცთა შორის სათნოებისათვის, სინანული სულის აღდგენისათვის - საქართველოს სულიერი ამაღლებისათვის...

ამ გამოუთქმელად მძიმე ომის პირობებში, როდესაც შიში და შფოთი ხშირად მოიცავდა ჩვენს გულებს, მამა ანდრიას მშვიდი, დამაჯერებელი სიტყვა, მადლიანი სიმყუდროვე, რომლითაც იგი იყო აღვსებული, - წყნარ ნუგეშად მოეფინებოდა გადაღლილ და გადაქანცულ ადამიანთა გულებს. მამა ანდრია ძალზე სათუთი იყო თავის სამწყსოსადმი ზრუნვაში. იგი ხშირად აზიარებდა მოსახლეობას, ჯარისკაცებს, ნათლავდა მოუნათლავებს, ქადაგებდა და ურწმუნოებით და უსასოობით დაბნელებულ სულებში ქრისტეს ტკბილი ნაოელი მიჰქონდა და მის უზენაეს სიყვარულს აზიარებდა...

5 ივლისს, იმ საშინელი განსაცდელის ჟამს, როდესაც კომანი ალყაში აღმოჩნდა და საფრთხე ძალიან ახლო იყო, მამა ანდრია თავისი ჩვეული სიდინჯით გვაწყნარებდა, მოგვიწოდებდა, რომ ქრისტიანული ღირსებით და მორჩილებით შევხვედროდით და გადაგვეტანა ეს უმძიმესი განსაცდელი. როდესაც მოწინააღმდეგე შემოვიდა კომანში და შორიდან უცხო ხმები ბოისმა, ყოველმა ჩვენთაგანმა იგრძნო, რამდენად რეალური იყო სიკვდილის სიახლოვე. და ამ ჟამსაც მამა ანდრიას სახეზე აღბეჭდილი იყო საოცარი სიწყნარე, რაც ამ შემზარავი წუთების სულიერი

აღქმის უნარს გვინარჩუნებდა.

ეკლესიის გარშემო ჯოჯოხეთის ბნელი ძალები დაქროდნენ. ყველანაირი ჭურვი და ბომბი სკდებოდა კომანის მიწაზე... უცებ მოგვესმა ხეიბრების ხმები, ეკლესიაში თავშესაფარს რომ ითხოვდნენ. იმ წამსვე, დაუყოვნებლად გაიქცა მათ ხმებზე მამა ანდრია, სასწაულებრივად გამოიყვანა ისინი და ეკლესიას შეაფარა. ცოტა ხანში ბრძოლამ პირდაპირ ეკლესიის ეზოში გადმოინაცვლა... მამა ანდრიამ გამოგვიცხადა: მოემზადეთ აღსარებისთვისო... ადგილზე მიიღო აღსარება და ქრისტეს უკვდავ სისხლს და ხორცს გვაზიარა... ზიარების შემდეგ დუმილისკენ და საკუთარ სულთან განმარტოებისაკენ მოგვიწოდა, რათა ამ გარემომცველ ჯოჯოხეთშიც გვესმინა წყნარი და უძლეველი ღვთაებრივი ხმა მარადიულობისა... რათა ამ ქვეყნიდან განსვლის წინ უკანასკნელად შეგვწირა მადლობა შემოქმედისადმი ყველაფრისათვის... ეს წუთები დაუვიწყარია... სწორედ ამ წუთებში განსაკუთრებული ძალით გამომჟღავნდა მამა ანდრიას სულის იდუმალი ნათება - ნათება უმშვიდესისა ქრისტეს სიყვარულისა, რომელი "ბნელში ანათებს და ბნელმა ვერ მოიცვა იგი"... (იოანე 1,5). მამა ანდრია თითქოს სხვა განზომილებაში იმყოფებოდა, - სადაც სუფევს მარადიული ჰარმონია და სილამაზე, რომლის დარღვევა თვით ჯოჯოხეთსაც ვერ ძალედვა, რამეთუ ამ გამოუთქმელი ჰარმონიის და სილამაზის სათავე თვით უფალია...

... ჯერ ეკლესიიდან გაიყვანეს წმ.იოანე ოქროპირის მონასტრის აღმდგენელი, იური ანუა, (მამაჩემი), რამდენიმე წუთის შემდეგ კი, მამა ანდრია, რომელიც მორჩილებით, დუმილით და ლოცვით შეხვდა ჟამს, რომლისაკენაც მიდიოდა მთელი თავისი სიცოცხლე, - ჟამს დასრულებისა ურვით და სულთქმით საკვე ამ მიწიერ ყოფადობისა და მარადიულ ზეციურ სიმშვიდეში და ნათელში განსვენებისა... ვითარცა ზვარაკი ღვთისა, მშვიდად, ყოველნაირი წინააღმდეგობის გარეშე, მან დაუმორჩილა თავი განგებას ღვთისას და მიიღო მოწამებრივი აღსასრული ბოროტებით დაბნელებული ჯალათის ხელიდან.

ასე დასრულდა ამქვეყნიური ცხოვრება ქართული ეკლესიის ახალი ანთებული ლამპრისა, რომელმაც თავისი მოსაგრეობით და აღსასრულით განადიდა ერი თვისი, აღამაღლა და განამშვენა დანიშნულება და წოდება ბერ მონაზონისა... მამა ანდრიას ნახევრად გახელილი თვალები გამოუთქმელი ნეტარებით იყო სავსე. სახეზე ნათელი ღიმილი გადაჰკრავდა, და მთლიანად წარმოადგენდა უზენაესი სიდიადისა და სიყვარულის ანარეკლს. მისი სხეული ტაძარში შეეაბრძანეთ და საკურთხევლის აღსავლის კარების წინ დავასვენეთ. მოხდა სასწაული, იმ დროს, როდესაც ირგლივ მოკლულთა გვამები იხრწნებოდა და ფუჭდებოდა, მამა ანდრიას სხეული ამ ჰაპანაქება სიცხეში არ გახრწნილა. მისი სისხლი, რომელიც ჩვენ მისი წამების ადგილზე შეეაგროვეთ, არ შედედებულა. ამ სასწაულის ხილვამ უდიდესი გავლენა მოახდინა თვით აფხაზური ჯარის მეომართა ნაწილზე. ბევრი მათგანი შენდობას ითხოვდა, შეძრწუნებული; ზოგი ცრემლსაც ვერ მალავდა. იყვნენ ისეთებიც, რომელთაც სურდათ პირადად გაესწორებინათ ანგარიში მამა ანდრიას მკვლელთან, რაზეც ჩვენ ვერასოდეს ვერ დავთანხმდებოდით; თვით მამა ანდრია არ მოგვცემდა ამის უფლებას და ისევ უფალს მივენდეთ. რამდენიმე დღეში, მამა ანდრიას მკვლელი, როგორც თვით აფხაზმა მეომრებმა გვითხრეს, ნაღმზე აფეთქდა და მარჯვენა ხელი და ფეხი დაკარგა. და მაინც, მამა ანდრიას ლოცვით, უფალმა დაუტოვა მას სიცოცხლე; ალბათ იმიტომ, რათა ღრმა სინანულით გამოესყიდა ეს უმძიმესი და უსაშინელესი ცოდვა. 7 ივლისს, წმ.იოანე ნათლისმცემლის შობის დღეს, მამა ანდრიას წამებული სხეული მივაბარეთ კომანის დალოცვილ მიწას და ეკლესიის კედელთან ამოთხრილ საფლავში დაკრძალეთ...

მამა ანდრიას საფლავზე დგას ხის ჯვარი, ნიშნად იმ სულიერი ჯვარისა,რომელიც მან შეიყვარა. შეიყვარა ბოლომდე და რომელსაც შეეწირა, ვითარცა ზვარაკი, და რომელმან აამაღლა იგი და ღირს-ჰყო გვირგვინსა მოწამეთასა...

ასე წყნარად მოვლინა ქართულ ეკლესიას და ქართველ ერს მღვდელ-მონაზონი, მამა ანდრია, რათა მოეფინებინა ჩვენთა სულთათვის ნათელი მიუაჩრდილებელი, რომლითაც აღვსებული იყო სული მისი, რათა თავისი ცხოვრებით ედიდებინა ჭეშმარიტება...

.... მისი ცხოვრება - წყნარი, იდუმალი გალობა იყო ღვთისადმი - გალობა სავსე ნათლითა...





## ეს არ უნდა განმეორდეს

ომის პირველი დღეებიდანვე იქ ვიყავით... ხშირად ჯგუფებად დავდიოდით. უმეტესად საკუთარი სურვილით. - მივყვებოდით ხან თვითმფრინავებს, ხან მანქანებს. ეს დიდი ტკივილი იყო. ვილებდით ყველას და ყველაფერს, ასეთ სიტუაციაში ძალიან ძნელია სიმშვიდის შენარჩუნება, განსაკუთრებით ხელოვანისათვის. მაინც ვცდილობდი, მიუკერძოებელი თვალით შემეხედა ყველაფრისათვის. უნდა დაიოკო ემოციები. ეს ძალზე მნიშვნელოვანია. გარიბალდს უთქვამს: როცა მტერზე ლაპარაკობ, უნდა დაიმშვიდო თავი, ხოლო როცა მოყვარეზე ლაპარაკობ, უნდა გაიღიზიანოო. ეს პრინციპი სწორად მიმაჩნია. ამ დამოკიდებულებით გავაკეთე წინა სურათიც 9 აპრილის ტრაგედიაზე. მისი მთავარი გმირი იური როსტი იყო, თანამონაწილე და თანამოწმე ყველაფრისა. იგი დადიოდა საავადმყოფოებში და საერთოდ, ყველგან. აინტერესებდა, რუსები თუ დაზარალდნენ. არცერთი არ უნახია. ყველაფერი დააფიქსირა. სურათიც ასეა. როსტია გამჭოლი მოქმედების გმირი. ამავე პრინციპით ემუშაობდი აფხაზეთშიც. ჯერ მასალებს ვაგროვებდი. ძალიან ბევრი ოპერატორი და ჟურნალისტი მუშაობდა. ზოგი დაიღუპა კიდეც. მე იმ პერიოდში ცუდად ვიყავი, ოპერაცია გავიკეთე. მაინც ვერ ვისვენებდი... მაგრამ ჯერ ფილმზე მაინც არ ვფიქრობდი. სოხუმის დაცემის შემდეგ კი, როცა ვნახე, ლტოლვილები როგორ აღმოჩნდნენ მთებში უპატრონოდ, შემძრა. ეს განცდა ენით არ გამოითქმის. განსაკუთრებით, საშინელება ტრიალებდა საკენიდან ჭუბერამდე გადასასვლელ უღელტეხილზე. ცხვრის ფარასავით იყო მოდებული ხალხი აღმართს. სრულიად მოუმზადებლად წამოვიდნენ; რაც მოასწრეს, ის წამოიღეს, საბოლოოდ კი თითქმის არაფერი. ზოგი საშინაო ტანსაცმელითა და ფლოსტებით იყო... ზოგი კი არა, უამრავი. ყველაფერ ამას ბუნების მრისხანებაც დაერთო. თოვლი მოვიდა. სანამ ტყით მოდიოდნენ, შეშას მაინც აგროვებდნენ და კოცონებს ანთებდნენ, მაგრამ უღელტეხილზე, სადაც ალპიური ზონაა, ხე საერთოდ არ იზრდება. ამ გზას თავისუფლად შეიძლება გოლგოთის გზა დაერქვას. ამბობენ, ამ გადასვლამ ქართველი ხალხი ბიბლიურ ერად აქციაო და მოსეს მიერ ებრაელთა ეგვიპტიდან გამოყვანას ადარებენ. მე მგონია, ეს უფრო მძაფრი გზა იყო. იქ მოსემ თვითონ წამოიყვანა თავისი ხალხი, წამოიყვანა გადასარჩენად, აღთქმული ქვეყნისაკენ. აქ კი, ადამიანები საკუთარი მიწიდან აჰყარეს და თოვლიან უღელტეხილებში გაჰყინეს; დიდზე დიდი დანაკარგის, თავზარდამცემი ტკივილებისა და მწუხარების ფასად, მაგრამ ქართველებმა მაინც გადაიარეს ეს უღელტეხილები. უამრავი ტრაგედია ჩვენს თვალწინ დატრიალდა. დაიხოცნენ ადამიანები, ზოგი შიმშილით, ზოგი სიცივით, გადაღლით, სიბერით, ავადმყოფობით... ვერ გაუძლეს. გზაში ბავშვებიც კი დაიბადნენ, გაციდნენ და მოკვდნენ. მაგრამ ხალხი მაინც მიიწევდა წინ, გადარჩენისაკენ!

ყველაზე გასაოცარი მაინც ის იყო, რომ ღრმა მოხუცებულებმა დახძლიეს უღელტეხილები, ახალგაზრდებზე უფრო ყოჩაღად. ეს დაუჯერებელია, მაგრამ სინამდვილეა, ძალიან ბევრნი იყვნენ. უკანასკნელი ენერგიის დაძაბვით გადადიოდნენ მდინარეებზე, ქვებზე. აქ კარგად გამოჩნდა ადამიანის შინაგანი შესაძლებლობები, გაჭირვების ჟამს რომ ვლინდება.

ერთნაირად იყო ყველა. მოდიოდნენ, მოფორთხავდნენ... რომელი რეჟისორი შეძლებს მსგავსი კადრების გადაღებას... არც ვიცი, რა შეიძლება დაერქვას ამ საშინელებას. პირველ ორ დღეს ყველანი გაოგნებულები და დაზაფრულები იყვნენ. მერე თანდათან მოვიდნენ აზრზე. შემზარავი სურათი იყო, შეეულმფრენებიდან რომ უყრიდნენ ხალხს პურს, საკვებს. თანდათან მოვიდა პირველი სამედიცინო დახმარებაც, - გაშალეს კარვები. გაჩნდა მცირეოდენი იმედი. ჭუბერამდე მისვლა იყო საქმე. იქიდან განუწყვეტლივ გადმოჰყავდათ ხალხი. მთავარი შტაბი ქუთაისში იყო.

ერთი ეპიზოდი... აეროპორტიდან, ქუთაისში, ცენტრისაკენ ფეხით მიდიოდნენ სამი ქალი და

ექვსი ბავშვი. მკითხეს, შტაბი სად არისო. ცენტრში-მეთქი, ვასწავლე; დაადეს თავი და გზას გაუდგნენ. მოიცადეთ, ძალიან შორს არის - თქვა, ვუთხარით და რაღაც მანქანაში ჩავსვით. იმდენი ჰქონდათ გადატანილი, სიშორის განცდა უკვე აღარ გააჩნდათ.

ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია ძალადობის იმ დონეზე აყვანა, რაც დღეს მსოფლიოში ხდება, რაც მოხდა აფხაზეთში. უკვე საეჭვო გახდა, ადამიანი ცხვარია თუ მგელი. ალბათ, ერთიც არის და მეორეც. და თუ ეს ასეა, მაშინ ჩვენ უნდა ვეცადოთ, მომავალი თაობა აღვზარდოთ სიყვარულით, სარწმუნოებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყანა დაინგრევა. ჩვენ უნდა დავიბრუნოთ ჩვენი ძველი დიდება, კულტურა, არც ისე შორი წარსულისა. ჩვენ, ამ შემთხვევაში მე ქართველებზე ვლაპარაკობ, შეგვიძლია ვაშენოთ, შეგვიძლია სხვებსაც დავეხმაროთ... როგორც სულიერად, ისე მატერიალურადაც. ეს აუცილებელია. ჩვენს გენში ეს დევს. მე მჯერა, რომ მომავალი თაობა ამას გააკეთებს. სატანა ძალიან ხშირად მართავს ადამიანის სულს, მაგრამ რწმენას თუ დავუბრუნდებით, და ეს აუცილებელია, ყველაფერს შევძლებთ. მტრობას კარგი არასოდეს არ მოაქვს. იგი სიკეთესავითაა, რამდენსაც გასცემ, უფრო მეტი დაგიბრუნდება. ჩვენში ყოველთვის იყო სიკეთე. ალბათ, ამან გადაგვარჩინა.

ჩემი სურათის ფინალში არის კაცი, რომელიც დასტირის ქალიშვილს... როდესაც ამ კადრს ვუყურებ, ისეთი განცდა მაქვს, ეს კაცი დასტირის არა მარტო ქალიშვილს, არამედ დღევანდელ საქართველოს და მის ბედ-იღბალს, ხრულიად დაუმსახურებელს.

რაც შეეხება ამ კაცის ისტორიას, ცხოვრობდა შესანიშნავად, აჰყარეს თავისი მიწიდან და ერთ წამში ყველაფერი დაკარგა... მთელი ოჯახით მიდიოდა. ერთდროულად ორ-სამ ბავშვს ატარებდა. ერთ უღელტეხილზე გადასვლის დროს გაეყინა ხამი თვის ბავშვი. ჩადეს ჩანთაში და ოცი კილომეტრი იარეს. რომ შემოაღამდათ, დაანთეს კოცონი... დაახლოებით ერთ საათში, ჩანთა ამოძრავდა. ბავშვი სითბოში გაცოცხლებულიყო. ყველა სიხარულმა აიტანა. ამოიყვანეს, დედამ მაშინვე შემოიხია პერანგი, გაახვია, მკერდზე მიიკრა, გაათბო. პირდაპირ სასწაული მოხდა. სრულიად შემთხვევით გავიცანი ეს კაცი. ტელევიზიაში იყო მოსული. მისი ერთადერთი სათხოვარი იყო, სამუშაო ეშოვათ, რომ ოჯახი ერჩინა. პროგრამების უფროსმა რედაქტორმა ლეილა ყუბანეიშვილმა ფილმიდან იცნო და სასწრაფოდ დამირეკა. რეზო ლომაძეა მისი სახელი და გვარი. მას შემდეგ ემეგობრობთ. ვიყავი მასთან გორში (ამჟამად იგი გორში ცხოვრობს). თან მყავდა ჩვენი სტუმარი, ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტის პროფესორი, ჩვენი დიდი მეგობარი, ქალბატონი ელვირა გორიუხინა. ძალიან განიცადა ამ ოჯახის მდგომარეობა და შესთავაზა თავისი დახმარება. წამოდით ნოვოსიბირსკში. მე დასთან გადავალ და თქვენ ჩემს სახლში გაცხოვრებთო. ეს ერთი კერძო ამბავია... მაგრამ ვინ მოთვლის, რამდენი ასეთი დიდი ტრაგედია დატრიალდა ამ გზაზე.

ისეთი უცნაური იყო ეს გადასვლა, ზემოთაც ვთქვი და ისევ ვიმეორებ, ებრაელების გამოსვლაც კი არ ყოფილა ასე შემზარავი. ეს იყო სუფთა ეთნიკური წმენდა. თავზარდამცემ სპექტაკლს ჰგავდა; თუმცა, რა სპექტაკლი შეედრება მას.

ეს არ არის მარტო ქართველების ტრაგედია. იგი შეიძლება სხვაგანაც განვითარდეს. ამიტომაც დავარქვი ფილმს - "უბედურების ზონა, ანუ არაჩვეულებრივი ფაშიზმი", რომლითაც ვაფრთხილებ ყველას, რომ ეს არ უნდა განმეორდეს, არასდროს, არსად.

**მიხეილ ჟიაურელი**

კინორეჟისორი



# ღმერთო, გააღვიძე ქართული სული

ომი ლაკმუსის ქაღალდივითაა. უცებ ავლენს ნებისმიერი პიროვნების სულიერ თუ ფიზიკურ შესაძლებლობებს. მის ზნეობას, ხასიათს, მეობასა და კაცობას. ომში მყისიერად უკეთ შეიცნობ გარშემო მყოფთ, ვიდრე წლობით ნაცნობობისას. თითქმის ასევე სწრაფად დაინახავ ნამდვილ, უნიღბო სახეებს, მხოლოდ მთაში, ძნელი გზებით მწვერვალისკენ მიმავალი, ან რაღაც დიდი უბედურების წინ... მაშინ, როდესაც გარემოც და მოქმედებაც ორ ფერად აღიქმება, შავად და თეთრად. მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველა ფასეულობა კარგავს მნიშვნელობას, სიცოცხლის გარდა. ასეთ დროს გაკვირვებს არა მარტო შემთხვევა, თუ სხვისი მოქმედება, ხშირად საკუთარ თავშიც ისეთ რამეს აღმოაჩენ...

უმრავლესობა გასაჭირის დროს ღმერთს ახსენებს. პატიებასა და შველას თხოვს. რასაკვირველია, არიან მორწმუნენიც, მაგრამ არიან მედროვენიც, რომლებიც წინათ ერთნაირი ხალისით დადიოდნენ პარტიის კრებებზე.

მე არც ერთი ვარ და არც მეორე. სულ რაშდენიმეჯერ მილოცნია. მაგრამ გულით, მაგრამ ნამდვილად. ერთხელ ეს მთაში მოხდა, ტიან-შანის ზეგანზე, სადაც უთოკოდ და სამარჯვების გარეშე საოცარ ციცაბოზე გავედი. მაშინ კი ვთქვი: ღმერთო, მიშველე, მაპატიე, თუკი რამ ცოდვა ჩამიდენია, და უხიფათოდ გადამატარე-მეთქი. გადავრჩი.

... ერთი საოცარი რამ მომივიდა ომში, აფხაზეთში, სადაც ორჯერ ზუსტად ერთნაირ ყოფაში აღმოვჩნდი. პირველად, ეს სოფელ აკვასკასთან მოხდა, მეორედ კი უკვე ოჩამჩირის გარეუბანში, სადაც იმხანად დივიზიას ვმეთაურობდი. როგორც ყოველთვის, ამ ომში არეული სიტუაცია იყო. იყო ბიჭების თავგანწირვაც, ღალატიც და თავდადებაც. ყველაფერი ისე, როგორც საერთოდ გვჩვევია ქართველებს.

.... შენობიდან გამოვედი და "პატარა" შტაბისკენ გამოვწიე. ოთახში არავინ იყო. ჯუბა გავიხსენი და ის იყო ტახტისკენ წავედი, მინდოდა ორიოდ საათი წამეძინა, რომ უცებ რაღაცამ გამაქვავა. სეიფზე წმიდა გიორგის ხატი იდგა, კედელს მიყუდებული. მისკენ მეწეოდა რაღაც ძალა. ხატს მივუახლოვდი და მაშინ დავინახე: ერთი სანთელი იდო იქვე. ასანთის კოლოფიც შევნიშნე. კოლოფში ერთი ღერი ასანთი დამხვდა. შეიძლება, ეს შემთხვევითი ამბავი იყო, მაგრამ ყოველივე ისე აღვიქვი, რომ ეს ჩემთვის, მხოლოდ ჩემთვის დაეტოვა განგებას.

სანთელი ავანთე და გაგრაში გაცნობილი ჰიპოდიაკონი, მამა ლევანი გამახსენდა.

- თუ გული არ გთხოვს, არ ილოცოო. ღმერთის ხშირად შეწუხება არ ვარგაო, მითხრა. მერე ისიც გამახსენდა, რომ ჰიპოდიაკონი დაჭრეს... რომ მე ადრე დღიურში ჩავიწერე, თბილისში მოვნახო, დავეხმარო-მეთქი, და, სავალალოდ, ეს ყველაფერი დამავიწყდა... კონტუზიის შემდეგ თბილისში თითქმის მთელი თვე ვიყავი და მამა ლევანი არ გამხსენებია.

მერე ისევ ჩემი დაღუპული ბიჭები მომაგონდნენ: ისევ ვაჩე და გუჯა ლომიძე, ნუკრი მაისურაძე და ირაკლი ამირეჯიბი...

ირაკლის დედა და ძმა არ უშვებდნენ ომში, - ახალნაავადმყოფარიაო. ჩემთან იყო სახლში, აქ ემალებოდა თავისიანებს. დედაჩემმა ორთავე გადაგვკოცნა წასვლისას. სანამ კიბეზე დავეშვებოდით, ირაკლი მოაჯირს შეახტა და ჩემს საავარჯიშო რგოლებს ჩამოეკიდა. ერთხელ ამოტრიალდა და იქიდან დაუძახა დედაჩემს, ნუ გეშინიათ, ჩვენი მოსაკლავი ტყვია ჯერ არ ჩამოუსხამთ რუსებსო... - და კიბეზე ჩაქანდა.

...საავადმყოფოში რომ მიმიყვანეს, ერთი კვირის თავზე ირაკლი დაიღუპა ტამიშთან... გუჯა ლომიძეს ჯვარი დაეკარგა. მანამდე ჯვარი ძაფზე ეკიდა. რამდენჯერმე ვუთხარი, ძაფი თასმით შეეცვალოთ-მეთქი. არაფრით არ ქნა, რაც მიწერია, ვერ ავიცდენ, უნდა მოხდესო. ჯვარი დაეკარგა და იმავე დღეს დაიღუპა. ამბობდა, მანამ ჯვარი ჩემთან იქნება, ვიცოცხლებო.

აი, ეს და კიდევ ბევრი სხვაც გამახსენდა იმ სანთლის, ასანთისა და ხატის დანახვაზე.

ხატი გაცრეცილ ლურჯსუფრაგადაფარებულ

მიხო მორჩილაძე. ეპიზოდი აფხაზეთის ომიდან

მაგიდაზე იყო დასვენებული.

სანთელი ავანთე, ძირი მოვურბილე და თლილი ღვინის ჭიქის გვერდს მივაწებე... ძალიან მომინდა ლოცვა, მაგრამ ვერც "მამაო ჩვენო" და ვერც სხვა რომელიმე ლოცვის სიტყვები ვერ გავიხსენე. ცოტა ხანს ჩუმად ვიდექი. მერე მუხლებზე დავემხე და ვიგრძენი, როგორ დამიმძიმდა ქუთუთოები და თვალები ამეწვა.

- ღმერთო, დაგვიბრუნე გონი ქართველებს...

- ღმერთო, გაალვიძე ქართული სული...

- ღმერთო, შემაძლებინე ქვეყნის სამსახური...

- ღმერთო, ჯერ მაღირსე მტრის განდევნა და მერე მომკალი...

ამას და ამნაირებს ვთხოვდი უფალს და ქვეყნის გადარჩენას ვევედრებოდი.

ფეხზე რომ წამოვდექი, უსასრულო შვება ვიგრძენი, იარაღი ავიღე, ის იყო, უკან უნდა დაბრუნებულიყავი, რომ გვერდითა ოთახიდან ლაპარაკი შემომესმა. გამიკვირდა, ბიჭები აქ საიდან შემოვიდნენ-მეთქი. მარჯვენათი იარაღი მეჭირა, მარცხენა ხელი კარს გკარი და ოთახში შევაბიჯე. ორი რუსი მეომარი შემრჩა ხელში. გაბრაზებული მეთაურის ნირი არ შემიცვლია. კიდევ კარგი, ეს მაინც მოვახერხე. **Ребята, дайте покурить**, - ვთხარი და ზურგით კარის ქიმს შევეყრდენი.

ორივენი დაფაცურდნენ, ჩემგან მარცხნივ მდგომმა დაასწრო და "მალბორო" მომაწოდა. ფორმა ორივეს ჩემნაირი ეცვა, ოღონდ უფრო ახალი, ჯერ გაურეცხავი. ჩანდა, ახალგაზრდა ოფიცრები იყვნენ. სიგარეტი მარცხენა ხელით გამოვართვი, მარჯვენათი, როგორც ყოველთვის, ავტომატი მეჭირა და საჩვენებელი თითი სასხლეტზე მქონდა მიჭერილი.

- **Начальству надо прикурывать!** - დამრიგებლური ტონით ვუთხარი და სიგარეტი თითებში შევათამაშე.

ახლა მეორემ დაასწრო და სანთებელა სახესთან მომიტანა.

მოვქაჩე და მხარზე ხელი მოვუთათუნე.

- **Молодцы, Молодцы...**

ორივე ისე იდგა ჩემს წინ, ჯარში ნამსახურებ ხალხს რომ სჩვევია და თვალებში მიყურებდნენ.

ამათ განადგურებას არაფერი უნდოდა, ერთი სასხლეტის გამოწევა იყო და მორჩა, მაგრამ მე ჯერ საერთო სიტუაცია უნდა გამეგო. მტკიცე, საკუთარ თავში დარწმუნებული კაცის ნაბიჯით გამოვედი გარეთ. სახლის პარმაღზე დავდექი, სამხედრო ქუდი მოვიხადე და ბეჭებში გავიშალე. შორიახლოს შაშვის ჭახჭახი გავიგონე და ზურგი ამეწვა. ეს ნამდვილად გუჯა მეძახდა. შემოტრიალდი, თავზე ქუდი დავიხურე და გამართული ნაბიჯით სიმინდის ყანაში შევედი.... უნდა დაგვესწრო. რამდენიმე წუთში მტკრი მიხვდებოდა შეცდომას და... "ნინძამ" ყუმბართმტყორცნი ჯერ შუა სახლს დაუმიზნა. ჭურვმა კარი შეგლიჯა და შიგნით საოცარი ქუხილით ცეცხლის

წვიმებად გასკდა...

.... მე რომ ვილოცე, გუჯამ ის წმიდა გიორგის ხატი მაჩვენა. იმ ორომტრიალში ფეხი წაეკრა და აგიზგიზებული ცეცხლიდან ამოეღო. ხატს ერთი გვერდი გატრუსული ჰქონდა. ეტყობა, სახლიდან ნაგავი და ხაბაკ-ხუბაკი რომ გამოჰქონდათ, ეს ხატიც მაშინ გამოიტანეს და სანაგვეზე დააგდეს. ძალზე სწრაფად კი დაისაჯნენ. გუჯამ მთხოვა, ხატი მისთვის დამეთმო, - შენია და შენ გქონდეს, ღმერთმა კეთილ გზებზე გამარჯვებით გატაროს-მეთქი!..

მაშინ პირველად ვილოცე ომში, იქ, აკვასკას მისადგომებთან. იმ დღეს გავიმარჯვეთ. და ერთიც არ დაგვჭრია!... მერე კიდევ!... მერე კიდევ!... მაგრამ ოქტომბრის ბოლოს შავი დღეები მოგვეძალა. ერთ დღესაც კი ერთბაშად სამი კაცი დაკარგეთ. მერე, თავად ზედიზედ, ორჯერ კონტუზიამ წამაქცია და საავადმყოფოში ამოვყავი თავი... მერე უჩემოდ დარჩენილი ბატალიონი დაიშალა... მერე ჩვენი ბიჭები კიდევ დაიღუპნენ... მერე თითქოს რაღაც გამოსწორდა. მე ფეხზე დავდექი. უკან დავბრუნდი ომში. და ისევ ეს ხატი, სანთელი, ასანთი... განმეორდა. ახალ-ახალ გამოცდას მიწყობდა განგება, ან ეს განმეორება რაღას ნიშნავდა? ხატს მივუახლოვდი, შეცდომა გამორიცხული იყო, მაღალ და განიერ, მწვანე სეიფზე გუჯას ნაქონი ხატი ესვენა, კედელზე ოდნავ მიყრდნობილი.

კვლავ მუხლებზე დავემხე და ისევ საქართველოს გამარჯვებისათვის ვილოცე...

გავიდა ხანი. ვერ ვიტყვი, რომ ამ ორმა შემთხვევამ ორთოდოქს მორწმუნედ მაქცია-მეთქი. ეკლესიაშიც ძალიან იშვიათად ვარ.

ამ რამდენიმე დღის წინ ბიძაჩემი გარდაიცვალა, გაიოზ იმედაშვილი, შესანიშნავი რუსთველოლოგი, ნამდვილი მორწმუნე... და პირველად ჩემს სიცოცხლეში, ბოლომდე დავესწარი მიცვალებულის წესის აგებას. კარგა ხანს გაგრძელდა ფსალმუნის კითხვა, მონაზონთა გალობა. ჩემდაუნებურად, ნელ-ნელა გამიტაცა ტექსტმა. საოცარი ფიზიკური შვება და სულიერი სიმშვიდე მომგვარა. რამდენიმე საათი ჯერ პანაშვიდზე და მერე წესის აგების დროს, ფეხზე დგომისას თითქმის ყველა, ყველა ჩემი ცოდვა გამახსენდა. გამახსენდა, თუ რამდენ ვინმეს დაუმსახურებლად ვაწყენინე, იმედი გავუცრუე. ჩემი შერცხვენებიც გამახსენდა; ისიც, თუ სად თავი ვერ მოვთოკე, სად კი პირიქით... გამახსენდნენ ისინიც, ვინაც სიკეთით შემხვდა. გამახსენდა ეს ორი ლოცვაც წმიდა გიორგის ხატთან.

გარშემო ჩვენი ნათესავები, ბიძაჩემის მეგობრები იდგნენ. რამდენი რამ გვიწყენინებია ერთმანეთისთვის. რამდენი რამ არა, ან ვერ გაგვიგია ერთმანეთისა...

"სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი"... თითქოს უკუნში სინათლის წვრილმა სხივმა კარის ჩარჩო შემოხაზა.

მე მშვიდისა და სისადავის ასწილ უფრო დიდი მოტრფიალე გავხდი. შეიძლება, ეს ასაკის გამოცაა. წელს ორმოცდაათის ვხდები. შეიძლება, ეს კიდევ ერთი ნაბიჯია ჭეშმარიტებისკენ გზაზე...

ყოველ შემთხვევაში, ეს არის ის, რაც ვნახე, შეგვიგრძენი და გადმოცემა მოვახარხე. მხოლოდ ეს და მეტი არაფერი...

**მიხო მორჩილაძე**

მწერალი



# გაჭირვებაში შეიცნობა ადამიანი

## გვესაუბრება აფხაზეთის ეპარქიის მმართველი, მთავარეპისკოპოსი დანიელი

ბევრი რამით ჩამოჰგავს იგი ძველ მამებს... ყველაზე მეტად კი, სულის ნათებით... ლბილი, კეთილი, მდუმარებისაკენ მიდრეკილი... და მკაცრიც, შეუვალიც... კლდედ ვიდგეთო, წერია ერთ ლოცვაში. კლდედაც იდგა აფხაზეთში... სალოცავი ხატებით, ჯვრებით... და ქვეყანას ხალხს შემოქმედს ავედრებდა, შესთხოვდა გადარჩენას. შემდეგ კი, - ლტოლვილებთან ერთად ფეხით გადავლო სვანეთის უღელტეხილები. ბოლომდე მასთან იყვნენ სამღვდელონი და ბერ-მონაზონნი, მორწმუნენი. არც ისე დიდი ხანია, იგი ამ ეპარქიის მმართველია... მიტროპოლიტ დავითის აღსრულების შემდეგ, ჯერ დროებით, შემდეგ კი სრული უფლებამოსილებით, მისმა უწმიდესობამ აფხაზეთის მღვდელმთავრად დაადგინა... უძძიმეს ჟამს, ცხელი ომის დღეებში ჩავიდა სოხუმში... როგორი იყო ამ ომის შეგრძნება, საერთოდ, ის დღეები", ასეთი კითხვით დაიწყო ჩვენი საუბარი...

**მეუფე დანიელი:** ჩემი დანიშვნა აფხაზეთის ეპარქიაში, როგორც თავად იცით, დაემთხვა პერიოდს, როდესაც ომი უკვე რამდენიმე თვის დაწყებული იყო. ამ ეპარქიაში მსახურება ყოველთვის განსაკუთრებით პასუხსაგები იყო; ძალიან ჭრელი მოსახლეობაა. რა ერის წარმომადგენელს არ ნახავთ აქ... არამცთუ ამ უძძიმეს ჟამს, საერთოდაც. ამ ადამიანებს შორის მუდამ მშვიდობიანი თანაარსებობის შექმნა იყო საჭირო... ეს მით უმეტეს საშური იყო ახლა. ხოლო, ამ საქმეში, ყველაზე დიდი როლი უნდა შეესრულებია ეკლესიას. მისთვის ყველანი ერთი ოჯახის, მართლმადიდებლობის შვილები იყვნენ. ომი თანდათან მძიმდებოდა და ხალხის გათიშულობამაც კულმინაციას მიაღწია. ყველაზე უფრო გამწვავებულ სტადიაში მიწევდა მე, ამ პრობლემასთან შეხება და ზრუნვა. ამასთან ერთად, ამ ურთულეს და მოულოდნელობებით აღსავსე ვითარებაში უნდა გამეცნო ჩემი ახალი ეპარქიის სამღვდელოება და მისი მრევლი. თითქმის თავიდან უნდა დაწყებულიყო საეკლესიო ცხოვრება. იგი საჭიროებდა შესწავლას, გააზრებას, მისმა უწმიდესობამ შექმნილ ვითარებაში სწორი მიმართულების, უმძიმესი ტვირთის დათმენისა და ატანისათვის, შექმნა სასულიერო პირთა დიდი ჯგუფი, რომელიც ჩემთან ერთად გაემგზავრა სოხუმში. ამ ჯგუფში იყო ორი მღვდელმთავარი: ეპისკოპოსი იობი ბათუმიდან და ბოდბელი ეპისკოპოსი დავითი; იყვნენ სასულიერო პირნი, სამღვდელონი, ბერები, მონაზვნები და ეკლესიის მორჩილები. მათი დახმარებით, პირველი დღეების სიმძიმე ჩემთვის ადვილი გადასატანი შეიქნა. თავიდანვე შეეეცადეთ ყურადღება მიგვექცია უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი ქალაქის მოსახლეობისათვის, და ეცდილობდით, დაძაბულობისაგან გამოგვეყვანა ისინი. ქალაქში არ იყო განათება, დარღვეული იყო ყველაფერი. ხშირად არ იყო წყალი, არ ცხვებოდა პური, რაც ყველაზე მძიმე იყო... ყოველ წამს ცვიოდა ბომბები. იყო მსხვერპლი, დაჭრილები. ჩვენ ქალაქის ცენტრალურ უბნებში ვაწყობდით მსვლელობებს ხატებითა და ჯვრებით, გალობით, კმევითა და ნაკურთხი წყლის სხურებით, ეს მსვლელობა ადამიანებს უმტკიცებდა ღვთისადმი რწმენას და უმძიმეს წუთებში სულიერი ძალების მოკრეფისა და ამოსუნთქვის საშუალებას აძლევდა. მიუხედავად შექმნილი მრავალი

დაბრკოლებისა, ჩემი მიზანი სწრაფად სრულდებოდა. ერთის მხრივ, ამ უბედურებამ ყველა ერის ხალხი გააერთიანა ეკლესიის გარშემო... უფრო მჭიდრო გახდა ეკლესიის მსახურთა ურთიერთობა მოსახლეობასთან, და მეორეს მხრივ, ასევე სწრაფად მოხდა სამღვდელოებისა და მრევლის გაცნობა. ეს ასეა, გაჭირვებაში შეიცნობა ადამიანი. ბევრი დრო არ დაგვჭირვებია. ამ ომმა დააჩქარა ჩვენი ურთიერთდაახლოება. ეკლესია ეს არის ხსნის სამსახური და ეს ყველაზე მეტად მაშინ ჩანს, როცა ადამიანი დაღუპვისა და განადგურების წინაშე დგას. ეკლესია ხელს უწყობს სიყვარულის ზრდას და ეკლესიის მსახურთა ურთიერთ ზრუნვას. ასე იყო მუდამ და ეს ბოლომდე გაგრძელდა.

**კითხვა:** - მაგრამ თქვენ ალბათ, მარტონი მაინც არ იყავით...

**მეუფე დანიელი** - არა, რა თქმა უნდა. ჩვენ მჭიდრო კავშირი გვქონდა აფხაზეთის მთავრობასთან. მიუხედავად უმძიმესი მდგომარეობისა, ისინი ყველანაირად ცდილობდნენ ხელი შეეწყოთ ჩვენთვის... იმ დონეზე, რომ რამდენიმე საგანგებო შეკრება სახელმწიფო აპარატში მიეძღვნა ეკლესიაში ახალ ღონისძიებათა ჩატარებას.

**კითხვა:** - რა იგულისხმება ახალ ღონისძიებებში...

**მეუფე დანიელი** - მაგალითად, სოხუმში ახალი ტაძრის აშენება... სასულიერო სასწავლებლებისათვის მთელი კორპუსის გადაცემა, სოფლებში მიწების გამოყოფა და სხვა... მართალია, მოვლენების განვითარებამ ბევრი რამ შეცვალა და დღეს, ცხადია, ეს ყოველივე მტკივნეულად აღიქმება, მაგრამ მაშინ ეს იყო იმედი... ამ იმედით ვსუნთქავთ დღესაც. გვწამს, ბოლოს და ბოლოს, სიკეთე გაიმარჯვებს და ჩვენი გეგმებიც განხორციელდება.

განსაკუთრებით დაუვიწყარია ჩემთვის, ბატონი ჟიული-დავით შარტავას ყურადღებიანი და ღრმად სულიერი დამოკიდებულება მიმდინარე მოვლენებისა და ეკლესიის ცხოვრებისადმი. იგი ხშირად მოდიოდა საეპარქიო სახლში და ცდილობდა გაეკეთებია ყველაფერი, რაც შეეძლო. როგორც მოგახსენეთ, მართალია, მოვლენები ტრაგიკულად განვითარდა, მაგრამ სარწმუნოების გრძნობა ხალხში კიდევ უფრო გაძლიერდა. მოხდა ეკლესიისა და მოსახლეობის დაახლოება და ამან შეაძლებინა ხალხს გადაეტანა ეს უმძიმესი დანაკარგები. ჩვენ, რასაკვირველია, სოხუმის აღების შემდეგ მოვალენი ვიყავით, დევნილებაში მყოფ მრევლს არ მოვშორებოდით. და დღესაც, როცა აფხაზეთის მოსახლეობა მთელ საქართველოშია ჩავანებული, ჩვენი სამღვდელოების წარმომადგენლები ცდილობენ მოინახულონ ისინი, მიაწვდინონ მათ შესაძლო დახმარება... ან კიდევ, სულიერი საზრდო - ხატები, ეპისტოლეები, ლოცვანები, საეკლესიო წიგნები. მრევლის მნიშვნელოვანი ნაწილი თბილისში აგრძელებს ეკლესიის მსახურებთან ურთიერთობას. უწმიდესის ლოცვაკურთხევით, აფხაზეთის ეპარქიას დროებით რეზიდენციად გამოეყო მარტყოფის მონასტერი, იქ ამჟამად სოხუმის მამათა მონასტრის წევრები ცხოვრობენ... ხოლო ბოდბის დედათა მონასტერში იმყოფებიან სოხუმის დედები.

**კითხვა:** - მრევლთან ურთიერთობაც, ალბათ, ისევე გრძელდება...

**მეუფე დანიელი** - რასაკვირველია. აფხაზეთის ეპარქიის მრევლი ცდილობს, მიუხედავად ლტოლვილობისა, არ შეწყვიტოს შემოქმედებითი

მოღვაწეობა, ცხოვრება. მწერლები და პოეტები ქმნიან ახალ ნაწარმოებებს, ბეჭდავენ წიგნებს... ფუნქციონირებს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, თეატრი, მუშაობენ მხატვრები. მათ რამდენიმე გამოფენა მოაწყვეს. იმართება დაღუპული მეომრებისადმი მიძღვნილი მოსაგონარი საღამოები. მუშაობს აფხაზეთის ტელევიზია, რადიო... შემოქმედებითი ინტელიგენცია ინტენსიურ კავშირშია ჩვენს სამღვდელოებასთან. არის რამდენიმე ასეთი შემთხვევაც: მამათა და დედათა მონასტრებს ლტოლვილობაში მყოფთაგან ახალი წევრები შეემატა. ამით იმის თქმა მსურს, რომ ქრისტიანული ცხოვრება გაჭირვებაში ნაყოფიერი აღმოჩნდა ჩვენი ეპარქიისათვის. ამან კიდევ უფრო დაგვაახლოვა ერთმანეთს და აღადგინა ის, რაც ბოლო საუკუნის ათეისტურმა პროპაგანდამ წაართვა ხალხს.

ჩვენ გვყავს იმედით, ქრისტესმიერი სიყვარულით გაერთიანებული სამწყსო, რომელიც შეძლებს გაუძლოს განსაცდელს, დაუბრუნდეს თავის საცხოვრებელ ადგილებს და აღადგინოს აფხაზეთის მიწა-წყალზე ჭეშმარიტი ქრისტესმიერი სიყვარულის, მეგობრობისა და მშვიდობის თანაარსი სულისკვეთება.

**კითხვა:** - მინდა გკითხოთ... შეგიძლიათ თუ არა იმ შეგრძნებების გადმოცემა, რაც ლტოლვილობაში, სვანეთის თოვლიან უღელტეხილზე განიცადეთ...

**მეუფე დანიელი** - ეს იყო საშინელება. სასჯელი. იმ უმძიმესი განსაცდელის ჟამს ჩვენი მიზანი იყო, შეგვენარჩუნებია შინაგანი სიმშვიდე; არ მივცემოდით სასოწარკვეთას. ჩვენ გვინდოდა გაგვემხნევებია ადამიანები; გვეგრძნობინებია მათთვის, რომ შიში აკნინებს კაცს, ძარცვავს. ფიზიკური დანაკარგების ფონზე უნდა გადაგვერჩინა სულიერი სახე, ღირსეულად აეტანა ხალხს ეს განსაცდელი. ყოველივე ამას, მე ვფიქრობ, უსათუოდ უწყობდა ხელს სასულიერო პირთა იმ გარემოში ყოფნა... მათი ხმის გაგონება, შესამოსელი... ეს ყოველივე ადამიანებში სინდისის ხმას აღვიძებდა.

**კითხვა:** - არსებობს ერთი ასეთი კინოკადრი, თქვენ ტანკში ზიხართ... ჩაჩქანით...

**მეუფე დანიელი** - დიახ. ომის დროს, რასაკვირველია, ვცდილობდით, უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი მეომრები გვენახა. უჭირდათ მათ. ყველაფერი აკლდათ, აბსოლუტურად ყველაფერი. საჭიროებდნენ გამხნევებას და, ჩვენ გავდიოდით საომარ პოზიციებზე. ერთი ასეთი გასვლა იყო აღდგომა დღეს და სწორედ ერთ-ერთ ნაწილში, გუმისთასთან მივედით "ბტრ"-ით. ეს იყო წინა ხაზი და მომთხოვეს, ჩაჩქანი დამეხურა.

**კითხვა** - ავტომატი გჭერიათ?

**მეუფე დანიელი** - არა. არასოდეს...

**კითხვა:** - საჭირო რომ იყოს, აიღებდით ავტომატს?

**მეუფე დანიელი** - მადლობა ღმერთს, არა მაქვს ასეთი სურვილი, მაგრამ თუ ამას საჭიროება მოითხოვს... ღვთის ნება იქნება და ეკლესია აკურთხებს, ვფიქრობ, რომ მე ჩვენი წინაპრების მაგალითს მივბაძავ...

**კითხვა:** - როგორ ფიქრობთ, ომი ყოველთვის მიუღებელია?

**მეუფე დანიელი** - საერთოდ, კი. ომი საშინელებაა, მაგრამ არსებობს სამართლიანი ომი. ეს არის დაცვა სიწმიდეების, ერის ღირსების, მოსახლეობის... ეს წმიდათაწმიდა ვალია.

**კითხვა:** - ამ შემთხვევაში...

**მეუფე დანიელი** - ამ შემთხვევაში... ეს ომი ცოტა რთული ფენომენია...ეს

იყო ერთი ეკლესიის წევრებს შორის ამტყდარი ხანძარი, რომელიც დაანთო გარეშე მტერმა. ეს იყო ძმათა სისხლის ღვრა. ისინი ერთი მიწის შვილები არიან. ჩვენ ისევე უნდა თანაგუგრძნოთ მათ ჭირისუფლებს, როგორც ჩვენსას. აფხაზეთის მოსახლეობა ჩათრეულია ამ ომში. ეს არ იყო მისი ნების გამოვლინება.

ჩემი სოხუმში ყოფნის დროს და ახლაც აქ, ლტოლვილობაში მრევლში ყოველთვის ერია აფხაზი.

როცა ვლაპარაკობთ მათ მიერ ჩადენილ სისასტიკეზე, უნდა გვახსოვდეს, რომ ეს არის იმ არაჯანსაღი ნაწილის ქმედება, რომელიც სამწუხაროდ, ასე მტკივნეულად გამოვლინდა ჩვენს შორისაც. ისინი არ უნდა გავაიგივოთ აფხაზ ხალხთან, ისე, როგორც არ უნდა გავაიგივოთ ქართველ ერთან ის სისასტიკენი, რაც საქართველოში ხდება.

# აფხაზეთი 1992

# პოსტკომუნისტური საქართველოს ვანდეა

... გამოვიდა წიგნი, რომელიც ქ-ნ სვეტლანა ჩერვონნაიას ეკუთვნის. ეს გახლავთ სწორედ ის დიდი და მღელვარე აღსარება, რომელსაც ველოდით რუსეთის დიდი მოქალაქისაგან, რომელსაც ველოდით რუსეთის კეთილშობილი ადამიანებისაგან. ეს გახლავთ დიდი რუსეთის ხმა, სადაც მხილებულია რეაქციული რუსული - სახელმწიფოებრივი ბარბაროსობა და დანაშაული ქართველი ხალხისა და ქართული მიწის წინაშე. ქ-ნ სვეტლანა ჩერვონნაიას წიგნი ქართველი ხალხის სულისკვეთებასა და პოლიტიკურ პოზიციას გამოხატავს აფხაზური სეპარატიზმისა და მისი ლიდერის მიმართ, რომელიც ქართველ ხალხს საკაცობრიო განკითხვის დამნაშავედ მიაჩნია.

... ამ უკანასკნელ ხანებში რუსეთის დიდი მწერლისა და მოძღვრის - ალექსანდრე სოლჟენიცინის სატელევიზიო გამოსვლაში საოცარი სიტყვები მოვისმინე: "Сегодня Россия всецело больна бессовестностью". ეს დიდი აღსარება დიდი რუსეთის სიტყვებია. მხოლოდ რუსეთის ამ დიდი მოქალაქეების წყალობით, ალექსანდრე სოლჟენიცინისა და სვეტლანა ჩერვონაიასებრი დიდი მოქალაქეობრივი პათოსით, მხოლოდ რუსეთის ამ დიდი მორალური ენერგიის სახელმწიფოებრივ ხარისხში აღზევებით შეეძლებთ ჩვენც, ქართველებიცა და მთელი მსოფლიოს ხალხებიც და თავად რუსეთიც, თავი ვიხსნათ ამ რეაქციული ძალებისაგან, რომელთაც არ ეთაკილებათ აფხაზეთის მიწის მოსაგლეჯად ნაცარი შეაყარონ თვალებში მსოფლიოს.

**დენიზა სუმბაძე**

ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი

**XXX**

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ეთნოლოგიისა და ეთნიკური ანთროპოლოგიის ინსტიტუტს, სადაც მე არც ისე დიდი ხანია ვმუშაობ (1989 წლიდან, სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ), აფხაზეთის "რუსული კულტურის საზოგადოებამ" - "სლავურმა სახლმა" ("Славянский дом") მომმართა თხოვნით, რათა ეთნოკულტურის პრობლემატიკაში კონსულტაციების გასაწევად და აფხაზეთში შექმნილი სიტუაციის შესასწავლად სპეციალისტი მიგვევლინებინა სოხუმში. თანამოაზრეთა და იდეურ მოკავშირეთა ძიება სწორედ აქ, ჩვენს ინსტიტუტში, მათი წრის გაფართოებისაკენ მუდმივი სწრაფვა ტრადიციულად ახასიათებდა "სლავურ სახლს," იმხანად მძლავრი აფხაზური სახელმწიფოებრივი სეპარატიზმის იდეოლოგიურ შტაბად რომ იყო ქცეული.

"სლავური სახლის" უშუალო ამოცანა იყო მეცნიერული საფარველის შექმნა ამ სეპარატიზმის პოზიციებისათვის მოსკოველ მეცნიერთა ავტორიტეტზე დაყრდნობით, ამასთან, მაქსიმალურად გაეფართოებინა მათი წრე. ისინი უკვე კარგა ხანია განსაკუთრებულ გულისხმიერებას, ყურადღებასა და ინტერესს იჩენდნენ აფხაზური ეთნიკური კულტურის მიმართ, ყოველწლიურად აწყობდნენ ეთნოგრაფიულ ექსპედიციებს აფხაზეთში და ხშირად დაუფარავად უცხადებდნენ თავიანთ სიმპათიებს აფხაზურ ეროვნულ მოძრაობას. მე იმ დროს არაფერი ვიცოდი ამ სიტუაციის შესახებ. ამიტომ, როდესაც "სლავური სახლის" წარმომადგენელმა აფხაზეთში გამგზავრება შემომთავაზა, მე მყისვე სიხარულით დავთანხმდი.

მივლინების დრო წინასწარ იყო დაგეგმილი აგვისტოსათვის და, აი, 1992 წლის 10 აგვისტოს ადლერის აეროპორტში უკვე მიცდიდა "სამთავრობო" შავი "ვოლგა", რომელიც აფხაზეთის უმაღლესი საბჭოდან გამომიგზავნეს. რა ლაღად და გულითადად მივიჩქაროდი წინასწარი მზადყოფნითა და იმის შეგნებით, რომ მხარი დამეჭირა, დავხმარებოდი და ჩავწდომოდი აფხაზურ ეროვნულ მოძრაობას, რომელიც გმირობისა და სიმამაცის შარავანდმოსილი მესახებოდა. ამ გრძნობით მოცული მივემგზავრებოდი იმ ღირსსახსოვარ გზაზე, აქეთ-იქით რომ ბალ-ვენახები მიუყვებოდა. გზად გვხვდებოდა ჯერ კიდევ დაუცხრილავი პლაჟები, დაუწვავ-დაუნგრეველი სახლები, ჯერ კიდევ გაუძარცვავი, ქართული ღვინითა და რუსული შოკოლადით მოვაჭრე, ეულად მდგომი ჯიხურები, და ეს გზა სულ

რამდენიმე დღეში ჯოჯოხეთის პირველ წრედ ექცევა ყველას, ვისაც კი აქ ომი მოუსწრებს...

მაინც როდის აიკინძა ამ წიგნის პირველ სტრიქონებად და ფურცლებად ქაღალდზე ჯერ კიდევ გადაუტანელი სიტყვები?

ახლა ასე მგონია, რომ ეს მოხდა 16 აგვისტოს, შუადღეს, პაპანაქება სიცხეში, რუსეთის "ბომბორას" სამხედრო აეროდრომზე, გუდაუთასთან. სამხედრო ნაწილის შესაშვებ პუნქტში მორიგე ლეიტენანტმა გულდაგულ გასინჯა ჩემი პასპორტი და, რაკი დარწმუნდა, რომ რუსი ვარ და მოსკოვში ვიყავი ჩაწერილი (ადგილობრივ მცხოვრებთ აქეთ არ უშვებდნენ, აფხაზეთიდან ლტოლვილ ქართველებს მოძმე რუსეთი არ იღებდა), გამატარა, თან მიმასწავლა, საით უნდა მევლო. ორი კილომეტრიღა იყო დარჩენილი საფრენ ბილიკამდე.

აქ მარტო მე როდი ვეძებდი შველას, კატარღამ, ის იყო, სოხუმიდან საჰაერო თავდაცვისა და სხვა სამხედრო სანატორიუმების ყოფილ დამსვენებელთა დიდი ჯგუფი ჩამოიყვანა. მიწაზე ფრთხილად დაუშვეს დაჭრილები. მაიორმა ევაკუაციას რომ ხელმძღვანელობდა, განკარგულება გასცა, მოსკოვისკენ გასაფრენად გამზადებულ სამხედრო თვითმფრინავში ბრეზენტგადაფარებული გვამები ჩაეტვირთათ. მგზავრებს, რომელთაც უკვე დაეკავებიათ ადგილები ამ თვითმფრინავის სალონში, მოუხდათ გადმოსვლა და მომდევნო რეისის დალოდება. დრო გულისწამღებად იწელებოდა, თუმცა თვითმფრინავები რეგულარულად ასრულებდნენ რეისებს: გუდაუთაში მედესანტეებს სხამდნენ, უკან კი ლტოლვილები მიჰყავდათ. თვითმფრინავები ზედიზედ ეშვებოდნენ და მიფრინავდნენ ტაგანროგში, კლინში, ივანოვოში, ადლერში, მოსკოვის გარეუბნებში, მაგრამ გაფრენა ძალზე ბევრ ხალხს სურდა. საღამოსკენ კი მათი რიცხვი სულ უფრო და უფრო მატულობდა. ხალხი ფეხით მოდიოდა (არანაირი ტრანსპორტი აქეთ არ იყო) მთელი სანაპიროებიდან, ბავშვები ხელში აყვანილი მოჰყავდათ. ჩემს გვერდით მწარედ ქვითინებდა ხნიერი რუსი ქალი: იგი ვერ გაუფრთხილდა თავის ერთადერთ ქალიშვილს, რომელიც სოხუმის პლაჟზე თვალწინ დაუხვრიტეს სამხედრო სანატორიუმის მეზობელი მრავალსართულიანი სახლიდან სნაიპერის ნასროლი ტყვიით. ეს მოხდა სოხუმში, 1992 წლის 15 აგვისტოს, როცა ჯერ კიდევ არც ერთი ქართული ფორმირება, არც ერთი ქართველი ჯარისკაცი არ იყო შესული სოხუმში. ამ დროისათვის ბორის ელცინმა უკვე აგრძნობინა არძინბას, რომ რუსეთი არ ჩაერეოდა კონფლიქტში საქართველოს ტერიტორიაზე, მით უფრო, რომ რუს მოქალაქეებს აქ ჯერჯერობით თითქოს არაფერი ემუქრებოდა.

- აჰ, არაფერი ემუქრებათ, არა? მაშ, რაკი ასე გგონიათ, ინებეთ თქვენი პირველი გვამები!..

ო, არა! ჩემთან ეს სიტყვები არავის დასცდენია. არც ის ვიცი, თუ რა სიტყვებით, ან რა ენაზე უბრძანეს სნაიპერებს დაეხვრიტათ სოხუმის სამხედრო სანატორიუმის დამსვენებლები. ჩემი თვალით მე მხოლოდ სოხუმიდან ჩამოსვენებული გვამებით დატვირთული საკაცეები ვნახე, თვითმფრინავში რომ ალაგებდნენ 16 აგვისტოს - ე.ი. ორი დღით ადრე, სანამ აქ, ამ მიწაზე საქართველოს სახელმწიფო საბჭოს ჯარები გამოჩნდებოდნენ. ჩემი ყურით მე მხოლოდ იმ ხნიერი ქალის ქვითინი გავიგონე, რომელსაც ქალიშვილი მოუკლეს.

და მაშინ მე გადავწყვიტე, დამეწერა ამ ომის შესახებ, რისთვისაც უნდა შემეგროვებინა ფაქტები და მხოლოდ ფაქტები, დოკუმენტები, თვითმხილველთა მოწმობა-ჩვენებანი. ჯერ არც ვიცოდი, სად მომიხდებოდა წერტილის დასმა იმ ტრაგიკულ მოვლენათა ჯაჭვში, იმ საშინელ დღეთა რიგში, რომლებიც მაშინ, 16 აგვისტოს ის-ის იყო იწყებოდა. თანაც, ომის ქრონიკის დაწერას არც ვაპირებდი. მე მხოლოდ მსურდა მომეთხრო ხალხისთვის, თუ ვინ ჩაიფიქრა, რისთვის და ვის წინააღმდეგ წამოიწყეს ეს ომი.

მე მახსოვდა ყოველი სიტყვა, რაც კი ომის დაწყების წინ ბოლო დღეებში მომასმენინეს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ფართო კაბინეტებში. მათ კარებს სხვადასხვა წარწერა ჰქონდა გაკეთებული: "სლავური სახლი", "აიდგილარა", "ადამიანის უფლებათა კომიტეტი"; კომისიების, განყოფილებების, სამინისტროების სახელწოდებები (უფრო ხშირად კი არავითარი წარწერა არ ჰქონდა - აქ "ახალი კურსის" ყველა მომხრე - ყველა "ჩვენიანი" ერთად იყო. ფუნქციების რეალური განაწილება არ ემთხვეოდა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა თუ სახელმწიფოებრივი სტრუქტურების დასახელებებს. მაგიდებს სხვადასხვანაირი ადამიანები უსხდნენ - სიტყვაძუნწიცა და ენაწყლიანიც, დიდად განათლებულიცა და თითქმის უწიგნურიც, გამორჩეულად თავაზიანიცა და სალდაფონურად უხეშიც. მათ შორის აფხაზები, რატომღაც, ნაკლებად იყვნენ - იქნებ, უბრალოდ, მე არ მწყალობდა ბედი, - უმეტესობას რუსები წარმოადგენდნენ, რომელთა მეტყველებაში მოსკოვური, ან სამხრეთრუსული, კაზაკური კილო-კავი ჭარბობდა. მაგრამ ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მნიშვნელოვანი კი ისაა, რასაც "დამოუკიდებელი აფხაზეთის" ეს ბელადები სხვადასხვა ვარიაციებით, ოდნავი დაზუსტებებითა და შესწორებებით, მაგრამ არსებითად ერთსა და იმავეს ამბობდნენ:

- ახლოვდება "მეორე აგვისტოს" ჟამი, რომლისგანაც უკვე ვეღარ გასწორდებიან წელში დემოკრატი არამზადები... ჩვენ ისე დავცხებთ შეკარდნაძეს, რომ ამან მოსკოვშიც პოვოს

გამოძახილი. ჩვენ ერთ ხეზე ჩამოვკიდებთ შევარდნაძეს, იაკოვლევს, გორბაჩოვსა და ელცინს. ჩვენ დავიბრუნებთ დიდ საბჭოთა კავშირს. "გარდაქმნამდე" ჩვენ აქ კომუნისტურ სამოთხეში ვცხოვრობდით და ვიბრძოლებთ კიდეც ამის დაბრუნებლად.

არ იფიქროთ, რომ მე მათ კვერს ვუკრავდი, ანდა ფარისეველურად თანავუგრძნობდი; არც დადუმება მიცდია, რათა მეტი გამეგო. თავზარდაცემული აღშფოთებას ველარ ვმალავდი და ვყვიროდი:

- რაებს ლაპარაკობთ, რას სჩადით? ვისი ხელით აპირებთ თქვენი კომუნისტური სამოთხის დაბრუნებას, ვის ებრძვით და რისი გულისთვის?!

ისინი როდი მერიდებოდნენ. არ ეშინოდათ ჩემი და არც კი მალავდნენ კმაყოფილებას:

- თქვენ ნუ ღელავთ. ჩვენ უკვე ყველაფერი მზადა გვაქვს, ნახევარ საათში მთელ ხალხს თოფს მივუშვერთ და წამოვაჩოქებთ. ჩვენი არსენალები უკვე სავსეა თქვენივე, რუსეთისავე იარაღით და ყოველ წუთს შეგვიძლია მისი გაორკეცება და გასამკეცება. კაზაკობასთანაც საიმედო კავშირი გვაქვს დამყარებული. მალე თქვენ თვითონვე დარწმუნდებით ყველაფერში: როგორც კი აქ ომი დაიწყება, მთელი კავკასია ამოძრავდება, მას კი მთელი რუსეთი მოჰყვება. ჩვენ საზღვარგარეთაც გვყავს ემისრები - თურქეთში, არაბულ ქვეყნებში. ჩვენ მთელი მსოფლიო დაგვიჭერს მხარს. იმათ კი ვინც ჩვენთან ყოფნას არ მოისურვებს, სამხედრო დროის წესისამებრ მოვექცევით.

ერუდირებული ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, ადამიანის უფლებათა კომისიას რომ ხელმძღვანელობდა, ასე მესაუბრებოდა "ეროვნულ" თემებზე:

-აფხაზეთის გამოყვანა საქართველოდან - აი, ჩემი მეცნიერული კრედო. ჩემი ცხოვრების მთავარი მიზანიც ესაა და ამ მიზანს მე არ დავთმობ; მით უფრო ახლა, როცა ის ასე ახლოსაა. მხოლოდ თხელი "შეგრული" ფენაღა გვაშორებს ამ დღეებს. მალე ეს შუაფენაც განილევა და მაშინ მოწინააღმდეგეს შუბლით შეეჯახებით.

-მაგრამ ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ თქვენი მიზნის მიღწევა ადამიანებს . სიცოცხლის ფასად დაუჯდებათ, მშვიდობის დაკარგვის ფასად!...

- თქვენ პოლიტიკოსი არა ხართ და არ გესმით, რომ ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია აფხაზეთის მოწყვეტა საქართველოდან და რუსეთთან მიერთება; ამ მოძრაობის დაწყება დიდი სახელმწიფოს აღორძინებით დაგვირგვინდება. ამ ისტორიულ შანსს კი ჩვენ ვერ გავუშვებთ ხელიდან.

- კი, მაგრამ თქვენ ვინ მოგცათ იმის უფლება, რომ ამგვარი პოლიტიკა აწარმოოთ? თქვენ რა, აფხაზ ხალხს დაეკითხეთ? ანდა რეფერენდუმი ჩაატარეთ, საზოგადოებრივი აზრი გამოიკითხეთ, თუ რა?

- ცხადია, ჩავატარეთ. ჩვენი რეფერენდუმი 1991 წლის 17 მარტს შედგა, როცა აფხაზეთის ხალხმა "ჰო" უთხრა საბჭოთა კავშირს. ჩვენთვის ეს საკვებით საკმარისია.

იმავე საღამოს, ახალ ათონში, ჯერ კიდევ წყნარი და თბილი შავი ზღვის პირას, ერთ უბრალო აფხაზ ჭაბუკს შევხვდი (ალიკას თუ ალის) - ეძახდნენ: მაშველად მუშაობდა ნავების გასაქირავებელ პუნქტში, თუმცა კარგა ხანია ფულს ამაში აღარავინ უხდიდა. ორ ძველისძველ ნავს აქირავებდა და თან იალქანს აკეთებდა თავისი თვითნაკეთი იახტისათვის, რომლითაც თურქეთს აპირებდა წასვლას, თუკი ომი დაიწყებოდა. ეს ამბავი ახალ ათონში ყველამ კარგად იცის. იგი დაფიქრებული და ნაღვლიანი ჩანდა, როცა მითხრა:

- იმათ, ვინც უმაღლესი საბჭოს თავზე ზოლებიანი დროშა გამოკიდა, ჩემთვის არაფერი უკითხავთ, მე აფხაზი ვარ და ალბათ, მაქვს კიდეც საიმისო მიზეზი, რაღაცით ნაწყენი ვიყო ქართველებზე, მაგრამ ისიც კარგად მესმის, რომ დღეს მხოლოდ ახალ საქართველოსთან ერთად შეეძლებთ თავი დავაღწიოთ კომუნისტურ საჩიხეს. ამიტომაც ყველა ჩემი იმედი შევარდნაძესთანაა დაკავშირებული. მათ კი ზოოლოგიური ზიზღით სძულთ იგი, იმის გამო, რომ დასავლეთს ბერლინის კედელი "მისცა" და საბჭოთა ბირთვული საფრთხე აღკვეთა; იმის გამო, რომ პუტჩი იწინასწარმეტყველა (ერთში შეცდა მხოლოდ: პუტჩისტები პოლკოვნიკები ეგონა, მარშლები კი გამოდგნენ) და გორბაჩოვს აფრთხილებდა; იმის გამო, რომ საქართველო თავისი ავტონომიებითა და ხალხებით სურს ამოათრიოს სამოცდაათწლიანი ჭაობიდან.

არ აპატიეს.

მოსკოვში რომ დავბრუნდი, მოხდა ის, რაც აქამდე დაუჯერებელი მეჩვენება. ყველა ჩემი ცდა, სიმართლე მეთქვა აფხაზეთის მოვლენებზე, სრული შეუსმენლობის ყრუ კედელს აწყდებოდა. ვერა და ვერ იგებდნენ, არ ესმოდათ, რამდენად შორსაა სინამდვილისაგან, რამდენად ეწინააღმდეგება რეალობას მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მიერ უკვე ჩამოყალიბებული სტერეოტიპი: "ქართული იმპერიალისტური აგრესია თავისუფლებისმოყვარე აფხაზეთის წინააღმდეგ". ვცდილობდი ამეხსნა, რომ შევარდნაძეს არ დაუწყია ეს ომი. 14 აგვისტოს, შუადღეს, როდესაც "ქართულ მხარეს" ჯერ ერთხელაც არ გაესროლა და არც არაფერი ემუქრებოდა მშვიდობას აფხაზეთის ქალაქებსა და სოფლებში, ეს ომი საქართველოს გამოუცხადა თავის რადიომიმართვ-

აში ვლადისლავ არძინბამ, თვითნებურად რომ ჩაითრია აფხაზეთის ხალხი უმძიმეს დანაშაულსა და უდიდეს ტრაგედიაში. უკანონო, ძალდატანებითი, ტოტალური, "საყოველთაო მობილიზაცია" (ყველა მამაკაცისა 18-დან 45 წლამდე), ახალწვეულთა უკანონო შეიარაღება რუსეთის არსენალებიდან დატაცებული იარაღით, ამ შეიარაღებულ ფორმირებათა უკანონო მოქმედებანი აფხაზეთის გზებზე, ქალაქებსა და სოფლებში (რომელთაც "მოწინააღმდეგე" ახლოსაც არ გაჰკარებია); ჩხრეკა, მოურიდებელი მოროდიორობა, ძარცვა-ყაჩაღობა, სისხლიანი ტერორი მშვიდობიანი ქართველი მოსახლეობის მიმართ, სნაიპერული ცეცხლი სოხუმის სანატორიუმების დამსვენებელთა წინააღმდეგ - ყოველივე ეს ისეთი დანაშაულობებია, რომელთა გამოც დამნაშავეებმა პასუხი უნდა აგონ. ცნობილია ამ ბოროტმოქმედებათა ორგანიზატორების პოლიტიკური მიზნებიც: საქართველოს დაქუცმაცება, ომში რუსეთის ჩათრევა, საბჭოურ-კომუნისტური რევანში და საბჭოთა კავშირის აღორძინება.

ჩემი არ ესმოდათ. ერთი ბრძენი კოლეგა, დაფიქრებული რომ მიყურებდა თვალებში, შემეკითხა: "მაინც, რას ერჩით აფხაზებს? შემთხვევით ქართველი ხომ არა ხართ? ინსტიტუტში, სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე, სადაც ცხარედ, არეულად და აღელვებით ვყვებოდი ყველაფერზე, რაც საკუთარი თვალით მქონდა ნანახი აფხაზეთში. შემწყნარებლურად მისწორებდნენ: "აი, მთვრალებიო, - თქვენ ამბობთ, - აფხაზეთის გზებზე იარაღით ხელში სინჯავენ და ძარცვავენ მგზავრებსო, მაგრამ ჩვენ ხომ წლობით გვივლია სამეცნიერო ეთნოგრაფიულ ექსპედიციებში და კარგად ვიცით, რომ აფხაზები არ შეიძლება მთვრალები იყვნენ, რადგანაც ისინი უბრალოდ არ სვამენ"

სოლიდური მეცნიერები, რომლებიც აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით 1992 წლის 1 სექტემბერს "მრგვალ მაგიდასთან" შეიკრიბნენ მოსკოვში, ყოფილ მშვიდობის დაცვის კომიტეტში, გულწრფელ აღშფოთებას გამოხატავდნენ: "40 წელია საქართველო ჩაგრავს აფხაზეთს!" (გ.ტრაპეზნიკოვი); დღეს აფხაზეთში ბავშვები სკოლაში არ წასულან, მათი სისხლი შევარდნაძის კისერზეა! (ვ.ივანოვი) "როცა კაცი ხედავს, რომ ძმას უკლავენ, ის უკვე აღარ ეკითხება მილიციელს, შეიძლება თუ არა სხვის ბოსტანში შესვლა. ჩრდილოეთ კავკასიის მოსმე ხალხები დახმარებას გაუწევენ აფხაზ ძმას. სახაროვი აკი მოგვიწოდებდა, გამოვქომაგებოდით ჩაგრულს, იმისდა მიუხედავად, თუ რომელ პოლიტიკურ პარტიას მიეკუთვნება იგი" (აკადემიკოსი მ.ისაევი); "დადგა ჟამი, როდესაც დიდი რუსეთი უნდა აღსდგეს, რათა თავის წიაღში მიიღოს მამაცი აფხაზეთი" (გ.კოჟინოვი).

მიხეილ ჩუმალოვი პროგრამა "Итоги"-ში მსჯელობდა აფხაზეთში არსებულ "მყიფე ეთნიკურ წონასწორობაზე", რომელიც "დაარღვია" საქართველოს სახელმწიფო საბჭომ, როცა იქ შეიჭრა.

კარგად მესმის: ის, ვისაც არ სურს სიმართლე იცოდეს, არც მიიღებს მას. მაგრამ "რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ!" რომელი მოტყუვდეს, აღახილოს თვალნი! დაე, ყოველი დღე, ყოველი ფაქტი თანმიმდევრულად აღდგეს ამ წიგნში.

მე მწერალი არა ვარ, რომ შევქმნა ისტორიული დრამის ბადალი ლიტერატურული ტილო ომისა და მშვიდობის შესახებ აფხაზეთის მიწაწყალზე. არც ჟურნალისტი ვარ, რომ, ყოველივე ის, რაც ხდება, ავსახო ნარკვევების, რეპორტაჟების, დოკუმენტური ჩანახატების სერიებში. მე უნდა გავაკეთო ის ერთადერთი და უმთავრესი, რასაც მიკარნახებს ჩემი პროფესიული და მოქალაქეობრივი მოვალეობა.

.... შემდეგ კი ომი იყო და, შესაძლებელია, ჯერ კიდევ არ დამდგარა დრო მისი ისტორიის სრული სურათის შესაქმნელად, რამეთუ ამ ომს ჯერ კიდევ არ უჩანს ბოლო. ომზე სხვა წიგნები დაიწერება: საომარ მოქმედებებზე, იმ პროვოკაციების ხლართზე, რომელთაც ჩაფუშეს კონფლიქტის მშვიდობიანი, პოლიტიკური საშუალებებით გადაჭრის ყოველი ცდა; იმაზე, თუ როგორ ჩაშალა "აფხაზურმა მხარემ" რუსეთის ხელმძღვანელობის მონაწილეობით შემდგარი, გაჭირვებით მიღწეული მოლაპარაკება ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე 1992 წლის 3 სექტემბერს; ქალაქ გაგრის ტრაგედიაზე, რომელიც 1 ოქტომბერს აფხაზმა გვარდიელებმა და "კონფედერატებმა" დაატოვებინეს ქართულ ჯარებს და შემდეგ ნაცარტუტად აქციეს; სოხუმის დაბომბვებზე; მშვიდობიანი ქალაქებისა და სოფლების დაბომბვაში რუსეთის სამხედრო ავიაციის მონაწილეობაზე.

ეს წიგნი ომზე კი არა, მის სათავეებსა და მიზეზებზეა დაწერილი. არსებობს ზომა დანაშაულისა და ზომა პასუხისმგებლობისა, დადგება განკითხვის ჟამი და, დაე, ეს წიგნი ბრალდების მოწმობად დაიდოს ტრიბუნალის მაგიდაზე.

ადექით, სასამართლო მოდის!...

**სვეტლანა ჩერვონნაია**

# წარსულიდან

კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი ხელაია

ცნობილმა საეკლესიო და საზოგადო მოღვაწემ, პედაგოგმა და მკვლევარმა -სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ (ბესარიონ ზოსიმეს ძე ხელაია. 1861-1927. მამათმთავრობდა: 1921-1927 წწ.) - ვრცელი და ნარეკლიანი გზა განვლო. უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ეზიდებოდა უმძიმეს უღელს მაცხოვნებელი მოძღვრების ადამიანთა სულსა და გულში დანერგვისათვის. ამ იდეალს შესწირა მან კეთილდღეობა და მყუდროება. იწვნია თანამოსაგრეთა შური და მტრობა, ბეზღობა და ცილისწამება, განკითხვა .და საპყრობილე. სდევნიდნენ ათეისტი ბოლშევიკები და თანამორწმუნე ქრისტიანები. მეფის მთავრობამ ორჯერ გაასამართლა და გაასახლა ჩრდილოეთის უკიდეგანო სტეპებში. კომუნისტებმა უპატიოჰყვეს თეატრონსა თუ ცხრაკლიტულებში. მიზეზი ერთი იყო: უკანონობის მხილება და გმობა დედამიწაზე ცათა სასუფევლის შემლებისამებრ დამკვიდრების მიზნით.

უწმიდესი ამბროსის ღვაწლი თანამედროვე პრესაში სხვადასხვა კუთხით რამდენიმეჯერ წარმოჩინდა. თუმცა, ბევრი ასპექტი ჯერაც შეუსწავლელია. არ მოგვეპოვება მისი თხზულებების ბიბლიოგრაფია, რაც შრომატევადი და საშური საქმეა. საზოგადოებრივ-კულტურული და მეცნიერული პოზიცია გვავალდებულებს, თავი მოვუყაროთ დიდი მეუფის მრავალრიცხოვან პუბლიკაციებსა თუ საარქივო მასალებს და გამოვცეთ.

წინამდებარე სტატია, მეცნიერული პოლემიკა

ველიკორუს ბიუროკრატებთან, რომელიც დაბეჭდილია "Духовный Вестник Грузинского Экзархата"-ში (1906, N 9-10), საყურადღებოა მრავალმხრივ, - როგორც ზოგადსაკაცობრიო, ისე ქართველოლოგიური პრობლემატიკით. აქ ხაზგასმულია ქრისტეს ეკლესიის არსება - საყოველთაობა და ეროვნული თანასწორობა, მშობლიური ენის ფუნქცია ლიტურგიკული და საღვთისმეტყველო შემეცნების თვალსაზრისით, სახელმწიფოებრივი და რელიგიური ინტერესების აღრევა და მისი მავნებლობა, სარწმუნოების სფეროში დაშვებული შეცდომების საბედისწერო შედეგები და ა.შ. შეუძლებელია, "კეთილი მწყემსები" გულგრილნი დარჩნენ იმ ფაქტის გამო, რომ ხშირად საერო ადმინისტრაციის მოხელეები სასულიერო პირებზე მეტ სიბრალულს და შეწყალების უნარს ამჟღავნებენ. ამაზე წუხდა თურმე, კათალიკოს კალისტრატე ცინცაძის მოგონების თანახმად, ილია ჭავჭავაძე - ილია მართალი.

რაც შეეხება ქვემოთ წარმოდგენილი სტატიის ისტორიულ-ფაქტოლოგიურ მხარეს, უნდა აღინიშნოს, რომ იგი დაწერილია მოვლენათა მონაწილის მიერ. გავიხსენოთ: უწმიდესმა ამბროსიმ მოღვაწეობა აფხაზეთში დაიწყო. 1887-1896 წწ-ში იყო მღვდლად სოჭსა და სოხუმში. იყო აგრეთვე სოხუმის, ახალი ათონისა და ლიხნეს საეკლესიო-სამრევლო სკოლების ზედამხედველი, ქართული ენის მასწავლებელი ამავე რეგიონებში. არაერთხელ აღიმაღლა ხმა შავრაზმელი გოლუბცოვისა და ეპ.არსენის (იზოტოვის) წინააღმდეგ, რომლებიც აფხაზებსა და ქართველებს სიძულვილს უნერგავდნენ და სდევნიდნენ ქართულ ენას. 1917-1921 წწ-ში იგი კვლავ აფხაზეთშია სოხუმის მიტროპოლიტის ღირსებით. ასე, რომ მისი მონაცემები ამ მხარის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სარწმუნოებრივ მდგომარეობაზე ანგარიშგასაწევია, შთაბეჭდილებანი დამაფიქრებელი, წარმოდგენილი მასალა - ჩვენი ქვეყნის ახლო წარსულის შესასწავლად, სანდო და საიმედო წყარო, მეტადრე აფხაზეთის დემოგრაფიის ისტორიულ ჭრილში წარმოსაჩენად. გვაოცებს მაშინდელი ვითარების, კერძოდ - იმპერიული რუსეთის აგენტურის მეთოდების მსგავსება დღევანდელობასთან. თუმცა ეს ლოგიკურია: ისტორიამ გაკვეთილების განმეორება იცის!

აქვეა გაცხადებული სასიამოვნო სიმართლეც: რუსეთის პოლიტიკანების მიერ სეპარატიზმის წახალისებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ენის, ისტორიისა თუ ტრადიციების აბუჩად აგდების მიუხედავად, ქართველ და რუს ხალხებს შორის ანტაგონიზმმა და სიძულვილმა ფეხი ვერ მოიკიდა. თუმცა, ვნება მიაყენა, როგორც "რუსეთის საქმეს" კავკასიაში, ისე საქართველოს კულტურას და სარწმუნოებას... საბოლოოდ კი - კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიის ამქვეყნიურ სხეულს, რომლის ფუძემდებელი იდეალი "ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება" (ლუკა 2, 14).

კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი (ხელაია)

# სტატიის გამო "ხმა სოხუმიდან"

**(გაზ. "კოლოკოლ", № 45)**

გაზეთ "კოლოკოლის" 45-ე ნომერში დაბეჭდილია სტატია "ხმა სოხუმიდან", რითაც ავტორი, შენიღბული ფსევდონიმით "რუსი", ჩრდილს აყენებს ყოვლადსამღვდელო კირიონის - სოხუმის კათედრაზე დადგინებულის - მოღვაწეობას; წარმოგვიდგენს ვიწრო ნაციონალური მიმართულების კაცად და მის დანიშვნას აღნიშნულ კათედრაზე თვლის სოხუმის ეპარქიაში რუსული საქმის დაღუპვად. თუ რატომ უყურებს ავტორი საქმეს ასე, რატომ ეძიებს იგი სოხუმის კათედრაზე კირიონის დანიშვნაში მავნებლურს, საკვლევია ცხადია, რადგან არ მოსწონს ქართველი ეპისკოპოსის ქართველობა. ეს გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ, როგორ ესმოდა კავკასიაში რუსული კულტურისა და მოქალაქეობის ზოგიერთ დამნერგავს საკუთარი ხალხისადმი სიყვარული. ყველას ემახსოვრება შეუწყნარებლობა და სიძულვილი ყოველივე ქართულისადმი, მისწრაფება ასევე არასწორად გაგებული რუსიფიკაციისადმი, რითაც დასნებოვნებულნი იყვნენ კავკასიაში

ცნობილი მოღვაწენი: ეპ.არსენი, დეკანოზები - ვოსტორგოვი, იასტერებოვი[1] და სხვ. ახლა კი ყველა, ვისაც აქვს საქმის საღად დანახვის უნარი, ვინც არ არის დაავადებული უცხო ტომთა ხიძულვილით, ნათლად ხედავს, როგორია ასეთ რუსიფიკატორთა მოღვაწეობის ნაყოფი. ამჟამინდელი მდგომარეობა კავკასიაში, - საყოველთაო უკმაყოფილება ახლანდელი საეკლესიო წყობის გამო, საკუთარი ეროვნული ფიზიონომიის შენარჩუნებისაკენ სწრაფვის გაძლიერება, ამ მიმართულებით ხალხის გამოღვიძება, - არის ზემოხსენებულთა და მათ მსგავს კაცთა მოღვაწეობის ნაყოფი და, სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ამ აზრით მათ ხალხს გაუწიეს დიდი სამსახური. უბედურება იმაშია, რომ საკუთარი მოღვაწეობით მათ ზიანი მიაყენეს საქმეს, რასაც ემსახურებოდნენ. აღნიშნულ პირთა მოღვაწეობის მიზანი უნდა ყოფილიყო ქართველი ხალხის რუსებთან დაახლოება რუსული კულტურისა და მოქალაქეობის დანერგვის გზით, მაგრამ ისინი ამით როდი შემოიფარგლნენ, მათ მეტი მოინდომეს - რაც შეიძლება სწრაფი გარუსება მხარის, - ქართველი და რუსი ხალხების სრული გათქვეფა პირველთა ნაციონალური ფიზიონომიის, საკუთარი ენის, ზნე-ჩვეულებების მოსპობის ხარჯზე. ეს აღმოჩნდა შეუძლებელი. პირიქით, - ამ მიმართულებით მეტისმეტმა აქტიურობამ განაპირობა სრულიად საწინააღმდეგო: ქართველი მოსახლეობის იმ ნაწილშიც კი, სადაც ყველაზე ნაკლებად იყო მოსალოდნელი, გამოაღვიძა ეროვნულობის შენარჩუნების ძალუმი სწრაფვა. მოინდომეს სამეგრელოს სკოლებიდან ქართული ენის განდევნა, რამაც გამოაფხიზლა ხალხი: მეგრელები ერთობ განიმსჭვალნენ თავიანთი სალიტერატურო და საეკლესიო-საღვთისმსახურო ენის დაცვის იდეით და მივიღეთ სრულიად საწინააღმდეგო შედეგი იმ მიზნისა, რისკენაც მიისწრაფოდნენ აღნიშნული საქმის ინიციატორები. ხალხი პირდაპირ აღიარებს, რომ აქამდე ასე ღრმად არ ესმოდათ ამ ენის დაცვისა და საფუძვლიანად შესწავლის აუცილებლობა და რომ დეკ. ვოსტორგოვმა აუხილა მათ თვალები. ხშირად გაიგონებთ ხუმრობით წარმოთქმულ სიტყვას, რომ ღვთის ყანის ამ მუშაკებს ეკუთვნით ძეგლის დადგმა სამეგრელოს ცენტრში. მეტიც, ასეთმა მუშაკებმა დათესეს უნდობლობა არა მხოლოდ სასულიერო ხელისუფლების მიმართ, არამედ ეკლესიის მწყემსებისადმიც, რომლებიც აღმოჩნდნენ წინასწარდასახული აშკარა რუსიფიკაციის დამქაშებად.

თუკი რუსეთის სასულიერო უწყების წარმომადგენელთა შორის "რელიგიური და სახელმწიფოებრივი თვალსაზრისების აღრევა" არის ბოროტება და "საბედისწერო უგუნურება", მთელს რუსეთში ("Церкв. вест.", 1905, N 7), ეს მეტადრე საქართველოში აშკარავდება, რადგან იგი წარმოადგენს მართლმადიდებლებით დასახლებულ ერთადერთ განაპირა მხარეს; მხოლოდ აქ შეიძლება გაიდგას ფესვი ბოროტებამ და "საბედისწერო უგუნურებამ", ვინაიდან დანარჩენი განაპირა უცხოტომელები მათდა საბედნიეროდ, როგორც ისინი ამბობენ, ერთი მართლმადიდებელი სარწმუნოებით რუსეთის მკვიდრ მოსახლეობასთან დაკავშირებული არ არიან. რაც შეეხება საქართველოს, უფრო მეტიც შეიძლება ითქვას: აქ ადგილი აქვს არა "რელიგიური და სახელმწიფოებრივი თვალსაზრისების აღრევას", არამედ - მთლიან შეცვლას პირველისა უკანასკნელით. მხოლოდ აქაა შესაძლებელი პირისპირ გაცნობა სარწმუნოების ისეთი დამცველებისა, რომლებიც, "ცერკ.-ვესტნიკის" სიტყვებით, ამბობენ: "დაე, დაზარალდეს ეკლესია ამა თუ იმ კანონის მიერ, ოღონდ სახელმწიფომ ხეირი ნახოს". ყოველივე ეს მძაფრდება საქართველოში მხარის გარუსების ძლიერი ჟინით. ეს ამოცანა, რაოდენ უცნაურადაც არ უნდა გვეჩვენოს, განსაკუთრებით რუსეთის საეკლესიო ხელისუფლებამ დაისახა მიზნად; სწორედ მათ შორის ვაწყდებით შეუწყნარებლობის უკიდურეს ფორმებს უცხოტომელთადმი და ყოველივე იმისადმი, რამაც მათი ნაციონალური სახე უნდა წარმოაჩინოს. ასეთ სიძულვილს ქართველთა მიმართ, რასაც ამჟღავნებენ ქრისტეს სწავლებისამებრ მტერთა მიმართაც კი სიყვარულის მქადაგებელნი, თითოეული ხალხის ნაციო-

[1] არ დავასახელებდით პიროვნებებს, არ შევეხებოდით მათი მოღვაწეობის ამა თუ იმ მხარეს, მაგრამ ამას გვიძულებს თავად ფსევდონიმი ავტორის მაგალითი. იგი უსაფუძვლოდ კიცხავს ეპ.კირიონისა და სხა პირთა საქმიანობას. მათ შორის ყურადღების მიღმა არც ჩვენს პიროვნებებს ტოვებს; გვიწოდებს სოხუმის ეპარქიის სამღვდელოების წევრებს, "ძველ ლაქიებსა და მოჯამაგირეებს". აფხაზეთში მოღვაწე ყველა ქართველს თვლის ვიწრო ნაციონალური მიმართულების ხალხად. - მაგნებლად რუსული საქმისა და მართლმადიდებლობისა აფხაზეთში. თავისი წინასწარაკვიატებული აზრის დასაბუთებას ქართველოფობი ავტორი ლამობს ეპ.კირიონისა და აფხაზეთის სამღვდელოების დაპირისპირებით სოხუმის კათედრაზე რუსი მღვდელმთავრების თითქოს უფრო ნაყოფიერ მოღვაწეობასთან. სოხუმის ეპარქიაში ქართველი სამღვდელოების მიმართ ასეთი უსაფუძვლო ბრალდებების არსებობის გამო აუცილებლად უნდა ითქვას რაღაც მის დასაცავად, - გირკვეს, ეპ.კირიონის წინამორბედები რამდენად იყვნენ ქრისტეს ეკლესიაში ყოველთა თანასწორობის იდეის მატარებლები ეროვნებათა განურჩევლად და თავიანთი მოღვაწეობით რამდენად უშზადებდნენ ისინი ნიადაგს საქართველოში საეკლესიო ცხოვრების ამჟამინდელ საფალო მდგომარეობას. ესაა "რუსის" ქართველოფობიისა და მისი ბრალდებების უსამართლობის დამტკიცების უტყუარი გზა, მაგრამ მაინც აუცილებელია ფაქტების ენით ლაპარაკი, რომელიც ვერ ახერხებს პიროვნებების გამორიცხვას და მათ დატოვებას ყურადღების მიღმა. მეორე მხრივ, ამისკენ გვბიძგებს ქრისტეს ეკლესიის ინტერესების დაცვის სურვილი და ოლქში რუსული საქმე. ე.ი.კავკასიაში ქართველთა და რუსთა სამართლიანი ურთიერთგაგების დამყარების ინტერესი და ამასთანავე - ხელის შეწყობა მართებული გზის მოძებნისა დასახული მიზნის მისაღწევად. ვლებულობთ რა ამას მხედველობაში, ვთვლით დანაშაულად და ქრისტეს ეკლესიის ინტერესებისა და რუსეთის საქმის ზიანად მიჩუმათებას ფაქტებისა, რომლებიც მიანიშნებენ კავკასიაში მოღვაწეთა შეცდომებზე და სამომავლო საშუალო შედეგებზე.

ნალური თავისებურებების პატივისმცემელნი (კოლ. 3, 11), საბედნიეროდ, ჩვენ ვერ ვხედავთ საერო ადმინისტრაციის მუშაკებში, რომლებიც ყველაზე აშკარად ემსახურებიან რუსიფიკატორულ იდეებს. მხოლოდ ანაფორაში გამოხვეულ რუსიფიკატორებს - ეკლესიის მწყემსებს - შეუძლიათ უწოდონ ქართულ ენას ძაღლების ენა, ქართულ საეკლესიო გალობას - ძაღლების ყეფა, მღვდელმთავრის პირით - მთელი ერის დაწყევლა (Рус. Вед. 1905, N 62 ). "არაფერს ისე არ შეაქვს უთანხმება ეკლესიის წარმომადგენლებსა და განათლებულ საზოგადოებას შორის, მღვდელ აგეევის სიტყვებით რომ ვთქვათ, არაფერი ისე არ აშორებს მეორეს პირველისგან, როგორც სახელმწიფოებრივი პრინციპების შეტანა რელიგიის სფეროში, რასაც ჩვენ, სამწუხაროდ, ვერ გავუძლებთ, რადგან გვაიწყდება: "ვინც მახვილს იშიშვლებს, მახვილით განიგმირება" (Церк. Вест. 1905, N 7).

ამიტომაც, ცხადია, ხალხმა უეჭველად შენიშნა, რომ სამღვდელოება თავის პრაქტიკაში არ ემსახურება საკუთარ საქმეს, რომლის ზემოაღნიშნული მხარე, სასულიერო ხელისუფლების აქტიური მოღვაწეობის შედეგად, ან დავიწყებულია, ანდა ვერ მოუსწრიათ, შეძლებისამებრი კეთილსინდისიერებით შეუთავსონ მწყემსებრივ მოვალეობას. მწყემსებმა დაკარგეს ცხოვართა ნდობა, ვინაიდან "მღვდელ პოლიტიკანებს, როგორც აღნიშნავს "ცერკ. ვედომოსტი", საზოგადოება არ გაჰყვება, დანანებით აღიარებენ რა, რომ ისინი არ არიან დასაქმებულნი თავიანთი მოვალეობით" (Ц. Вед. 1906, N 8, გვ.367). მეორე მხრივ, ხალხი ვერ ეგუება ხელყოფას წმიდათა წმიდისა, - ზნისა, ჩვეულებისა, ენისა და ყოველივე იმისა, რაც მისი ნაციონალური სახის არსებას წარმოადგენს. **და რაღაა გასაკვირი, თუ ქართველი ხალხი სიძულვილით უპასუხებს არა რუს ხალხს, არამედ მხოლოდ იმ მოღვაწეებს, რომლებიც ცდილობდნენ დაეთესათ მტრობა ბუნებით რუსებსა და ქვეყნის აბორიგენებს - ქართველებს შორის?!** იმდენად ღრმად იყო ჩაბუდებული ქართველობის გულში ერთმორწმუნე რუსი ხალხისადმი სიყვარული, რომ ამ მოღვაწეებს არ შეეძლოთ ასე იოლად მიეღწიათ თავიანთი მიზნისათვის - აღმოეფხვრათ ხალხში ჭეშმარიტად ქრისტიანულად განწყობილი რუსი ადამიანებისადმი რწმენა და სიყვარული... მათ უნდოდათ მღვრიე წყალში თევზის დაჭერა, "კარიერის შექმნა ქართველების შეევიწროებისა და ყალბი დანოსების ხარჯზე" (დურნოვოს სიტყვები). მათ "შებილწეს", უპატიოჰყვეს რუსის სახელი კავკასიაში; მაგრამ, რაც მოსალოდნელი იყო, განიცადეს სრული მარცხი: სამარცხვინოდ დატოვეს ამიერკავკასიის საზღვრები, დათმეს სამწყსო და ის საქმე, რის მსახურადაც იყვნენ ზმობილნი. ამით ერთხელ კიდევ დაადასტურეს ჩვენი მხსნელის უკვდავი სიტყვების სამართლიანობა ასეთი მწყემსების მიმართ. ამასთანავე, რუსი ხალხის ის წარმომადგენლები, რომლებიც ჭეშმარიტად არიან შემოსილნი ქრისტიანული სიყვარულით ყოველთა მიმართ, განურჩევლად ეროვნებისა, ცხოვრობენ მშვიდად, სარგებლობენ ქართველი ხალხის კეთილგანწყობით და ნდობით. დიახ, მადლობა ღმერთს, ღვთის ყანის პოლიტიკანი მუშაკები გაიქცნენ, მაგრამ მათ, ამ "კავკასიელ ანაფორიანებს", ხელი არ აუღიათ ღვაწლზე, თითქოს რუსული საქმის სასიკეთოდ კავკასიაში. მათ უნდათ ამიერკავკასიელი ხალხების ერთმანეთზე წასევა და "სისხლისღვრამდე მიყვანა". ამ მიზნით ისინი ხელიდან არ უშვებენ პრესას, "სტატიებს, სრულ სიცრუეს, ავენიანობას და ცილისწამებას" (С.Петербург. Вед. 1906, N 52).

ჩვენ ვთქვით, რომ ეს რუსიფიკატორები დამარცხდნენ და გაიქცნენ, მაგრამ ამით, ცხადია, ვერ ვიტყვით, რომ მათმა მოღვაწეობამ არ გამოიღო მავნე ნაყოფი ხალხისათვის. ქართველებმა, ასეთი მოღვაწეობის წყალობით, მშვიდობიან დროს, ძლევამოსილი ხელისუფლების მფარველობის ქვეშ, დაკარგეს ის, რაც თავიანთი ცხოვრების ყველაზე შფოთიან საუკუნეებშიც კი, ეკლესიის მტრებთან ბრძოლის დროს, სრული სიწმინდით შეინარჩუნეს - ერთგულება ქრისტიანული სარწმუნოებისადმი. დღეს საქართველოში ყოველი მხრიდან ისმის პროტესტები, სიტყვით თუ საქმით, მართლმადიდებელი სარწმუნოების საპირისპიროდ, ეკლესიისა და მისი მსახურების - სამღვდელოების წინააღმდეგ. მეტიც, პრესაში აშკარად გამოთქვამენ აზრს, რომ სასულიერო ხელისუფლების რუსიფიკატორულმა მისწრაფებებმა ქართველი ხალხის შეგნება მიიყვანეს ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის იდეამდე და პრაქტიკულად შეამზადეს ნიადაგი ხალხში რევოლუციური სულის ჩასახვისათვის (გაზ. "შრომა", N 7; ჟურნ. "ივერია", 1906, N 7, გვ. 3 და სხვ.).

აი, თავგამოდებული რუსიფიკატორების სახელმწიფოსათვის სასარგებლო მოღვაწეობის შედეგები; მათ თავისი გაიტანეს, თუკი შეიძლება ხალხის ცხოვრებაში გამოვლენილი შფოთი, არეულობა, სასულიერო პირთა დევნა, ეკლესიისაგან მრევლის გამიჯვნა ჩაითვალოს სასარგებლოდ სახელმწიფოსათვის.

ამ სამწუხარო ვითარების ყველა მიზეზის გამოვლენა ძალიან შორს წაგვიყვანდა. საჟურნალო სტატიის მოცულობა ამჯერად არ გვაძლევს საშუალებას, შევუდგეთ აღნიშნულ, მეტად საინტერესო საქმეს. ამას მომავალში გავაკეთებთ. ამჯერად წარმოვადგენთ ზემოთაღნიშნულ სტატიაში რამდენიმე მცდარად გაშუქებული ფაქტის ახსნა-განმარტებას. რაც შეიძლება მოკლედ.

წუხს რა სოხუმის კათედრაზე ყოვლადსამღვდელო კირიონის დანიშვნას, თვლის რა ამას რუსული გრძნობისათვის შეურაცხყოფად და არა აქვს რა იმედი, რომ იპოვის მასში "იმ ზომიერ-

ებას, იმ სამართლიანობას, ტაქტს და გულისხმიერებას, - ყველა იმ ღირსებას, რაც ასე აუცილებელია ისეთი მრავალეროვანი ეპარქიისათვის, როგორიც სოხუმია", აღნიშნული ავტორი მის დანიშვნას რაცხს უცილობელ მავნებლობად, რადგან ამან შეიძლება "აფხაზები აამხედროს მათთვის საძულველი ქართველების წინააღმდეგ და გამოიწვიოს ისეთივე ხოცვა-ჟლეტა, როგორიც ვიხილეთ ბაქოს გუბერნიაში." ამ შემთხვევაში არ შეუშდგებით ყოვლადსამღვდელო კირიონის დაცვას ასეთი ბეზღებისაგან, რადგან თვითონაც მოახერხებს ამას. ვიტყვით მხოლოდ, რომ მთელი მისი მოღვაწეობა იძლევა გარანტიას, რომ იგი არ იქნება ისეთი უსამართლო, არ გამოიჩენს ისეთ სიძულვილს არაქართველებისადმი, როგორც გამოიჩინეს მისმა წინამორბედებმა სოხუმის კათედრაზე არარუსი წარმოშობის ნებისმიერი ეროვნების მიმართ, მეტადრე - ქართველებისადმი.

გაზეთებიდან ყველასათვის ცნობილია, ეპ.არსენის განკარგულება, რომ არ წაეკითხათ სახარება ქართულად აღდგომას, მაშინ როდესაც წაკითხულ იქნა სხვა ენებზე, მკვდარ ლათინურ ენაზეც კი, რომელიც მლოცველთაგან არავის ესმოდა. მლოცველთა ორ მესამედზე მეტი კი ქართველები იყვნენ. ისინი მოუთმენლად ელოდნენ მოესმინათ, თუნდაც ერთხელ წელიწადში, სახარება მათთვის გასაგებ ენაზე, მაგრამ გაუცრუვდათ იმედი და ისინი გაავებულნი უყურადღებობით, მათი რელიგიური და ეროვნული გრძნობების ასეთი შეურაცხყოფით, სახარების კითხვის დამთავრებისთანავე დემონსტრაციულად გავიდნენ საყდრიდან.

სოხუმში დამოუკიდებელი კათედრის დაფუძნების ჟამს სოხუმელებს აკლდათ ღვთისმსახურების ქართულ ენაზე მოსმენის შესაძლებლობა. ასეთივე ბედი ეწიათ ქართველებით დასახლებულ სამრევლოებს, რომელთა მღვდლებმა, მრევლის საუბედუროდ, იციან რუსული წერა-კითხვა. სოხუმელი იერარქების შეუწყნარებლობა იქამდე მივიდა, რომ ქართველებმა ასეთი უსამართლობის გამო დაიწყეს ჩივილი საგაზეთო სტატიების საშუალებით და ამ საგანზე თვით უწმიდესი სინოდის ობერ-პრ.ოკურორის ყურადღების გამახვილებით. მოცემულ საქმეზე გამოთხოვილ იქნა ცნობები სოხუმის ეპისკოპოს არსენისაგან, რომელმაც მოურიდებლად წარმოადგინა კიდეც, რომ ქ.სოხუმსა და ოჩამჩირის ყველა ეკლესიაში ღვთისმსახურება აღესრულება საეკლესიო-სლავურ ენაზე, რომ სოხუმის ყოფილ ეპისკოპოს აგაფედოროვს განზრახული ჰქონდა ასეთივე მსახურების შემოღება აფხაზეთისა და სამურზაყანოს ყველა სამრევლოში და რომ მან, არსენმა, დაგზავნა საღვთისმსახურო წიგნები სლავურ ენაზე დამოწმებით, რომ ღვთისმსახურება შესრულდება ამ წიგნებით (Отнош. еп. Арсения от 17 мая 1898. N 968).

ახლა ვნახოთ, როგორი იყო მოსახლეობა ქ. სოხუმსა და ოჩამჩირეში, სადაც აკრძალეს ღვთისმსახურება ქართულ ენაზე, სულაც იმ ცნობების მიხედვით, ზემოაღნიშნული მოხსენების საფუძველზე, რომელიც წარდგენილ იქნა თვით არსენის მიერ (Дело Син. Конторы за 1898, N 68) და რომელიც, უნდა ვიფიქროთ, არ არის შედგენილი ცნობილი ტენდენციით ქართველთა საერთო რიცხვის განზრახ შემცირების გზით თავისი განკარგულების შეძლებისამებრ გამართლებისათვის.

1898 წელს, აღნიშნული ცნობის თანახმად, ქალაქ სოხუმში ცხოვრობდნენ: რუსები - 1410, ქართველები - 2336 და აფხაზები 80 სული ორივე სქესისა. ოჩამჩირეში კი: რუსები - 57, აფხაზები - 70 და ქართველები - 257 სული და ვეკითხებით ქართველოფობ ავტორს, - სამართლიანია 2593[2] სოხუმელი და ოჩამჩირელი ქართველის დატოვება მშობლიურ ენაზე მსახურების გარეშე?

მთელ სოხუმის მხარეში, ეპ.არსენის სტატისტიკის თანახმად (იხ.სინოდის კანტორის აღნიშნული საქმე), სახლობს ორივე სქესის 78109 სული. მათგან ქართველია (მეგრელი, ქართლელი, იმერელი, გურული და სამურზაყანოელი) 45353[3] სული . დანარჩენი: აფხაზები - 24 598, რუსები - 2745, ბერძნები - 4762, სომხები - 636 და სხვა ეროვნებისა 1013 სული. მართლმადიდებლად ირიცხება 72 729, არამართლმადიდებლად - 5 280; აფხაზთაგან მართლმადიდებლად - 20 777 (მათ შორის ბევრი მხოლოდ სასულიერო უწყისთა ანგარიშების მიხედვით იწოდება მართლმადიდებლად; სინამდვილეში კი მათგან უმრავლესი ფაქტიურად უფრო მაჰმადიანია, ვიდრე ქრისტიანი), მუჰამედის რჯულის მიმდევარია - 3821. მაშასადამე, სოხუმის მხარეში 45353 მართლმადიდებელი ქართველის გვერდით დგას ყველა სხვა ეროვნებისა 27 376 სული მართლმადიდებელი და სამართლიანია განა ამდენი მართლმადიდებელი ქართველის დარჩენა სასულიერო-რელიგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების გარეშე?

---

2 ეს ციფრები რომ ნამდვილად არ შეესატყვისება სინამდვილეს და ქართველთა რიცხვი რეალურად გაცილებით რომ მეტია, შეგვიძლია დავრწმუნდეთ სტატისტიკური მონაცემებით, "კავკასიის მთავარმმართებლის კანცელარიის სტატისტიკური განყოფილების გამოცემით, კონდრატენკოს რედაქცია, 1886.

3 სხვა მონაცემების თანახმად, ქართველების რიცხვი სოხუმის მხარეში უდრის ორივე სქესის 53 829 სულს (*Абхазия, соч. Цхумели с-ПБ, 1906, стр.16 прим. 18).*

გვეუბნებიან, რომ შეუძლებელია ქართველების რიცხვში სამურზაყანოელების ჩართვა, მათ შორის საერთო არაფერიაო[4]. ასეა მართლაც?

მოცემულ შემთხვევაში არ შევუდგებით იმის მტკიცებას, რომ სამურზაყანოელები ქართველ ერს ეკუთვნიან. ეს არც საჭიროებს დამტკიცებას. ამას ცხადყოფს ისტორიული, ეთნოგრაფიული, ლინგვისტური და ანთროპოლოგიური მონაცემები. ჩვენი ფიქრით, საღვთისმსახურო ენის განსაზღვრის საქმეში არა მხოლოდ ხალხის ნაციონალური წარმომავლობა თამაშობს როლს, არამედ - მეტწილად ის, რა ენაზე მეტყველებს ესა თუ ის ხალხი შესაბამის დროს. სამურზაყანოელების ქართველურ ტომებს მიკუთვნება ეჭვგარეშეა, მაგრამ ისტორიულ გარემოთა შედეგად მათ შეიძლებოდა დაეკარგათ თავიანთი ენა და ენობრივად ასიმილირებულიყვნენ სხვა წარმომავლობის ხალხთან[5]. სამურზაყანოელების შესახებ ბევრი მართლაც ასე ფიქრობს; არ გაცნობიან რა მათ ცხოვრებას, არ იციან მათი ენა, საერო და სასულიერო ადმინისტრაციის ბევრი წარმომადგენელი დარწმუნებულია, რომ სამურზაყანოელები აფხაზურ ენაზე ლაპარაკობენ. ეს რომ ასე იყოს, ჩვენ, სამურზაყანოელების ქართული წარმოშობის მიუხედავად, არ შეეცდებოდით და არც გვექნებოდა არავითარი უფლება დაგვეყენებინა საკითხი სამურზაყანოში ღვთისმსახურების ქართულ ენაზე წარმართვის შესახებ, მაგრამ საქმე ისაა, რომ სამურზაყანოელები ლაპარაკობენ ქართული ენის იმავე მეგრულ კილოზე, რითაც მეტყველებენ მთელ სამეგრელოში. და რადგან იქ საღვთისმსახურო ენა ქართულია, ცხადია, იგივე უნდა მოვითხოვოთ სამურზაყანოელებისათვის.

ასევე ფიქრობდნენ სასულიერო ხელისუფლების ის წარმომადგენლები, რომლებიც არ იყვნენ მოწამლულნი მხარის რუსიფიკაციის ჟინით. მოცემულ შემთხვევაში ჩვენ ვეყრდნობით საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის დადგენილებას და უწმიდესი სინოდის მითითებას. თავის პატაკში, 1897 წლის 8 ნოემბრის N 2062-ში, სოხუმის ეპისკოპოსი არსენი სინოდალური კანტორისაგან ითხოვს ახსნა-განმარტებას იმის თაობაზე, "შეამოწმოს თუ არა, იმ პირების ქართული ენის ცოდნა, რომელთაც სურთ იმსახურონ აფხაზებით და მეგრელებით დასახლებულ სამრევლოებში". თვითონ კი ამ ენის ცოდნას მიიჩნევდა სრულიად ზედმეტად, ვინაიდან ამ სამრევლოებში, მისივე სიტყვებით, ინიშნებიან პირები, რომლებმაც იციან რუსული ენა, "**ემსახურებიან რა სამღვდელოების მრევლთან უფრო მეტად დაახლოების მიზანს** (კურსივი ჩვენია) და სასკოლო განათლების წინსვლას (მშობლიურ ენაზე ღვთისმსახურებისა და სწავლების აკრძალვის გზით?!), ვინაიდან რუსული ენა, როგორც სახელმწიფოებრივი, მეტადაა საჭირო აფხაზებისა და მეგრელებისათვის, ვიდრე ქართული, რომელიც სოხუმის ეპარქიის სკოლებში არც კი ისწავლება" (უწმ, სინოდის კანტორის საქმე 1897 წლისა, N 30). აღნიშნულ შეკითხვას მოსდევს სინოდის კანტორის შემდეგი საჟურნალო დადგენილება." განემარტოს ყოვლადსამღვდელო სოხუმელ არსენს, რომ მისდამი რწმუნებული ეპარქიის მეგრელებით დასახლებული სამრევლოების მღვდელმსახურთა თანამდებობების კანდიდატები უნდა გამოიცადონ ქართულ ენაშიც, ვინაიდან მათი საეკლესიო-საღვთისმსახურო ენა არის ქართული" (1898 წლის 11 თებერვლის ოქმიდან). ასევე გადაწყვიტა ეს საკითხი უწმიდესმა სინოდმაც (ს.კ.საქმე 1897 წ. N 30,. ფ.28-29).


რუსულიდან თარგმნა
და წინასიტყვა დაურთო

**ნ. პაპუაშვილმა**



გაგრძელება იქნება


---

4 ეპ.არსენი არა მხოლოდ სამურზაყანოელებს, არამედ მეგრელებს, ქართლელებს, იმერლებსა და გურულებსაც კი მიიჩნევს ცალ-ცალკე ეროვნებებად (იხ. სინოდ. კანტორის საქმე 1898 წლის, N 68; გვ.8-11).

5 ხალხების ცხოვრებაში მსგავსი ფაქტები არც თუ იშვიათობაა. იგი დრო, როდესაც შავი ზღვის სანაპიროზე, ყოველ შემთხვევაში, გაგრამდე, მეგრელები სახლობდნენ, მაგრამ მაჰმადიანთა მოწოლის შედეგად, რომელთაც დაიკავეს სივრცე გაგრასა და ტუაფსეს შორის, მათი ქვეყანა შეეიწროვდა მდ.კოდორამდე, XVII ს. ასწლეულში აფხაზეთისა და სამეგრელოს სახლვრის მოვალეობას რომ ასრულებდა, რაც შეეხება ახლანდელი ოჩამჩირის მონაკვეთის მოსახლეობას, ისინი ივიეე მეგრელები არიან, რომლებმაც დაკარგეს თავიანთი ენა აფხაზების ზეგავლენის შედეგად. აღნიშნული ვარაუდის დამადასტურებელი სამუეი საკმარისადაა და ვეცდებით ამ საკითხზე სხვა დროს უფრო დეტალურად ვისაუბროთ.

# კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება სამურზაყანოელთა ეროვნული ვინაობის თაობაზე

იტალიელი მისიონერის-არქანჯელო ლამბერტის, ფრანგი მოგზაურის - ჟან შარდენის, ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომებისა და მრავალი სხვა საისტორიო წყაროების მონაცემების საფუძველზე დადგენილია, რომ XVIII საუკუნის დამდეგისათვის სამეგრელოსა და აფხაზეთის სამთავროთა შორის ისტორიული და ეთნიკური საზღვარი გადიოდა მდინარე კოდორზე. ამ ფაქტის სინამდვილეს ბოლო დრომდე უყოყმანოდ იზიარებდა ყველა ქართველი და აფხაზი ისტორიკოსი.

ცნობილია, სამურზაყანო - როგორც პოლიტიკური წარმონაქმნი, წარმოიშვა XVII-XVIII სს. მიჯნაზე, აფხაზეთის სამთავროს ფეოდალური დაშლილობის შედეგად და მოიცავდა დღევანდელი გალისა და ნაწილობრივ, ოჩამჩირის რაიონების ტერიტორიას. 1705 წელს იგი მემკვიდრეობით მიიღო მურზაყან ყვაპუს ძე შარვაშიძემ, რომლის სახელისგანაც წარმოიშვა ამ კუთხის სახელწოდება.

მეფის რუსეთის მიერ, ცნობილი ისტორიული პრინციპი - "დაყავი და იბატონე", საქართველოს მიმართ ნათლად გამომჟღავნდა სამურზაყანოს მაგალითზე. ნახევარი საუკუნის მანძილზე საქართველოს მოსახლეობის არცერთი აღწერა ისე არ ჩატარებულა, რომ ხელისუფლებას თავისი დამოკიდებულება არ გამოეხატა აქაური მოსახლეობის ეროვნულობისადმი.

მათ ჯერ ქართველებად, შემდეგ ცალკე ეროვნებად წარმოადგენდნენ, ხოლო XIX ს. 80-იანი წლებიდან აფხაზებთან აიგივებდნენ. ეს ფაქტი საგანგებოდ აქვს აღნიშნული ცნობილ რუს ისტორიკოსს - ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე დურნოვოს: 1885 წლიდან ცდილობდნენ აფხაზების ქართველებისაგან ჩამოშორებას. სამურზაყანოს ენაც კი გამოიგონეს და რაკი ამ ენაზე არ არსებობს ერთი წიგნიც კი, ეკლესიებში წირვა-ლოცვა დაიწყეს სლავურად. ჩამოიყვანეს რუსი მღვდლები (ნ. დურნოვო)," ქართული ეკლესიის ბედი... "1907 წ. გვ.129).

სამურზაყანოელთა ქართული კონტიგენტიდან ამოღებისა და აფხაზებთან მათი გაიგივების (იგულისხმება 30 000 სული) აშკარა ფაქტს წარმოადგენს. კარგად ცნობილი "რუსეთის იმპერიის 1897 წ. საყოველთაო აღწერის მაჩვენებლით "სოხუმის ოკრუგში" ცხოვრობდა 58 697 აფხაზი ე.ი. იმდენი, რამდენიც იყო სინამდვილეში 60 წლის შემდეგ, 1959 წელს (61 000), ხოლო ქართველი - 25 875. ვინც აფხაზეთის დემოგრაფიულ საკითხებზე აფხაზი სეპარატისტი მკვლევარების (შ.ინალ-იფა, ს.ლაკობა, ი.ვორონოვი და სხვა) ნაშრომებს იცნობს, შემჩნეული ექნება, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ისინი ზემოთ აღნიშნულ მონაცემებს აფხაზთა ოდენობაზე. უკრიტიკოდ იღებენ რა ამ ციფრს, ცდილობენ აფსუათა მერმინდელი მცირერიცხოვნობა ახსნან ქართველთა მიერ მათ მიმართ ასი წლის მანძილზე გატარებული გენოციდით!

რაოდენ მოულოდნელიც არ უნდა იყოს, 1897 წ.მონაცემებს საფუძვლიანად აბათილებენ "კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" (დაარსდა 1860 წ.) მესვეურთაგან უმაღლესი სა-

ელიერო და საერო ხელისუფლებისადმი წარდგენილი, მათი სხვადასხვა წლების სამისიონერო საქმიანობის ამსახველი, წიგნად გამოცემული წლიური ანგარიშები. განსაკუთრებით გამოვყოფთ 1867, 1869 და 1899 წლების ანგარიშებს, რომლებშიც კატეგორიულად არის აღნიშნული სამურზაყანოს მოსახლეობის ქართულ-ეროვნული კუთვნილება. ნათქვამის საილუსტრაციოდ გავეცნოთ ფრაგმენტებს ამ საზოგადოების სამი სხვადასხვა წლის ანგარიშებიდან:

"სამურზაყანოელები აფხაზებისა და მეგრელების მეზობლად ცხოვრობენ. მათი რიცხვი 21 858-ია. მათი საღვთისმსახურო ენა შორეული წარსულიდანვე ქართულია ისევე, როგორც სამეგრელოში. ცნობილია, რომ დღევანდელი სამეგრელო და სამურზაყანო წინაისტორიულ ხანებში კოლხეთის ცენტრი იყო. შემდეგში მას ლაზიკა ეწოდა. სამურზაყანოს ტერიტორიაზე გადარჩენილი წარსულის შესანიშნავი ძეგლები ცხადყოფენ, რომ ოდესღაც, ეს მხარე სამეგრელოს აყვავებული, მფეთქავი გული იყო. მის ერთ მხარესაა ბედია, საქართველოს ერთიანობის ჟამს დადიანებედიელთა რეზიდენცია. აქ დღემდეა მოღწეული და შემორჩენილი ტაძრის შესანიშნავი არქიტექტურის ნანგრევები და წარწერა, რომელშიაც იხსენიება ქართველი მეფე ბაგრატ III და დადიანები. თვით ილორში, რომელიც აფხაზეთის საზღვრებს იქითაა, ლაპარაკობენ მეგრულად. ბროსე, რომელიც ადგილზე იკვლევდა ამ ენას, მივიდა შემდეგ დასკვნამდე: 1. იგი ქართულია თავისი ფესვებით.. 2. ქართულ-ხმოვანთა და თანხმოვანთა გამოთქმებით, ასევე სიტყვათა დაბოლოებებით, სვანური, აფხაზური და ჩერქეზული სიტყვების მარაგით. სამურზაყანოში დამწერლობა, ისევე, როგორც მთელ სამეგრელოში, ქართულია (ოტჩოტ ობშესტვა... გვ. თბ., 1868 წ.).

"ილორიდან დაწყებული, მთელ სამურზაყანოში მეგრული ენა ბატონობს. ამიტომაც ეკლესიებში წირვა-ლოცვას ქართულად აღავლენენ" (ოტჩოტ ობშესტვა...გვ.32. თბ., 1869 წ.).

"როცა XVIII საუკუნეში, თურქეთის ბატონობის ჟამს, აფხაზეთის საეკლესიო კათედრა დახურეს, სამურზაყანოს ეკლესია ცაიშის ეპარქიას (სამეგრელოს) შეუერთდა. სწორედ ამ დროს მოხდა აქ რუსეთის ხელისუფლების შემოსვლა და გაბატონება. სამურზაყანოელები რომ ნამდვილი ქართული ტომის ხალხია, ამაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია. ისინი ლაპარაკობენ მეგრულად და არა აფხაზურად, როგორც ამას წერენ და ფიქრობენ ზოგიერთები. აფხაზურ ენაზე ლაპარაკობენ მხოლოდ აფხაზეთში და მხოლოდ აფხაზები.

სამურზაყანოელებმა ძლიერი გავლენა მოახდინეს აფხაზებზე და შეძლებისდაგვარად ცდილობდნენ განემტკიცებინათ მათში ქრისტიანობა. ამით აიხსნება, რომ კოდორის ხეობაში მოსახლე აფხაზები, სამურზაყანოელებთან ერთად უკეთესი ქრისტიანები არიან, ვიდრე გუდაუთელები ("ოტჩოტ ობშესტა... "თბ. 1899 წ. გვ.88).

როგორც დავინახეთ, მოტანილი მტკიცებები ნიადაგს აცლიან არა მარტო 1897-წლის სტატისტიკური მონაცემების ობიექტურობას, არამედ, კავკასიის ადმინისტრაციის არაერთგზის მცდელობას ქართული ეთნოსიდან გამოეყო სამურზაყანოს ქართული მოსახლეობა და იგი უცხო ხალხისთვის მიეკუთვნებია. დაუჯერებელია, "ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" მესვეურებს არ სცოდნოდათ, რომ ამგვარი მტკიცებებით ისინი უპირისპირდებოდნენ ოფიციალური ხელისუფლების მიზნებსა და ამოცანებს. რაშია საქმე, რატომ ეცილებიან ერთმანეთს მთავრობისა და წმ.სინოდის ქვემდებარე ამ საზოგადოების პოზიციები ერთმანეთს?

ამისი ახსნა უთუოდ უნდა ვეძებოთ "კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების წესდებაში," რომელიც გულისხმობდა კავკასიის არაქრისტიანი ხალხების ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცევას, ყოფილ ქრისტიან ხალხებს შორის (აფხაზები, ოსები, უდები, ინგილო-ქართველები) მართლმადიდებლობის ხელახლა აღდგენა-განმტკიცებას. ყველაფერი ეს საჭიროებდა აღნიშნული "საზოგადოების" მხრივ სათანადო კონტიგენტის დადგენას, საჭირო ოდენობის სკოლების გახსნას, მშობლიურ ენაზე სასულიერო და პედაგოგიური კადრების მომზადებას, ეკლესია მონასტრების მშენებლობას, სოლიდური მატერიალური რესურსების დაბანდებას. რაც შეეხებოდა სამურზაყანოს ქართულ მოსახლეობას, ზემოთ დასახელებულ ხალხებისაგან განსხვავებით, აქ, მართლმადიდებლურ ქრისტიანობას გააჩნდა მყარი ისტორიული ნიადაგი და არ საჭიროებდა მათ ხელახლა მონათვლას, სათანადო სპეციალური ლიტერატურის თარგმნას, წირვა-ლოცვის შემოღებას, ეკლესია-მონასტრების ფართო მშენებლობას და, რაც მთავარია, მნიშვნელოვანი ფულადი სახსრების გამოყოფას. გამომდინარე საკუთარი ამოცანებიდან, "ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" ხელმძღვანელობა, ჩანს, ზნეობრივ ვალდებულებად თვლიდა, როგორც სასულიერო, ასევე საერო ხელისუფლებისათვის მიეწოდებინა დაზუსტებული ინფორმაცია საქართველოს ამ ისტორიულ კუთხეში არსებულ ვითარებაზე. არავითარი საფუძველი არ არსებობს, ქართველებისადმი მიკერძოება დავაბრალოთ ისეთ ორგანიზაციას, როგორიც იყო "ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება", რომლის უპირველეს მიზანსა და ამოცანას შეადგენდა ხელისუფლებისადმი ერთგული სამსახური და არა რომელიმე ერისა და რეგიონის ინტერესების დაცვა.

**სოლომონ ლეკიშვილი**

მოციქული ანდრია პირველწოდებული

# ᲮᲔᲗᲔᲡᲣᲚᲘ ᲪᲘᲪᲐᲜᲝᲕᲜᲘᲡ

## ᲑᲐᲒᲠᲐᲢᲘᲡ ტᲐᲫᲐᲠᲘ

X საუკუნის ნაგებობათა შორის პირველი და გამორჩეული ბაგრატის ტაძარია. თავისი ისტორიული მნიშვნელობითა და მხატვრულობით მას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს შუა საუკუნეების მთელ ქართულ ხელოვნებაში. იმ პერიოდის მთელს ახლო აღმოსავლეთში ვერც ერთი ტაძარი ვერ შეედრებოდა მას, ვერც სიდიდით, ვერც სილამაზით. იგი აშენებულია მთაზე, რიონის მარცხენა ნაპირას და თავს დაჰყურებს ქუთაისის ძველ უბანს. მაღალი, ხვეული კიბეებით მიემართება გზა მისკენ... შთამბეჭდავი და ამაღელვებელია ფიქრი, რომ ეს გზა აუვლიათ ბაგრატს, დავითს, თამარს... ჩვენს მეფეებს, ჩვენს წინაპრებს.

მემატიანის ცნობით, კურთხევა დიდი ზეიმით მომხდარა. საქართველოს ყოველი კუთხიდან და მთელი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან ჩამოსულან სტუმრები - სამღვდელონი და ერისაგანნი.

იმ ხანად ქვეყანა, ფაქტიურად, თითქმის უკვე გაერთიანებული იყო ბაგრატ III-ის ხელში და ქუთაისში ახლად აგებულ ამ დიდებულ ტაძარს ზოგადეროვნული მნიშვნელობა ჰქონდა.

სამწუხაროდ, ტაძარს თავისი პირველი სახით არ მოუღწევია. იგი 1691 წელს ააფეთქეს თურქებმა და მისგან მხოლოდ კედლები დარჩა. გუმბათი, კამარები, გუმბათქვეშა ბოძები და სავსებით გასაოცარი, ცოცხალი ჩუქურთმები მთლიანად ჩაიშალა. საუკუნეების მანძილზე გამაოგნებელ, წარუშლელ შაბეჭდილებას ახდენდა მნახველზე ამ ნანგრევების ნახვა.

და, როცა ჩვენს დროში ტაძრის რესტავრაციის საკითხი დაისვა, ბევრს ენანებოდა ამ უზომოდ შთამბეჭდავი სანახაობის მოშლა, ცისა და ჩუქურთმათა ერთიანობაში რომ ისახებოდა. ჯერჯერობით მხოლოდ ნაწილობრივაა აღდგენილი ბაგრატის ტაძარი. ჩუქურთმები კი, ვითარცა მაცნე და მემატიანე ტკივილისა, აღარ ყრია მის მიწაზე. ისინი მუზეუმში გადაიტანეს.

ჩრდილოეთის დიდ სარკმელთან შემორჩენილია წარწერა, რომელიც გვაუწყებს: "ოდეს განამტკიცნა იატაკი, ქორონიკონი იყო 223"... ე.ი. 1003 წელი (საგულისხმოა, რომ თარიღი აღნიშნულია არაბული ციფრებით. ეს

ბაგრატის ტაძრის ორნამენტი

საქართველოში არსებული უძველესი ციფრებია. ტაძრის იატაკი მოზაიკით ყოფილა მორთული. იგი უკვე აღარ არსებობს. სამწუხაროდ ჩვენამდე ვერც კედლის მხატვრობამ ვერ მოაღწია, მაგრამ გადარჩა მისი ჩუქურთმა, რომელიც საშუალებას გვაძლევს, თვალი გავადევნოთ ევოლუციას, რომელიც იმ დროის მცირე მონაკვეთში, სულ რაღაც ნახევარი საუკუნის მანძილზე განიცადა ხუროთმოძღვრულმა ორნამენტმა.

ბაგრატ III-ის ძალისხმევითა და ამ ტაძრის კურთხევით

ბაგრატის ტაძარი. X ს. რესტავრაციამდე

დაიწყო რვა საუკუნის წინ საქართველოს გაერთიანება. ჩვენს დღევანდელ, დარღვეულ ყოფიერებაშიც ჩვენს ტკივილებსა და ურთიერთ განსჯაში ისევ გვეხმიანება დიდი წინაპრის სული და ერთიანობისა და სიყვარულისაკენ მოგვიწოდებს. ამიტომაც იმძლავრა ჩვენში ბაგრატის ტაძრის აღორძინების ნატვრამ... ნატვრამ და რწმენამ, რომ უფალი მისცემს ჩვენს ერს ძალას, აკურთხებს მშვიდობით.

შეიქმნა ბაგრატის აღორძინების ფონდი, ჩატარდა მთელი რიგი საქველმოქმედო ღონისძიებები, კონცერტები, სპექ-



ბაგრატის ტაძარი რესტავრირების პროცესში.

ტაკლები... საქართველოს ყველა კუთხიდან გაიღეს შემოწირულობები. თბილისში გაიხსნა ქართველ მხატვართა საქველმოქმედო გამოფენა. იგი აკურთხა მისმა უწმიდესობამ და უნეტარესობამ, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია II-მ. მან ბრძანა, რომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბაგრატის ტაძრის აღორძინების ფონდის შექმნას ქართველი ერის გამთლიანებისა და სულიერებისაკენ მობრუნების საქმეში. ეს კი აუცილებელია, თუ გვინდა, რომ საქართველო გადარჩეს.

აღდგენილი ბაგრატის ტაძარი საქართველოს ყოფილი დიდების აღორძინების სიმბოლო იქნება.

## 26 იანვარი, ახალი სტილით 8 თებერვალი წმიდა მეფე დავით აღმაშენებლის ხსენების დღეა. 8 თებერვალი ქართული უნივერსიტეტის გახსნის დღეცაა

იმ პირველ წლებში, როცა საერთოდ, საფუძველი ჩაეყარა უნივერსიტეტის გახსნის იდეას, მის მოამაგეთა შორის ხაქართველოს ეკლესიის მსახურნიც იყვნენ... მათაც გაიღეს შესაძლო წვლილი ამ საშვილიშვილო საქმის გასრულებაში. ხოლო, 1918 წლის 26 იანვარს მის ფუძესა და სამომავლო გზას საქართველოს ავტოკეფალიააღდგენილი ეკლესიის პირველი კათალიკოს-პატრიარქი კირიონ-II ლოცავდა...

იცოდა დიდმა ივანე ჯავახიშვილმა და მისმა უწმიდესობა კირიონმა, რატომ დააკავშირეს დავით აღმაშენებელთან ეს დიდი დღე... სიტყვაში, რომელიც კათალიკოს-პატრიარქმა იმ დღეს წარმოსთქვა, თვითვე განმარტა: "ვგონებ შემთხვევით არ მოხდა, ქართული უნივერსიტეტის გახსნა დღევანდელ დღეს, როდესაც ჩვენი ეკლესია დღესასწაულობს წმიდა მეფე დავით აღმაშენებლის ღვაწლს. მან აღადგინა ეკონომიურად საქართველო, გააძლიერა და დანერგა კულტურა. განურჩევლად ხალხოსნობისა და სარწმუნოებისა, იგი მფარველობას უწევდა მეცნიერებას. აავსო მეცნიერი ხალხით თავისი სასახლე, რომელიც წარმოადგენდა სამეცნიერო აკადემიას და მან პირველმა ქართველ გვირგვინოსანთა შორის, ჩაჰყარა მკვიდრი საძირკველი აკადემიისა გელათისა და იყალთოს მონასტრებში".

"კაცი შექმნილია სინათლისათვის და თვით ბუნებისგან ჩანერგილია მასში ღვთიური ნიჭი - ძიება ჭეშმარიტებისა, რომელიც ჰქმნის კაცს თავისუფლადო - ბრძანა იმ დღეს მისმა უწმიდესობამ.*

და აი, უკვე, რამდენიმე წელიწადია, ეკლესიაც და უნივერსიტეტიც ერთად აღნიშნავს ამ დიდ დღეს... დღეს დიდი დავითისა და დღეს უნივერსიტეტის გახსნისა. ყოველ 7 (ზეიმის წინა დღეს), ან 8 თებერვალს კათალიკოს-პატრიარქთან მოსალოცად მოდიან უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები.... აღესრულება დიდი, საზეიმო წირვა... ინთება კელაპტრები, სანთლები... აღესრულება ერის პარაკლისი... შემდეგ კი, ეწყობა შეხვედრა-საუბარი კათალიკოს-პატრიარქის რეზიდენციაში... ეს ერთგვარი ანგარიშია მთელი წლის ნაღვაწისა დიდი დავითის სულისა და უნივერსიტეტის მოამაგეთა მიმართ.

ასე მოხდა ამჯერადაც. 7 თებერვალს კათალიკოს-პატრიარქ ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საპატრიარქოს რეზიდენციაში თავი შეიყარეს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა.

მკითხველს ვთავაზობთ რამდენიმე ფრაგმენტს მისი უწმიდესობის სიტყვიდან:

**კათალიკოს-პატრიარქი ილია II:**

"ზვალ წმიდა დავით აღმაშენებლის ხსენების დღეა. ამ დღეს მთელი საქართველო და განსაკუთრებით უნივერსიტეტი აღნიშნავს; ცხადია, ეკლესიასთან ერთად... დავითის მფარველობით და ლოცვით გაიხსნა უნივერსიტეტი. ძალიან ძნელია შეფასო ის მადლი და ღვთის წყალობა, რაც მოუტანა საქართველოს უნივერსიტეტმა.

ბევრი ბრწყინვალე სასწავლებელია ჩვენში, მაგრამ საფუძველი და ღერძი განათლებისა და სულიერებისა არის მაინც უნივერსიტეტი. იგი რჩება იმ ფუძედ, რომელიც დავითის ლოცვა-კურთხევით, კირიონის ლოცვა-კურთხევით დაარსდა. ჩვენი დიდი წინაპარი კარგად გრძნობდა, რა დიდი მნიშვნელობა აქვს უნივერსიტეტის არსებობას. ყველა მთავარი, დიდი პრობლემა მუდამ წყდება უნივერსიტეტში. საქართველოს გულია იგი. ამიტომ თქვენ უნდა იგრძნოთ და, გრძნობთ კიდეც დიდ პასუხისმგებლობას ერის წინაშე. თქვენ ყველაფერი გეზებათ... განსაკუთრებით, სულიერება.

ბევრი რამეა, რაც დღეს ჩვენში არ მოგვწონს... იმიტომ, რომ ჩვენი სულია მოუწესრიგებელი. დღეს რომ ვხედავთ ამდენ დარღვევას, ცოდვებს, იმიტომ, რომ საზოგადოება დაბალი ზნეობისაა. ზოგს ჰგონია, სულიერების საკითხი ეკლესიაში უნდა წყდებოდეს, მაგრამ ეს ასე არაა. ზნეობის საფუძველი რასაკვირველია, სარწმუნოებაა, მაგრამ დღეს ადამიანი ხშირად მხოლოდ გონების შესაძლებლობებს ეყრდნობა... ეს კი დამღუპველია. სწორედ ამან მიიყვანა კაცობრიობა ათეიზმამდე და კომუნიზმამდე.

ჯერ კიდევ ევროპაში დაშორიშორეს ერთმანეთს სულიერება და მეცნიერება. ეს კი ჩვენი ყოფიერების ორი ფრთაა და ორივე აუცილებელია.

ხშირად გაიგონებთ, სწორედ ტექნიკამ მიგვიყვანა დაღუპვის პირამდეო. არაა სწორი. საქმე იმაშია, რომ ზნეობა ჩამორჩა. უზნეოთა ხელში მოხვდა ტექნიკა. უნდა ვიფიქროთ ზნეობის ამაღლებაზე... ასევე. ტექნიკის განვითარებაზეც. სხვანაირად არ შეიძლება. ეს რთული პრობლემაა და მისი გადაწყვეტა დიდძალად ეკისრება უნივერსიტეტს.

როგორი უნდა იყოს ხვალინდელი ქართველი? ჩემის აზრით, უპირველეს ყოვლისა, ჩვენ მის სულიერ განვითარებაზე უნდა ვიფიქროთ. უნივერსიტეტმა უსათუოდ უნდა იფიქროს საშუალო სკოლაზე. ეს უმთავრესი პრობლემაა. იქ უნდა შეიქმნას ისეთი პროგრამები, რომელიც ნამდვილ ადამიანებს აღზრდის. ის ბავშვები, ახლა სკოლის მერხს რომ უსხედან, ხვალ

---

* სიტყვა, თქმული კათალიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის მიერ ქართული უნივერსიტეტის გახსნის დღეს. იხ.ჟურნ. "ჯვარი ვახისა". 1988 წ. N 3. გვ. 47.

საქართველოს საპატრიარქო. კადრი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებთან შეხვედრიდან

თქვენთან მოვლენ და თქვენი გასაზრდელები იქნებიან. უნდა ჩაერიოთ ამ პროგრამების შექმნაში. მაგრამ როგორ დამყარდეს კავშირი ეკლესიასა, სკოლასა და უმაღლეს სასწავლებლებს შორის. აი, ესაა საზრუნავი.

ამასთან დაკავშირებით, ჩვენთან შეიქმნა სპეციალური სამეცნიერო კომისია, რომელიც სწავლობს სასკოლო პროგრამებს, როგორც ჩვენში, ისე სხვა ქვეყნებში. მე მინდა, თქვენ ჩაერთოთ ამ საქმეში.

უკვე გაიხსნა რამდენიმე გიმნაზია, სადაც ნელ-ნელა ვცდილობთ გონებრივ აღზრდასთან ერთად, ბავშვებში შევიტანოთ სულიერება. ყველა ამ საქმეში მთავარი მეკვლე უნდა იყოს უნივერსიტეტი.

გილოცავთ დიდი დავითის დღეს... თქვენ გმირები ბრძანდებით, რომ ამ უძიმეს ჟამს ინარჩუნებთ მხნეობას, გაგაძლიეროთ ღმერთმა..."

## მის უწმიდესობას სიტყვით მიმართა უნივერსიტეტის რექტორმა **როინ მეტრეველმა...**

"ის, რაც დღეს ამ წმიდა ტაძარში, მისი უწმიდესობისგან მოვისმინეთ, არის დიდი პროგრამა. ეს ყოველივე უნდა იყოს სახელმძღვანელო ჩვენთვის. უღრმესი მადლობა. ჩვენ ეს გვამხნევებს.

ნება მომეცით, მოგილოცოთ წმიდა დავითის დღე. მივულოცო ქართულ ეკლესიას. არ არის შემთხვევითი, რომ სწორედ დავითის ხსენების დღეს არის დაფუძნებული ჩვენი უნივერსიტეტი. თქვენ ბრძანეთ და მეც გავიმეორებ: იცოდა ივანე ჯავახიშვილმა რატომაც დაამთხვია იგი ამ თარიღს. დავითი იყო გელათის დამფუძნებელი. მემატიანე ბრძანებს, რომ გელათი არის "აღმატებული ყოველთა წინანდელთა ქმნულთა..." "ხვად ათინად და მეორე იერუსალიმად" მოევლინა იგი საქართველოსი.

ხვალ თენდება ეს დღე. კათალიკოს კირიონის დალოცვილია უნივერსიტეტი. უნივერსიტეტს არ უღალატნია თავისი წმიდა და თეთრი სახელისათვის.

მიუხედავად დღევანდელი სიდუხჭირისა, ეს დღე ერთგვაროვნად ძვირფასია ერისა და ბერისათვის, სრულიად საქართველოსათვის.

საოცარი რამ ხდება... მალე აშენდება უნივერსიტეტში დავით აღმაშენებლის ტაძარი. უსახსროდ და მაინც... მხოლოდ სულით.

ფეხზე წამოდგომით გილოცავთ ამ დღეს.

საქართველოს ეკლესია ქვეყანას მუდამ გვერდში ედგა და პირად მაგალითს უჩვენებდა.

საქართველო ქრისტიანობამ გადაარჩინა. იყო პერიოდები, როცა ქართველი და ქრისტიანი ერთ და იგივე ცნებად აღიქმებოდა. უდიდესია ეკლესიის წვლილი ქვეყნის წინაშე. ისეთი შემთხვევაც არაერთხელ ყოფილა, საქართველოს გადასარჩენად ბერს, თავისი სამოსი რომ გაუხდია და იარაღი აუსხამს. ამის უფლებას მას თვით უფალი ჩვენი, იესო ქრისტე აძლევდა, რადგან ყველა ჩვენი ომი წმიდა იყო. ეს იყო ომი ქვეყნისა და ქრისტიანობის გადასარჩენად. ჩვენ ვამაყობთ ჩვენი ეკლესიით. ყოველთვის ღირსეული პატრიარქები ჰყავდა მას.... ამბროსი გმირადაც კი შეიძლება შეირაცხოს.

მათი გზის ღირსეული გაგრძელებელი ბრძანდებიო თქვენ, თქვენო უწმიდესობავ. დიდია თქვენი ამაგი სამოცდაათი წლის სიბნელიდან ერის გამოყვანის საქმეში. ესეც გმირობის ტოლფასია. თქვენის ღვაწლით, ჩვენს თვალწინ დაიწყო ერის გასულიერება.

რა დამავიწყებს... სულ უახლესი პერიოდის მძიმე დღეებში თქვენ იკისრეთ დიდი მისია... ერთი წამითაც არ ისვენე-

ბდით... აქ, თითქმის მუდმივად მიმდინარეობდა დიდი სხდომები, ქვეყნის გადასარჩენად.

ბრწყინვალეა თქვენი ეპისტოლეები. ეს პროგრამაა, რომელიც უნდა შეეასრულოთ.

გვინდა გამოვხატოთ ჩვენი ერთობა ეკლესიასთან. ღმერთმა დიდხანს უცოცხლოს საქართველოს თქვენი თავი."

შეხვედრაზე სიტყვები წარმოსთქვეს ქალბატონმა მარიკა ლორთქიფანიძემ, ბატონებმა: კოტე წერეთელმა, ევგენი ხარაძემ, ლევან სანიკიძემ და სხვ.

ითქვა: როცა დავით აღმაშენებლის ეკლესიას აკურთხებენ, იმავე დღეს პანაშვიდი გადაუხადონ ყველას, საქართველოსათვის აღსრულებულთა სულებს...

სიტყვა წარმოთქვა, აგრეთვე ბერძენმა სტუმარმა, სამღვდელო პირმა: მან ბრძანა:

"ბისმა უწმიდესობამ, ილია II-მ უდიდესი პატივი დამდო ამ შეხვედრაზე მოწვევით. შეწუხებულიც კი ვარ. მე ვარ სტუმარი ამ ქვეყნისა, მაგრამ ისეთი განცდა მაქვს, თითქოს ჩემს სახლში ვიყო. ჩემს წინაშე ვხედავ ერთმორწმუნე ხალხს. ეს ძალიან მაღელვებს და მახარებს. რაკი პლატონი ახსენეს (იგი ახსენა მწერალმა ლევან სანიკიძემ და თქვა... პლატონი ყოველ დილით, როცა მზეს შეხედავდა, ამბობდა: გმადლობ უფალო, ბერძნად რომ გამაჩინეო. და დ. ძინ: - ჩვენც შეგვიძლია იგივე ვთქვათ. გმადლობ უფალო, ქართველად რომ გამაჩინე!" რედ.), მეც ვიტყვი: მან თქვა, მატერია ეს არის ცხენი... სული კი არის მხედარი. საქართველოს სული, ეს არის მისი მოძღვრები, მასწავლებლები. მე მინდა მარადიული სიცოცხლე და ჭირთამენთ მოპოვებული მშვიდობა ვუსურვო ამ ქვეყანას... დავლოცო უნივერსიტეტი და მთელი ქართველი ერი.

მიტროპოლიტი კონსტანტინე (მელიქიძე)

7 თებერვალი.

ბერძენი სტუმრები საქართველოს საპატრიარქოში.

# გვესაუბრება მარგვეთის ეპარქიის მმართველი მიტროპოლიტი კონსტანტინე



ოდესღაც ეს კუთხე, ისე, როგორც ყველა კუთხე საქართველოსი, ტაძარ-სალოცავებით იყო მოფენილი. განუწყვეტლივ აღავლენდნენ წმიდა მამანი ლოცვებს ღვთისმშობლისა და მაცხოვრის ეკლესიაში... წმიდა ნინოს, წმიდა გიორგის, იოანე ნათლისმცემლის სალოცავებში, მარგვეთის მთავართა - დავით და კონსტანტინეს სულებს ავედრებდნენ ქვეყანას და არსთა გამრიგეს მარადის ნანატრ მშვიდობას შესთხოვდნენ.

რწმენით და სასოებით აშენებდა ძველად ამ ტაძრებს ქართველი კაცი... აშენებდა მღვიმევის, ჯრუჭის მონასტრებს, სადაც საუკუნეთა მანძილზე მწიგნობრული სკოლა არსებობდა.

იწერებოდა საეკლესიო წიგნები, გალობები, იკერებოდა სამღვდელო შესამოსელი, მზადდებოდა ხატები. შემდეგ კი... სულ რაღაც ორი საუკუნის განმავლობაში, ყოველივე დაინგრა. ხალხი მოაშორეს ეკლესიას. დადგა უღმერთობის ხანა, ხანა ადამიანთა სულიერი გამოცდისა.

და აი, ღვთის დიდი განგებით, კვლავ გაიღვიძა ჩვენს ხალხში სარწმუნოების სიყვარულმა. ტალღა, რომელიც მოედო მთელ საქართველოს, მარგვეთის ეპარქიასაც მისწვდა. მრავალი დანგრეული ტაძარი აღდგა უკვე. ოცამდე ეკლესიაში მიმდინარეობს წირვა-ლოცვა. მიმდინარეობს ტაძართა რესტავრაციაც.

რესტავრაციის პროცესშია და მალე ამოქმედდება წმიდა ნინოს ტაძარი საჩხერეში, სასაფლაოს ტერიტორიაზე.

აღდგა ცნობილი მღვიმევის დედათა მონასტერი, ტაძარს გაუკეთდა ტრაპეზ - კანკელი, გადაიხურა ჭერი, გამაგრდა და შეილესა კედლები. განზრახულია მისი მოხატვა.

ასევე, მიწისძვრამ დაანგრია და ამჟამად უკვე აღდგენილია მაცხოვრის ეკლესია სხვიტორში. იგი აღადგინა ახალგაზრდა მღვდელმა, მამა მიქაელმა.

სარესტავრაციო სამუშაოები მიმდინარეობს სვანეთში. მას მოთავეობს ამავე სოფლის მკვიდრი, პედაგოგი შოთა მეცხვარიშვილი.

განზრახულია და, ალბათ, ახლო მომავალში დაიწყება ცნობილი ჯრუჭის მონასტრის აღდგენა. იგი მთლიანად დანგრეულია.

ახალი ტაძარი შენდება ყვირილას ნაპირზე, ზესტაფონში. ეს დიდი, საკათედრო ტაძარი იქნება.

ახალი ტაძრისათვის ადგილი გამოიყო და მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს თერჯოლაში, ზედა სიმონეთში, საჩხერეში, ჭიათურაში.

დიდია მოსახლეობის ინტერესი ეკლესიისადმი. მათი სურვილია, მათმა შვილებმა შეისწავლონ საღვთო სჯული, საერთოდ, იესო ქრისტეს მოძღვრება. ამასთან დაკავშირებით, ეპარქიას დაექვემდებარა ორი საბავშვო ბაღი ზესტაფონში, სადაც ბავშვები მარტივი რელიგიური ცოდნით იმოძღვრებიან.

მეორე წელიწადია, მოქმედებს სამრევლო სკოლა. აქ საშუალო სკოლებში პირველდაწყებითი რელიგიური სწავლებისათვის ამზადებენ პედაგოგებს. სკოლაში 200-მდე მოზარდი სწავლობს. აქვე სწავლობენ გალობას, ხატვას, ხელსაქმეს. სამრევლო სკოლა მოქმედებს ჭიათურაშიც.

ასეთივე სკოლა გაიხსნა მღიმევის მონასტერში, სადაც ამზადებენ მედავითნეებსა და მგალობლებს. აქ ეუფლებიან რელიგიურ ცოდნას.

განზრახულია ეპარქიაში გამოიცეს ყოველთვიური გაზეთი, რომელშიაც აისახება ამ კუთხის საეკლესიო ცხოვრება. დაიბეჭდება განმარტებითი ხასიათის წერილები და მიმდინარე პროცესების ამსახველი მასალები.

საბერძნეთის მეფე, მისი უდიდებულესობა კონსტანტინე და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II

## სიტყვა, წარმოთქმული მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, ილია II-ის მიერ მისი უდიდებულესობის, საბერძნეთის მეფე კონსტანტინეს საქართველოში ვიზიტის დროს.

**(1995 წლის 2 მარტი)**

თქვენო უდიდებულესობავ, ქრისტესმიერ საყვარელო ძმაო ჩვენო!

დიდია უფალი და საკვირველია საქმენი მისნი და წყალობა მისი.

დღევანდელი დღე არის ისტორიული და ბედნიერი ჩვენთვის.

თითქოს აღდგა ათასი წლის წინანდელი ტრადიცია, როცა ბიზანტიის იმპერატორები ეწვეოდნენ ხოლმე, საქართველოს და ჩვენი მეფენი ჩადიოდნენ საბერძნეთში.

თქვენს ვიზიტში ჩვენ ვხედავთ ნიშანს ღვთის დიდი განგებისა და ამიტომაც ფსალმუნის სიტყვით ვამბობთ:

"ესე არს დღე, რომელ ქმნა უფალმან,

ვიხარებდეთ და ვიშვებდეთ ამას შინა" (ფს. 117.24)

თქვენმა ჩამობრძანებამ საქრათველოს მიწაზე, წარსულ საუკუნეთა სუნთქვა მოიტანა და გაგვახსენა ჩვენი ქვეყნების ურთიერთობებთან დაკავშირებული მოვლენები.

ქართველ ტომთა შესახებ წერდნენ ძველი ბერძენი ისტორიკოსები: ჰეროდოტე, ქსენოფონტე, სტრაბონი, პტოლომაიოსი, ფლავიუსი, არიანე..

ბერძენთა ინტერესი საქართველოსადმი მხოლოდ კეთილმეზობლობით არ შემოიფარგლებოდა. ჯერ კიდევ VII-VI საუკუნეებში ჩვენს წელთ აღრიცხვამდე საქართველოს დასავლეთ ნაწილში, შავი ზღვის სანაპიროზე, გაჩნდა ბერძენთა ახალშენების: ფაზისი (ფოთი), გიენორი (ოჩამჩირე), დიოსკური (სოხუმი), პიტიუნტი (ბიჭვინთა). ძველი პიტიუნტის, ვანის, ქუთაისის, ნოქალაქევის, არმაზის არქეოლოგიური აღმოჩენები ადასტურებენ იმ ეკონომიკურ და კულტურულ კავშირ-ურთიერთობებს, რომელიც ანტიკური ხანიდან არსებობდა ჩვენს შორის.

ქართულ-ბერძნული ურთიერთობები კიდევ უფრო გაცხოველდა IV საუკუნის 30-იანი წლებიდან, როცა ახლადგაქრისტიანებულ ქართლის მეფე მირიანს და დედოფალ ნანას, ქართველთა სამწყსოს, ბიზანტიის პირველმა ქრისტიანმა იმპერატორმა, კონსტანტინე დიდმა, საჩუქრად გამოუგზავნა მაცხოვრის სამსჭვალი, და წარმოგზავნა სასულიერო პირნი სარწმუნოების განსამტკიცებლად; ამ დროიდან, ჩვენს ერებს შორის საფუძველჩაყრილი მეგობრობა საუკუნეებით გამოიცადა.

ბიზანტია და ქართული სამეფოები-ეგრისი და ქართლი ერთობლივად იბრძოდნენ მაზდეანობის წინააღმდეგ კავკასიაში.

VI საუკუნეში ბიზანტიელთა და ქართველთა შეერთებული ძალით, მოხერხდა ირანელთა განდევნა ამიერკავკასიიდან.

VII-VIII საუკუნეებში ბიზანტია გარკვეულ დახმარებას უწევდა ქართველებს არაბების წინააღმდეგ ბრძოლაში; თავის მხრივ ტაო-კლარჯეთის მეფემ, დავით III კურაპალატმა გადამწყვეტი როლი ითამაშა ბიზანტიის იმპერატორ ბასილი კეისრის წინააღმდეგ დაწყებულ ბარდა სკლიაროსის აჯანყების დამხობაში.

ქართველ და ბიზანტიელ მეფეებს საქორწინო ნათესაობაც აკავშირებდათ: ვახტანგ გორგასალის მეუღლე, ელენე, ბიზანტიის იმპერატორის ასული იყო,

ბაგრატ IV-ს (1028-1072) ცოლად ჰყავდა ბიზანტიის იმპერატორის ძმისწული.

ქართველი მეფის ასული უნდა გაჰყოლოდა ბიზანტიის უკანასკნელ იმპერატორს, კონსტანტინე პალეოლოგს, მაგრამ იგი მოულოდნელად გარდაიცვალა.

ამასთან ერთად, მრავალი ქართველი აქტიურად მონაწილეობდა ბიზანტიის სახელმწიფოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ერთი ტკივილი და სიხარული აკავშირებდა ჩვენს ეკლესიებსაც. მათ ერთობლივ საზრუნავს წარმოადგენდა ბრძოლა, როგორც უცხო რელიგიების წამოჭრის წინააღმდეგ, ისე ქრისტიანობის წიაღში აღმოცენებულ სხვადასხვა მწვალებლობათა აღმოფხვრისათვის ზრუნვა, რაც აქტუალურია დღესაც.

IX-X საუკუნეებიდან ბიზანტიური კულტურის დიდი აღმავლობის ხანა დაიწყო. ბიზანტია მთელი ქრისტიანული მწერლობის ცენტრად იქცა. განვითარდა ფილოსოფიური აზროვნება, აყვავდა ფილოლოგიური სკოლა; იგი ვითარცა ქრისტიანობის ბურჯი და მწიგნობრობის ცენტრი, იზიდავდა სხვადასხვა ერის მართლმორწმუნეთ და მათ შორის ქართველებსაც. ოლიმპოზე, ათონზე, იერუსალიმში, პეტრიწონში, შავ მთაზე საფუძველი ჩაეყარა ქართულ სავანეებს, სადაც დაიწყო მრავალმხრივი მუშაობა ბიზანტიური კულტურის შემოქმედებითი ათვისებისათვის.

ქართველ მოღვაწეთა მიერ შექმნილ მემკვიდრეობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნული მწიგნობრობის განვითარებისათვის. ქართველმა მოღვაწეებმაც გარკვეული წვლილი შეიტანეს ბიზანტიური კულტურის აღორძინებაში.

ჩვენ ქედს ვიხრით ბერძენი ხალხის კულტურული და სულიერი მემკვიდრეობის წინაშე, რომლის მოვალეც მთელი ქრისტიანული და არა მარტო ქრისტიანული სამყაროა.

ჩვენ მუხლს ვიდრეკთ ბასილი დიდის, იოანე ოქროპირის, გრიგოლ ნაზიანზელის, ათანასე ალექსანდრიელის, გრიგოლ ნოსელის, გრიგოლ ღვთისმეტყველის, გელასი კესარიელის, რომანოზ მელიდოსის, იოანე დამასკელის, გრიგოლ პალამას, ანდრია კრიტელის, ათონელ მოღვაწეთა და სხვა მრავალ წმიდა მამათა წინაშე; გამოვთქვამთ ჩვენს აღტაცებას, ბიზანტიური ფილოსოფიური სკოლის რჩეულთა მიმართ, ბიზანტიური ხატწერის არქიტექტურის, ოქრომჭედლობის, სახვითი ხელოვნების, მეცნიერების ცნობილ წარმომადგენლებისადმი.

საბერძნეთი ყოველთვის იქნება ნიშანსვეტი ქრისტიანობისა, ამიტომაც განსაკუთრებით გვახარებს ამ მადლმოსილი ქვეყნის მირონცხებული მეფის ჩამობრძანება ჩვენს ქვეყანაში.

მიგვაჩნია, რომ ჩვენს აპოკალიფსურ დროში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მართლმადიდებელ სახელმწიფოთა და ეკლესიათა კავშირსა და თანადგომას. მოხარულნი ვართ, რომ ჩვენი ქვეყნები ისწრაფვიან ურთიერთობის შემდგომი განმტკიცებისა და თანამშრომლობის გაღრმავებისაკენ.

საბერძნეთისა და საქართველოს პირველ ქრისტიან მეფე-დედოფალთა, წმიდა კონსტანტინე და ელენეს, წმიდა მირიან და ნანას მადლით, ჩვენს დიდებულ წინაპართა ღვაწლით, ხილული და უხილავი მტრებისაგან დაიცვას და დაიფაროს ღმერთმა ჩვენი ქვეყნები, მოგვანიჭოს მშვიდობა და სიყვარული, ძალა სულიერებისკენ სწრაფვისა და ქრისტეს ჭეშმარიტი გზით დაუბრკოლებელი სვლისა.

თქვენო უდიდებულესობავ, მიიღეთ ჩვენი პატივისცემა და სიყვარული. იცხოვროს უფალმა თქვენი მრავალჟამიერი სიცოცხლე და თქვენი ღვთივსათნო ზრახვების აღსრულება.

"იყავნ უფალო წყალობაჲ შენი ჩვენ ზედა, ვითარცა ჩვენ შენ გესავთ (ფს. 32, 22).

**ილია II,**

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.

უკრაინის პრეზიდენტი **ლეონიდე კუჩმა** საქართველოს საპატრიარქოში

## XXX

არა პურითა ხოლო ცხონდების კაცი, არამედ სიტყვითა, რომელი გამოვალს პირისაგან ღმრთითა (მთ.4.4). სწორედ ეკლესია არის წიაღი იმ სულიერი სიტყვისა, ერს რომ უნდა განენაწილოს, ვითარცა ხუთი პური, იესოს ხელთაგან რომ მიიღეს მოციქულთა და ათასებს ამყოფინეს. დღეს განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობა ეს წყურვილი საღმრთო რძისა და ეკლესიაც განაგრძობს თავის დაფარულ ღვაწლს, რომ დააპუროს ზეციური პურით დამაშვრალი და გზაზე დაცვივნული ერი. ეს ღვაწლი სამოციქულო ეკლესიისა გარკვეულწილად დაფარულია საპატრიარქოს კედლებს მიღმა, და ჩვენ გადავწყვიტეთ, იგი შეძლებისდაგვარად მკითხველის წინ განვფინოთ და კვლავ გავიხსენოთ, რომ "სარწმუნოებაჲ თვინიერ საქმეთა მკუდარ არს" (იაკობ. 2.26).

ჟურნალი თანდათანობით გააშუქებს საპატრიარქოში არსებულ მისიისა და ევანგელიზაციის, ეკლესიის საგარეო ურთიერთობის, სოფლის მეურნეობისა და სხვ. განყოფილებათა საქმიანობას. წარმოაჩენს საპატრიარქოს მხატვარ-რესტავრატორთა და მქსოველთა ღვაწლს ახალი ფერწერული ხატებისა თუ ძველის აღდგენა-გადაწერაში, ქსოვისა და საეკლესიო ნაქარგობის ხალხური ტრადიციების აღდგენაში, მოგითხრობთ საეკლესიო საგალობლების შემსწავლელ ბავშვთა გუნდზე, საპატრიარქოში არსებული მოწყალების ინსტიტუტზე და სხვა.

ამჯერად გაგაცნობთ საზოგადოება "ძლევაჲს" საქმიანობას, რომელმაც ამ ცოტა ხნის წინ საპატრიარქოს კედლებში დაიდო ბინა.

**მანანა ჯანელიძე**

4 იანვარი (მისი უწმიდესობის დაბადების დღე).

ქალბატონი ნინო რამიშვილი საქართველოს საპატრიარქოში

საქართველოს ახალგაზრდული ცენტრი "ძლევაი" დაარსდა 1993 წლის 9 ივნისს. შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის შენობაში გაიმართა "ძლევაის" დამფუძნებელი სხდომა. 1994 წლის ივლისის თვეში მოხდა ცენტრის რეორგანიზაცია.

საქართველოს ახალგაზრდული ცენტრი "ძლევაი" წარმოადგენს კულტურულ საგანმანათლებლო, საქველმოქმედო . პოლიტიკურ ორგანიზაციას, რომელიც შოქმედებს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით. იგი აერთიანებს საქართველოში მოქმედ ახალგაზრდულ ორგანიზაციებს. დაფუძნებისას მისი წევრი იყო 14 ახალგაზრდული ორგანიზაცია. ეს ორგანიზაციები ქმნიან "ძლევაის" სათათბიროს, რომელიც ამტკიცებს განყოფილებების კონცეფციებს და კოორდინაციას უწევს მათ ერთობლივ საქმიანობას. ცენტრში მოქმედებს შემდეგი განყოფილებები: განათლების, კულტურის, სპორტის, ეკოლოგიისა და ჯანდაცვის, ახალგაზრდული პრობლემების, დემოგრაფიის, საგარეო ურთიერთობის, რეგიონებთან ურთიერთობის და ეკონომიკის. ისინი წარმოადგენენ მუდმივმოქმედ ორგანოებს და თავისი სპეციფიკის მიხედვით ახორციელებენ ცენტრის მიზანს - ქრისტიანული და ეროვნული ცნობიერების და ცხოვრების წესის აღდგენას და დამკვიდრებას ახალგაზრდობაში და საერთოდ, საზოგადოებაში.

"ძლევაი" მოღვაწეობს რესპუბლიკის მასშტაბით. ცენტრის რეგიონალური და საქალაქო ორგანიზაციები საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში მოქმედებენ.

1994 წლის 4-14 აპრილს საქართველოს კათალიკოს - პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, "ძლევაის" მოაწყო I ახალგაზრდული კონფერენცია სახელწოდებით "ქრისტიანობა და ქართული კულტურა", რომელიც გაიმართა ქ.თბილისში, სექციების და მიხედვით, სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში. გამარჯვებულებს მისმა უწმიდესობამ გადასცა სამახსოვრო საჩუქრები. მათ, აგრეთვე, გადაეცათ სიგელები.

1994 წლის ივლისის თვეში "ძლევაის" ინიციატივით მოეწყო ბავშვთა ბანაკი, თბილისის ბოტანიკურ ბაღში. აქ დილით მოსული ბავშვები მთელი დღის განმავლობაში იყვნენ აღმზრდელებთან, ხოლო საღამოს სახლებში ბრუნდებოდნენ. აგვისტოს თვეში ბანაკი გადავიდა დღე-ღამურ მუშაობაზე კოჯორში. დამსვენებელთა რიცხვმა 250-ს გადაჭარბა. ბანაკი მოეწყო საქველმოქმედო ფორმით. ოქტომბრის თვიდან დაიწყო თანამშრომლობა ავჭალის მოზარდთა კოლონიასთან.

ნოემბერ-დეკემბერში მოეწყო გასვლები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, კერძოდ კახეთში, იმერეთში, სამეგრელოში, გურიაში, აჭარაში, სადაც გაიმართა შეხვედრები ადგილობრივ ახალგაზრდებთან და ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან, რის შედეგადაც შეიქმნა "ძლევაის" ზემოაღნიშნული რეგიონალური და საქალაქო ორგანიზაციები.

1995 წლის 14 აპრილისთვის ცენტრის მიერ გამოცხადებულია ბავშვთა ნახატების გამოფენა "ბუნება და ძეგლი", რომელიც გაიმართება საქართველოს მასშტაბით. იანვრის . თვეში"ძლევაის" გურიის რეგიონალურმა ორგანიზაციამ, ქ.ოზურგეთში, მოაწყო ამ გამოფენისათვის რეგიონიდან წარმოგზავნილი ნახატების გამოფენა.

კულტურის, განათლებისა და სპორტის განყოფილებები გეგმავენ ბავშვთა და მოზარდთა სექციების შექმნას.

ეკოლოგიისა და ჯანდაცვის განყოფილება გეგმავს სხვადასხვა ეკოლოგიურ ღონისძიებებს (ლაშქრობანა და ბანაკებს),საქველმოქმედო სამკურნალო ორგანიზაციებსა და სამსახურებს.

საგარეო განყოფილება მუშაობს საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ მოქმედ ახალგაზრდულ და სხვა ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან კონტაქტების დამყარებისა და მჭიდრო თანამშრომლობისათვის.

ვაპირებთ შემეცნებითი, კულტურულ-საგანმანათლებლო ტელე და რადიო გადაცემების მომზადებას.

ახალგაზრდული ცენტრის პრეზიდენტი გიორგი ანდრიაძე კონსტანტინოპოლში, 1994 წლის 14-21 აგვისტოს ჩათვლით, ესწრებოდა საერთაშორისო ახალგაზრდული მართლმადიდებლური ორგანიზაციის- "სინდესმოსის" მიერ ორგანიზებულ კონფერენციას; დამყარდა კონტაქტები მსოფლიოს . სხვადასხვა ქვეყნების ახალგაზრდულ მართლმადიდებლურ ორგანიზაციებთან, დაისვა საკითხი "სინდესმოსში" "ძლევაის" გაწევრიანების შესახებ, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციის უახლოეს გენერალურ ასამბლეაზე დადებითად გადაწყდება.

საქართველოს ახალგაზრდული ცენტრი "ძლევაი" სიამოვნებით ითანამშრომლებს ყველა დაინტერესებულ ახალგაზრდულ თუ სხვა ორგანიზაციებთან და კერძო პირებთან.

## XXX

გასულ წელს ფრიად საყურადღებო წიგნი გამოსცა საქართველოს საპატრიარქომ. ესაა მთავარეპისკოპოს ანანიას (ჯაფარიძე) ნაშრომი... "ქართველთა წინაპრების ბიბლიური ისტორია ადამიდან იესომდე". უკვე რამდენიმე წელიწადია, უწმიდესის ლოცვა-კურთხევით, თანმიმდევრული გულმოდგინებით, დიდსაჭირო საქმეს ეწევა მთავარეპისკოპოსი ანანია. ეკლესიის მოღვაწეთა და საერთოდ, მორწმუნეთათვის სამაგიდო წიგნებადაა ქცეული მისი "საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის" პირველი ორი ტომი; ასევე, ქართული ეკლესიის ეპარქიათა ისტორიის ამსახველი ვრცელი გამოკვლევები, მთელი რიგი სტატიები, რომლთა ნაწილი საერო პრესაშიც გამოქვეყნდა.

ეპისკოპოსი ანანია ერთი იმ კეთილმსახურ მამათა შთამომავალია, რომელთაც თავიანთი ღვაწლით, თავის დროზე, წარსულ საუკუნეებში აღწერეს და ქვეყანას ჩვენი ეკლესიის დიდნი საქმენი შეუნახეს. სამწუხაროდ, მათი შრომებიდან მცირე-ღა გადარჩა, მცირემ-ღა მოაღწია. ძალზე ჭირს, ხშირად სიტყვაჩაწყვეტილ და ფუნჯგამომშრალ საუკუნეებში ჭეშმარიტების ამოძიება და მისი წარმოჩენა. ამიტომაც განსაკუთრებით დასაფასებელია მეუფე ანანიას ღვაწლი.

წიგნის შესავალში იგი წერს: შესაძლოა, თემის უჩვეულობისა და სხვა მიზეზთა გამო გაგვეპარა უზუსტობანი, შეცდომა-ლაფსუსები, მაგრამ იმედი მაქვს თქვენი გულმოწყალებისა და შენდობას ვითხოვო... აქაც ძველ მამათა მსგავსად თავმოდრეკილი და შენდობის მთხოვნელია იგი... მემატიანეებმა მოიძიონ ამ წიგნში შეცდომა - უზუსტობანი. ჩვენ კი, გვინდა მას ვუთხრათ მხოლოდ მადლობა, თუნდაც იმის გამო, რომ ჩვენს დროში, მან ერთ-ერთმა პირველმა გააცოცხლა ქართული ეკლესიის მწიგნობრული ტრადიცია... გააცოცხლა მატიანეთა ურთიერთშეჯერებით. ავტორის განმარტებით, ეს წიგნი არის შესავალი მრავალტომიანი მონოგრაფიისა "საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია".

წიგნი იწყება სამყაროს შექმნის ისტორიით. იგი მოგვითხრობს წარღვნისა და ბაბილონის გოდოლის, ენათა აღრევის, პირველ წინაპართა სარწმუნოების, ასევე პროტო-ქართველური ენების, თუბალისა თუ მოსოქის, იბერების, ფარნავაზის მეფობისა და ქართული ანბანის წარმოშობის, ქართული დამწერლობისა და ქრისტიანობის გავრცელების შესახებ საქართველოში და სხვა.

ყოველივე ამის საწყისებთან, თვით კაცობრიობის აკვანთან, ავტორის თვალსაზრისით, იდგა ქართველი ერი... ის ტომები, რომელთაც მემატიანენი ქართველთა წინაპრებად მიიჩნევენ.

წიგნი დაწერილია კარგი ქართულით და ინტერესით იკითხება.

ღმერთმა შეაძლებინოს მას თავისი ჩანაფიქრის აღსრულება - "საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის" მრავალტომიანი მონოგრაფიის შექმნა.

წიგნი დაბეჭდა გამომცემლობა "საქართველომ"... იგი თავისი სახსრებით გამოსცა საერთაშორისო კომპანია "ესაბმა".



# ДЖВАРИ ВАЗИСА

Данный номер журнала целиком посвящен Абхазии... исторически исконной Грузинской земле, где с начала нашего летоисчисления, с первых веков нашей эры стоят христианские храмы... Их возводили грузинские христиане. Как и вся Грузия, этот уголок земли видел много горя... Богатая плодородная земля, мягкий климат и прекрасное морское побережье притягивали к Абхазии многие страны, близкие и далекие. Они постоянно стремились к этой земле и в трудные для Грузии времена старались проникнуть и закрепиться на ее территории...

Этот процесс еще более усугубился в XVII-XVIII вв. Именно в этот период в этот уголок земли начали проникать разные племена с Северного Кавказа. Постепенно они смешались с коренным населением и стали называться абхазами. Многие из них, например, племя Абсуа, не считают себя абхазами, хотя саму землю считают своей родиной. Грузинский народ, в том числе и те которые являются исконными абхазами, никогда не притесняли пришельцев и не воевали с ними, а наоборот, всегда были вместе, в горе и в радости. Со второй половины прошлого века, с того момента, когда утвердилось господство русского царизма, начался процесс взаимного натравливания царизмом грузин и абхазов (под Абхазией теперь уже подразумевалась другая этническая единица), что разрушило согласие и мир двух народов, живших на одной земле...

Под рубрикой "письма-послания..." напечатаны обращения Католикоса-Патриарха всея Грузии **Ильи II-го**: к Вселенскому Патриарху **Варфоломею I**, к Святейшему Патриарху Московскому и всея Руси **Алексию II**, к Его Святейшеству Папе Римскому **Иоанну-Павлу II**, к Генеральному Секретарю Всемирного Совета Церквей – господину **Эмилио Кастро**, к Генеральному Секретарю Европейской Церковной конференций господину **Жану Фишеру**, к Генеральному Секретарю ООН **Бутрос Бутрос Гали**. Его Святеишество обращается к ним с призывом выступить против террористических банд, вторгшихся в Абхазию из Российской Федерации, и абхазских сепаратистов, которые стремятся нарушить единство Грузинского суверенного государства... и не гнушаются никакими средствами для достижения этой цели... истребляют мирное население, грабят и сжигают дома, насилуют женщин и т.д.

Его Святейшество предупреждает всех о том, что этот процесс может объять множество стран мира. Он призывает всех вознести к Господу молитвы о мире и благоденствии Грузии... Все эти обращения в основном написаны в предвоенный период. Усилиями правительства Грузии кровопролитие в Абхазии прекратилось, однако все-таки напряженная конфликтная ситуация существует.

В статье Архиепископа Анания Джапаридзе "Абхазская Епархия" рассказывается об истории христианства в Абхазии. В ней воочию представлена вся та многовековая дорога, которую прошла христианская Абхазия, испокон веков будучи неотъемлемой частью Грузии.

Под общим заголовком "Господи, дай силы народу нашему" в журнале напечатано несколько статей. Здесь вы прочтете часть книги великого грузинского ученого Павле Ингороква "Георгий Мерчуле". На протяжении десятилетий грузинские ученые не имели права писать правду об

Абхазии. Этому всячески препятствовал коммунистический строй. Павле Ингороква был первым, который смог сказать правду об Абхазии. Свою мысль он сформулировал так — Абхазия — это Грузия, абхаз — это грузин. В ту пору нашлось много противников великого ученого, но время подтвердило правду его слов. В отрывке, напечатанном в журнале, говорится о происхождении Абхазии. Опираясь на грузинские и зарубежные источники, автор отмечает, что Абхазия была синонимом сперва западной Грузии, а после объеденения Грузии — синонимом всей Грузии. Ученый доказывает, что не только в VIIIв., когда было создано "Абхазское царство", но и на протяжении всей древней истории, в античный период и в средние века, земля эта была населена грузинскими племенами, среди которых одно из племен было абхазским. В данном письме автор касается вопроса о грузинской церковной письменности. Согласно его исследованиям, Абхазское княжество было одним из центров грузинской церковной письменности, а также гимнографии. В своих суждениях автор уделяет большое место реформации абхазской церкви и вообще мероприятиям, которые происходили в тогдашних церквях. Трудно уверить людей, которые на протяжении веков живут на этой земле и считают ее своей родиной, в том, что настоящие абхазы — совершенно другой народ, нежели те люди, которые называют себя абхазами сегодня. Этому вопросу посвящены письма профессора Александра Ониани и беженки из этого уголка (т.е. Абхазии) писательницы Циалы Ардашелиа: "Кто являются древнейшими жителями Абхазской земли" и "Не существует Абхазии без Грузии, так же, как и Грузии не существует без Абхазии".

В журнале опубликована карта I века которую составил по заданию Римского императора, государственный правитель большей части Малой Азии — Плиний. В энциклопедии, написанной на латинском языке, он указал место жительства абсуа не около Черного моря, а в северной части Северного Кавказа — в долине одного из регионов, между Тереком и Волгой. Он писал, что абсуа проживали рядом с племенами скифов. В связи с этим в журнале напечатано письмо Нателы Попхадзе под заголовком: "Абсуа — это не абхазы, Абсны — не Абхазия". Письмо всесторонне интересное.

Под этой же рубрикой журнал предлагает читателю письмо академика Мариам Лорткипанидзе "Церковная реформа в Абхазском царстве". Прослеживая процесс церковных реформ в Абхазии на протяжении веков, автор отмечает, что в объединении раздробленных грузинских княжеств (в том числе и Абхазского) в одно единое государство, в этом большом национальном деле — грузинская церковь всегда стояла рядом с царями Грузии и была главным союзником централизованной власти.

Статья "Под именем Пицунда...", автор — Акакий Бакрадзе — писатель-историк. Он считает, что функция Бичвинты (Пицунды) заключалась в том, что она являлась церковным центром всей Западной Грузии на протяжении веков, он отмечает, что когда грузинские цари воевали между собой и проливали кровь, даже тогда не забывали, что они — все же сыновья одной страны, одного народа и единой церкви. Автор считает, что грузинский народ должен осознать, что Абхазия — это исконная территория Грузии и абхаз — это грузин. "Этой точки зрения придерживаются все,— замечает автор и заключает,— в востановлении этого сознания особую роль может сыграть Грузинская Церковь".

В стране, растерзанной после боев с внешними врагами, пришлось жить сыну последнего правителя Абхазии — Георгию Шарвашидзе. В журнале напечатано письмо о нем, его фотография и одно стихотворение.

Храмами насыщена вся Грузия... И в этом отношении одним из самых богатых уголков является Абхазия. В первые же годы христианства здесь были возведены храмы, большие и малые. Об этих храмах и молельнях и о сохраненных в них фресках рассказывают: академик Вахтанг Беридзе —"Памятники культуры в Абхазии", Димитрий Туманишвили — "Христианские храмы Абхазии", Инга Лорткипанидзе —"Бедиа, Лихнэ, Бичвинта". Тут же напечатано письмо Елены Мачавариани —"Иллюстрированное Евангелие Мокви"...

"У карты Абхазии"... Автор — профессор Зураб Чумбуридзе. В статье рассматриваются образцы топонимики этого уголка, где основная часть — грузинская. Автор заключает, что грузины — древнейшие обитатели Абхазской земли, и этого отрицать не может никто.

Одним из древних и особенно значительних для Грузии храмов считается храм Илорского Святого Георгия... Множество чудес приписывают ему местные жители и верующие. Храм этот находится на территории Абхазии... В журнале опубликовано письмо этнографа Нино Абакелия: "Илорский Святой Георгий и связанные с ним представления в сознании верующих Западной Грузии." Автор рассматривает представления верующих о храме и выражает надежду, что великий покровитель Грузии Св.Георгий восстановит мир и справедливость на этой измученной земле.

В статье "Грузино-Абхазское историческое прошлое в Абхазской историографии", автором которой является житель этого уголка, исследователь Зураб Папаскири, на основе грузинских и зарубежных источников пишет, что на протяжении многих лет в целенаправленной бесконечной

антигрузинской кампании особую роль играли фальсификация и искажение исторических фактов. Автор отмечает, что особенно в последние годы искажение фактов истории и ее фальсификация были возведены в ранг государственной политики. Он перечисляет авторов целого ряда трудов — ученых, которые способствовали раздору между двумя когдато дружественными народами; это следующие авторы: С.Ашхацава, Н. и Л.Вороновы, Д.Гулия, Ш.Инал-Ипа, С.Лакоба, Г.Турчанинов, М.Ростовцев (редактор) и другие. В статье З.Папаскири даны некоторые штрихи абхазской сепаратистской историографии.

Богословие... Под этой рубрикой публикуется статья профессора Даманы Меликишвили "Иоанн философ-богослов, под именем Петрици — солнце грузинского языка". Начиная с Нико Марра, стало традицией признавать необоснованные суждения о том, что адресат письма Иоанна Италоса, некий "грамматист абаз": – есть Иоанн Петрици. Об этом гдето вычитали "горе-ученые абсуа" и подняли тревогу — Иоанн Петрици Абсуа. Опровержение этого умозаключения мы встречаем в рукописях самого Петрици... Сам он считает себя грузином и, как он говорит, для своего народа создает философский язык. В данной статье читатель познакомится с творчеством И.Петрици и его философией.

Поэзия... Под этой рубрикой публикуются стихи деятеля X века, который жил в Абхазии, гимнографа Иванэ Минчхи.

В обращении Католикоса-Патриарха всея Грузии **Ильи II**, сказано: "На протяжении веков грузинский и абхазский народы жили и в дальнейшем будут жить вместе. Нас связывает не только одна земля, но и родственные узы и взаимное уважение..." С отеческой любовью Патриарх всея Грузии **Илья II** обращается ко всем людям земли, чтобы были приняты все возможные меры для прекращения вмешательства посторонней силы и кровопролития в Абхазии.

За весь период войны духовенство Абхазии ни на один день не оставило свою паству. Вместе со всем грузинским населением оно переносило все тяготы и под конец вместе с ним преодолело заснеженные перевалы Сванети...

В журнале опубликованы письма грузинских монахов, которые повествуют читателю об их переживаниях. Здесь же опубликована беседа с настоятелем Абхазской епархии, архиепископом **Даниилом**.

Из прошлого... Читателю предоставлена возможность ознакомиться со статьей усопшего Католикоса-Патриарха **Амвросия Хелая** "Научная полемика с великорусскими бюрократами," под заголовком "По поводу статьи "Голос из Сухуми" (газ."Колокол", №45, 1906г.), перевод Нугзара Папуашвили. В статье говорится о поражающем сходстве методов агентуры империи с сегодняшним днем. Хотя это логично: история умеет повторять свои уроки.

Статья исследователя Соломона Лекишвили "Общество восстановления христианства на Кавказе - по поводу происхождения национальности мурзаканцев." Автор анализирует деятельность и отчеты этого общества, в которых указывается принадлежность мурзаканцев к грузинской нации, отмечает, что руководство этого общества считало своей моральной обязанностью дать точную информацию об обстоятельствах, сложившихся в этом уголке Грузии, как духовенству , так и государству. Нет никакого основания обвинять это общество в грузинском национализме, т.к. его задачей и первейшей целью являлась преданность правительству, а не защита интересов каких-либо регионов и народов.

Заключительная часть журнала посвящена материалам церковной жизни - письмам, обзорам, информациям.



# JVARY VAZISA

The present issue of the journal is fully dedicated to Abkhazia... The ancient Georgian land, where the Christian cathedrals and prayerhouses exist since the first centuries, AD... They are built by the Georgian Christians. This part of Georgia like the rest of Georgia, witnessed a lot of disasters for centuries... Its rich, fruitful soil, mild climate and the most beautiful sea coast permanently attracted the states, tribes, peoples from the far away lands or places around our country. They constantly drew closer to our country and managed to invade and settle down on its territory during the most difficult periods in the history of Georgia. This process became more intensive in the 17th-18th centuries. Just in this period the invasion of various tribes from the north Caucasus took place in this part of Georgia. After the years and decades they were gradually mixed with the local population and are called Abkhazes. A lot of them, for instance, the tribe of Apsua do not call itself Abkhaz even today, nevertheless considering the land itself to be their native one. Georgian people, those who are true, ancient abkhazes, never argued with and persecuted them, always sharing hardships and happiness with them. Only since the second half of the last century, when tsarism dominated Georgia, the slow process of contradicting Abkhazes (we use this term in a recently acquired sense now) with Georgians began, which finally ruined the well-being of the two peoples living on the same land.

Herewith, under heading "Letters, Epistles ..." the letters of His Holiness and Beatitude ILIA II, Catholicos-Patriarch of All Georgia, to His All Holiness BARTHOLOMEW I, the Ecumenical Patriarch, His Holiness ALEXY II, Patriarch of Moscow and All Russia, His Holiness JOHN PAUL II, Pope of Rome, the Secretary General of WCC – Mr.Emilio Castro; Secretary of CEC – Mr.Jean Fischer, Secretary of UNO – Mr.Butros Butros Ghali, are printed. His Holiness and Beatitude ILIA II appeals to them to raise their voice against Abkhaz separatists and the terroristic gangs invading from the territory of the Russian Federation, aspiring towards violating the territorial integrity of the sovereign state of Georgia. They do anything to reach this goal, killing the peaceful population, plundering families, burning houses, raping women.

His Holiness and Beatitude ILIA II warns everybody, that this process may embrace a lot of countries in the world, asking them to offer up prayers for peace and well-being in Georgia. These letters were written during the pre-war period. Since then the permanent bloodshed has been seized by the attempts of the Georgian government, but the strained and conflict situation still exists.

The article written by the Archbishop Anania Japaridze, "Abkhazian Diocese", tells us about the history of Christianity in Abkhazia, which is closely and directly linked with the history of the rest of Georgia. The centuries old way passed by the Christian Abkhazia, as an eternally inseparable part of Georgia.

Several articles are printed under the general title "Lord, Grant force to our Nation". Here we see one part from the book written by the great Georgian scientist Pavle Ingorokva – "George Merchule". For a long time, for years, the

Georgian scientists had no right to write truth about Abkhazia. The communist system struggled against it categorically. Pavle Ingorokva was the first person, who raised his voice and said truth about Abkhazia, that Abkhazia is Georgia, Abkhaz is Georgian. A lot of opponents appeared to the great scientist, at the time, but the time has proved his truth. The extract is rendered thus: printed in the journal tells us about the origin of the word "Abkhazeti". The author remarks, relied on the foreign sources, that Abkhazeti was the synonym, firstly of the West Georgia, later, after uniting Georgia, it was used as a synonym of the entire Georgian state. The scientist proves, that not only in the 8th century, when "the Kingdom of Abkhazia" was established, but during the period of the old history, ancient and medieval period it was populated by the Georgian tribes – Abkhazes. In this article the author deals with the old Georgian church writing. According to his research works, the kingdom of Abkhazeti was one of the centres of the Georgian church writing, as well as hymnography. The author speaks about the reformation of the church of Abkhazeti and generally, about the measures taken in the church at the time.

It is difficult to assure the people, who have lived on this land for several centuries and considered it to be their native land, that the real Abkhazes are quite different people, and the people called Abkhazes are quite different nowadays. The articles written by the professor Alexander Oniani and the refugee (together with her family) writer Tsiala Ardashelia: "Who Are the Ancient Inhabitants of Abkhazian Land" and "Abkhazia Does Not Exist Without Georgia and Georgia – Without Abkhazia".

The map of Caucasus in the first century is published in the journal, which was made after a ruler of a state in the Asia Minor – Plinius, under the order of the Roman emperor. In the encyclopedia written in Latin, he pointed to the area, where the Absua tribes lived, not at the Black Sea coast, but far from it – in the north Caucasus, to the north – on the valley, in the region between the rivers Tergi and Volga. He wrote, that Absua tribes lived in the neighborhood of Scythian tribes. In connection with this, the commentary written by the professor of philosophy – Deniza Sumbadze is printed in the journal. The author thinks, that the articles written by Natela Popkhadze on Plinius' notes about the Abzoa (Absoa) need a special attention from the specialists.

Under the same heading, the journal offers the article, written by Prof. Mariam Lortkipanidze, to the readers: "Church Reform In The Kingdom of Abkhazes". Reviewing the church reforms, which took place in the kingdom of Abkhazes for the centuries, the author remarks, that the Georgian church always stood for the kings in their great national activities to unite the Georgian countries (including Abkhazia) as one state. The church was a main ally to the central authorities.

Akaki Bakradze – a writer, a historian, reviews the function of Bichvinta, as a church centre of the entire west Georgia for centuries and remarks, that even at that time, when the Georgian kings fought against each other, they still did not forget, that they were the children of the united country, nation and the church. The author finds, that a Georgian man is to be aware of the fact, that Abkhazia is the native territory of Georgia and an Abkhaz is a Georgian. Everybody has to be together in this point of view. He remarks, saying "The Georgian church can play a key role in this respect".

George Sharvashidze, the son of the last prince of Abkhazia had to live in Georgia, troubled by the enemies. The material about the writer George Sharvashidze is printed in the journal, his photo and one poem.

There are cathedrals all over Georgia ... including Abkhazia, being one of the richest ones.

From the very first years of Christianity, a lot of large or small prayer houses were built here. Academician Vakhtang Beridze tells us about these cathedrals and prayer houses, as well as, about the mural paintings, which have been kept in there – "Cultural Monuments in Abkhazia". Dimitri Tumanishvili – "Christian Cathedrals in Abkhazia", Inga Lortkipanidze – "Bedia, Likhne, Bichvinta", herewith the article by Elene Machavariani – "The Illustrated Gospel from Moqvi" is printed.

"At The Map Of Abkhazia" – the author Prof. Zurab Chumburidze. The samples of the geographical names are reviewed in the article. The main part of the geographical names are Georgian. The author draws a conclusion, that Georgians are the only ancient native inhabitants of the Abkhaz land.

The Ilori cathedral of St.George was of special importance to Georgians since the ancient times. A lot of miracles are ascribed to this cathedral by the local inhabitants and the believers. This time it is on the territory of Abkhazia. The article by the ethnographer Nino Abakelia - "Ilori St.George and the Faith-Imaginations Connected With It In West Georgia", is printed in the journal. The author reviews the existing faith - imaginations about the cathedral, hoping that the great patron of Georgia St.George will reestablish truth and peace on this suffered land.

The article "Historical past of Georgia-Abkhazia In The Abkhaz Historiography", the author of which is native of this part of Georgia, researcher Zurab Papaskiri. He writes on the basis of foreign and Georgian sources, that a special attention was paid to falsification of the history, in the international, endless anti-Georgian campaign, which took place for years. The author remarks, that falsification of the history generally became a state policy, particularly during the last years. He enumerates the whole number of the authors of false works, who finally initiated the enmity and hatred between the friendly people living on the same land, such as: Ashkhatsava, the Voronovs, Gulia, Inal-Ipa, Lakoba, Turchaninov, Rostovtsev etc.

Theology - under this heading we offer the article by professor Damana Melikishvili "John Divine philosopher, named Petritsi - The sun of Georgian Language".

Poetry - under this heading the poems, written by 10th century hymnographer from Abkhazia - John Minchkhi. is published.

The appeal of His Holiness and Beatitude ILIA II, Catholicos-Patriarch of All Georgia, is printed in which the following is said: "For centuries we and Abkhaz people lived together and shall still live. We are linked not only by the same land, but kinship and mutual respect." He appeals to all with fatherly love, to do their utmost to stop the external forces and bloodshed in Abkhazia.

During the whole period of the war, the clergy of Abkhazia did not leave their flock for a single minute. They suffered together with the entire Georgian population and finally passed the way through the snow-capped mountain chains of Svaneti, together with them.

The letters written by the Georgian hieromonks, in which a reader will feel their pains and sorrows, are published in the journal.

Herewith the interview with the head of Abkhazeti diocese Archbishop Daniel, is published.

From The Past - the reader can be acquainted with the article by the late Catholicos-Patriarch - Ambrosi Khelaia - "Scientific Polemics with the Velicorussian Bureaucrats", under the title - "Because of the Article - "Voice From Sukhumi". The article was translated by Nugzar Papuashvili. It surprises us by the similarity of methods used by the imperial agents with the present - day ones. Though it is logical: historical experiences are repeated.

The final part of the journal is dedicated to the materials of church life - letters, reviews, information.

# შინაარსი


შენ გეაჯები
წერილები, ეპისტოლენი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ისა: 4
კონსტანტინოპოლის - ახალი რომისა და და მსოფლიო პატრიარქს, მის უწმიდესობას -
ბართოლომეოს I-ს,
მის უწმიდესობასა და უნეტარესობას, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქს - ალექსის,
მის უწმიდესობას, რომის პაპს - იოანე-პავლე II-ს,
ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს გენერალურ მდივანს, მის აღმატებულებას, ბატონ ემილიო კასტროს,
ევროპის ეკლესიათა კონფერენციის გენერალურ მდივანს, მის აღმატებულებას, უან ფიშერს,
ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის თხოვნა გაეროს გენერალურ მდივანს, მის აღმატებულებას,
ბატონ ბუტროს-ბუტროს ბალის 7
მთავარეპისკოპოსი ანანია (ჯაფარიძე) - აფხაზეთის ეპარქია 11
პ.ინბოროყვა - წიგნიდან „გიორგი მერჩულე“ 20
ა.ონიანი - ვინ არის აფხაზეთის მიწის უძველესი ბინადარი 26
ც.არდაშელია - არ არსებობს აფხაზეთი უსაქართველოდ, არც საქართველო
არსებობს უაფხაზეთოდ 34
ლ.მენაბდე - ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებაში... 41
ნ.ფოფხაძე - აფხაზი აფსუა არ არის, აფხაზეთი აფსნი არ არის 42
თ.მიბჩუანი - ვინ არიან აფხაზები? 46
მ.ლორთქიფანიძე - საეკლესიო რეფორმა აფხაზთა სამეფოში 51
ა.ბაქრაძე - ბიჭვინთის სახელით 55
xxx გიორგი შარვაშიძე 59
ვ.ბერიძე - კულტურის ძეგლები აფხაზეთში 62
დ.თუმანიშვილი - აფხაზეთის ქრისტიანული ტაძრები 67
მ.დიდებულიძე - ძველი გაგრის ეკლესია 70
ე.მაჭავარიანი - მოქვის დასურათებული ოთხთავი 72
ზ.ჯუმბურიძე - აფხაზეთის რუკასთან 74
ნ.აბაკელია - ილორის წმიდა გიორგი და მასთან დაკავშირებული რწმენა-
წარმოდგენები დასავლეთ საქართველოში 77
ი. ლორთქიფანიძე - ბედია, ლიხნე, ბიჭვინთა... 80
ზ.პაპასკირი - საქართველო-აფხაზეთის ისტორიული წარსული აფხაზურ
ისტორიოგრაფიაში 86
დ.მელიქიშვილი - იოანე საღმრთო ფილოსოფოსი, ზედწოდებით პეტრიწი -
ქართული ენის მზე 91
ივანე მინჩხი 100
ილია II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი -
საქართველოს უძველესი სამოციქულო ეკლესიის სახელით 102
აფხაზეთი... უფალო ძალი ერსა ჩუენსა მოეც...
თ.კოგალაძე- ღმერთო, შეწევნასა ჩუენსა მოხედენ...(ქართველ მღვდელ-მონაზონთა
და მორწმუნეთა წერილები ომის შთაბეჭდილებებზე... წიგნის დასაწყისი 106
კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი ხელაია - სტატიის გამო „ხმა სოხუმიდან“...
თარგმანი ნ.პაპუაშვილისა 155
ს.ლეკიშვილი - კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება
სამურზაყანოელთა ეროვნული ვინაობის თაობაზე 161
საეკლესიო ცხოვრება 164
რეზიუმე რუსულ ენაზე 177
რეზიუმე ინგლისურ ენაზე 180


მე-4გვ.-ზე - ლექსი ირაკლი აბაშიძისა

# ᲯᲕᲠᲘᲗᲘ...
# ᲐᲦᲓᲘᲗᲘ
# ᲛᲘᲗᲘᲗᲘᲡᲘ
# ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲗ

ჟურნალი დაიბეჭდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი
საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს ფინანსური დახმარებით

დაბეჭდა ფირმა „რიზო“-მ

ქ.თბილისი ხეთაგურაოვის 26

რედაქტორი: **თინათინ კობალაძე**
კონსულტანტები: მიტროპოლიტი **კონსტანტინე** და მთავარეპისკოპოსი **ანანია**

საქართველოს საპატრიარქო
თბილისი. 1995წ. ერეკლეს მოედანი 1. ტელ. 23 26 34
Джвари вазиса (Лозовый крест) №1 1995
Грузинская Патриархия.
Тбилиси, пл. Ираклия 1
JVARI VAZISA (The Cross of Vine) N1 1995
Georgian Patriarchate Tbilisi 1, Erekle's square

# ქართული ანბანი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ა | Ա | ᲐᲐ | a | 1 |
| ბ | Բ | ᲑᲑ | b | 2 |
| გ | Գ | ᲒᲒ | g | 3 |
| დ | Դ | ᲓᲓ | d | 4 |
| ე | Ե | ᲔᲔ | e | 5 |
| ვ | Վ | ᲕᲕ | v | 6 |
| ზ | Զ | ᲖᲖ | z | 7 |
| ჱ | Է | ᲗᲘ | ē | 8 |
| თ | Թ | ᲗᲗ | t | 9 |
| ი | Ժ | ᲘᲘ | i | 10 |
| კ | Ք | ᲚᲚ | ḳ | 20 |
| ლ | Լ | ᲛᲛ | l | 30 |
| მ | Խ | ᲜᲜ | m | 40 |
| ნ | Ծ | ᲝᲝ | n | 50 |
| ჲ | Հ | ᲞᲞ | j | 60 |
| ო | Կ | ᲟᲟ | o | 70 |
| პ | Ձ | ᲠᲠ | p̣ | 80 |
| ჟ | Ղ | ᲡᲡ | ž | 90 |
| რ | Ճ | ᲢᲢ | r | 100 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ს | Մ | ᲣᲣ | s | 200 |
| ტ | Յ | ᲤᲤ | ṭ | 300 |
| ᲬᲬ | Ն | ᲥᲥ | y | |
| ᲭᲭ | Շ | ᲦᲦ | u | 400 |
| ᲮᲮ | Ո | ᲧᲧ | p | 500 |
| ᲯᲯ | Չ | ᲨᲨ | k | 600 |
| ᲰᲰ | Պ | ᲩᲩ | ɣ | 700 |
| ᲱᲱ | Ջ | ᲪᲪ | q̣ | 800 |
| ᲲᲲ | Ռ | ᲫᲫ | š | 900 |
| ᲳᲳ | Ս | ᲬᲬ | č | 1000 |
| ᲴᲴ | Վ | ᲭᲭ | c | 2000 |
| ᲵᲵ | Տ | ᲮᲮ | ʒ | 3000 |
| ᲶᲶ | Ր | ᲯᲯ | č̣ | 4000 |
| ᲷᲷ | Ց | ᲰᲰ | č | 5000 |
| ᲸᲸ | Ւ | ᲱᲱ | x | 6000 |
| ᲹᲹ | Փ | ᲲᲲ | q | 7000 |
| ᲺᲺ | Ք | ᲳᲳ | ǰ | 8000 |
| ᲻᲻ | Օ | ᲴᲴ | h | 9000 |
| ᲼᲼ | Ֆ | ᲵᲵ | ō | 10000 |

ΘΑΓΙΟϹ
ΓΕΟΡΓΗΟϹ